


1983/2

ISSN 0182-599 X



10

გნებობა



h/1
A
84
29

3

1983



ენათმეცნიერება

საქართველოს
მწერთა კავშირი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წილწამი 59-0

№ 3

მაისი, 1983 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

გორის ფრანგული — ლექსები	3
გურამ ფანჯიკიძე — რეკვიემი, მოთხრობა	7
მიქაელ ქაჩიძე — ლექსები	48
ლია სტურა — ლექსები	50
სიმონია გულიანკი — ლექსები	53
ლადო სულაბერიძე — ჯივინკან მიგვალი	54
გივი ალგაჯიანი — ლექსები	74
თამაზ ბაბაია — ლექსები	77
ქანთ მათეოსიანი — კამიჩი, მოთხრობა, სომხურიდან თარგმნა	79

ჩვენი მივლინებით

მირან ხარბიანი — ბარბანნი — ფატების პრიზაში... ნარკვევა, დასასრული	100
--	-----

1783 — გეორგიევსკის ტრაქტატი — 1983

გორის ანდრონიკაშვილი — წარსულის ძებნები	121
---	-----

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

სულხან შერაზინა — „ვაჟა-ფშაველა და ქართული ერი“	132
---	-----

პუბლიკაცია

გურამ შარაძე — ფიქციური უმრავლესობისაღმ. დასასრული	141
--	-----

მეცნიერება

როსტომ ჩხიძე — უმცროსი ძმის მოტივი იოსების ბიბლიურ მოთხრობაში	165
---	-----

ნიგნების მიმოხილვა

რეზა ჩხარტიანი — ალგაჯიანი ივანე გუგუშვილისა	175
--	-----

შთავარს რედაქტორს ბრძნულ ხელაპაუროს

ს ა რ ე დ ა ტ ც ი თ ჭ ტ ლ ე ბ ი ა :

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლავა, თ. გიგინეიშვილი, ა. გომეაშვილი, ბ. კალაძე, მ. ლეზანიძე,
ლ. მრეწაშვილი, გ. ნატროშვილი, თ. კახკორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წუ-
ლდინსკირი, ვ. წულუკიძე, თ. ბილაძე, ბ. ხარბანაული, რ. ჯაფარიძე,
ბ. ჯიბლაძე.



მ ო რ ი ს ო რ ტ ვ ი ზ ი დ ი

17431

ღმერთმა გაშოროს

ღმერთმა გაშოროს ფათური,
ძიძგილაობა, ჯიბრი,
არაქართული ქართულით
აზვირთებული წიგნი.

არაჯალათი ჯალათის
შუბი წამახულ წვერით,
არა ძმაკაცი ძმაკაცი
და არამტერი მტერი.

არამხატვრული მხატვრული,
ვით უღარდელი დარდით
არაკაცურად ნატრული
ანგელოსური მადლი.

გაშოროს სხვათა ნათესი,
ჯილდო ნაყიდი ვერცხლით,
უსიყვარულო აღერსი
და უსინათლო ცეცხლი.

სიციოცხლის საღმარაგალო

ძნელია სიკვდილის მონატრება,
გულდაგულ გაფრთხილებთ
წუხილით მთვრალი, —
ჩემი სიმღერები მოგაკლდებათ...
„სიციოცხლეს გაუმარჯოს მაინც!“

გული მატყინეს და
აღსასრულს ველოდები,
სხვა რა დარჩენია
გულნატკენ რაინდს, —
გთხოვთ ნუ შემიცოდებთ
ტყბილი შეცოდებით...
„სიციოცხლეს გაუმარჯოს მაინც!“

ძნელია ჩემი ხელდახელ შეკეთება,
დიდხანს ვინ აჩერებს
დაფაზე ჰაიკს, —
სიკვდილი წამალივით შემერგება...
„სიციოცხლეს გაუმარჯოს მაინც!“

ქ. მარშინს სახ. საშ. სსრკ.
საბავშვო მუზეუმი
ბ ი ბ ა ლ ი თ მ მ კ ა

ჯვარი სწერია



ჯვარი სწერია

ჩემს ძველ ტკივილებს,
გრივალგადავლილ ღველფს და კერიას, —
ბებერი მცხეთავ, შენ რომ იხილე,
სწორედ იმ ხილვას
ჯვარი სწერია!

სულო იმღერე, სისხლო იყვილე,
სევდა სევდაა, მტერი მტერია, —
ცვარმოკიაფე და მოლივლივე
იმედის ვარსკვლავს
ჯვარი სწერია!

მონოტონურად მბორგავ კრიკინებს,
მზემონატრებულ ნერგს, ვით ფერიას,
მოკრიალებულ და მობიზინე
ჩვენს ლიპლიპა ტბებს
ჯვარი სწერია!

მიწა თუმც ყველას ერთი არა აქვს
ო, მაგრამ ყველას ერთი ჰერი აქვს —
სწორედ ამ ერთ ჰერს,
ეკლებს და ეჰვებს,
ვით ფერად კენჭებს,
ჯვარი სწერია!

ჯოჯობეთური წამებით გავლილ
დროს, შემდგომ სულ რომ
მშვენიერია,
ქვაში ჩუქურთმად ჩაწურულ ყვავილს,
ვით ხსოვნის ყვავილს,
ჯვარი სწერია!

ცხარე სიყვარულს,
ცეცხლს რომ მაწყურებს,
დარდის გენსა და აზრის გენიას,
გზაგაბრწყინებულ ყრმებს და ასულებს,
ვით ჩვენს ლაქვარდებს,
ჯვარი სწერია!

მაქვს დადრეკილი მიწაზე მუხლი-
სიუბუკეა თუ სიბერეა,
სისხლში სისხლის წილ
სინათლის დუდილს,
ს ი ნ ა თ ლ ი ს დ უ დ ი ლ ს,
ჯვარი სწერია!



ფიქრით შექმნილი გულიც დღეგრძელობს,
 ეს გულია თუ ობლის კვერია, —
 დღემდე უთქმელო ჩემო ლექსებო,
 თქვენს უთქმელობას

ჯვარი სწერია!

კამათი საკუთარ გულთან

„იქნებ სიძულვილს
 სულ ამოდ დაედო ბრალი,
 ოდეს სიყვარულს მიუძლოდა
 დ ა ნ ა შ ა უ ლ ი“.

„სევდას არავენ არ მოუკლავს
 კაცთაგან თურმე“.

„ჩვენ ალტაცებამ
 მოგვიღო ბოლო...“

საფლავის ქვებზე ამოკაწრულ
 ამ უწრფელეს სტრიქონებს ვიწერ
 და ჩემს გულს
 შევე ვეკამათები.

ფინიში

მირბიხარ,
 იცი,
 წინ ფინიშია,
 მიაღწევ,
 მიხვალ,
 კარგად თუ ცუდად, —
 როგორც ამბობენ,
 ხსნა სიკვდილშია,
 მაგრამ სიკვდილი
 არავის უნდა.

მირბიხარ,
 გრძნობ, რომ
 სირბილს გიშლიან,
 ვილაც წინ გისწრებს,
 გებრძვის და
 გზლუდავს, —
 ყველა იქ მიდის.
 იქ ფინიშია,
 მაგრამ იქ მისვლა
 არავის უნდა.

გასაგები და გაუგებარი

შენი ხელით ფრთებს მჭრიდა
 დრო საშინლად ნეტარი,
 შენთვის გასაგები და
 ჩემთვის გაუგებარი.

კიდევ ერთი დღე მინდა
 და რაც არი ეს არი, —
 ჩემთვის გასაგები და
 შენთვის გაუგებარი



• • •

ვინ „არას“ იტყვის,
ვინ „ხოს“. —
შენ ერთს გელით და
გიხმობთ.

გიხმობთ, გეძებთ და
გსახავთ.

მანამდე ვიდრე
გნახავთ...

მაგრამ როდესაც გნახავთ,
უშალ
სიცრუეს ვჩმახავთ.

ვინ „არას“ იტყვის,
ვინ „ხოს“.

• • •

სამიოდე წელი დამრჩა,
იქნებ, არც სამიოდე,
სირცხვილია, დარდის მაჯავ,
გამუღმებით მტკიოდე.

სირცხვილია, გაჰკიოდე,
სულო, სულ რომ გციოდეს,
სამიოდე კიბე დაგვრჩა,
იქნებ არც სამიოდე.

სამიოდე აღმართია
და სულ სამი ზვირთია,
ან რალა დროს კამათია,
ან რალა დროს ფიქრია.

სამი სიტყვა, სამი აჯა,
დროა გზად გადიოდე, —
სამიოდე დილა დაგვრჩა,
იქნებ არც სამიოდე.

მონატრეზული ლექსის ტიპილით

რალაც ლვთიური, რალაც ზღაპრული,
უნდა ვიგრძნო და

უნდა ვიკვილო, —

ო, ჟრუანტელო ხილვის ფარულის,
ო, მონატრეზულ ლექსის ტკივილო!

რალაც მწუხრად და რალაც წყვედიადად
უნდა გიცნო და

შუქით გაგთელო, —

ო, სინაზეო პირველ იათა,
ო, ულაყვარდეს თვალთა ნათელო!

რალაც ფუსფუსი, რალაც ცხოვრება,
უნდა მიხსნა და

უნდა მიშვილო, —

ო, უსაზღვროთა უსაზღვროებავე,
ო, უგულწრფელეს აზრთა შიმშილო!

რ ე კ ვ ი ე მ ი

მოთხრობა

— ბაბუ, რამდენი კაცი გყავს მოკლული? — ჰკითხა თორნიკეს პატარა შვილიშვილმა და ნაჭრილობევე სახეზე ხელი ჩამოუსვა.

თორნიკემ იგრძნო, მილიონმა წვრილმა და ყინულივით ცივმა ბურღმა როგორ დაუხვრიტა გული. სახეზე მწვანე ფერი დაედო, თვალები ჩაულამდა. ჩანგლიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, დიასახლისმა ჯერ მეუღლეს შეავლო თვალი, მერე შვილს გადახედა მკაცრად. დავითს ლუკმა ყელში გაეჩხირა, დანა-ჩანგალი თეფშზე დადო, ხელები მაგიდაზე დააწყო და შვილს ისე დააკეჭრა, მის თვალებში კაცი გაბრაზებამაც ამოიკითხავდა და გულისტკივილიან საყვედურსაც.

პატარა თორნიკემაც იგრძნო, რაღაც მოხდაო, მიხვდა, სულელური შეკითხვით დიდი ტკივილი მიაყენა ბაბუასაც და მშობლებსაც. დანა-ჩანგალი მანაც თეფშზე დადო და ხელები ქაღალდის ხელსახოცზე შეიწმინდა. ცდილობდა დედის განრისხებულო, ხოლო მამის საყვედურით აღსავსე გამოხედვისათვის თვალი აერიდებინა.

— ომში კაცს არ კლავენ, შვილო! — დაიწყო უცებ მოტეხილი ხმით თორნიკე გულაშვილმა, — როცა შენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწას იცავ,

როცა შენი წინაპრების ძვლებს იცავ, მაშინ არ ხარ კაცის მკვლელი. კაცს ის კლავს, ვინც სხვისი ქვეყნის დასაპყრობად მიდის, ეს კარგად დაიმახსოვრე, ბაბუა!

თორნიკემ უკანასკნელი სიტყვები მეტი დამაჯერებლობით წარმოსთქვა, ჩანგლიანი ხელი მოწყვეტით დაუშვა და თვალი მაგიდას გაუშტერა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. დავითსა და მის მეუღლეს პოზა არ შეუცვლიათ, ისევ ისე იყვნენ გაშეშებულნი, როგორც პირველსავე წამს, პატარა თორნიკემ რომ ჰკითხა ბაბუას, რამდენი კაცი გყავს მოკლული.

სიჩუმეში თითქოს საგანგებოდ გამოიკვეთა ძველებური საათის ხმა, თორნიკეს მოპირდაპირე მხარეს რომ ეკიდა. მისი გრძელი და მრგვალობოლოიანი ენის რიტმული ხმა თითქოს შეერწყა თორნიკეს გულისცემას. მერე როგორც მწყობრში აირევა ხოლმე ფეხი, თავისუფლად სიარულის ბრძანებას რომ გასცემენ, ისე აირია საათის ენასთან შეწყობილი გულისცემის რიტმი. თორნიკეს მოეჩვენა, რომ გული ჩამორჩა საათს. იგრძნო, საათი მისი სიცოცხლის წუთებს ითვლიდა.

წელში ძლივს გაიმართა. დავითი მიხვდა, მამამისი წასვლას აპირებდა.

— ამდამ იქნებ დარჩე ჩვენთან? —
კითხა დავითმა მამას.

— არა, ახლა კარგად ვარ, ქუჩაში,
პაერზე გასვლა მომიხდება კიდევ.

— ხომ არ გავაცილო?

— ასე იცნობ მამაშენს?

— შინ რომ ცუდად გახდე, ვინ მოგ-
ხედავს?

— ნუ გეშინია, არ გავხდები ცუდად.
ან რატომ უნდა გავხდე ცუდად? თუ
რამე ვიგრძენი, დაგიჩვენებ. ისე, დარ-
ღ ნურაფრის გექნება, ჯერ არ ვაპირებ
სიკვდილს. მინდა, გადავიხედო ოცდა-
მეერთე საუკუნეში. ისიც მიგვირს, წე-
ლან რა დამემართა. აბა, ყოჩაღად იყა-
ვით. — მერე დაიხარა, მარცხენა ხელით
ორდენები გულზე მიიბჯინა, შვილი-
შვილს თავზე ხელი გადაუსვა და უთხ-
რა:

— ომში კაცს არ კლავენ, ბაბუ, კარ-
გად დაიმახსოვრე. ღმერთმა ომს ნუ
მოგასწროს, თორემ თვითონაც დარწ-
მუნდები, ომში რომ კაცს არ კლავენ.

თორნიკემ ხელი თითებზე მიუთათუ-
ნა ექვსი წლის შვილიშვილს, მერე ვი-
თომც აქ არაფერიარო, წელში მხნედ გა-
იმართა.

— აბა, კარგად იყავით.

* * *

ქუჩა უჩვეულოდ ცარიელი მოეჩვენა
თორნიკე გელაშვილს.

„ნეტავ რომელი საათია? — ჯიბიდან
მსხვილი, ძეწვეიანი საათი ამოიღო, ძე-
წვეის მეორე ბოლოთი გალიფეს სათა-
ვეზე რომ ჰქონდა მიმაგრებული. — ბი-
ჭოს, ცხრის ნახევარი ყოფილა, მაგრამ
ჯერ არ ჩამოხნელებულა. ხალხი ასე
კანტიკუნტად რატომ დააბიჯებს?“

თორნიკე წელში გამართული მიდიო-
და. სამოცდაცხრა წლისა იყო, მაგრამ
ტანი სამოცი წლის კაცს მიუგავ-
და. თმა ოღნავ შესთხელებოდა, ქალარა
კი ძალზე მორეოდა. მხედრულად მიამ-
ჯებდა, თუმცა ფეხები ოღნავ მოხრილი
ჰქონდა, ეს უკვე ასაკის ბრალი იყო.

უცებ ყურში ისევ ჩაესმა პატარა
თორნიკეს ხმა: „ბაბუ, რამდენი კაცი

გყავს მოკლული?“ შეკრთა, ირგვლივ
მიმოიხედა, ბავშვის ხმა ზომ არავინ გა-
იგო.

ოცდახუთი წუთის შემდეგ სახლთან
იყო. უკვე საკმაოდ ჩამოხნელებდა. მეშ-
ვიდე სართულზე თავისი ბინის ფანჯ-
რებს შეაგლო თვალი.

შეკრთა.

ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა.
კარგად ახსოვს, დილით სინათლე
ყველა ოთახში ჩააქრო. წესად ჰქონდა,
სახლიდან გამოსვლის წინ სინათლე,
ონკანი და გაზი აუცილებლად შეემო-
წმებინა. ამდენი წლის მანძილზე ერთ-
ხელაც არ ყოფილა შემთხვევა, ოდესმე
რამე დავიწყებოდა, ახალგაზრდობი-
დანვე მკაცრმა ცხოვრებამ წესრიგს შე-
აჩვია თორნიკე გელაშვილი.

ისევ ახედა შენობას. საექვო აღარა-
ფერი იყო, ყველა ფანჯრიდან სინათლე
გამოდიოდა. სართულები მიანც ვადათ-
ვალა. ახალა შენიშნა, მისი ბინის გარ-
და შუქი არსად არ ენთო.

ადგილზე გაშეშდა.

„ნუთუ დამავიწყდა? ყველა ნათურა
მიანც როგორ დამრჩა ანთებული? ამ
დილით უკუღმა ხომ არ გავაკეთე ყვე-
ლაფერი?“

„არა, ბატონო, — გამოეკამათა ჩუ-
მად საკუთარ თავს, — კარგად მახსოვს,
სასადილოსა და საძინებელში რიყრა-
ეისთანავე გამოვრთე სინათლებები. ჰო-
ლში კი ბინიდან გამოსვლისას.“

ჰოლი ქუჩიდან არ ჩანდა. არც სამზა-
რეულოს ფანჯარა იყო ქუჩის მხარეს.
ქუჩაში მარტო საძინებელი და სასადი-
ლო ოთახების ფანჯრები გამოდიოდა.
ოროთახიანი ბინა ჰქონდა. თავს ძალზე
ხალვათად გრძნობდა მარტოხელა კაცი.
შვილებთან ცხოვრება არ ისურვა. რე-
ჟიმს შეჩვეული თორნიკე ვერ იტანდა
შვილებისა და შვილიშვილების სიზარ-
მაცესა და სიზანტეს. თუმცა ეს იქნებ
ეჩვენებოდა კიდევ. სავალდებულო ხომ
არ იყო, ყველას მასავით მხედრულად
ეცხოვრა და ყველაფერი წუთებით
ჰქონოდა გათვლილი.

თოთხმეტსართულიანი სახლი, რომე-

ლშიც თორნიკე გელაშვილი ცხოვრობდა, ქუჩის ბოლოში იდგა. თუმცა ქუჩა იქ არ მთავრდებოდა, მას ორასიოდენ მეტრზე კიდევ აგრძელებდა ორსართულიანი კერძო სახლები, რომლებიც, თავის მხრივ, გორაკის ძირამდე აღწევდნენ. იქიდან კუს ტბაზე ახალგაზრდა კაცს ოციოდენ წუთში შეეძლო ასვლა.

თორნიკე ადგილიდან არ იძვროდა, ისევე ფანჯრებს შესჩერებოდა. ირგვლივ მიმოიხედა. კაციშვილი არ ჰქაჩანებდა.

„ამ ხალხს მაინც რა დაემართა?“ — საათს დახედა. ათი დაწყებულიყო. ვერც კი განსაზღვრა, რამდენ ხანს იდგა ასე ერთ ადგილზე გაშეშებული. ბოლოს დაიანგარიშა. ქუჩაში გამოსვლისას საათს რომ დახედა, ცხრის ნახევარი იყო. აქ მოსვლას, ჩვეულებისამებრ, ოცდახუთი წუთი მოანდომა. ახლა ათის ათი წუთია. ესე იგი, ათი წუთი მდგარა ასე, ერთ ადგილზე გაშეშებული.

ჩიბიდან ჩიბუხი ამოიღო.

„ეტყობა, ასაკმა მაინც თავისი გაიტანა. ალბათ ამიტომ დამარჩა სინათლე“.

„ეი, მაგრამ ორთავე ოთახში როგორ დამარჩა: რომ აედექი, დილის ხუთი საათი იყო. მაშინვე ავანთე ყველა ნათურა. ოცი წუთის შემდეგ, როცა კარგად ინათა, ყველა გამოვრთე. დაეტოვე მხოლოდ ჰოლში. სახლიდან თორმეტ საათზე გამოვედი. იქნებ დილით სინათლე თავისით გამოითიშა და ვერ შევამჩნიე, ნათურები კი ამიტომაც მეგონა გამორთული? მაგრამ ჰოლი? კარგად მახსოვს, სანამ კარს გამოვალბედი, მანქვილი გადავატრიალე და ჰოლში სინათლე გამოვრთე!“

ჩიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ორი სიგარეტი ჩიბუხში ჩატეხა.

„იქნებ გუშინდელი მახსოვს, ხოლო დღეს, სინათლე რომ არ იყო, არც ჰოლში გამოვირთავს?“

„ეი, ნამდვილად ასე იქნებოდა!“ — დაიშვიდა თავი. ჩიბუხში სიგარეტი მარცხენა ხელის ცერით კარგად ჩატეხა, მერე ასანთი ამოიღო და მოუკიდა. რამ-

დენჯერმე მოჭაჩა, ბოლი ბარაკიანად გამოუშვა და ასანთიც ჩააქროს. ირგვლივ მიმოიხედა, უჩანა ვერ დაინახა. ასანთის ღერი ისევე კოლოფში ჩადო და მარჯვენა ხელით ჭიბუხში შეინახა.

ჩიბუხი კიდევ ერთხელ მოჭაჩა ღრმად და თვალი ნელა ვააპარა მეშვიდე სართულისაკენ.

ფანჯრებიდან ელექტროშუქი ისევე გამოდიოდა.

თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია, ქუჩა გადაჭრა და უკვე სიბნელეში საკმაოდ ჩაფლული შენობისკენ დაიძრა.

უცბე ადგილზე გაშეშდა და ცივმა ოფლმა დაასხა.

საძინებელი ოთახის ფანჯარაში სინათლე ჩაქრა.

თორნიკეს გული გაუჩერდა, ჩიბუხიანი ხელი ჰაერში დარჩა გაშეშებული.

„ნამდვილად მელანდება!“

შეშინებულმა ირგვლივ მიმოიხედა.

თავის ცხოვრებაში პირველად იგრძნო ასეთი შიში, რალაც საშინელი, დუმილით შესუდრული სველი შიში. თითქოს მთელი სხეული ცივი წვეთებით დაენამა.

ირგვლივ მიმოიხედა.

არავინ ჩანდა.

არც გამვლელები, არც მანქანები.

ქალაქში საშინელი სიჩუმე ჩამოწოლილიყო.

ისევე მალა აიხედა.

კინალამ შეჰყვირა. ახლა კი ეგონა, ნამდვილად გული შეულონდებოდა. სინათლე მეორე ოთახშიც ჩაქრა.

„სიზმარში ხომ არა ვარ?“

„ან იქნებ ვგვიყვები?“

„ხალხი მაინც რატომ არ დადის ქუჩებში, ან ავტომობილებს რალა დაემართათ?“

საათს დახედა. ათის ნახევარი იყო. ამ დროს, გაზაფხულის ასეთ მშვენიერ საღამოს, ქუჩები ყოველთვის სავსე იყო ხალხით და ტრანსპორტით.

„იქნებ ქუჩის გადაღმიდან, წელან რომ ვიდექი, საიდანღაც არეკლილი სინათლის შუქზე ბრწყინავდა ფანჯრები?“ — თითქოს რალაც შეება იგრძნო, შებ-

არუნდა და ქუჩა სწრაფად გადაჭრა. მივიდა თუ არა იმ ადგილზე, წელან რომ ჩიბუხი გააწყო, უცებ შემობრუნდა და თავისი ბნის ფანჯარებს შეავლო თვალი.

ფანჯარები ჩაბნელებული იყო.

„ღმერთო, რა მემართება?“

ჩიბუხი ნერვიულად გამობერტყა და ჯიბეში ჩაიღო. ურნის მონახვა აღარ გახსენებია.

„წელან იქნებ მომელანდა?“

„ან იქნებ იქ ჩაქრა შუქი, საიდანაც არეკლილი სხივები ჩემს ფანჯარას ანათებდა?“

„მოვტყედი, თვალმაც მომატყუა, ნამდვილად მომჩვენა.“

ქუჩა ისევ გადაჭრა და სადარბაზო შესასვლელს მიუახლოვდა. გული მინც შეეკუმშა. სადარბაზოში შუქი ყველგან ჩამქრალი იყო.

„რა ჯანდაბა მემართება?! — გაუწყრა თავის თავს და სადარბაზოში შეაბიჯა.“

უნებურად შეჩერდა.

ზემოდან ვილაყები ჩამოდიოდნენ.

მაღე მართლაც დაინახა კიბის სახელურზე დაყრდნობილი სამი უცნაურად გრძელი და გამზდარი ხელის მტევანი, დაბლა რომ მოსრიალებდა.

ფეხის ხმაც უკეთ გაარჩია. ისე მოდიოდნენ, თითქოს მოიპარებოდნენ, თითქოს არ უნდოდათ ირგვლივ გამეფებული მყუდროების დარღვევა.

ხელის მტევნები რალაც მოწითალო შუქს გამოსცემდნენ.

„ნამდვილად ვგოყდები?“ — დაასვენა თორნიკემ.

აი, ერთი ხელის მტევანი, კიბის სახელურის მოსახვევშიც გამოჩნდა და ადამიანის ფიგურის კონტურები გამოიკვეთა.

უცნობმა თორნიკე შეამჩნია თუ არა, შედგა. ის ორი მანათობელი ხელის მტევანიც, დაბლა რომ მოცურავდა, ადგილზე გაქვავდა.

„სამნი არიან!“ — დაასვენა თორნიკემ, როცა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ხელის მტევნებს.

უცებ სამივენი შებრუნდნენ და მალე გაიქცნენ. გაიქცნენ უხმოდ თითქოს ფეხსაცმელები ნაბლით ჰქონრდათ ამოხვეული.

„ღმერთო, რა მემართება! ვგოყდები თუ სიზმარში ვარ?“

თორნიკე ზედებოდა, რომ სიზმარში არ იყო. ცდილობდა ალედგინა უცნობის გამოსახულება, სიბნელეში რომ რალაც მანათობელი წვრილი ხაზით იკვეთებოდა, სახე არ ჩანდა და ვერ გაარჩია, ის ერთი, ოდნავ რომ გამოჩნდა, ახალგაზრდა იყო თუ ხანშესული. მართო მათ მსუბუქ სირბილზე შეიძლება დაესვენა კაცი, რომ ძალზე ახალგაზრდები იყვნენ.

„ხანშესული კაცი კიბეს ასე ცქვიტად ვერ აირბენდა“, — დაასვენა თორნიკემ.

ფეხის ხმამ ისევ იმატა. უცებ მიხვდა, ყველანი დაბლა მორბოდნენ. აღარ იცოდა რა ექნა. აქვე, ლიფტთან მდგარიყო თუ ქუჩაში გასულიყო. სანამ რამეს გადაწყვეტდა, უცნობებმა ელვის სისწრაფით ჩაუქროლეს და გარეთ გაცივდნენ.

გაოგნებული თორნიკე გაშეშებული იდგა კიბის თავში, ლიფტის წინ. როცა გონს მოეგო, მიხვდა, იქაურობა საშინლად ყარდა. იმასაც მიხვდა, მყარალი სუნი იმ ახალგაზრდებმა დატოვეს, კიბე რომ კისრისტეხით ჩამოირბინეს.

ლიფტის გამოსაძახებელ ლილაქზე თითის დაქერა გადაიფიქრა და გარეთ გამოვიდა. უცნობები აღარსად ჩანდნენ.

„მინც როგორ გაირბინეს ქუჩა ისე, რომ ფეხის ხმა არ გამოგონია?“

„ეტყობა, შეშინებულმა ვერ გავიგონე.“

ქუჩა კვლავ ცარიელი იყო, არც ადამიანები ჩანდნენ, არც მანქანები. ის პატარა ავტობუსი, ყოველ ნახევარ საათში რომ დადის ხოლმე ქუჩის ბოლომდე, ეტყობა, არ მუშაობდა.

ველარ გადაწყვიტა, რა ექნა, თავის თავს არ უტყდებოდა, მაგრამ ზედებოდა, რომ შინ ასვლისა ეშინოდა. აშკარა

იყო, ფანჯრებიდან გამომდინარე შუქსა და შემდეგ ელექტრონათურების ჩაქრობას რალაც კავშირი ჰქონდა ამ ახალგაზრდებთან, ასეთი საშინელი, გახრწნილი გვამის სუნით რომ დატოვეს სადაზრათო შესასვლელში.

ინსტიტუტურად ქუჩა გადაჭრა და ისევ იმ ადგილზე მივიდა, წელან რომ ჩიბუხი გააწყო. მერე ფანჯრებს შეაგლო თვალი — მინები კვლავ შავად ლაპლაპებდა.

საათს დახედა. თერთმეტი დაწყებულ იყო. ცაზე ვარსკვლავები არ ჩანდა. უზარმაზარი რუხი შენობა ზემოდან პირქუშად დასცქეროდა.

თორნიკემ აღარ იცოდა, რა ექნა.

„მოდი, ბაღში ჩავალ, ჭერ არ იქნებიან დაშლილნი“.

თორნიკე გელაშვილი პენსიონერებს გულისხმობდა, მახლობელ ბაღში თუ სკვერში რომ იყრიდნენ ხოლმე თავს საღამოობით.

ჭერ დაბლა დაეშვა და მერე ამოსასვლელი გზის გადამკვეთ ქუჩაზე მარცხნივ შეუხვია.

აქედან სკვერამდე სულ შვიდიოდე წუთის სავალი იყო. კარგა ხნის დაუქმებული პატარა შადრევნის მახლობლად ერთი დიდი ცაცხვის ხე იდგა. ცაცხვის ძირში ერთმანეთის პირისპირი ორი გრძელი მერხი მოჩანდა.

მთელ ბაღში ყველაზე მყუდრო კუთხედ სწორედ ეს ადგილი ითვლებოდა. თორნიკემ შორიდანვე შენიშნა, ბაღში არავინ იყო. ხეებში შემალული მსხვილი, თეთრი, სფეროსებური ნათურები ოდნავ ბუტბავდნენ.

„კიდევ კარგი, ქუჩებში და ამ ბაღში მაინც ანთია აქა-იქ სინათლე“.

უცებ ერთ კაცს მოჰკრა თვალი. იგი სწორედ დიდი ცაცხვის ქვეშ მოთავსებულ მერხზე იჯდა.

თორნიკემ გულით ისურვა, ის კაცი ნაცნობი აღმოჩენილიყო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბაღში საღამოობით უცნობი ადამიანები თითქმის არც კი შემოდიოდნენ. ბევრნი შეიძლება ერთმანეთს ახლოს არც იცნობდნენ — ისინი

ცალკე ჯგუფებად იკრიბებოდნენ — მაგრამ საერთო საღამოს ერთმანეთისათვის არ იშურებდნენ ხოლმე.

ცაცხვის ძირში მჯდომი კაცი სრულიად უცნობი აღმოჩნდა. თორნიკეს იგი ბაღში არასდროს ენახა. მისი სახე კი მინც ეცნაურა.

— გამარჯობათ! — თქვა რატომღაც ჩემად.

უცნობმა ჭერ თითქოს ვერც გაიგონა თორნიკეს ხმა, ისევ ერთი ადგილისთვის გაეშტერებინა თვალი. მერე თავი ნელა მოაბრუნა, თორნიკეს ახედა, სახეზე კარგად დააკვირდა, მერე თვალი ფეხებამდე ჩააყოლა, თავი ისევ შეაბრუნა და იმავე ადგილს ჩააშტერდა, რასაც თავიდანვე ჩასცქეროდა დაუინებიო.

— გაგიმარჯოთ, — რალაცნაირი გაგულისებით თქვა ბოლოს.

თორნიკე მიხვდა, უცნობს მასთან საუბარი არ სურდა. დაბნეული იდგა, არ იცოდა, რა ექნა.

„ბაღში პირველად არის, მაგრამ სად მინახავს ეს კაცი? საიდან მახსოვს მისი გრძელი თმა და გრძელი ხელები?“

— აქ არ ყოფილან ჩვენი მეგობრები? — ამოღერდა ბოლოს ერთ ადგილზე გაშეშებულმა.

— ვინ თქვენი მეგობრები? — თითქოს ერთბაშად გამოცოცხლდა უცნობი.

— აი, ისინი, ყოველ საღამოს რომ ვიკრიბებით ხოლმე, პენსიონერები.

— მე ამ სკვერში თუ ბაღში პირველად ვარ. წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არიან თქვენი მეგობარი პენსიონერები. ნახევარი საათია, ვზივარ. ზემოთ მივიდიოდი, დავიღალე და აქ ჩავიმუხლე, კაციშვილი არ დამინახავს.

უცნობი სამოც წელზე მეტისა იქნებოდა. იქდა, მაგრამ გრძელ ფეხებზე და ხელებზე ეტყობოდა, მაღალი უნდა ყოფილიყო, გრძელი, ჭალარა თმა მხრებამდე სცემდა. სქელმინებიანი შავი რქის სათვალე ეკეთა, სათვალის მინებს უკან დასიებული უბეები მოუჩანდა.

„ღმერთო, სად მინახავს ეს კაცი?“

თორნიკემ თავს ძალა დაატანა, შეე-

ცადა აღედგინა საიდან ახსოვდა ამ კაცის გრძელი, მზრებამდე დაფენილი ჭალარა თმა, სქელმიწინიანი სათვალე და დასიებული უბეები.

ვერ გაიხსენა.

უკან ისე გამობრუნდა, უცნობს აღარ დამშვიდობებია. სათვალისანი ისევ იმ ადგილს ჩასჩერებოდა, ალბათ, თავიდანვე რომ ამოეჩემებინა და ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს თორნიკეს არსებობა სულ გადავიწყდაო.

ბალის შესასვლელთან დიდი საათის ისრები უკვე თერთმეტს აჩვენებდა.

„ღღეს რა უჩვეულოდ სწრაფად გარბის დრო?!“ — გაიფიქრა თორნიკემ. მან ჯერ ქუჩის დიდ, მრგვალ საათს ახედა, მერე თავის ჯიბის საათი ამოიღო და დრო შეამოწმა. სამ წუთში იყო განსხვავება. ბალის საათი სამი წუთით წინ მიდიოდა. თორნიკეს ჯიბის საათი ზუსტად მუშაობდა. ხუფი ტკაცუნით დაკეტა და საათი ისევ ჯიბეში ჩაიღო.

„ღმერთო, სად მიწაბავს ეს კაცი?“ — გაიტანჯა ფიქრით თორნიკე. მაინც ვერ გაიხსენა, საიდან ახსოვდა მზრებამდე ჩამოყრილი ჭალარა თმა, სქელმიწინიანი რქის სათვალე და დასიებული უბეები.

თორნიკე ბალის ჭიშკარში გასვლას არ ჩქარობდა, ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ისევ შემობრუნდა, ტრაპეციად შეკრეჭილ ბუჩქთან მივიდა და კარგად ამოედარა, უცნობმა არ შემამჩნიოსო. მერე თავი ნელ-ნელა გვერდზე გასწია და ცაცხვის ძირში მჯდომი უცნობი დაკვირვებით შეათვალერა.

უცნობი ძველებურად იჯდა. გრძელი ფეხები ერთმანეთზე გადაედო და თვალი ისევ იმ ადგილისათვის ჩაეშტერებინა, წელან რომ ჩასცქეროდა დაჟინებით.

„ალბათ, ვილაცას ვამსგავსებ, — გადაწყვიტა ბოლოს თორნიკემ და ქუჩაში გამოვიდა, — ჩემი მეგობარი პენსიონერები მაინც სადღა არიან?“

აღმართს ლასლასით აუყვა.

სადღა იყო თორნიკეს გაშლილი, მხედრული ნაბიჯი, ასაკმაც რომ ვერაფე-

რი დაატყო.

ვერც ის ძაბუნი კილო დაეგვიწყებინა, რომლითაც წელან უცნობს მიმართა. განა სხვა დროს ასეთი გაზზარული ხმით მიუშართავს ვინმესთვის?

შენობას რომ მიუახლოვდა, თავისი ბინის ფანჯრებს ახედა. შუქი კვლავ ჩამქრალი იყო.

„იქნებ წელან მომეჩვენა?“

„ნამდვილად, მომეჩვენა!“

ოდნავი შვევა იგრძნო.

„კარგი, ბატონო, ვთქვათ, მომეჩვენა, ამ ხალხს რალა დაეშართა, ან მანქანები რატომ აღარ დადიან ქუჩებში? რატომაა ჩამოწოლილი ასეთი საშინელი დუმილი? რატომაა ჩაბნელებული მთელი ჩვენი შენობა?“

წელანდელი შვევა შარშანდელი თოვლივით გაქრა.

ჩიბუხი გაახსენდა. ჯიბიდან ამოიღო და დინჯად გააწყო. თვალი თავისი ფანჯრებისკენ გაურბოდა, ერთი სული ჰქონდა, მალა აეხედა, ვაი თუ ვილაცამ შუქი ისევ აანთოსო.

ვინ იყო ეს „ვილაცა?“

კონკრეტულად ხომ არავის გულისხმობდა?

ძნელი სათქმელი იყო.

თორნიკემ ჩაიფიქრა, სანამ ჩიბუხს არ გავაჩაღებ, მალა არ ავიხედავო.

შესძლო თითქმის შეუძლებელი, დაიოკა უსახლგრო ცნობისმოყვარეობა და მალა მხოლოდ მაშინ აიხედა, როცა მეორე ნაფაზი დაარტყა. თან შენობას თვალი სხვათაშორის ააყოლა, ვითომცდა არაფერიო.

ისე იქცეოდა, თითქოს ვილაცას წინაშე პოზიირობდა.

ჩიბუხი კიდევ მოჭაჩა. ესიამოვნა, ფილტვებმა თითქოს იგრძნო მაცოცხლებელი სიო. ახლა, ამ წუთში, ამ სიბნელეში, ამ საიდუმლოებით მოცულ გარემოში, კაციშვილი რომ არსად ჩანდა, მიხვდა, ჩიბუხილა იყო მისი მეგობარი, მეგობარიც და გულის შესაიდუმლევ. ჩიბუხს, რაკი შიგ ცეცხლი ღვიოდა, ცოცხალი ორგანიზმივით აღიქვამდა.

„ბოლოს და ბოლოს, სახლში ხომ უნდა ავიდეთ?“

ქუჩა ნელა გადაჭრა და სადარბაზო შესასვლელს მიაშურა.

უმაღლესი ის სამი ახალგაზრდა გაახსენდა, წელან სადარბაზო შესასვლელში რომ შეეფეთნენ და საშინელი სუნი რომ ასლიოდათ.

„მინც ვინ იყვნენ, ან ჩემი რატომ შეეშინდათ? რატომ გაიქცენ ასე კისრისტეხით?“

„შეიძლება ქურდები იყვნენ“.

„იქნებ ჩემი ბინა გატეხეს და იმიტომ გამორბოდნენ? იქნებ წელან მათ ანთეს შუქი ჩემს ოთახებში?“

„ნამდვილად ასეა. ჩემი ბინა გატეხეს. ბუნებრივია, მიცნობდნენ, ისინი ხომ წინასწარ ემზადებიან ბინის გასატეხად. ბინის პატრონის ასაველ-დასავალსაც აზუსტებენ, სახეზეც აკვირდებიან. მაგრამ მე რომ ვერ ვიცანი? თუმცა, მე საიდან უნდა მეცნო!“

„რასაკვირველია, ქურდები იყვნენ, ალბათ, დიდი ხანია სწავლობდნენ ჩემი ცხოვრების წესს. დღეს მშვენივრად ეცოდინებოდათ, შეილთან რომ ვიქნებოდი და უშიშრად იმიტომაც ანთეს შუქი. მერე ისევ ჩააქრეს და დაბლა ჩამობრასნდნენ. მაგრამ ნაქურდალი? ნაქურდალი რატომ არ ეჭირათ ხელში? თუმცა ახლა ნივთები ვიღას მიაქვს. ვის რაში გამოადგება ჩემი უბრალო ნივთები და ტანსაცმელი? ალბათ, მხოლოდ ფულს ეძებდნენ. გავიცრუვდათ იმედები? ვერაფერი იბოვეთ, ვაჟბატონები? დიდი ვერაფერი ქურდები ყოფილხართ, ჩემს ბინაში თუ ფული გეგულეობოდათ“.

შვება იგრძნო. ქურდები ყველაზე კარგი ვარიანტი იყო იმ სხვა ვარაუდებთან შედარებით, რაც შეიძლება კაცს ეგულისხმა სინათლეების ანთებისა და ჩაქრობის გამო.

„რომელ სხვა ვარაუდებთან?“

„რატომ ყარდნენ ის ჭაბუკები გახრწნილი ვეამებივით?“

თორნიკეს გული ისევ შეეკუმშა.

ლიფტი არ მუშაობდა, გამორთული იყო.

სიბნელეში კიბეს ნელა შეუყვია. თან ის ხელის სამი მტევანი გაახსენდა, ერთი საათის უკან კიბის სახელურზე რომ მოსრიალებდნენ და სიბნელეში რალაც უცნაურად რომ ანათებდნენ.

ძლივს აათავა კიბე, ძლივს ავიდა მეშვიდე სართულზე. ბაჭანზე შედგა, გული გამალეებით უცემდა. შვიდი სართულის ავლა ძალზე დიდი ღატვირთვა იყო სამოცდაათ წელს მიღწეული კაცისთვის. სიბნელეში თავისი ბინის კარს რალაცნაირი შიშით შეავლო თვალი. გატეხილის არაფერი ეტყობოდა. ჯიბიდან გასაღების ამოღებას არ ჩქარობდა, თითქოს არ უნდოდა შინ შესულიყო. ბოლოს გასაღები მინც ამოიღო, ფანჯრიდან შემომავალ ძალზე მკრთალ შუქზე გასაღები საყეტს მოარგო და ფრთხილად გადაატრიალა. კარი ნელა გააღო, პოლში ფრთხილად შეაბიჯა და მარცხენა ხელით სინათლის ჩასართველი მოახა.

თორნიკემ კარი ჩაქეტა და სასადილო ოთახში შევიდა. ახლა იქ ჩართო სინათლე. ოთახი მოათვალიერა. ყველაფერი ძველებურად იყო. არაფერს არ შეხებოდა ადამიანის ხელი. უცებ საზიზღარი სუნი იგრძნო, ზუსტად ისეთი, წელან რომ ასლიოდათ იმ ყმაწვილებს, სადარბაზოში რომ გვერდით ჩაურბინეს კისრისტეხით.

სასწრაფოდ ფანჯარას ეცა და გამოაღო.

მისი გონება ისე გამალეებით მუშაობდა, თითქოს ტურბინი ბრუნავსო, მაგრამ დასკვნა ვერ გამოჰქონდა, ფიჭრს ერთმანეთზე ვერ აბამდა. როტაციონის ბორბალივით მხოლოდ რამდენიმე ფრაზა ბრუნავდა ჩამოყალიბებული სახით თორნიკეს თავში.

„რატომ ყარდნენ ის ახალგაზრდები?“

„რატომ ანათებდა მათი ხელები?“

„რატომ დგას ჩემს ბინაშიც ის ამზრუნენი სუნი, გახრწნილი ვეამის სუნს

რომ მოგვაგონებს, ზუსტად ისეთს, იმ ახალგაზრდებს რომ ასდიოდათ?"

„სად გაქრა ხალხი, რატომ დაცარიელდა ქუჩები?“

საძინებელ ოთახს რატომღაც ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა.

„რისი მეშინია?“ უწყრებოდა საკუთარ თავს თორნიკე გელაშვილი.

სუნი კიდევ უფრო გაძლიერდა.

კარი შეაღო, ღია კარის სიფართოზე სინათლე კედელს დაეჭახა და იატაკზე ფიანდაზივით გაეფინა.

თორნიკემ სინათლის ჩამრთველი მონახა, პლასტმასის პატარა კლავიშს ხელი დააჭირა, სინათლე ანთო და...

• • •

უკვე ქუჩაში იგონებდა, რაც მოხდა.

ვერ მიმხვდარიყო, ასე სწრაფად როგორ გამოთიშა სინათლე, როგორ გამოკეტა კარი, როგორ ჩამორბინა შვილი სართული. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სუნთქვა უჭირდა, უპაერობა ახრჩობდა. ქუჩის გადაღმა გადასულმა მაღლა აიხედა. დიდ ოთახში სინათლე ენთო. გაახსენდა, რომ სინათლე მხოლოდ საძინებელში გამორთო. გამორთო იმიტომ, რომ ოთახში რაღაც დაინახა...

უმალვე ქვეშეცნულად მიხვდა, რომ დაინახა ის, რასაც დიდი ხანია ელოდა. რას ელოდა თორნიკე გელაშვილი? არაფერს.

ბოლო ათი წლის მანძილზე, რაც ხანი გადიოდა, სევდა თანდათან უფრო ემატებოდა.

პირველად ფიქრობდა, ალბათ, სევდა და გუნების უნებური მოწამვლა ასაკის ბრალიაო.

მერე მიხვდა, ასაკი არაფერ შუაში იყო. მას რაღაც შინაგანი სევდა ღრღნიდა. ვერ კი მიმხვდარიყო, რა იყო ამ სევდის მიზეზი, რა უღრღნიდა გულს ჭიასავით.

ხშირად ხდებოდა, მუხლებზე შვილი-შვილი ეჭდა ხოლმე, პატარა თორნიკე და ბაბუას სულმოუთქმელად ეტიკტიკებოდა. თორნიკეს განსაკუთრებით უყვარდა პატარა თორნიკე. მარტო იმი-

ტომ კი არა, თავისი მოსახელე რომ იყო, პატარა შვილიშვილი ბაბუას ძალიან ჩამოკავებდა და ყველაზე უფრო ეს ეამაყებოდა. საოცარი ბედნიერება ეუფლებოდა, თავისი სიცოცხლის, თავისი არსების გაგრძელებას პატარა თორნიკეში რომ ხედავდა. ბავშვს კოცნიდა, ენას უჩლექდა, თვითონაც ბავშვივით თამაშობდა. უცებ თვალებში სხივი ჩაუჭრებოდა, ბავშვს დაბლა ჩამოსვამდა, წამოდგებოდა, ფანჯარასთან მივიდოდა და სივრცეში უაზროდ იცქირებოდა.

— რა იყო, ბაბუ?

შვილიშვილის ხმა თითქოს შორიდან ჩაესმოდა. გარინდული კვლავ რაღაცას მიშტერებოდა და ყველაფრის ხალისი ეკარგებოდა.

ქუჩაში მიღეთის ხალხი ირეოდა, ტრანსპორტის ტევა აღარ იყო...

თორნიკე გელაშვილი ვერაფერს ხედავდა, არც მანქანების მოტორების ღმუილი ესმოდა, არც მუხრუჭების ხრჭიალზე აერიალებდა უსიამოდ ტანში, როგორც სხვა დროს ემართებოდა ხოლმე.

— მამა!

იქნებ მოეჩვენა ვაეიშვილის ხმა?

— მამა!

არა, არ მოსჩვენებია.

— რა იყო, შვილო?

— ხომ არაფერი გაწუხებს?

— არა, შვილო, კარგადა ვარ. ოღონდ ცოტა სული მეხუთება, გავალ, ბაღში სადმე ჩამოვჯდები.

ვინ მოთვლის, ბოლო ათი წლის მანძილზე რამდენჯერ გამეორებულა მსგავსი სცენები.

რესტორან „თბილისის“ კაფეში უყვარდა ხოლმე ჯდომა თავის ორ მეგობართან ერთად. ერთი პედაგოგი იყო, პეტრე ციციშვილი, დამსახურებულ პედაგოგი, ისტორიკოსი. მეორე დავით ხელაძე გახლდათ, ინჟინერი. ორთავენი სიყრმის მეგობრები იყვნენ, ორთავენი პენსიონერები.

შეეძლოთ მთელი ხუთი საათი მსხდარიყვნენ სუფრასთან ორ ბოთლ ღვინო-

ზე. ოფიციალტები კარგა ხანია იცნობდნენ მეგობრებს, კვირაში ორჯერ მაინც რომ შემოდოდნენ სასადილოდ. იხსენებდნენ მთისას, ბარისას. მეგობრებმა დიდი ხნის წინ შეამჩნიეს, თორნიკე გელაშვილი უცებ რომ მოიწყენდა ხოლმე. აგერ, ახლა რომ თვითონაც გულიანად იცინოდა და სხვებსაც აციხებდა, ისე მოულოდნელად ჩაჭრებოდა, თითქოს სინათლე გამორთესო. რამდენჯერმე სცადეს ეკითხათ, რა გემართებაო. თორნიკე გელაშვილმა შორს დაიპირა შეკითხვები, თქვენ ამ ბოლო დროს რაღაცეები გეჩვენებათო. მეგობრები მიხვდნენ, თორნიკეს არ სიამოვნებდა, სხვები რომ ამჩნევდნენ მოულოდნელ, უცნაურ უგუნებობას. ამიტომ ისეთ სახეს იღებდნენ, ვითომც აქ არაფერიაო.

თორნიკე გელაშვილი ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა.

თუმცა ამაზე ფიქრს ერიდებოდა.

ძალზე იშვიათად თუ ჩაუკვირდებოდა, მაინც რა ამბავია ჩემს თავსო და გრძნობდა, რაღაცას ელოდა.

მაგრამ ისიც კი ვერ გაერჩია კარგად, მართლა ელოდა?

და მით უმეტეს, რას ელოდა!

უბრალოდ, გაუცნობიერებლად გრძნობდა, რომ რაღაცას ელოდა.

საძინებელ ოთახში სინათლე რომ ანთო, მიხვდა, რასაც ელოდა.

ქუჩა ქოშინით ჩაიარა და ისევ ბაღს მიამუტრა. მალე ნაცნობი ჭიშკარიც გამოჩნდა. ბაღში შევიდა. კვლავ არავინ ჩანდა.

„სად დაიკარგა ამდენი ხალხი?“

უზარმაზარი ცაცხვის ძირში მოთავსებულ მერხზე ისევ დაინახა გრძელთმიანი და სათვალისანი უცნობი. იგი ისევ ისე იჯდა, როგორც დასტოვა, იჯდა წელში ოდნავ მოხრილი, ფეხი ფეხზე გადადებული. იჯდა გაუნძრევლად და თვალი კვლავ ერთი წერტილისათვის დაესო. ახალა შეამჩნია, უცნობს ფრაკი ეცვა. ზუსტად ისეთი, ოპერის

მომღერლები და დირიჟორები რომ იცვამენ ხოლმე კონცერტზე.

— შენ კიდევ აქ მოხვედრი? — იკითხა უცნობმა ისე, რომ თორნიკესკენ არც მოუხედავს. ისეთი უსიამო ხმა: ჰქონდა, თორნიკეს ტანში გააეროლა, თანაც თითქოს მისი ხმა პირიდან კი არა, საღდაც მუცლიდან ამოდებოდა.

„როგორ მიხვდა, რომ მე ვარ, ჩემსკენ ხომ არც მოუხედავს?“

— რა მოხდა, ხელს ხომ არ გიშლით? — განაწყენდა თორნიკე.

— არა, ხელს არ მიშლით, მაგრამ ჯობია, შინ წახვიდეთ.

შავფრაკიანი შემობრუნდა და თორნიკეს შეხედა. მისი თვალების სიღრმეში თითქოს ელექტრონათურები ანთო. მოეჩვენა, რომ თვალის გულებიდან გამომდინარე ორი წვრილი სხივით უცნობი მის სულსა და ტვინის ხვეულებში იცქირებოდა. მერე, თითქოს ვილაციის უხილავმა ხელმა გამორთო, შავფრაკიანის თვალეში ელექტრომუქი ჩაქრა.

— ბედნიერ ძილს გისურვებთ, ბატონო ჩემო, თუკი, რასაკვირველია, დაგეძინებათ.

უცნობი სხარტად წამოდგა და წავიდა.

„ესე იგი, ამ კაცმაც იცის, რა ხდება ჩემს ბინაში?“

„მაინც ვინ არის, ან საიდან მახსოვს მისი გრძელი თმები და სქელმინებიანი სათვალე?“

უცნობი უკვე აღარ ჩანდა. იგი თითქოს ერთბაშად გაქრა, თითქოს სიბნელეს შეერწყა. თუმცა ბაღში სინათლეები მკრთალად ანათებდნენ, მაგრამ არც ისე ბნელოდა, რომ კაცი ასე უცებ გამქრალიყო.

თორნიკე მოულოდნელად მიხვდა, კი არ მიხვდა, თითქოს ვილაცამ ჩააგონა, ბედს უნდა დამორჩილებოდა.

მღელვარებამ თითქოს გაუარა, მოსახდენი მოხდა. იმასაც მიხვდა, ბედისწერას ვერსად წაუვიდოდა. ნელა შებრუნდა, ასევე ნელი ნაბიჯით დასტოვა ბაღი და გასაუვათებელი ქუჩას გაუყვა.

* * *

ლამის ათი საათი იყო, ბანაკიდან რომ გავიდნენ.

სულ ხუთნი იყვნენ. ჭკუფს თორნიკე გელაშვილი მეთაურობდა.

დავალემა მკაცრი იყო და ნათელი — რაღაც არ უნდა დასჯდომოდან, მოენე უნდა მოეყვანათ.

ლამის თორმეტ საათზე მიუახლოვდნენ ფრონტის ხაზს. სანამ ხაზს მიაღწევდნენ, ფრონტიდან, მაგრამ მაინც სწრაფად მიდიოდნენ. თორმეტი იწყებოდა, ტყე რომ დასრულდა. პირობითად ფრონტის ხაზი ორ ტყეს შუა მოქცეულ მინდორზე გადიოდა. მოპირდაპირე მხარეს ტყეში უკვე გერმანელები იყვნენ. ორ ტყეს შორის შეჭრილი გრძელი მინდორი მთვარის შუქზე მდინარეს ჰგავდა. განსაკუთრებით, შორიდან თუ შეხედავდით, გეგონებოდათ ოქროსფერ შუქზე, დიდი, მდორე მდინარის ზურგი ლაპლაპებსო.

მთვარე საჭმეს ართულებდა. მთავარი სიძნელე სწორედ მინდორის გადალახვა იყო. შეიძლებოდა მტერს სულ ადვილად შეემჩნია ხუთი მზვერავი, თუნდაც ძალზე ფრონტიდან ეფროთხათ მიწაზე.

განაპირა ხეებთან ერთ ხაზზე გამწყარიდნენ და მინდორი მოათვალიერეს. ორ ალაგას ჭურვისაგან ამობრუნებული შავი მიწაყრილი სამდინარო გემს ჰგავდა.

თორნიკემ ცას ახედა.

ცა მოწმენდილი იყო. სავესე მთვარე კარგად ანათებდა და ვარსკვლავები აჭაიქ თუ ჩანდა. სამ თუ ოთხ ალაგას დიდი ღრუბელი მდორედ მიიზღაზნებოდა. თორნიკე დააკვირდა. ერთი მათგანი ძალზე ნელა, მაგრამ მთვარისკენ მიიწევდა. ცაზე ღრუბლები ისე მოჩანდა, როგორც ცისფერი ოკეანეებით შემოსაზღვრული კონტინენტები მოჩანს ხოლმე მსოფლიოს გეოგრაფიულ რუკაზე. ღრუბლები მდორედ, მაგრამ მაინც მოძრაობდნენ.

თორნიკემ გამოთვალა, მთვარემდე ის დიდი ღრუბელი ნახევარ საათში მიაღ-

წევსო. ცაზე ღრუბელი გამოჩნდებოდა თუ არა, სულერთია, მინდორი — მაინც უნდა გადაეღახათ, მაგრამ რაკი მთვარის ღრუბელში შემალვის შანსი გაჩნდა, ბუნებრივია, ნახევარი საათის ლოდინი სავსებით გამართლებული იყო.

ბიჭები საგანგებოდ ისეთები შეაჩია, თამბაქოს რომ არ ეწეოდნენ. ვინ იცის, რამდენი მზვერავი დალუპულა ლამით უადგილო ადგილზე თამბაქოს მოწვევის გამო.

მინდორი დანალმული არ იყო, ეს კარგად იცოდა თორნიკემაც და პოლკის უფროსმაც. ფრონტი სულ ორი დღის წინ მოუახლოვდა ამ ადგილებს. დღისით და ლამით დაკვირვება არ წყდებოდა. თავის მხრივ, ალბათ, გერმანელებიც საგულდაგულოდ სწავლობდნენ რელიეფსა და მოწინააღმდეგის განლაგებას.

მესანგრე მაინც წამოიყვანა, კონსტანტინე ბონდარენკო.

— ეს ოხერი ღრუბელი როდის მივა მთვარესთან? — ჩაილაპარაკა ზურაბმა, ხუთ კაცს შორის ყველაზე უმცროსმა, თვრამეტი წლის ცისფერთვალემა და ქერა ჰაბუქმა.

— ჩუმად! — შეუწყრა თორნიკე, — დაზვერვაზე თუ რამე აუცილებელი სათქმელი არა გაქვს, კრინტი არ უნდა დასძრა.

თორნიკე გელაშვილი ჩურჩულით ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ნათქვამი გუმანით ყველამ კარგად გაიგო. ბონდარენკომაც კი, ქართული რომ არ იცოდა. დანარჩენი ორი ქარისკაციც ქართველი იყო. ერთი ოცდაშვიდი წლისა იქნებოდა, გიორგი კობაძე, მეორე, ირაკლი ბერიშვილი, ალბათ, ერთი წლით უმცროსი.

თორნიკე გელაშვილს მაშინ ოცდაორვა წელი ჰქონდა დამრგვალებული და ასაკითაც ყველაზე უფროსი იყო თანამებრძოლებში. გამოცდილებით მხოლოდ ბონდარენკო თუ შეედრებოდა, ოცდაექვსი წლის მესანგრე. თორნიკე გელაშვილი ყველას გაცილებით მეტოხნისა ეგონა, ვიდრე სინამდვილეში

გახლდათ. იქნებ მეთაურის დიდი პასუხისმგებლობა ამკაცრებდა მის სახეს და უფრო ხნიერიც იმიტომ ჩანდა? იქნებ ისიც ქმნიდა ფსიქოლოგიურ ეფექტს, თვითონ რომ ჭარისკაცები იყვნენ, ბოლო თორნიკე გელაშვილი უფროსი ლეიტენანტი? ან იქნებ იმიტომაც, რომ ყველანი მას ემორჩილებოდნენ და უფროსის გამოცდილებისა ეკვმეუტანლად სჯეროდათ?

თორნიკე გელაშვილი ორი წლის მანძილზე ორჯერ დაიჭრა, სამი ორდენისა და ორი მედლის მიღებაც მოასწრო. გამოჯანსაღებისთანავე ორჯერვე პოლკში დაბრუნდა. ეს კარგად იცოდნენ ჭარისკაცებმა და აკი ამიტომაც სწამდათ მისი.

ზურაბი იყო მათ შორის ყველაზე ახალგაზრდაც და ყველაზე გამოუცდელიც. მეორე თვე სრულდებოდა, რაც მოქმედ ნაწილში მოხვდა.

თორნიკე გელაშვილმა თვალი ზურაბისკენ გააპარა. მიხვდა, ჭაბუკი ვერ ისვენებდა. იმ ღრუბლისკენ ხშირ-ხშირად იცქირებოდა, მთვარეს რომ ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

„რატომ წამოვიყვანე!“ — ინანა თორნიკემ.

მერე დანარჩენები შეათვალიერა. გიორგი კობაძესა და ბონდარენკოს თავი მკლავებში ჩაერგოთ.

ირაკლი გულაღმა გადაწოლილიყო და კბილებში გაჩრილ ბალახს აწვალუბდა.

ირაკლი ბერიშვილი ყოველთვის აოცებდა თორნიკეს. იგი საუკეთესო მზვერავი იყო, თუმცა ვინც არ იცნობდა, ამისი დაჭერება, ალბათ, გაუძნელდებოდა. თვითონ თორნიკესაც უკვირდა თანამებრძოლის ამბავი. ცხოვრებაში ნერვიულსა და აღზუნებულს, საბრძოლო დავალების შესრულებისას თავი ყოველთვის საოცრად მშვიდად ეჭირა. თვით ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც კი არ კარგავდა წონასწორობას თორნიკემ ისევ ზურაბს შეავლო თვალი.

„რატომ წამოვიყვანე, რა ეშმაკი შე-
2. „მნათობი“, № 3.

მიჭდა?! — ინანა ერთხელ კიდევ უცებ ცას ვარსკვლავი მოსწვდოდა და გახანს არ ჩაქრა, ცაზე საკმაოდ გრძელი, მოწითალო ხაზი დასტოვა.

„ცუდი ნიშანია“, — გაიფიქრა თორნიკემ და რატომღაც ზურაბს შეხედა. მერე დანარჩენებსაც მოავლო თვალი.

„კიდევ კარგი, არ დაუნახავთ“.

მერე ისევ ღრუბელს დააკვირდა.

„ათ წუთში დავიძრებით“, — დაასვენა გულში და გაღმა ტყეს გახედა. საოცარი სიჩუმე იდგა.

„ვინ იცის, იქნებ ტყის პირას მიწაზე გათხმული გერმანელი მზვერავებიც ჩვენსავით ელიან მთვარის ღრუბელში შემოღვას, — ფიქრობდა თორნიკე. — კიდევ შვიდი წუთიც და...“

სინათლემ ერთბაშად იკლო.

ყველამ მალა აიხედა.

მთვარე ნელ-ნელა უჩინარდებოდა უზარმაზარი ღრუბლის შავ მასაში.

„ხუთ წუთში მთვარე სულ გაუჩინარდება, — დაასვენა თორნიკემ, — ღრუბელი ზუსტად იმდენია, რამოდენა მანძილიც წვდან იყო ღრუბელსა და მთვარეს შორის. ეს იგი, მთვარე მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გამოძვრებოდა ღრუბლიდან. ნახევარი საათი საესებით კმაროდა, რომ შეუმჩნევლად გადაესერათ მინდორი. ღრუბლებში შეფარული მთვარე მაინც საკმაოდ გაანათებდა იქაურობას. ამიტომაც მხოლოდ ცოცხით უნდა გადასულიყვნენ გაღმა ტყეში.“

ხუთივეს თავი აეღირა და ერთ პოზაში იყვნენ გაშეშებულნი.

„ვინ იცის, იქნებ გაღმაც ხუთი კაცი ჩვენსავით შესჩერებია მთვარეს“, — ისევ გაიფიქრა თორნიკემ.

„რა უნდა ვქნათ, ერთმანეთს რომ პირისპირ შევეყაროთ?“ — გაიფიქრა გელაშვილმა და ტანში უსიამოდ გააერეოლა.

სამ წუთში მთვარე მთლიანად შეიმალა ღრუბელში და მისი მუქი მასის კონტურები ოქროსღრად მოავარაყა.

თორნიკემ მესანჯრეს გახედა და ხელით ანიშნა, გასწიო. ბონდარენკოს თვი-

თონ ჩაუდგა კვალში. ერთ ხაზზე განლაგებული დანარჩენი სამი მწვერავი ოთხი მეტრის დაშორებით მიჰყვა მეწინავეებს. შუაში ზურაბი მოექციათ, მარცხნივ ირაკლი მიხობავდა, მარჯვნივ — გიორგი.

ბონდარენკო ფხიზლობდა, ყველაფერს გულდასმით აკვირდებოდა, თუმცა იცოდა, რომ მინდორი არ იყო დანალმული.

ყველანი ფრთხილად მიხობავდნენ, დისტანციას ზუსტად იცავდნენ, თან ირგვლივ დაუზვერავს არაფერს სტოვებდნენ.

უცებ ბონდარენკო შედგა. თორნიკე მიხვდა, რატომ შეჩერდა მესანგრე. წინ, ოთხიოდ მეტრის მოშორებით მკვლარი გერმანელი ჯარისკაცი ეგდო.

უკანა სამეულიც შედგა, თუმცა არ იცოდნენ, რატომ გაჩერდნენ. დისტანცია კვლავაც არ დაურღვევიათ.

ბონდარენკომ გელაშვილს ხელით ანიშნა, მივალ, მკვლარს დავხედავო. თორნიკემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მესანგრე ხოხვით მივიდა გამითან. შორიდან რომ კაცს შეეხედა, იფიქრებდა, რაღაც უცნაური თავალერილი ცხოველი ლეშს ყნოსავსო.

ეტყობა, როყიო ტყვიამ მოკლა მათსავით დაზვერვაზე წამოსული გერმანელი. იარაღი არ ჰქონდა. ბონდარენკო მიხვდა, თანამებრძოლები იარაღთან ერთად ჯიბიდან ყველაფერს ამოუღებდნენ, რაც კი შეიძლებოდა მოწინააღმდეგეს გამოსდგომოდა.

გერმანელი თავდაღმა ეგდო. სისხლიანი შმორის სუნი გვერდიდან ასდიოდა. იქნებ ჭურვის ნამსხვრევმაც მოკლა. აქედან შორიახლოს მოჩანდა ჭურვისაგან ახვინული შავი მიწაყრილი.

უკან მოიხედა და მეგობრებს მარცხენა ხელის ირიბი მოძრაობით ანიშნა, გვერდი ავუქციოთო.

ყველანი განზე გაჩოჩდნენ და გზა განაგრძეს, თუმცა თვლი იქით გაურბოდათ, სადაც წელან ბონდარენკო რაღაცას დასჩერებოდა.

მალე გაარჩიეს, რაც იყო — თავდაღმა ჩამხობილი გვამი. ღრუბლის მეორე მხარეს იმატა რქროს ვარაყმა. თორნიკემ იცოდა, სადაცაა მთვარე გამოჩნდებოდა. ბიჭებს ხელით ანიშნა, სწრაფადო და თვითონ გადაასწრო ბონდარენკოს.

სულ ცოტაც და ტყეში შევიდოდნენ.

სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

კიდეც უფრო უნდა ეჩქარათ.

კიდეც სამი წუთი...

ორი...

ერთი...

ყველანი თავდაღმა ეყარნენ და ასე ისვენებდნენ.

ორიოდე წუთის შემდეგ მთვარემ ღრუბელს თავი დააღწია და ისევ განათდა მინდორი.

ზურაბმა თავი ასწია, შენიშნა, თორნიკე წამოჩოქილიყო და ჩქაურობას ზვერავდა. ბონდარენკოც წამომკვლარიყო და ზურავით ხეს მიყრდნობოდა. ირაკლი და გიორგი ისევ გულაღმა ეყარნენ.

ზურაბიც წამოჭდა და მინდორს გახედა.

თორნიკემ კვლავ ხელით ანიშნა, წავიდეთო. წინ თვითონ გახობდა. ასე იხობეს კიდეც შევიდოდე წუთი, სანამ ხშირ ტყეში არ შევიდნენ.

შემდეგ ყველანი შეჩერდნენ, რადგან თორნიკე შედგა. იგი ნელა წამოღდა ფეხზე და სხვებსაც ანიშნა, ფეხით მომყევითო.

მთელი საათი ჩუმად იარეს. ძალზე ფრთხილობდნენ. სადაც ჯანგარს წააწყდებოდნენ, გვერდს უკლიდნენ. გაბურღულ ტოტებს ფრთხილად სწევდნენ განზე, რომ უბრალო შრილიც კი არ გამოეწვია. თან ცდილობდნენ გზი არ დაეკარგათ. გზა, როგორც უფროსებმა გააფრთხილეს, მინდვრის პარალელურად მიდიოდა დაახლოებით საათნახევრის სავალზე. იქ უნდა წასწყდომოდნენ გერმანელებს. იქ უნდა ეგდოთ ხელით მოენე.

კიდევ ნახევარი საათი იარეს. გეზი არ შეუცვლიათ. ზიგზაგებით, მაგრამ მაინც სწორხაზოვნად მიიწვედნენ წინ.

ოფლი ყველას წუთწუთით ჩამოსდიოდა. ზურაბმა გიმნასტურა ბოლომდე ჩაიხსნა, მარცხენა გაშლილი ხელი შუბლიდან ნიკაპამდე ჩამოისვა და ოფლი ჩამოიწურა.

უცებ სინათლემ იმატა.

თორნიკემ იფიქრა. ისევ გაშლილ ადგილზე ხომ არ გავდივართო და ბიჭებს ანიშნა, ჩაწეკითო. ათიოდე წუთი ხოხვით იარეს და გზასაც მიადგნენ. თორნიკე დარწმუნდა, რა სწორად განუსაზღვრავთ უფროსებს დრო და მანძილი. რამდენიმე წუთს შეისვენეს, თან გზას აკვირდებოდნენ. ირგვლივ ყველაფერს ზეერადენენ.

გზა საკმაოდ კარგად იყო მოშანდაკებული. მისი გადაჭრა არ ჩანდა ძნელი, რიგრიგობით გადახოხდებოდნენ. მაგრამ ეს ბრძანების დარღვევა იქნებოდა. თორნიკეს გარკვევით უთხრეს, გერმანელებმა იციან, რომ ჩვენ ჯერ შეტყვის უნარი არ შეგვწევს და გზაზე თითქმის თავისუფლად მოძრაობენო. ასე გაგრძელება, ალბათ, კიდევ ორი დღე, სანამ საიერიშოდ არ მოვეშზადებითო.

თუ ვერავის წააწყდებოდნენ, მთელი მეორე დღე ტყეში უნდა გაეტარებინათ და ღამით ისევ უნდა ეცადათ ბედი.

უკვე ორი იყო დაწყებული. თუ ორ საათში მოენეს ვერ დაატყვევებდნენ, მაშინ მინდორზე გადასვლას ვეღარ მოახერხებდნენ, თავზე დაათენდებოდათ.

ბონდარენკო თორნიკესთან მიცოცდა.

„რა ვქნათ? — ანიშნა ხელით. — ხომ არ გადავიდეთ?“

თორნიკემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

თოფს ვერ გაისროდნენ. მოენე აუცილებლად უხმაუროდ უნდა ჩაეგდოთ ხელში. გასროლა კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, მინდორი რომ არ ჰქონოდათ გადასაჭრელი.

ერთი საათის შემდეგ გზაზე პირველი მანქანა გამოჩნდა. შეტყმინილბული ნელა მოდიოდა. მკრთალი მის წინ მხოლოდ ორიოდ მეტრზე თუ ანათებდა გზას.

ყველას გული აუძგვრდა. მანქანამ ჩაიარა. კარგად დაინახეს, კაბინაში ორი გერმანელი იჯდა. ოთხნიც, ავტომატბეშემაართულნი, საბარგულზე იდგნენ. რალაც ტვირთი მიჰქონდათ ბრეზენტგადაფარებული.

როცა მანქანამ ჩაიარა, ირაკლი თორნიკესთან მიცოცდა.

ხელით ანიშნა, რა ვქნათო. თორნიკემ არ იცოდა, რა ეთქვა. მხრები აიჩეჩა.

უცებ ბონდარენკომ ანიშნა, გზას აღმა აგყვებიო. თანხმობას არ დაელოდა, ტყის სიღრმეში შეცოცდა, მერე წამოდგა და გზას ნაპირ-ნაპირ გაუყვა.

„აღმა“, — გაეღიმა გულში თორნიკეს, — აქ რას გაარჩევ, რომელია აღმა და რომელი დაღმა.“

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ ბონდარენკო უკან დაბრუნდა.

— მაღლა წყაროა, არ შეიძლება ვინმემ იქ მანქანა არ შეაჩეროს, — წასჩურჩულა თორნიკეს ყურში.

თორნიკემ მარცხენა ხელი აიქნია, წავედითო. მარჯვენაში ავტომატი ეჭირა.

სულ მალე ყველანი წყაროს შორი-ახლოს ჩასაფრდნენ. სამწუხაროდ, წყარო გზის გაღალმა მორაკრაკებდა. წყურვილი იგრძნეს და მათარები მონახეს.

მალე კიდევ გამოჩნდა მანქანა. საბარგულზე ჯარისკაცები ისხდნენ. მანქანა პირდაპირ წყაროსთან გაჩერდა.

ჩვიდმეტი გერმანელი დათვალა თორნიკემ. სროლა არ შეიძლებოდა. ყველანი რომ დაეხოცათ და მხოლოდ ერთი გერმანელი დაეტყვევებინათ, სამშვიდობოს მაინც ვერ გააღწევდნენ. ერთადერთი შანსი იყო, მოენე თოფის უსროლელად ჩაეგდოთ ხელში.

თორნიკეს ლოყები აეწვა, ასე ახლოს დღეს კიდევ ნახავდა გერმანელებს? ერთი მათგანი ჯგუფს გამოეყო

და ბუჩქებში გადავიდა, სულ ეჭვს ნაბიჯზე იყო თორნიკესაგან. გული ისე უცემდა, ეშინოდა, გერმანელს არ გავგონა. მალე გერმანელი ამხანაგებს შეერია. წყალი ყველამ დალია, ისევ მანქანაში ჩასხდნენ და მანქანაც დაძრა.

თავი სინანულით გააქნია და მიმავალ მანქანას თვალი ბოლომით გააყოლა.

გავიდა კიდეც ოცი წუთი. გზაზე არაფერი გამოჩენილა.

— ხომ არ ჭობია, ორნი იქითა მხარეს გადავიდეთ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— თუ მარჯვნივ მიმავალი მანქანა შეჩერდა წყაროსთან, მაშინ ისინი ჩვენს მხარეს იქნებიან და თავს ერთბაშად დავესხმებით. მაგრამ თუ მარჯვნიდან მომავალი მანქანა გამოჩნდება, ის პირდაპირ წყაროსთან გაჩერდება და ჩვენს შორის მანძილი მთელი გზის სიგანე იქნება.

დამთავრებულიც არ ჰქონდა სიტყვა, რომ თორნიკემ ყურები ცქციტა. საეჭვო აღარაფერი იყო, მარცხენა მხრიდან მოტოციკლი მოდიოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყრუ გუგუნე იმდენად კარგად ისმოდა, რომ მიხვდნენ, სადაც იყო გამოჩნდებოდა. მალე მკრთალი შუქიც გამოკრთა, რომლის უკან მოტოციკლის კონტური გამოისახა.

ირაკლიმ სიხარულით ხელზე ხელი მოუჭირა თორნიკეს.

ბონდარენკომ დანა ამოიღო. ზურაბმაც მას მიბაძა.

თუ მოტოციკლი წყაროსთან გაჩერდებოდა, ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა. თუ ჩაივლიდა, მაშინ საქმე გართულდებოდა. მოტოციკლს უნდა შეხტომოდნენ. ამის სპეციალისტები თორნიკე და ირაკლი იყვნენ. ბუნებრივია, ამ დროს ხმაური და ყვირილი იყო მოსალოდნელი.

თორნიკემ და ირაკლიმ დანები დაადრეს, მეგობრებს ანიშნეს, თავს ჩვენ დავესხმითო.

მოტოციკლი ძალიან ნელა მოდიოდა. შეხტომა არ გაუტყირდებოდათ. მთავარი იყო, ისე შეხტომოდნენ, გერმა-

ნელებს ყვირილი არ მოესწროთ. მთვარის შუქზე კარგად ჩედავდნენ, ორნი იყვნენ, საჭეს რომ უჭდა, იმას სახეზე რალაც უბრწყინავდა.

„ნეტავ რა ბრწყინავს?“ — გაფიქრა თორნიკემ და უშალვე მიხვდა, გერმანელს სათვალე ეკეთა და მისი მინები ირეკლავდა მთვარის სხივებს.

ბედად, წყაროსთან სვლა კიდეც უფრო შეანელეს და წყაროს პირდაპირ გაჩერდნენ.

ყველას სუნთქვა შეეკრა, თითქოს ეშინოდათ, სუნთქვის ხმამ არ გაგვეცესო.

საჭესთან რომ იჭდა, პირველი ის გადმოვიდა, მეორეს მხოლოდ ცალი ფეხი ჰქონდა მიწაზე გადმოდგმული, რომ თორნიკე და ირაკლი ჭორებივით დააქბრნენ თავს. მკლავები ისე შემოიხვიეს, რომ მარცხენა ხელისგულებით ტუჩები მოუკუმეს, მარჯვენა ხელით კი დანები ყელზე დააბჯინეს.

ბონდარენკო და გიორგი მეორე ეშელონად ეცნენ გერმანელებს და იარაღი აჰყარეს. გერმანელები თავდასხმას არ ელოდნენ და დაიბნენ. როცა ყელთან ცივი ლითონი იგრძნეს, მთვარის შუქზე რომ სარკესავით ლაპლაპებდა, წინააღმდეგობის გაწევა აღარც უფიქრიათ. სანამ ოთხნი გერმანელებს ტყეში შეათრევდნენ, ზურაბი მოტოციკლს ეცა, ტყის სიღრმეში შეაგორა და ბუნქებში ისე შემალა, დღის სინათლესაც რომ ვერავის შეემჩნია.

გერმანელებს ტყეში პირები აუკრეს და ხელები ზურგსუკან გაუთოკეს.

— ხმა არ ამოიღოთ, თორემ ღორებივით გამოგჭრით ყელს! თქვენ მოენეები ხართ და მორჩილად უნდა წამოგვყვეთ. გაძლევთ მხედრულ სიტყვას, სიცოცხლეს შეგიწინააღმდეგებთ, — ჩასჩურჩულა თორნიკემ ტყვეებს ყურში ხსეთი შემთხვევისათვის საგანგებოდ ნასწავლი და გაზეპირებული ფრაზა.

აბა წაივდეთ, ანიშნა ბიჭებს თორნიკემ. თვითონ წინ გაუძღვა თანამებრძოლებს. ირაკლიმ და ზურაბმა ერთი

გერმანელი ჩაიყენეს შუაში, ბონდარენკომ და გიორგიმ მეორე.

ყველანი ფრთხილად მიდიოდნენ. თვით გერმანელებიც კი ცდილობდნენ უხმაუროდ ევლათ, მშვენივრად იცოდნენ, თუ გერმანელები მათ გატაცებას გაიგებდნენ და სროლას ატეხდნენ, სიკვდილს ვერც ისინი გადაურჩებოდნენ.

ახლა მთავარი იყო, დროულად გადაეჭრათ მინდორი. ვალმა ტყეში უკვე სამშვიდობოს იქნებოდნენ.

„ღმერთო, რა სიჩუმეა! კაცი წარმოიდგენს, რომ ომია და ტყვე გერმანელები მოგვყავს!“ — ფიქრობდა გზადაგზა თორნიკე, თან უხაროდა, ყველაფერი რა იოლად მოხდაო. ოპერაცია თითქმის დამთავრებულად მიაჩნდა და გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდა.

მინდორს რომ მიადგომოდნენ, ხუთი საათი სრულდებოდა. მთვარე უკვე ნაძვის კენჭეორებზე დასაჯდომად ემზადებოდა. კიდევ ხუთი წუთი და ხეებში ჩასრიალდებოდა.

შეისვენეთო, ანიშნა ბიჭებს თორნიკემ. ყველანი მიწაზე გაიშხლართნენ, გერმანელებსაც ანიშნეს, დაწეკითო. ხელგაკოჭილმა გერმანელებმა ჯერ ჩაიჩოქეს და მერე თავები უხერხულად ჩარგეს მიწაში.

ნახევარი საათი სჭირდებოდა მინდვრის ხოხვით გადალახვას. ნახევარი საათიც და სამშვიდობოს იქნებოდნენ.

ზურაბმა გერმანელები შეათვალიერა. ერთ მათგანს, საქესთან რომ იჯდა, სათვალე დაჰკარგვოდა. იგი უფროსი ჩანდა, მეორე მთლად ბავშვი იყო, ალბათ, ზურაბის კბილა, მაგრამ უწყვერულვამო უფრო ბავშვურად გამოიყურებოდა.

ზურაბმა შეატყო, ახალგაზრდა გერმანელს პირი ცუდად ჰქონდა ახვეული. სახვევი ცხვირსაც უფარავდა და უცნაურად ჭშინავდა. ხოხვით მიუახლოვდა, ცალი ხელით შუბლი აუწია, მეორეთი კი სახვევი შეუსწორა. ხელი ჰაბუკის შუბლიდან მონადენმა ოფლმა დაუსველა. სველი ხელისგული საკუთარ შარ-

ვალზე გაიმშრალა. გერმანელმა მადლიერი თვალები შეანათა. ახლა მეორეს შეხედა. ალბათ, ირაკლის ხნის მაინც იყო, ჩინიც მეტი ჰქონდა.

თორნიკემ დაინახა, ზურაბმა გერმანელს სახვევი როგორ გაუსწორა და დამცინავად გაელიმა. ამ სიბნელეში ზურაბს მისი ირონიული ლიმილი და სახის გრიმასი რომ დაენახა, ადვილად ამოიკითხავდა შემდეგ ფრაზას: შე უბედურო, როგორ გეტყობა, რომ დავალეზე პირველად ხარო.

მთვარე ტყეში გაუჩინარდა, თორნიკემ ბიჭებს ანიშნა მოემზადეთო.

უცებ მათ ზურგსუკან ცაში მწვანე მამხალა აიჭრა და იქაურობა გაანათა.

„ვითომ შეგვაჩინეს? — გივლო გულში თორნიკემ.

მამხალამ ისე გააკაშკაშა იქაურობა, მინდორი მთელს სივანეზე გამოჩნდა.

პირველ მამხალას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

თორნიკე ფიქრობდა, მთვარე რომ ჩაეა, მინდორს სირბილით გადავივლითო.

მამხალეებმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

მინდორი ხოხვით უნდა გადაეჭრათ, მეტი გამოსავალი არ იყო.

ყველანი მიხვდნენ, მინდვრის სირბილით გადავლა თვითმკვლელობას ნიშნავდა.

ბონდარენკო უფროსთან მიხობდა.

— ხელები უნდა გავუხსნათ, თორემ ვერ იხობებენ.

თორნიკემ თავი დაუქნია, მართალი ხარო.

სადღაც ზურგსუკან სროლის ხმა გაისმა. სადღაც ავტომატიც აკაკანდა. შემდეგ კვლავ სიჩუმე და მამხალეები...

ყველანი მიხვდნენ, მთავარი საფრთხე ჯერ წინ იყო.

მამხალა ჩაქრა თუ არა, ავტომატი ისევ აკაკანდა.

„ვითომ შეტევას იწყებენ?“ — გაიფიქრა თორნიკემ.

„იქნებ გაიგეს, ეს ორი ჯარისკაცი რომ გამოვიტაცეთ?“

— შეეხსნა? — ჰკითხა ბონდარენკომ.

— მოიცა, ორთავეს რომ შეეხსნათ, გერმანელები სროლის ხმაზე თანდათან აზრზე მოვლენ, მერე რას იზამ, წინააღმდეგობა რომ გავვიწიონ ან გაქცევა სცადონ? მათი დახოცვა ადვილია. ჩვენი ამოცანა კი სულ სხვაა, ერთი მინუტ უნდა მივიყვანოთ პოლკში.

— აბა რა ვქნათ?

— ერთ-ერთი უნდა გავასაღოთ. ერთ კაცს უფრო იოლად გადავიყვანთ, თან სულ წახდება. ორნი რომ დავიტოვოთ, თუ ბრძოლა გაჩაღდა, გული უფრო მიცემთ.

თორნიკემ უმცროსი გერმანელი შეათვალა. იგი რიგითი ჯარისკაცი იყო და, ალბათ, ბევრიც არაფერი ეცოდინებოდა. მიხვდა, ვინც უნდა მოეკლათ.

— შენ მხრებზე დააჭექი, ირაკლიმ ფეხები გაუკავოს. სახვევზე ხელი კარგად მოუჭირე. ისე უნდა მოვკლათ, ხმის ამოღება ვერ შესძლოს. ყელს მე გამოვჭრი. იცოდე, გაფრთხილდი, სახვევი არ მოსძვრეს და არ დაიყვიროს.

მერე ზურაბს და გიორგის ანიშნა, ჩემთან მოდიეთ. ორთავე თორნიკესთან მიხობდა.

— ერთ-ერთი უნდა გავასაღოთ. მეტი გამოსავალი არაა. ხელებშეკრულები ვერ იხობებენ. ორთავეს ხელებს ვერ გავუხსნით. თქვენ იმას მიხედეთ.

— ანიშნა უფროსზე.

— მერე ასე კაცის მოკლა როგორ შეიძლება? — გაუფართოვდა თვალები ზურაბს.

— შენ მაგას არავინ გეკითხება. რასაც გავალებ, ის შეასრულე!

გიორგიმ მხარზე ხელი მოკიდა, აქეთ გამოჩოჩნდით. ზურაბმა გიორგის ხელი მოიშორა და ისევ თორნიკეს მიუბრუნდა.

— ეს ხომ მკვლელობაა, ბიძია თორნიკე!

ალეღვებულს დაავიწყდა უფროსისთვის როგორ უნდა მიემართა.

— იქით გაიწიე; შე ძალღიშვილო, ნუ მასწავლი, რა არის მკვლელობა!

— ბიძია თორნიკე!

— იქით გაათრიეთ, თორემ ამასაც ზედ დაეკლავ! — უბრძანა გიორგის და დანა ამოიღო. ბონდარენკომ და ირაკლიმ მუხლებზე წამოიჩოქეს.

* * *

რესტორან „თბილისის“ კაფეში მართო შევიდა თორნიკე გელაშვილი.

ვესტიბიულში სამი ახალგაზრდა შეეჩეხა. სამთავემ დაკვირვებით შეხედეს, მერე კოპები შეიკრეს, ისეთი სახე მიიღეს, თითქოს რაღაც საზიზღარი სუნი სცემთო. ვესტიბიული სწრაფი ნაბიჯებით გადაჭრეს და ქუჩაში გავიდნენ.

„ამათაც ხომ არ იციან, რა ვნახე ჩემს ოთახში? — გაიფიქრა ძრწოლვით და დარბაზში შევიდა. თვალთ ის მაგიდა მონახა, სადაც მეგობრებთან ერთად უყვარდა ჯდომა.

კაფე თითქმის ცარიელი იყო, ხუთი-ოდე მაგიდას თუ უსხდა ხალხი. ხმამაღლა ლაპარაკი და სიცილი მინც ავსებდა დარბაზის სივრცეს. ერთ მაგიდასთან, მეორე მხარეს, რესტორანში გასასვლელისაკენ რომ იდგა, მღეროდნენ კიდევ. მღეროდნენ რაღაც სახუმაროს, თან ხმამაღლა ხარხარებდნენ.

უცებ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, სამარისებური, შემადრწუნებელი სიჩუმე...

ყველამ თორნიკე გელაშვილს შეხედა.

თორნიკემ იგრძნო, ორმა ათეულმა წყვილმა თვალმა როგორ დაუბურღა სხეული.

„მინც რატომ მიყურებენ ასე შეთქმულებივით?“

„იქნებ ამათაც გაიგეს ყველაფერი?“

„იქნებ უკვე მთელმა თბილისმა, მთელმა საქართველომ იცის, რა დგას ჩემს საძინებელ ოთახში?“

თორნიკე გელაშვილს ფეხები დაუძიმდა, ადგილზე გაქვავდა.

სხვებიც ისე უძრავად შესჩერებოდნენ, თვალს არ ახამხამებდნენ.

ბოლოს თორნიკემ სძლია შიშნარეგ მღელვარებას და მაგიდისაკენ გაემართა. მაგიდას მიუჭდა თუ არა, საათს დახე-

და მისი ანგარიშით პეტრე ციციშვილი და დავით ხელაძე უკვე აქ უნდა ყოფილიყვნენ.

გვერდით მაგიდასთან, ოთხნი რომ ისხდნენ, სამი კაცი და ერთი ქალი, მოულოდნელად ფაციფუტით წამოდგნენ და გასასვლელს მიაშურეს.

„აღბათ, მსახიობები არიან, — დაასვენა თორნიკემ, როცა მათი ტანსაცმელი შეათვალიერა, — რატომ ადრე არ მინახავს აქ ეგენი?“

„თბილისის“ კაფეში სადილობის დროს ძირითადად ერთი და იგივე ხალხი დადიოდა. თორნიკე უმაღლეს სცნობდა ხოლმე „ახლებს“. ისიც კარგად იცოდა, ვის საღ უყვარდა ჯდომა. ყველა, როგორც წესი, „თავის“ მაგიდასთან ჯდებოდა. თუ ორ საათზე აჩემებულ მაგიდასთან ხალხი დახვდებოდა, ისინი აუცილებლად „გარეშენი“ იქნებოდნენ.

თორნიკემ საათს ისევ დახედა. სამის ნახევარი იყო. თვალი კარისაკენ გაექცა. მეგობრები არ ჩანდნენ.

მერე გვერდზე გაიხედა. გაოცდა. იქვე, ორი მაგიდის მოშორებით, სამინი რომ ისხდნენ, ჯერ სულ განაპირა მაგიდასთან გადასხდნენ, შემდეგ ოფიციანტს ანიშნეს, საერთოდ არ გვინდა არაფერიო და წავიდნენ.

„ნუთუ ჩემი გულისთვის მიატოვეს კაფე?“ — გაოცდა თორნიკე.

დანარჩენი სამი მაგიდიდანაც ისე ერთდროულად წამოიშალნენ, თითქოს ვილაყამ ნიშანი მისცათო, ოფიციანტს სასწრაფოდ გაუსწორეს ანგარიში და დარბაზიდან თითქმის სირბილით გავიდნენ. ზოგიერთმა ცხვირზე თითებიც კი მიიჭირა, თითქოს საზიზღარი სუნი სცემსო.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველამ იცის ჩემი ამბავი? ნუთუ მეც ამდის გაბრწყინი გვამის ის საშინელი სუნი, იმ ბიჭებს რომ ასდიოდათ, და ჩემს ბინაშიც რომ არის დაგუბებული?“

სამი შესრულდა.

უცებ ჰოლში დავითი დაინახა.

შეება იგრძნო, თვალბში სიხარულის სხივი ჩაუდგა.

დავით ხელაძემ დარბაზში თავი შემოჰყო და იქაურობა ისე მოათვალიერა, თორნიკესკენ არც გაუხედავს.

მოულოდნელად უკან გაბრუნდა.

— დავით! — ხმადაბლა დაუძახა თორნიკემ.

დავით ხელაძე ადგილზე გაშეშდა, ერთხანს ასე იდგა, თითქოს უკან მოხედვისა ეშინოდა. მერე ნელ-ნელა შემობრუნდა და თორნიკესაკენ გამოემართა.

თორნიკე დამშვიდდა. ახლა ყველაფერი ძველებურად იქნებო, გაიფიქრა და ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო.

— გამარჯობა, თორნიკე!

— რა იყო, ბიჭო, ასე რამ შეგაშინა! — სალმის ნაცვლად მიუგო თორნიკემ.

— ვერა ვარ კარგად, უნდა მაპატიო. სასწრაფოდ შინ უნდა გავიქცე და ჩავწვი.

დავითი ისე შებრუნდა, თითქოს ეშინოდა, თორნიკემ რაიმეს თქმა არ მოასწროსო და დარბაზი თავისი ასაკისათვის უჩვეულოდ მარდი ნაბიჯებით გაიარა.

გაოცებისაგან გაშეშებულ თორნიკეს ანთებული ასანთი მანამ ეჭირა მარჯვენა ხელში, სანამ ცეცხლმა თითები არ დასწვა.

„ღმერთო, ცხადში ვარ თუ სიზმარში?“

გაოცებულმა ასანთი საფერფლეზე დააგდო და მაგიდას ჩიბუხი დაჭრა.

რესტორნისაკენ გასასვლელი კარი, რომლის იქით ბუფეტიც იყო მოთავსებული, ნელა გაიღო და ნაცნობი ოფიციანტის მრგვალი სახე და შეშინებული თვალები გამოჩნდა.

თორნიკესთან ფეხათრევით მივიდა, თითქოს რალაცას ბურტყუნებდა კიდეც უყმაყოფილოდ. მაგიდიდან უფრო შორს გაჩერდა, ვიდრე საერთოდ ჩერდებოდა ხოლმე და რალაცნაირი სველი ზიზღით წარმოთქვა:

ბატონმა პეტრემ დარეკა და მთხო-

ვა თქვენთვის გადმომეცა, დღეს სადილად ვერ მოვალთ!

თორნიკეს ერთი ძარღვი კიდევ ჩაუწყდა გულში.

„ნუთუ პეტრემაც გაიგო?“

„კაცმა რომ თქვას, ვისგან უნდა გავგო, როცა ჩემს მეტმა არავინ იცის ჩემი უბედურების ამბავი?“

— რას მიირთმევთ? — გამოაფხიზლა ოფიციანტის დაგუდულმა ხმამ.

თორნიკემ ქალს ახედა. ოფიციანტს თავი გვერდზე მიებრუნებინა და ცხვირზე ორი თითი მოექპირა. გატანჯულ სახეზე ეტყობოდა, რაღაც მყრალი სუნი სცემდა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, კაცი იფიქრებდა, სადაცაა გული წაუვარო.

— არაფერს!

თორნიკე ფეხზე წამოდგა და ჩიბუხი ჯიბეში ჩაიღო.

ოფიციანტი მიხვდა, თორნიკე წასვლას აპირებსო, შებრუნდა, თითქმის სირბილით წავიდა და კარს იქით გაუჩინარდა.

გაოგნებული, სულიერად განადგურებული თორნიკე ერთხანს გაშეშებული იდგა მაგიდებს შორის სრულიად დაცარიელებულ დარბაზში. შემდეგ ასი წლის მოხუცის მოტეხილი ნაბიჯით გასასვლელისაკენ წალასლასდა.

უცებ უკან ფეხის ხმა და შრიალი გაიგონა. შეჩერდა და ნელა შემობრუნდა. სამივე ოფიციანტი, კაფეს რომ ემსახურებოდნენ, მებუფებტე და ყავის მომხარშველი ბერძნის ქალი დარბაზში გამოსულიყვნენ და გაფართოებული თვალებით თორნიკეს მისჩერებოდნენ.

თორნიკემ ყველას რიგრიგობით გაუსწორა მზერა. არცერთს თვალი არ დაუხამხამებია, მონუსხულებივით იდგნენ და თორნიკეს თვალებში შესცქეროდნენ.

თორნიკემ ვერ გაუძლო მათ გამოხედვას, ვერც ის იეთხა, რა გინდათ, რას მერჩით, ასე დაბღვერილი რატომ მომჩერებხართო, შებრუნდა და ვესტიბიულს მიაშურა.

კარებთან შეშინებული შეჩერდა.

აქაც გარეთ გამოფენილიყვნენ რესტორნის ოფიციანტები, მეტრადსტელი პატარა ჯიხურის გამყიდველი კარისგაცი. ისინიც უძრავად იდგნენ და თვალები თორნიკესათვის დაესათ.

გზა წინ თითქოს მოჭრილი ჰქონდა. უმწეოდ გაიხედა ქუჩის მხარეს. შეკრთა. ის სამი ბიჭი იცნო, შემოსვლისას რომ შეეფეთნენ ვესტიბიულში. სამთავენი უზარმაზარ მინას ხელებით მოყრდნობოდნენ, შუბლი ხელებზე მიედოთ და ხელებშუა იცქირებოდნენ.

„ყველამ იცის, ნამდვილად ყველამ იცის“.

ნაბიჯი გაუბედავად გადადგა და ვესტიბიულში გავიდა. მინის კარი მის ზურგს უკან თავისით დაიხურა.

ვესტიბიულში მდგომებმა უკან დაიხიეს, თითქოს გასასვლელისაკენ გზა მისცეს და იმავე პოზაში გაშეშდნენ.

თორნიკე ყოველი მხრიდან გრძნობდა თვალებიდან გამოსული სხივების ჩხვლეტას, ორი ნაბიჯი კიდევ გადადგა საცოდავად. უცებ ოფლმა დაასხა, მუხლი მოეკვეთა და იატაკზე გაიშხლართა.

* * *

წუხელ, საძინებელი ოთახის კარი რომ გამოაღო და სინათლე აანთო, შიშისაგან შეჭყვირა. ოთახში, იმ ადგილზე, სადაც უწინ მისი მეუღლის საწოლი იყო მოთავსებული, კუბო იდგა. ვილაცას სამზარეულოდან ორი ტაბურეტი გამოეტანა და კუბო ზედ შეედგა.

უმალვე მიხვდა, კუბოში ვინც იწვა. ციკმა ოფლმა დაასხა, მთელი სხეული დაუსველდა. სახეზე ჯერ წითელი ლაქები გაუჩნდა, მერე თანდათან მწვანე ფერი მოერია. ისეთი განცდა ჰქონდა, რომ სულ მალე ყინულოვით გადნებოდა და სითხედ დაიღვრებოდა. სხეულში ძვლები თითქოს ჩაეშალა და დაბლა, ფეხებში ჩაუცივიდა.

კუბოც უცნაური იყო. ასეთი კუბო არასდროს ენახა თორნიკე გელაშვილს. დაახლოებით იქ, სადაც მიცვალებულის მხრები უნდა ყოფილიყო, კუბოს ქვედა ნაწილიც და მისი სახურავიც



მრგვლად იყო ამოჭრილი. იქიდან მიცვალებულს ხელები გამოეყო, კუბოს სახურავზე, დაეღაგებინა და თიფები ერთმანეთზე გადაეჭლა.

მიცვალებულს სამხედრო გიმნასტურა ეცვა. სახელოები მაჯებთან მჭიდროდ ჰქონდა დილებით შეერთებული.

„ის არის, ის!“

კარი დაკეტა, ერთხანს ხელით ისევ ეკირა კარის სახელური, მერე შემობრუნდა, დამიძებნული ფეხები სავარძლამდე ძლივს მიათრია და ტყავის დიდ სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

„ახლა რა ვქნა?“

„ახლა რა ვქნა?“

„სანამ ღამეა, ხომ არ გავიტანო ქუჩაში და საღამე ხომ არ დავმალო?“

„ვინ შემოიტანა?“

„ვინ შემოიტანა?“

„ვინ შემოიტანა?“

ორიტყვიანი შეკითხვა წისქვილის ბორბალივით დატრიალდა თორნიკე გელაშვილის გონებაში.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იჯდა სავარძელში.

„ვინ შემოიტანა?“

„ვინ შემოიტანა?“

მძიმედ ბრუნავდა წისქვილის ქვის უზარმაზარი ბორბალი.

„იქნებ იმ ბიჭებმა, ხელები რომ უცნაურად უელავდათ?“

აზროვნება თანდათან მწყობრი გაუხდა. მიხვდა, ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. თითქოს ახლა მიხვდა, რომ სწორედ ამას, თანაც უფრო საშინელს, ათასჯერ უფრო საშინელსაც კი ელოდა.

მაინც რას ელოდა და რატომ ელოდა? ამ წუთამდე ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერ იტყოდა, რას ელოდა ამ რატომ ელოდა. ელოდა ისე, შინაგანად უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ამ მოლოდინზე არ ფიქრობდა. მის სხეულს, უბრალოდ, რაღაც გაუგებარი სევდა შესჩენოდა და ძარღვებს ნელ-ნელა უღრღინდა. ახლა მხოლოდ მიხვდა, რომ ის სევდა იყო სწორედ რაღაცის

მოლოდინი, ენით აუწერელი საშინელების მოლოდინი.

„ვინ შემოიტანა?“

„ან კარი როგორ გააღეს?“

„ან აქამდე რას ელოდენ? ან, ან, ან...“

ბევრი „ან“ დაიბადა იმ წუთებში მის გონებაში, ვერც ერთ მათგანს პასუხცევრ გასცა.

„ახლა რა ვქნა? რა მოვიმოქმედო?“

„ახლა რა ვქნა? რა ვქნა? რა ვქნა?“

მილიონჯერ მაინც „ჰკითხა საკუთარ თავს.

ბოლოს დარწმუნდა, ვერაფერს იზამდა. ისიც იცოდა, კუბოში ზურაბი ესვენა. ხელებიც იცნო მისი, თუმცა, ხელებიც რომ არ ეცნო, მაინც მიხვდებოდა, ვისი გვამი შემოუტანეს ბინაში. თორნიკე გელაშვილი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ განკითხვის დღე დადგა.

გელაშვილმა თვალი ჰაბუჯისაკენ გააპარა და ბონდარენკოს ანიშნა, ეს უნდა მოეკლათ.

— ბიძია თორნიკე, მაგას ნუ იზამთ! — ხმაშალი ჩურჩულით შეევედრა ზურაბი.

— ხმა ჩაიკმდე, თორემ შენც ზედ მიგაყოლებ!

— ბიძია თორნიკე, ჭერ თქვენ წადით და წაიყვანეთ ეგ ერთი გერმანელი. გალმა რომ გახვალთ, ამას მე წამოვიყვან. გაქცევას თუ დააპირებს, მოვკლავ. კიდევაც რომ შემამჩნიონ, თქვენ სამშვიდობოს იქნებით.

— ახლა არ არის სიბრაღის და ექსპერიმენტების დრო. ახლა ომია და ჩვენ დავალება გვაქვს შესასრულებელი. გასაგებია? შეტი აღარ მალაპარაკო, თორემ...

გერმანელებმა მათ ჩურჩულზე იგრძნეს, რა საფრთხეც ელოდათ და თვალებს საცოდავად ახამხამებდნენ, თან თვითულის მოძრაობას აკვირდებოდნენ.

— ბიძია თორნიკე!

— ვინ არის შენი ბიძია, გაათრიათ ეს ძალიანშვილი და ასწავლეთ, უფროსს

როგორ უნდა მიმართოს. — დანისინა თორნიკემ. ერთი სული ჰქონდა, ავტომატის კონდახი ზურაბისათვის თავში ჩაერთვა და იქვე გაეგორებინა.

— გამოდი აქეთ, — ჩასჩურჩულა გიორგიმ, — ამ საქმეს ჩვენ მოვუვლით. შენ გვერდზე მიდექი და იმაზე იზრუნე, მეორემ სახვევი არ წაიძროს და არ იყვიროს.

ახლა ირაკლიმ ჩასძახა მეორე ყურში.

— იმ გერმანელს მიხედე, ჩენსკენ ნურც გამოიხედავ. რას იზამ, ძმაო, ომი.

ირაკლიც თორნიკესთან მიხობდა. თორნიკემ ჩუმად უთხრა:

— შენ ზურაბს უთვალთვალე. სისულელე არაფერი ჩაიდინოს!

დანარჩენი სწრაფად მოხდა.

თორნიკე გელაშვილმა ბონდარენკოს თვალით ანიშნა, საქმეს მიეხედოთო. ბონდარენკო ზურგზე დაახტა გერმანელს, მთელი ტანით დააწვა და ხელებით თავი მაგრად ჩაარგვევინა მიწაში. გიორგიმ ფეხები გაუკავა. თორნიკემ დანა ყელთან მიუტანა.

ფოლადმა უცნაურად გაიბრწყინა მთვარის შუქით შეზავებულ სიბნელეში.

ირაკლი ხან ზურაბს აკვირდებოდა, ხან მეორე გერმანელს, ხან კი მეგობრების მოქმედებას ადევნებდა თვალყურს. როცა თორნიკემ დანა ამოიღო, იმავე წუთში იგრძნო, ზურაბი დაყვირებას აპირებდა, უმაღლე ვაბუქს ეცა, ზურგზე დააწვა და ცალი ხელით ტუჩი მოუკეტა.

რას შერებითო, ვეღარ იყვირა ზურაბმა. ირაკლიმ მარჯვენა ხელი თავზე დააკირა და პირზე აფარებული თავისი მარცხენა ხელით მიწას შეაწება. ტუჩებზე ამოდებული ხელი ზურაბს ცხვირის ნესტოებსაც სანახევროდ უფარავდა და ძლივს სუნთქავდა.

უცნაური ხროტინი შემოესმა.

ტირილი წასკდა, ტუჩზე ამოკრული ხელი ხმის გაღების საშუალებას არ აღწევდა. მხოლოდ ძაღლის ლეკვივით წკმუტუნებდა.

— ჩუმად, შე ძაღლიშვილო, რა გატირებს! — გაცოფდა ირაკლიმ მარცხენა ხელი, ზურაბის ტუჩებზე რომ ჰქონდა ამოკრული. უკვე საშინლად სტიკიოდა.

დანარჩენები, როცა დარწმუნდნენ, გერმანელი მოკვდაო, გვამს შეეშვნენ და გვერდზე გახობდნენ.

— აბა, სისულელე არაფერი ჩაიდინო! — ირაკლიმ ჩურჩულში ბრძანებაც ჩაქსოვა და თხოვნაც. თვითონაც გადმოკურდა ზურაბის ზურგიდან და მარცხენა ხელიც გაინთავისუფლა.

ზურაბმა ნელა ასწია თავი.

პირველი, რაც დაინახა, ის იყო, რომ თორნიკე გელაშვილი გერმანელის ტანსაცმელზე სისხლიან დანას ამშრალეზდა. ხელეშეკრული გვამი თავდაღმა ეგდო, ზურაბი თავს ვერ ხედავდა, უცებ შეამჩნია, გვამმა ცალი ფეხი შეანძრია და მიწას რამდენჯერმე გაუსვა.

თორნიკემ ზურაბს შეხედა. მიხვდა, ზურაბი უხმოდ ტიროდა.

„ეს ლაწირაკი რამ წამომაცუვანინა!“

— გაივლო ბოღმით გულში.

მთვარე უკვე ხეებში ჩამალულიყო.

„თუ არ ვიჩქარეთ, აწი ირივრავებს!“

— ფიქრობდა თორნიკე, მერე ირაკლის მიუბრუნდა.

— დააწყნარე ეგ ბიჭი და წავიდეთ, თორემ ყველას ამოგვხოცავენ.

— აბა, ვაჟაკი არა ხარ? უნდა გამაგრდე. აქ ომი, ძამიკო, ერთ ცინგლიან გერმანელს გინდა გადავაყოლოთ თავი?

— დაწყნარდა? — ჰკითხა გიორგიმ ირაკლის.

— ჰო, წავიდეთ.

— წინ ბონდარენკო წავა, — თქვა თორნიკემ, — თქვენ შუაში ჩაიყენებთ გერმანელს, მე და ზურაბი უკან ვიქნებით.

— უკან მე და ზურაბი ვიქნებით, ასე სჯობია! — უთხრა ირაკლიმ.

— კარგი, ეგრე იყოს! — თორნიკე მიხვდა, ირაკლი სწორს ამბობდა. მის გვერდით ყოფნას შეიძლება კიდევ უფრო გაელიზიანებინა ზურაბი.

თორნიკე გერმანელთან მიხობდა, აქამდე რომ შეშინებული შესჩერებოდა ყოველი მათგანის მოძრაობას. თუმცა, კაცმა რომ თქვას, უკვე იცოდა, რომ მას აღარ მოკლავდნენ.

თორნიკემ ტყვეს დანით თოკი გადაუჭრა, თან ყურში გახეპირებული ფრანჯა ჩასჩურჩულა გერმანულად, ხმა არ ამოიღო, ისე მოგვეყვი, თორემ ღორივით დაგვლავო.

გერმანელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

წინ ბონდარენკო გახობდა.

დანარჩენები უკან ისე მიჰყვნენ, როგორც მოილაპარაკეს. გერმანელის მარცხნივ გიორგი მიხობავდა, მარჯვნივ თორნიკე. ირაკლი და ზურაბი უკან მიჰყვებოდნენ.

ათი წუთი მშვიდობიანად იხოხეს. უცებ ცაში მაშხალა აიჭრა და იქაურობას მწვანე შუქი მოეფინა.

ყველანი მიწას გაეკრნენ.

გერმანელმა პირველმა ჩაარქო თავი მიწაში, მაგრამ თორნიკემ მარცხენა ხელით მაინც მონახა მისი კეფა.

მაშხალა დაიწვა თუ არა, ცოცვა განაგრძეს.

კიდევ ათი წუთი მაინც იხოხეს სიბნელეში. ტყე უკვე ახლოს იყო, ათ წუთში, ალბათ, გააღწევდნენ.

კიდევ რვა წუთი...

შვიდი...

„იქნებ წამოვდგეთ და დანარჩენი მანძილი სირბილით გავიაროთ? მაშინ ერთ წუთში ტყეში ვიქნებით“. — გაიფიქრა თორნიკემ და შუბლიდან ოფლი ჩამოიწურო.

„არ შეიძლება, — დაასკვნა უმაღლესი, — იქნებ სნაიპერები არიან სადმე ჩასაფრებული და მაშხალესაც იმიტომ ისვრიან?“

ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ მაშხალა ისევ აიჭრა ცაში. ისევ გაეკრნენ მიწას ყველანი. თორნიკეს ხელმა ისევ მონახა გერმანელის კეფა. სულ მთლად გახვითქულს მლაშე ოფლი პირში ჩასდიოდა. როცა მაშხალა ჩაქრა

და გზა განაგრძეს, გიმნასტურის სახელოთი სახეზე ოფლი შეიწმენდა.

კიდევ ხუთი წუთი, ოთხი სამხრეთით, თითქოს ახლა უმტყუნათ ნერვებმა, ყველანი მღელვარებამ შეიპყრო, თითქოს სულ ამოეწურათ მოთმინება.

— ჩქარა, ზურაბ, ცოტაც და გადაჩენილები ვართ! — გაიგონა თორნიკემ ირაკლის ხმა.

ზურაბი მთელი გზა წყნარად იქცეოდა. მაშხალის ანთებისას თავს სხვებივით მორჩილად რგავდა მიწაში.

კიდევ ერთი წუთი და ტყეში შევიდნენ.

ყველანი გულაღმა დაეყარნენ ხეების ძირში.

— ხელები შეუჯარი მაგ ძალღიშვილს! — უბრძანა თორნიკემ გიორგის,

— სად გაგვეტყევა, მაცალე სულის ამოთქმა.

— გაიქცეს რა, გიგია? მაგისტვის ომი უკვე დამთავრდა, იქნება აწი ტყვეთა ბანაკში მშვიდად. ჩვენ ვიკითხოთ, თორემ...

გერმანელი მიხვდა, მასზე ლაპარაკობდნენ. იმასაც კარგა ხანია მიხვდა, აღარ მომკლავდნო. თოკის დანახვავზე ამიტომაც გაუწოდა მორჩილად ხელები გიორგის. გიორგიმ ხელები კვლავ ზურგსუკან გაუკოჭა და მცირეოდენი შესვენების შემდეგ გზაც განაგრძეს.

ტყეს თანდათან შეეპარა რიყრაფი. ყველანი მხნედ მოდიოდნენ, შიში თითქმის აღარაფრისა ჰქონდათ. ჩურჩულითაც უფრო ხმაძალდა ჩურჩულებდნენ.

ნახევარ საათში კარგად ინათა.

ზურაბმა ახლა შეამჩნია, რომ თორნიკე და ბონდარენკო სისხლში იყვნენ ამოსვრილნი. გული ისევ დაუძმობდა. ისევ გაიგონა საშინელი ხროტინი.

— რა იყო, გიტირს? — ჰკითხა უცებ თორნიკემ და თან, შერიგების ნიშნად, მკლავში ხელი გამოსდო, — ნუ გეშინია, უკვე სამშვიდობოს ვართ. თან ხედავ, რა მშვენიერი გერმანელი მოგეყავს? რა გინდა, ბიძია, იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული.

ზურაბი ხმას არ იღებდა, თავჩაქინ-

დრული, გულდამძიმებული მიაბიჯებდა. ფეხი აითრია და თორნიკეს ნელ-ნელა ჩამორჩა.

კარგად ინათა.

აღმოსავლეთით ცა გაწითლდა კიდევც. ირგვლივ კვლავ სიჩუმე იდგა. კაცთ ვერ წარმოიდგენდა აქ თუ ფრონტის ხაზი გადიოდა.

ტყე ისეთი სუფთა იყო, კაცს ეგონებოდა, საგანგებოდ დაუგვიათო. ნიავეიც არ ინძრეოდა. არც ჩიტის გალობა ისმოდა სადმე. ალბათ, ფრონტის მიდამოებში სულიერი აღარ ჰქაანებდა.

თორნიკე გელაშვილი წინ მიდიოდა, უკან ბონდარენკო და ხელებშეკრული გერმანელი მიჰყვებოდნენ. ბოლოს კი გიორგი, ირაკლი და ზურაბი მოაბიჯებდნენ.

ზურაბი თითქმის მექანიკურად მისდევდა მეგობრებს. მის ტვინში ათასი დაუმთავრებელი აზრი ტრიალებდა. სხეულში, საღააც შორს, სიღრმეში, საშინელ ტკივილს გრძნობდა. ვერც კი წარმოედგინა, თუ სხეული ასე ღრმა შეიძლებოდა ყოფილიყო, იმდენად შორეული, მაგრამ მწვავე იყო ეს ტკივილი.

ყურში ისევ ჩაესმოდა ამაზრზენი ხროტინის ხმა.

სამშვიდობოსაც გავიდნენ და ყველამ ერთბაშად იგრძნო საშინელი მოქანცულობა და წყურვილი. მათარებში წყალი აღარ ჰქონდათ. უძილობამაც თავისი ქნა.

თორნიკემ ხელით ანიშნა, შევისვენოთო.

ყველანი მოწყვეტილები ჩასხდნენ ნახევარწრედ და ზურგებით ხეებს მიეყრდნენ.

უკან ხელებშეკრულმა გერმანელმა არ იცოდა, რა ექნა და თორნიკეს შეხედა. თორნიკემ ხელით ანიშნა, დაჯექითო. გერმანელი ხეს მიეყრდნო და ისე ჩაჯდა ნელ-ნელა.

— გაუხსნათ ხელები, აწი საღა გაგვექცევა. თუ ჰკუა აქვს, უნდა უხა-

როდეს კიდევ, ტყვედ რომ ჩაგვიტარდა, — თქვა ირაკლიმ. **ერქინული**

— საქმე შემოგვლია? **შეუქლონა** თორნიკემ.

გიორგი მიწას დასჩერებოდა და ხმას არ იღებდა. იგი, ალბათ, ოცნებაში თუ იყო წასული.

ზურაბი დაქინებით მისჩერებოდა თორნიკე გელაშვილს.

გელაშვილმა იგრძნო მისი თვალების ცხელი გამოხედვა.

— რა იყო, ბიჭო, რა დაბოღმილი მიყურებ, მიგქარე, რომ წამოგიყვანე?

— შენ მკვლელი ხარ! — ამოიხრიალა უცებ ზურაბმა.

გიორგი უმაღლეს გამოფხიზლდა, ირაკლიმ წამოიჩოქა. ბონდარენკო გუმანით მიხვდა, ზურაბმა ქართულად რა თქვა.

— ენა ჩაიგდე, შე ძალიშვილო! — კბილებში გასცრა თორნიკემ და ავტომატს ხელი წაავლო.

— შენ მკვლელი ხარ! — თქვა ისევ ზურაბმა. თვალები კიდევ უფრო აემდგრა, სისხლი შემოაწვა, საფეთქლები დაებერა.

— ზურაბ, დაწყნარდი! — წამოვარდა ფეხზე ირაკლი.

— აბა, აბა, არ გინდათ ასეთი ამბავი! — თქვა ბონდარენკომ.

— შენ მკვლელი ხარ, გესმის, მკვლელი! — უფრო ხმამაღლა წარმო-სთქვა ზურაბმა და ასადგომად წამო-იმაოთა.

— გაჩუმდი, შე... — ჩახრინწული ხმით იყვირა თორნიკემ.

— ზურაბ!

— ზურაბ, გაჩუმდი, რას ლაპარაკობ!

ზურაბს საღააც შორიდან ჩაესმა ირაკლისა და გიორგის ხმა.

— შენ მკვლელი ხარ! — წამოიმაოთა ფეხზე ზურაბი და სროლის ხმაც გაისმა.

გავარდა ორჯერ. უფრო სწორად, ერთმანეთის მიყოლებით, ისე ზედი-ზედ, რომ კაცს ერთი გრძელხმიანი გას-როლა ეგონებოდა.

ზურაბი შედგა. ორთავე ხელი გუ-

ლზე იტაცა. თორნიკესკენ მიმავალი წინიდან დაჭახებულმა ძალამ ერთ ადგილზე გააქვავა.

სიტყვით ჩამოვარდა.

ყველანი გაშეშდნენ და ზურაბს მიახერდნენ.

ზურაბს ამღვრეული თვალები დაეწმინდა, მრისხანება ჩაუტკრა, ბავშვური თვალებით ახლა თითქოს გაოცებული შესცქეროდა თორნიკე გელაშვილს.

უცებ მის თითებშეშა სისხლი გამოჩნდა. ზურაბი ბარბაცით შებრუნდა, იმ მხარეს გაიხედა, საიდანაც მზე ეს ესაა უნდა ამოწვერილიყო, ორჯერ შექანდა, მაგრამ თავი შეიკავა.

ყველანი მიხვდნენ, ჭრილობა სასიკვდილო იყო. ამიტომაც შეეკრათ ხელფეხი, აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

ირაკლი ფეხზე გაშეშებულიყო, გიორგი, ბონდარენკო და გერმანელი მუხლებზე წამოჩოქილიყვნენ. თორნიკეს თვალები უაზროდ შესჩერებოდა ზურაბის მოცახცახე მხრებს. ავტომატი ისევ ხელში ეჭირა. ვერ მიმხვდარიყო, სროლა როდის გადაწყვიტა, ან სასხლეტს როდის გამოუსვა ხელი.

ზურაბი კი ისევ განათებულ ზეცას შესცქეროდა, თითქოს მზის ამოსვლას ელოდა, რომ მერე წაქცეულიყო და სულიც დაეღია.

მალე პირველი სხივიც შეიჭრა ტყეში. ზურაბს მუხლები მოეკეცა, უკან გადაიხარა და ხელებგამოიღო გულადმა დაეცა. მკერდი სისხლით ჰქონდა შეღებილი. მერე დაინახეს, ნახევრადგადებული პირიდან როგორ გადმოუვიდა სისხლი.

თავი ყველამ თორნიკესაკენ შეაბრუნა.

თორნიკე თითქოს გონს მოეგო.

— აბა რა გეგონათ! ახლა რა დროს ცრემლები და სინანული, მთელი ქვეყანა ცეცხლშია გახვეული! აბა, ამხანაგო ბონდარენკო, საბუთები ამოუღე! — მერე ირაკლის მიუბრუნდა და ხის ძირში მიგდებულ ზურაბის ავტომატზე ანიშნა, შენ ეგ წამოიღეო.

— დაგვემარხა მაინც! — თქვა ირაკლიმ.

— წავედით-მეთქი, ხომ უნდა გავაქვებოდათ, დავალება გვაქვს შესასრულებელი!

თორნიკეს გადაწყვეტილება საბოლოო იყო.

ირაკლი მაინც დაიხარა ბონდარენკოსთან ერთად. სანამ ბონდარენკო გულსჯიბიდან სისხლში ამოსვრილ საბუთებს იღებდა, მან ზურაბს თვალები დაუხუჭა. ეგონა, გვამი უკვე გაცივებული იქნებოდა, გაოცდა და შეკრთა კიდევ, მისი თითები მიცვალბულის ცხელ ლოყებს რომ შეეხო. უაეირდა ირაკლის, თვალზე ცრემლი რატომ არ მადგებოდა. უაეირდა, რადგან გრძობდა, გული როგორ სტკიოდა, ზურაბი როგორ ებრალებოდა.

— დაუმარხავს მაინც ვერ დავტოვებთ! — ამოიღო ხმა გიორგიმ.

— წავედით-მეთქი, ვთქვი და გავათავე! — თორნიკემ იხევ შემართა ავტომატი.

— რა გაღრიალებს. კაცი მოკალი, ახლა ისიც აღარ გინდა, რომ დამარხო? — გაცოფდა ირაკლი.

— მე რომ არ მომეკლა, ის მიპირებდა მოკლას. ხომ ხედავდი, ჩემსკენ როგორ წამოვიდა.

— სტყუი! ნერვებმა გიმტყუნა და იმიტომ ესროლე! — არ ცხრებოდა ირაკლი.

თორნიკე გელაშვილმა იცოდა, ირაკლი მართალი იყო. ეგონა, მკერდში გულის ნაცვლად გაყინული წყლით სავსე ჭურჭელი მიდევს, რომელიც მეტისმეტი სიცივისაგან სადაცაა გასკდებოდა და ჩაიმსხვრევოდა, ჭერ კიდევ გაბრუებული და გაოგნებული, ქვეშეცნეულად მაინც ხვდებოდა, რა ჩაიღინა. სინდისის მწარე ქენჭნასა და უსაზღვრო სინანულს გრძობდა. ახლა სწრაფად უნდა გასცლოდა აქაურობას, ძალიან სწრაფად. ზურაბის გვამს თვალს არიდებდა. არანდროს მკედრისა არ შინებია, ახლა საშინელმა შიშმა შეიპყრო.

— დაუმარხავს მაინც ვერ დატოვებთ! — თქვა მტკიცედ გიორგიმ.

— თქვენ ისევ თქვენსას გაიძახით? წავიდეთ-თქო, ვთქვი და გავათავე! — თორნიკემ ავტომატი ისევ შემარბა და ფეხზე შეაყენა. თვალეები შემოლივით ევლავდა, სასხლეტთან მიტანილი ხელი ისე უქანალებდა, ყველა შიშმა აიტანა. მიხვდნენ, გონა მოსული თორნიკე გელაშვილი თავისი უნებლიე ნამოქმედარით უსაზღვროდ იტანჯებოდა. იმასაც მიხვდნენ, მეტი აღარ შეეძლო გვამისთვის ექცირა. ცოტაც და ალბათ უარესს ჩაიდენდა...

გულდამძიმებულებმა ერთხელ კიდევ გულსტიკივლით შეავლეს გვამს თვალი, თავები გააქნიეს და გერმანელს ანიშნეს. წავიდეთო. სამთავე მზად იყო, გერმანელს ყელში სწვდომოდა და იქვე მოეხრჩო. რატომღაც სამთავე ახლა მას აბრალედა ზურაბის სიკვდილს. გერმანელი შეშინებული აცეცებდა თვალებს. კარგად ვერ გაეგო, რატომ მოკლა მეთაურმა თანამებრძოლი.

თორნიკე გელაშვილმა ყველანი წინ გაუშვა, ძალიან უნდოდა ზურაბის გვამისათვის აღარ დაეხედა, მაგრამ მაინც გაექცა იქით თვალი. თან შეეშინდა, ამხანაგებმა ერთმანეთში ახელილი ძრწოლა, შიში და სინანული არ შემამჩნიათ. მერე ნელა შებრუნდა და გულდამძიმებული გაჰყვა დანარჩენებს.

* * *

თორნიკე გელაშვილი გასროლის ხმამ გამოაღვიძა. ისროლეს ზუსტად ორჯერ, ერთმანეთის მიყოლებით, ისე ზედიზედ, რომ კაცს ერთი გრძელხმიანი გასროლა ეგონებოდა.

სიცივისაგან შეაჯრქოლა.

პირველად ეგონა, მინდორზე მძინავსო. მერე გაახსენდა, რესტორნის ვესტიბიულში გული რომ შეუწყუნდა. ეგონა, ისევ იქა ვარო. ენერგიულად წამოიწია, ირგვლივ მიმოიხედა. ნელ-ნელა გაარჩია თავისი იაფფასიანი, მკაცრი, ბინაზე უფრო დაწესებულების

შესაფერი ჰალი, ძველებური სტოვანტი, მაგიდა და სკამები.

მიხვდა, შინ იყო და აავიზოვლში ჩასტინებოდა. არ ახსოვდა, სახლში თვითონ მოვიდა, თუ ვინმემ მოიყვანა.

ყურში მაინც უწიოდა რალაცნარი გრძელი გასროლა. უფრო სწორად, ორი გასროლა, კაცს რომ ერთი გრძელხმიანი გასროლა ეგონებოდა.

საიდან ახსოვს ასეთი სროლის ხმა? ნაომარ კაცს გასროლის ხმა როგორ უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ ეს სულ სხვანაირი გასროლა იყო, ყურში რომ უწიოდა.

რასაკვირველია, მშვენიერად ახსოვდა, როდის გაიგონა ასეთი გასროლის ხმა.

„ღმერთო ჩემო, იქნებ სიზმარია ეს ყველაფერი?“

წამოდგომას არ ჩქარობდა, უნდოდა გულში პაწაწინა იმედი ჩაეტოვებინა, რაც ამ დღეებში გადამხდა, იქნებ მართლა სიზმარი იყოო.

ბოლოს მაინც წამოდგა, საწოლი ოთახის კართან ფრთხილად მივიდა და ნელა გამოალო. ისეთი სიმყრალე დაეჯახა, კინაღამ წაიქცა. სანამ კარს სასწრაფოდ მიხურავდა, კუბოს მყისიერად შეავლო თვალი. მიცვალებულს ხელეები ისევ კუბოს სახურავზე ჰქონდა დაჯრეფილი.

გახრწნილი გვამის სუნი. სასადილო ოთახსაც მოედო. სულშეგუბებული ფანჯარას ეცა და გამოალო. ქუჩაში რომ გადაიხედა, შეკრთა. შენობის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ყველანი მალლა იცქირებოდნენ. ორი ასეული წყვილი თვალი, ერთ მძლავრ გამოხედვად შეიკრა და თორნიკე გელაშვილის თვალებს დაეჯახა.

მერე უცებ, ზუსტად ისე, როგორც ღამით თავმოყრილი ტარაკანები სინათლის ანთებისას გაიფანტებიან ხოლმე, ისინიც დაიშალნენ და კისრისტეხით გაუჩინარდნენ.

„ყველამ იცის, ყველამ გაიგო!“

„ეტყობა, მხოლოდ ჩემმა შვილებმა“

არ იციან, აქამდე რომ არ გამოჩენილან“.

„ღმერთო, იქნებ შვილებმა მინც არ გაიგონ, რა უბედურებაცა მქირს“.

„რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“

„საწოლს აქეთ გამოვიტან, იმ ოთახს კი საიმედოდ ჩავეკეტავ, რომ არავინ შეიხედოს“.

„არა, საწოლის გამოტანა არ ივარგებს, შვილებმა რომ მკითხონ, რატომ გამოიტანეო, რა ვუპასუხო?“

შვილების გახსენებაზე გული გაუჩერდა. ქალიშვილი კვირაში ერთხელ მოდიოდა ბინის დასალაგებლად. ერთი გასაღები მას ჰქონდა. თუ მამა შინ არ დახვდებოდა, სახლს თავისი გასაღებით აღებდა და იქაურობას გულმოდგინედ ასუფთავებდა.

„ჩემი ქალიშვილი რომ კუბოს დაინახავს, ხომ გადაირევა შიშით? ან მე რა ვქნა, რა ვუთხრა, ვინ არის მეთქი?“

სასოწარკვეთილი ისევ სავარძელში ჩაეშვა, ციგმა ოფლმა დაახა. მკერდში ისევ იგრძნო უწვრილესი ბურღის მტკივნეული ტრიალი. ჭიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი ჩამოიწმინდა. ცხვირსახოცი ისე დასველდა, თითქოს წყალში ამოავლოო. ახალს ავიღებო, წამოდგომა დააპირა, მაგრამ უშაღვე გაიფიქრა, ახალი ცხვირსახოცები საწოლ ოთახში ჰქონდა, კარადაში. აღარ უნდოდა დაენახა კუბოს სახურავზე შემოხვეული და უცნაური, გამხდარი და მანათობელი თითებით ერთმანეთზე ჩაქიდებული ხელები.

ნელა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ცხვირსახოცი მაგრად გაწურა. თვალი ქუჩას მოავლო. ამჯერად კაცი-შვილი არ ჰკანებდა. ისევ სავარძელთან მივიდა და მოწყვეტით ჩაეშვა. თვალები ჰერს მიაპყრო. კარგა ხანს იჭდა გაუნძრევლად და თვალის დაუხამხამებლად. კაცს რომ შეეხედა, იფიქრებდა, მომკვდარა და ჰერს მიპყრობილი თვალები ღია დარჩენიაო.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე.

უცებ სროლის ხმა ისევ გაიგონა.

ისროლეს ორჯერ, ერთმანეთისა მყოლებით, ისე ზედიზედ, რომ კაცს ერთი გრძელხმიანი გასროლა გაეგონებოდა.

სროლის ხმაზე თორნიკე შეხტა და სავარძლიდან გადმოვარდა, სავარძელი გადაყარავდა და კედელს მიეჯახა.

თორნიკე გელაშვილმა წამოდგომა სცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა. ხელეზზე წამოწეულმა იგრძნო, იატაკი როგორ დაყარავდა, დაემხო და იატაკს გაეკრა. შენობა ჭერ გარდიგარდმო ქანაობდა, მერე უცებ დატრიალდა და იატაკი ჰერის ადგილზე მოექცა. თორნიკეს მოეჩვენა, რომ ჰერადქცეულ იატაკზე ხვლიკევით იყო გაკრული.

შიშმა შეიპყრო, საშინელმა შიშმა, აქედან მოეწყდები და იატაკადქცეულ ჰერს დაეასკდებოო. მთელი ძალ-ღონით მიაწეა იატაკს, თითქოს მიწებებას ცდილობდა, ფრჩხილებით ისე მაგრად ჩაეჭიდა პარკეტს, ტყვილი პირდაპირ თავში ურტყამდა უროსავით. იატაკზე მიჭყლეტილი ლოყები საშინლად უხუროდა. ტყვილს უურადლებას არ აქცევდა, ცდილობდა მარჯვენა ხელისა და ფეხის დაწოლით ოთახი ისევ გადაეზრუნებინა და წალმა დაეყენებინა. ისე მაგრად აწეებოდა, მარჯვენა მხარეს ძვლებს ჰახუზახი გაუდიოდა.

აჰა, ოთახი ოდნავ შექანდა, თორნიკე გელაშვილს გულში იმედი ჩაესახა და უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. ოთახი ნელ-ნელა გადაბრუნდა და ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა.

თორნიკემ შვევით ამოისუნთქა. უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ არაქათი აღარ ჰქონდა. დმშვიდებულმა და მოშვევულმა ღრმად ჩაიძინა.

როცა გაიღვიძა, ეგონა, რომ მთელი საუეუნე ეძინა. ხელის ნუნები საშინლად სტეხდა. მარჯვენა ხელი და ფეხი ისე დაბუფებოდა, ვერც კი ანძრევდა, იატაკზე მიწნეხილი ლოყა სიმბურვალისაგან ვარვარებდა. თვითონ ერთთავად ოფლში იწურებოდა.

ჭერ მარჯვენა ხელი და ფეხი შეანძრია, ძლივს იგრძნო, რომ მოღლილი

და დაბუყებული კიდურები ჯერ კიდევ მას ეკუთვნოდა, კარგა ხანს იფარახალა იატაკზე გაკრულმა. ბოლოს, ძარღვებში სისხლი რომ ამოძრავდა, ნელა წამოდგა.

თავს, მისდა გასაოცრად, შედარებით მშვიდად გრძნობდა. მიხვდა, ეს სიმშვიდე ბედისწერას შეგუებული კაცის უმწიობა იყო.

ფანჯრიდან რომ გადაიხედა, შეკრთა. ქუჩაში ის გრძელთმიანი და სათვალისანი მაღალი კაცი დაინახა, ბაღში რომ იჯდა უძრავად.

უცნობი მისი ფანჯრების წინ სცემდა ბოლთას. მაღლა არ იხედებოდა, ხელები უკან შემოეწყო და წინ და უკან დინჯად დააბიჯებდა.

თორნიკე გელაშვილს თითქოს გონება გაუნათდა და გაიხსენა, სად ნახა ამ კაცის სქელმინებიანი სათვალე და ჩამოსიებული უბეები, ამ სათვალის უკან რომ მოჩანდა.

„ის არის, ღმერთო გამახსენე მისი სახელი, ნამდვილად ის არის!“

თორნიკემ მესხიერებას ძალა დაატანა.

„ის არის, ნამდვილად ის არის და თუ არ ვცდები, ვასილი ჰქვია!“

* * *

— ბატონო ჩემო, სიგარეტს ხომ არ მომაწვევინებ?

ფიქრში წასული თორნიკე რობრობა ხმამ შეაკრთო. გამოერკვა, უცნობს ახედა. თვითონ თორნიკე საკმაოდ მაღალი იყო, ყოველ შემთხვევაში, საშუალოზე მაღალი მაინც ეთქმოდა, მაგრამ უცნობი თავზე დასჩერებოდა. არა, ეს იმის ბრალი სულაც არ იყო, რომ შეღმართში უცნობი ზემოთ იდგა. იქნებ ამ შეღმართმა რამდენიმე სანტიმეტრითაც გაზარდა კიდევ მათ შორის სიმაღლეში განსხვავება, მაგრამ მაინც თორნიკეზე გაცილებით მაღალი იყო... გრძელი, ჭლარა თმა მხრებამდე სცემდა, სათვალის სქელი ოპტიკური მინები კაცს უმაღლეს თვალში ეცემოდა. შავი, ალბათ, ხშირი უთოობისაგან აპრიალებული კოსტუმი ეცვა. ძველ-

მოღურ თეთრ პერანგზე ასევე ძველ-მოღური ფართო ჰალსტუხი ეკეთა. სათვალის უკან დასიებული თვალის უბეები მოუჩანდა, ალბათ, თირკმელები სტკიოდა.

— ინებეთ, — თორნიკემ პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და უცნობს მიაწოდა. თან გაუკვირდა, ამ ასაკში ასეთი ხალხი...

— ოპო, მოსკოვეურია? გულახდილად რომ გითხრათ, მშვენიერი სიგარეტია, მაგრამ მე მაინც ჩვენებული „კოლხეთი“ მიჩვენია.

უცნობმა სიგარეტი ამოიღო და პირში გაიჩარა.

თორნიკემ კოლოფი ჯიბეში ჩაიღო და წასვლა დააპირა, მაგრამ შენიშნა, უცნობი ადგილიდან არ იძვროდა. მიხვდა, მოკიდებას ელოდა.

— თქვენ არც ასანთი გქონიათ! — ღიმილით შეაპრა დაცინვაშერეული გულსწყრომა და ჯიბიდან ასანთი ამოიღო. აშკარად არ იყო უცნობთან ლაპარაკის გუნებაზე.

„სად მინახავს ეს კაცი?“ — ფიქრობდა იგი, მაგრამ კვლავ დაებინდა გონება და ვერაფრით ვერ გაიხსენა, სად ჰყავდა გაცნობილი.

უცნობმა არად ჩააგლო თორნიკეს დამკინავე გულსწყრომა, ასანთი გამოართვა და სიგარეტს დინჯად მოუკიდა.

„ვიცნობ კი? ალბათ, არასდროს არ მინახავს, თორემ ამ გრძელ თმას და ამსისქე მინებიან სათვალეს რა დამავიწყებდა“. — დაასვენა თორნიკემ და ისეთი შეება იგრძნო, თითქოს რაღაც დიდი პრობლემა გადაჭრა.

— თუ ნებას დამრთავთ, თქვენთან ერთად გავაგრძელებ ზვას! — უცნობმა თორნიკეს ასანთი დაუბრუნა, მარცხენა მხრიდან ამოუღდა და ხელკავი გაუკეთა.

„ცაცაიაა!“ — დაასვენა თორნიკემ, როცა უცნობმა სიგარეტი მარცხენა ხელში დაიჭირა. თან გული მოუვიდა, უნდოდა ეთქვა „დიდი აბეზარი ვინმე ბრძანებულხართ, მე თქვენთვის არა

მკალიაო“, მაგრამ გრძელთმიანმა უცნობმა სიტყვით ამოღება არ დააცალა.

— დღეს ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი, ბატონო ჩემო, გულწრფელად უნდა გითხრათ, შინ ვერ გავძელი და ქუჩაში გამოვედი.

„რომელი მხრიდან მოდიოდა, როცა გამაჩერა?“ — დაფიქრდა თორნიკე, — „რასაკვირველია, საპირისპირო მხრიდან, ის ხომ ზემოთ იღვავა, როცა სიგარეტი მომთხოვა“.

არც ეს დასვენა იყო მცდარი, უცნობი მართლაც საპირისპირო მიმართულებით მიდიოდა. წინა დასვენისაგან განსხვავებით ამ სწორმა დასვენამ დიდად ვერაფრად გაახალისა, მიხვდა, უცნობს იოლად ვერ დაუძვრებოდა.

„რა პროფესიის იქნება?“ თორნიკემ ბოლმიანი თვალებით ჩაათვალიერა უცნობი.

უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩათვალიერება მოუწოდოდა, მაგრამ სათვალისა და ისე ჰყავდა მარჯვენა ხელით ჩაბღუჯული, თორნიკეს უკვე ეჭვი შეეპარა, რომ უცნობი ცაცი იყო.

მხოლოდ მის ენერგიულ პროფილს შეავლო თვალი და უმწეობა იგრძნო. უცნობი თითქმის მთელი თავით მაღალი აღმოჩნდა. თან ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ამ გრძელთმიან და ოდნავ მუცელგამობერილ გიგანტს ბაკიასავით ჰყავდა ილღის ქვეშ ამოჩრილი.

„მანც რამდენი წლისა იქნება? ალბათ, სამოცდახუთის ან იქნებ ცოტა მეტის...“

— დიხ, გულწრფელად უნდა გითხრათ, შინ ვერ გავძელი და ისევ ქუჩას მივაშურე...

„ჰმ, გულწრფელად უნდა გითხრათ“...

— შეხედეთ ამ შენობებს, ბატონო ჩემო, ბეტონის ამ საცოდავ კუბიკებს. განა მის კედლებში იპოვის კაცი მყუდროებას? მყუდროებას ვინ დაეძებს, სულს არა აქვს გასაქანი, ბატონო ჩემო,

სო, სულს! საშინელებაა, როცა კედლები არ სუნთქავენ!

უცნობი შეჩერდა, მაგრამ კესათვის ხელი არ გაუშვია, ამჭერად მძლავრი, გრძელი თითები მკლავზე შემოაქლო და თვალებში ჩახედა, აინტერესებდა, მტკიცე ბარიტონით და ხაზგასმული არტისტიზმით წარმოთქმულმა ფრაზამ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

„სამოცზე მეტის არაფრით არ იქნება“, — დაასვენა თორნიკემ და უცნობის გრძელ თითებს ზიზღით დახედა, მარწუხებივით რომ შემოსალტოდა მკლავზე.

— თავი კერზე მაქვს შებჭენილი, უფრო ზუსტად, ხელს სანახევროდ ვერ გამართავ კერამდე. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს კედელში ჩამატანეს, თავზე ბეტონს ზანტად მაყრიან და ნელ-ნელა მაცემენტებენ, აჰა, სადაცაა დამაყრიან კიდევ ერთ ნიჩაბ ბეტონს და ჩემს სულსაც სამუდამოდ ჩააცემენტებენ ამ საშინელ ბუნეკარში. ხორცს ვინ დაეძებს, ბატონო ჩემო, სულს, სულს ჩააცემენტებენ სამუდამოდ!

ჰაუზა, ანთებული თვალები, შემდეგ ხმადაბლა, თითქოს საიდუმლოდ:

— და იცით, რა საშინელებაა ბეტონის მასაში ჩაკირული ადამიანის გაწეილი, დაცხავებული და გაბრტყელებული სული? (ჰაუზა, ეგლავ ანთებული თვალები, შემდეგ ისევ ხელკავი და დამცინავი ინტონაცია) შემდეგ მოვა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვინმე მეცნიერი, შეიძვეალის დამზარული რკინაბეტონის ბარჩხს და როცა იპოვის გამბრტყელებულ, თეთრად დალაქულ, ბუშტუკებთან სულს, აგტორიტეტულად დაასვენის, სეწარმოო წუნიაო.

„ვთომო ინენერია? არავითარ შემთხვევაში!“

— გულწრფელად უნდა გითხრათ, დღეს ერთი უცნაური ამბის შემსწრე გავხდი. მთელი დღეა აფორიაქებული ვარ. შინ ვერ გავძელი. თქვენ იცით, ყმაწვილო, რას ნიშნავს მარტოობა?

„ყმაწვილო“. განა შეიძლება შენზე

უფროსს, სამოცდაათს მიტანებულ კაცს ყმაწვილი უწოდო?"...

— მარტოობავ, მარტოობავ! (პაუზა) თავისი ტრაგიკულობით რომელი სობლეს მივა ახლოს სულის მარტოობასთან? „საბრალოა მხოლოდ სულითობოლი“, გახსოვთ, ალბათ, დიდი ბარათაშვილი...

„ვითომ პოეტი? არავითარ შემთხვევაში, უფრო მუსიკოსია, ან ოპერაში გუნდის მომღერალი. შეიძლება ექიმიც იყოს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არც პოეტი, არც ინჟინერი“.

— თორნიკე ბატონო, ამოდენა ქუჩაში ერთ ურნას ვერ იპოვი, რომ სიგარეტის ნაშვვი გადააგდო!

„თორნიკე ბატონო“, ყურმა ხომ არ მომატყუა? არა, ნამდვილად ასე თქვა, „თორნიკე ბატონო!“ მაშ მიცნობს? გამოდის, რომ მეც ვიცნობ. საიდან? როგორ?“

— დიახ, მივედი დღეს სამახურში და შევეუდექი ავარტალური ბალანსის გამოყვანას.

„ბულალტერი ყოფილა“.

— ყველანი წყნარად ვმუშაობდით. თითქოს წინასწარ ვგრძნობდით, როდესაც საშინელი ამბავი უნდა გაგვეგო. ბაღლობა დმერთს, აქ მაინც დაუდგამთ ერთი ურნა. — უცნობმა თორნიკეს ხელი უშვა, ურნასთან მივიდა და სიგარეტის ნაშვვი ჩააგდო, შემდეგ ხელი ისე ჩაიფერთხა, თითქოს მტერი მოიშორაო და თორნიკესაკენ დინჯად გადმოდგა ნაბიჯი. ამჯერად, ხელკავი აზრდაც არ მოსვლია. გრძელი ხელები გულზე გადაიჭდო და განაგრძო.

— თორნიკე საათი იქნებოდა დაწყებული, დაწესებულებაში ტირილი და აურზაური ატყდა.

თავი ავეწიე. დერეფანში ხალხი დაბროდა. ჩვენებიც წამოიშალნენ, შეშფოთებულებმა დერეფანს მიაშურეს. როცა კარი გამოაღეს, უფრო მძლავრად შემოიჭრა ტირილისა და მოთქმის ხმა. გულმა უცნაურად დამიწყო ცემა.

შეშინებული წამოვდექი, ოთახში მართო მე ვიყავი დაოჩენილი.

— ბატონო ვასილ, გაიგეთ, რა საშინელება მომხდარა? — შემომპირად დერეფანში ჩემმა ახალგაზრდა ბულალტერმა ქალმა.

„აჰა, ვასილი“.

— რა მოხდა, აღარ მეტყვი, ადამიანო?

— გოგი დაღუპულა ავარიში.

— რომელი გოგი? — ვიკითხე განგებ, თუმცა კარგად ვიცოდი, დაწესებულებაში მხოლოდ ერთი გოგი გვეყავდა, გოგი სალაძე, საპროექტო განყოფილების გამგე.

— ჩვენი გოგი, გოგი სალაძე! — ამოიკენესა ჩემი მიუხვედრელობით გაოცებულმა. მშვენიერი ცისფერი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მუხლი მომეკეცა. თითქოს გონი დავკარგე. როცა გამოვერკვიე, იქვე ვიჯექი, დერეფანში, სკამზე. ახლა მე გოგიზე აღარ ვფიქრობდი, მშვენიერ, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ინტელიგენტ კაცზე. ვფიქრობდი იმ სკამზე, რომელზეც მე ვიჯექი. რა დამემართა? წავიქეცი? იქნებ ჩავიკეცე და ჩვენიანებს ვყავდი დაქერილი, სანამ სკამს მომიტანდნენ? მაინც როდის მოასწრეს სკამის მოტანა?

დამერწმუნებით, როგორ უნდა ემოქმედა იმ ახალგაზრდა კაცის დაღუპვას ჩემზე, ასეთ დღეში რომ ჩავვარდი! იქნებ კიდევ მიბოძოთ სიგარეტი?

თორნიკეს თვითონაც მოუნდა მოწვევა, მაგრამ რატომღაც იუხერხულა ჩიბუხის ამოღება.

— მართლაც საშინელი ამბავი მომხდარა! — თქვა თორნიკემ და თან სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

— დიახ, საშინელი, ბატონო ჩემო, მეტისმეტად საშინელი! — სიგარეტი ამოიღო და ასანთს დაელოდა.

გულმოსულმა თორნიკემ ჩიბიდან ასანთიც ამოიღო. გუნება ისე გაუფუჭდა, ამ წუთში ფეხებზე ეკიდა ეს უცნობიც და ის ვიღაც ინტელიგენტი

ახალგაზრდაც. ავარიასი რომ დაღუპულა.

— ჭერ გული თვითონ გოგიმ დაგეწყვიტა, ამ შესანარჩუნებმა ახალგაზრდამ (ნაფაზი, პაუზა). ოცდაათი წლისაც არ იყო. ახლა აქეთ მისი მეუღლე და ორი ბავშვი... დიდი ცოდვის ტირილი დატრიალდა, დიდი...

პაუზა.

„მგონი უახლოვდება ჩვენი საუბარი დასასრულს. რაკილა გული ამოიბერტყა, აწი შემეშვება“.

თორნიკეს გუნება გამოუეცოდა. თან გაუკვირდა, ახალგაზრდა კაცის ტრაგიკულმა ამბავმა ოდნავადაც რომ არ იმოქმედა მასზე. იქნებ იმიტომ, რომ ასეთი ამბები ყოველდღიურად ესმოდა? ან იქნებ იმიტომ, რომ იმ საცოდავ გოგი სანაძეს თუ სალაძეს არ იცნობდა და, ეს ვიღაც გრძელთმიანი უცნობიც, ვასილი რომ რქმევია სახელად, ძალზე აღიზიანებდა? ისიც უკვირდა, ჩემი სახელი საიდანღა იცნისო.

„იქნებ ჩემს მახლობლად ცხოვრობს სადმე? არა მგონია, არ შეიძლება ეს კაცი ერთხელ მაინც დამენახა და არ დამმასხოვრებოდა. არა, „ამხანაგი ვასო“ წამდვილად არ ცხოვრობს არც ჩვენს შენობაში და არც ჩვენს ქუჩაზე. ალბათ სადმე ახლომახლოს თუ აქვს ბინა“.

— გულწრფელად უნდა გითხრაო, ძალზე შემაწუხა გოგის დაღუპვამ, მაგრამ რასაც ახლა გეტყვით, სწორედ ისაა მთავარი, სწორედ ისაა ყველაზე შემამფოთებელი და სამწუხარო!

— კიდევ მოხდა რამე? — შეეკუმშა გული ისევ თორნიკეს. მიხვდა, „ამხანაგ ვასოს“ ასე იოლად ვერ დაუსხლტებოდა ხელიდან. თამბაქოს სუნი სცემდა. თვითონაც ძალიან მოუნდა მოწვევა, მაგრამ რატომღაც ჩიბუხის ამოღება ძალზე ეუხერხულებოდა.

— დიახ, ბატონო ჩემო, დიახ! მოხდა საშინელი რამ! მთელი ჩვენი უზარმაზარი სამმართველო ტიროდა. ტიროდნენ ყველანი — შიკრიკიდან დაწყებული და მმართველით დამთავრებუ-

ლი. დარწმუნებული ვარ, ყოველი მათგანი გულწრფელად განიკდებდა გოგის დაღუპვას. იგი კარგი ახალგაზრდა იყო, ძალიან კარგი ახალგაზრდა. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, თუ ყველას არ უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, არავის სძულდა. ერთი სიტყვით, ცრემლები, სინანულის სიტყვები და გულისტკივილი — ყველაფერი გულწრფელი და ალალი იყო. და, აი, აქ ხდება მთავარი! — თვალეები ისევ წამოვითო, ხმაში საზეიმო (!) ინტონაციაც შეეპარა, — დიახ, აი, აქ ხდება მთავარი! ერთი საათის შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ გოგი სალაძე ცოცხალი გადარჩენილა, უფრო მეტიც, მსუბუქად დამტვრეულა, მხოლოდ ფეხი მოუტეხია!

— შერე?

— შერევე! ჰა-ჰაა! შერე და ის, რომ გოგი სალაძის გადარჩენა ბევრს ეწყინა. არა, იქნებ მე ზუსტად ვერ გამოვცემ სიტუაციას. რასაკვირველა, გოგის გადარჩენა ყველას გაეხარდა, გულწრფელად გაეხარდა, მაგრამ მთავე დროს ეწყინათ კიდევ, რომ სენსაცია არ შედგა! ბატონო ჩემო, გთხოვთ სწორად ჩასწვდეთ ამ სიტყვებს, სენსაცია არ შედგა, ცხოვრების, ყოველდღიურობის ერთფეროვანი სტერეოტიპი არ დაირღვა. გოგი სალაძის სიკვდილი გულწრფელად ეწყინა ყველას, მაგრამ ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ მოსაწყენი, უმოქმედო წონასწორობა დაარღვია. აღამიანები გამოაცოცხლა, ახალმა, სამწუხარომ, მაგრამ მაინც ახალმა სიომ დაძებრა მათი დამყაყებელი ტვინის ბნელ ხვეულებში, ალაგზნო მათი ტვინის გლუვი და დალუქული უჯრედები... განსხვავებული სამუშაო და განსხვავებული სალაპარაკო გაუჩინა... ამ დროს კი... ყველაფერი ჩაიფუშა, გოგი სალაძეს მხოლოდ ფეხი მოუტეხია! ავტოკატასტროფა და ფეხის მოტეხვაც არაა პატარა საქმე... მაგრამ... მაგრამ არ კმარა დამყაყებელი ბალანსების დასარღვევად!

უცნობი შედგა, თორნიკეს თავისი

მძლავრი ხელები მხრებში ჩაავლო და თვალეში ჩახედა. თორნიკე ძალზე შეაშინა უცნობის თვალეში. „ბატონი ვასილის“ გუგებს უკან ელექტრონათურები ენთო, ისინი წვრილ ელექტროშუქს ასხივებდნენ. სად უნახავს ასეთი წვრილი სხივი? გაახსენდა, ერთხელ თვალის ეჭიმვა გასინჯა, ის მონიკლებული, მრგვალი, სარკისებური ინსტრუმენტიც აღიდგინა გონებაში, ეჭიმს რომ შუბლზე ეკეთა... უსიამოვრძობამ შეიპყრო, თითქოს უცნობი ამ სხივით მის სულში ეძებდა რაღაცას, თითქოს მისი ტვინის ზვეულებში დაბორილებდა რაღაც საიდუმლოს შესაგრძობად და ამოსაკითხად.

უცებ ვასილის თვალეში უკან ელექტრონი ვილაცამ გამოთიშა, თორნიკეს ახლა ჩვეულებრივი მოშავო-მოწაბლესფრო თვალეები ჩასჩერებოდა.

— ასეა, ყმაწვილო, საჭმე. ბალანსები ბუღალტერიაშია კარგი, ადამიანების სულში და გუნებაში კი წონასწორობა მხოლოდ დამყაყებას, მოდუნებასა და უმოქმედობას იწვევს. უმოქმედობისას კი ენერჯის შკალაზე მაჩვენებელი ნულამდე დადის ეს კარგად დაიმახსოვრე, ყმაწვილო!

„ყმაწვილო!“

უცნობმა ორთავე ხელი ერთდროულად მოაშორა თორნიკეს მხრებს, სიგარეტი ერთხელ კიდევ მოჭაჩა, შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა.

თორნიკე მიხვდა, უცნობს სიგარეტინი ხელით ჰყოლია ჩაბლუჭული და უნებურად მარჯვენა ბეჭი ჩაიფერთხა, ფერფლი ხომ არ დამყაყარო, მერე ხელი ჭიბეში ჩაიყო და ჩიბუხი ამოიღო.

* * *

თორნიკემ მესამე დღეს შენიშნა, კუბოს ლრიკოებიდან თმისა და წვერს გამოელწია.

შეფიქრიადა.

ოთახის კარი დაკეტა და სავარძელში ჩაქდა.

თმა და წვერი ერთ სანტიმეტრზე იყო გამოსული კუბოდან.

„რას ნიშნავს ეს?“ ვინ იცის, მერამდენედ ფიქრობდა თორნიკე მცაათასედ? მეათათასედ? იქნებ შემზღვევნიჭერაც.

„მოვიდა აღსასრული“.

ძნელი იყო ამ აზრთან შეგუება.

მკლავზე დაიხედა, კუნთები უკვე მორბილებოდა, მაგრამ ისე არა, მისი ასაკის ხალხს რომ ემართება ხოლმე. თავის ტოლებთან შედარებით ათი წლით უმცროსად გამოიყურებოდა. თმა, მართალია, გასკლარავევოდა, მაგრამ მაინც კარგად შეენარჩუნებინა კვლავ გამართული დადიოდა, ფართო მკერდიც ლაღად ჰქონდა გაშლილი. ოღონდ მუხლებში ოდნავ მოხრილიყო. თვალსა და ყურს არ აკლდა, ავადმყოფობასაც არ უჩიოდა.

„მოვიდა აღსასრული“, — კვლავ სინანულით გაიმეორა თორნიკე გელაშვილმა გულში.

უბედურება ის იყო, არ იცოდა, ამ აღსასრულს როგორ შებრძოლებოდა. პირველსავე წამებში დარწმუნდა, კუბოს ძვრას ვერ უზამდა, გვაშს გარეთ ვერ გაიტანდა. ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

„ბედისწერას ვერ გაეჭკევი“, — თავიდანვე მიხვდა თორნიკე.

უკანასკნელმა სამმა დღემ სულ გამოცვალა თორნიკე გელაშვილი. თვალეები ჩაუჭრა, ძილი გაუტყდა, გული მოუდუნდა. სანახევროდ სავარძელში იჭდა, დივანზე არ წევებოდა, სავარძელშივე ედილობდა დაეძინა. როგორც კი ჩაიძინებდა, გრძნობდა, ბინაში ვილაცები შემოდდიოდნენ და ფრთხილად, ფეხაკრფით დააბიჯებდნენ.

ვერ გაიგო, საიდან შემოდდიოდნენ ან რას აკეთებდნენ. კარი საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი. მათი შიშით ჩაძინების წინ ფანჯრებსაც კი კეტავდა. გახრწნილი გვაშის სუნი სულს უხუთავდა, სუნთქვა უჭირდა, იხრჩობოდა. მთელი ბინა ისე ყარდა, უკვირდა, როგორ ვძლებო.

გამოიღვიძებდა თუ არა, „ისინი“, საიდანაც რომ შემოდდიოდნენ უორ-

ნიკეს ბინაში, უმაღლვე გაუჩინარდებოდნენ ხოლმე. გამოღვიძებული უმაღლვე ფანჯრებს ეცემოდა, იქნებ როგორმე პაერი გაეწმინდო. ბოლოს სულ შეეშვა ფანჯრების დაკეტვას. „ისინი“ მაინც შემოდიოდნენ ოთახში. „მათთვის“ დაბრკოლება არ არსებობდა.

თორნიკე გელაშვილს იმეც ძალზე აშინებდა, ნაცნობ-მეგობრები ან შვილები არ მეწვიონ და საძინებელ ოთახში არ შეიხედონო. საძინებელ ოთახში გასასვლელ კარს მეორე გასაღებიც დაუყენა.

სუნ?

სუნს ვერაფერი მოუხერხა.

ოთახს ვერც ღია ფანჯარა ანიაგებდა და ვერც ორბირი ქარი. გვამი საშინლად ყარდა.

ბოლოს რომ ჩაეძინა, ოთახში კვლავ „ისინი“ შემოვიდნენ. თორნიკე გელაშვილი დიდად აღარც კი აღელვებულა. თითქოს შეეჩვია კიდევ მათ ფრთხილ ნაბიჯებს.

რამდენჯერმე სცადა „მათი“ სახეები დაენახა, მაგრამ ვერასდროს ვერ მოასწრო, „ისინი“ თითქოს წინასწარ გრწმობდნენ, თორნიკე თვალს რომ გაახელდა და კედლებში უჩინარდებოდნენ. თორნიკეს უყვირდა, რომ კედელზე არამცთუ ნაპრალები, უბრალო განაკაწრიც კი არ რჩებოდა.

„ალბათ, ისინი არიან, სადარბაზოში რომ შემხვდნენ და ჩემს დანახვაზე გაიჭკენენ“.

„იქნებ ბონდარენკო, ირაკლი და გიორგი არიან?“ — გაახსენდა თორნიკეს თავისი თანამებრძოლები, იმ დაწყველილი დღიდან ერთი თვის შემდეგ რომ დაიღუპნენ ხელჩართულ ბრძოლაში.

„ნამდვილად ისინი არიან, არ მაპატიეს, ზურაბი რომ არ დაგამარხვინე“, ეტყობა, არ მაქმარეს საჯარიმო ბატალიონში სისხლით რომ გამოვისყიდე დანაშაული“.

„არიან კი ისინი?“ — შეეპარა მაინც ეჭვი.

თორნიკეს მათი ხელის მტევნები გა-

ახსენდა, მოწითალო-მოოქროსტაო შეუქს რომ გამოსცემდნენ. ფეხსაცმელს უდგა, კიბის მოაჯირზე როგორ ფრთხილად მოსრიალებდნენ უცნაურად მანათილი თითები.

უცებ ტირილი ჩაესმა.

ჭერ კიდევ ეძინა, ბოლომდე არ იყო გამოფხიზლებული.

ტირილი კი აშკარად ესმოდა.

თვალი გაახილა. გონი მოიკრიბა. მიხვდა, ვიღაც გვამთან იჯდა და ხმადაბლა მოსთქვამდა.

ეტყობოდა, მარტო იყო.

თორნიკე საეარძლიდან წამოიმართა.

სავარძელი შეინძრა თუ არა, მეორე ოთახში ტირილი შეწყდა.

საძინებელ ოთახში გასასვლელი კარი დაკეტილი იყო. გასაღები ჩიბეში ედო. თორნიკე კართან წელა მივიდა, ჩიბიდან გასაღები ამოიღო, აკანკალებული ხელით მოარგო და ფრთხილად გადაატრიალა. კარი ძალზე წელა და უხმაუროდ გამოალო და ღრიტოში შეიხედა.

ოთახში არავინ ჩანდა.

კუბო ისევ ისე იდგა, ოღონდ თმა და წვერი ძალზე წამოზრდოდა მიცვალებულს, კუბოს ღრიტოებიდან ერთ მეტრზე გადმოფენილიყო.

თორნიკე გელაშვილმა იქაურობა კარგად მოათვალიერა, მერე კარი კვლავ ჩაკეტა და გასაღები ჩიბეში ჩაიღო.

ერთხანს ასე იდგა გაშეშებული, მერე სწეული, დაუძლურებული მოხუცივით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და კვლავ სავარძელში ჩაეშვა.

უნებურად მეუღლე გაახსენდა, ორი წლის წინ რომ მოუკვდა. დასაფლავების შემდეგ ქალიშვილმა უთხრა, რამდენიმე ღამეს შენთან გავათევ, ან შენ გადმოდი ჩვენთან. იქნებ რამე დაგვირდესო. ქალიშვილის ნათქვამი ნიშნავდა, მარტო დარჩენილს არ შეგეშინდესო. შვილის ნათქვამის აზრს კარგად მიხვდა თორნიკე გელაშვილი.

სიკვდილის მეტი რა მინახავს ფრო-

ნტზე, ჩემი ნუ გეფიქრებო, ჩაიციხა მწარედ თორნიკემ.

ქელუხის შემდეგ ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ და შინაურებმა სუფრაჲ მიალაგეს, ქალიშვილმა კიდევ ერთხელ შესთავაზა მამას, შენ თუ არ წამოხვალ, მე დავრჩები შენთანო.

— არა, შვილო, არა, მარტო ყოფნა მირჩევნია! — მიუგო მტკიცედ თორნიკემ.

როცა კიბეზე მიმავალთა ხმაური მიწყდა, თორნიკე ოთახში შებრუნდა და კარი ჩაკეტა პოლიდან დიდ ოთახში შევიდა, სადაც შუადღემდე მეუღლის კუბო ესვენა, ხოლო შემდეგ საქლევზე სუფრა იყო გაშლილი. კარებშივე გაჩერდა, ოთახს თვალი მოავლო და ჭიბიდან ჩიბუხი ამოიღო. ოთახი უჩვეულოდ დიდი მოეჩვენა. მაგიდიდან საფერფლე აიღო, სავარძელთან მიმედ მივიდა და ჩაცმული წამოწვა. საფერფლე იატაკზე დადო. ფიქრმა წაიღო. კარგა ხნის მერე ჩიბუხი მოჭაჩა. ჩამჭრალიყო. აღარ გაუღვივებია, საფერფლეზე დადო და თავდაღმა ჩაემხო.

სიცივემ გამოაღვიძა. ჭიბიდან საათი ამოიღო და დახედა. ღამის ორი სრულდებოდა წამოდგა, საძინებელ ოთახში შევიდა. იქ მეუღლის საწოლი უკვე აეღოთ. საძინებელი ოთახიც დიდი მოეჩვენა, დიდი და უპროპორციო. იგი ტრაპეციას ჰგავდა, მეუღლის საწოლის აღების შემდეგ განთავისუფლებული კუთხე რომ ჰქონდა დიდი. ტანსაცმელი გაიხადა, ჩვეულებითვის არც ახლა უღალატნია, კარადაში ჩამოკიდა და ლოჯინში ჩაწვა. ოთახში მკრთალი შუქი შემოდიოდა და ჭერზე უცნაური ფორმის ჩრდილები იხატებოდა. თორნიკე ჩრდილის ფიგურებს მისჩერებოდა, ოღონდ მათზე სრულებით არ ფიქრობდა. მერე თვალი ნელ-ნელა მოეხუჭა, რული მოერია. ძილი მაინც გაუტყდა, ეტყობა, წედანდელმა პატარა წაძინებამაც იმოქმედა. თვალი კი ჰქონდა დახუჭული, მაგრამ არ ეძინა. ამ გაურკვეველ მდგომარეობას არც ძილ-

ღვიძილი ეთქმოდა. უფრო გამოთიშულ აღამიანს ჰგავდა.

მთელი ღამე იბორბა, მაინც ვერ დაძინა.

ყველაფერი კი მეორე დღიდან დაიწყო. ჩაწვა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა. ძილში ვიღაცის ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაიგონა. ყური ცქვიტა. ოთახში ვიღაც ფეხაკრფით დადიოდა. თვალი ოდნავ გაახილა, ნაბიჯების ხმა მიწყდა, ალბათ, მომეჩვენაო, გაიფიქრა და ისევ ჩაიძინა. ახლა უფრო ვარკვევით ჩაესმა ძილში ფრთხილი ნაბიჯების ხმა. აშკარა იყო, ოთახში ვიღაც დადიოდა და რაღაცას დაეძებდა. თორნიკეს თვალის გახელისთანავე ნაბიჯების ხმა წყდებოდა. ასე გრძელდებოდა ყოველდღე ერთი კვირის მანძილზე.

„ალბათ მეუღლის ნაბიჯების ხმა მეჩვენება“, — ფიქრობდა თორნიკე.

ეს აზრი იმდენად სარწმუნოდ მიიჩნია, რომ არ აფორიაქებულა, შიში ან რაღაც უსიამო გრძნობა არც კი დაუფლებია.

მაგრამ...

შაბათი დღე იყო, ქალიშვილმა მამას მიაკითხა, და, ჩვეულებისამებრ, ბინის დალაგება დაიწყო. თორნიკე გელაშვილმა გადაწყვიტა, ქალიშვილს ხელს არ შევეშული, მარტო დაეტოვებ, მე ბაღში ჩავალ და პენსიონერებთან საუბარს გულს გადავაცოლებო.

სიგარეტის ახალი კოლოფი ჭიბეში ჩაიღო, ხელით ჩიბუხიც მონახა, ხომ მაქვს ჭიბეშიო და ის იყო წასვლა და აბირა, რომ უცებ ქალიშვილმა ცივად შეკვივლა...

თორნიკეს კარის გამოსაღებად გაწვილი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

— რა მოხდა?

ფერდაკარგულ ქალიშვილს ხმა არ ამოუღია, ფანჯრის რაფაზე ფარდის უკან მდგარ ჭიქას დასწვდა და მამას დაანახა. თორნიკე გელაშვილი ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს პირში გაცხელებული ფისი ჩაასხესო.

წყლიან ჭიქაში მეუღლის კბილის პროთეზი იღო.

— რა იყო, მამა, რა დაგემართა? — შეკვივლა ქალიშვილმა ისევ, მამის აალებული სახე რომ დაინახა. კიქა ისევ რაფაზე დადო და მამას მივიარდა.

— მიშველეთ! — უმწეოდ შეკვივლა მან, მამის გავარვარებულ ხელებს რომ შეეხო.

— არ გინდა არავინ! — თორნიკე გელაშვილმა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ მიმართა შვილს.

ქალიშვილი გაუბედავად შედგა.

— წყალი ხომ არ დაგალევეინო?

— ჰო!

ქალიშვილი გავარდა და სამზარეულოდან წყალი მოურბენინა.

თორნიკემ ხელი მძიმედ გაუწოდა, კიქა ჩამოართვა და ერთი ყლუპი მოსვა. ქალიშვილი მიხვდა, რომ თორნიკე დაწყნარდა. თვალებს მშვიდი გამოხედვა დაუბრუნდა, აალებული სახეც დაუწყნარდა. მაინც მზადო შუბლზე ხელი.

— ეჭიმს ხომ არ დავუძახო?

— არა!

— იქნებ წნევა გაგისინჯო?

— არაფერი არ არის-მეთქი საჭირო!

ქალიშვილი აღარ გასძალიანებია. მიხვდა, მამა საბოლოოდ დაწყნარდა, პროთეზის დანახვით გამოწვეულმა ელდამ გაუარა.

— ამას (ქალიშვილმა განგებ არ თქვა, კბილის პროთეზსო) მე წავიღებ და დაფლავ დედაჩემის საფლავზე.

— არა, მე თვითონ წავიღებ!

თორნიკემ ახლა უკვე იცოდა, ვინ დადიოდა ოთახებში ღამით ფეხაკრეფით. ისიც იცოდა, რას დაეძებდა მისი მეუღლე თუ მეუღლის ლანდი.

ჭერ ქალიშვილი გაისტუმრა შინ, ნუ გეშინია, შვილო, მე ძველი მგელი ვარ. იოლად ვერაფერი დამჯაბნისო. შუბლზე აკოცა და კარი გაუღო. როგორც კი ლიფტი დაბლა დაეშვა, კარი ჩაკეტა და ფანჯარასთან მივიდა. თორნიკე გელაშვილი მანამ იცქირებოდა ფანჯარაში, სანამ სადარბაზოდან ქუჩა-

ში გასული ქალიშვილი თვალსაჩინო ფარა.

მერე რაფიდან პროთეზია დასწავლო, წყალი გადააქცია და პროთეზი კიქიანად გაზეთში გაახვია.

ცოლის საფლავთან რომ მივიდა, შუალდე იყო. იქვე გვერდით საფლავთან ორნი ისხდნენ, ქალი და კაცი, და წყნარად საუბრობდნენ. დროდადრო ქალი ხმადაბალ ტირილსაც გამოურევდა ხოლმე.

თორნიკე გელაშვილს არ ესიამოვნა მათი დანახვა. გაზეთში გახვეული პროთეზიანი კიქა იქვე დადო და თვითონ ნიჩბის მოსატანად წასვლა გადაწყვიტა. სამი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ მობრუნდა, გაზეთში გახვეული კიქა ხელში აიღო და ისე გასწია მახლობლად მომუშავე ხელოსნებისაკენ.

— ერთი წუთით ბარი მათხოვეთ.

ქალბრა, ღიმიანმა ხელოსანმა, მთელი სახე ოფლით რომ დაცვაროდა და სიგარეტს ეჩინიანად ეწეოდა, უხმოდ ანიშნა, წაიღეო.

თორნიკემ პროთეზი მიცვალბულის ფეხებთან ჩამარხა. ფრთხილად მუშაობდა, არ უნდოდა ვინმეს შეეჩინია, რას აკეთებდა. ვინმეში იმ ორს გულისხმობდა, მეზობელ საფლავთან რომ ისხდნენ. ისინი ისე იყვნენ თავიანთ მწუხარებაში ჩაფლულნი, რომ თორნიკე გელაშვილი, მგონი, საერთოდ არ შეუმჩნევიათ.

თორნიკემ ნიჩაბი ხელოსნებს დაუბრუნა, კიქა, ქუჩაში რომ გავიდა, ურნაში ჩაავდო და უმაღლე სახლს მიამურა.

„ნუთუ დღეს კიდეც მოვა?“

დიდხანს იწრიალა. დასაძინებლად ადრე დაწვა, თორმეტ საათზე. როგორც წესი, თორმეტზე ადრე არ წვეებოდა. უნდოდა, მალე ჩასძინებოდა. ჭიბრზე ძილი გაუტყდა. ლოგინში დიდხანს იბორავა, სანამ ჩაძინებოდა. დილით მიხვდა, რომ ძილში ფეხაკრეფით სიარულისა თუ რაღაც შრიალის მსგავსი ხმა აღარ გაუგონია.

ის დღე იყო და ის დღე, თორნიკე გელაშვილისათვის, საერთოდ, აღარაფერს დაუფრთხია ძილი.

თორნიკემ გაიხსენა, რომ არასდროს არ დაუნახავს მეუღლე. მხოლოდ ნაბიჯების ხმა ესმოდა, რომელიც თვალის გახელვისთანავე წყდებოდა. ახლა კი რამდენჯერმე თვალიც მოჰკრა სამ ადამიანს, ხელები რომ უცნაურად უბრწყინავდათ და სხეულიც რომ ისე უფრთოდათ, თითქოს ნიაზე იწყლებიან და ირხებიანო.

თორნიკე გელაშვილმა გადაწყვიტა, ბაღში ჩავალ ან ქუჩაში გავივლიო; ჭიბიდან საათი ამოიღო, კნოხს თითი დააკირა და ხუფი ახადა. ექვსი იყო დაწყებული.

კარი კარგად ჩაკეტა და ლიფტის გამოსადხებელ ლილვს თითი დააკირა. მერე გადაიფიქრა, კარგად გაიგონა, ზემოთ გაჩერებული ლიფტი თითის დაჭერისთანვე დაბლა რომ დაეშვა, მაგრამ რატომღაც ფეხით ჩასვლა ამჯობინა.

რატომ მიიღო უცებ ასეთი გადაწყვეტილება?

თვითონაც არ იცოდა. უფრო სწორად, გრძნობდა, რომ ამ ბოლო დღეებში ლიფტში გამოკეტვისა ეშინოდა, მაგრამ თავის თავს არ უტყდებოდა.

ქუჩის თავში სანაგვე მანქანა გამოჩნთითო-ორჯოლა გამვლელ-გამომვლელი მანც დაინახა. ისინიც თავჩალუნულნი, დაფიქრებულნი მიმოდიოდნენ.

ქუჩის თავში სანაგვე მანქანა გამოჩნდა. ახლა გაახსენდა, უკვე მეოთხე დღე იყო, ქუჩაში მანქანა აღარ დაუნახავს. მანქანა რომ გაუსწორდა, მზერა საბარგულზე მჯდომი ორი მენაგვისაკენ გაექცა. ისინი მოღუშულები ისხდნენ და არაბუნებრივად დიდრონი შავი თვალებით თორნიკეს ჭიუტად მიშტერებოდნენ.

თორნიკე გელაშვილი შეაშფოთა მენაგვეების გამოხედვამ. მათ თვალებში შიშიც წაიკითხა, ზიზღიც. ეჭვიც, ამბარზენი ძრწოლაც და რისხვაც.

თორნიკეს უსიამოდ გააქრჯოლა. მე-

ნაგვეებს თვალი აარიდა. შეღვა. ჭიბიდან ჩიბუხი და სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ორი ლერი სიგარეტი ჩიბუხში ჩატეხა, თითით კარგად დატენა და ასანთი მოიმარჯვა. მოკიდებას არ ჩქარობდა, არც მანქანისკენ იყურებოდა. თამბაქო კარგად იყო ჩიბუხში ჩატენილი, მაგრამ მარცხენა ხელის ცერა თითით მაინც აწევებოდა. მენაგვეების არაბუნებრივად დიდრონი შავი თვალების მტანჯველი სხივები სახეს უღალავდა.

სანაგვე მანქანა კი, თითქოს ჭიბრზე, ძალიან ნელა მიდიოდა.

თორნიკე გელაშვილმა დიდი ხნის დაყოვნების შემდეგ ჩიბუხს მაინც მოუყიდა. რამდენჯერმე მაგრად მოქაჩა, დაელოდა, სანამ კარგად გაღვივდებოდა, მერე ასანთის ნამწვი ურნაში ჩაავლო და მხოლოდ ამის მერე გააპარა თვალი სანაგვე მანქანისაკენ, ქუჩის ბოლოში რომ ის-ის იყო, უჩინარდებოდა. ისევე შეაძრწუნა მათმა არაბუნებრივად დიდმა შავმა თვალებმა, მანქანის ფარებივით რომ ჩანდნენ და შავ შუქს რომ გამოსცემდნენ.

სანაგვე მანქანა თვალს მიეფარა. ქუჩაც სულ დაცარიელდა. შეფიქრიანებულმა შენობები მოათვალეირა. ყველა ფაჯარა ჩაკეტილი იყო. ბევრგან ფარდებიც ჩამოეფარებინათ. თორნიკე გზაჯვარედინზე იდგა. უეცრად თავისი ქუჩის გადამკვეთი ქუჩის კუთხეში კაცი დაინახა. თორნიკეს დანახვაზე უცნობი უმაღლე შებრუნდა და გაუჩინარდა.

„აქ მაინც რა ხდება?“ — ვერ გარკვეულიყო თორნიკე გელაშვილი. მაისის მშვენიერი საღამო იდგა, მაგრამ ირგვლივ დუმილი ნისლივით ჩამოწოლილიყო.

თორნიკემ მხრები აიჩეჩა, ჩიბუხი მოქაჩა და გზა განაგრძო.

ის იყო, თავისი ქუჩიდან იმ ქუჩაზე გადაუხვია, ქალაქისაკენ ალმაცრად რომ ეშვებოდა, რომ უკან ვილაკამ ჩაახველა.

მიმოიხედა, არავინ იყო.

„ალბათ მომეჩვენა!“ — გაიფიქრა დაეკვებულმა.

გზა განაგრძო.

ზუსტად მის ზურგს უკან ვილაცამ ისევ ჩაახველა.

თორნიკე შეჩერდა. ჭერ უძრავად იდგა. მერე ისე ნელა შემობრუნდა, თითქოს ცდილობდა, არავინ დაეფრთხობო.

უკან ავლავ ვერავინ დანახა. ოღონდ, საღაც თვითონ იდგა, იჭიდან მეორე სახლის მეოთხე სართულზე ვილაცამ ფანჯარა გამოაღო, ცაუბებარ ენაზე რაღაც ჩაიბურტყუნა და გაგულისებულმა ფანჯარა ისე მოაჯახუნა, კინაღამ ჩარჩოდან შუშები გადმოცვივდა.

— საღამო. მშვიდობისა, ბატონო ჩემო! — მოესმა უეცრად ნაცნობი ხმა. შემობრუნდა, მის წინ ვასილი იდგა და უცნაურად იღიმებოდა. უფრო ზუსტად, ტუჩები ისე ჰქონდა გახსნილი, გეგონებოდათ იღიმებაო, თვალეები კი თითქოს რისხვით უელავდა.

— ახ, ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო თორნიკე! მე მეგონა, ვილაც უცნობს მივესალამე, საღამო მშვიდობისა! ჩასასირონდ გამოსვლა გინებებიათ? კარგია, ძალიან კარგი. იმედი მაქვს თქვენი გულუხვობისა და ვიცო სიგარეტს არ დამამადლით.

— სიამოვნებით! — თორნიკემ აღარ იცოდა სწყენოდა თუ გახარებოდა ვასილის დანახვა. ბოლოს გადაწყვიტა, სხვა არავინ ჩანს და ცოტა ხანს ამ ბულატერთან მიინც ვისაუბრებო. ჭიბიდან კვლავ მოსკოვური სიგარეტი ამოიღო.

— ახ, თქვენ ისევ იგივე სიგარეტის ერთგული რჩებით? მისასალმებელია თქვენი თანმიმდევრულობა. მე მაინც ჩვენებურ „კოლხეთს“ ვამჯობინებ. იქნებ მომიკიდოთ კიდევ... გმადლობთ... (ნაფაზი) გამოგიტყდებით და მეც ძალიან მომეწონა თქვენი სიგარეტი. მიჩვევის ამბავია, ბატონო ჩემო, თორემ იქნებ ეს უკეთესიკაა „კოლხეთზე“.

თუ თქვენ თანახმა იქნებით, ჩვენს ბაღში შესვლას და მერხზე ჩამოჯდომას შემოგთავაზებდით. შიზლირთქქ

— ბატონი ბრძანდებით.

ისევ უკან შებრუნდნენ და ქუჩას აღმა აუყენენ. ბალი შემდეგი გადამკვეთი ქუჩის ხელმარჯვნივ იყო. იქ გადაუხვევდნენ თუ არა, რამდენიმე წუთში ბალსაც მიაღწევდნენ.

როცა იმ შენობას გაუსწორდნენ, წელან მეოთხე სართულზე ვილაცამ ფანჯარა რომ გამოაღო, თორნიკემ, ბულატერმა არ შეამჩნიოსო, და ფანჯრისაკენ თვალი ფრთხილად გააპარა. მკიდროდ ჩაკეტილ ფანჯრებზე მუქი ფარდები იყო ჩამოფარებული.

ბულატერს არაფერი შეუმჩნევია, ვითომც აქ არაფერიაო, მიაბიჯებდა და თან სიგარეტს მადიანად აბოლებდა.

ცოტაც რომ გაიარეს, ფანჯრის გაღების ხმა ისევ გაიგონა. ისევ ჩაცხმა უცნობ ენაზე ბოხი ხმით ბურტყუნი. წელანდელივით ბრაზობდა უცნობი.

თორნიკე შედგა და თვალი ფანჯარას შეავლო. ფანჯარა ისევ მოაჯახუნეს, თანაც ისე მაგრად, რომ მინებმა ზრიალი დაიწყო. მუქი ფარდები ისევ დაუშვეს და ქუჩაში კვლავ ნისლივით ჩამოწოლილმა დუმილმა დაისადგურა.

— რა მოხდა, ბატონო ჩემო? — კოპები შეიკრა ბულატერმა.

— რაღაც უცნაური ლაპარაკი გავიგონე ფანჯარაში ვერ გავარჩიე, რა ენაზე ლაპარაკობდნენ.

— რომელ ფანჯარაში?

— აი, აგერ, მეოთხე სართულზე.

— მოგჩვენებიათ, ბატონო ჩემო!

— როგორ თუ მომჩვენებია! უკვე მეორეჯერ შევნიშნე, გაიღება ფანჯარა, ისმის რაღაც გაურკვეველ ენაზე ბრაზიანი ბურტყუნი, თითქმის ყვირილი. შემდეგ ფანჯარას ისე გაგულთსებულნი კეტავენ, ლამის მინები ჩამოცვივდეს!

— მოგჩვენებიათ-მეთქი, ბატონო ჩემო! მე სმენას, მადლობა ღმერთს, არ ვუჩივი, მაგრამ არაფერი გამიგონია. და, საერთოდ, ასე სჯობია, ჩაავო-

ნოთ თქვენს თავს, რომ არც არაფერი დაგინახავთ და არც არაფერი გავიგონიათ!

ვასილმა ამ სიტყვებზე რაღაც უცნაურად ჩაიცინა, თორნიკეს ხელმეკლავი გამოსდო და სწრაფი ნაბიჯით წაიყვანა. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, წაათრია.

თორნიკემ ახალა შენიშნა, ვასილს ტყავის ყავისფერი ხელთათმენები ეკეთა. გაუყვირა, ამ სიცხეში ხელთათმენები რად უნდაო. უკებ დაფიქრდა, წელან, სიგარეტს რომ იღებდა ჩემი კოლოფიდან, მაშინ თუ ეკეთა ხელთათმანიო. თუ არ ეკეთა, ახლა რა დროს გაიკეთა, ან თუ ეკეთა, რატომ მაშინ ვერ შევამჩნიეო.

— ჩემმა ხელთათმენებმა დაგაფიქრათ? — მიუხვდა ვასილი. — ხელთათმენები, ხელთათმენები... „ლურჯო მონტევიდეო თეთრი ხელთათმენებით!“ უცნაური კაცი იყო გალაკტიონი.

სულ მალე ბაღში იყვნენ. ვასილმა პირდაპირ ცაცხვის ძირში მოთავსებულ მერხს მიაშურა და თორნიკე თითქმის სირბილით გაიყოლა. მხოლოდ მერხთან უშვა თორნიკეს მკლავს ხელი. სწრაფად ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე შემოიღო.

— დაბრძანდით, ბატონო ჩემო! საოცარია, ღმერთმანი, კაცს როგორ გეხუთება სახლში სული. რკინა-ბეტონის კონსტრუქციები როგორ გაწვება, როგორ გორგუნავს, გაპატარავებს, ძალღონეს გაცლის, გფიტავს, თითქოს გაქიკყვით გემუქრება. უწინ სულ სხვა იყო, ბატონო ჩემო, სულ სხვა. წარმოიდგინეთ აივნისანი სახლები, ვერანდები, საითაც გაიხედავდი, სივრცე ჩანდა, სივრცე! ახლა კი კაცს მანქანის გამონახობლქვით მოწამვლის შიშით ფანჯარა ვერ გამოგიღია. სასაცილოა, ბატონო ჩემო, სასაცილო: ზოგიერთი ზამთარში ფანჯრებს აღებს და ჰგონია, ჰაერს ვანიავებო. რწმენა ბევრს ნიშნავს, ბატონო ჩემო, ბევრს. რატომღაც ჰგონიათ, რომ ფანჯრიდან შემოქრილი ცივი ჰაერი ძალზე სუფთაა. და

რაკი ბინა ცივი ჰაერით განიავდება, ჰგონიათ, ყველაფერი რიგზეა. ოთახები სუფთა ჰაერით აივსოო. სამწუხაროდ, ზაფხულში არა გვაქვს ასეთი ფსიქოლოგიური ეფექტი. და თუ ბოროტად არ ვსარგებლობთ თქვენი გულუხვობით. იქნებ ინებოთ და კიდევ ერთხელ მომანუევიოთ სიგარეტი.

თორნიკემ გიბიდან სიგარეტი ამოიღო და ბუღალტერს გაუწოდა. ხელთათმანიანი თითებით ბუღალტერმა ერთი ცალი ამოიღო და ცეცხლის მოლოდინში მისკენ შებრუნებული დარჩა. თორნიკემ ასანთი გაჰკრა და მოაკიდებინა. მერე თვითონაც ამოიღო ჩიბუხი.

— აჰ, თქვენ ჩიბუხს ეწევი? — თქვა ვასილმა მას შემდეგ, რაც სიგარეტი ერთი მძლავრი მოქაჩვით თითქმის შეამდე დაიყვანა.

— დიახ, ჩიბუხს ვამჟობინებ!

— სწორი ბრძანებაა, ბატონო ჩემო, ჩიბუხის მწველები ჯერ მედიცინისათვის გაუგებარი მიზეზებით ნიკოტინის გაცილებით ნაკლებ დოზას იღებენ, ვიდრე სიგარეტის მწველები, თუნდაც ის სიგარეტი ფილტრისანი იყოს. საოცარია, ბატონო ჩემო, არა? ჯერჯერობით ვერავინ ვერ დაადგინა ამ მოვლენის მექანიზმი.

უკებ ბუღალტერი შემობრუნდა, თორნიკეს თვალებში ჩახედა და ხმადაბლა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა:

— დღეს რა რიცხვია, თუ გახსოვთ?

— რატომ არ მახსოვს, 21 მაისია.

— მერე?

— რა მერე?

— არაფერს არ გეუბნებათ ეგ რიცხვი?

უკებ ბუღალტრის თვალების სიღრმეში ელექტრონი აინთო და ორმა წვრილმა სხივმა გამოანათა. თორნიკე გელაშვილი გრძობდა, ბუღალტერი მისი სულისა და ტვინის ზვეულებში იხედებოდა.

— რას უნდა მეუბნებოდეს? — შემფოთდა თორნიკე.

— რა ვიცი, დაფიქრდით, ნუ აჩქარდებით. იქნებ მოგაგონდეთ რამე! ვილაცამ ბულალტრის თვალბეჭდში შექვი გამოვითო. ვასილმა პირი იბრუნა და უცნაურად ჩაიცივნა. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩაიფრუტუნა.

— გაგახსენდებათ, ბატონო ჩემო, აუცილებლად გაგახსენდებათ.

სივარეტი ღრმად მოჭაჩა, ბოლი ბოლქვებად ამოუშვა, ნამწვავი იქვე, მერხის გვერდზე მიდგმულ ურნაში ჩააგდო და ისევ ძველებური პოზა მიიღო — ფეხი ფეხზე შემოდებულმა თვალი რაღაცას გაუშტერა.

— გაგახსენდებათ, ბატონო ჩემო, რასაკვირველია, გაგახსენდებათ, — თქვა ისე, თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, — ადამიანის გონებაში შეიძლება ბურუსში გაეხვეს რომელიმე მოვონება, შეიძლება ტვინის შორეულმა უჯრედმა შეინახოს იგი, მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს, ბატონო ჩემო, დადგება მომენტი და ბურუსიც გაიფანტება.

თორნიკემ თავს ძალა დაატანა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა, ოცდურთ მასთან რომ იქნებოდა დაკავშირებული.

— საოცარი ამბავი მოხდა გუშინ, ბატონო ჩემო, ერთი კაცი დავასაფლავეთ. უცნაურად მოკვდა, ძალიან უცნაურად...

— უცნაურად? — თორნიკემ ყურები ცქვიტა.

— დიახ, უცნაურად!

პაუზა.

— იყო ერთი დრო, ბატონო ჩემო, როცა პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში კაენის სულის აღზევებამ გადაიარა. ერთ მშვენიერ დღეს ძმამ, ესე იგი, იმ კაცმა, გუშინ რომ დავასაფლავეთ, ძმას უჩივლა და დააპყრინა.

— დააპყრინა? რატომ? რისთვის?

— დიახ, დააპყრინა! — ბულალტენი ზეიმობდა, რომ მისმა სიტყვებმა ფექტი მოახდინა. — რისთვის? საქ-

მეც ეგაა, ბატონო ჩემო, რისთვის დააპყრინა. მიწის ნაგლეჯის, ვინაობა... დრუკი ვენახის ხელში ჩასაგდებად... ცილი დასწამა, ვითომ მას უდიერად მოეხსენიებინოს ადგილობრივი ხელმძღვანელობა. რომ წაიყვანეს, იმ უბედურმა ცოლს დაუბარა, მალე დაებრუნდები, უჩემოდ ღვინოს ნუ გადაიღებთო. ისე თქვენი მტერი დაბრუნდეს, როგორც ის დაბრუნდა. კაცმა არ იცის, სადაა ჩაყრილი მისი ძვლები. პაუზა.

თორნიკე გელაშვილს უკვე კარგა ხანი იყო ხელში ჩამჭრალი ჩიბუხი ეკი-რა, მაგრამ ურნასთან მისვლა ვერ გაუბედა, ბულალტერმა ამ უცნაური ამბის მოყოლა არ შეწყვიტოსო.

— მერე?

— მერე გავიდა წლები რამდენიმე ათეული წელი. მოდიოთ, ნუ ვიტყვიოთ მის სახელსა და გვარს, შევთანხმდეთ და მას პირობითად პლატონი ვუწოდოთ, დიახ, ბატონო ჩემო, ამხანაგი პლატონი საოცარმა სენმა შეიპყრო. უფრო ზუსტად, საშინელი სიზმრები დასჩემდა. ჩაძინებიდან გამოღვიძებამდე იმ ვენახს თოხნიდა. ვენახს ბოლოში პატარა მდინარე ჩაუღიოდა, გაღმიდან ყოველდღე ტყავის ჰიჯაკიანი ცხენოსანი გამოდიოდა. ცხენოსანს კეპიანი ქუდიც ტყავის ეხურა. ცალ მხარეს ტყავის პლანშეტი ეკიდა, მეორე მხარეს მათურები მუხლამდე სცემდა. ტყავის მათარახს ჩექმის ყელზე იტყალაშენებდა და სერელის თავში დგებოდა. ერთხელ გატანილ სერელს დილიდან საღამომდე რამდენჯერმე ათოხნიებდა ი? უბედურ პლატონს. ბოლოს ძილში ღრიალი დაიწყო. რომ გააღვიძებდნენ, შეშინებული თვალეხს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს ვილაცას დაეძებო. რა მოხდა, რა გემართებო, რომ ჰკითხავდნენ, ჩემი ძმა ჯერ წამაქციეს, მერე მკერდზე მუხლებით შემდგება და ყრონტზე სკამის ფეხს მაპყრსო. ნუ გეშინია, სიზმარიო, ამშვიდებდნენ შინაურები როგორ თუ ნუ მეშინია, მე ხომ ვიცი, აუცილებლად დამხარჩო-

ბსო. ამ რამდენიმე დღის წინ კვლავ აღრიალებულა ლოგინში, მახრჩობსო. შინაურები უმაღლე მისცვიდნენ, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვეღარ გამოაღვიძეს. ხრიალით ჩააკვდათ ხელში, ის უბედური.

ამ უცნაური ნამბობით შეშინებული და განცვიფრებული თორნიკე დიდხანს დაჟინებით მისჩერებოდა ვასილს. თუმცა იცოდა, ბულალტერმა ამბავი უკვე დაასრულა და ახლა სულ სხვა ფიქრებში იყო გადაართული. ვასილი ისე იჯდა, თითქოს სულ გადააფიწყდა თორნიკე გელაშვილის არსებობა.

თორნიკემ ჩიბუხს დახედა. ფეხზე ნელა წამოდგა, მერხს უკნიდან შემოუარა და ჩიბუხი ვასილის მხარეს მიდგმულ ურნაში ჩაფერთბა. მერე კვლავ თავის ადგილზე დაჯდა.

უხერხული პაუზა.

თუმცა უხერხული თორნიკე გელაშვილისთვის იყო ჩამოვარდნილი დუნილი. ვასილს აღარც კი ახსოვდა თუ ვინმე იჯდა მის გვერდით.

— თქვენი კოლეგა იყო ის უბედური?

— ჩემი კოლეგა საიდან იქნებოდა, გლეხი გახლდათ, მევენახე. ქალაქში მაშინ გადმოვიდა შვილებთან, მუშაობა რომ ვეღარ შესძლო.

— ხომ შეიძლება მევენახეც იყოს ბულალტერი?

— მერე და ვინ გითხრათ, რომ მე ბულალტერი ვარ? ბატონო ჩემო, განა ვგავარ მე ბულალტერს? საოცარია, პირდაპირ, საიდან მოიტანეთ ჩემი ბულალტრობა?

— განა თვითონ არ მითხარით, ამ რამდენიმე ხნის წინ რომ შემგვდით?

— აი, შარი თუ გნებავთ, ეს არის. მე თქვენ პირველად გხედავთ, ბატონო ჩემო და მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მუსიკოსი გახლავართ და არა ბულალტერი! ბულალტერი, კმ, ბულალტერი... მე და ბულალტერი? ღმერთო ჩემო!

„მაშ ჩემი სახელი საიდან იცით! ან წელან რომ მშვენიერად გაიხსენეთ. იმ

დღეს რომელი სიგარეტი მოგაწვევინეთ?“ — უნდოდა ეკითხა თორნიკეს, მაგრამ ვერ გაბედა.

— დიახ, მე მუსიკოსი ვარ და არა ბულალტერი! ბულალტერიო, ღმერთო ჩემო, еще этого не хватало!.. და, საერთოდ, ამხანაგო თორნიკე, რაც ადრე წახვალთ აქედან, უკეთესია!

ვასილის თვალეზში ისევ აენთო ელექტრონი, ორმა წერილმა სხივმა ისევ ჩაანათა თორნიკეს ტვინის ზეეულებში.

— დიახ! რაც მალე წახვალთ აქედან უკეთესია და, საერთოდ, არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს 21 მაისია.

თორნიკე განადგურებული წამოდგა. სანამ ნაბიჯს გადადგამდა, კიდევ ერთხელ დახედა ვასილს.

„რასაკვირველია, ის არის... დიახ, ეს ის კაცია, ბულალტრად რომ გამოცნო თავი. და ეს მუსიკოსი თუ ბულალტერი ის არის, აქ რომ იჯდა ღამით და ამ დღით ჩემი ფანჯრების წინ რომ დადიოდა“.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ვასილ!

მუსიკოსმა ხმა არ გასცა. თითქოს მისი ნათქვამი ვერც გაიგონა. თორნიკემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, მყარლი სუნი წამოეწია, გახრწნილი გვამის სუნი. შედგა, შემობრუნდა. ვასილი ძველებურად იჯდა, თვალი რალაკისთვის გაეშტერებინა.

სუნს ვეღარ გაუძლო და ბალის გასასვლელისაკენ გაემართა. გასასვლელთან ჩამოკიდებული უზარმაზარი მრგვალი საათი თორნიკეს უჩვენებდა.

„როდის გავიდა ამდენი დრო?“ — გაოცდა თორნიკე, ჩიბიდან თავისი საათი ამოიღო. ჩვეულებისამებრ, სამი წუთით ჩამორჩებოდა. გაოცებულმა თავი უკმაყოფილოდ გააქნია და სახლსაკენ უხალისოდ წავიდა.

ბალიდან რომ გამოვიდა, სიცილი შემოესმა. უფრო სწორად, დამცინავი ხიოხითი თუ ფრუტუნის მიხვდა, ორნო იცინოდნენ. უკან მოიხედა. სიცილი შეწყდა. ბაღში შებრუნდა და ცაცხვს

ძირში მიდგმულ მერხს ვახედა. მუსიკოსი ისევ ისე იჯდა გაქვავებული და რაღაცას დაეინებით მისჩერებოდა.

ის-ის იყო, სადარბაზოში უნდა შესულიყო, რომ იქიდან ვიღაც გამოვარდა, ქუჩა ეისრისტეხით გადაქრა და სადღაც გაუჩინარდა.

თორნიკე აღვილზე გაშეშდა. მერე მხრები აიჩეხა და ლიფტთან მივიდა. ბინის კარი რომ შეაღო, ეკლავ ის საშინელი მყრალი სუნის დეტაკა. კარი სასწრაფოდ ჩაეკეტა, სუნმა მეზობლების ბინებში არ შეაღწიოს და ჩემი საიდუმლო არ გაიგონო. შემდეგ სააბაზანოში ხელები გადაიბანა და ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ჩაეშვა.

„ნეტა წვერი კიდევ გაეზარდა?“ — გაიფიქრა თორნიკემ, მაგრამ მეორე ოთახში გასვლას არ ჩქარობდა.

„მაინც რა ენახუ ლაბარკობდნენ იმ ფანჯარაში? ან ვინ არის ეს ვასილი, ბულალტერი თუ მუსიკოსი? ან რატომ განახსენა დღევანდელი რიცხვი?“

უცებ ორჯერ გავარდა, ერთმანეთის მიყოლებით, ისე ზედიზედ, რომ კაცს ერთი გრძელხმიანი გასროლა ეგონებოდა. ორჯერ გავარდა და თორნიკეც მიხვდა, იმ ბულალტერმა თუ მუსიკოსმა რატომ უთხრა, ვახსენე 21 მაისიო.

თორნიკე წამოხტა, საწოლი ოთახის

კარი გააღო და შიშისაგან შეჰკივლა. კუბო მთლიანად დაეფარა თმასა და წვერს. იატაკამდეც დაეღწია და პარკეტზე ტალღისებურად იყო გაშლილი.

„ასე თუ ვაგრძელდა, დილაზე ოთახი სულ გაივსება!“ — გააფრიალა ტანში თორნიკეს. სამზარეულოში გავარდა, გრძელი მაკრატელი იპოვა და ისევ საწოლ ოთახში შევიდა. როცა იატაკზე გაშლილ თმას ფეხი დაადგა, ეგონა, მილიონი ნემსი შეერტო ფეხის გულელებში. ტკივილში არეულ შიშს სძლია, შავი წვერი ორივე ხელით გასწია და კუბოს ღრიტოები მონახა. გამალებული შეუდგა მუშაობას, მაკრატელს ენერგიულად და მარჯვედ ხმარობდა. შეკრებილი წვერი და თმა ფეხებში ებლანდებოდა.

„ამას რა ვადაყრის, ან ისე ორჯერ გადავყარო, რომ არავინ დაინახოს?“ ფიქრობდა შეშინებული და თმას ფეხებით ზიზლით იშორებდა, კედლისკენ ყრიდა ცალ მხარეს გამოშვებული თმა მთლიანად შეკრიბა და კუბოს მეორე მხარეს გადაინაცვლა. ახლა იქ კრულა გამალებული. გული ისე უცემდა, შეეშინდა, ჩემი ხმა მეზობლებმა არ გაიგონონ კედელს იქითო. შუბლზე იფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ერთხანად ოფლში გაწუწულს შეკრებილი თმა და წვერი ზედ ეწებებოდა. როცა კუბოს ირგვლივ შემოუარა და თმა ყველგან შეკრიბა, წელში გაიმართა, შეზლიდან ოფლი ჩამოიწმინდა, შეკრიბილი თმა მთელ ოთახში იყო მოფენილი და ჭუხლამდე აწვავებოდა.

უცებ შიშისგან კინაღამ შეჰკივლა. კუბოს ღრიტოებში თმა და წვერი საშინელი სისწრაფით იზრდებოდა, თორნიკე ხედავდა კიდევ, წინ როგორ მოიწვედა და ყველა მიმართულებით იშლებოდა.

ეკლავ კუბოს ეცა და მაკრატელი, რაც კი შეეძლო, სწრაფად ამუშავა. მუშაობდა, თან სასოწარკვეთილ თვალებიდან ცრემლები სცვიოდა, ეშინოდა, ხმამაღლა არ აეტრადღო და ცდილობდა, თავი დაემორჩილებინა, ცრემლი შეეკავებინა.

ერთ მხარეს სწრაფად შემოკრიბა და ჩაჩოქილი მეორე მხარეს აპირებდა გადაინაცვლებას, რომ კისერზე ყინულივით ცივი თითები შემოეკლო. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს რაღაც გასკდა და სხეულში რაღაც ბლანტი და ყინულივით ცივი სითხე ჩაედღვარა.

ალარ იცოდა, რა ექნა.

ეყვირა?

ყვირილის თავიც ალარ ჰქონდა.

განძრეულიყო? ეხსნა თავი ცივი თითებისაგან, სალტეებივით რომ ჰქონდა კისერზე შემოკრებილი?

ვაი თუ უფრო მაგრად წაჰკეროდა?

უცებ შეება იგრძნო, თითები ნელ-ნელა მოშორდა. განძრევა მაინც ვერ გაბედა. ერთხანს იმავე პოზაში დარჩა

ჩაჩქილი. მერე ნელ-ნელა მოატრიალა თავი და ფეხზე წამოდგა. მიცვალებულს კუბოს ზემოთ ხელები ძველებურად თითებით ჰქონდა გადაკდობილი.

თმა კი კვლავ საშინელი სისწრაფით იზრდებოდა და ყველა მიმართულებით იშლებოდა.

თორნიკე გელაშვილი მიხვდა, რომ ეს უკვე დასასრულს ნიშნავდა. მაკრატელი ხელიდან გააგდო. მისი დავარდნის ხმა არ გაუგონია, ისე ჩაიმალა მუხლამდე თმაში. ან კი როგორ გაიგონებდა, მაკრატელს იატაკამდე რომ არც დაულწევია.

კარებამდე გაკირვებით მილასლასდა, მეორე ოთახში გავიდა, გასაღები ორჯერ გადააბრუნა, საწოლი ოთახის კარი საიმედოდ ჩაკეტა და სავარძლამდე ძლივს მიიღწია.

სასოწარკვეთილი იატაკს დასჩერებოდა და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. ხელები მოწყვეტილივით ჩამოეშვა. ოფელში გახვითქული სისველეს ველარ გრძნობდა. შეგრძნების უნარი თითქოს სავესებით დაკარგა, ოღონდ გამშრალი და გამოფიტული ყელის ტკივილსა გრძნობდა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იჯდა ასე.

ერთი საათი?

ორი?

იქნებ სამი ან ოთხიც კი?

დროის სათვალავი აერია. სხეული მოუღუნდა, დაუდამბლავდა.

უცებ სისველდეაკარგული თვლები საძინებელი ოთახის კარისაკენ გაექცა. იქ, ქვემო ღრიჭოსთან, შავი თმა გამოჩნდა. იგი სწრაფად მოიწვედა წინ, მოიწვედა ისე, როგორც ოდნავ დამრეც ქუჩაში დაღვრილი წყალი მოიწვეს ხოლმე წინ მრავალი დაკლანილი ტოტით და შემდეგ ერთ ნაკადად ერთიანდება.

ბოლოს თმამ და წვერმა ორფა კარის ყველა ღრიჭოში გამოაღწია და კედლებსა და კერზე სურსისავით გაეფიხა.

თორნიკე გელაშვილი ადგილიდან არ

იძვროდა, თმის მოძრაობას აკვირდებოდა, თითქოს ის აინტერესებოდა. კედლები, კერი და იატაკი მთლიანად ჩრდილის შეიმოსებოდა.

სულ მალე თმა ყველგან შეერთდა და ახლა სივრცეში იწყო გაშლა. ჭერ ავეჯი გადაფარა და ოთახში სივრცე შეავიწროვა, მერე კი თორნიკემ იგრძნო, ფეხებზე თმა რვაფეხას საცეცებივით როგორ შემოესალტა.

ახლა კი სცადა წამოდგომა, მაგრამ ვერ შესძლო. შემოსალტულ თმას, ახალ სალტებად თანდათან მუხლები-საკენ რომ მოიწვედა, თავი ვერ დააღწია.

უნდოდა ეყვირა.

ხრიალი აღმოხდა.

გამშრალი ყელი მინასავით დაიმსხვრა და წვრილი ნამსხვრეები მუცელში ჩაუცივდა. სული შეუფუბდა, ველარ სუნთქავდა.

სალტეები ახლა უმწეოდ ჩაშვებულ ხელებზეც შემოეკდო და ერთდროულად რვაფეხამ თავისი საცეცები შებლზეც შემოუჭირა. ისეთი ტკივილი იგრძნო, რაღაც საშინელი, ცივი ტკივილი, იფიქრა, თავის ქალა ამხადესო.

თორნიკე შეეცადა შებლზე შემოკდობილი საცეცისათვის ხელები წაეტანა და მოეშორებინა, მაგრამ ვერ შესძლო. ცივი სალტეები ახლა უკვე იდაყვებამდე ჰქონდა შემოკდობილი.

ზედა სალტემ უკვე ცხვირს მიიღწია, ძლივსა სუნთქავდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, იხრჩობოდა. სხეული თანდათან ეყინებოდა. კიდევ ერთხელ შეეცადა დაეყვირა, შესძლო კიდევ, საშინელი ყვირილი აღმოხდა, წამოდგომაც სცადა, მაგრამ სავარძელზე უკვე ისე იყო მისალტული, განძრევაც აღარ შეეძლო. თმის სალტე პირზეც შემოეკდო. შეშინებული პირის გაღებასაც ველარ ბედავდა. იხრჩობოდა, სუნთქვას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ.

მალე ცივი სალტე მკერდზე შემოეკრა და ყელსაც მისწვდა. გული და ფილტვები გაუჩერდა. გახრწნილი გვა-

მის სუნი სხეულშიც ჩაუვიდა, ტვინის ხვეულებშიც შეაღწია...

კიდევ ერთხელ სცადა გაბრძოლება, კიდევ ერთხელ შეეცადა ჩაესუნთქა, კიდევ ერთხელ სცადა წამომდგარიყო. კიდევ ერთხელ მოინდომა მთელი ხმით დაეყვირა. მთელი არსებით დაიძაბა და ცივი სალტეებისაგან ნელ-ნელა განთავისუფლდა. ჭერ ხელები იხსნა მარწუხებისაგან, შემდეგ თავიდან წაიძრო ცივი სალტეები, ერთი ღრმად ამოისუნთქა, ენით აუწერელი შვევა იგრძნო, მთელი სხეული ნეტარებით აევსო და იატაკზე გაიშლართა.

თვალი რომ გაახილა, სამი ჭაბუკი დაინახა. ისინი ხელებგადაჭობილნი იდგნენ და თორნიკეს კუშტად დასჩერებოდნენ. მიხვდა, ის სამი უცნობი იყო, სადარბაზოში რომ ნახა პირველად, შემდეგ კი ღამლამობით მის ბინაში ფეხაკრეფით რომ დააბიჯებდნენ.

დროდადრო, თითქოს ნიავმა დაუბერაო, ისინი თრთოდნენ და უჩვეულოდ იწელებოდნენ, სახეებიც უცნაურად ებრიცებოდათ. მერე ისევ სწორდებოდნენ და კვლავ კუშტად იცქირებოდ-

ნენ. თორნიკემ მათში ბონდარენკო, ირაკლი და გიორგი შეიცნო. „არ მამბტის, არ მამატრეს“, გაიგო გულში სინანულით. თან გაოცდა, მისი ფიქრი სადღაც შორს ექოდ რომ გაისმა.

თორნიკემ იგრძნო, როგორ ჩაინგრა მისი სახლის კედლები, ჩაინგრა მთელი შენობა. ისე უხმაუროდ ჩაინგრა და ჩაიშალა, ირგვლივ გამეფებული დუმილი არაფერს დაურღვევია. თითქოს ყველაფერი სადღაც ქვესკნელში ჩაიკარგა. ზემოთ ვარსკვლავებით გადაქედილი ცა გამოჩნდა. პირველად ეგონა, შენობის ჩანგრევის შემდეგ ფეხქვეშ იატაკი გამომეცალაო. ეგონა, თვითონაც უფსკრულში ჩაინთქმებოდა, მაგრამ უცებ მიხვდა, მაღლა მიფრინავდა. მიფრინავდა და წინ ის სამი ჭაბუკი მიუძლოდა, წყნად რომ კუშტად დასჩერებოდნენ თავზე. ერთხელ კიდევ ჩაიხედა, დაინახა, რომ ჭერ ქალაქი, მერე მთელი პლანეტა საშინელი სისწრაფით მიეჭანებოდა უფსკრული-საკენ.

მაღე დედამიწა შორს დარჩა, ძალიან შორს, ქვემოთ ყველაფერი უკუნმა შთანთქა, მაღლა კი ვარსკვლავებით გადაქედილი ცა შავად ლაპლაპებდა.

მედა ქახიძე

1928

• • •

რამდენჯერ წამოვდექი
დავიწყე ფათიფუთი,
მარილის ტომრები
ამყიდეს ათი ფუთი.

როგორც კი იმედის
მდინარე დაცოტავდა,
გული საგულეში
აბლავლდა საცოდავად.

დღეს ვიცი საომრად
ვერავის დავითანხმებ.
ტყუილად გავიჩვენებ
გაგიჩენ თავში სახლელს,

ალარ მყავს შეკაზმული
ზლაპრული ბედაური,
ხევსურეთს, ასპინძას
ფეხით ვერ დავუვლი.

ლუკმად მაქვს გაჩხერილი
ყელში ჩუმი ბოლმა,
არწივთან ფიცვერცხლნაჭამს
მიწაზე მიჭირს ლოდვა!

და ჩუმად დავდივარ
რადგანაც მეთათსედს,
ვერ ვიტყვი ხმამალლა
ტკივილით
შე რაც მავსებს.

მაგრამ მე მედარღება,
უფროა შიშისმგვრელი,
პირში წყალს ვიგუბებთ
არ არის პირში მთქმელი.



უფალო აგვაშორე
ხვალის სარისხველი,
მრავალჯერ დაგვიხსნივართ,
კვლავაც დაგვიხსენი!

რას დაგვაბარებ

6. გურგენიძეს

რას დაგვაბარებ, ძვირფასო ნელი,
რით გაგაბაროთ მალალ მთებიდან,
რომ შესს თვალეზში ჩამდგარი ცრემლი
ჭიაკოკონად აგვანთებინა.

რა მოგიტანოთ, ძვირფასო ნელი,
მთებიდან გულის მოსაოხებლად,
ან კი რად გკითხავთ, ჭრელი მთის ველი
დაფენილია როცა ნოხებად.

უშენოდ დაგვდის გულზე მდინარე,
მოდიდებული ლურჯი ტალღები,
ველარ ვუჭერდით თავს ძველ იარებს,
და გვისკდებოდა გული, ვატყობდით.

ჩვენეულია მზე აღმაცერი,
მაგრამ არ ჩანან სახლიკაცები,
არც სალამური,
არც ხმის გამცემი,
არც მწყემსის ძაღლი,
ელდანაცემი.

და თუ ლაქვარდი
კვლავ ჩენ დაგვეურებს,
კვლავ ბალახობენ ოქროს ვერძები,
გვწამს გადარჩენა გრემის, აწყურის,
შენისთანების ლოცვით შევძელით.

მალა ცის ლურჯი მდინარეთია,
ძვირფასო ნელი, თქვი, რა მოგართვა,
ნუთუ უმდიდრეს თრიალეთიდან
მხოლოდ ყვავილებს ითხოვ ნობათად.

ლექსი ნახევარსიტყვაზე

ზოგჯერ უაზროდ და უმიზეზოდ
 ამეგვიატება ხოლმე რომელიმე სიტყვა,
 მაგალითად, ყიფლიბანდი,
 რომელიც შუბლის მყარ კლდეზე
 ხანმოკლე და ლამაზ პეპელასავითაა შეფრენილი,
 ნახევარსიტყვა მთელი ლექსიდან...
 მოგონება მასზე —
 ჩემი შვილის მანათობელი ტანი,
 ისეთი ჩილი და ქათქათა,
 როგორც მდულარე რძის თავზე
 პირშეკრული ნაღები —
 ჯოჯოხეთის ნულოვანი გარსი,
 აქედან იწყება სიცოცხლის ათვლა,
 ან გარეთ დარჩები, შიშვორეული,
 ან შიგნით შეხვალ
 და თუკი გმირად ჩაგიფიქრა შემოქმედმა,
 ცოცხალი და ცხრაწრეგამოვლილი გამოხვალ,
 მაგრამ საერთოს ველარ გამონახავ
 გარეთ დარჩენილებთან,
 რომელთა სახეები სპილენძის უხმარი ტაშტებივით პრიალებენ,
 ხოლო მათი სიტყვა ერთნიშნაა და პირდაპირი,
 შუბლში ქვასავით დამიზნებული.
 რადგან ჯოჯოხეთური ტანჯვის გარეშე
 სიტყვის ზარსა და ელფერს ვერ აყვები,
 როცა ყიფლიბანდი
 მხოლოდ სხეულის ნაწილი კი არაა,
 არამედ მყიფე ლიბო ბინდისა,
 რომელსაც რძეს მიასხურებ და დოედ იქცევა,
 ბინდი და შუქი, დღე და ღამე — წუთისოფელი,
 ხანმოკლე და ლამაზი, როგორც პეპელა.
 შუბლის სალ კლდეზე შეფრენილი...
 სპილენძის პრიალა ტაშტები კი
 უკვდავებას ეთამაშებიან
 გიყად რომ გამოგაცხადონ?
 შეიძლება, მაგრამ რადგან საბოლოო ჯამში
 გმირად ჩაგიფიქრა შემოქმედმა,
 მზე და მთვარეც რომ ჩაგიქრეს,
 და წყვილ-წყვილი ვარსკვლავებიც,
 გზის გამკვლევად მაინც დაგჩრება

მანათობელი ყიფლიბანდი შენი შვილისა —
 ნახევარსიტყვა მთელი ლექსიდან...

რავიძრება თამაზა: პოეტი

ხელისგული მიაფარე შუადღეს,
 თაფლი სდის რომელსაც
 და ფუტკრების ცხელი შხეფები
 საკმარისია მოგესხუროს,
 რომ შენი ტანი
 ზედ კეფასთან მოირღვევა
 და წავა სიტკბოსკენ...
 დამოუკიდებელი, ერთმმართველი, სრულიად ტანი,
 რომელსაც ფიქრებით დამძიმებული თავი მოუშორებია,
 სული ლარნაკში ჩაუყუდებია ყვავილივით,
 განთავისუფლებულა შენი მკაცრი, შავ-თეთრი სტილისგან
 და ძოწითმოსილი, მოთახთახე, ჯანსაღი ტანი
 მიდის სიტკბოსკენ
 გზადაგზა მას სხვა ტანები ხედებიან,
 რომლებიც მთელი სიცოცხლე
 საკუთარი ნებიერი ღერძის გარშემო ტრიალებდნენ
 და ამიტომ შენი თვალთახედვის არეში
 ვერ ხედებოდნენ და ეკითხებიან:
 — ნუთუ, თქვენ ესა და ეს ხართ?
 შენს სახელს კითხულობენ.
 ასეთი მარტივი სახელდებით შეურაცხყოფილი
 ტანი ჰორიზონტს მიეყრდნობა,
 რომელიც სიღრმეში შეიღუნება,
 როგორც შუშა ცეცხლის შემოტევისგან...
 განა კითხულობენ ცეცხლის სახელს,
 ან შუადღისას, თაფლი სდის რომელსაც,
 ან იმისას,
 რაც შერქმეული სახელის ჭურჭელი კი არაა,
 არამედ დამოუკიდებელი, ერთმმართველი, სრულიად ტანი!
 შუაქუჩაზე თავი მოგორავს,
 რომელსაც მანქანები ისე უფრთხიან,
 როგორც ცხენი პირველ მანქანას,
 ის კი კმაყოფილია,
 მშვიდი და განყენებული ფიქრის დრო მისცეს...
 საინტერესოა, რა ხდება მის შიგნით,
 კაკალივით რომ შუაზე გადახსნა?
 იქნებ, ორი კრიალა ლებანი აწყვია,
 ორი ტკბილი კუნძული
 წინგოს ჯანგისფერ სითხეში...
 შენ რა იცი, რა ძლიერი სახელმწიფოს
 საზღვართან დგახარ —
 დამოუკიდებელი, ერთმმართველი, სრულიად თავის!

მას არა ტკივილის, არა სტიქიის,
 არა ტანის ამბოხების,
 მხოლოდ პოეტის თუ ეშინია,
 რომელიც ახლა ლარნაკშია ყვავილივით ჩაყუდებული,
 პირი წყლით აქვს სავეს და ველარ ამოუთქვამს
 წმინდა გონების ძვირი,
 მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის,
 ჭკვიან თავს თეთრი დროშასავით გამოუგდია წინ
 რომანტიკული ყელი,
 საგანი, ყველაზე გაცვეთილი
 და ყველაზე მოუყირპებელი პოეტისათვის,
 დღევანდელ ფოლადის კონსტრუქციებში
 გამოტარებული ისე, როგორც ნემსის უღწევი:
 მოჭნილობის ნიმუში, გედი, გაფცქვნილი კვერცხი, მარმარილო...
 ალბათ, არასდროს არ ძველდება სიტყვა,
 თუნდაც აგურით დამძიმდეს იგი
 ტანზე აკრული ყოფის ტალახისგან,
 რადგან საუკუნეებში
 ბრინჯაოს ბალახისფერ სინათლეს ეზიარება
 და უეცრად, ერთ საღამოს,
 სავარძელში ბედნიერად ჩათვლემილს,
 თავზე მეხივით დაგატყდება
 რაიმე საოცარი სიტყვა, მაგალითად,
 მიქელ მოდრეკილი.
 რატომ მოდრეკილი, ვის წინაშე?
 იმ მოდრეკავ და აღერდილ საუკუნეში?
 ზარის უდრეკადესი ბგერის წინაშე,
 ღრუბლიან დღეში
 ცის იმ მონაკვეთის წინაშე.
 სადაც მზე იგულისხმება,
 რადგან თუ არ მოიდრიკა კაცი
 და ქედზე თვითგვემის მათრახი არ იტყლაშუნა,
 ისე ვერ იტყვის ჰიმნს,
 რომელიც პირველი ბაცი და უხმო ბგერით
 სულ ადრეულ ბავშვობაში იწყება,
 როცა ზოგი ბავშვი ბურთს დასდევს,
 სხვა კი სუფთა ქალაღზე დახატავს
 ერთ დიდ, უშველებელ ყურს,
 რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ყურნი სასმენელნი
 და თვალნი საჩინონი
 მიმართული არიან ჰიმნისკენ!
 მისი ტანი ჭერ არ გაუთიშავს
 განყენებულ გონებას და სქესს,
 (თეთრი და ალისფერი ვარდების ასწლიანი ომი)
 მაგრამ ამ ტანში
 უტკბილეს ნაყოფზე ჩიტის ნაყრტენივით
 უკვე ჩაფიჭრებულია პოეტი,
 მოდრეკილი კაცი...

სიღონია გულისაშვილი

ან რაღას იტყვი

მესმის...

შრიალი.

ატმის ფოთლების,

შენგან დარგული

ხეთა ხმებია,

მესმის ხმაური ხმელი ტოტების,

ეხლა იქ წვიმის ნიაღვრებია;

და შენს საფლავთან

ქარიშხალია...

რა უფერული...

ნელი და ჩქარი.

შენი სიკვდილი როგორ უხმოა,

შენივე მსგავსი, ჩუმი და წყნარი.

ჩუმი შენი სევდა და ფიჭვი, —

ყოფნით

რა გითქვამს,

აწ რაღას იტყვი?

• • •

რარიგ ძნელია

კაცთ გულცივობა,

სიცივე გულის

ყინვას უსწრებდეს,

რარიგ ძნელია,

იყო თბილი...

და, —

არც ერთი გული —

შენთვის არ ძგერდეს.

• • •

მოუსვენარი მზის სხივი ზრდიდა,

ბუდეს ურწევდა ვერხვი შრიალით,

როცა მთებიდან ჩანჩქერი ცრიდა

და ატყდებოდა ქარი გრიალით...

პატარა ჩიტუნას ტყე იხუტებდა

გულისფრიალით.

ლადო სულაბერიძე

ზღვისკენ მიმავალი გზები

რომანი

თეთრი ქალღმერთი
 ანუ
 ჩემი წინასწარ სათქმელი

1942 წლის ბოლოს დაეამთავრე სამხედრო სასწავლებელი. ფრონტზე მიმავალმა ორასამდე ახალბედა ლეიტენანტმა მატარებლით თბილისზე გამოვიარეთ. სადგურში ჩვენმა გამცილებელმა კაპიტანმა გამოარკვია, რომ თბილისიდან მეორე დღეს გავემგზავრებოდით. თბილისელებს მან ნება დაგვართო ღამე გაგვეთია ჩვენს ოჯახებში.

დღეა შინ არ დამხვდა, ქუთაისს წასულიყო.

მე და ჩემს მეგობარს იოველ მოდებამეს იმ ღამეს მამაჩემი გაგვიმასპინძლდა.

ეს ის დრო იყო, როცა ყოველ დღით გაზეთებსა და რადიოს ფრონტებიდან უსიამოვნო ცნობები მოჰქონდათ.

ომის შემდეგ მამაჩემმა მითხრა, როცა გაცილებდი, გულანაბადი შეკრული მქონდა მთებში გადასახვეწად, იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები კავკასიონსაც გადმოლაზავდნენ.

პირველ მსოფლიო ომში პორუჩიკად ნამყოფ მამაჩემს ასეთი გადაწყვეტილება მიეღო და ჩვენ კი არა გვაგრძნობინა რა.

მე კი ჯერ იმდენად ახალგაზრდა ვიყავი, არ შემეძლო გამეთვალისწინებინა იმ გზების სიმძიმე, რომელიც ომში უნდა გამეველო.

ჩემი ცხოვრების მომავალი მხოლოდ ასე წარმომედგინა: ლექსი იქნებოდა ჩემი მუდმივი თანამგზავრი.

პატარა წითელ ჩემოდანში ჩავაწყე პირსახოცი, დედაჩემის მიერ მომზადებული ერთი წყვილი ქათათა საცვალი, საპონი, კბილის ფხვნილი და ჭაგრისი.

ამას გარდა ჩემოდანში საგულდაგულოდ ჩავდე „ვეფხისტყაოსანი“ და, რაც ჩაეტია, დაუწერელი ქაღალდები და ფანქრები.

სადაც ვიქნებოდი, ულექსოდ ვერ გავძლებდი: ტარიელის ვეფხთან შერკინების ამბავს ან ნესტანის წერილს წავიკითხავ-მეთქი, ლექსებს დავწერ-მეთქი.

სადგურთან მამაჩემმა ერთი ჯარისკაცი იცნო, შეაჩერა და ხელი ჩამოართვა. მეც ვიცანი ჩვენი სოფლელი ჯარისკაცი. ფრონტზე ყოფილიყო, ღაზარეთიდან შინ, შუამთაში მიემგზავრებოდა, — ყუმბარას მარჯვენა ხელის თითები წაეგლიჯა მისთვის. ის ჩემზე უფროსი იყო. იღიმებოდა, გზა დამილოცა.

მამაჩემმა მე და იოველს ხელი ჩამოგვართვა, მოგვეხვია და „თავს მოუ-

რეთ, ერთმანეთს მიხედეთო“ დაგვაბარა.

„ბატონებო, მოუხეს“ მღერით გავიარეთ ბაქო, კრასნოდარი, ნოვოროსიისკი და მერე მთელ ღამეს გემით მივცურავდით. მაშინ მივხვდით, რომ ქერჩის ფრონტზე მივდიოდით. დილით ჩავედით ქერჩში.

და თან მიმჭონდა ჩემი პატარა წითელი ჩემოდანი.

რამდენიმე დღე დავყავი ქერჩში, ველოდი ნაწილში გამწესებას.

აქ მოულოდნელად შევხვდი რევან მარგიანს. ის მეგობრებთან ერთად იდგა გზისპირა სახლის წინ, რომლის სარდაფშიც ქართული გაზეთის სტამბა იყო მოთავსებული. ისმოდა მძიმე არტილერიის ყრუ გუგუნე, მაღლა ზრიალებდნენ მტრის თვითმფრინავები. დამომხილი სახლების ნანგრევებს შორის მე და რევანს წუთით გადაგვაფიწყდა ყველაფერი და ისე შევხვდით ერთმანეთს, თითქოს ჩვეულებრივად რუსთაველზე ვყოფილიყავით. მერე მეგობარი პოეტების ამბავი მოვიკითხეთ. აღარ მინდოდა მას დავშორებოდი, მაგრამ ის დრო აღარ იყო, რუსთაველზე რომ ერთმანეთს მაშინ დავშორდებოდით, როცა მოვისურვებდით.

ომმა ჩვენს ჭაბუკურ სურვილებს ფრთები შეაკვეცა.

ერთ დღეს ამხანაგ მეთაურებთან ერთად მივდიოდით სასადილოდ.

უცებ ქუჩის მეორე მხარეს ჩემი ყურადღება მიიქცია ორმა ქარისკაცმა. მათ მხარზე გრძელი ჭოკი ვაედოთ, ზედ დიდი თუნუქის კასრი იყო ჩამოკიდებული.

მივაჩერდი. უკან მიმავალი, თავჩაქინდრული მაღალი ქარისკაცი გრძელ ნაბიჯებს მიადგამდა. მარჯვენა ფეხის ტერფი მოქცეულად მიქჰონდა. ქარისკაცის ნაბიჯები და გრძელი მკლავის რხევა მეცნო.

დავედევნე. მივედი და მკლავში ხელი მოვიკიდე ქარისკაცს. ის შეჩერდა და შემომხედა. წინ მიმავალი ქარისკაციც შეჩერდა.

მაღალმა ქარისკაცმა შემომხედა თუ არა, მაშინვე ორთავემ ერთად შევხვდით:

— ვალოდია!

— ვალოდია!

მხარზე გადებული ჭოკი გადაუვარდა, თუნუქის კასრი ზრიგინით დაეცა ქვაფენილზე. ვალოდიასთან შეწყვილებული ქარისკაცის ბარაქიანი რუსული გინებაც შემომესმა ამ დროს.

ერთმანეთს გადავეხვიეთ.

ასე მოულოდნელად შევხვდი ქუჩაში ჩემი სულის ტყუპის ცალს ვლადიმერ უბილაევს.

სასადილოში მივდივარ-მეთქი, ვუთხარი. მეც იქ ვმორიგეობ, წყალს მოვიტან, მალე მოვალო, მითხრა.

სადილობა დამამვიწყდა, სასადილოსთან ველოდებოდი ვლადიმერს. სანამ მოვიდოდა, ჩვენი პირველი შეხვედრა გამახსენდა.

1938 წელს ქუთაისში დავამთავრე საშუალო სკოლა და ივლისში თბილისში ჩამოვედი. განცხადება უნდა შემეტანა სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

უკვე რამდენიმე ლექსი მქონდა გამოქვეყნებული ქუთაისის გაზეთში.

თბილისში ჩამოვედი თუ არა, რათქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მწერალთა კავშირი მოვიძიე, იქვე იყო მოთავსებული ეურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქცია.

მწერალთა კავშირის შენობაში შევედი და კიბეებს ისე შევყვავი, თითქოს მივიპარებოდი. ავედი მეორე სართულზე და ფართო მოსაცდელში მდგარ ლომისა და ვეფხვის ფიტულებს რომ შევხედე, უცებ შევკრთი, შევჩერდი კიბესთან.

ფიტულების გვერდით ერთი ჭალარაკაცი (როგორც მერე გამოირკვა, ალექსანდრე აბაშელი ყოფილა) და მაღალი, ფართო შუბლიანი ახალგაზრდა ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. გავბედე და მათთან მოკრძალებულად მივედი, ვიკითხე „ჩვენი თაობის“ რედაქცია.

ქალარა კაცმა ჭაბუკ თანამოსაუბრეს უთხრა:

— გაჰყვივი, ვლადიმერ, აჩვენე ყმა-წვილს რედაქციის ოთახი.

ჭაბუკმა გულლიად შემომლიმა, მკლავში ხელი ჩამკიდა და რედაქციის ოთახში შემიყვანა. იქ ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი ნიკა აგიაშვილი დაგვხვდა, რომელსაც კარგად ვიცნობდი ქუთაისიდან. ნიკას დანახვისას ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქე. ამბავი მკითხა და მერე ჩემს მეგზურ ჭაბუკს მიმართა:

— თქვენ იცნობთ ერთმანეთს?

— არაო, უპასუხა ჩემმა მეგზურმა.

ნიკამ გავაცნო ერთმანეთი.

ჩემი მეგზური ახალგაზრდა პოეტი ვლადიმერ უბილავა აღმოჩნდა.

გამიხარდა. ვლადიმერს უკვე ვიცნობდი რამდენიმე ლექსით. მისი პირველი ლექსი „მამის კერასთან“ რამდენიმე წლის წინ ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადის დღეებში ჩემს ლექსთან ერთად დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“.

მე ნიკას ლექსი დავუტოვე და ახლად გაცნობილ ვლადიმერთან ერთად ქალაქში გამოვედი.

ვლადიმერი მაშინვე გამიშინაურდა. მივეყვებოდით მაჩაბლის ქუჩას და კარგა ხნის მეგობრებივით მივსაუბრობდით.

რუსთაველის პროსპექტამდე მოვასწართ ცოტათი გავცნობოდით ერთმანეთს. მომხიბლა მისმა უბრალოებამ და მიაშიტობამ. ლაპარაკის დროს ელიმებოდა. ისიც ახლახან ჩამოსულიყო სოფლიდან და უკვე შეეტანა საბუთები უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისურ სექციასზე. დინჯად მიდიოდა, მე მიჰირდა მისი გრძელი ნაბიჯებისათვის ნაბიჯები გამეტოლებინა. სამეგრელოს მიწის სურნელი დაჰკრავდა მის კილოს, სიტყვებსა და ღიმილს. გლეხური გულწრფელობა იგრძნობოდა მის მიერ ნათქვამ ყველა ფრაზაში.

პროსპექტი ავიარეთ. არავინ გვესალმებოდა და არავის ვესალმებოდით.

ჩვენ არავინ გვიცნობდა ჯერ თბილისში.

უნივერსიტეტამდე მომყვამ.

გზაში მიჩნია, მეც ინგლისურზე შემეტანა საბუთები, არ ვიცი, რატომ, მაშინვე დავეთანხმე და ასეც მოვიქეცი. ჩავაბარეთ გამოცდები.

ჩავვრიცხეს. სექტემბერში საცხოვრებლად მოვეწყეთ სტუდენტთა ქალაქში.

პოეზიის სიყვარული გავიწყებდა ხელმოკლეობას. ტყუპის ცალებივით ერთმანეთს აღარ ვცილდებოდით. ცალ-ცალკე თუ გენახავდნენ ამხანაგები, გაუყვრდებოდათ. საღამოს შევეერთდებოდით ხოლმე რუსთაველის პროსპექტზე მეგობარი პოეტების ჯგუფს. გაისმოდა ახალ-ახალი ლიტერატურული პაროდები და ნაყვესები. ვლადიმერი გულიანად იცინოდა ხოლმე. თვითონ არასოდეს გაიმეტებდა ვინმეს გასაკენწლად და გასაჭირდავად. ერთ საღამოს თვითონ მასზე გამოთქმული სხარტულაც დაახვედრეს ფუნაგორისტებმა:

პოეზიაში უბილაობა

და ცხოვრებაში უზინაობა.

სიცილით მოკვდა ვლადიმერი.

მაღე დაბრუნდა. გაცვეთილი ფარაჯა ეცვა. წვივებზე შავი ტოლალები ეხვია. თავის საწოლთან მიმიყვანა, იატაკზე თივა ჰქონდა გაშლილი.

საოცრად გახალისდა. უმკაცრესი დღეები გაველო, მაგრამ ბავშვური მიაშიტობა და ის ღიმილი, ბარაქიანი ღიმილი, დაბადებიდან თანდაყოლილი, კვლავ შერჩენოდა. ნაგლეჯ ქალაღდებზე დაწერილი ლექსები ამოიღო და წამიკითხა. ლექსებში აღარ ჩანდა მეგრული პეიზაჟები, არ ისმოდა მეგრული ფოლკლორის მოტივები. ბომბები-საგან დაგლეჯილ მიწის სუნს, დაღვრილი სისხლის ორთქლს, ჯარისკაცის არაადამიანურ გასაჭირს, საშობლოსაკენ ლტოლვას ახლა მისი ჩვეულებრივი ლექსის ფერები და კილოც შეეცვალა.

ადრე ვერც წარმოვიდგენდი, შეგვეუბოდა თუ არა ვლადიმერი ჭარისკაცურ ცხოვრებას. საამისოდ მეტად მოუხერხებელი მეჩვენებოდა.

არც ის შეგონა, კაცთა საკლავად თოფს თუ გაისროდა ოდესმე.

გაჰიკრებოდა, მაგრამ შეგუებოდა.

მეორე დღეს მე ფრონტზე გამგზავნის რეზო და ვლადიმერი ქერჩში დაეტოვე.

სკოლიოში მისაწერი

ნურავინ დაგვძრახავს: ჩვენ ცრემლით დავეშორდით ერთმანეთს. მერე ჩემს თავზე წისქვილის ბორბალივით დატრიალდა ქარიშხალი. უფრო სასტიკად ძველებია ის ქარიშხალი ვლადიმერის შვერდს.

რევაზი და მე დავბრუნდით. ვლადიმერისა საფლავიც არ ვიცით, სად არის. ხშირად მხედებიან ჩვენი საერთო ამხანაგები. აღარ უკვირთ, ერთად რომ ველარ გვხედავენ. აღარ შეკითხებიან:

— სად არის ვლადიმერი?

ქერჩიდან ნაწილში რომ გავგამწესეს და ფრონტისაკენ მივიღოდი, გზად ფრონტელი ჭარისკაცები გაკვირვებით შემომტკეპროდნენ — ჯერ ჩემს ჩემოდანს შეხედავდნენ, მერე კი მე შემომამტერებოდნენ.

ცოტა ხანს მატარებლით ვიმგზავრეთ, მერე კი ფეხით გავუღუქით გზას.

ერთგან გერმანელების თვითმფრინავებმა გადაგვიფრინეს. ჩვენ სირბილით გავიშალენით და მიწას გავეკარით. დაწოლის დროს ჩემი ჩემოდანი ვილაცას მოხვდა და როცა მიწაზე გავწექით, შემომძახა, სად მიათრევ ჩემოდანს, ზურგჩანთა ვერ მოიკიდევო?!

მაშინ მივხვდი, გაკვირვებით რატომ მაჩერებოდნენ ფრონტელები.

არმიის შტაბიდან თორმეტი მეთაური ერთ-ერთ საზღვაო ქვეითთა ბრიგადაში გავგამწესეს. მეორე თვე იყო თურმე რაც ბრიგადა წინა ხაზზე თავდაცვაში იმყოფებოდა და საგრძნობლად შეთხლებულიყო. ჩვენ მეთაურ-

თა შემადგენლობის შესავსებად გავგზავნენ.

ბრიგადის შტაბს რომ შევუახლოვდით, საღამო ხანი იყო. გარკვევით ისმოდა თოფებისა და ავტომატების სროლის ხმა.

ტრიალ მინდორზე ერთი კედლებჩამოღწეული ჭკის სახლის მეტი არა ჩანდა რა. სახლს რომ გავშორდით, უცებ ჩვენს გარშემო წივილ-წივილით დაეცა და გასკდა ნალმები. საშინელი ზრიალი ატყდა. ეს ისე უეცრად მოხდა, რომ ჩვენ, ახალბედა ლეიტენანტები ერთხანს გონს ვერ მოვედით. ნალმები კი ერთმანეთს მოსდევდა და სკდებოდა.

ვილაც ჭარისკაცმა ჩამოგვიქროლა და დაიბლავლა:

— გაიშალენით! დაწექით!

ჭარისკაცს რევოლვერი ეჭირა ხელთ და ჩვენ გვიჩნევდა. წვერმოშვებული და თმაბურძგნილი ჭარისკაცი გვიყვიროდა, დაწქითო და თვითონ კი ფეხზე იდგა. მე არასოდეს დამაიწყებდა მისი ცეცხლიანი თვალები.

ბრიგადის შტაბიდან შეენიშნათ, არხეინად და წელგამართულნი რომ ვუახლოვდებოდით სანგრებს და ჭარისკაცი გამოეგზავნათ გასაფრთხილებლად. ამ დროს მტერსაც ამოველეთ მიზანში და ის იყო დაგვიშინეს კიდევ.

ჭარისკაცმა გვიყვირა თუ არა, მაშინვე გამოვერკვიეთ. თავქუდმოგლეჯილები გავიფანტენით.

მე იმ წუთისა აღარაფერი მახსოვს.

მახსოვს მხოლოდ, რომ ჩემთან ძალიან ახლოს მიწა გაიპო, რალაცამ ისე იქუხა, სმენა დამიხშო, მე დავეცი და ხელები თავზე წავიფარე. აღარც ის მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი მიწაზე პირქვე გართხმული.

როცა ოდნავ სიწყნარე ჩამოწვა, თავი ფრთხილად ავწიე, გარემოს თვალი მოვავლე.

პირველი, რაც იმ წუთს თვალში მეცა, იყო კუდიანი ქარი, რომელსაც მტერი შეეჭუჩებინა და ჩემს ახლოს დაგრეხილ სვეტად დაედგა. მტერის სვეტში ჩამავალი მზის შუქზე ელვარე-

ბდა უცნაურად მოფარფატე თეთრი ქალაღდები. ქარი ქშინავდა და მე თეთრი ქალაღდების შრიალიც მესმოდა.

უცებ კუდიანმა ქარმა მტვრის სვეტი მიწასთან გაასწორა და შლიგინ-შლიგინით მინდორზე გაიჭრა. ახლა სხვა თეთრი ქალაღდებიც წამოშალა და ფარფატ-ფარფატით თან გაიყოლა. ქალაღდები ჭერ თეთრი წეროების მწკრივებით გაიჭიმა ჰაერში. მერე კი, თითქოს მრისხანე ქარი შემობრუნდა და პირისპირ შეეჯახაო, ნაღმებით გადათხრილ მინდორზე მიმოფანტა ისინი.

გზაში დაღლილ, გუნდს ჩამოშორებულ, ძირს დაცემულ წეროებს ჰგავდნენ იმ წუთს თეთრი ქალაღდები.

აღარსად ჩანდა ჩემი წითელი ჩემოდანი. ნაღმი დასცემოდა. პირსახოცის ნაგლეგებს მოვკარი თვალი, ნაღმის ნამსხვრევი შტაბიდან გამოგზავნილ ჭარისკაცს საფეთქელში მოხვედროდა და დაგლეჯილ „ვეფხისტყაოსანს“ მკერდით გადამხოზოდა, იმ დროს იქვე კუდიანი ქარიც გაჩენილიყო და ჩემი თეთრი ქალაღდები, რომლებზეც ლექსები უნდა დამეწერა, მტვრის სვეტში შეეტაცებინა.

ჩემი წინასწარი სათქმელის ბოლო-თქმა

...ახლა, როცა მაგიდაზე ქალაღდებს დავაწყო და ლექსებს ვწერ, ის თეთრი ქალაღდები მგონია.

ის ქალაღდები მგონია, რომლებიც მაშინ დედამიწაზე დანარცხებული წეროებით ფართხალებდნენ და შველას ითხოვდნენ.

მართალი ნათელი

ნაღმების ხლეჩის ხმა მინელდა და ახლა თვალცეცხლიან მაიორს მოვკარი თვალი. ის გრძელი ნაბიჯებით ჩვენსკენ გამოემართა. ჩვენ კვლავ გაწოლილები ვართ, ვინ სად და ვინ სად. ბორცვთან არჩილი წამოიზღაზნა, დინჯად მიიხედ-მოიხედა. თვალცეცხლიანი მაიორი არ-

ჩილთან მიიჭრა, ჩახლეჩილი, ბოხი ხმით შესძახა:

— სად არიან?!

მაიორის ხმა თითქოს ყველამ ერთბაშად გაიგონაო, მიწაზე გართხმულნი ნელ-ნელა წამოდგნენ. მეც წამოვდექი. მაიორმა დაგვინახა თუ არა, მაშინვე იქეჭა:

— სირბილით მომყევით!


წაქნძქულდა მაიორი, თან მიჰყვა მაიორივით ზონზროხა, მაგრამ უფრო მალალი არჩილი. ყველანი მათ გამოვეციდეთ. ცოტა ხნის შემდეგ მაიორი რომელიღაც ორმოში ჩახტა, არჩილიც თან გადაჰყვა და ორმოდან ბუხუნ-ბუხუნით ამოქუხდა მაიორის ჩახლეჩილი ხმა:

— ორმოში, ორმოში, არწივებო!

ყველანი სათითაოდ ჩავცვივდით გრძელ, კაცის სიმაღლე ორმოში. თორმეტევიმ რომ თავი მოვიყარეთ, მაიორმა ცეცხლწაიკიდებული, ამღვრეული თვალები შეგვევლო ცალ-ცალკე, მერე რიგ-რიგობით ხელი ჩამოგვართვა, — მაიორი კლამოვი, შტაბის უფროსიო, თავი გავვაცნო ხელის ჩამორთმევისას.

როგორც კი ორმოში ჩავხტით და მაიორს შევხედე, ეღდა მეცა. ცეცხლი რომ ეყიდა თვალებზე, ეგ არაფერი. ტყიდან გამოვარდნილ მხეცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანიშვილს. სახეზე წვერი გარეული ტახის ჯაგარივით აბურძგნოდა, ცხვირის ნესტოებიდანაც გამოსჩროდა გაბზეკილი ბეწვები, სქელი წარბები ერთმანეთზე ჰქონდა გადაბმული, დოღში დაღლილი ცხენივით ქშინავდა.

— აგრე, აგრე, დაფეთლით, არწივებო?! — არც გაბრაზება შეიძინეოდა მის ხმაში და არც გაშინაურება, — ფხიზლობს მამამალლი გერმანელი, თვალი მოგატანათ... შელამებამდე გაძელით, თავს ნუ აჰყოფთ ამ ორმოდან. თუ ისევ ორომტრიალი ატყდა, თორმეტევი აქ ნუ დაელოდებით ნაღმს... მეთაურები ახლა ჰაერით სჭირდება ბრიგადას, აცვივდით აქედან და გაიფანტენით. მერე ისევ აქ მოიყარეთ თავი. შელამებულში მიგიყვანთ თქვენ-თქვენ



სანგრებში. მეთაურები გაგვიელტეს, ბიჭებო, ოცეულები უმეთაუროდ დაგვიკრა. შეღამებამდე თავს გაუფრთხილდით!

მაიორი ქურციკივით ახტა ორმოდან და გაუჩინარდა.

კარგა ხანს ენაჩავარდნილებივით ვიდევით ორმოში. მერე ზოგ-ზოგი ჩაჭდა, გააბოლეს პაპიროსები. ორმოში ყრულ ისმოდა შორეული ქვეშეხების გუგუნი. ჩვენს უბანზე მყუდროება ჩამოდგა. გაოგნებული ბიჭებიც სდუმდნენ. ალბათ ყველანი ერთნაირად ვფიქრობდით ახლა იმაზე, რაც თავს გადაგვხვდა. ეს ხომ პირველი საფრონტო ნათლობა იყო ჩვენს ცხოვრებაში. ამგვარი ამბავი მხოლოდ წიგნებში წაგვეკითხა და კინო-ფილმებში გვენახა.

ნოვოროსისიკში რომ ჩამოგვიყვანეს, ღამე საშუალო სკოლის სამსართულიან შენობაში გავათიეთ. მესამე სართულის გრძელი დერეფნის იატაკზე ვეყარეთ. ახალშეთენებულზე წამოგვეშალეს და აბანოში წაგვიყვანეს. სკოლას ორიოდე კილომეტრით ვიქნებოდით გამოცილებული, როცა თვითმფრინავის ზღუზუნი შემოგვესმა. ჩვენი გამცილებელი კაპიტანი ფრონტზე ნაწყობი იყო უკვე და მყისვე მიხვდა, გერმანელების თვითმფრინავი. თვითმფრინავის გუგუნი თანდათან ძლიერდებოდა. ვერ ვხედავდით თვითმფრინავს, იგი ზღვიდან უახლოვდებოდა ქალაქს. კაპიტანმა გვიბრძანა, გაიშალენით და რამეს თავი შეაფარეთო. სასწრაფოდ გავიფანტენით. ერთი ვებერთელა რკინის მილი ეგდო ქუჩის კიდესთან. მე და არჩილი მილში შევჭვერით და გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. მალე ზედ თავზე გადაგვიქშეილა თვითმფრინავმა. მილიდან თვალი მოვკარი ზღვაზე დაქანებულ და მერე მალა აჭრილ თვითმფრინავს. პირველად დავინახე გერმანელების თვითმფრინავი.

დაწყნარდა გარემო. კაპიტნის ძახილზე კვლავ ერთად მოვიყარეთ თავი და განვაგრძეთ გზა აბანოსაკენ.

ოცტა ხნის შემდეგ საბარგო მანქანამ

ჩამოგვიჭროლა. მანქანა დაჭრილი ჯარისკაცებით იყო სავსე. ქურციკს წინაშე შენობას დასციემია. ჩვენ გამოვასწარიხართ?

ომში, ალბათ, ამგვარი მოულოდნელი შემთხვევა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელოდება ჯარისკაცს. სიკვდილი კვალდაკვალ დაგდევს. ჩვენ გამოვასწარიხართ სკოლის შენობიდან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აბანოში წაგვიყვანეს. სხვებს მიუსწრო ქურვმა, რამდენიმე მათგანი დახოცილა, ფრონტის წინა ხაზამდე ვერ მიულწევია, ერთი ტყვიაც არ გაუსვრია მტრისკენ, შეტევის ქარცეცხლში ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. იქ, ნოვოროსისიკში გემს ელოდებოდა, რომ ქერჩის ფრონტზე გადმოსულიყო. მტრის თვითმფრინავი წამოეპარა და ნალმის ნამსხვრევი გაეჩხირა გულში. ვინ იცის, რა სიზმარს ხედავდა. ალბათ ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭი იყო. ომი ხომ მეტწილად ახალგაზრდობის ზურგზე დაჭლივინობს. ვინ იცის, რა სასწაულს მოახდენდა მტრის პირისპირ ბრძოლაში ჩაბმული. ვინ იცის? არავინ არ იცის ახლა ეს. არც ის იცის ვინმემ, ომში გამობრძმედილი ჭაბუკი ომის შემდეგ ადამიანური ცხოვრების როგორ ტვირთს ასწევდა, რომელ საჯილდაო ქვას შეერკინებოდა. არა, ამ ჯოჯობეთურ ქარ-ცეცხლში გამოვლილი კაცი ვიგინდარა არ შეიძლება გახდეს. ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი ვიცი ომისა, მაგრამ ამ ორმოში რომ ვხივარ, რატომღაც ასე მგონია: აქ გადარჩენილ კაცს ვიგინდარის სისხლი რომ ედგას, ერთი ტყვიაც თუ გაეწრავს, მხოლოდ იმ სისხლისგან დაიცლება. ღეთის ბოძებული ნიჭი თუ აქვს ვისმეს პოეტის, მხატვრისა თუ მუსიკოსის, მწამს, ამ ალიაჭოთის შემდეგ ძალზე მნიშვნელოვან რამეს შექმნის.

ჰოდა, იმ ყმაწვილს, (არავინ იცის, როგორი სისხლი უჩქეფდა ძარღვებში), ნალმის ნამსხვრევი გაეჩხირა გულში და ყველაფერი გათავდა. გათავდა ასე მოულოდნელად, უბრალოდ, უსახელოდ. მართლა ასეა? უსახელოდ? არა. მთლად უსახელოდ არა. ამგვარი

სიკვდილი არ არის უსახელო სიკვდილი. იმ ბიჭის მკერდს რო მოხვდა ნაღმის ნამსხვრევი, იგი მამულის მკერდისკენ იყო გამიზნული. ჰოდა, ის ნამსხვრევი შეაჩერა ბიჭმა. თუ მის გვერდით რომელიმე სხვა ქარისკაცი იდგა, მას გაგლეჯდა ის ნამსხვრევი. მაშასადამე, იმ ქარისკაცისა და მამულის ფარი ყოფილა ბიჭი. მაშ, რატომ უნდა დავარქვათ მას უსახელო?! მერე რა, რომ დიდი საგმირო საქმეები არ დასცალდა?! ნაღმის ერთი ნამსხვრევი შეაჩერა და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სიცოცხლე კი ერთი აქვს ადამიანს ამ ქვეყნად. არა, არა, ის ქარისკაცი უსახელო ქარისკაცი არ არის.

აგერ, ახლა, ამ ორმოში რომ ვყრივართ, ერთ-ერთ ჩვენგანს ბეჭზე ფარაჯის ნაგლეჯი ჩამოჰკიდებია. ამასაც ნამსხვრევი მოხვედრია, მაგრამ ფარაჯის ჭინჭი აუგლეჯია მხოლოდ. ხომ შეიძლებოდა ბეჭში გარჯობოდა ნამსხვრევი. რევოლვერიანი ქარისკაცი, ჩვენ რო გვიყვიროდა, დაწეკით, დაწეკითო, თვითონ უსულოდ არის ახლა გადამხობილი ჩემს წითელ ჩემოდანზე. უშიშრად დაძრწოდა აღმოდებულ მინდორზე. ის კი არ უფიქრია, რა მესაქმება, გადარჩებით თუ არაო, ბლაოდა, ჩვენ რომ ვადავრჩენილიყავით, თვითონ კი ჩემს „ვეფხისტყაოსანზე“ დააწრიტა უკანასკნელი სისხლის წვეთები.

ფიქრი მოულოდნელმა ჭექა-ქუხილმა შემაწყვეტინა. ისევ იძრა მიწა. კი არ იძრა, თითქოს ჭვესკნელიდან ვულკანმა ამოხეთქა და მიწის ქერქი დააპო. ერთმანეთს მიჰყვა ხლეჩვის შემადრწუნებელი ხმა.

ორმოდან არც თუ ისე შორს რამდენიმე ჭურვმა იფეთქა.

ამოვედით ორმოდან და უწესრიგოდ გავიფანტენით.

მიწაზე გართხმულს არჩილის ძახილი შემომესმა:

— ბუღუ!

თავი წამოვწიე, ვხედავ, არჩილი და სხვა ბიჭები თავქუდმოგლეჯილნი გარბიან. წამოვიჭერი და დაოთხილი გამო-

ვუდექი მათ. ვგრძნობ, საღლაც ახლომახლო სკდება ნაღმები, მხრებზე — მეყრება ზეატრქვეული მიწა. არ გამეგება, საით მივრბივარ. თვალს არ ვაშორებ არჩილს. არჩილმა რამდენჯერმე გამომხედა, ხელიც დამიჭნია და მეც მივდექარგა ხანს ვირბინე.

როგორც იქნა გავედით ნაღმსატყორცების ცეცხლის ზონიდან, მაგრამ ახლა წინ არტილერიის ცეცხლი გადაგველობა.

სახლის ნანგრევთან ყუშმბარა გასკდა და ჩემგან მოშორებით არჩილი მიწაზე გაიშობა. მივეარდი და მის გვერდით გავწეკი. შუილ-შუილით ეცემა ჩვენს გარშემო ქვისა და აგურის ნამსხვრევები. არ ვიცი რამდენ ხანს ვირბინეთ. არტილერიის ჭურვები გლეჯს მინდორს.

— გავშორდეთ ამ ნანგრევს, — თქვა არჩილმა და ფეხზე წამოვიჭერი. მივეყვი არჩილს.

პატარა თხრილში ჩავგორდით. არჩილი საბერველივით ქშინავს. მეც სულს ძლივს ვიბრუნებ. წამით ჭურვების სკდომა შეწყდა და მყისვე თხრილიდან ამოვეცივდით. არჩილის მეტს ვეღარავის ვხედავ. მესმის მისი ქშენა. ოფლი წურწურით ჩამოდის. დავილაღე.

უცებ შევნიშნე, ჭურვები აღარ სკდება, გარშემო სიწყნარე ჩამოწვა. შევჩერდი. მივიხედ-მოვიხედე. ჩემს გარშემო აღარაფერი ჩანს. ჩამოღამებულა, რატომ ვერ შევამჩნიე, როდის დაღამდა?

— არჩილ! — წამოვიძახე.

არჩილი მიწაზე წამოქცა და სულს იბრუნებს. მეც იქვე მივეგდე.

— დაღამებულა.

— ჰო, დაღამებულა.

— როდის დაღამდა ასე შეუმჩნევლად?

— არ ვიცი.

სული მოვიტყვი. ოფლი შევივრეთ. არჩილი გულაღმა გაიშობა და თითქოს ცას ასძახა:

— ეგ რა დღე დაგვაყარეს ოჯახობრებმა!

მერე წამოქცა და მკითხა:

— სხვები სად არიან?
არც მე შემომჩნევია, სხვები სად მი-
იპალნენ.

არჩილმა კოტიტა თითები შებლზე
გადაისვა, შიხედ-მოიხედა. შორს, სიბ-
ნელეში, ცისკენ შესხუნა ასრიალდა,
ანახახადა და მიწისკენ დაეშვა. მერე
— მეორე, მესამე... ხანგამოშვებით ხან
ერთ, ხან მეორე მხარეს განმეორდა
ა.ე. ტყვიამფრქვევების წყვეტილ-წყვე-
ტილი კაკანი ისმის შორიდან.

არჩილმა ზორბა ბეჭები და ფართო
გულ-მკერდი ძლივს აიზიდა და წამო-
დგა.

— სადა ვართ ახლა ჩვენი?
როგორც ჩანს, არჩილი გონს მოეგო.
ვიცი არჩილის ხასიათი. ექვს თვეს
ერთად ვიზიარებდით სამხედრო სასწა-
ვლებლის ჭირ-ვარამს. უნივერსიტეტის
მერხებიდან მოსული სტუდენტებისათ-
ვის არც ისე იოლი იყო ეს ჭირ-ვარამი.
ომამდე ჩვენი სამეთაურო სასწავლებ-
ლი ორწლიანი იყო. ახლა იგი ექვს თვე-
ში უნდა დაგვემთავრებინა. დაძაბული
მეცადინეობა გვქონდა. დღე-ღამეში
თორმეტ საათს გვაშეცადინებდნენ. მე
და არჩილი ერთი ოცეულის ათეულში
ვიყავით ერთად. საწოლებიც გვერდი-
გვერდ გვედგა. არაფერი უჭირდა არ-
ჩილს ისე, როგორც საწოლების გასწო-
რება. მე ვშველოდი. სხვა არაფერი ეძ-
ნელებოდა. არც ეზარებოდა. ტაქტიკუ-
რი მეცადინეობის დროს თოვლსა და
ჰყაპში გაუვალ ადგილებს გადიოდა
ტყითა და ბუჩქნარით დაბურულ მთე-
ბში, დღე იყო თუ ღამე.

მორგევივით შეკრულმა არჩილ მღებ-
რიშვილმა შიში არ იცოდა, რა იყო.

ახლა რა მოხდა? რა იყო ეს? დაფე-
თდით თუ ასე იყო საჭირო? მერედა,
მაიორმა რომ გვითხრა, ორმოში და-
მელოდეთ, ღამით გაგიყვანთ პოზიცი-
აზე თქვენს-თქვენს ოცეულებშიო? რა
მოხდა? სად გამოვიქეციეთ? როგორ
მივაგნოთ ახლა კუნაპეტ ღამეში ორ-
მოს? მაიორი მოვიდოდა შუალამისას
და ჩვენ ორმოში კი არა, აი, სად ვართ.

ალბათ ეს გაიფიქრა უცხად! არჩილ-
მა და იმიტომ იკითხა, სად ვართ? —
ქერჩის ნახევარკუნძულზე-შეხტა-
ვუპასუხე და მეც წამოვდექი.

— ეე!.. — გააგრძელა არჩილმა, —
ნახე შენც ხუმრობის დრო! როგორ
მივაგნოთ ორმოს?

— რომელი მხრიდან გამოვრბოდით?
— ბარემ ბილიცი მომთხოვე, რომე-
ლიც პირდაპირ ორმოსთან მიგიყვანს.
შეშხუნები კი ბნელ ცას ასკდებიან
ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.

— შეშხუნების მიმართულებით რომ
უნდა წავიდეთ, ეს ცხადია.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ რომელი
შეშხუნის მიმართულებით?

— იცი რა, მოდი, მივევლოთ აქ სა-
დმე, გათენდება და გზაც გარკვევით
გამოჩნდება.

— არ გახსოვს, მაიორს როგორი ამ-
ღვრეული თვალები ჰქონდა?

— მახსოვს.

— მერე?

— მერე ისიც მახსოვს, მაიორმა რომ
გვითხრა, თავს მოუარეთო.

ეს ვთქვი თუ არა, მარჯვენა მხარეს,
სიბნელეში, მკრთალ სინათლეს მოეკა-
რი თვალი. მივაჩერდი. გარკვევით ჩანს
მკრთალი სინათლე.

— არჩილ, შეხედე! — შევძახე არ-
ჩილს, — ვილაცამ სანთელი აანთო. იქ-
ნებ ჩვენი ბიჭებია?

ამ სუსტმა ნათელმა ერთბაშად გა-
მოგიყვანა გაურკვეველ მდგომარეო-
ბიდან. ცას მიფრქვეული შეშხუნების
იისფრად მოჩახჩახე შეჭზე უფრო ეს
მკრთალი ნათელი გვეცნაურა ღამის
სიბნელეში გზის გამკვლევად. არჩილს
ხმა არ ამოუღია. მივაპირდაპირეთ სი-
ნათლეს.

კარგახანს ვიარეთ. ერთ ჭობს მივა-
დექით. სინათლე ჭობის ვიწრო სარკმ-
ლიდან გამოსჰვივის. ჭობი ღობით არის
შემორავებული. შემოვუარეთ. ვიწრო
ჭიშკართან შევჩერდით. ჭიშკარი ორ
ნაძეს შორისაა გამართული. სიბნელე-
ში მოშორებით რამდენიმე ჭობი დაე-
ლანდეთ.

— ერიპა! — ჩაგუდული ხმით ამოი-
ძახა არჩილმა.

— რა იყო, კაცო?

— მგონი კარგა მანძილით მოვშორ-
დით ორმოს, აგერა, სოფელიც.

— ამას ახლავე გავარკვევთ.

ჭიშკარი შევალე, გაუსაპნავი ურმის
ლერძივით აჭრიალდა. ეზოში შევედი.
ჭიშკარის ახლოს ჭის გვიმი შევნიშნე
და ჩვეულებრივი, ჩვენებური ოწინარი,
რომელზეც ბაწრით ხის ვედრო ჰკი-
დია.

ხახა გამშრალი მაქვს. მივეარდი ჭას,
ჩამოქაჩე ბაწარი, ამოვიღე და წყლით
სავსე ვედრო გვიმზე ჩამოვდგი. არჩი-
ლი ხარივით დაეწაფა წყალს. მესმის,
როგორ ჩარიყრიკობს მის ყელში წყა-
ლი. რა მადიანად იცის წყლის დაღვევა!
ასე გგონია, კი არ სვამს, მოზრდილ-
მოზრდილი ლუკმებივით ყლაპავს
წყალს, ბაგის კუთხეებიდან ზედ ეღვ-
რება ხოლმე.

ციემა წყალმა სული მოგვიბრუნა.

უცებ ფეხებში რალაც გამებლანდა,
დავიხედე და ელდანაცემი ჭის გვიმს მი-
ვეყუდე: ძალღს თავი აღმართავს და
შემომჩერებია, კუღს აჭიციუნებს.

არჩილმა დაუწრუპუნა. ახლა ძალ-
ღმა არჩილისკენ შემართა მზერა.

— არა ჰყევს!

ისევ დაუწრუპუნა და თავზე კოტი-
ტა თითები გადაუსვა. ძალღმა თავი ჩა-
ქინდრა და ბარძაყზე მიადო. თავზარ-
დამცემი ჰეჰა-ჭუხილისა და ჯერ ჩემთ-
ვის უჩვეულო დაბნეულობის შემდეგ
თვინიერი ძალღის აღერისანმა შეხვედ-
რამ დაძაბული ძარღვები ოდნავ მომი-
დუნა და გულზე მომეშვა.

— აქ ნაღდად ვინმე უნდა ცხოვრო-
ბდეს, — თქვა არჩილმა და ქოხისკენ
გაემართა.

ძალღი არჩილს აედევნა. მეც მათ მი-
ვეყვი.

არჩილმა კარზე დააკაკუნა.

კოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო, გა-
რეთ არც გამოუხედავს ქალს, მოდით,
მოდითო, მაშინვე შინ შეგვიპატივა.
ტამბურიდან ოთახში შეგვიძღვა. მაგი-

დაზე მბეუტავი ლამფა დგას. თავსა-
ფარაკრული ქალი მაგიდასთან მივიდა,
შემობრუნდა და ჩვენ შემოგვაჩერდა.
მკრთალ სინათლეზეც გარკვევით შევა-
მჩნიე მის ხმელ სახეზე უხვად დაყრი-
ლი ნოჰებები.

— გამარჯობათ! — მიესალმა ქალს
არჩილი.

მეც მივესალმე.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ! დასხედით,
დასხედით, ბიჭებო!

— უკაცრავად, შეგაწუხეთ, — მო-
ვიბოდიშე მე, — შემოგვალამდა და...

— არა უშავს, შვილო. აქ ხშირად შე-
მოდიან ასე. მივეჩვიე.

ძალღი ფეხებთან მიუწვა ქალს. ხან
მე შემომცქერის, ხან — არჩილს. მო-
ხუცი შებრუნდა და ლამფას პატრუქი
აუწია, ახლა უფრო განათდა ოთახი.

— გეშეებათ, — თქვა მოხუცმა, —
ახლავე. ღვთის წყალობით მაქვს
მრგვლად მოხარშული კარტოფილი, პუ-
რი, მარილი. ყოველ წუთს ველი თქვენ-
ნაირ სტუმრებს, თადარიგს ვიჭერ ად-
რევე.

მოხუცი ოთახიდან გავიდა.

ოთახი უკრაინული ხატას მსგავსად
არის მოწყობილი. ერთ კუთხეში, მალ-
ლა, ქათქათა, მოქარგულ ტილოებს შო-
რის ხატია ჩამოკიდებული. რკინის სა-
წოლზე მოქარგულპირიანი ორი ბალი-
ში დევს. სუფრაგადაფარებულ უბრა-
ლო მაგიდასთან ხის მერხი დგას. საწო-
ლთან ძველთაძველი კარადაა მიდგმუ-
ლი. გაოგნებული შეეყურებ ოჯახური
ცხოვრებისათვის განკუთვნილ ნივთებს.
ყველაფერს დიასახლისის მზრუნველი
ხელი ატყვია. დიდი რუსული ღუმე-
ლიც გახურებულია. ყველაფერი ეს არ
გამაკვირვებდა. ფრონტის წინა ხაზი-
დან თუნდაც რამდენიმე კილომეტრით
რომ ვიყვეთ ახლა მოშორებული. ნუთუ
მართლა დიდხანს და სწრაფად ვირბი-
ნეთ, ნუთუ ასე შორს გამოეცდით ორ-
მოს! ტყვიამფრქვევების კაკანი ისმის
და ასე შორს როგორ მოგვწვდებოდა
ტყვიების კაკანი?!

არჩილი შემომაჩერდა და მკითხა:

— ბუდუ, შენა როგორ გგონია, შეგვეშინდა ჩვენ და იმიტომ გამოვიქეციეთ?

— არა, ბიჭო, ზურგიდან გერმანელებმა შემოგვიარეს და იმათ მოსაგერიებლად გამოვიქანდით.

— შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. არჩილი ლამფასთან მივიდა და ოდნავ კიდევ აუწია პატრუქს.

ალისთვის თვალი არ მოუშორებია, ხმაგაკმედლილი ჩამოჭდა მერხზე. შევატყვე, ერთი წუთით ფიქრში ჩაღრმავდა. მე რატომღაც ის გამახსენდა, რაც მან მამაზე მიაგებო. ვინ იცის, იქნებ იმასაც მამა დაუდგა თვალწინ?

არჩილის მამა მღებრია პირველ მსოფლიო ომში ნამყოფი კაცი ყოფილა. ომიდან დაბრუნებულა თუ არა, მაშინვე დაოჯახებულა. გამრჩე და სტუმართმოყვარე კაცია მღებრია, მაგრამ ღვინის დასაღევად ყველას არ დაეპატრეება ხოლმე. „ღვინო იმითვინა კი არ უნდა დალიო, რომა ღვინოა და გათრობს, გულის მომწურავი კაცი უნდა გეჭდეს გვერდით და, აი, მაშინა თქვი ღვინის მადლიო“, — ამბობს თურმე მღებრია. ერთხელ ალაზნისპირა რესტორანში შესულა, ათი კაცის სუფრა გამიშალეთო, მოუთხოვია. მიუჭდა თურმე ათი კაცისთვის გაწყობილ სუფრას, ათივე ჭიქა ღვინით შეუვსია და შეჭყოლია მარტოკა ღვინის სმას. ახალგაზრდა მიმტანს შეუბედავს და უკითხავს, ძია მღებრია, შენი სტუმრები სად არიან, მარტო რადა ხარო. მარტო რადა ვარო, შეილო, დღეს ამათთან მომინდა გულშეხასიათება, შენ ვერა ხედავ, თორემ აქა ისეთი ბიჭები სხედან, თვალში რო ჩაგვარდნოდა, თითს არ ამოისომდიო, ზოგი ჩემდროინდელ ომში დამელტუპა, ზოგი გამიციმბირეს იმ ავად სახსენებელ დროსა და მერე იმათხედა აღარაფერი ვიცი, ზოგიც მოშორებით არის დღესა და აბა, იმათ სად ველოდო, როდის ჩამოვლენ, მე კი დღეს მომინდა მათთან ლაზლანდარობა, ცხრა კაცი მიზის, შეილო, აქა, ცხრა ოქრო მამაკაცი, წადი, შენ შენს საქმეს მიხე-

დე, ჩემი საქმისა მე ვიციო, უპასუხნია მღებრიას და ჭაბუკი მიმტანი ცხელ უხმოდ გასცლია სუფრას. მღებრიას კარგახანს უმისლაათია ძმაკაცების აჩრდილებთან, მერე ანგარიში გაუსწორებია და გვარიანად შექეფიანებული წასულა. ეს წელიწადში ერთხელ, ვახის ყვავილობისას მეორდება თურმე და როცა მღებრია ათი კაცისთვის გაწყობილ სუფრას უზის, ვერავინ ბედავს იმ სუფრასთან მიკარებას.

პირველი გოგოს შემდეგ, ბიჭის ლოდინში, მეორე და მესამეც გოგო შეჩენია, მეოთხე და მეხუთეც — გოგო. ბიჭის ნატვრაში გულმიღეულ კაცს დედაკაცის მეექვსე მშობიარობის დროს, აივანზე მდგარს, კვლავ გაუტენია თავისი ორლულიანი თოფი, მაგრამ კარიდან რომ გამოსძახეს ჩუმად, გოგო, ფეხზე ჩახმახშემართული თოფი ეგრევე მოუქნევია, თოფი მიწას დაკეცია თუ არა, მაშინვე ორი ბათქი კლდეღრეებს მიხლია... მხრებჩამოყრილი კიბეებს ჩაჭყოლია, მაგრამ უფერად სახლიდან მეზობლის დედაკაცი გამოვარდნილა, კაცო, გოგოს ტყუპისცალი ტოკორა ბიჭი შეგეძინაო, შეუძახნია უკვე ეზოში ჩასულ მღებრიასათვის. მღებრია შეჩერებულა, კვლავ აივანზე შებრუნებულა დინჯად, მახარობლისთვის უთქვამს, მა რა გეგონათ, აბა, ერთი თოფი ამიტანეო. რაც მზა გიღებები ჭქონია, იმ ღამეს სულ დაუცლია.

გოგოს ტყუპისცალი ბიჭი, — მეშვიდე შვილი, — აუწონიათ და ოთხი კილოგრამი ყოფილა. დილით ადრე წასულა მღებრია, ოთხი კილოგრამი დეკეულის ხორცი უყიდნია, შინ მობრუნებულა, მამაპაპური კაკლის ქვეშ მიწა ამოუთხრია, დეკეულის ხორცი მიწაში ჩაუფლავს, ცისკენ აუხედნია და ჩაუჩურჩულებია: ღმერთო, ხორცი თუ გინდა, აბა, ეგ იკმარე, ამას კი დაეხსენიო. ბიჭისთვის სახელად ნაყიდა დაურქმევია. არჩილს შინაურულად ახლაც ნაყიდას ეძახიან სოფელში. უნივერსიტეტში არავის უმხელდა ამას. მატარებლით ფრონტისაკენ რომ მოვდიოდით,

მარტოკა მე გამანდო ეს საიდუმლო.

ჯარში წამოსვლისას მღებრია ასე გამოშვიდობებია არჩილს:

— არ შეშინდე, ნასყიდა, მაგრა იყავ, მაგრა!

შეიძლება მღებრიას ეს სიტყვები გაახსენდა ახლა არჩილს და იმიტომ მკითხა, ხომ არ შეგვეშინდაო.

შიში თანდაყოლილი თვისებაა ყველა სულეერისა. ამადაც არიან აგრე ფხიზლად. მაგრამ შიშიც არის და შიშიც, არის ლაჩრის შიში და არის ვაჟკაცის შიში. არჩილზე არ შეიძლება თქვა, ლაჩარიო. ლაჩარი არც მე ვარ. ოცდევრთი წლის ბიჭები პირველად აღმოვჩნდით მძინვარე ქარ-ცეცხლში და, რა თქმა უნდა, შიშმა შეგვიპყრო. მაგრამ ახლა არ შეიძლებოდა არჩილისათვის კვერი დამეკრა, ჰო, შეგვეშინდამეთქი.

მოხუცი ქალის ხატაში, ოჯახურ გარემოცვაში კარგად მივხვდი, ვერ მოვიქეცი ვაჟკაცურად, დავფრთხილეთ და გამოვიქეცი. იქ კი, სანგრებში ჯარისკაცები დგანან, ბრიგადა სისხლდაცილია, მაგრამ არავის ფეხი არ მოუცვლია სანგრებიდან. სანგრებში, ჩვენ-ჩვენ ოცულებთან რომ ვმდგარიყავით, ალბათ, არც ჩვენ გადმოვდგამდით ნაბიჯს უკან. იმის გამო, რომ მაიორმა ვერ მოასწრო ჩვენი ადგილებზე მიყვანა, აგერ, რა სამარცხვინო დღეში აღმოვჩნდით. ვიცი მე, არჩილმა ეს საკმაროდ ცხადად გაიხზრა და იმიტომ მკითხა, ხომ არ შეგვეშინდაო.

მოხუცმა მრგვალო, შავი თუჯის ქვაბი დადგა მაგიდაზე. ქვაბიდან მჭრქალი ოხშივარი ამოდის. პური, თეფშები, პატარა ბოთლი და ორი ჭიქა შემოუწყობა გარშემო ქვაბს.

— დანაყრდით, ბიჭებო, — მაგიდასთან მივვიხმომო მოხუცმა, — აგერ, ცოტა არაყიც მაქვს.

მოხუცმა ჩაის ჭიქები ნახევრამდე შეავსო.

— იცოცხლეთ, დეიდა, ვაგიმარ-

ჯოთ! — არჩილმა სულმოუთქმელად გადაჰკრა არაყი.

მე არაყი იმ დღემდე საერთოდ არ მივგმენია. არაყი კი არა, ლვინოც არ დამილევია სათრობად. ბავშვობისას დავთვერი ერთხელ, მშობლებმა სტუმრები გააცილეს, მე ჭიქებში ჩარჩენილი ლვინო გადავხუხე და იმ ღამით ისეთი დღე მაყარა, მას მერე შემძულდა ლვინო. საშუალო სკოლის დამთავრებისას გამოსათხოვარ საღამოზე დავითვერი და მეორე დღეს თუ გადავრჩებოდი, არ მეგონა. არაყი და ისიც ჩაის ჭიქით?! არჩილმა რომ გადაყლაპა, გავბედე, მეც მივიტანე პირთან ჭიქა, მაგრამ ისეთი გულისამრევი სუნი მეცა, მოხუცის მომერიდა, თორემ გადავღვრიდი. თავს ძალა დავატანე და გადავკარი.

— პური, ბიჭო, პურს უსუნე! — მომაძახა არჩილმა.

ავიღე პური და ცხვირთან ვიტაკე. — მე აქ დეიდას კი არა, ბებია ანას მეძახიან. ფრონტლებმა „ფრონტელი ბებია“ შემარჩვეს. აიღეთ, აიღეთ ცხელი კარტოფილი, გაფცქვენი და ჭამეთ!

კარტოფილს მადიანად შევექეცი. მოხუცმა ისევ დავვისხა არაყი. ერთნახალი არაყია, მაგრამ ვიგრძენი მისი ძალა — ძარღვებში საამო სითბომ დამიარა. არჩილმა ახლა თვითონ დაასხა ჭიქებში არაყი, ჭიქა ჭიქაზე მომიჯახუნა, ოჯახს გაუმარჯოსო და ჭიქა ერთბაშად პირში გადაიპირქვევა.

ძალღი

არაყი საკმაროდ გამიჭდა ჯანში. ერთი შეხედვით პირქუშმა და გულჩახურულმა არჩილმა შუბლი გაშალა, ხარივით ბრიალა, ყოველთვის დამაბულ თვალებში ღიმილის ნაპერწკლები აუციავდა. მის ფეხებთან გაწოლილ ძალღს კიდევ ჩაუღო ლუქმა პირში, ისიც წინა ფეხებით აიტოტა და ფეხები და თავი არჩილს თვინიერად დაუღო მუხლებზე. არჩილმა კვლავ ლუქმა მიაწოდა ხელისგულით, მეორე ხელით ზურგის ბალა-

ნი გადაუთელა, მერე თავი აუწია და თვალელებში ჩააჭხედა ძალღს.

— რა ლამაზი და რბილი თვალეები აქვს ამ საცოდავს, — თქვა არჩილმა.

არჩილს რუსული მიანცდამაინც არ ეხერხება, მაგრამ არაყდალეულს სითამამე შეემატა და მოხუცს თამამად გაესაუბრა.

— ბებია ანა, ესე იგი თქვენ გერმანელების დროსაც აქ იყავით? — ვკითხე მოხუცს.

— ჰო, შვილო, აქ ვიყავი. ანკი სად უნდა ვყოფილიყავი?! ეს არის ჩემი სახლი და კარი. მტერსაც და მოყვარესაც აქ უნდა დაეხვედ.

— მარტო ხართ? — ჰკითხა არჩილმა.

— ახლა მარტო ვარ.

— როგორ ძლებთ მერე მარტოკა?

— არა, სულ მარტო არა ვარ. შემოვიღიან ხოლმე ბიჭუბი. ზოგი თქვენსავით — გზად. ბევრი გამიშინაურდა კიდევ. აკი გითხარით, ფრონტელ ბებიას შეძახიან-მეთქი. მომაკითხავენ, მოიტანენ ხანდახან კარტოფილს, პურს, არაყსაც კი. გერმანელები რომ გარეკეს და ფრონტი აქ შეჩერდა, დელეგაცია მომიგზავნეს, საშიში ზონაა და დროებით საცხოვრებლად ქერჩისკენ გადაინაცვლეო. მე ჩემ სახლ-კარს ვერ მივატოვებ-მეთქი. მეორე დღეს ისევ მოვიდნენ. ყმაწვილმა ოფიცერმა მითხრა, დივიზიის მეთაურმა ბრძანა, თუ ნებით არა, ძალით გადაიყვანეთო. ძალით რას მიქვიან-მეთქი, გავცხარდი. ძალით ჩემი სახლიდან ფაშისტებმა ვერ გამაგდეს და თქვენ რა უფლება გაქვთ-მეთქი. ასე გადაეცით იმ თქვენი დივიზიის უფროსს: თქვენი ძალა მანდ ფრონტს მოახმარეთ, გერმანელები კვლავ არ გამოგექცეთ და მე უკან კი არა, თუ გინდა თოფი მომეცი და შენი ჭარისკაცების გვერდით სანგარში ჩავდგები-მეთქი. იმ დღიდან შემარტვეს ფრონტელი ბებია. დივიზიის მეთაურს უბრძანებია, სურსათი არ მოაკლოთო და მოდიან, მოაქვთ. თვითონაც შესტუმრა ერთხელ.

5. „მნათობი“, № 3.

— თქვენს მეტი არავინ ცხოვრობს ამ სოფელში?

— არავინ. რამდენიმე სახლია აქ. ადრე ყირიმელი თათრები ცხოვრობდნენ.

— არ გეშინია, ბებია ანა?

— შიში ვერაფერი ხილია, შვილო. სიკვდილს ვერსად გაეჭკევა ადამიანის-შვილი.

არჩილი წამოდგა. ოთახში გაიარა-გამოიარა. პაპიროსი გააბოლა. შეზარხოშებულმა მეც გამოვართვი პაპიროსი. პაპიროსის მოწვევას ვერა და ვერ მივეჩვიე, ხანდახან ამხანაგები გამომიწვდიდნენ ხოლმე, მაგრამ როგორც კი ბოლი ყელში გადამკდებოდა, ხველა მახრჩობდა. ახლა მოქაჩე, ბოლი ღრმად ჩავისუნთქე, და საოცრება მოხდა — თავისუფლად ამოვისუნთქე, არ დამახველა, პირიქით, მესიამოვნა კიდევ.

არჩილმა ბარაქიანად რამდენიმეჯერ გააბოლა, ოთახში გადააღაჯ-გადმოაღაჯა. ვიცი, რასაც ფიქრობს, ძალიან კარგად ვიცი, კი არ ფიქრობს, ჭიგარი ეწვის, ეს რა ლაჩარი ვყოფილვარო, როგორ გამოვიქციეო. მართალი გითხრათ, მოხუცის ნაამბობმა მეც შემძრა და ჩემს სულში სხევანირი თვალით ჩამახედა.

ჯერ ასეთი თვალით არასოდეს შემხედავს ჩემი თავისთვის.

არაყმა სისხლი ამიდულა და თითქოს გულის ფსკერზე დალექილი, ჩემს მიერ ჯერ კიდევ საკმარისად შეუცნობელი რაღაც მნიშვნელოვანი გრძნობა გულის პირამდე ამოატივტივა. თავისთავში ღრმად ჩაძირული, მხოლოდ თვალე-ბითლა ვამჩნევ, როგორ დაბაჯბაჯებს არჩილი ოთახის ერთი კედლიდან მეორემდე. მოხუცს თვალს ვერ ვუსწორებ.

— გერმანელებს როგორღა დაუსხლტით?! — ბავშვური მიაპიტობით ვკითხე ბებია ანას.

— ჩემი თავი სადღა ჰქონდათ, როცა აქედან გარბოდნენ. მე და ეს საცოდავი ძალღი სხვენზე ავძვერით, თივა: გადავიფარეთ და გადავრჩით.

— ძაღლი?!

— ჰო, ძაღლი. ეგ პაშას ძაღლია, ჩემი შვილიშვილის. იმან გაზარდა, მაგრამ გერმანელებმა კაცივით აწამეს.

— კაცივით აწამეს?!

— კაცივით. ხომ ხედავთ, აღარ ჰყევს.

— რატომ აღარ ჰყევს?

და მოხუცმა გვიამბო:

პაშა რომ გაიქცა, შეამჩნიეს თუ არა, გერმანელებმა ჭერ ძაღლი დაადვენეს ტყისკენ გაქანებულ ბიჭს.

ობოლაც იქ იყო, აბა, სად იქნებოდა ობოლა, როცა მისი გამზრდელი, სული და გული პაშა გერმანელებმა სხვა ქალ-ვაყებთან ერთად შინიდან გამოიყვანეს და წიოკობი გზას გაუყენეს. ბებია ანა ერთხანს კი მიჰყვა გატაცებული გოგო-ბიჭების ალყაშემორტყმულ პატარა კოლონას, რომელშიც მისი ერთადერთი იმედი, შვილიშვილი იდგა, მერმე კი ერთმა გერმანელმა თოფის კონდახი ჩაარტყა მოხუცს, სად მოქუნძულეზო და ბებია ანა შარაზე გაიშოტა.

ობოლა კი შარის კიდზე ბუჩქებში გაძვრა-გამოძვრა, მიეფარ-მოეფარა და ერთგული მეგობრის ნაკვალევს ასე მიჰყვა. ობოლა ძაღლია, მაგრამ პაშას ადამიანური ენა კარგად ესმოდა, პაშას ადამიანურ სიტბოს კარგად გრძნობდა. ახლაც მიხვდა, პაშას რალაც უბედურება დატყდა თავს. ამიტომ აედევნა. ბებია ანა შარაზე რომ გაიშოტა, ობოლამ თვალღი მოჰკრა კოლონაში შემობრუნებულ პაშას, რომელმაც რალაც დაიყვირა.

ობოლა ახლად მოგდებული ლეკვი იპოვა პაშამ, კალთაში ჩაიწვინა და ისე გაზარდა. ლეკვს ობოლა დაარქვა. წამოიზარდა თუ არა ობოლა, მას მერე თითქოს პაშას სიტყვებიც კი ესმოდა.

შარაზე გაშოტილ ბებია ანას რომ მიაყვირა პაშამ, კარგად გაიგონა და გაიგო ობოლამ. გერმანელები, რომლებიც ყაყანი და ჭლავილით მიერეკებოდნენ გოგო-ბიჭებს, არც მას დააყრიან

კარგ დღეს, თუ დაინახეს. ამიტომაც შარის ნაპირს მიეფარ-მოეფარა და ასე მისდევდა შორი-ახლის ერთგულ მეგობარს.

ესეც შეამჩნია ობოლამ — ერთ გერმანელს ყელზე თასმაგამობმული ძაღლი მიჰყავს. ყევს და ყევს ძაღლი, პატრონის ხელიდან გასხლტომას ლამობს.

კოლონაში ჩამდგარი გოგონები ზღუქუნებენ, ბიჭები თავჩაქინდრულნი მიდიან. შარა ტყეში შევიდა. ტყე ორივე მხარეს მოშორებით არის გზიდან.


კოტათი რომ შეღრმავდნენ ტყეში, ობოლამ უცებ თვალი მოჰკრა, პაშა ტყისკენ ვარბის; როგორ გამოიჭრა კოლონიდან, ობოლას არ შეუჩნევია, ვარბის პაშა თავქუდმოგულქილი. გერმანელმა „ჰალტ, ჰალტო“ მიაძახა გაქცეულ პაშას და მყისვე თავისი ძაღლიც მიადევნა. ავტომატომარჯვებული ორი გერმანელიც თან მიჰყვა აღრენილ ძაღლს.

ეს რომ დაინახა, ობოლამ ბუჩქებიდან ისკუპა და გერმანულ ნაგავს დაოთხილი გამოუდგა. ჰო, ჰო, რა ნახტომები შეძლებია ობოლას! გერმანული ნაგავი უფრო მოზრდილი და ჭანიანია, მაგრამ ამაზე არ ფიქრობს ახლა ობოლა, ხედავს მხოლოდ, როგორ მისდევს იგი პაშას წელგაწვართული ღაღავითა და მთელის მონდომებით.

ტყესთან წამოეწია ნაგავი პაშას და ის იყო, ზურგზე უნდა შეტოტებოდა, როცა ობოლაც მიიჭრა და თვითონ მიახტა თათებშემართულს. გერმანული ნაგავი მიწაზე დაეცა და ზემოდან ობოლა დააცხრა, შიგ ყელში მისწვდა, მაგრამ იძალა ნაგავმა და ზე წამოიჭრა. საშინელი ღრენით მიეტანენ ერთმანეთს.

ამასობაში პაშა ტყეს მისწვდა, ერთი ნაბიჯიც და ტყეში შეიმალებოდა, მაგრამ გაისმა ავტომატების კაკანი და პაშა ტყისპირს მიწაზე უსულოდ გაიშლართა.

ეს არ დაუნახავს მტერთან შერკინებულ ობოლას. ახლა ნაგავმა მოიგდო



თათებქვეშ ობოლა, კბილებით ჩააფრი-
ნდა, მაგრამ უკანა თათები აპკრა ობო-
ლამ და გერმანული ნაგაზი თავსზევით
ყირამალა გადააკოტრიალა. კვლავ ფეხ-
ზე წამოიჭრა ორივე ძალი. შეასკდნენ
ერთმანეთს. უტებ თვალებში ჩაპკრა
წინა ფეხების ორივე თათი ობოლამ
შემოხეთქებულ მტერს, შემაზრხენი
ზმული აღმოხდა ნაგაზს, ერთი წამით
თვდახრილი შეჩერდა. ამ დროს გერ-
მანელი ჭარისკაცები წაადგნენ თავს,
ერთმა ჭარისკაცმა წელზე ავტომატი
დაახილა ობოლას და წელმოწყვეტილი
ობოლა მიწას მიაკრა. არ აწყმბტუნე-
ბულა ობოლა, მაგრამ წელი ველარ აით-
რია, ენაგადმოგდებული ქოშინებდა.

გერმანელების თვალდათხრილი ძალ-
ლი წკმბტუნე-წკმბტუნით გაეცალა იქა-
ურობას.

გერმანელი ჭარისკაცი დააცხრა
წელმოწყვეტილ და ღონემილულ
ობოლას, მუხლებშუა მოიქცია ის, ყე-
ლში მისწვდა და თავი ამართვინა, რა-
ღაც გასძახა მეორე ჭარისკაცს, მეორემ
ხანჯალი იშიშვლა და გადმოგდებულ
ენაზე დაპკრა ობოლას. მოჭრილი ენა
ძირს დაეცა. სისხლში გათხვრილი ობო-
ლა ცოცხალმკვდარი მიეგდო მიწაზე.

ჭარისკაცმა ავტომატი მიუღირა, მე-
ორემ დაუშალა, არ ესროლოო.

— ეგდოს აქ და წვალებით ამოძვრეს
სულიო.

გერმანელი ჭარისკაცის ეს ღრიალი
აღარ გაუგონია ობოლას.

არც ის იცოდა ობოლამ, რომ სულ
ახლოს, ტყის პირას მისი ერთგული მე-
გობარი პაშა უსულოდ ეგდო.

მოხუცის ფეხებთან მიწოლილ ობო-
ლას თავი წინა თათებზე დაუდვია და
თვლემს.

არჩილი ორივე ნიდაყვით მაგიდას
ჩამოყრდნობია და ხელისგულებით ჭი-
ქას ატრიალებს ხან ერთ, ხან მეორე
მხარეს. თვალებით ჭიქას მიცივებია.

ბეზია ანამ დაამთავრა ამბის მოყო-
ლა, ზენეშას ამოაყოლა, საბრალო ჩემი

პაშაო, ბოთლი აიღო, არჩილი რომ ჭი-
ქას ატრიალებდა, იმაში ჩაახსნა მტრები
მერე მეორე ჭიქაში და თქვა, დალიეთ,
დალიეთო.

არჩილს ხმა არ ამოუღია, ისე გადა-
პკრა არაყი. პაშას ხსოვნისა იყოს-მეთ-
ქი, ვთქვი და მეც გადავკარი.

— ობოლა როგორღა გადარჩა?! —
ვკითხე ბებია ანას.

— საღამოს ბერიკაცებს ჩამოუღლი-
ათ. ობოლას ამბავსაც ისინი მომიყუ-
ნენ. ჩემი მკერდდაცხრილული პაშა სა-
საფლაოზე დამამარხვინეს. წელმოწყ-
ვეტილ ობოლას ჭერ კიდევ სული ეღ-
ვა, შინ წამოვიყვანე. სუნთქავდა და
ასე მეგონა, პაშას სანაცვლო სული
ელგა. რაღაც განგებით გამოამქვეყნი-
ურდა. მას მერე გული ჩაუკვდა, ძალ-
ღერი ხალისი ჩაეყინა ძვალ-რბილში.
ხმა ჩაუწყდა. მხოლოდ მაშინ აყმუვლ-
დება ოდნავ, როცა გერმანელს დაინა-
ხავს...

ობოლამ თავისი სახელი რომ გაი-
გონა, ფეხზე წამოიჭრა, შემოგვაჩერდა
და კუდის ქნევა დაიწყო. არჩილმა
კვლავ მიაწოდა ხელისგულით პურის ნა-
ტეხი.

არაყმა ძვალსა და რბილში ცეცხლი
წამიკიდა. საამო აღმური მომედო გუ-
ლზე. ენად გაეიკრიფე. არაყმა გამათა-
მამა და ბებია ანას ქება-დიდებისათვის
აღმავზნო. თქვენ ნამდვილი გმირი ქა-
ლი ხართ-მეთქი, რამდენჯერმე გავუმე-
ორე. მე რომელი გმირი მნახე, შეილო,
წუთისოფელი ჩემს ოჯახს შევალე, საფ-
ლავებისა და სულის მეტი არა შემრჩა
რა, ამ ჭერის დაქცევა მაინც არ მინდა
ჭერ, ჩემი ქმარ-შვილი საფლავებიდან
ამომძახიან, არ მიატოვო, მოუარეო, და
ეუვლი მეც. თქვენ ყოჩაღად იყავით,
თქვენც გყავთ დედები, ის მურდალი
გერმანელები არ გამოუშვათ აქეთ,
ბომბები ვერას დამაკლებს, გერმანელე-
ბის ხელით მოთრეულ სიკვდილს არ
მინდა ჩავბარდე, ჩემ მიწაზე დადის ჩე-
მივე სიკვდილი, ის მიმიყვანს ჩემ წმი-
ნდა საფლავებთანო, თქვა ბებია ანამ.

თქვენც გყავთ დედებიო, თქვა ბებია

ანამ და მე მაშინვე დამიდგა თვალწინ დედაჩემი. ის რომ ბებია ანას დღეში იყოს ახლა და მე ეს ვიცოდე, ხომ გასკდებოდა გული. ამგვარ რამეზე არასოდეს მიფიქვია.

მე ხომ არასოდეს წარმომიდგენია, დედაჩემის გარშემო ბომბები რომ სკდებოდა, ვილაყა თოფის კონდახს რომ ურტყამს და ის მიწაზე უგონოდ იშობება. ახლა ეს რომ წარმოვიდგინე, რალაცამ შემძრა, საოცრად მომინდა დედისთვის ხელის შეხება.

არჩილმა შინელი ჩაიკცა, ქამარი შემოირტყა და ქუდი დაიხურა.

— წავიდეთ, ბუდუ! — მითხრა, ბებია ანასთან მივიდა და ხელი გაუწოდა, — მადლობთ, დედი, ნახვამდის! ბებია ანა საბტად დარჩა, ხელი არ შეუღებებია არჩილის გამოწვდილი ხელისათვის, თვალბში მიაშტერდა და თქვა:

— ამ შუალამისას სად მიდიხართ, შვილო? აგერ ლოგინს გაგიშლით, გამოიძინეთ და დილაადრიანად წადით.

— ისედაც დავაგვიანეთ, — შეიშმუნა არჩილი, — გზას გავიკვლევთ, ღამით უფრო შეუმჩნეველად მივადგებით დანიშნულ ადგილს. ყოველი წუთი ძვირფასია.

არჩილმა ფართო ხელისგულში მოიკცია მოხუცის კანდამუკნარი ხელისგული.

ობოლამ კიშკრამდე მიგვაცილა.

ისე ბნელა, თვალში თითს ვერ მიიტან. შორს მახალღები კვლავ ეხეთქებიან ბნელ ცას ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.

მახალღების მიმართულებით გავემართეთ.

კიშკარს მიღმა ობოლას ყრუ ყმუილი გაისმა.

— საწყალი ძაღლი, — ეთქვი და ავედევნე არჩილს.

ბ ვ ვ

მაისის პირველი კვირა იწურება, მაგრამ გაზაფხული ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული. ახლა იმერეთში ტყე-

მღები და ალუჩები აფეთქებულა. ქერჩიდან აქამდე სამოცდაათი კილომეტრი გამოვიარეთ. ტყეშალი და ალუჩა არსად შეგვხვედრია. ტყეშალი და ალუჩა კი არა, ქერჩს რო გამოცდები, თითო-ოროლა ხეს თუ დაინახავ აქა-იქ. დილა-საღამო გვირჩინად გრილა.

ნიავემა საამოდ მომილამუნა გახურებულ შუბლზე. ჰაერზე გამოსულს არაყი უფრო მომეძალა. ნეტარი აღმური მიკილია ჯანში. დღემდე ამდენი არაყი არასოდეს დამილევია. აღარც დაქანცულობა მახსოვს ახლა და აღარც ძილი. ისე ბნელა, გარშემო არაფერი ჩანს.

— დავრჩენილიყავით დილაამდე, — წავილულულე მე.

— გახსოვს მაიორის ამღვრეული თვალები? — ჩაიბუზღუნა წინ მიმავალმა არჩილმა.

— მახსოვს.

— მამისტოლა კაცია მაიორი.

— ჰო.

— ის ახლა იქ არის.

— აბა, სად უნდა იყოს, მეთაური, შტაბის უფროსი.

-- მაიორს გარდა მთელი ბრიგადა დგას სანგრებში.

— ფრონტია და იმიტომ.

— მერედა შენა, არყით გამობრუებული, თბილ ბუმბულებში გაიშხლართო და ისინი სანგრებში იდგნენ?!

შევატყე, ძალიან ასწოდა კულის რიკი არჩილს. საუბარში არასოდეს გამოურევდა მაღალფარდოვან სიტყვებს ან ფრაზებს, დიდაქტიკური შეგონებანი თვითონ ხომ არასოდეს წამოცდენია და არც სხვებისგან ნათქვამი ამდაგვარი შეგონებების მოსმენა უყვარდა. ამიტომაც ოდნავ გამიკვირდა, მისგან რო გავიგონე „მაიორის ამღვრეული თვალბით“, „ბრიგადა სანგრებში დგასო“, არა, მაღალფარდოვანებისა ამ ფრაზებში არა ერია რა, თავისებური გულწრფელობითა და დინჯად თქვა არჩილმა ეს ფრაზები, გულისტკივილით თქვა, აგრე იოლად რო არ აღედგებოდა, ახლა შემფოთებით თქვა და თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, ამ წკვარამ ლამეში ძნე-

ლი იქნებოდა გზის გაკვლევა, მაინც დაიყინა, წავიდეთ.

— გზას ვერ გავიკვლევთ ამ ეუნაბეტში. — შევახსენე.

— გავიკვლევთ.

— ლმერთმაც ქნას.

მივდივართ ცად ასროლილი მამხალების მიმართულებით.

— რა კარგი ყოფილა არაყი.

— ჰო, კარგია, მაშ!

უცებ იქუხა. ეს არ იყო ქვემეხების ბათქი. ეს ბნელი ციდან მოხეტიალი გრიალი იყო. მაშინვე თვალისმომჭრელმა ელვამ ერთი წამით გაანათა გარემო. ნაშუადღევს შემდეგ საავდრო ღრუბლებით კი გადაიფარა ცა, მაგრამ ახლა ისე მოულოდნელად იქუხა და იელვა, შევჩერდით. კვლავ დაიგრგვინა ცამ, სიბნელეში ისევ აფართხალდა ელვა. მესამედ დაიქექა ზეცამ, ისე დაიქექა, მეხის დაცემისას რომ იცის.

ცოტაც და იეგეთა.

კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

არყით შეხურებულს მემამა კისერში ჩაწურწურებული წვიმის სიგრილე-შხტილ-შხტილით მესხმის ბეჭებზე ნიაღვარი.

— არჩილ! — წამოვიძახე უნებურად.

— რა იყო?!

— თავსხმია.

ვერა და ვერ მოვიშალე ასეთი უაზრო სიტყვების წამოსროლა.

— თავს მეხი რომ დაგვეცეს, იმის ღირსი ვართ ჩვენ.

— შევეფაროთ საღმე.

— სანგარში რომ იდგე ახლა, მაშინ რას წაიფარებდი ზემოდან?!

— რა გამიჭირვე საქმე ამ შენი სანგარით... სანგარი და სანგარი... რას წაიფარებდი და არაფერს. ვიდგებოდი მეც ისე, როგორც სხვები დგანან.

— ჰოდა, ამგვარ წვიმაში ერთ ადგილს დგომას, სიარული სჯობს.

მერე ქვასავით გადმომიგდო, თუ გინდა შენ დარჩიო და განაგრძო დათვივით ბაჭბაჭი. მე, რა თქმა უნდა, ვერც კი ეხედავ, როგორ მიდის, მაგრამ ხო ვიცი. ცა რომ თავზე ენგრეოდეს, ტლანქ

ნაბიჯებს არც სიგრძესა და არც სიქარეს არ მოუმატებს. კარგად მტყუნებდა სი ფეხის ხმა და ამ ხმის გველდაცვალ მივდივარ. ჰმ, აქამდე ძლივს მოვალწივით ერთად და თუ გინდა დარჩიო. კი მინდა დავრჩე, დილით უფრო იოლად გავიგნებ გზას, მაგრამ ის რომ მიჩლარტუნობს, მე სად დავრჩე ამ წყვარამში, მერე სადღა მივაგნებ მის ასავალ-დასავალს?! მის მეტი ნაცნობი არავინა მყავს ამ დასაქცევში. არჩილი ისეთი ქაჯია, ტყვიას ფოლადივით აისხლეს. წელან კი შეეშინდა ცოტა და იკადრა ნაბიჯის აჩქარება, მაგრამ ისეა თავმოყვარეობა-შელახული (მაგის გულის ჰიის ფერიც კი ვიცი, რანაირია), აწი შიში გულს ველარ შეუთრთოლებს. ეგ იყო და ეგ ამ ერთი შიშის სირცხვილი არჩილს ჯოჯოხეთშიც ისე შეაგდებს, ერთ წამსაც არ დაფიქრდება. მე კი, მე საწყალს რა მეშველება, ახლა რომ აქ დავრჩე და მერე არჩილი დამეკარგოს?!

ჩემ ზეწნა-მუდარას აღარც პასუხობს არჩილი.

მთლად გადმოპირქვევდა ცა. შეუბრალებლად მიტყალაშუნებს შოლტებს წვიმა. მივკყევ არჩილის ნებას, თავწახრილი მივაბოტებ მის კვალდაკვალ.

აღარც არჩილი მეუბნება რამეს და არც მე ვიღებ ხმას.

უცებ გულისჯიბზე ვიტაცე ხელი. იმ წამს ისე მომეჩვენა, თითქოს რაც დედამიწას წვიმა ეღვრება ახლა, სულ ჩემს გულისჯიბეში გროვდება. იქ კი სქელ ქალღღმში გამოხვეული დედაჩემისა და მამაჩემის წერილები, ჩემი და ჩემი ძმის სურათი მიდევს (ჩემი ძმა ჩემზე ორი დღით ადრე წავიდა ქარში და იმ დღეს გადავიღეთ ეს სურათი). ახლა ამის მეტი სიმდიდრე არა გამაჩნია რა და წუთით გადამაიწყდა, არჩილის სიციუტის თოკი რომ მაქვს ყელზე მობმული, ამ თავსხმაში რომ მეჭაჩება და კრავივით მიმათრევს წინ. შემეშინდა, ისე არ დამისველდეს, რომ გამიფუძღეს. გულისჯიბეზე ხელი ვიტაცე და ვინანე, რატომ ტყავის საფულეში არ მიდევს ისინი. თითქოს მთელ ხმე-

ლეთზე დასადრელი წვიმა გროვდება ახლა ჩემს გულისჯიბებში და ვიღრჩობით დედაჩემი, მამაჩემი, ძემი ძმა და მე, იღრჩობიან ის სიტყვები, რომლებიც მამაჩემმა მომწერა სამხედრო სასწავლებელში. წერილისთვის მას სათაურიც კი დაურქმევია — „შენს კვალს ვერ მივაგენით“. ამ წერილში იმ ლამეს მახსენებს, რომელიც მე ჭუჩა-ჭუჩა ხეტიალით გავათიე და შინ გათენებისას მივედი.

„პირველად შენს ცხოვრებაში წუხელ შინ ლამე არ გაგითვისია.

ჩვენ დიდხანს არ დაგვეძინა. დედაშენმა გული გამიწყალა, კაცო, წადი, მიჭი მოძებნეო. სად მეძებნა შენი გზაკვალი?! ვიფიქრე, ახლად წვერდადომვილი ბიჭები მეგობარ გოგონებთან ერთად ვისმეს ოჯახში საშუალო სკოლის დამთავრებას ზეიმობენ-მეთქი. ვიცოდი ლეინოს არ დალევდი, მაგრამ რომც დაგელია, რა გასაკვირი იქნებოდა?!

— არაფერი შეემთხვას ბავშვს!

წუხდა დედაშენი, გვიან წამოწვა და შენი ძმა მკლავზე ეწვინა.

— დაწყნარდი, ქალო, ბუღუ ბავშვი აღარ არის.

ვამწვიდებდი დედაშენს. ბავშვი აღარ არის-მეთქი, ამას გულდაჭერებელი ვამბობდი. ეს ჩემდა უნებურად ვთქვი და უცებ მივხვდი, რომ რალაც მნიშვნელოვანი წამომცდა. შემეშინდა — „ხომ არაფერი გამომჩრა? რამე ხომ არ დავაკელი მის ბავშვობას?“ კალენდრის ფურცლებივით თითო-თითოდ გადაფურცლე შენი ბავშვობის დღეები.

— იქნება დაითვრა ბავშვი?! — არ ცხრებოდა დედაშენი.

— რა ამოიჩემე ბავშვი, ბავშვი! დაითვრება და დაითვრეს. აბა, სულ ჩაი და რძე ხომ არ უნდა სვას?! ბავშვი! ბავშვი კი არა, საცოლო ბიჭია უკვე.

ჯერ არ მიფიქრია, რომ შენ „საცოლო ბიჭი“ იყავი. წამომცდა, დედაშენის შემფოთება რომ ჩამეცხრო. რაილა წამომცდა, წავეტანე, ჩავებლაუქე და უცებ ჩემს წარმოსახვაში სხვა სახე მი-

იღე. წამოვდექი, წელზე გავსწორდი, მკლავებით რალაც სავარჯიშო ტლუფები გავაკეთე. დედაშენს, რომელიც შენს ძმას ზეწარს აფარებდა, ალმატერად გადავხვდი.

— ბავშვიო!.. ქი!.. ბავშვი კი არა...

ტანზე გადავიცვი. უხმოდ გავედი ქუჩაში.

შენს რამდენიმე ამხანაგს, ვისი სახელიც ვიცოდი, მივაკითხე შინ.

შენს კვალს ვერ მივაგენი.

შენმა მეგობრებმა არ გამიმხილეს შენი იმდამინდელი გასაჭირი“.

უცებ არჩილმა ზღართან მოადინა მიწაზე. გულისჯიბებს ხელი შევეუშვი და არჩილს მივეარდი, წვიხარე და ხელეები ჩავეკიდე. ბუზღუნით წამოდგა, რალაცას ფეხი გამოვდეო და წკვარამში მიწაზე ხელის ფათური დაიწყო.


მავთული წამოზიდა, ხელთ შერჩენილ მავთულს მიჰყვა, მერე უკან დაბრუნდა, ჩაცუქდა. კარგახანს აფოთი-ალა ხელეები ატალახებულ მიწაზე.

წვიმა მინახავს, მაგრამ ამგვარი თქეში ჭერ არ მომსწრებია. მიწას ისეთი ძალით ეხეთქება წვიმა, იქიდან ასხლეტილი წვეთები სახეზე მესხურება. წვიმის შხულის მეტი არა ისმის რა. აღარც ისერიან სადმე, თითქოს აქ ფრონტი კი არა, უკაცური მინდორია, რომელზეც თავაწყვეტილი წვიმა დაქლიგინობს.

არჩილი წამოდგა.

— ტელეფონის ხაზი უნდა იყოს, — თქვა არჩილმა, სამხედრო სასწავლებელში მან მეკავშირეთა კურსიც გაიარა, ცოტა რამ გაეგება ამ საქმისა, — მიწაზე როა დამაგრებელი, ალბათ, მთავარი ხაზია, ეს კი, — ხელთ შერჩენილ მავთულზე მიმანიშნა, — ჩართული ხაზი იქნება, რომელიცაა განაყოფიდან მთავარ ხაზთან შეერთებული. მივყვით ახლა ამ მავთულს და მიგვიყვანს სადმე. მერმე იქ მიგვასწავლიან ჩვენს ნაწილს. მომყევი, ბუღუ!

მავთული თითებში მოიქცია და მიჰყვა.



მეც ჩავებლაუქე მავთულს და ავედენე არჩილს.

წვიმა კი იღრინება და იღრინება, გველშაბივით დაუღია ხახა და ლამის ჩაგველაპოს მე და არჩილი, წარმოვიდგენიათ, მე და არჩილი, რომელთაც არაფერი დაგვიშავებია ჯერ გარდა იმისა, რომ ხანდახან ლამით გვიანამდე შევრჩებოდით გარეთ მეგობარ ბიჭებსა და გოგონებს. შინ მიბრუნებულს გამიჭაგრდებოდა ხოლმე დედა: „სადა ხარ, შე სასიკვდილე, გული გადამელია ლოდინით“.

შე სასიკვდილეო...
ალბათ არჩილსაც ასე დატუქსავდა დედამისი.

უზომო სიყვარული და სითბო გამოსჭვიოდა დედის ამ გულისგარეშე წყევლაში.

შე სასიკვდილეო...

სასიკვდილეო კი არა, დედის გულის ვარდო, დედის სიცოცხლეც და სიხარულო, სიკვდილსამც დაეწიებოხარ, მაგ გაუმალარს რა ხელი აქვს შენთანო.

ახლა რომ დამინახოს, რა დღეში ვარ? რა კარგია, შორს ვარ და ვერ დამინახავს. ჩემს ქალაქშიაც ამგვარი ყველათუ არის ახლა, ალბათ, არ ძინავს და წუხს, არ დამისველდეს, არ გამიცვიდესო.

ღმერთო, რას ამალოლე ამ ნახევარკუნძულზე, თბილისში წვიმა თუ მოგვისწრებდა გარეთ შეყოვნებულთ, მე და არჩილი თავს შევაფარებდით სადმე, გადავიწვიმებდით, ასფალტზე გააჩაღებდა წვიმა ცეკვას, გაიშლივინებდა და ბოლოს მთაწმინდის კალთებში ჩაწვებოდა. ჩვენ კი, მე და არჩილი, არხეინად გავყვებოდით რუსთაველის გამზირის.

— შენი დედა ვატირე! — ხმაშალდა წამომცდა ფიჭრი.

— რა იყო, ბუდუ, რად ივინები?! — ხმა ამოიღო არჩილმა.

— რა ვიცი.
— ვინება რო არ იცოდო?
— ვაებრაზდი.
— შენ და გაბრაზება?!

— ახლა ხომ გაიგე, გაბრაზებაც მცოდნია და ვინებაც.

— მომეყ, მომეყ, აეთი წვიმა უხდება გასიებულ გულს.

მავთულზე თითქოს ხელი კი არ მიკიდია, ჯამბაზივითა ვარ ზედ შემდგარი, მავთული კი არა, ბეწვის ხიდია თითქოს, ზედ მივდივარ და წვიმის წვეთებით კი არა, სიმწრის ოფლით ვარ გაწუწული.

არჩილს გადავაწყვიდი ზედ. შეჩერებულიყო და ფიჭრები მის განიერ ბეჭებს შევამსხვრიე.

— ბუდუ, — ზურგზე მიყრდნობილს გადმომიჩურჩულა არჩილმა, — შეხე, მგონი სინათლე ჩანს.

წინ მართლაც რაღაც კიაფობდა.

გავყევით მავთულს, მალე მიწურს მივადექით. მავთულის ბოლო მიწურთან დაიკარგა. ჩავიმუხლეთ და ვიწრო სარკმლიდან შევიკვირებთ. სანთელი ბეჭტავს ტელეფონის გვერდით, გერმანულ ფარაჯიან ჯარისკაცს ყურმილი მარცხენა ხელში შერჩენია, თავი ტელეფონზე ჩამოუდგია და სძინავს. ერთ წამს ვაეშეშდით, ხმას არ ვიღებთ და მივჩერებდით მოლისფერ ფარაჯიან ჯარისკაცს.

— გერმანელი, — ჩურჩულით თქვა არჩილმა.

— ?!

— რამ დაგამუნჯა?! — კიდევ წამჩურჩულა არჩილმა.

— აქ რა უნდა, კაცო, გერმანელს?! — ხმა ამოვიღე მე.

— გერმანელს კი არა, ჩვენ რა გვინდა აქ?! — წაილულულა არჩილმა, — ნალდად გზა აგვერია. ალბათ, ტელეფონი საიდუმლოდ აქვთ ჩართული ჩვენების ხაზზე. გერმანელების საიდუმლო ხაზს გამოვეყოლივართ. აბა, ბუდუ, ახლა უნდა ვიმარჯვოთ. გავეკოვოთ გერმანელი და სანამ არ გათენებულა, ამავე მავთულს გავყვეთ უკან.

მიწაზე გაწვა არჩილი. მეც მიწას გავეკარი.

— ცხვირსახოცი მომეცი, — ხელი გამომიწოდა არჩილმა.

ამოვიღე ცხვირსახოცი და მივეცი. თავისი და ჩემი ცხვირსახოცი ხელისგულში მოჭმუქნა და მიწურის კარისაქენ მუცლით გახოხდა. ხოხვით მივყევი მეც.

მიწურში ფრთხილად შევოცდა, მაშინვე აფთარივით წამოიჭრა და გერმანელს დააცხრა, ტელეფონზე მიდებულთავე მკლავებში მოიქცია. ზაფრადაცემული გერმანელი აფხარკალდა, საყვირლად პირი დაალო და ის იყო უნდა ეყვირა, რომ არჩილმა ცხვირსახოცი ჩაჩურთა პირში, ფეხები გაუკავეო, გადმოძახა. ვეცი გერმანელს ფეხებზე, მკლავებში მაგრად მოვიქციე ჩექმებიანი ფეხები. არჩილმა სტაცა ხელი წელზე. ამასობაში მე ცალი ხელით ქამარი შემოვიხსენი და გერმანელს ფეხები გავუყარი. აითრია არჩილმა გერმანელი, მე მისი ფეხები ამოვიღე ილიაში და მიწურიდან გამოვიტანეთ.

გერმანელი ფართხალობს, მაგრამ არჩილის მაგარ მარწუხებში მოქცეული ვერაფერს ახერხებს. გამოვედით თუ არა გარეთ, არჩილი მიწაზე გაწვა და გერმანელის მკერდსა და მკლავებს თავისი დევის მკლავი მოჰხვია, გახოხდა და მეც მივყევი ხოხვით, გერმანელის ფეხებზე მაგრად მკლავავლებული.

— მოეშვი მაგ ფეხებს, — მითხრა არჩილმა, — წინ წადი და ტელეფონის მავთულს ხელი ჩასჭიდე, გაედევნე, გზა რო არ აგვებნეს.

მეც ასე მოვიქეცი.

კარგა ხანს ვიხოხეთ. ახლა იმას ვნატრობდი, არ ვადაილოს წვიმამ, არ გამოიღაროს, მთლად ჩამოიქცეს ცა, მაშხალები არ აპყარონ მაღლა და არავინ დაგვინახოს.

— ხომ არ დაილაღე? — ვეკითხები არჩილს.

— ეგ ნაფოტი ვერ დამლღის მე, შენ მარჯვედ მიჰყე ხაზს, სხვა ხაზში არ აგერიოს.

როტორც იქნა მივალწივით მთავარ ხაზს, რომელზეც მავთულია მიერთებული. შეაწყვიტეო, მითხრა არჩილმა. რის ვაივავლაბით შევაწყვიტე. არჩილი

წამოდგა, გერმანელი მხარზე მოიგდო და წინ წაძინძულდა.

გერმანელმა იმდენი იფრთხილა, ალბათ, დაილაღა, მუცლით ხურჩინივითაა გადაკიდებული არჩილის ზორბა მხარზე, გაიტრუნა, აღარც ღმუხის და არც ხელ-ფეხს ასავსავებს, არჩილიც აღარ იღრინება, შენი დედა ვატირეო.

წვიმა როგორაც უცებ მოსკდა, აგრევე ერთბაშად შეწყდა. რაკი წვიმის შხელილი შეწყდა, წინ ბაჭბაჯით მიმავალი არჩილის სუნთქვა უფრო გარკვევით შემომესმა. არა, ეს ხვნეშა არ არის, დაილაღა არჩილი და მისი გახსრიებული სულისთქმა მომესმა. ბრმად მივიკვლევთ გზას, გზა კი არა, წვიმით გადაზელილ მინდორზე მივფრატუნობთ. რაკი ტელეფონის მთავარ ხაზს გამოვცდით, ასე მგონია, სამშვიდობოს გამოვედით და ოდნავ დავმშვიდდი კიდევ, მაგრამ სიბნელე ისე გადამეგლისა თვალებზე, ვერაფერს ვხედავ. არჩილის სუნთქვა რომ არ მესმოადეს, იმასაც ავცდებოდი. ვცდილობ ახლოს ვიყო, რამდენჯერმე ზედ გადავიწყდი ზურგიდან.

— დაიცა, არჩილ, მოკვდები, კაცო, — შევძახე უცებ არჩილს, როგორც იქნა გონს მოვედი და მივხვდი, რა იდიოტი ვარ, მეგობარი წელში წყდება და მე ფინია ძალღივით უკან მივდევ, — დაიცა, კაცო, ახლა მე ვათრევე, შეგნაცვლები.

ეს რო ვთქვი, არჩილმა ჩამოხსნა, გერმანელი მიწაზე მიაგორა და თვითონაც იქვე ჩაქდა, ღრმად ჩაისუნთქა. სუნთქვას სიტყვებიც მოადევნა:

— აწი ამ შობელძალდმა, თვითონ იაროს.

გერმანელი გაგორდა თუ არა, მყისვე წამოდგა, პირში ჩაჩურთული ცხვირსახოციდან სუსტი ზმუილი ამოუშვა. მე ხელი ვტაცე, გავიფიქრე, ეს არხეინად არჩილის მხარზე იყო გაშოტილი, დასვენებულია, კურდღელივით რომ ისკუპოს ამ კუნაპეტში, მე და არჩილს სირბილის თავი არა გვაქვს და ისე შეძერება სიბნელეში, ველარსად მი-

აგნებ. ხელი ვტაცე და საშუალო სკოლაში ნასწავლი გერმანული მოვიშველიე:

— ზეტცენ ზი! — დაბრძანდით-მეთქი.

მეც ჩავვკეკი მასთან ერთად რალაც კონჭყოში, მკლავიდან ხელი არ მომიშორებია.

— გამოულე პირიდან ცხვირსახოცი, აწი იხზავლოს, რამდენიც უნდა, — თქვა არჩილმა.

ამის თავი აქვს? კაცი გასაავთებულა, ბოლმა ყელში აქვს გაჩხერილი და ტყვე ნამეტანი არ შემოიწუხდესო, ამაზე ფიქრობს. კაცმა ერთი თვალი რომ დაკრას, ნადირიას, ეგონება. მართლა კია ნადირივით ძლიერი და უხეში, მაგრამ თვალში ხშირად რალაცნაირი ნისლი ჩაუდგება — ფერადიც, ელვარეც, რბილიც — და მაშინ თუ თვალი თვალში გაუყარე, გაიფიქრებ, ამხელა კაცს ამნაირი სინაზე და სილბო საიდან დაპყვავო.

პირში ჩაჩრილი ცხვირსახოცი ამოვაცალე, ფეხებზე ქამარი შევხსენი, გერმანელს ხმა არ ამოულია, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და მიინაბა.

არა, ჯოჯოხეთში არ იქნება ასეთი სიბნელე. არც ამგვარი დღე ადგათ, ალბათ, ჯოჯოხეთის მკვიდრთ, როგო-

რიც მე და არჩილს მოგვაწყდა ამ ყიამეთში. ისე ვარ გასაავთებულნი, არაფრის თავი არა მაქვს.

უცებ გერმანელმა ხელიდან ხელი გამომგლიჯა, აბა, აბა, ეგეთები არ იყოს-მეთქი, ჩავიბურტყუნე ქართულად და მაშინვე ვტაცე ხელი.

ახლა მეც, არჩილიც და გერმანელიც გადღევილი ვართ ყიამყრალ სიბნელეში. არჩილის ნაცნობი ხროტინი შემომგესმა, ასეთი ხერინვა ღრმა ძილში წასულმა იცის ხოლმე, მით უფრო, გულალმა თუა გაშოტილი. თუ ჩაეძინა, მერე ზარბაზანი რომ დაუცალო ყურთან, ველარ გააღვიძებ. რა ვიცი, სად ვართ, იქნება გერმანელების განლაგებაში ვართ ჭერ კიდევ, მერე რას შვრები, რომ შემოგვათენდეს?!

— არჩილ! — წამოვიძახე დაფეთებულმა.

ხრრ... ხრრ...

ვიცი, ახლა პირი დაბჩენილი აქვს და ეს ნადირისმიერი ხრიალი იქიდან ამოდის. ვერ ვხედავ, სად აგდია, შევანჯღრე და გავაღვიძებ, მაგრამ გერმანელისთვის ხელი ვერ გამიშვია, არ გამისხლტეს, მეშინია.

ხელს არ მანებებს, თავისკენ ექაჩება. ვინანე, რატომ გერმანული არ ვიცი, ერთს გულიანად შევუკურთხებდი. ბოლოს დაცხრა. მეც სული მოვითქვი.

გივი ალხაზიშვილი

• • •

შენ ისე პატარა ხელისგული გაქვს,
ახლადგაფოთლილი ვაზის ფოთოლი მახსენდება.

შენ ისე პატარა ხელისგული გაქვს,
ჭიამიასაც ეპატარავა,
დაცოცავს და ვერ აფრენილა.

შენ ისე გრძელი წამწამები გაქვს,
მათი ჩრდილები ჰეპლებივით დაფარფატებენ.

შენ ისე ძვირფასი საშობლო გაქვს.
ისე ძვირფასი...

• • •

რომ მოასვენებ დაქანცულ სხეულს
და ფანჯარაში ცას რომ გახედავ,
იფიქრებ:
რისთვის გავიდა, დღე,
ან რისთვის მოვა!

ღამის ბაღებს რომ არწევს ნიავი —
ჩაძინებულთა სუნთქვაა თითქოს,
საესე სიზმრებით, სიყვარულით,
ტანჯვით, მუქარით.

ღამის ქვეყანა,
ღამის ცაზე ანგელოზები
ვარსკვლავებს რომ ამოქარგავენ,
მდუმარებაში

ბავშვის ტირილი რომ დაიღვრება,
როგორც სევდიან ფლეიტის სოლო,
ის ჩვენი ხმაა შეერთებული,
გადარჩენილი უმანკოების
წილიდან ამომდინარე.

თრთის ჰაერი,
ეს ჩვენი თრთოლვა ათრთოლებს ჰაერს,
დედა-მდინარეს ვგაერთ ყველა
მარადიული წარმავალობით.

ღამის ქვეყანა —
ღამის საშო,
საიდანაც დღე იბადება,
არსობის პურზე ჩაფიქრებული.

* * *

ისაა ჩვენი ძალა,
ჩვენი შესართავი,
წამი, რომელიც იშვა,
მე და შენ რომ გაგვამთლიანა.

გახსოვს?
შაშვები იბუღებდნენ,
მზე იბუღებდა,
ცა მწუხრის ვარსკვლავს ელოდებოდა
და მოწყდა წამი უნეტარესი,
დროს გამოეყო,
რომ ისევ დროს დაბრუნებოდა,
ჩვენი სიცოცხლის გამგრძელებელი.

* * *

აქ არავინ შემოივლის,
არც არავის აგონდება,
ბებერ ბაღში ფოთოლცვენის
ნაზი ჩამოაკორდება.

მხოლოდ შენ ხარ, სხვა არავინ,
ზეცას მზერით ეწაფები,
დარდი: ცაში გასურდა წასვლა.
ჭერჭერობით ვერ წახვედი.

გაღებული ზამთრის კარი,
გაფიქრება: მალე მოთოვს,
აქ, ხილული ბგერებივით
ცა ჩამოდის ფოთოლ-ფოთოლ.

შეუმჩნევლად დაგიღამდა,
ვიდრე თვალებს აცეცებდი,
თვალი ისევ აგიცრემლდა
სავსე მთვარის ნამცეცებით.

* * *

ყინულის თითები,
ყინულის მკლავები,
გათოშილი სხეული.

ცოტაც და ჩვენ გავთბებით,
ფანჯრის მინებს დაორთქლავს
ჩვენი სითბო.

ცოტაც და ერთმანეთს გავადნობთ,
ცოტაც და
ჩვენ ბგერებად მიმოვიბნევით,
ცოტაც და ეს დღე მოგვენატრება,
იმ მარხილის ეფენის წკრიალივით,
რომელიც გვშორდება უსასრულოდ.

1.

ცისკრის ვარსკვლავი —
 გამთენიის ცაზე აცრილი,
 ღია სარკმელი,
 იისფერი ჰაერის ქროლვა
 და ქალაქელი შაშვის გალობა.

შენ მეკითხები:

- შენც ხომ ქალაქელი შაშვი ხარ?!
- მე არ ვგალობ, მე მხოლოდ...

მხოლოდ დაღლილობა, დაღლილობა,
 სხვა არაფერი...

ინათა,

ნისლში ამოცურდა მთათა წვერები —
 ვინ აზიდა შენი მეკრდი ასე მაღლა,
 ცის სიახლოვეს?!

ვინ ჩამოჰკიდა მოყვავილე აკაციებს
 შენი მკლავები?!

ვინ ვაშალა აღმოსავლეთით
 შენი დაღალი?!

ვინ ჩააქრო შენს თვალებში
 ცისკრის ვარსკვლავი?!

ყველგან შენ ხარ,
 ღრუბლიდანაც შენ იხედები.

2.

დილით ზღვისკენ რომ თოლიები მიფარფატებენ.
 და მიჰყვებიან შიმშილის ძახილს,
 ჩვენც ასევე წამოვიშლებით
 და მოვედებით ქალაქის ქუჩებს,
 ქალაქი ჩვენთვის მარადი ზღვაა...

მხოლოდ დაღლილობა, დაღლილობა,
 სხვა არაფერი.

თამაზ გაძალა

გამგზავრების წიგ

მე ვერასოდეს დავიბრუნებ
შენს ბებერ და ნათელ სიმშვიდეს,
მე ვერასოდეს ჩავყვინთავ შენს მღუმარებაში,
როგორც ქალწული სამოთხის წყალში.
და შემოგყურებ
უსუსური და უმწეო თევზის თვალებით,
რომ კიდევ ერთი ღამით დაგრძელდეს წყვლიადი.

მატარებელი კი მიდის
სექტემბრის უმშვიდეს მინდვრებზე,
ლითონის ბორბლები გრგვინვით გადარბიან სხეულზე
და ვიბადები საკუთარი თავიდან...

* * *

გულს მოიოხებს ბებერი გუმბათი
როდესაც წვიმა
თუჯის ხუფივით
დაეხურება ქალაქს ზემოდან
სახურავების სიზმრების და კენწეროების
რუხი სევდა ჩადგება ჰაერში
როგორც შმორიანი წყალი
ის ფრთებს შლის მაშინ
და გაჰყურებს მეორე ნათელს
გაჰყურებს წვიმით გაქლენთილ ტკივილს
ღმერთივით რომ არსად იწყება
ღმერთივით რომ არსად მთავრდება.

• • •

ჩემი ცრემლები ამ თვალების იქით გრძელდება,
 ჩემი სიმღერა ამ ბგერების იქით გრძელდება,
 სუსხი რომ აზრობს, როგორც ხის ქერქს შემოდგომაზე
 და უკვე იცი, მწუხარების ძველი ანბანი
 ველარ კითხულობ შენი სულის გაშლილ პერგამენტს,
 ველარ კითხულობ სამყაროში დამწყვედულ ქარის
 ყრუ მონოლოგებს, ვერც ბებერი გიყის თვალებში
 ყვავილივით ჩახატულ ნათელს.

ჩემი ღიმილი ამ ტუჩების იქით გრძელდება,
 ჩემი ტკივილი — ამ ლიქნია სიტყვების იქით.

• • •

გვიან საღამოს, როცა კარზე მომიკაკუნებს
 ჩემი თავი — როგორც სტუმარი,
 დაღლილი და შეციებული,
 ავანთებ სანთელს,
 გაზქურაზე თბილ წყალს შემოვდგამ
 დავაპურებ, სუფთა საწოლში გამოვადინებ
 და ზღაპრებსაც მოვუყვები ბოლოსდაბოლოს
 რომ დილით მშვიდი და განბანნილი
 ისევ საკუთარ ბილიკს დაადგეს.

• • •

ჩაშავებული ღრუბლების ნეშო
 სიკვდილის ცივი მინდვრებისკენ მიათრევს სხეულს
 და გზის გადაღმა მიდის მდინარე —
 დედამიწის გრძელი სიზმარი.

შენი თითები
 ცრემლებივით ჩამოიდვარა მუხლებზე.

არ შემიძლია გავბრუნდე უკან,
 მე იქ დავტოვე დაფხრეწილი ღიმილის ფარდა,
 მონანიების ტკბილი ნიღაბი
 და ერთი ქერით მაღალი სული.

კ ა მ ე რ ი

მოთხრობა

მთის თხემზე ნამლევა მყინვარი თეთროვნებდა, მყინვარის ასწვრივ ჩუმად იწვეწებოდა ნაბდისტოლა ღრუბელი, ღერბლის დასწვრივ ტოროლა ილხენდა, უფრო მაღლა და მაღლა კი — ნახირთა, შავარდენთა და მთათა მაღლა, მემთეურთა ბინებისა და ტყეთა ზემ-ზემთ სხვა ქვეყანათა სუფთა ბორიოქარებს ბრიალით მიჰქონდათ დიიიდი, უშველუბელი მზე.

ბალახი აქ უჩვეულოდ გემრიელი იყო. შეველე საცაა დაუტატანებდა ნახირს, რაღა ამ გემრიელ ბალახს მისდგომიხართო და, ძროხებიც თავს არ იზოგაედნენ, ძოვდნენ ხარბად. იქნებ უკვე მაძღრებიც იყვნენ, მაგრამ შეველის ყვირილი ჭერჭერობით არ ისმოდა. ნამლევა მყინვარს ერთი ნაკადული გამოსდლიოდა წვრილად, მოიკლაცნებოდა და ძროხებს შუაში ჩაუდიოდა. ძროხები ყურის წვერით იჭერდნენ ნაკადულის არსებობას, ძოვდნენ ბალახს, მუცელშიგინთა გამწოვი ძარღვებით ცურისაკენ მისწურავდნენ აფუებულ რძეს და აკლავ და აკლავ შეახსენებდნენ თავს. რომ ნაკადულიც იქვე იყო, რაკრავებდა და მყოფიარობდა.

ცხელ და ჭრელ სურნელში გაბვეული ერთი კამეჩი სძოვდა ერთ პატარა ღელეში. ნიავწანწალას იმ ნაირ-ნაირ სურნელთაგან ვერცერთის მოტაცება ვერ

მოესწრო, ეტყობა, ჯერ არ შეეღწივნა იქა. აქ შეიძლება ნახირიც მალე მოსულიყო, გაეთელა, გაეტკებნა და გაეჭუქვიანებინა ღელე, ამიტომ გაცხარებული სძოვდა კამეჩი, მუქართა და ჰაერის რჩოლით. უცებ ბალახი როგორღაც გაუგემურდა, გამზარ ჩალას დაემსგავსა. ეგ დიდი არაფერი—ნაკადული ხომ იქვე იყო! მაგრამ კამეჩს ერთბაშად გავაზე შესცივდა. მამსადაამე, მზეს ღრუბელი გადაეფარა. შეეცადა ჩრდილი გავიდნ გადმოეგდო, წელიც შეიფერთხა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თითქოს გაჰქვავებოდა ტყავი. თავაწეული კამეჩი ელოდებოდა, აბა შემდეგ რაღა მოხდებაო. რაღა მოხდა და, სისხლი ნელ-ნელა დაუზანტდა, თითქოს უშრებოდა, მერე შეეკრა, შეუღედდა და გაუჩერდა. ირგვლივეთის ჩქამი-ჩქუმიც თანდათან მიწყდა, ყურთ აღარ ესმოდარა, ქვეყანა დადუმებულ-დაბნელებულიყო. ახლა, საცაა ღრუბელი უნდა გამსკდარიყო ჭახუახით და — ლოდინის საფარს შეჰყუყუებოდნენ ნიავიც, ტოროლაც, ნაკადულიც... ერთბაშად ძარღვებში მოეშვა და შეგუბებული სისხლიც ჩქრიალით მიაწყდა სადინრებს.

კამეჩი ღელედან ამოვიდა. ნისლში ლამაზოდნენ ძროხები, შორეულები, ის მუნჯი ღრუბელი, მაგრამ ნახირში მის გარდა სხვა კამეჩი არ ჩანდა. სისხლმა

დღელილი დაუწყო, წვივ-ბარკალში მცირე რამ ტყვიელნაზავმა სითბომ დაუარა და შეუტნობმა კრთოლვა-სიამემ უკვე ხერხემალიც გაუმსკვალა კისრიდან კუდამდე. ფეხი მოიცვალა და ძროხების ბუღას ვაპხედა, ერთი პირობა მასთან დაქიდებაც კი გაიფიქრა, მაგრამ ნახა, რომ არსადაც არ უნდოდა წასვლა, ის მაწუხარი ბრაზი თუ ბოღმა ნელ-ნელა იღვენთებოდა და უკვალოდ უქრებოდა.

ღრმა მდუმარებაში ბალახები ღერ-ღერ, პწყალ-პწყალ ქსოვდნენ აბრეშუმის სურნელებას და მთელ იმ მწვანე-სამყაროში სურნელებასთან ერთად იქსოვებოდა რაღაც ტკბილი სევდა.

კამეჩმა დაიზმუვლა.

ძროხებმა თავები მოაბრუნეს — მეველე არ იყო, კამეჩი იყო და ზმუოდა. ზმუოდა და ეზმუვლა, ძროხებს რა ენაღვლებოდათ — ბალახი ნორჩი იყო, ბლომა, უყვედრელი, კაი ცივ-ცივი წყალიც აგერ ჩაუღიოდათ, ის აბრეშუმით ბულაც იქვე ჰყავდათ, რძე საამოდ მიუჩქრიალებდათ ძარღვებში და მზეც საკმაოდ ათბობდა, — ყურიც არ გაუპარტყუნებიათ, პოხიერ კმაყოფილებაში ჩაფლულებმა ჩაღუნეს თავები და ძოვნა განაგრძეს.

კამეჩი ბინისაკენ გაეშურა. ცური საამოდ უთამთამებდა ბარკლებშუა და მიდიოდა კამეჩი, ის ცური მოსაწველად მიჰქონდა ბებიასთან. კამეჩის მზერაში გაერთა და ისევ დაიკარგა გორის თავზე მდგომი ბინა. ორიოდღე პირისმოვლება ბალახი მოგლიჯა და დაიბნა — თუმცა. პო, ბინაში მიდიოდა! მაგრამ ნახირი რომ ისევა სძოვს? აჰა! ეგ იმიტომ, რომ ნახირი ძროხებია, თვითონ კი კამეჩია და ისიც — მარტოკამეჩი.

ის კარვის კარებთან შედგა და დაიზმუვლა, დაელოდა ბებიას გამოსვლას.

— მოხვედი? — თქვა ბებია.

— ჯერ სადილობაა, ამ დროს აქ რა გინდა?

— ნახირი მინდორშია გაშლილი, შენ კი მიგიტოვებია და წამოსულხარ.

— კარგი, რაკი მოხვედი, მოდი, მოგწველო.

— ცური ნახევარზეც არა გაქვს მოყრილი, ჯერ რა დროს მოსულა იყო?

მწველავი კარგად ვერ წველიდა, ცურსა სტკენდა. კამეჩმა კისერი მიღრიცა. დასუნა, სუნიც ბებიასი იყო, ხმაიც, მაგრამ ამ ჯერობაზე ნამდვილად კარგად ვერ წველიდა. კამეჩმა იგუშანა, რომ არც რძეს უნდოდა გამოსვლა და არც მაინც-დამაინც თვითონ უნდოდა მოწველილიყო. შორეულ შორეთებს გადაღმა, ცხელ ნისლეტში ილანდებოდნენ კამეჩთა ჯოგები და იმ ჯოგებიდან ერთ-ერთი ბულა კამეჩი ტყეთა და გზათა თავზემთ თუზავნიდა მას თავის ჰაეროვან სევდას.

— პა, სათიცი!.. შენს ბებრას თელავ? ვილა მოგწველის მერე?!

— არა, არა, რძე არ მოგიტანია და რაცა გქონდა, ისიც ხომ არ მომეცი!

— უი, უი, უი, უი, აბა, შენს ბებიას ფეხები უნდა დააჩქლითო?

— მინას!.. ეს კამეჩი დღეს რაღაც სხვანაირად მეჩვენება!

— გასაგებია!.. ჩვენს კამეჩს ბულა უნდა.

— მაშ, ჩვენ კამეჩს ბულა უნდა? ივლისი, აგვისტო, სექტემბერი... მარტი... მარტი, მაისი... კაი დროს მოიგებ. შენს ზაქს ჯაგრცხილის ფოთოლს დავუყრი... მზე და სიმწვანე იქნება, მაისი იქნება!.. კამეჩი გორის თავს გადაადგა და ღვთის გაჩენილ მწვანე ქვეყანაში შორეულ ელალ ხეობებს გაპხედა.

მელა მომკვდარიყო დაბლა კლდეტყეულში, ერთ მოშიშველებულ ადგილზე, რათა ბალახებს ხელი არ შეეშალა და ცაში მოტრიალე ძერას უეპველად შეენიშნა შიში ლეში. არადა, ისე მართლა მკვდარივით იღო მელა, რომ ნიავი კუდს აქეთ-იქით უფრიალებდა.

შორეულ ელალ მდელიებზე ნისლებში ირწეოდნენ კამეჩების ახურებული ჯოგები და მათში ერთი ბულა კამეჩი — ყველაზე უფრო მკვრივი, მხურვალე და მძლავრი — თავმალაწაწეული, მისკენ გამომტკერალი შორით შორად გამოსძახოდა მას. კამეჩმა ყრუდ ამოიზმუვლა, მოსწყდა გორის წვერს და დაეშვა ხევისკენ...

— რას შერება, რას შერება, რას შერება ეს პირუტყვი! — დაფეთებული წამოხტა მელა, — ათასჯერ ვიფიქრე, ეს დაწყვედილი სორო ამ ფხვიერში არ გამეთხარა... ფუჰ! — კამეჩს ზედ დრუენის ქვეშ წამოუფრინდა მელა, ცოტას გაწყდა, თავი არ გაათელნა, არაღა თვითონაც შესძლო ცოტათი შეეშინებინა და ცოტათიც გზა გაემრუდებინა მისთვის. მერე წამოაკუბდა და უცნიდან გახედა კამეჩს.

კამეჩმა ტყისპირზე კინკარამდებულო მაველიანი გაანგრია, გაიარა და შევიდა წყნარი სინათლით აშუქებულ ტყეში, სადაც ძირშიშველი მალალი ხეები იდგა, მიწა კი ხეთა დაძარღვული ფესვებისაგან ტალღურად იყო ახლართულ-ჩახლართული.

კამეჩის ყურს ელამუნებოდა ტყის მშვიდი ფშვინვა. მერე მიწა დაბილდა. გადაიქცა ძირნაც ფოთლად. გამრავლდა დათვიმხალა. ახლა ყოლოიანი კორდო გაკრთა თეთრად. ტყეში ბზუილი ჩამდგარიყო და კენწეროების გაყოლებით ბზუოდა მთელი ტყე. ყოლნარი თითქმის ფარავდა კამეჩს, ტყის შუა სართულამდე ყოლოს სურნელს გაებრუებინა იქაურობა. ერთმანეთში გადახლართული ბუჩქები კამეჩს რქებით იჭერდნენ, შრიალმა გაუტენა ყურთასმენა. კორდი გათავდა და ტყეში ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა, თითქოს კამეჩი ყრუ იყო.

მიწას სოკოს სუნი უდიოდა, ნეშოსქვეშა ნიადაგი კი დამპალ-დაფიტული გამოდგა და უხმაუროდ ჩაკურდა კამეჩთან ერთად ხეში. ხეში კიდევ სქელი აყალოიანი საფლოები დაუხვდა, გან-გან. ცალ-ცალკე ჩაიჭირა კამეჩის ფეხები და მთელი მყეს-სახსრები დაუჭიმა. კამეჩი ხევიდანაც ამოვიდა და ტყის ნაპირას შედგა.

ოცი დღის შემდეგ ქოსატყუილა მონადირე ადამა აყალოიანში კამეჩის ნაფეხარს წააწყდა, იქვე ახლოს იმ ახლოხანებში ჩამოგორებულ ერთ კუნძსაც მოჰკრა თვალი, ყოლნარში ყოლოს საკმელად ველარ შებედა, სალაყობზე კი

თითებში თუთუნის სორსლით გამოდგა და დიდის ამბით დაიკვებამარცხნული — დათვის არ გადაეაწყდოთ იმდენს... ჩემი ფეხის ხმაზე ხრამში ცემულიყო მაშინვე... კუნძები ამოეყარნა, კაცო!.. ყოლნარი ხომ სულ გადაუღეწ-გადაუქეგა.. ერთი კი ეთქვი, წავალ, გავყვები-მეთქი. მაგრამ მომაგონდა, რომ მაგ უპატრონოზე ნადირობა აკრძალულია...

კამეჩი ტყის პირას იდგა, თეთრი სინათლის პირისპირ, ქერის ყანასთან. ყანა მოლოდინით გატრუნულიყო მზეში, თავთავები სწორ-სწორად აელირა, არცერთი თაველი მეორეს მზეს არ ართმევდა. მზე დიდი იყო ამ ყანის თავზე, სინათლე ბევრი იყო, ყოველი ქერის თავთავი სეამდა თავის წილ მზეს, თავის მარცვლებს ამწიფებდა და მთელი ყანაც ამიტომ ერთობილად, ნაზად შრიალებდა თბილ სინათლეში გახვეული.

ყანის თავში თავისივე ცხელ სურნელში ჩაფლული და წყნარ ლოდინში მითვლემილი ერთი ასკილის ბუჩქიც მოჩანდა, ცალი ყვავილის გამოტანა მოესწრო; ცალი-ყოკორში ეჭდა, ხოლო ათიჯერ ისევ მწვანე კაკრა ესხა. ასკილს ველური ბუსუსა ფუტკრების პატარა ოჯახი დასდებოდა, შედედებული ბზუილი იდგა ბუჩქში.

იქვე, ყანისპირა პანტა ეთბუნებოდა სინათლის ცელქად მხტომარ ჰვალებს. ფოთლები აქა-იქ თულა ესხა და ძირი კენწერომდე ისე გახურებულიყო, თაფლს რომ შეეკიდება ხოლმე მხურვალეობა. იგი მთელ სამოცდაათ წელიწადს ყრუდ მკენესარი ცოდვილობდა, რა არის როგორმე ნამეხარი მძიმე ჰრილობა დაეფარა, მთელი ახალგაზრდობა ამას გადააყოლა და იარას ხეირიანად პირიკ კი არ შეეკრა, რომ ქარაანთ დახელთილი მაკაჟა მიაღდა, ცული დაკრა და ყბალიად, სრუტუნით ახხედა მალა. მერე, თითქოს უსიკოცლო და უგრანობი შეშა რაიმე ენაფოტებინოს, თავიც არ აუღია, ისე აპკრა სიგრძივ ოცდაათი საკოვზე და სამი საციცხვე რალა ჩარა იყო და, პანტამაც დაიწყო ხა-

ნგრილივი სიკვდილის მშვიდად გადატანა უნის ნაპირას, მზეში.

გამოზაფხულზე მცირე ხნით დაქობებული ღრანტე ახლა ისე გაკორაწებულყო, სიგამხმრისაგან ნაბზარებიც კი დასჩენოდა, მაგრამ კამეჩის ფეხქვეშ მაინც აზანზარდა. ბალახის მცირე ქუჩბეული ირგვლივ ვაშლის მქნარი ყვავილის სურნელს აფრქვევდა და იმავე სურნელითა და მზით ილანძებოდა. მოზარდი კაკლის ხე კარგა მაგრად დაებერტყათ და ახალგაზონასკვეული ნაყოფი სამურაბედ წაელოთ. კაკალქვეშ მზეს მიფიცხებოდა მჭრქალად ფერმოსიცივე მოკლე მცურავი და ქვაზე თავის სამყოფ შხამს ადულ-აზავებდა.

მერე სიცხეში წყავითალოდ გამჩინარდა ქარაანთ გორაკი, ერთი ხრიოკი და გადაბრუკული, ჰაერმა ტალღა-ტალღა დაჰკრა კამეჩის შუბლს და უპე-ნესტოები ამოღშრო. სანამ დაღმართზე დაეშვებოდა, კამეჩი ფშვენით შედგა და მიმოიხედა.

გორაკის ძირას სოფელი მიყუყულმიყუჩებულყო, დუმილში ჩაფლულიყენენ ბაღები, გზებს ელალი დაჰკრავდა, სახლების სახურავები კი შავ-წითლად ფერმონაცვლეობდნენ ხაჩხაჩა მზენათელში.

ქარაანთ კომბოსტოიანში ღობის ქვეშიდან წვრილი რუ შეწანწკარებდა. მზესუშიზირებს ფართო თავები კამეჩის გზასავალის მიმართულებით მიებრუნებინათ. ადამაანთ ალვის ხეს ფოთლები ამოეტრიალებინა და გათეთრებულყო: ის ცოტაოდენ წყალსა ჰპარავდა ორი წლის ვაშლის ხეს, კარტოფილს, აყვავებულ კიტრსა და წიწყას, კომბოსტოს ხომ — მითუმეტეს, მაგრამ თავს ისე იჭერდა, თითქოს წყურვილისაგან აღარ იყო, წყალი უნდოდა და გულგადაღებული ელოდა წვიმის მოსვლას, რომელიც, ჰა, და ჰა, უნდა მოკლულიყო კიდევ. ვაშლის ხის ქვეშ მწითური ქოფაკი ქასქასებდა. მზინავმელოტიანი და ქაღარაწვერულვაშიანი სარქისა ჰაპა საფუტკრის არეულ ზუზუნში ფიქვმა ატრიალებდა.

ყრუ ნაბიჯების ზმაზე მოხუცმა მიიხედა და მზესუშიზირებთან თავისივე მულტყაპუქმოხურულ, ფაფახვერდემოვდებულ საფრთხობელას მოჰკრა თვალი. რომელიც თავის მხრივ ბლის ხეს გასკქეროდა მეზობელ ბაღში.

გზის ჩაღმა სახლი იდგა, სახლსა და გომს შუა უზარმაზარი ეზო იყო მოქცეული. ეზოში ფარდაგები იყო გამოილი, ფარდაგებზე გაფენილი მარცვალი ნათელს ასხივებდა, მარცვალთან კი თათებზე თავჩამოდებული, ლომისტოლა ქოფაკი თვლემდა. ქოფაკი თავისთვის ფიქრობდა: „— მე ბასარა ვარ და ხორბალი მბაბარია. ჩიტებსა სძინავთ“. მერე თავის თავს უთხრა: „— ცხენოსანი მოდის, აბა, ერთი გაპხედე, ვინ არის!“ ცოტა ხნის შემდეგ ბასარამ კიდევ გაიფიქრა „ცხენოსანი კი არა, ხარია, ნეტავ სად მიდის ამ სიცხეში?“ თათებქვეშ მიწის სუსტი ბიძგები ნელ-ნელა დაცხრა, წათვლემილმა ძაღლმა მასზე მიშტერებული ძლიერი რამ სულდგმულის მძიმე მზერა იალლოვა და ქუთუთოები აზინდა: „— ვაი, კამეჩი!“ ძაღლმა მიიჩინა, დრუხნი დრუნჩხე მიაღო, ეამბორასავით, ცოტა ხანს მიესიყვარულა და მერე ქუჩაში გავარდა ბეზის შესახვედრად, მაგრამ მზეში გაღურსულ გზაზე ადამაინიშვილი არ ქაჰანებდა. ძაღლი დაფიქრდა და ღობეს მოსახვევამდე ჩაჰყვა, აქედანაც მთელი ორღობის დაყოლებაზე, თვით ქარაანთ ხრიოკ გორამდეც კი გზაზე არავინ ჩანდა. ძაღლმა ვერაფერი გაიგო, ისე ეზოში შემობრუნდა და ხორბალსა და კამეჩს შუა ჩაწვა.

ძაღლზე მზერამიპყრობილი კამეჩი ყრუდ ზმუოდა და არკი ამბობდა, რა უნდოდა. მერე გომის ფარდულში შეიზლანა, ცოტა შეიცადა, კარს რქებით უბიძგა და შევიდა გომში. შევიდა და დადგა. ჩაწყვდიადებული გომი ცივ თვალებს აპარპალებდა. რაღაც კენესა იდგა ირგვლივ, რაღაცა იყო იქ ჩასაფრებული. იქნებ ქსელში გადაარაჭებული ობობა იყო, იქნებ საყრდენი ბოძები კვნესოდნენ. კამეჩი თავის ადგილ-ბაგაზე მივიდა და დადგა. ბაგაში ქეამარილა

დაორთქლოლიყო და თანდათან ილეოდა. ბაგის ფიკრები ბნელში ბერდებოდნენ, მძიმე ტვირთს შეტვიდებული მუხის ბოძები უღრტვინველად იფიტებოდნენ ჯან-ლონისაგან და ირგვლივ ყველაფერი ზანტად ივლინებოდა სიკვდილით. კამეჩი ცოტა უკან მიდგა, საბმური არ იჭერდა; აჰა! აქ ზომ თვითონ შემოვიდა! თანაც კიდევ ზაფხული იყო!

კამეჩმა კარებს მიაშურა, ეზოში გავიდა და დაიზმუვლა. აგერ — კომბოსტოს კვლები, ის — ღობე, ეს — თაიანთი ძაღლი, ესეც — მარცვალი, მგერამ თვითონ მას რა უნდოდა? შორს ქალაქშიკედებულ ზეგნებზე თბილი ტბორებისაკენ ზოზინით მიიჩქვოდნენ კამეჩების ჯგროები და მათში ერთი კამეჩი ჰოი, რა მხურვალე იყო, ჰოი, რა ძლიერი და ლამაზი! კამეჩი მოწყვეტით გაქლაგუნდა ეზოდან. ძაღლი გაყვავა: „სად მიდის ეს კამეჩი, რა უნდა ნეტავ?“ კამეჩი ღობის ჩაყოლებზე ჩარუქდა.

ღობის ბოლოში ერთი სხვა სახლია, სახლს წინ — წითლად აყვავებული ღობით, ღობიანში კიდევ — ერთი წოწლოვინა ძუქნა, რომელმაც თუ გამელულს არ უტბინა, არ იცემა ან ცოტა მაინც არ იყვავა, სიანჩხლისაგან გასკდებდა, ამიტომ ბასარამ გაუსწრო კამეჩს, წავიდა, ღობიანთან შედგა, თავი ასწია, კუდიც აპრიხა და მუქარით დაიღრინა, გააგებინა, აქა ვარო. ძუქნა ღობიანიდან აღარ გამოსულა. ისევე თავაწუქულმა და კუდაპრეხილმა ბასარამ კამეჩი ორღობის ჩავლით ჩააცილა წყარომდე, გადაატარა მიტოვებული ბალი და ქვაჯვარის გვერდაქცევით ჩაჰყვა სამლოცველოს დაბლა, სოფლის გასადგერამდე. ხევში ბავშვები ჰყუჟმალობდნენ. ნუნიკა და გაიანე გოგონები იყვნენ და, როგორც გოგონებს შეეფერება, ტრუსებს არ იხდიდნენ; ჰოვიკა, ტიგრანა და მანუკა კი ბიჭები იყვნენ და იმიტომაც დედისობილა ბანაობდნენ. ხევის წყალი კრიალა იყო, ბავშვების ხმებიც კრიალა და ქვეყანასაც ერთი დიიიდი, ბავშვური მზე ჩამოპლიმოდა. კამეჩი ყვითლად გაკიდებულ გზაზე მიიჩქვოდა. უკან ძაღლი მისდევ-

და. ამის შემდეგ ასე ივლიდნენ ისინი ქალაქების, აწეწილი ცხოვრებისა და სიბერის შუა, ამ ყმაწვილებს სიცოცხლის დასასრულამდე. კამეჩმა ქვიშაყარილი დასუნა. ძაღლმაც დასუნა. კამეჩმა ხევი პირდაპირ გატოპა, ძაღლმა კი წყალზე ვიწრო სახტომს დაუწყო ძებნა. კამეჩი მიხვეულ-მოხვეული ბილიკით ავიდა აღმართის თავში, ძაღლმა კი იპოვნა ვიწრო სახტომი, გადაატა და როცა თავდავლით, მოკლედ ასჭრა აღმართი, კამეჩს უკვე ჩაევაკებინა.

კამეჩი და ძაღლი შვინდიან გორაზე გამოვიდნენ. წინ გაშლილი ქალი ველიდან ნიავს მოშუშული ყვავილების მშრალი მტკერი მოჰქონდა. კამეჩმა უკან მიიხედა. ძაღლი გორაზე წამოყუნტებულებოდა და ცდილობდა კარგად დაემახსოვრებინა ის ადგილი, რათა, თუკი შეეკითხებოდნენ, აბა, ბასარ, გვიჩვენე, საით წავიდა კამეჩიო, ისინი ამ ადგილამდის მოეყვანა: „— აქამდე მოვსდიე, მერე კი აღარ მინახავს!“ ძაღლმა კამეჩი მზერით გააცილა ბილიკის დასახვევამდე, ცოტა მის წასვლაზე ინაღვლა, ცოტაც იმაზე, რომ აგერ სამი წელიც იქნებოდა, რაც ბებიას მთაში აღარ მიჰყავდა იგი, მერე წამოხტა და უკან გამოიქცა: „ჩიტები აზრზე მოვლენ, მთელ მარცვალს აყენკავენ, სულ აყენკავენ და აღარაფერს დატოვებენ!“

კამეჩმა ბილიკთან ერთად მოუხვია, ბუწწნარში რქებით გაიკაფა გზა და ღელეში ჩავიდა. იქ წყარო უნდა ყოფილიყო. კამეჩმა წყლის მოძებნა დააპირა და მაშინვე ნესტოებში ახალნახნავი შავმიწის მკავე სუნი ეცა. ამ გადატრუსულ უკიდევანობაში, საღდაც სიახლოვეს ახალმოხნული შავმიწა უნდა ყოფილიყო, იქავე — ერთი პანტა, პანტის ქვეშ — დაყრილი ხარები, ხარებში კი — ორი კამეჩი. იმ ორი კამეჩიდან ახლა ერთს მაღლა აეშვირა თავი და იქაობაზე მდედრის გაჰაქანებას ხერხემლით გრძნობდა, მიწაზე მიკრული ჰკობით კი მოახლოებულ ფეხისხმას იჭერდა. რაკი სუნი დაიცა, კამეჩი ღელიდან ამო-

ვიდა. ყველამხრივ ქალი ველი იყო გაშლილი. ერთბაშად ჭრიჭინას ჭრიალით გაჭრებული ცხელი ჰაერის ტალღა ეცა და ნესტოებში გარჩენილი ნამჯობისეული მომჯავო სივრცით ამოუშრო. და კვლავ დაცარიელდა გადახრეული ველი. ყრუდ დაიზმველა და ყური მიუგდო. მისი მომწოდებელი ზმუილი ტრიალ ველზე ნელ-ნელა შრებოდა. ოთხი ფეხით მიწაზე მკვიდრად დაბჯენილმა როგორც იქნა, კუნძვიით ამოაგდო ძნელი ჭაპანწყვეტის შორეული ხმაური — სადღაც ძირ-ძურები იგლიჯებოდა, კვადი იკეცებოდა, საჭონელი იძაგრებოდა და დარჩილ კამეჩებს გრეხით მიჰქონდათ გუთანნი.

კამეჩმა ქშენით დასუნა მიწა და გავარდა, მიეზანყებოდა და მისთელავდა ხრუტის სუნს, ათასგვარ ხმასა და ჭრიჭინას კრუალს.

და მაინც შეცდა კამეჩი. სახნავი მიწები მალე გათავდა და დაიწყო ქვალორდიანი ადგილი, რომელიც ჩირადაც არ აგდებდა კამეჩის ბრაგი-ბრუგს, არამცთუ ეზანზარნა. კამეჩი შედგა. ქვა-ლორდიან მყარს არც მაშინ შეუტყვიან რამე. კამეჩი უკან დაბრუნდა. ქვა-ლორდიანიც მასთან ერთად შემობრუნდა, ცოტაზე სდია, მერე მრუდედ ჩაუხვია, მიწაში ჩაიკარგა და ახლა მიწის ქვეშ-ქვეშ აედევნა კამეჩს. ამ ველების რომელიღაც მისაღვეარზე მძიმედ მიიწმანებოდა გაძაბული გუთნეული. ამ ველების სადღაც განაპირაზე გამომდგარიყო ერთი ბუღა კამეჩი და თავისი მძიმე მზერა მიეზიხა მის გავაზე. კამეჩს მისი ხმაც კი მოეყურა. შეუოვნდა, ყური მიუგდო — სიჩუმე იდგა. ისევ გააბიჯა. მიწა იფშენებოდა, ინავლებოდა მისი სიმძამის ქვეშ, სათის კოჭებს პაწაწა ტალღებად მიაქანებდა მეორე კამეჩისაკენ, პირუტყუ კი მოჰქონდა იმ მეორის მამრული არსებობის ცნობა.

კამეჩი კვლავ ცდებოდა. სახნავი მიწა გათავდა აღმართის ძირას. აღმართი დამძიმდა. მიწა ჭერ გათხელდა, მერე სულ გამოეყო კვარცის ფიქალს და უცებ მის წინ აღმართა კლდე. კლდის ჩაყუ-

რუმებული გამოქვაბულიდან თვალუხამხამოდ იყურებოდა ბრმა მკვირვრულ კამეჩმა დაიზმველა. ჩადუმებულმა სიცარიელემ ცოტა იყუჩა, მერე მიიჩხ-მოიჩხა და ეჭოდ იქცა. გამოქვაბულიდან მელისა და ფრინველის ამაზრუნენი სუნი გამოვარდა. კამეჩმა ამოქშენით უკანვე მიჩხრიკა მელის სიმყარაღე, შემობრუნდა და გახედა ჩანისლულ შორეთს, სადაც ღვთის ნებით ელოდა, ან, ვინ იცის, იქნებ არც ელოდა ერთი ბუღა კამეჩი. ფეხქვეშ მიწის თხელი ფენა მოუცურდა. კამეჩმა წაიფორხილა და გახელდა. დაოთხილი მოსწყდა და ნგრევითა და მტკრევით წავიდა. სისხლი თავში ეცა, მისმა ხმაურმა აუესო ყურები. სახნავი მიწა ზეუთან გათავდა, ხევის პირას სუნთქვაშეკრული ჩასაფრებულოყო უფსკრული. კამეჩი ისევ დაიბნა. თავი ასწია, ლურჯ ღმერთზე თვალბმბიპრობილმა, რაც კი ფილტვებში ძალა მოსდევდა, დაიზმველა და დაიზმველა. მისი ლეზვიანი ზმუილი აგორდა მინდორ-მინდორ, შეაშრა სივრცეს, შეერია მინდვრების ძველისძველთაგანვე ნანატრ-ნაჩურჩულევს და სიჩუმედ ჩაყუჩდა. იები ჭერ კიდევ გაზაფხულზევე იყვნენ დამტვერილ-დანაყოფიერებულები ცვრის წვეთებითა თუ ბუზების ფრთებით, ზამბახებს მკვრივი თესლი ადრევე საიმედოდ მიეზარებინათ მიწისათვის, ნექტრის ყვავილს თავისი წილი ცვარი თუ სითბო საკმაოდ შეეცვა, კოკრის კაკრაში გამოემწყვდია და მკვდარივით მიმყუდროებულოყო; ჭრიჭინობლებს თავიანთ ხვრელებში პაწაწა ჭრიჭინობლები დაეჩეკათ და ახლა ხმელ კაჭახებში საღამოსღა ელოდნენ, რომ სიმღერა შემოეძახნათ; მზეში უჩქამოდ მიბორიალებდა ქარქვეტა, ხოლო სახნავის განაპირას კამეჩი გამომდგარიყო.

ატალლულ მიწას კამეჩიც ზანტი ტალღასავით აპყვა, ლელებს ჩასდევდა და ბორცვებს ამოსდევდა.

მსხლის ქვეშ გუთნისდგა მიმხართებულოყო, ქული თვალბზე წაეფარებინა და მთელეშარიც კი ყურს ადევნებ-

და, რომ საქონელი დააარწყულებლად მიუღიოდათ, რომ საქონელმა უკვე დალია რუს წყალი და ახლა რწევა-რწევიტ ბრუნდებოდა უღელში შესაბმელად. ხედვით კი გუთნისდებდა ხედავდა მკვრივ ძეღუმეგრდიან და ღონიერჭიბიან ტიტველ ქალს, ეამოდა მისი მხურვალე აუკვეპი და ღიმილით ეუბნებოდა: „არაა! კარგი ერთი!“ ახლა მეხზე გორახის ასაღებად დაიხარა და ტლაპოიან ცხელ გუბეში თავი გაიჭინა ცალთვალ-გაფუჭებულმა კამეჩმა. გუთნისდებდა გრანობდა, რომ საცაა ავრილდებოდა და სიოც წამოუბერავდა. შორიახლო ვილაც თუ რაღაც გაილურსა. იმ ვილაცის ზოუ რაღაცას მზერა გუთნისდების ზედ ყურისძირზე მიებჯინა და გუთნისდებას ამის შეგრძნებაზე მხარი ვაუშეშდა. „არაა! არა ერთი!“ — ჩაბურღლუნა გუთნისდებამ, მერე წამოჭდა და ამღვრეული თვალეებით მიმოიხედა. ისევ ის წელანდელი ნახნავი იყო, წელანდელი მზე და მოახლოებული ხარების ფეხიანმა. გუთნისდებამ ჩექმები ჩაიკვა, ზნეჭვა-მტერევიტ ადგა, წელი გაიტკაცუნა, დაამთქნარა და რაკი ტიტველა ქალი არსად ჩანდა, იმაზე გაბრაზებულს ის იყო მეხრე უნდა გამოეღანძლა, ვითომ — რა ზანტად იქცევიო, რომ უცებ თვალი ჰკიდა, კვალში კამეჩი იდგა და მშვიდად ფშვინავდა.

— ვა, შენ ზომ ზორცის დამზადებაზე ჩავაბარეთ, აქ საიდან გაჩნდი?

კამეჩმა დაიზმუვლა, დაიძრა და კვალს გაუყვა.

— არა! — თქვა გუთნისდებამ, — მანიშავა ბებიას კამეჩი ხარ, აქ ბულასთან მოხეიდოდი!

— შე საწყალო, შენა, — ღიმილითა თქვა გუთნისდებამ, — შენი ბულა ზორცის დამზადებაზე ჩავაბარეთ.

როცა დაკოდილი ცალთვალა გუბიდან ამოვიდა, თვისტომის სუნი მაშინვე იცა და იმწამსვე მიასწვდა მისი სვედიანი ზმუილიც, ცალთვალას ამხანავი სასაკლაოზე წაეყვანათ, თვითონ მას კი ერთ კველაზე უფრო გადარეულ ხარს უბამ-

დნენ, თან უღელს ორ მტკაველზე მაინც ტოლს უღებდნენ, რათა მას მხრე მალე ვით არ მიეფშვინებინა ის გიგი მოხვეერი და პირიქით იმას ეჯობნა ამ ზანტი, ძლიერი და მალალი სულიერისათვის. დავსილი თვალის მხარეს კამეჩმა მკვეთრად მიღრიცა კისერი და იხილა რა თავისი ჭიში და მოდგმა, ხელად გაუღვივდა მისლამი მინავლული სურვილი. მან დაიზმუვლა და წაევიდა ახალმოსულის შესახვედრად. ისინი მიუახლოვდნენ, მიეკრნენ ერთმანეთს და ხარკამეჩი მიხვდა, რომ ეს მისი უღლის ამხანავი არ იყო. ფურკამეჩის ზურგზე თავგადადებულმა ღმერთს ზმუილით შესთხოვა თავისი უღლის ამხანავის დაბრუნება. მაგრამ ზმუილი სახანვეროდ დაურჩა, რადგან მასში აბურბურდა და იმავ წამს ჩაიფერვლა მამრული გრანობის ოღესმე ნაცნობი თუ არც მთლად ნაცნობი თრთოლვა. თუმცა ეს არც მამრობა იყო, ეს იყო უღლის საქონლის გოლიათურ სხეულში წამიერად აბორგებული რისხვის ნამცეცი. ფურკამეჩის ზურგზე ყელგადადებულმა საწყალობლად გაჰზმუვლა შორეთსა და ღმერთს, — დავსილი თვალის მხარეს სიბნელე ჩამომდგარიყო, სალის მხარეს კი ხარები მიდიოდნენ უღლის დასადგმელად.

ფურკამეჩი მისი თავ-ყელის ქვეშ გატრუნული იცდოდა, მაგრამ ხარკამეჩი მხოლოდ ზმუიდა. ფურმა ცხელი გვერდებით მიუალურსა, ყელით, ნეკნებით თავისი სითბო გადასდო, ირგვლივ შემოუარა, მისი მძლავრი სხეული, მისი ნესტოები, ჭიბი, თავი, მთელი მისი არსება მდებარეული ალით მოიკვა და ზმუილით გაიხმო მოფარებული ადგილისაკენ. მაგრამ ის აუმღვრველად იდგა ნახნავის კვალში — საუღლედ გაჩენილი და განწირული.

ფურკამეჩმა ამ მხენელებს ერთი დღელამით სთხოვა ხარკამეჩი, რომ შემდეგ მათთვის ერთი თავგომბორა ზაჭი ეჩუქებინა, მაგრამ მათ იგი დაიჭირეს, ყურით წაჭირეს და იმანაც თავისი

მამრობაწართმეული კისერი თვინიერად გაყო უღელში.

ფურკამეჩი გუთანს ნახნავის წვერამდნს აპყვა, საბრუნში შემოტრიალდა და ჭლაცუნით ისეე ჩამოაყვა ბოლომდის, მივიდა, მიეტყუა, მიეხახუნა ხარკამენს, უღლიდან გარეთ გამოიხმო, მაგრამ მას დორბლის ფრიალით, მშვიდად შაქონდა გუთანი. მაშინ ფურკამეჩმა მარუბუქად ამოუტია ხარკამენს, მან კი საწყალ-საცოდავად გამოაჩნდა ქვეშიდან — უბედურმა, კისერნალღეტმა და ცალთვალგამოთხრილმა. ფურკამეჩი ერთ შემოვლავზე გააყვა გუთანს, მაგრამ ისეე ტყუილუბრალოდ — უღლის კამეჩი კამეჩი კი არა, უკვე ხარი იყო და ხარებთან ერთად მშვიდად ხნავდა თავის სახენელს. ფურკამეჩი შედგა და შეიცადა. გუთანი კშორდებოდა.

ფურკამეჩი ბილიკს გაუყვა, ბუჩქნარს მიღწია, შეჩერდა და უკან მოიხედა. დინჯი ხარები ფხეიერ ბელტს ბელტზე აბრუნებდნენ, დორბლის კონწიალით კვალს ავლებდნენ და ეს ყველაფერი მკვდარი იყო, ოღონდ დაუმარხავად დაგდებული. ფურკამეჩი ჭაგნარის ლეწვით რიყიანში გავიდა. რიყიანში ერთ წუთს წყაროს ბილიკი აერია, მერე ისეე იპოვნა, მაგრამ ბილიკი ძველი იყო, საცაა დაიკარგებოდა კიდევ. თანდათან რიყიანი კლდე იქცა, ბილიკმა კლდის ნაპრალში გაიარა და ხევში, წყაროსკენ ჩაეცურა. უეცრად კამეჩის წინ პატარა ნაკადულმა იჩინა თავი. ნაკადულში უშფოთველად ცხოვრობდა კალმახების ქრისტაინული თემი. კიდევ იყო ერთი ცალი წაქცეული ჩალა, ორი ქუჩბა კაბტაიტინა, ზურამუხტისფერი ქვიშა წყალში, მზის ორიოდ სხივი, ოთხიოდ მუშლი და დედა-თევზი და მამა-თევზი თავიანთი ოღლოქოქოთი. მაგრამ... მაგრამ...

კამეჩმა წყარო ვერ იპოვნა. სადღაც ახლოს კი იგარშობოდა მისი სუნი და ლიკლიკი კი, მაგრამ თვითონ წყარო არსად ჩანდა. კამეჩი მიაწყდ-მოაწყდა, თითქოს იპოვნა და, ისეე დაკარგა წყარო, რომელიც ვითომ იქვე იყო, არადა

ზედ მის ნესტოებქვეშ იკარგებოდა სადღაც. მიწა როგორღაც ფურკამეჩს შერქვამაგრდა და მის ფხეებქვეშ დაიხმავოდა თუქმა. წყალი მიჩუბჩუხებდა თუქის ქვეშ. კამეჩმა წყლის დასაღვეად წაიჩოქა, თუქმა დრუნჩხე უბიძგა. კამეჩი მიდგა, მიბრუნდ-მობრუნდა, ისეე წაიჩოქა და თუქმა ისეე უბიძგა დრუნჩხე. კამეჩი მუხლიჩოქითვე მიტრიალ-მოტრიალდა, დაბორილდა სუნებში, მაგრამ თუქი ჩამჭდარიყო მძიმედ და უსიცოცხლოდ. კამეჩმა შუბლი მიაბჯინა თუქს. რქებმა ყრუდ დაიხუხუნეს და ისეე სიჩუმე ჩამოვარდა. კამეჩმა შეიცადა, თუქი არც უკან იხევდა, აღარც უკან უბიძგებდა. თუქს ასევე შეეძლო დარჩენილიყო ათასი წელი და კამეჩმა თუქის ზედაპირიდან მხოლოდ წყლის სუნი ალოკა. გახელდა, გაგიჟდა კამეჩი, მაგრამ სუნი მხოლოდ სუნი იყო და თუქი უშლიდა, რომ სუნი წყლად ქცეულიყო კამეჩმა შუბლი მიაბჯინა მას და თავი აღრიცა, რომ რქები მის რქებზე გადაეხლართნა, მაგრამ ის გლუვი იყო, მაგარი და, არც მოსაჭიდებელი უჩანდა. კამეჩი რქებით მიაწვა მას და თავისი თავის გარშემო ტრიალი დაიწყო. წყალი მიბროდა მისი დრუნჩხის ქვეშ, იყო და არც იყო. მან კარგა ხანს იტრიალა იმ ცემენტზე და თუქზე, იტრიალა და, უცებ რქები გამოუძვრა, ამოტრიალდა და ზღართანი მოსძვრა ცემენტზე.

მერე... მზეში მიდიოდა ერთი დაღლილი კამეჩი, გადასჭრა შარა, ჩაიკარგა ხევში და საღამოსამა ლურჯად გაილანდა გორაკების უღელტეხილზე. მერე ყველა ბუჩქიდან თითო სიო გამოფრინდა, შეერთდნენ, შეერივნენ დღის ყველანაირ სუნს, მაგრამ არცერთ სუნს არ მოაქონდა ბულა კამეჩის მომხმობარი ძახილი. ველზე ეშვებოდა ნაღვლიანი ბინდი, მათაა წვერებზე სანთლებივით სათითაოდ ჩაიფერფლნენ ცივი მზეები, კამეჩმა გორაკების გადასახედოდან გაპბლავლა შორეთს, ჩავიდა და ველზე მოდებულ სიბნელეს შეერია. წყლის ჩუჩუნ-შრიალი მდღემარებას

ქსოვდა. ცოტაოდნავ შეენიეთა რა მის შრიას, კამეჩმა იგრანო, რომ ეს წყალი აყროლებული დუბელა იყო. მერე უკვე ცხენი გაისაგნა ბინდში. ის თავაწეული იდგა, სანამ დაინახავდა, რომ ის, რაც უახლოვდებოდა, კამეჩია და სხვა არაფერი. ამის შემდეგაც ცხენი ისევ გაუნძრევლად იდგა, არ სძოვდა და ბნელში მოწყენილი გარინდებულოყო. კვლემშუა წყალი ჩაგუბებულოყო, ბრწყინავდა და ვერცთუ ბრწყინავდა ლამურების ცხიმიან ფრთათა ქვეშ. კამეჩი ან ისევ შემცდარიყო და ბოსტანში შესულიყო ან არადა იმ ადგილას ღობე იყო განგრეული, რადგან ფეხქვეშ რაღაც ექლიანი შტო გაუტყდა.

— რომელი ხარ მანდა?

კამეჩი გაჩერდა.

— ცხენი ხარ თუ რა სულიერი ხარ? კამეჩმა თავი დაღუნა, ღობის რდგეულში გასვლა მოინდომა. ერთმანეთს შეხლართული ხმელი წნული აჭრიალდა და ჩამოცივდა.

— ბოლოს და ბოლოს, ვინა ხარ, აღარ იტყვი?

ჭერ დამეავეებული საზამთროს სუნი მოედინა, მერე თოფი გავარდა.

...ერთხელ, შემოდგომის ერთ კრინჩხლიან ღამეს კამეჩი კომბოსტოიანში შევიდა. სიცივეში მაგრად ჩაბვეულ-ჩაფუთნული კომბოსტო ჰაი რა წენიანი იყო, რა თბილი, რა ტკბილი, მაგრამ ერთი ცენახოთ, კამეჩს წინ რაღაც ჩრდილი წამოუხტა და იმავ წამს მის წელზე სახრემაც გაიღო ტაკუნე. კაცი დიდხანს მისდევდა და უნდოდა კიდევაც ამოეკრა მისთვის მუცელში, თან არც უშვებდა, რომ ბოსტნის ღია კარებში გასულიყო სანამ კამეჩმა მკერდით არ გაანგრია ღობე და მომიჯნე ბოსტანში არ გადავარდა...

მზის ქვეშ მოულოდნელად გაცოცხლდა ბილიკი, რომელმაც ორიოდ მოკლე ზიგზავით ასჭრა აღმართი, პირდაპირ წყაროს მიება, დანგრეული გომების კარიკარ იარა და ბოლოს ტყეს შეეფარა. სადღაც წინ, თუ უკან — გომებში, ხან მართლა ბალღიეთ ღნაოდა, ხანაც ეშ-

მსავით ხარხარებდა ზარნაშო. ცოცხალ წიფელს უკან ნახევრად მტრინარო თეთრსამოსიანი ქალი დამდგარიყო და კამეჩს ელოდებოდა. სადღაც კვლავ ატირდა გზადაბნეული ბაღი. ცოცხალი წიფლის ძირას ფოსტორული შუქი გაკრთა და თეთრსამოსიანი ქალი მაშინვე დამშალ ფუტურო კუნძალ გადაიქცა. მერე კუნძი ისევ იქცა ქალად და მდუმარე მზერით გააცილა კამეჩი ციციანთელებიან მინდვიანამდე.

ფერდებზე ძუძუებმოკონწიალე, კანქმალი, მკერდგანიერი და მკერიკენჩხოიანი გამხდარი მგელი უჩუმრად გამოეყო ბუჩქს, ორი ნახტომით გადაფრინდა კაპანის პირას და იქ ქვას გაეკრა. მიწა წყნარად ირწეოდა უცნობი სულიერის სიარულზე. მერე სიარული შენედა, ნაბიჯს ექვი და სიფრთხილუ შეეტყო. ცოტაც და, ფეხისხმა სულაც შეწყდა. მგელმა თვალეზი დახუჭა და სუნთქვა შეიკრა, რა არის მთლიანად შენივთებოდა მკერდულ სიჩუმესა და მკერდულ სიბნელეს. ფეხმა ორიოდ ჩქამი გაიღო, ნაბიჯები გადაიდგა.

კამეჩმა გააბიჯა, მაგრამ კაპანი შეკრული იყო. კამეჩი გაჩერდა, სიბნელეს ჩააშტერდა: კაპანი ისევ ის კაპანი იყო. ჩააშტერდა ბილიკი კუზიანდებოდა კაპანთან. კამეჩმა კიდევ გააბიჯა. კუზი სუნთქავდა. კამეჩი კვლავ შეჩერდა, შეიცადა. კუზი სუნთქავდა, კაპანი მგლის მუხზე სუნში იხრჩობოდა. კამეჩმა ზრზენით ამოიფშვინა, ჩლიქებისა და ქვების მტკრევით ავარდა კაპანის მიმდებარე სიბზე და შუბლწაზიდული გაიბორჯა ვიწროში.

მგლის მთლიანობიდან მისი თვალ ბუნდად გამოჰყოფდა მხოლოდ დრუნჩს და ჭერჭერობით მგლის მეტმა არავინ იცოდა, რომ ბრტყელ სიბზე დადებულ იო ქვა ქვა არ იყო. კამეჩმა თვალ მოავლო ქვას, მგელს, ისევ ქვას, სწრაფად მიხილ-მოხილა გარეშემო და მიიმეზურა მგლის ქეჩოზე დაუშვა. ეს იყო და, მგელიც ზანტად აიჭაგრა, ზანტადვე წამოყუნტდა ოთხ თათზე და კბილებ-

დაღრქენილი აქანავდა, იმასაც თავი დასაქმე ჰქონდა საპატრონო.

კამეჩი მგლის გასათქვრად გაქანდა. მგელი ცოტა შეუფრინდა, ეგონა, კამეჩი ბოლოს მაინც დაფრთხებათ, მაგრამ კამეჩი დოსტორივ. მიიწევდა. მგელმა უკან ისკუპა და ისევ დაყუნტულმა, მაგრამ აზნევილ-დაძაბულმა ცოტა შეიცადა. კამეჩს არც გეზი შეუცვლია, არც მიზანი და მგელმაც კიდევ ერთხელ ისკუპა უკან. მიწაზე დრუნჩის სმით კამეჩი კვლავ მგლის გასათქვრად მიიწევდა, მის ფეხებქვეშ კენჭი თუ ხვინჭა მიწაში იფლობოდა და კუდამოძუებულმა მგელმა ცოტაზე დააგდო ბილიკი. კამეჩის კისერი ხორცსავსე იყო, ლაბაბი — ხორცსავსე, ცური — ხორცსავსე... კამეჩი შედგა და მგელს ბილიკის მთლიანად დაცლა მოსთხოვა. მგელმა ცოტაზე კიდევ დააგდო ბილიკი. კამეჩმა თავი გაიქნა-გამოიქნა, დაიქშინა. მისი ძლიერი სუნთქვა ცხვირ-პირში მიეხალა მგელს და ცოტათი კიდევ უკან მიაგდო იგი. კამეჩი გააცეცხლდა და მუქარით დაიბღუგლა. მგელმა, როგორც იყო, მთლიანად დაცალა გზა. მას ახლა ბუნაგში ოთხი მშვიერი ლეკვი ელოდა, რომლებიც მართო რძეს კი არა, კინალამ სისხლსაც სწოვდნენ დედას. მათ ვაშრობაც კი არ დააცალეს მომკვდარი ლეკვის ძუძუს და წაიკიდნენ. ხვადმა ლეკვმა იმძავრა და ახლა ორ ძუძუსა სწოვს. მათი შამა ცხვრის მოსატანად წაეიდა, დაბრუნდა კი ერთიანად დაფლეთილი, მწყუხარ-მკენესარი ცოტა ხანსაც დარჩა ბუნაგში და მერე სულ გაშორდათ, რათა სადმე მიფარებულ ალაგას მომკვდარიყო.

მიმავალი კამეჩის გავა მსუქნად მიიწევოდა ბილიკზე, ლაქებშუა ერთი პირის ჩავლება ცური ჩამოჰკიდავდა. ოჰ, ერთი ნახევარი ცურისთვის მაინც რომ პირი ატაინა, ერთი ბეწოსთვის მაინც, ერთხელ მაინც!.. რბილი, ტკბილი ცური ცოტა მაინც რომ მოაგლეჯინა! — მგლის თვალში მთელი ქვეყნიერება დაიშალა, გადნა და განიმქრა.

მთელი საუკუნე იყო თუ ერთი წამი, ქვეყნიერება ასე ამოფრეული დარ-

ჩა, მერე ნელ-ნელა აივსო სინათლითა და ჩამი-ჩუმით. ბუნაგში ოთხი ლეკვი უყრია, ის თავდიდა ხვადი ორ ძუძუსა სწოვს, კამეჩმა კი წიხლი ჰქრა, მაშ, ეს საქმეა? ცხოვრება რატომ უნდა იყოს ტკბილიცა და იმავე დროს ნალველივით მწარეც! ძარღვებიდან და ძვლის ტვინიდან რძე მიიწურებოდა მის სარძევე სადინრებში და ნალვის მხურვალემა უფატრავდა მუცელს. არა, კამეჩს ზურგზე უნდა მოხტომოდა, ეშვეებით ჩაჰფრენოდა და ყელი გამოედანდა! დაიცა, ჯერ დაიზარდნენ მშველლები!.. ჯერ შესრულდეს ხვადს ერთი წელი!.. დამართო, თუ ამ დღეხიერი არსებობისათვის შეგიქმნივართ, რა ექნათ, ეგ შენი საქმეა, მაგრამ იმდენი მაინც წაგვეხმარე, ჩვენს რძეში ნალველამ არ იწანწკაროს, თორემ ლეკვები ანჩხლები და უსუსურები დაიზარდებიან.

— ბასარ, რა არის, რა მოგეჩვენა? — უთხრა მენახირემ თავის ძალს.

ტყეხშირის ლეწვათა და ლაწი-ლუწით კამეჩი მინდორზე გამოვიდა და შვეებით ამოიზმუვლა. ძროხებმა თავები ასწიეს და ვერ იცნეს. დეკეულისგან ცეცხლომოდებული ბულაც შემობრუნდა, იგი თავის გახელებულ მეტოქედ მიიჩნია და სამტროდ დაეღირა. კამეჩმა კი ძროხებში ბულა კამეჩს დაუწყო ძებნა.


— ეგ ვისი კამეჩა ხარ, საიდან მოსულხარ?

— ბულა გინდა? რომ არა გეყავს?

— უთხრა მენახირემ.

— შენა... წმაკუტელების კამეჩი არა ხარ? მანიშაყა ბებიას კამეჩი. გოგო, ამ მთებსა და ხევ-ხუვებში, ამ მგლებსა და ჭურღებში როგორ გამოაღწიე აქამდის? მაშ, ბებია ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა! საწყალი იმისი ბიჭი კი ომში დაიღუპა. მე უნდა მიმეტანა ამბავი, შავ ზღვაში თევზების კერძი გაბდა-მეთქი, მაგრამ ის არა სჯობდა, რომ თუ რამეს ვეტყოდი, ისევ სასიკეთო მეთქვა?

ბულა ზანტად მოიძვროდა კამეჩისა-



კენ და გზა-გზა ქიანქველის ბუდეებს მოსთელავდა. კამეჩი ძროხებში კამეჩს ეძებდა და როდის-როდის მიხვდა, ბუ-
ლა სხვასთან კი არა, მასთან საჩხუბრ-
ად მიდიოდა. კამეჩმაც თავი დალუნა
და იმისკენ დაიძრა. ცოტა ხანს ნაბი-
ჯის ცალ-ცალი ცვლით იარა, მერე
რაც კი იმბარობაზე ჰაერი მოიძეოდა,
მთელ იმ გახურებულ ჰაერს ყლაპი
უყო და დიდი ნახტომებით გაქანდა,
მაგრამ წინ არავისი შუბლი არ დახვე-
დრია. ბუღას გავა გაებრუნებინა და
მენახირე ძროხებისაკენ ავდებდა.

— ეგ ხო გოგოა, შე ოხერო! აბა,
გოგოსთან ჩხუბი შეიძლება? გოგოს
ვინ ეჩხუბება?

— გოგო, მაშ ეგეთი მოჩხუბარი
გოგო, შენ რო ყოფილხარ, კიდევ იქ-
ნება ვინმე?! ეგეთი ლამაზი, ეგეთი
მსუქანი, ეგეთი მაგარი! ათი წელია
კამეჩის მაწონი არ მიჭამია, აი! ეს ვინ
გავიკაწრა ცური, ძაღლმა თუ მგელმა?
დაიცა, დაიცა... რა ღრმად ჩაუვლია
იმ უპატრონოს, იმასა!..

კამეჩი მენახირეს გაეცა, ისევ ნა-
ხირისაკენ მიბრუნდა, ხომ უნდა ყო-
ფილიყო იქ ერთი ბუღა კამეჩი!
ძროხებშუა იარა და იტრიალა ნა-
ხირში, თითო-თითოდ დასუნა ყველა,
დიდხანს ეძება ბუღა კამეჩი, მაგრამ
ტყუილად. ყველა ისინი ძროხები იყ-
ვნენ, ჭამდნენ და რძეს იყენებდნენ,
ნახირს რძის სუნი ასდიოდა. ისინი
მშვიდნი და კმაყოფილნი იყვნენ, რად-
გან ბალახი გემრიელი იყო, წყალიც
ახლო ჰქონდათ და ბუღაც იქვე ჰყავ-
დათ.

ნახირის ერთ სახურავად შეკრულ
ზურგების ზემოთ, სხვათა იმ ნათელ
ბედნიერებაში, კამეჩმა მწუხარედ გაპ-
ზმუვლა ტყე-ველს და ეს იყო მხოლოდ
ნატვრა სიკვდილისა და თავის აღმოფ-
ხვრისა.

მზე-ღმერთის ქვეშ თბილი ტბები-
საკენ ოდესმე რწვევით მიმავალან კა-
მეჩების ჯოგები. თხელკისერა და თავ-
ბერა ზაქებს, იმ ხვედა თავებზე ცო-
მივით რბილი რქები ახლად რომ ჰქო-

ნიათ ამოწვერილი, ბალღური ყველით
უვლიათ დედებშუა, ფურკანქვეშ მწკმ
ქვეშ ავსილან ნაღვლიან დედობიერ
გრძობით, ბუღა კამეჩები შემდგარან,
მიბრუნებულან და უკან მღვრიე ვნე-
ბით გადაუძახნიათ, ჩვენი ტომიდან
მანდ რომელიმე ხომ არ ჩამოგვრჩა
სადმე ტყის პირას წამოვდებულიო?
უვლიათ ზოზინითა და რწვევით გადა-
ტრუსულ ველებზე, უვლიათ და საით,
საით გადაიკარგნენ ბოლოს?

— ხლა სად გაგზავნო მე შენა, რომ
შენთვის კარგი იყოს? მოდი, იცი, სად
გაგზავნი?

მენახირემ ცემა დაუწყო. ის კეჩუ-
ტისაკენ იწვედა, ხოლო კეჩუტი უკვე
ქარხანა იყო, ხის მერქანი ორთქლში
კარგად გამოჰყავდა, ღუნავდა, ხრახ-
ნებს უჭერდა და სკამებს სპარსეთში
გზავნიდა. კამეჩმა უკან მიიხედა, მენა-
ხირე ხელით ანიშნებდა: წადი, წადი,
წადიო... მენახირე დაიხარა, ვითომ ქვას
ეძებდა; კამეჩმა თავი გაიჭნია და წა-
ვიდა.

ტყის ნაპირში, რცხილნარიდან მწვანე
სამლოცველოს ბნელი კარი იყურებო-
და. სამლოცველოსთან ქვა გაინძრა და
მერე ისევ უძრავად დარჩა. ისევ გაინ-
ძრა და ეს უკვე ადამიანის ზურგი იყო.
დედაბერი, რომელსაც ქვაჯვარზე სან-
თელი მიეკრა, აენტო და სიოსაგან
უფარებდა, რომ არ ჩაჰქრობოდა, მო-
ბრუნდა და პირჯვარი ისახა. მერე ლო-
ცვა-პუტუნს მოჰყვა და ლოცვის დამ-
თავრებამდე ვერ ირწმუნა, რომ მისკენ
მზირალი — სიკვდილი კი არა, მხოლო-
დ და მხოლოდ კამეჩი იყო. სი-
ზმარი რომ არ იყო, ეგეც კარ-
გი იყო. სიზმარში კამეჩი მძი-
მე ავადმყოფობა და სიკვდილია. კამე-
ჩისაგან მზერამოუშორებლად დედა-
ბერმა ხელის ცეცებით იპოვა ყავარ-
ჯენი და — იესო ქრისტე, შენ დამი-
ფარეო! — ჩამოვიდა და გამოვიდა
გზაზე.

მათ კარგად დაათვალიერეს ერთმა-
ნეთი, კამეჩი გზას დაადგა და დედა-
ბერს იმავე წამს გულმა რეჩხი უყო. ეს

ხომ მისი დის მანიშაკის კამეჩია! ეს მერამდენე ზამთარია, თავის შვილს, სტეფანესა სთხოვს, ერთ შემოდგომას წამიყვანე ჩემ დასთან, მანიშაკთან, გაზაფხულამდე მასთან დაერჩებიო, იქიდან კი დის შვილიშვილი ბებია-ბაბუდას ერმაიძინში წაიყვანდა წინამძღვართან, რათა მისი ხელი ამბორ-ყვით და მადლი მოესხენებინათ: შენი ნაბობძები სიცოცხლით ემაყოფილნი ვართო.

— ეგ სად მიხვალ? ჩემმა დამ გაგყიდა თუ სად მიხვალ? ჭერ გოგო ვიყავი, რომ ამ მთებზე დაფა-ზურნით წამომიყვანე და სამი დღე-ღამე მატარეს. ოპ, ჩემი დაია როგორ ტირიდა ჩემთვის! ჩემი ძმა კი წარბშეყრილი იჯდა ცხენზე. ოპ, ჩემი კარგი ძმა!.. ჩემი ცამეტი წლის ოქროს დაია!.. ჩემი ნალვლიანი მამა!..

მაგრამ დედაბერი კამეჩს უკანა რჩებოდა. — ჰეი, ბიჭო! — საიდანმე დასაზმარებლად გამოვარდნილ ვინმე ბიჭს დაუცადა დედაბერმა, მაგრამ მისსავე გარდა არავინაც არ იყო იმ გადათეთრებულ ნაწვერლებში, სადაც აყვავებული ყორანგალი დაკერებულად მიმოაბნევედა ნათელს. დედაბერს თვალები ასტკივდა და კამეჩიც გადნა და დაიკარგა მზეში. დედაბერი სოფელში გაეშურა ვინმე ისეთის მოსაძებნად, ტელეფონზე ლაპარაკი რომ ეხერხებოდა, რათა მისთვის დაერეკინებინა კეჩუტში, რომ იქიდან დაერეკათ ერევანში, იქიდან გუგარქში, იქიდან კიდეც წმაკუტში, წმაკუტის მწიანე მთებში, მანიშაკთან, მის დასთან, რომაო: შენმა სათიჯა კამეჩმა ძორაგიულში ჩამოიარა, აქ შენმა დამა ნახა, ვერ დააყენა და — „გაპყიდე თუ გაგქეცა თუ სად მიდიოდაო?“

ბილიკის პირას ერთი ბიჭი და სამი გოგო ჩამომსადარიყვნენ, მათ უდიდებანდოდ გამოჰხედდეს კამეჩს. მერე, ნახირგაშლილი ველის მაგივრად მზეში გაკრთა ჰვირვალი, ჰაეროვანი ტბა. ქვიშაზე წამოწოლილ ბიჭებსა და გოგოებს თავიანთ ორკვირიან საუბრებში. დაესვენათ: თუ

მე ვწერ, ვხატავ, დავრბივარ, მიყვარს, ვხატავარ, ვიცივამ, მაშასადამე, მე ვსტუდილობ ჩემს თვითდამკვიდრებას... ჩემი მამა სადამე, ვფიქრობ, რომ არასრულფასოვანი ვარ; ხოლო, თუ მე არ ვწერ, არ ვხატავ, არ დავრბივარ, არ მიყვარს, არ ვხატავარ, არ ვიცივამ, არამედ ასე, ჩემთვის წამოგორებული ვარ ამ ტბის პირას, მაშასადამე, მე არ ვსაჭიროებ თვითდამკვიდრებას და, მაშასადამე, არ მსურს ვავამრავლო, განვაგრძო ანუ ვაწრთო ჩემი ჭიში; აქედან დასკვნა, რომ, მაშასადამე, საყუთარ თავზე შეყვარებული არა ვარ და, მაშასადამე, დაე, ამოწყდეს ჩემი ჭიში, რომელსაც მე არ ვთვლი არსთა შორის საუკეთესოდ და არსებობის ღირსად... — ასე დაესვენათ მათ და მიმოყრილიყვნენ სილაზე. შიშვლებმა, გახუხულებმა, ემაყოფილებმა და მიჭჭრალებმა სილასა და საყუთარ ხელებს თავები ააცილეს, ცოტაოდნავ შეწამოანწიეს და ხელოვნების ფილოსოფიისა და ვაგნერის მუსიკის მიჯნაზე თვალი მოჰკრეს კამეჩს. მერე, სანამ გაიცნობიერებდნენ თუ რა დაინახეს მზის ქვეშ, თვითმფრინავის ჩრდილით ეშმაკი, კამეჩი უკვე იქ აღარ იყო, ხოლო თეთრი შენობის ქიშხე ეულად ბზინავდა რეპროდუქტორი და ჭერჭერობით სადილის ეამს არ იღწეებოდა. კაცი ვერ გაიგებდა, ვინ იყვნენ ისინი ან საიდან მოსულები, საიდან მოდიოდა ამ ტბაში წყალი, საიდან იყო მოზიდული ეს სილა, რისგან წარმოიქმნებოდა და საიდან შედიოდა სამხარეულოს ლუმელში ელექტროდენი ან რით იყვებებოდა ამათი ტენები, რომელთაც ძალუძდათ ნატიფ ქვეშეცნებათა ასე შეტყუაპანა-დაგუნდავება. ისინი მოწყალებეთანხმებოდნენ ესქილეს, კი ბატონო, ესქილემ იცის, რაც არის ტრაგედიაო. მაგრამ იქვე თვალს უჩხლაცუნებდნენ ერთმანეთს და სილაზე გადაზღვართულები თავ-თავიანთის ასცენდნენ, ყველაზე ტრაგიკული მეოცე საუკუნეა, მეოცე საუკუნეში კი — ჩვენაო, ვინაიდან ტრაგედია გაიცნობიერება და არა მასში ცხოვრებაო. მათი აღქმით ეს ტბა



ქვეშაირიტად თავის შესაფერად გილას იყო ჩამდგარი, ეს სილაც მოხერხებულად იყო გაშლილი, შორეულ ველებზე მანქანები პურსა და ხიხილას აზნაღებდნენ, ეჭიმი ქალების ათასეულეები ბეშეებს ფუნთუშა მკლავებს უტყობდნენ, დეჰანები გახამებულ ცხვირსახოცებს კონტიუმის გარეთა გულჯიბეში იჩრიდნენ, გაზგამყვანებს ტრამალებსა და ხეობებში გაზი გაჰყავდათ და ეს ყველაფერი იმისთვის ხდებოდა, რომ მათ პირველშეაქმის აბურდულა ამბებიდან წარმოეჩინათ დროისა და დედამიწის ბურთის დანიშნულება მზის სისტემაში. ამასობაში კი მუცელ-ხერხემალი ასე უხმებოდათ დროის ნელთბილ მდინარებაში.

უცებ კამეჩს ნესტოებქვეშ ჰაერი გაუქრა, თითქოს ჰაერი მთის კალთაზე მოცურდა და ქვევით დასრიალდა. კამეჩი შედგა. ყვავილები, ფუტყრები, ფოთლები და ბალახის ღეროები აქ თითქოს ახალ ჰაერს ქმნიდნენ, გარემოში ერთმანეთს ეზავებოდა ველთქონდარასა და კატაპიტნის სურნელი. კამეჩმა გააბიჯა.

მაგრამ უცებ გაბმული, ნელი ხმაურით, მერე კი ტაკ-ტუკით, დაგა-დუკით, რახა-რუხით, სიმხურვალით, ორთქლით, ქშენით, კარბიდის ღრძოლვით, გადი-გამოდით. ზრიალით, ცეცხლის ალითა და როგორიღაცგვარი უსულსხეულო სიძლიერით კამეჩს გზა მოუჭრა რალაც შეუცნობელმა, რომელიც გუშინ გუშინწინ არსად ენახა. იმ რალაცამ ხეთა ფოთლებიდან, ფულუროებიდან თუ ყვავილთა ბუტკოებიდან, რაც კი არსებობდა იმ არეშარეზე — ლურჯი ტყიანი მთებიდან ვიდრე კლდოვან მთებამდე, თითქმის ყველა სუნი და სურნელი ერთიანად მოხაბა, შეიწოვა, გააცხელა, გააღუა და კარბიდის მწლაკე ალად მიასუნთქა კამეჩს. იმავე რალაცამ რკინა რკინას მიაჰქედა, ასფალტზე ცხელი ასფალტი დაფინა, თიხა დაადნო, თუჯად აქცია, მიჰყვა წმინდით და ისევ შეიარუტა ყოველი კეთილი სურნელი ტყიანი მთებიდან ვიდრე კლდოვან მთებამდე, ანუ გარეგურველოე ერთი დღის

სავალზე და ზემოკერძო კიდევ არჩევს საბოიანომდე. ყველაფერი მზისა ნესტოს ნის ქვეშ მოყოლილიყო. თველი მწვანე ხეობა, ოლედ გამდგარი მუხა, მცირე ლურწმოვანი, ოთხი ყაყაჩო, ასკილის ბუჩქი, გარეული ფუტყრის ბუტუსიანი ოჯახი, თეთრი ქერის ყანა, ბულა კამეჩი, ნახირის წითლანა ქოფავი, ხბორ-ზაქი თუ კამეჩის ნაჩლიქარი — ყველაფერი, ყველაფერი ბეტონს დაეფარა. მაგრამ რაკი ბულა კამეჩი გამჭრალიყო და მიწას ამოჰფარებოდა, ხომ შეიძლებოდა ავი ამბავი მომხდარიყო? ძველებს ხომ უთქვამთ, თუ მიწია ქვეშ წითელმა ძროხამ დაიბღავლა, მიწისძვრა იქნებო.

უფსკრულისპირა შევირღზე გამომდგარ კამეჩს ეჭვი და შიში აწვალებდა. სიმთვრალეში ფანჯრებქვეშ სიმღერის გამო მხატვარ რუბენ კონსტანინისათვის მილიციას ხუტუტა თმა გადაეხოზლა და იგი ოთხი დღით გადაეცა ასფალტის დამამზადებელ-დამგები დაწესებულებისათვის. მისთვის ერთი სატყევე მიეცათ, ის ჯერ ნიჩბით შლიდა გუდრონს, მერე კი ზედ სატყევეს აგორავებდა და ამრიგად ცხელ გუდრონს ძველ ასფალტზე წნეხავდა. წებოვან ოზმივარშუა მან თვალი მოჰკრა კლდეზე გადმომდგარ კამეჩს, უცნაურად შეხტა, და ამტყრო, დალენა ნიჩაბი და შავ გუდრონზე პირქვე წადლავდა. — უსინდისოებო! — გუდრონის ფხოვნით ბლაოდა იგი, — ფლიდებო! მოძალადებო!.. რატომ უნდა იყოს თავისუფალი მთის კამეჩი, ფრინველი, ქარი, ბუჩქი და რატომ არა ვარ თავისუფალი მე! მწნეხავებო, კუბებო, კვადრატებო, მმტყრეველ-მკვეთელ-მკრეპელო რობოტებო, თერძებო!..

და როცა თავი ძაწია, სიბაბნდობასა, გუდრონსა, გულწრფელობასა და ოზმივარშუა მან კვლავ გახედა კლდეშევირღს და მოეჩვენა, რომ კამეჩი ქალაქის თავზე, პირდაპირ ლურჯი პორიზონტისაკენ მილივილებდა.

ძველი მეკამეჩე ტოგრანა პაპა მეექვსე სართულის აივანზე გამოქდარაიყო, თავი ჩამოგდებული კრილოსანს მარცვლავ.

და, დამარცხებული იქავე ავიწყდებოდა და სიკვდილის შემპარავად ტკბილი ძახილით, ღვთის სახელის ხსენებითა და ქალაქური სიციხით გაბანგული ხამუშ-ხამუშ ბუტბუტებდა: — კამეჩია თუ მეჩვენება?.. დაივიწყრო, კამეჩია?.. ეჰ, ყველაფერს თავისი ბოლო აქვს... მერე ლუკონმა ცხენი მოაჭენა, რომაო... ის კამეჩია თუ მეჩვენება... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!.. ღმერთო, კეთილად ამიხდინე!..

კამეჩი მოშორდა უფსკრულის თავს და ქალაქის შემოსავლელად წავიდა. მზე ჩაიწურა, ჩაქრა, ქვაში ჩამწყვედულ ქალაქს კი ბოლო არ უჩანდა. კამეჩმა ნაღველიანად გააშხმველა ჭერმისფერ მზეს. შენს შეილს მარტომარტო რატომ მტოვებ ამ მტრულ ქვეყანაშიო და ახლა სხვა კლდის თავზე გადადგა ეულად. ხეობაში ღამე გუბდებოდა, შენივთებული მქონე ხმაური ნელ-ნელა იფხრიწებოდა, ინჭრეოდა და ძაფ-და-ძაფ ცვდებოდა, მერე ხეობაში აინთო მირიადი კრაქი და ქალაქს თავზე სინათლის ერთიანი ჭერი გადაეხურა. ისეთი შეგრძნება დაეფულა, თითქოსდა ქალაქის თავზე გადავლით შეეძლო პირდაპირ შორეული მთებისაკენ წასულიყო. უფსკრული იტყუებდა კამეჩს. ის უახლოვდებოდა უფსკრულის პირს და ხელადვე უკან იწევდა. მიდიოდა უფსკრულის გასწვრივ, რომ როგორმე ეპოვნა ქალაქის ბოლო, წადგებოდა კიდევ უფსკრულის პირას და კვლავ უკან იხევდა. უკვებ რაღაც ნაცნობი, რაღაც მახლობელი მიეგლუსუნა, მიეფერა და მთლიანად მოიკცა მისი არსება; ეს ან მოწყველის მონატრება იყო ან ბასარა ძაღლმა დატოვა მზეზე გაშლილი ხორბალი და შემოეგება, ან არადა შორეული ნისლებიდან ყრუდ და მხურვალედ გამოპბლოდა ბუღა კამეჩი. შინამდის მისასვლელი გზები მახსოვრობაში აებურდა. ბეზიას თავშლის სუნი ნესტოებიდან სულაც დაეკარგა, ბუღა კამეჩი გამოსაძახოდა და თვითონ კი არ ჩანდა, სულ ტყუილი იყო ყველაფერი. — კამეჩს ტირილი მოაწვა.

ქალაქს ძილქუში დასწროლოდა, გათენებისას აცივდა. კამეჩი უკვე ქალაქის განაპირას იყო. ერთი მალე უკვე და, მაგრამ თვითონ არ ჩანდა, მერე მამალმა დაიცივლა. კამეჩს ძილი ერეოდა, თავისივე ფეხისხმა თითქოს საღლაც შორიდან ესმოდა. ცხვრის ნესტიანი მატყლის სუნი ეცა, მაგრამ ესეც ტყუილს უნდა ყოფილიყო, რადგან მთები აქედან შორს იყო. ცხვრის ბლავილი მოეყურა და მერე ბეზიამაც უთხრა, ყოჩაღ. დღეს ბევრი რძე მოგიტანიაო. კამეჩმა წაიფორხილა, ცოტათი გამოფხიზლდა და გაჩერდა, მიწა თახთახებდა ცხვრის არეულ ბაკიბუტზე. კამეჩს ახლა მწყემსის სტვენა მოესმა და ეს უკვე ტყუილს აღარ ჰგავდა. მერე ცხვარმა, ისევ იმავე ცხვარმა, სამჯერ დაიბლაღლა „მეე“. მალევე ამის შემდეგ აღმართის თავში ამოჩნდა ვაცობტი, ცოტა ხანს შედგა. მერე დაიფრუტუნა და დაეშვა კამეჩისა და ქალაქისაკენ. ვაცის უკან ფარა გადმოდგა აღმართის თავზე, ცოტა იყოვნა და მერე ისიც მოწყვეტით დაეშვა ქალაქისაკენ.

— ჰა, ჰა, ჰა! — სიცილი ატეხეს მწყემსებმა, — ნახეთ, როგორ განვითარებულა ქალაქი, კამეჩიც კი ჰყოლია! ესენი უკვე ახლობლები იყვნენ — ფარაცა და ის ერთადერთი ქოფაიცი, მათთან ერთად კამეჩს ქალაქისა უკვე აღარ ეშინოდა, მაგრამ მან მწყემსებს დიდი საფიქრალი გაუჩინა. საქმე ის იყო, რომ მწყემსებს იმავე წამსვე თითქოს ვიღაცამ ჩასტურჩულა, ეგ კამეჩი უპატრონოაო. თუ მართლა ეგრე იყო, კილო სამ მანეთად გადაეპარავლოთ სამას კილოზე — ეგ ცხრაასი მანეთი. აქედან ასი მანეთი შემეკითხველებს, თუ ვინმე შეეკითხათ, ეგ რა ხორცსა ჰყიდიო. მაშასადამე, დარჩება რვაასი მანეთი და გაიყოფა ორზე. ამ საჯეს ქვეყანაზე უბრალო რამის მოპარვა სირცხვილია და უბრალო საქმეზე ვაციმპირება — მითუმეტეს, მაგრამ მოუპარობაც არ შეიძლება, რადგან მერე წამდაუწყებ თავი უნდა გახსენოს, რომ მოპარვა შეგეძლო და არკი მოიპარე. ერთი სიტ-

ყვით, სულ სინანულში უნდა იყო. არა-
და, არიან ამქვეყნად ერთი ჭურბა ბრიყ-
ვები, მოგადგება ვინმე ამათგანი და: —
ეგ რა ხორცილია? ეუბნები: — კამეჩია
ხორცილია! კიდევ გეკითხება, ეგ რა
ხორცილია და, ხელებში კი არ გიყურებს,
თვალეში გიყურება. ფანჯრებჩაბნელე-
ბული ქალაქი იდუმალ აყურადებდა მათს
ეკვიან ტანჯვასა და ფარის ბაკიბუქს.
არა, ძმავ, ჯობია ისევ საკუთარი თავისა
შეგრცხვეს, სანამ სხვისი არ შეგრცხვეს
და პასუხისგებაში კი თავი ისე დაიჭი-
რო, ვითომ ძალიან გრცხვენია. მეორე
სართულის ფანჯრიდან თამბაქოს ნამწვი
ასრულეს და მწყემსებს შეეკითხნენ:

— ეგ ცხვარია?
— ცხვარია. დილა მშვიდობისა!
— ეგეც კიდევ კამეჩია, — თქვეა
მეორე სართულის ფანჯარაში.

ქუჩის ლამპიონები უკვე ის-ის იყო
ყვითლდებოდნენ. დაღლილ ფარას
მთლიანად აეცსო შენობებს შუა გამავა-
ლი ქუჩა. როგორც საღმე ებში, იმგვა-
რივე ექოთი დაიკვირა იმავე გაციებუ-
ლმა ცხვარმა. რალაც დაუჯერებელი ჩან-
და, რომ ამ უსიკოცლო ქვეყანაში
მართლა იყო საღმე ფარები, ცეცხლის
სანთები ადგილი და თვლემაში მოდარა-
ჯე ძაღლები. არა, არც სამოვრებით უნდა
დამთავრებულიყო ეს გზა! კამეჩმა მლა-
შე სისხლის გემო იალოოვა და გაყინულ
თავებზე გაყინული თვალეები დაინახა.
ეს იყო და, ძარღვები ერთბაშად, ერთი-
მეორის მიყოლებით დაუდამბლავდა,
თუმცა ტყვილით არა სტკიოდა-რა:
თითქოს რალაცნაირად ნელთბილ წყალ-
ში იძირებოდა და შეიძლებოდა დამხრ-
ჩვალიყო კიდევ, მაგრამ დახრჩობას
რატომღაც არ უძალიანდებოდა. იმავე
ეაშა, ცხადი იყო, სიზმარი თუ შიშნე-
ული მოლანდება, ფრინველისა თუ სიკ-
ვდილის რალაც ფრთამ გადაუფართქუნა
ფარას და კამეჩი დაყრუვდა.

ფარა ჭიშკართან შემდგარიყო და
შემჩნუნებულს ბალჯი ეშლებოდა. ფა-
რის ქოფაკი საკოდანჯად წმუოდა და
უკან-უკან იწედა, მერე კამეჩს აეკრა
ფეხზე. ცდილობდა საკუთარი ხმა ჩაე-

ყლაბა და მართლაც ჩაყურდა მალე. ვი-
ლაც თუ რალაც, შეუტნობდენი და მტრ-
ლავი ძარღვებს უბოშებდა ფარას, თბილ-
ნეტარყურობაში აღნობდა მის შიშს, მის
ნებას და ფარას ერთობლივი რბილი
თვლელა ეუფლებოდა. მერე ჭიშკარმა
გაიწ-გამოიწია, უკან დაიწია, შევიდნენ
შიგნით და კამეჩმა დაინახა ერთი წყვი-
ლი უხამხამო თვალი, რომლებიც ფარის
წინ თითქოს უკან-უკან მიცურავდნენ.
მიიბუტებოდნენ და მერე ისევ მჭიდელ
ჩააშტერდებოდნენ — მწვანენი, მწვა-
ნენი და უქუთუთონი. ფარა მიწას მოწ-
ყვეტილივით მშვიდად და რბილად მიე-
დინებოდა ჭიშკარში. კამეჩს რალაც უხი-
ლავი აღერსად უვლიდა ძარღვებში,
თითქოს უგურგურებდა და თან ძალით
უბიძგებდა ჭიშკარშიგნით. მერე ვილა-
ცამ დაუყვირა კამეჩა. ეს უკვე მწყემსი
იყო. მან კომბლის წვერი მიაჭირა ყურ-
ქვეშ, მიაწვა, კიკარი გაუღუნა, თავი
უკან მიაბრუნებინა, დაუყვირა, დაარტყა
კიდევ და მიძინებული ძარღვები გამო-
ულვიდა.

— წადი, წადი, შენი დროც მოვა. ეხ-
ლა წადი, პატრონი მოქებნე.

— წადი! — გაუმეორა და სდრუხა
კომბალი.

კამეჩს რალაცა ჯერ კიდევ უკან ეწეო-
და, უკანა ფეხები თითქოს აყალოში
ეფლობოდა, წამდაუწუმ ფორბილობდა.
მაგრამ მწყემსმა ძალიან მკვახედ უთავა-
ზა და წელი სასტიკად სტკიოდა; კუდის
გაქნევით უნდოდა ტყვილი წელიდან
მოეშორებინა, ტყვილი კი კვერნასავით
ჩაჟერნოდა, არ ეშვებოდა და იქიდან
სდევნიდა.

ქალაქის ერთმა ჩამოდლავებულმა
ძაღლმა ცოტაზე გააცილა იგი, თავის-
თავში კამეჩთან ახლობლობა თუ ნაც-
ნობობა ეძია, მაგრამ რაკი არეულ მეხ-
სიერებას თავი ვერ მოუყარა, ამ საძნე-
ლო საქმეს თავი ანება და ისევ სასაყ-
ლაოსკენ მიბრუნდა.

ამ დროს ახალგაზრდულ ტურისტულ
ბანაკში ერვანდ ხაჩატრიანი ცივი
წყლით პირს იბანდა და თავის თავზე
ფიქრობდა, რომ, ვაჟაკად თქმა არ უნ-

და, მაგარი ვაჟაკია — ტემპერამენტიანი, ვითარცა სომეხი, განათლებული, ვითარც ევროპელი, რომ რუსული ენა თითქმის უკვე ინგლისურით საერთაშორისო ენაა, ხოლო ის ორმოცივე პოლონელი ქალიშვილი ყურის ბიბლიომდეა მასზე შეყვარებული და მისი გულისთვის ერთმანეთსა ბრძღენიან, რადგან იგი შეგვერემანია, შევჯავარა და თავდაჭერილი.

— საუზმისათვის — თხუთმეტი წუთი! — ქალიშვილებიდან ერთსაც კი არ მიხედა, ისე ბრძანა მან. ოსტატო, მგონი თხუთმეტი წუთი გეყოფა, რომ მანქანა წესრიგში მოიყვანო! — ასევე ზედშეუხედავად მიუგდო მძღოლს.

სომხეთი განვითარებული ქალაქების, კარგი გზებისა და ძველთაძველ შენებულებათა ქვეყანაა. სომეხი ხალხი შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ხალხია, თურქებს რომ ჩვენი ნახევარი არ ამოეკლიტნათ, ჩვენს ხალხს შეეძლო სტუმართმოყვარული სუფრა მთელი ქვეყნისთვის ვაშალა. ჩვენ ველური და პირქუში კლდეები გვაქვს, მაგრამ არცერთ მათ სამალავში ავაზაკი არ არის, რომ ხელში ხმლით გამოვიდეს, შეაშინოს ან გააუპატიუროს ტურისტები. ერთი სიტყვით, ერთი მხრივ გოროზი კლდეები, მეორე მხრივ კი კეთილმოყვარე ხალხი — აი, რატომ იწოდება ეს პატარა სომხეთი კონტრასტების მხარედ.


მანქანა საყვირის ძლევითა და მუხრუჭების ხრჭიალით გაჩერდა. რალაც საოცარი ქმნილება შარაზე მძიმედ მიიწყო და და სულაც არ ფიქრობდა მანქანისთვის გზა დაეთმო. მძღოლი ჩავიდა, იგი ზვიდან გადაადგო, მერე ამოვიდა რომ საქვს მისჯღომოდა, მაგრამ ის ისევე შუაგზაზე გადმოსულიყო და კვლავ რწევით მიდიოდა. ერვანდ ხაიტრიანმა ფანჯრიდან თავი გაყო, რომ მენახირეს გასწყრომოდა, მაგრამ ნახირი არსად ჩანდა, კამეჩი მარტო იყო. მანქანა გაბმული საყვირით წავიდა, შეაფრთხინა კიდევ, მაგრამ იგი მაინც არ გადადიოდა გზიდან. მაშინ მანქანამ

კოტაოდნავ, მსუბუქად წაჰკრა მას უკნიდან და პოლონელმა ქალიშვილებმა თქვეს:

— ეს სომეხები ფიცხი და ტემპერამენტიანი ხალხია.

ერვანდი მანქანიდან ჩამოვიდა და გზიდან გადადენა იგი. ცური გააწრული ჰქონდა. მის ყურზე ხელჩავლებულმა დაუცადა მანქანის გავლას და მერე ტორეადორის სიღინჯით ავიდა მანქანაში. იქ, მანქანაში ცხელი მუხლების, მწვანე სათვალეების, უაზღუდო მკვრივი ძუძუების თრთოლების, საერთაშორისო თავაზიანობისა და სქესთა ფარული ურთიერთტოლოვის გარემოში, როდესაც უკვე მოხერხებულ საქდომზე მოხერხებულად მოათავსა თავისი სპორტსმენული უკანალი, მან წარმოსთქვა:

— ეგ, მგონი, იწოდება კამეჩად. კავასიის მთებში ჯერ კიდევ შემორჩა ორიოდე მესაქონლე ტომი. პოლონეთში სომეხთა პირველი დასახლებანი შექმნილა ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში. თქვენს ხალხს კარგად მიუღია ჩვენი პაპები, ისე რომ თემების საშინაო თვითმმართველობის უფლებაც კი მიუციათ. ცნობილია, რომ გრიუნვალდის ბრძოლაში სომეხების ერთი ბატალიონიც მონაწილეობდა. კინორეისორი ევი კავალეროვიჩი სომეხია. ყოველ სომეხს პოლონეთში შეუძლია გახდეს ევი კავალეროვიჩი, ვინაიდან ყოველი პოლონელი ქალი ნიჭიერი მსახიობია. ყურადღება! ვიწყებთ ასვლას ალანაევანქის მონასტრისაკენ, მონასტრის აშენება დაუწყიათ რვას ოცდახუთ წელს. ხუროთმოძღვარი უცნობია, მაგრამ შევთანხმდეთ და პირობითად ვუწოდოთ ტრდატი. საიდან გვახსოვს ჩვენ ეს სახელი? ტრ-და-ტი! გვახსოვს ა-ნი-სის ნან-გრე-ვეეე...ბი-დან!... — და როგორც იდგა დირიგორივით ოდნავწაბრილი, წახრილ კისერზე პალსტუხჩამოკონწიალებული და მწვანე სათვალისანი, — ისეთი აღიბეჭდა ქალიშვილების შთაბეჭდილებებში და მათს ფოტოაპარატებში.



მერე მისი გაშვებული ხელის მიმართულებით გუმბათისკენ გამყურე სათვალისანი თავები ერთბაშად შემობრუნდნენ კამეჩის ზმუილზე. კამეჩს ხუროთმოძღვრებასთან არაერთგვაროვანი არ ჰქონდა და მათ გაიღიმეს. ერვანდ ხაჩატრიანმა თავს ნება არ მისცა მათი ყურადღების ვარეშე დარჩენილიყო.

— ლირიკული გადახვევა! — გამოაცხადა მან და ისე მოხდა, რომ ახლა ყურადღების ცენტრში ერთდროულად აღმოჩნდნენ ისა და კამეჩი. იგი მივიდა კამეჩთან, სათვალის ქვეშ თვალები მაგრად, მაგრად დახუჭა. რქა დაუჭირა და ჭიბეში ცალხელჩაყოფილმა თავი ფოტოობიექტივებისაკენ მიაბრუნა.

— გადაიღეთ! სახსოვარი აფრიკიდან! კამეჩს ზურგზე კაკლის ტოლა კოპიტი ამობურცვოდა, ცურზე მგლისა თუ ძაღლის ნაკბილარი ეტყობოდა, სამ დღეს განაყოფიერების ნაზი სურვილით მთრთოლვარ-გატანჯულს შეიძლება სტკიოდა კიდევ ცური, რაკი ძუძუები გაჟვარჩხოდა. ის ყრუდ ზმუოდა და ერვანდ ხაჩატრიანმა სულელური ღრეკით ასწია ცხვირი. ისევე თვალდახუჭულმა ხელისგული ქედზე წამოუჭრია და თუ მოეფერასავით, კამეჩი გვერდზე მიაცუნა და ჰკითხა, უფრო სწორედ გონებაში, ჩურჩულითა ჰკითხა:

— ეს საით გაგიწევია?.. როგორა ხარ, სათიქჯან, როგორა ხარ, დაიყოჯან?.. მე რა ვქნა, რა გიყო?

მანქანა მოსახმობ საყვირის იძლეოდა. ერვანდ ხაჩატრიანი ტუჩების პრუწვით წამოვდგა ქვიდან და ორივე ხელბეჭიბეებში ჩაწყობილი მანქანისაკენ წავიდა. რუსული ინგლისურის ოდენად პატივსადები ენაა, ცხოვრებისაგან უნდა მივიღოთ ბევრი და მივცეთ ბევრი, ხოლო თუ შესაძლებელი იქნება, სულაც არაფერი მივცეთ. ძნელი ცხოვრება, რაღა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ უფრო კარგია, როცა შენგან შორს არის.

ბულა კამეჩის პონა ამასწინათაც გაუძვირდა. ბულა უკვე დაბრუნებისას, შინ

მიმავალმა იპოვა. ცოტახანი დაწყობასთან, მაგრამ არ განაყოფიერებულა, ორიოდე თვეში ისევე აღდგოდა სინახლი, თავისივე ძველი ნაკვალევით აღვილად იპოვა ეული მუხის მინდორი და ორი დღე დარჩა იქა. მაშინდელი ზაქი ზაფხულის ბოლოს დაებადა, სიცივეებში მოჰყვა, იკვნესა, იხვენეშა, ახველა და მოკვდა ბოლოს.

კამეჩი კარგახანს იდგა და მისჩერებოდა, სანამ ზღარბი ეკლებს დაუშვებდა. მან პატარა თავი გამოყო, მბრწყინავი თვალებით შეხედა კამეჩს და მერე სულ ხუსხუსითა და კუპირბრუნით გაიქცა ბილიკიდან. მერე მცხუნვარებაშეკიდებულ ჯაგებში დაიკიენა ორმა თხამ და ფეხქვეშ დაისისინა გველმა. ყანის პირას ძროხამ დაიბდავლა. ძროხა თოკით ება, თითქოს ცხენი ყოფილიყო. ძროხა დე თოკი? ყანაში, ერთმანეთის ახლო-ახლო, ორგან ირწოდნენ თავთავები, — მაშასადამე. ყანაში ბატკნები შესულიყვნენ, მეველე არ ჩანდა, ხოლო შორს, მთის კალთაზე თეთრად მოჩანდა მესაქონლეთა კარები. კამეჩმა ცოტა ზანს ყანის პირ-პირ იარა, მერე საიდანმე მისი მოთვალთვლე მეველისაგან მოულოდნელად, ყანაში ჭიქურ შევარდა და სირბილით წავიდა, თან ყური მზირად ეჭირა, აცა, ან ეხლა დამიყვირებს მეველე ან ეხლაო. თავთავები შხრილებდნენ, სასიამოვნოდ უხიციებდნენ ცურზე და კამეჩი ბულის მთრთოლვარ სიახლოვეს გრძნობდა. ეს თითქმის ნაღდი ბედნიერება იყო. მაგრამ ყანა მალე გათავდა და კამეჩი მიადგა მოასფალტებულ გზას. გზის გვერდულზე მზონიავი მანქანა იდგა. მანქანის გვერდით, ბალახში იქდა მელიოტი, მსუქანი და კეთილი ეღვარდ პაირაპეტრიანი, რომელიც თავის თანმხლებ ქალებს კეთილი სიტყვებით შეაქცევდა, ოლონდ მკვდარი იყო ის სიტყვები, რადგან მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო და მეტი არაფერი. მან მელიოტი თავი ხელსახოცით მოიწმინდა და კამეჩის შემხედვარი აღმრთოვანდა.

— ტოროო!.. ოხ, გენაცვალე, რა ლამაზი ხარ! — უთხრა მან კამეჩს და, რაღა

თქმა უნდა, ტყუილი უთხრა, რადგან კამეჩი სულაც არ იყო ლამაზი. მერე მან ქალებს მოუთხრო თუ როგორ ერკინებოდა ესპანელები ხარებს და მისი ეს მონათხრობიც იყო ლამაზი, მაგრამ ნაცურული და მკვდარი, რადგან ის, რამაც შარა გადასჭრა, ბულა ხარი კი არ იყო, არამედ კამეჩი, თანაც ფურკამეჩი, რომელიც გასანაყოფიერებლად მიდიოდა. მერე მან იმ ქალებს შეუქო მუხლების სიმრგვალ-სიგლუვე, თუმცა ის მუხლებიც უხედარად მდებარე იყვნენ მისთვის, სხვაფორე არ შეუქებდა ისე აუღელვებლად, თანაც ორივე ქალს ერთად. ამის მერე იმ ქალებს აუხსნა, რომ თუმცა პანთეიზმი სახელმწიფოებრივი მოწყონებით არ სარგებლობს, იგი მაინც თავდაჯერებული პანთეისტი და ბუნების თავყვანისცემა მიაჩნია პლანეტისათვის ტრაგიკული ბედის აცილების ერთადერთ საშუალებად. მაგრამ ესეც მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო, რადგან კამეჩი, ელვა თუ სათიბი მას უყვარდა იმზომ, რაზომაც იმ დღისით ნაჭამი მოტკბო ფაფა, თანაც უყვარდა მხოლოდ ავტომობილის შიგნიდან. მან ქალები გაათვითცნობიერა აგრეთვე იმაში, რომ ამ ბუღას რქები ექვევებოდა და საჭიდაოდ მიდიოდა მეორე ბუღასთან, რომელსაც ამგვარადვე ჰქაოდა რქები თავისი ჭილაგის გასამშვენიერებლად.

მემთეურთა ბინებამდის ძნელი პირშელმართი რომ აათავა, დღეც მიინავლა, მაგრამ მთის კალთაზე გაშლილ კარვები მემთეურთა ბინები არ აღმოჩნდა. გეოლოგებს ბურღები დაედგათ და მიწასა ბურღავდნენ. მათ დანადგარი გამოერთეს და კამეჩს უთხრეს:

— კეთილი იყოს შენი მოსვლა!

კამეჩი ისევე დაიძრა წასასვლელად, მაგრამ იგრძნო, რომ ფეხებიცა სტკიოდა და აღარც ის იცოდა, საღა წასულიყო. მან უკან მიიხედა, დაიზმუვლა, ორიოდ პირი ბალახი მოჭამა და თავშესაფარებლად გეოლოგებს მიადგა. კარვებშუა ქარი არ იყო, კამეჩი მიბრუნ-მიბრუნდა და კარვებშუა დაწვა, მერე ფეხები თავისივე სიმძიმის ქვეშოდან გამოიღო,

გამოშალა, თავი მიწაზე დადო და დაიძინა. ბურღები მკვეთრად კაკუნობდნენ, კამეჩი თითქოს ჰაერშია, ისე ირწყოდა, ბოლოს ღრმა ძილში ჩაიძინა.

სიზმარში იგი თავის იმწლებანდელ მწუხარე ზაქს თოთო რქებშუა თავს ულოკავდა. ზაქი უმწეოდ კენესოდა; მერე ბებიადა და მინასა მენახირემ მოტყუება მოუნდომეს. მისი ზაქის ბეწვიანი ტყავი მარილწყალში გაველოთ და ხბოსათვის გადაეფარებინათ. სიზმარში იგი ლოკავდა თავისი სნეული ზაქის დიდ თავს, ტიროდა და ის თბილი სევდა ძილივით სასიამოვნო იყო. მერე ზაქის ბეწვიანი ტყავი გადაცურდა და მის ქვეშ ათრთოლდა ძროხის ხბო ძროხის სუნით. მან დრუნჩით მოიშორა ხბო და დაიბღავლა.

კამეჩს გამოეღვიძა და მღვრიე თვლებით გამოიხედა, ბურღები მკვეთრი კაკუნით აირხვე-დაირხეოდნენ. კამეჩმა წამოდგომა იფიქრა, მაგრამ დაეზარა, ფეხები შეიკეცა, თავი მხარზე დაიდო და ჩათვლია. ცური ცოტათი აწვევოდა. ახლა ბებია მოვა და მოსწველის. დედაბერი სიმღერითა სწველიდა. მაგრამ ცურზე შვება არ უგრძენია. ისევე საესიდა ჰქონდა თითქოს. მან სარძევე ძარღვები მოადუნა, დედაბერი რბილი ჩხრიალით სწველიდა, მაგრამ ძუძუები მაინც სწკმეტდა და სტკიოდა.

შუალამისას გამოეღვიძა. წამოიგვერდა და გაიხსენა, სადაც იყო. ყური მიუვდო — ვარსკვლავთა შუქში გახვეულს მშვიდად ეძინა ხალხსა და მანქანებს, ლეთისმიერი ქვეყნის საღადაც დასალიერზე ყმუოდა ძალი და ბეჭტავდა მწყვესური ცეცხლი, გუშინდელი ადამიანები კარვებში თბილად და რბილად სუნთქავდნენ, ვარსკვლავების შორეულად ცივი და ჭანმრთელი ნათელი ეფინებოდა მიწამკარს. ის წამოდგა, გაიჭიმა, წელი კუდამდის მიძვიბ-მიძვიბა და გრილ ღამეში კარვების ახლო ძოვა დაიწყო. დილით, როცა ხალხი მოსაშარდად გამოვიდა, ისიც შეამჩნიეს. მან მიწას პირა მოსწყვიტა, თავი აიღო და მოკლედ დაიზმუვლა, რი-

თაც მშვიდობიანი თანაარსებობის თავისი უფლება გამოხატა. მათ გაიღიმეს და უბოროტოდ უთხრეს:

— შავი ჭირი შენა! კინალამ არ შეგვაშინე!

შიგნით შესულებს ხრინწიანი ხმით შეეკითხნენ:

— ეგ რა იყო?

— არაფერი, — მიუგეს ამათ, — გუშინდელი კამეჩი იყო, მოგვესალმა, დილა მშვიდობისაო!

— ალბათ პატრონს ეკებს.

— ტვინი ნუ წაიღეთ, დამაძინეთ კაცი! მერე მიჩუმდნენ. მერე ვიღაც ძალიან გაჩაფრდა, სხვებმა კი ერთობლივ გაიცინეს.

დილით მათ უთხრეს:

— ერთი სიტყვით, ვინდა, რომ მაწონი გვაჭამო? ეგ მართლა კარგად გიფიქრია!

მას აღარსაით წასასვლელი გზა აღარა ჰქონდა. ქვეყანა, რალა თქმა უნდა, დიდია და წამისწამობით უფრო დიდდება, ეს ბილიკებიც ხომ ბევრია და აკვიანურადაც გასულ-გამოსული, მაგრამ იმავე ქვეყანას რატომღაც გემო ეკარგებოდა, რადგან მისი ზედაპირიდან ქრებოდა სევდა-ნალღელი და რჩებოდა მხოლოდღა უხვი ბალახი. იგი მიხვდა, რომ საღდაც ახლო ნახირი იყო, მაგრამ ის ლტოლვა და მოუსვენრობა როგორღაც მიუყუჩდა თუ დაეკარგა. ბილიკს ქეჩის, ძაღლის, ყველის, შაბისა და რეზინის ჩეჭმების სუნე მოჰქონდა, მაგრამ მის არსებას აღარ ძალუძდა მთის გადაღმა კალთაზე კამეჩების ბინა წარმოედგინა და მათი სურვილით ეთრთონა. მან, უბრალოდ, ცოტა ხნის წინ იქ ნამყოფი ნახირის სუნი აართვა წყაროს და რაკი წყალი ეგემრიელა, კამეჩურადაც დალია, ისე რომ ძლიესდა ამოიხვნეშა. მან გზა არ დაუთმო წყვილი ვედროთი წყაროზე მიმავალ ქუროთის ქალს და ძაღლების ყეფასაც მშვიდად შეხვდა. შავი, ძლიერი და დიდი — იღვა და იცდიდა მყუფარი ძაღლებით გარშემორტყმული. მერე ქურთი მოვიდა. ძაღლებს დაუყვირა, კომბალი და-

აგლო, მიუხედავად, ყურის ძირზე გრძობნა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ქურთის დედაც მოვიდა, მსხვილ-ქმურებქვეშ ხელბდაყრფილმა გარშემოუარა, შეხედა ყველა მხრიდან, ჩაცუცქდა, გაუსინჯა ცური, დაუთვალა ძუძუები, ამა თუ ყველანი თავის ადგილზე აქვსო, — ერთი, ორი, სამი, ოთხი, — თქვა მან, მერე კამეჩს წინ დაუდგა და სიხარულით გაბრწყინდა.

— შკო! — კამეჩიდან თვალმოუშორებლად მიმართა მან შვილს, — დედაშენმა შენ ვაჟად და კაცად დაგბადა, რატომ დედაშენს ერთი კამეჩს არ უყიდი შკო? ქურთმა კამეჩს ყურში ჩაავლო და კარვისკენ წაიყვანა.

— მარილი გამოიტა! — უთხრა მან დედას. — ეგ არა, ის — დაფქული. ახლა თოკი მოიტა, — უბრძანა დედას.

— დედაშენს ერთი კამეჩი უყიდე, შკო, — დედაშენი ას წელიწადს იცოცხლებს, ბავშვებს მიგზიხედაც, ცხვარს მოგიწველის, შკო, კამეჩის მაწონს ჩაგიდელებს.

ქურთმა კამეჩს ქედი მოჰხანა, ფხანითვე გაჰყვა გაემდის, გარშემოუარა, ისევე ფერებ-ფერებით, წელ-გვერდზე ხელის სმით ამოუყვა, მივიდა, ახლა ყური მოჰხანა, მოულოდნელად დაუსვა დანა, გაუჭრა ყური და დააყარა ნაცარი. ქურთს ახლა უკვე ჰყავდა მარცხენაყურდასერილი ორმოცდაათი ცხვარი, ერთი კამეჩი, ოთხი ძროხა, სამი თბა, ერთი კვიციანი ფაშატი და ორი ძაღლი. კამეჩს რა ჰქვია და — ნარლოზი! ვინა თქვა, ვითომ ფაშატიც მოპარული იყოს, აგე, ბაშბორთი ზედ არა აქვს? მივიდნენ და უნახონ ბაშბორთი!

— მოწველე — უთხრა მან დედას, — ცური გატიქილი აქვს, მოწველე. ამა, მარილი ლოკე, — ახლა კამეჩს მიუბრუნდა ქურთი, — ყური არც იმდენად გტკივა, ლოკე!

ქურთის დედა გულზე ხელდაყრფილი იდგა და ტირიდა, მერე ღიმილით უთხრა შვილს:

— შკო, ახლა ეს რომ გაუშვა, წავი-

დეს და მგელმა შექამოს, ხომ აფსუსი იქნება, არა, შო?

ქურთი კამეჩს ყურისძირსა ფხანდა.

— შესკამს აბა არ შესკამს? სულელ მგელს მტერი რა მოეკითხება! კამეჩი თერთმეტი წლისაა — დაუმატა ქურთმა.

ქურთის გოგო წყვილი ვედროთი წყაროდან ამობრუნდა. ვერცხლის სამკაულების წყარი-წყურით ტაში შემოჰკრა და მერე თითებერთმანეთში გადახლართული კამეჩს წინ დაუდგა.

— რა კარგი კამეჩუნა მყავს! ყოყინა სადა ჰყავს?

ქურთის დედამ სპილენძის ქურქელი გამოირცხა, ცრემლებმა ამომდინარი ჩუმად მიუცუცქდა კამეჩს და ტირილ-სიმღერით მოწველა დაუწყაო. რბილად, რბილად სწველიდა: ფხ-ფხ, ფხ-ფხ! კამეჩმა თავი მიაბრუნა და დედაკაცი დასუნა, მას ცხვრის სუნი ასდიოდა, უფრო გან-გან გადგა ფეხები და სარძევე ძარღვები მოუშვა. ნიავე მთის კალთებზე გლესვით მიდი-მოდიოდა, ცხვრის მწვავე სუნი კი იქვე, ბინაზე რჩებოდა, მზე იყო და არა ცხელოდა, ბინის თავზე ჩუმი სულტმით სახვევებს იყრიდა თეთრი ღრუბელი, ღრუბლის ქვეშ საკუთარი სიმღერის თრთოლვას აყოლილი ილხენდა პატარა ტოროლა. გახედეთ მზეა, სიგრილეა, ღრუბელია, მე ვარ, აგერ, დედაბერი კიდევ კამეჩსა სწველის და რა კარგია, რა სიხარულია!

უცებ სარძევე ძარღვები გამაგრდა, შეიკრა და რძის ჩხრიალიც შეწყდა.

— ვუი, ეს რა არის?! — შეწირიალდა ქურთის დედა, — ეშმაკი ეცა, რა იყო! რბილ თვლებში გარინდებულმა კამეჩმა უცებ იგრძნო, რომ ის რინდი თუ გაოგნება როგორღაც ვადაუვარდა და გადასახედში მჩინარე პატარა ტაფობმაც თითქოს სული ჩაიდგა; გარემოზე ბინდი ეშვებოდა, ქვემო პატარა ტაფობი კი პირიქით სითბოთი და სინათლით ასინათდა. და უცებ ქვევით, იმ თბილ ტაფობზე, დანარჩენ კამეჩებს გამოეყო, გაშავდა და გაბუმბერაზდა ბულა კამეჩი, გამოვიდა, ასწია თავი და ყრუდ, მა-

გრამ მხურვალედ გამოიზნულა უფრო ხერხემლით, ვიდრე ფილტვებზე.

ფურკამეჩმა შეიცადა, თავს დასწია ნოტივე მოაწვა და ბუღას ძახილს გვიან, ძალიან გვიან გაეპასუხა. მერე დაყრუვდა, დაბრმავდა, გააციდა და გაქანდა მიწიდან რალაც ძალით მოწყვეტილი და თავაწყვეტილი. რალაცამ მკვეთრად მოუღრიაკა კისერი და მოსტეხა, კინაღამ მოსტეხა. ეს თოკისა და პალოს საქმე იყო. მან შეიცადა, რომ ქურთის აეშვა და გაენთავისუფლებინა იგი, მას კი მაგრად მიეხა თოკი პალოზე და კიდევაც ახვევდა, რათა უფრო დაემოკლებინა საბმური. კამეჩმა უკან-უკან დაიწია და თოკი დაქანა, მაგრამ თოკმა რქის ძირები ატკინა, ზოლო ქურთი პალოიანად მოსწყდა ადგილს და კამეჩმა აითრია. კამეჩი დიდი ნახტომებით წავიდა, ერთი ძალლი ხან დრტუნჩე და ხან მუცელ-გვერდებზე აფრინდებოდა, თოკი ჩლიქშუა მოჰყვდა, მერე თოკს ჩლიქი დააძრო და ახლა პალო მოხვდა მუცელში, ძალლი უკვე შორს სადღაც წაეგწაეგებდა, კიდევ დაიდგა თოკზე ფეხი და წაიფორთხიალა, წაიჩოქა და მაშინვე წამოდგა მხურვალეებისაგან დაყრუბული. ის შედგა, გაიხედა სველი თვალებით და დაიბლაგლა.

კისერმოღრეცილი ბულა კამეჩი გაუნძრევლად იდგა და ყრუდ ზმუოდა.

ყოველი ნაბიჯის შემდეგ ჩერებ-ჩერებით ფურკამეჩმა მშვილად ჩაიდაბლაურა და ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა მას. ისინი ერთმანეთისაგან მოშორებით შედგნენ და შეხედეს ერთმანეთს. ამის შემდეგ თვითონ მათ აღაზფერი გაუკეთებიათ, რაც გაკეთდა, ის უკვე ნახირთა და კამეჩთა ღმერთის საქმე იყო. ღმერთმა მათ შორის სივრცე მოხსნა, ფურკამეჩს კისერი ბუღის ყელქვეშ გააყოფინა, ერთმანეთს შერთო მათი სათის დენები, გაერმოიცვა ისინი უფრო კვნესა-კრუსუნის, სურვილ-წყურვილის, სიყრუის, სიბრმავის, უსირცხვილობისა და სისხლის ამშლელი სიმხურვალის ერთიანი სქელი ნაბდით. და როცა ისინი ერთ-

ხორც იქმნენ, მიერითგან იგი უკვე აღარ არსებობდა. იგი უკვე კამეჩი აღარ იყო, არამედ ღია ანადგურდლებული და გაფარვარებული საშო. როცა მისი აპროიული სისხლი ჩაინავლა, იგი გამოეყო მას, ჩაკეტა თავი და კვლავ იქცა მარტოკამეჩად, შავ კამეჩად, მომავალ დღეა კამეჩად. მთიურმა ხმებმა აუგისო ყურები, სიბნელემ უკან დაიხია, ნათლით შეიმოსა ირგვლივითი, მთებმისა და კამეჩების მოხახულობანი გატოვდნენ და მყარი სახე მიიღეს; ქვეყანა იქცა ქვეყანად.

ქურთს უნდოდა კამეჩს დაჰპატრონებოდა, მაგრამ ძალის არა ჰქონდა. უნდოდა, დრუნჩხე რომ აფრინდებოდა? პალო წინაგანზრახულ დარტყმასავით ბოროტად ეცა მუცელში, ხოლო ქურთის თოკი ახლაც საშველს არ აძლევდა. იგი წავიდა, წყალი დალია და მერე თავაწეულმა, ნისლებსა და დღებშუა დაინახა ბებია. მაშინვე გადაწყვიტა გზას გასდგომოდა, მაგრამ თოკი ჩლიქშუა ჩაეჭვდა და, რაღა ექნა, გაჩერდა. თვალის კუთხით დალანდა ბუღა კამეჩი. რომელიც ახლა უნდაური და უინტერესო გამხდარიყო მისთვის. თოკმა ისევ წააბორძიკა და იგი კვლავ გაჩერდა. ვილაც უკან მოჰყვებოდა. ეს ისევ ბუღა კამეჩი გამოდგა და მის ატორღიალებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ამისი თანამემთვეე არ იყო. თოკი ძალიან აწუხებდა, ის იმედმიხდილი შედგა და ამ დროს ვილაცის თავი გაეხახუნა ფერდზე. ის ჯიქურ შემოტრიალდა და რქა წაუტრია ბუღას, რადგან ის ბუღა ერთი ბრიყვი რამ ცხოველი იყო. მერე ის კამეჩის ბუღა ბილიკზე იდგა, კისერი სულელურად მოედრიცა და უკან გაიყურებოდა. თოკმა ამჯერად ატკინა არა მარტო ჩლიქშუა, არამედ თვალიც მოუხუხა. ის შეჩერდა, რათა ყური დაეგდო თავისი ტკივილებისათვის — საშო წყნარად თხზავდა მასში ჩანსახსს, სტკიოდა ჩლიქშუა ადგილი, ცალი თვალით ბუნდაღლა ხედავდა, ხერხემლის ძველი ტკივილი მიმქრალად, მაგრამ მინც წამდაღუწუმ ახეინებდა თავს, პალოს ნაკრავზე ხან მძაფ-

რად შემოენთებოდა, ხანაც ნელიად გასწყმეტდა ტკივილი, ცალი ტკივილი ყურის წვერი ეფხანებოდა. აღზათ ბუღი თუ დააჭდა ყურის წვერზე. ასე ერთმანეთის მიყოლებით და ერთმანეთზე ახირლულ ტკივილებში უცებ ყრუ ფეხისხმა შეესმა. იგი ქშენით შემოტრიალდა, კისერი წაღრიცა და შეიცადა. მოახლოვებული ბუღა კამეჩი დაბნეული შედგა, სულელივით გაიხედ-გამოიხედა და ძოვნა დაიწყო.

გეოლოგები შემოგვივინენ, ცულეების ტურტურით გზა მოუტრეს, სიცილოსიცილით თავს დაესხნენ, მერე ერთი გაბრაზდა, დააჩოქეს და, მერე, როცა იგი, უკვე მისავათებული მთლიანად დანებდათ, ხელი უშვეს, შემოეცალნენ.

— აბა, ეხლა კი წადი!
ფრთხილად, დაძაბულად გააბიჯა, წაიფორხილა და შედგა. მაგრამ თვალი არ მოსჩქლეითა, არც ჩლიქშუა გახვლებია ფეხი. ერთ წამს შედგა და კიდევ გააბიჯა, თოკი აღარ უშლიდა. კვლავ შედგა, თავი გაიქნია, რქები იოკის მოგონებისაგან გაინთავისუფლა, დაადო თავი და წავიდა სწრაფად მიზანდაჭერილად, შეუჩერებლად. მიწა მყარი იყო მის ფეხქვეშ და უთრთოლველად იტანდა კამეჩის აწ უთრთოლველსავე არსებებს.

შეხუთე საღამოს, ბინდთან ერთად, როცა საქონელი დამძიმებული ცურებით მოსაწველად მოდგა, ის დალილდაქანცული შევიდა მემთეურთა ბინაში. შევიდა როგორც სახნავიდან მოსული ხარი, როგორც სათიბიდან დაბრუნებული გლეხი, როგორც სამკედურში მინადენი გუთანი, როგორც შუაღამისას ადგილს მიღწეული მგზავრი, ანუ როგორც ზაფხულის საღამო სოფელში. ჩაბარა გულდიდი სიღინჯით მომლოდინე ძროხებშუა, შედგა ქეჩის ძველი კარვის კართან და თვითონაც კარვის ტოლამ დალილიად დაიზმუღლა: უუმმ!

— ჯან! — ხმა მისკა ბებია, — ნობედი?

სომხურიდან თარგმნა
ზაზუნა მადლუაშვილი

მორე ხარზიანი

ბარღაზანი—ფაქტების პრიზმაში...

საუბარი პარტიის ბარღაზნის რაიკოზში

ავტორი:

— ბატონო ოთარ, რას გვეტყოდით წარმოების ინტენსიფიკაციის სხვა ძირითადი მიმართულებების თაობაზე? ყველა იდეასა და საგანს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი საყრდენები სჭირდება, ხოლო ღრმა ჩანაფიქრის განხორციელება და თამამი ექსპერიმენტები მითუმეტეს, რომ ყოვლისშემძლე ფეხებზე უნდა იდგეს... ასე ვთქვათ, შევარდნის მუხლები სჭირია...

ოთარ ბოკერია:

— მართალი ბრძანებაა, ახლაც მოგახსენებთ სხვა მიმართულებებზედაც. ოლონდ მანამდე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ აგროტექნიკური ღონისძიებებისადმი მიშვებული დამოკიდებულების გამო რაიონის მეურნეობებში იკარგება დიდძალი პროდუქცია, ჩვენი გამოთვლებით იგი შეადგენს, დაახლოებით, 3 400-3 600 ტონა მარცვლეულს, 20-22 ათას ტონა ბოსტნეულს, 38-40 ათას ტონა მწვანე მასას და სხვა. ანალოგიური მდგომარეობა გავგაჩნია მესაქონლეობის დარგშიც. ერთი სიტყვით, ჩვენ

სათანადო ეფექტიანობით ვერ ვიყენებთ მიწას. სხვა ფაქტორებთან ერთად აქ შეტად მნიშვნელოვან ამოცანად მიმაჩნია შრომის ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა, მხედველობაში მაცვს უგანრივო ბრიგადების ჩამოყალიბება. მიმდინარე წელს მთელი რაიონის მასშტაბით თორმეტი ასეთი ბრიგადა ჩამოყალიბეთ საკვებმომპოვებაში და მებოსტნეობაში. ბრიგადებს მიცემული აქვთ კონკრეტული დავალებები, ხელფასისა და პრემიების ფონდები. ბრიგადა მუშაობს საერთო გეგმის მიხედვით, ხოლო ხელფასი ნაწილდება თვით ბრიგადის წევრების მიერ თითოეულის შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით. ეს გარემოება მთლიანად ცვლის შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ხასიათს. ზრდის თითოეულის დაინტერესებას საერთო საქმისადმი. აყალიბებს ადამიანში მაღალი პასუხისმგებლობის გრძობას, ყაირათიან დამოკიდებულებას ტექნიკის, სარწყავი წყლის, სასუქების, საწვავის გამოყენებისადმი. ბრიგადის წევრები ცდილობენ ნაკლები დანახარჯებით უზრუნველყონ მაღალი მაჩვენებლები. ამის მაგალითად გამოდგება მარტყოფის, თელეთის, რუისბოლოს და სხვა მეურნეობებში წლეულს პირველად ჩამოყალიბებული უგანრივო ბრიგადები და რგოლები

ბოსტნეულის წარმოების დარგში. მარტ-ყოფში, მაგალითად, ბრიგადაში გაერთიანდა 17 წევრი, ძირითადად ახალგაზრდები. ბრიგადას სათავეში ჩაუდგა მექანიზატორი ანტონ ჩიტრიკაშვილი... მათ ივალდებულეს ოცდაათ ჰექტარ ფართობზე გეგმიური 558 ტონის ნაცვლად 700 ტონა ჰამიდურის მოყვანა, ივალდებულეს და მშვენივრადაც გაართვეს თავი ამოცანას. საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობამ გეგმიური 186-ის ნაცვლად 243 ცენტნერი შეადგინა, ბრიგადის წევრებმა აწარმოეს 130 ათასი მანეთის პროდუქცია, ხელფასისა და პრემიის სახით მიიღეს 60 ათასამდე მანეთი. მეურნეობას მიიღეს 20 000 მანეთი წმინდა მოგება. ასეთივე ბრიგადამ რუისბოლოს მეურნეობაში ჰექტარ ფართობზე მოიწია 252 ცენტნერი, საადრეო კომბოსტო, 338 ცენტნერი პამიდორი, 310 ცენტნერი ბადრიჯანი, რაც გეგმიურ დავალებებს ბევრად აღემატება. კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწია უგანრიგო ბრიგადამ თელეთის საბჭოთა მეურნეობაში. აქ სატომატე ჰამიდურის საჰექტარო მოსავალმა 500 ცენტნერამდე მიაღწია. სამაკიანმა ბრიგადამ გაპიროვნებული ორი ჰექტარიდან 100 ტონამდე ჰამიდორი მოიწია, თითოეულმა მათგანმა პრემიის სახით მიიღო 2 300 მანეთი, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც ერთ ინდივიდუალურად მომუშავეს თავის გაპიროვნებულ ნაკვეთზე ჯერ ამდენი მოსავალი არ მოუწევია. უგანრიგო ბრიგადებში შრომის ნაყოფიერება ჩვეულებრივ ბრიგადებთან შედარებით ყველაზე მცირე, ორნახევარ-სამჯერ მაინც იზრდება. ჩვეულებრივ ბრიგადაში მხოლოდ საკუთარ ნამოქმედარზეა ადამიანი პასუხისმგებელი, უგანრიგოში კი მთელი კოლექტივის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს, ზოგადზე უნდა იფიქროს, იფიქროს ამხანაგებზე, არ უნდა გაუმტყუნდეს მათ, ერთი სიტყვით, კერძო მესაკუთრული გრძნობა აიყვანოს კოლექტიურის დონეზე... გარდა ეკონომიკური მაჩვენებლებისა საქმიანობის

ეს ახალი ფორმა მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი ხასიათის არსებობის მენტების შემცველიც არის. მსგავსი საქითხის ფსიქოლოგიური ასპექტიც ასევე მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია. მაშ, რატომ არ უნდა გავუხსნათ შრომის ამ ახლებურ ფორმას მომავალში ფართო ასპარეზი?

მთელი რაიონის მასშტაბით ასეთი ბრიგადების რაოდენობას უახლოეს მომავალში საგრძნობლად გაეზრდით. ჩვენს პერსპექტიულ გეგმებზე როცა ვლაპარაკობდი და ზრდის ციფრები მომყავდა, ამ ბრიგადებზეც ვამყარებდი გარკვეულ იმედებს... ერთი რამის გაბედულად თქმა კი უკვე შეიძლება, ამ უგანრიგო ბრიგადულ სისტემას ჩვეულებრივიააგან განსხვავებით გააჩნია დაგეგმვის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების დახვეწილი და სრულყოფილი მექანიზმი. ეს სამი უმთავრესი ელემენტი საუკეთესო საბოლოო შედეგის მიღწევის ძირითადი საფუძველია.

ანტონ ჩიტრიკაშვილის „უღმავარი“...

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, მარტყოფის ველსაც ვუწიეთ მე და გივი კირეულიშვილმა. ვუწიეთ და ვნახეთ სანახავი, — განთქმული უგანრიგო ბრიგადა, მისი თავკაცი ანტონ ჩიტრიკაშვილი და სხვა წევრები, უფროსებიცა და უმცროსებიც.

ბრიგადის წევრები ქარსაცავე ზოლს შესეოდნენ და ბებერი და გამხმარი ალვებისაგან ხშირადნენ, შორიახლო მანქანა გაეჩერებინათ და დაჭრილ-დასხეპილ შორებებს ძარაზე ტვირთავდნენ. მუშაობდნენ რიტმულად, ხალისიანად, აწყობილად; მათს ყოველ მოძრაობაში იგრძნობოდა ურთიერთის პატივისცემა და მოფრთხილება. ეს იყო უზმაურო ბრიგადა. მართალია, მხიარული გადაძახილებითაც იჭერებდნენ გულს და ხალისიან ხუმრობასაც არ იკლებდნენ.

მაგრამ ალბათ მათი ამ აწყობილი საქმიანობის გამო თუ იყო, ეს ხმაური და გადაძახილები, თითქოს ქარი წარიტაცებდაო, ყურს არ ხვდებოდა.

— გამარჯობა თქვენი, ჩვილებო... — შეუძახა ბიჭებს გვიმ. — მერე მე მომიბრუნდა — იცით, რა, ანტონის ბრიგადა უქალოა, ამიტომაც ამათთან უფრო თავისუფლად ვკრანობ ხოლმე თავს... შეხე, მართლა ჩვილები არიან ყველანი. აი, ძია ალექსიკ კი; აბა, ვინ იტყვის ახლა მაგაზე სამოცდაცამეტი წლისააო...

ძია ალექსი ყველაზე ხნიერი ერია ბრიგადაში, მაგრამ მიხრა-მოხრაა და მორებთან ჭაჭგურში მართლაც არ ეტყობოდა სიჭარბავე.

— ის რომელია — ვკითხე გვიმის ისე, რომ სახელი და გვარი არ დამისახელებია. არ გაიგოს-მეთქი ჩემი შეკითხვა ბრიგადირმა. ვიცოდი, გვიმ იყდაც მიმიხვდებოდა ვისზეც ვეკითხებოდი.

— აბა, გამოიცანი, ვინ არის ამ ჩვილმეტ კაცში ბელადი? — შემომიბრიალა, შეკითხვა გვიმი.

— აი, ის გოლიათი... — ვთქვი მე, და მხარზე უშველებელმორმოდებულ ახმახ ვაყკაცზე მივუთითე, თავზე სვანური ნაცრისფერი ქუდი რომ ეხურა და „ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნად“.

ეს ეპითეტები გაზვიადებულად ნათქვამად არავის მოეჩვენოს, მხარზე მორმოგდებული ანტონი მართლაც გოლიათის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ისეთისა, ისტორიულ ფილმებში რომ გამოჰყავთ ხოლმე მითოლოგიური გმირები, დევგმირები, ჰერკულესები, მზეკაბუკები, ამირანები... მაგრამ ერთია გარეგნული პარამეტრები, მეორეა ამ ფიზიკური მონაცემების ფონზე გამტლავებული შინაგანი ენერჯია, შესაძლებლობანი, ინტელექტი, გონიერება, ძალა და ღონე, მოქნილობა და სისხარტე, თანამედროვე ადამიანისათვის ნიშანდობლივი დახვეწილობა... ყველაფერ ამის ამოკითხვა შეიძლებოდა ანტონ ჩიტრიკაშვილის პიროვნებაში, და ამის

გააგებად არ იყო აუცილებელი „ერთი ფუთი მარილი“ და „არცან უწყველდლიური აღდენციები“ სხვათაგანსა და წერილმან-სახელმანებში გარკვეულობა, ყველაფრის გამოკითხვა და სხვათა შეხედულებებთან შეჯერება. ხომ არიან ადამიანები, ვისაც თავიანთი ამოსაცნობი ნიშნები „შებლზე აწერიათ“, ანტონსაც ყველა ზემოჩამოთვლილ სიკეთესთან ერთად შრომისმოყვარეობა და კაცურკაცობაც, პატიოსნება და სიალაღეც ეხატა სახეზე. იგი ნამდვილი ლიდერი იყო თავისი ბრიგადისა.

ვიდრე ბრიგადის წევრები გაიგებდნენ ჩვენი მისიის მიზანს, წუთით საქმეს შეეშვებოდნენ, ტანისამოსს ჩაიფერთახვდნენ და შემოგვეგებებოდნენ, რომ ხელი ჩამოერთმიათ ჩვენთვის, გვივა შევეკითხე:

— ეს ბიჭები ალბათ საზოგადოებრივი ბრიგადებიდან არიან ანტონთან გადმოსტლები... ამ კაცთან ყველა სიამოვნებით შეათარებდა თავს... ისეთი იმედია ვინმე ჩანს...

— არც ერთი. სხვათაშორის, ზოგიერთი მათგანი უმუშევარი იყო. საქმე არა ჰქონდა, ზოგიც ჭარიდან ახალდამრუნებული და ჯერ ვერ გადაეწყვიტა, რა საქმიანათვის მოეკიდა ხელი; ანტონის განზრახვა რომ გაიგეს, თავისით ეახლნენ და ბრიგადაში აყვანა სთხოვეს... ანე რომ შრომითი რესურსებიც თვითონ ანტონმა გამოთვნა, ყველანიორად ამოუდგა მეთურნეობას მხარში.

გვიმს ნათქვამმა კიდევ უფრო გაამკვეთრა ჩემი ეჭვიანი მოსაზრება შრომით რესურსებზე. მართლაც, ამდენ სიახლეს, ახალ წამოწყებას, გრანდიოზულ სამომავლო ჩანაფიქრებს განხორციელება და განმზორციელებლები ხომ სჭირდებოდა. მაინც რის ხარჯზე, ვისი იმედით გეგმავდნენ უფროს-უმცროსები ინტენაიფიკაციის პერსპექტიულ გეგმებსა და პროექტებს? ეს კითხვა ბატონოთათან საუბრის დროსაც ბევრჯერ გამიჩნდა, მაგრამ რატომღაც არ გამიმტლავებია, ამ წუთსა გვიმ კვლავ გაუსვა ხაზი მუშახელის პრობლემის

ცხოველყოფილობას და მეც დამინტერესა სოფლია მოსახლეობის დემოგრაფიული და არა მარტო დემოგრაფიული მდგომარეობით, არამედ სასურსათო პროგრამა ისეთი შემადგენელი საკითხებითაც, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მთელი რიგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „არამწარმოებლური“ დარგების პრობლემები...

საუბარი მუშრეომის დირექტორთან

ავტორი:

— ბატონო ანგელა, თქვენ წიდან ბრძანებით მეურნეობაში განხორციელებულ სიახლეებზე, რომელთა თაობაზედაც პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა პატივცემულმა ოთარ ბოკერიამ მოგვაწოდა ინფორმაცია, ჩვენთვის უფრო საინტერესო იქნებოდა ზოგადის უფრო კონკრეტულ ასპექტში წარმოჩენა თქვენი რაიონის მაგალითზე, როგორც ყველა სიახლის დამკვიდრებას ახასიათებს ზოლმე, ალბათ მრავალი წინააღმდეგობანი გხვდებოდა გზაზე და გიხდებოდა მათი გადალახვა...

— მართალია, ასეა ცნობილი, რომ ყველა სიახლე ძნელად მკვიდრდება და იკადებს ფეხს ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენი შემთხვევა, ეტყობა, გამონაკლისთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. მეურნეობრივ სისტემაში ადამიანებს თითქოს მობეზრდათ ხანგრძლივი ერთფეროვნება, ისინი შინაგანად შემზადებულნი აღმოჩნდნენ ამ სიახლეთა განსახორციელებლად, უხარიათ კიდევაც რომ მარჩენალი მიწა კვლავ იბრუნებს ძველ პარტიისციმასა და ჩვეულ ყადრს. ახალი ფორმები ფაქტიურად ხომ ძირძველის, მამაპაპურის, ტრადიციული მიწათმოქმედების ფორმების ერთგვარი გაცოცხლება, მოდერნიზება და რესტავრაციაა და მეტი არაფერი. აი, თქვენებურები წარმოიდგინე, ძველ დროში სამონაგროდ რომ ჩავიდოდნენ ზოლმე სამეგ-

რელოსა და გურიისში. აიღებდა ბრიგადა გარკვეულ სამუშაოს, გაუზრუნველდა წინდაწინ მეპატრონეს და მტერი თუკანონი იყო და მისმა მოხერხებულობამ... გაიყვანდა ყანაში უკანასკნელ სვეს, გათხრიდა ჭაობში ბოლო არხს, დაატრიალებდა ახალაშენებულ წისქვილში დოლას და უმაღლე ანგარიშში გასწორდებოდნენ. მეპატრონეს არაფერი ესაქმებოდა ბრიგადასთან, მხოლოდ ბოლოს თუ ექნებოდა რაიმე შენიშვნა, იტყოდა და მუშებიც რას აწყენინებდნენ. ხელწერილის დადებაც კი არ იყო საჭირო, გარიგება ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე იყო დამყარებული. ეაცობა ფასობდა სოფლად და ქალაქად და არავინ იკადრებდა შორით მოსულნი გაეტრიალებინა და ამით ქვეყანაში თავი მოეჭრა. ჩვენს პირობებში უგანრიგო ბრიგადები მხოლოდ იმით განსხვავდებიან იმ ძველი შრომითი ურთიერთობებისაგან, რომ მათი საქმიანობა მაინც საზოგადოებრივ საფუძვლებზეა გაფორმებული, ყოველდღიურ ხასიათს ატარებს და მის წევრებს არც ცხრა მთის გადაღმა უხდებათ საშოვარზე წასვლა, გარდა ამისა შეთანხმებაში გეგმის მინიმუმი-ორიენტირიც არის გათვალისწინებული და, რაც მთავარია, მეურნეობა ბრიგადას ამარაგებს ყველა საჭირო ინვენტარით, ტექნიკური საშუალებებით, თესლით, ქიმიკატებით, მავთულბადით, სათბობით, ერთი სიტყვით, ყველა წვრილმან-მსხვილმანი. მაგათი მდგომარეობა რომ ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს მათ ბედს ალბათ ძალიც არ დაჰყვავდა... თანაც ამ სიახლის დამკვიდრებას მტკიცეული პროცესი იმპროტომაც არ ახლავს, რომ იგი თითქმის ნებაყოფლობით ხდება, ძველი ფორმების პარალელურად მიმდინარეობს, ჩვეულებრივი ბრიგადული სისტემის არსებობა მაქვს მხედველობაში, აქი გაეცანით კიდევაც ახელედინის მეთოთხმეტე და შოშიაშვილის მეცამეტე ბრიგადებს. ასეთი ბრიგადები კი ბევრი გვყავს...

— გამოდის რომ უგანრიგო ბრიგადა

ფაქტიურად გამონათავისუფლებულია მეორეხარისხოვანი საქმეებისაგან და ძირითადად მთავარი საზრუნავით არის დაკავებული...

— რა თქმა უნდა, ასეა. ყოველშემთხვევაში, ყველაფერი ხელში ეძლევა და ესეც ხომ შელავათია თავისთავად. მართალია, ტექნოლოგიური პროცესების იდეალური წარმართვა ჭირს, მაგრამ გარიგების თანახმად მეურნეობა ნემსის ყუნწში უნდა გაძვრეს, რომ რაიმე არსებითი მიზეზი არ მისცეს... ეს არც ჩვენს ინტერესებს შეესაბამება და ამიტომაც თავიდანვე ვიჭერთ ყველაფრის თადარიგს, უფრო სწორად, იძულებულნი ვართ, დავიჭიროთ. ასე თანდათან ვეჩვენებით ზოგიერთი საკითხის მეცნიერულ დონეზე მართვას. მერე და მერე, როცა უგანრიგოთა ესელი გაფართოვდება, მეცნიერული მართვის მოცულობაც გაიზრდება...

— რაიონის პირველმა მდივანმა ოთარ ბოკერიამ ხაზი გაუსვა ტექნიზაციის სრულყოფის მნიშვნელობას რაიონის მეურნეობებში. თქვენ როგორ გესახებათ ეს პრობლემა მარტყოფის სინამდვილეში? — ვკითხე მერე ანგულატს.

— ტექნიზაცია, გარდა იმისა რომ აიოლებს შრომას, იგი ამავე დროს ანთავისუფლებს ზედმეტ მუშახელს და ამით გვეხმარება შრომითი დეფიციტის შემსუბუქებაში. ამ ბოლო წლებში მართლა ტექნიკური რევოლუცია მოხდა ჩვენს მინდვრებში, რამაც დიდი წვლილი შეიტანა საერთო საქმის აღმავლობაში. შარშან გამოვეცადეთ და დავინერგეთ კომბოსტოს ამღები კომბაინი, მართალია, ეს მანქანები საქმათ რაოდენობით არ გავაჩნია, მაგრამ ამას ვინლა ჩივის, როცა ადრე ასეთ ჰევიან მანქანაზე ოცნებაც გვიჭირდა. ეს კომბაინი ერთ ცვლაში ორმოცდაათ ადამიანს ანთავისუფლებს, დღეში 150 მანეთის ეკონომიას გვაძლევს.

გამოიყადა აგრეთვე პამიდორის ამღები კომბაინი. იგი ერთ ჰექტარზე 120 კაცის შრომას ანთავისუფლებს და იძ-

ლევა ასევე 150 მანეთის ეკონომიას. გამოცდის პროცესშია „ემქტა“ სტაფილოს ამღები მანქანა. იგი ერთ ჰექტარზე გამონათავისუფლებს 120-150 კაცს, მოგვექმს 300 მანეთის ეკონომიას: წელს დავამონტაჟეთ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ მოლდავეთიდან ჩამოტანილი დასაწვიმებელი იმპულსურ-ავტომატური აპარატი — „ქსიტ-10“, რომელიც ათ ჰექტარ ფართობს მოუვლის მთელი სეზონის განმავლობაში. ეს არის პრინციპულად ახალი ტიპის აპარატი, სადაც წყლის მიწოდება ხდება ავტომატურად, ტენიანობის მსაზღვრელი დანადგარის ზუსტი სიგნალების მიხედვით. ყველაზე დადებითი ამ აპარატში ის არის, რომ გამორიცხულია წყლის ფუჭი დანახარჯები და რაც მთავარია, მისი გამოყენება შეიძლება დამრეც ფარდობებზეც, ეს კი ეროზირებული საფარგულების გამოყენებისა და საერთო-სამეურნეო მიწის საბრუნავ ფონდში მათი ჩართვის შესაძლებლობებს ქმნის, მოგვხსენებათ, რომ დამრეცი კალთების მორწყვა ჩვეულებრივი წესით მოუხერხებელია, ამ დროს იხრამება და ირეცხება მიწა, ღარიბდება და მშვიდება ნიადაგი. დაწვიმებით მორწყვა კი ამ მოვლენებს გამორიცხავს...

კიდევ ერთ სიახლეზე მინდა მოგიხსნათ. ეს უავე ჩვენი მექანიზატორების უშუალო დამსახურება ვახლავთ. მათ მოსავლის ასაღებ კომბაინებზე საკუთარი ფანტაზიითა და ძალეებით დაამონტაჟეს საკვების დამამზადებელი, დამტუქმაცებელი და სხვადასხვა პროცესებისათვის გამოსაყენებელი სპეციალური ხელსაწყოები. აქამდე თუ კომბაინები მთელი წლის განმავლობაში უქმად დგომისაგან იყავებოდნენ, ამჟამად მათ, „თემოზე წამოსაწოლად“ სადა სცალიათ, მთელი წლის განმავლობაში სასარგებლო საქმიანობაში არიან ჩამბულნი... ერთი სიტყვით, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები, სიახლეები და მიღებული ეკონომია ძალეებს გვმატებს მეურნეობის ხელმძღვანელებს და სამომავლოდ ოპტიმისტურად განგვაწ-

ყოფს... ამას რომ ვამბობ, პირველ რიგში მაინც დემოგრაფიული შიში მალაპარაკებს, უნდა ვუყულოთთ როგორმე, ეშმაკობით ვაჭობთ მიგრაციას, თორემ გულხელდაკრფილებს ბოლოს საგონებელში ჩაგვაგდებს...

— სხვა მიმართულებებზე რას გვეტყოდით, აი, მაგალითად, ავიღოთ მესაქონლეობის დარგი, როგორ არის იგი თქვენს მეურნეობაში წარმოდგენილი, რა თანაფარდობა არსებობდა და არსებობს ამჟამად საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის, ასევე კოოპერირების შედეგებზე ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდ სიტყვას... თქვენ ზემოთ უკუპროცესზე ანუ სოფლად საქონლის სულადობის ზრდის ტენდენციაზე ჩამოგდეთ საუბარი. მართლა თუ შეინიშნება მისი ჩანასახები მარტყოფის სინამდვილეში?

— შარშან რვაასი სული მეწველი ძროხა ჰყავდა ჩვენს მეურნეობას. წელს გაგვიზარდეს 1000 სულამდე. ეგ ალბათ ჩვეულებრივი ამბავია, არაჩვეულებრივი კი ის გახლავთ, რომ შეექმენით მეცხოველეობის, ეგრეთ წოდებული, დახურული კომპლექსი, ანუ იგივე დახურული ზონები. ეს „მშვიდობიანი კარანტინი“ თავის მხრივ მთლიანად გამორიცხავს საქონლის კონტაქტებს გარესამყაროსთან მთელი წლის განმავლობაში, ასე რომ იგი დაცულია გადამდები დაავადებებისაგან. მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლო წლებში რესპუბლიკა დიდ ზარალს ნახულობს სხვადასხვა სენისაგან, კერძოდ კი ბრუცელოზისაგან. ეს დაავადება, მეტწილად ღალიან საქონელს ეტანება. გამოხშორავს ჯოჯს ჯიშიანი ფურებისაგან და ბოლოს ხელში ჩანდაგსლა შემოვატოვებს.

დახურული ზონის პირობებში კი დაავადების შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ეს დაახლოებით იგივეა, ზვრებს კაპრონის ბადე გადაახურო და სეტყვისაგან დაიცვა... ეს დახურული კომპლექსი, როგორც მოგახსენეთ, სარძევე მიმართულებისაა. ძროხები ჯიშობრივად გვეყავს შერჩეული,

წაბლა-ლატივიური ჯიში აქამდე თუ გვაკმაყოფილებდა, ამჟამად უფრო უკეთესზე ვოცნებობთ — ახლანდელ წაბლა-ლატივიური გეინდა პოლსტეინფრიზის ჯიშთან შევაჯვაროთ.

პოლსტეინფრიზის ჯიში წელიწადში 15-20 პროცენტით იმატებს წონაში, კარგი მოვლა-პატრონობისა და კვების შემთავებაში კი 6 000 კილოგრამამდე რძეს იწველის.

ერთი სიტყვით, მესაქონლეობას იმედით შევცქერით. ჩვენი მეურნეობის კომპლექსური ხასიათიც გვეხმარება ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში. მხედველობაში მაქვს მისი მრავალდარგოვანი პროფილი. მწვანე მასასთან ერთად სხვადასხვა პროდუქციის ნარჩენები გემრიელი საკვებია პირუტყვისათვის.

საუბარი პარტიის რაიონში

ავტორი:

— რაიონის სასურსათო პროგრამა საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად საზოგადოებრივი მეურნეობების მოსახლეობასთან კოოპერირების ფართოდ გავრცელებასაც ითვალისწინებს, გაქვთ აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობების განვითარების პროგრამა. ხომ ვერ გვეტყოდით როგორ ხორციელდება ჩანაფიქრი, რა სიძნელეებია ამ საქმეში?

ოთარ ბოკერია:

— საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებას დიდ ყურადღებას ვუთმობთ. აქ ძალზე დიდი რეზერვებია. ბოლო ორ წელიწადში მოსახლეობას გამოეყო 3 000 ჰექტარზე მეტი საძოვარი, მიეცა სესხი 100 ათას მანეთამდე საქონლის შესაძენად, უზრუნველყოფილნი არიან უხეში საკვებით, ჯერჯერობით მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნას კომბინირებული საკვებით, რასაც უახლოეს მომავალში გადავჭრით რაიონში მარცვლეულის წარმოების მკვე-

თრი ზრდის მეოხებით. გატარებულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო. მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 3 570 სულით. გაიზარდა, მათ შორის ძროხებისა — 1 715-ით, ღორების — 860-ით, ცხვრისა — 5 320 სულით. მომავალში სულადობის კიდევ უფრო დიდი ზრდაა გათვალისწინებული. ფართოდ იკიდებს ფეხს საზოგადოებრივი მეურნეობების კოოპერირება მოსახლეობასთან ხორცის წარმოების დარგში. მიმდინარე წელს ამ გზით დამზადებული ხორცის მოცულობამ 1 000 ტონას გადააჭარბა, მომავალში იგი კიდევ უფრო გაიზრდება.

ამჟამად რაიონში 21 არასასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და დაწესებულებას აქვს დამხმარე საწარმოები, რომლებიც ითვალისწინებენ 5-ჯერ გაზარდონ ხუთწლედის ბოლომდე ხორცის წარმოება და მიაღწიონ 200-ტონიან ზღვარს. სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხანა ისეთნაირად ავითარებს ამ მეურნეობას, რომ უახლოეს 2 წელიწადში მთლიანად დააკმაყოფილებს თავისი მუშების მოთხოვნილებას ხორცზე.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობათა შექმნას. ამ ამხანაგობებს რაიონში 1 200 ჰექტარამდე ფართობი უკავიათ. ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები, რომლებსაც კარგი საფუძველი ჩაეყარათ და სწრაფი ტემპით ვითარდებიან საშუალებას გვაძლევს თამამად განვაცხადოთ, რომ წარმატებით განხორციელდება ჩვენი სასურსათო პროგრამის მთავარი პრინციპი: მივალწიოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ძირითადად საკარმიდამო მეურნეობათა ხარჯზე, ხოლო საზოგადოებრივი სექტორის პროდუქტითა მოვახმაროთ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ნიტრიკაზმის „შლაგბარი“...

უტოვანული
გეგმული

სალამ-ქალამის, გაცნობისა და მცირე-ოდენი საუბრის შემდეგ გამოირკვა, რომ ანტონი და მისი ბიჭები ფრიად უჩვეულო საქმიანობით — „ჩაქოხებით“ ყოფილან გართული. პირველად, ჩემს შეკითხვაზე, ამჟამად რასა იქთ, რას საქმიანობთ, ეს მორები რალაში დაგვირევათ-მეთქი, — „ჩასაქოხებლადო, შეილთო“ — რომ მომიგო ძია ალექსიმ, სიმართლე ვითხრათ, ვერაფერი გავიგე, მერმე ანტონმა ამიხსნა — ყოველი დიდი საქმე პატარიდან იწყება, ჩვენაც ჭერ სადგომი ბინა უნდა ზვიშენოთ აქ სადმე, რომ მინდორში ზამთარ-ზაფხულ შეგვეძლოს გამოსვლაო. ზაფხულში მოსაჩრდილებლად გამოგვადგეს, ზამთარში — დასათბუნებლადო... დღევანდელ ამინდშიაც არ იტყოდა უარს ადამიანი შუადღისას თბილი ქოხში ლუქმა-პურის გატეხვაზეო...

უგანრიგო ბრიგადა ქოხს აშენებდა, ეს კი მრავლისმეტყველო და სიმბოლური გახლდათ ამ ახალი წამოწყების მსვლელობისათვის. კაცმა რომ თქვას, ფაქტიურად ხომ წელს ჩამოყალიბდა უგანრიგო ბრიგადა და ისიც ერთობ გვიან, ოთხ აპრილს, სხვების დახულდათესილ ფართობზე, არც თუ მთლად საგულდაგულოდ მოვილო-ნაპატრონებზე და ასე, რომ თავშესაფარი ქოხის მშენებლობისათვის საიდანღა მოიცილდნენ იმ ჰამანწყვეტაში. სულ ახლად კვლავდნენ მეურნეობრიობის უცხო ტევრში გზა-სავალს ანტონი და მისი ბიჭები, არც კი უწყოდნენ ხეირიანად, სად გაიყვანდა ნადირთ წაგარნასავით უსიგრი ბილიკი — კლდოვანზე თუ ოახისში, უფრო გუმანიოთა და ანდეთი მიკვალთავდნენ გზას და გვერდზე მოსახედდალ აღარ ეცალათ, კომფორტი და მოსაჩრდილებელი ვილას ახსოვდა. ახლა კი, როცა პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ლეთის წყალობით, მშვიდობიანად გაინაპირეს, სამომავლოდ უკვე უფრო გულდამშვიდებით და საგულდაგულოდ შეეძლოთ მომზადებულიყვნენ.

და აი, მოსაჩრდილებელსაც იშენებდნენ და დასათბუნებელსაც...

ერთი სიტყვით ყველაფრიდან ჩანდა, რომ ანტონი და მისი ბრიგადა მარტყოფის ტაფობზე ხანგრძლივი ომისათვის ემზადებოდა. „ომის“ ასოციაცია ალბათ მარტყოფის ველზე დატრიალებულმა საყოველთაოდ ცნობილმა ისტორიულმა ამბავმა გამოიწვია. მართალია, სხვა იყო გიორგი სააკაძის ბრძოლა დუშმანთან და სულ სხვაა ჩიტრიკაშვილის სამშვიდობო ჭიდილი მიწასთან, მაგრამ ორივე მაინც ომია და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის ნაირნაირი გამოხატულებაა. ეს კი მართალი იყო, რომ ანტონი იმ ძველ ქართველ მხედართმთავრებს ჩამოჰკავდა რაღაცით, არა მაინცდამაინც გიორგის, ანდა ზურაბსა და გნებავთ თორნიკე ერისთავს, ბაში-აჩუკსა და სხვებს, ზოგადად ყველა მათგანს, იმ განსხვავებით, რომ საბედნიეროდ, დღეს ჩვენს სანახებში მშვიდობიანობა სუფევდა და ცხრათვალა მნათობი, მართალია, ცხოველყოფელობისაგან ერთიან დამშტრალი, მაგრამ მაინც ყინჩად ეკიდა ცის თავანზე, მზე — მშვიდობისა და მზე — სიცოცხლისა...

— შარშან ოცდაათ პეტარს უვლიდნენ ეს დევგმირები, წლეულს სამოკდაათამდე აიყვანეს ფართობი, ლამისაა მთელი უღევარი დაითავისონ... — მიხსნის გივი კირეულიშვილი.

— უღევარი? აკი მარტყოფის ველიო...

— ისიც და ისიც... — ებმება საუბარში ანტონი — მარტყოფის ველი იყო 1625 წლამდე, ამ ხანებში გიორგი სააკაძის გამარჯვებამდე — მერმე აქაურობას უღევარი შეარქვა ხალხმა...

— ეგ რატომო?

— მტერი რო არ ილეოდა. იმოღენა ლაშქარი ჰყავდათ ურჯულოებსა... იმაზე შეარქვა ხალხმა.

— უღევარი. მაგრამ ბოლოს ხომ გამოილია მაინცა... — ხელები მოიფშენიტა ძია ალექსიმ.

— ჩვენ ახალი გავგებითაც ვეძახით

აქაურობას უღევარსა... — მითხრა გივიმ.

— ეგ რაღაა-მეთქი — დავინტერესდი მე.

— ჭირნახულია ამჟამად აქ უღევი... აი, შემოდგომაზე გვესტუმრე, ანტონის ბოსტანს დაკვლიე და მერე ნახავ...

— კარგი, კაცო, ცას ნუ მიგვახატე ახლა... — დაირცხვინა ანტონმა.

— ფაქტი ჭიუტია, ეს უღევარი მართლაც მისნურად დაურქმევიათ იმ დალოცვილ წინაპრებს... — თავის ნათქვამზე იღგა გივი.

— ვწრომობთ, რა... რახან ჩავებით ამ საქმეში, თავს ხომ არ შევირცხვენთ, მეურნეობას ხომ არ ვაფუშყუნდებით. როცა დავიღლებით აპარნის წმინდა გიორგის ეკლესია დაგავშვიდებს, რაღაცა რომ გაგვიჭირდება, — მისი მადლი შეგვეწვია, მხარში ამოგვიდგება, ისევე, როგორც გიორგის შეეწია ბრძოლაში, და არა მარტო იმასა, სხვასაც მრავალსა, მარტყოფელსაცა და სხვასაცა, და არა მარტო აპარნის ეკლესია, სხვა ეკლესიებიცა ძველი აკრიანისა...

მიიჩა ისტორიული მახაუხსი...

მარტყოფი ძველთაგან დედაქალაქის საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. იგი მას სულ რაღაც ოცდახუთი-ოცდაათი კილომეტრითაა დაშორებული. სოფელს ცენტრში ორი ხევი ჩამოუდის — ალიხევი და ტევალი. მათ შორის აღმართულია ალიქედის სერი. ჩრდილოეთიდან კი იალნოს მთის ზმირი ტყით დაფარული კალთები ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან — ტყე-სამოვრიანი გორაკები, მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი კი ვაკეზეა გაშლილი.

საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ სოფელს მეექვსე საუკუნიდან შეერქვა მარტყოფი (მარტომყოფი), რომელიც წმინდა მამა ანტონ მარტომყოფელის პატივსაცემად დაურქმევიათ. დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით — „აქ

დადგა იგი (ათყამეტი) მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე, ხოლო თვით მცირედ განშორებით ქებასა შინა მყოფობდა მარტოდ, და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი და აწ მარტყოფი“.

ამ თოთხმეტი საუკუნის წინ, ძია ალექსის თქმისა არ იყოს, ესე იგი, მამა ანტონის მოსვლამდე, სოფელს აკრიანი რქმევია. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ მამა ანტონმა „განვლო იგი (მტკვარი) და დაემკვიდრა აღმოსავლით, ვითაროთხ მილიონ ნაპარსა კლდისასა, შინაგან მთათა აკრიანთა“. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი პირდაპირ აცხადებს, რომ „მარტყოფი ძველად აკრიანის სახელითაა ცნობილი“.

„რაც შეეხება დღევანდელ მარტყოფს იგი ძველ ადგილ-სამყოფელს სამი-ოთხი კილომეტრითაა სამხრეთისაკენ დაშორებული. თავდაპირველად მარტყოფი (აკრიანი) მდებარეობდა იალნოს მთის სამხრეთ ფერდობებზე და ვაკე ადგილებზე ჰოტორის ხეობიდან ღვთაების მონასტრამდე“ (უშანგი სახლთხუციშვილი — „ტოპონიმთა“, I ტომი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1976 წ.).

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ ისტორიული ქრონიკის ავტორი — უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ტოპონიმთა კაბინეტის მეცნიერ-მუშაკი, ლატვიური ენის ჩინებული სპეციალისტი, მთარგმნელი უშანგი სახლთხუციშვილი მარტყოფის მკვიდრი გახლავთ. მარტყოფელია აგრეთვე უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერი-ისტორიკოსი, მარტყოფის ისტორიის მკვლევარი, საინტერესო წიგნის ავტორი აკაკი მათიაშვილი, სახელოვანი მარტყოფელი მამულიშვილების, მარტყოფიდან აწ განთესილი სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამით მხოლოდ იმისი თქმა გვსურდა, რომ მთელი ეს მრავალრიცხოვანი არმია ქალაქად დავანებული

მარტყოფელებისა, ან სამუშაოდ დასაცხოვრებლად სხვაგან გადასვლულთა უმეტესად ოქროს რეზერვს წარმოადგენს სოფლისათვის. რეზერვს, რომლის იმედიც ამოუწურავია აქაურ მკვიდრთათვის. და ეს, რეზერვის პრობლემა სწორედ რომ რაღაც კუთხით უკავშირდება მიგრაციისა და დემოგრაფიის ზემოთ წამოჭრილ საკითხებს. მართლაც, ქალაქთან სიახლოვე მეტად მაკდური ფაქტორია ადგილობრივ მკვიდრთათვის. და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ალბათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მითუმეტეს, როცა ეს განთესვა გამოწვეულია „პროფესიული მიზნებით“, არჩეული სამოქმედო ასპარეზის ზეგავლენით. რის მაგალითადაც უშანგი სახლთხუციშვილისა და აკაკი მათიაშვილის ქალაქად დავანებაც გამოდგებოდა. არა და ველარაფერს იტყვი, — საქართველოში უნივერსიტეტი ერთია და მათი სოფლიდან დროებით „ამოწერა“ ამითაც არის გამართლებული, მაგრამ არსებობენ სხვა მრავალი პროფესიისა და სპეციალობის ადამიანები, რომელთა გარდახვეწა ქალაქად მაინცდამაინც არავითარი ცხოვრებისეული აუცილებლობით არ არის გამოწვეული და ამდენხად მათ ამ გამოჩინებას არსებითი და ანგარიშგასაწვევი ლოგიკაც არ გააჩნია. მაგალითისათვის ავიღოთ მძღოლების კატეგორია. მითხრეს, რომ მარტყოფიდან წასული ათასამდე მძღოლი დააგრილებს თურმე ქალაქში მანქანას. და ეს მაშინ, როცა მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩეს ის გარემოება, რომ ლაპარაკია თორმეტათასიან სოფელზე, ერთი მომცრო რაიონისხელა მოსახლეობის მარტყოფზე! ამ რაიონ-სოფელში მძღოლების ნაკლებობა შეიგრძნობა. ეს მძღოლები! ახლა სხვა — საშუალო და ტექნიკური დარგის სპეციალისტები აიღე, რამდენმა შეაფარა ქალაქის ლაბორინთებს, იქაურ ასფალტსა და ხმაურს თავი?! ვითომ თავისუფლება მოიპოვეს, უჩინმაჩინის ქულები დიხხურეს, თანამედროვე ცხოვრების შუაგულ მდინარებას მისცეს თავი, და, შეიძლება

დაკარგეს კიდევაც მამაპაპური, აქა-ურთათვის დამახასიათებელი თვისებე-ბი სიალისა, კაცურკაცობისა, ანტონ ჩიტრიკაშვილისეული მიწასთან დამო-მოკიდებულებისა... და რაც მთავარია, ერთგვარად დააცარიელეს და გაალარი-ბეს სოფელი, რომლის გარეშემო გან-ფენილ მიწებსა და ახლებს ამჟამად მთელის ენერგიულობით შესევნიან და ითვისებენ მიწას დანატრებული „უცხო ქალაქელები“.

რა თქმა უნდა, მთელი რიგი აღნიშ-ნული საკითხებისა, როგორც ამის თაო-ბაზე მშვენივრად მოგვახსენა ოთარ ბოკერიაშვილმა, მთელის სისრულით შემო-ღის ჩვენს დღევანდელ საუბარში, სა-სურსათო პროგრამის სფეროში, ღონის-ძიებებისა, რომელიც ხალხის კეთილ-დღეობის შემდგომი ამაღლებისათვისაა მოწოდებული და მისი შემოქმედიც ხა-ლხია, ამიტომაც ასეთი საერთო-სახალ-ხო კამპანიის მალალ დონეზე წარმართ-ვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველთვის საზოგადოებრივ განწყობი-ლებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს განწყობილება გახლავთ ერთგვარი ბა-რომეტრი საქმისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა...

საუბარი სოფსაბაოს თავმჯდომარისთან

მაშ, ანუ, საქმისადმი საზოგადოებრი-ვი დამოკიდებულება!.. ჩვენი მასპინძე-ლი მარტყოფის ხელისუფლების უხე-ნაესი წარმომადგენელი, პატივცემული კაკო ერტელიშვილი გახლავთ. ჩვენი საუბარი შეეხება სასურსათო პროგრა-მასა და ამ ღონისძიებების ე. წ. „მიმ-დებარე საკითხებს“, როგორცაა მი-გრაცია, დემოგრაფია, შრომითი რე-სურსების მდგომარეობა, სოციალური საკითხები, და სხვადასხვა.

ავტორი:

— რა როლი შეიძლება შეასრულოს თქვენმა საბჭომ სასურსათო პროგრა-მის განხორციელების საქმეში? — ვე-კითხები კაკოს.

— შე ვიტყოდი, მეტად მნიშვნელო-

ვანი. — მასუხობს კაკო ერტელიშვი-ლი — ჩვენი დეპუტატების მუშეობით მასებში ვეწევით აქტიურ პროპაგანდას სასურსათო პროგრამის თაობაზე. მო-გვხსენებთ, ხლახს ბრმად საქმიანობა დიდად არ ეხალისება, ბოლომდე სურს იყოს ყველაფერში გათვითცნობიერებუ-ლი, როცა ყველა ნიუანსს გაუმხელენ და ზოგიერთ რამეებში შეუთანხმდე-ბიან კიდევ, იგი მორალურად კმაყოფი-ლდება და მზად არის ყურად იღოს ყოველი მოწოდება, აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივ მოძრაობაში. ამის თა-ობაზე შესანიშნავად ბრძანა თავის საყ-რილობო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ოცდაშვიდეკვე ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა ედუარდ შე-ვარდნაძემ:

„თავის მოტყუება და პოლიტიკური სიბეცეა, თუ გგონია, რომ ჩვენი თანა-მედროვის გონებასა და გულს ლიტონი ლოზუნგებით, მარტოოდენ კეთილი სურვილებით, მარტოოდენ მგზნებარე მოწოდებებით მოინადირებ, თუ გგო-ნია, რომ რაიმე ნაყოფს გამოიღებს მას-თან დიპლომატიზანა, თუ გეშინია, რომ ვერ გავიგებენ, თუ მასთან შეხვედრისას საკუთარი უპირატესობის იმედითა ხარ, სულ ერთია რომლისა, სამსახურებრი-ვის, ინტელექტუალურისა თუ სხვაგვა-რი უპირატესობისა. ახლა ხალხს უნდა ხედებოდე გულდიად, გულწრფელად და უშუალოდ, უნდა ესაუბრებოდე და ეკამათებოდე თანასწორობის ნიადაგ-ზე...“

ასეთმა თანასწორუფლებიანმა, უშუ-ალო დამოკიდებულებამ მასებთან თა-ვისი შედეგი გამოიღო. წლეულს მოსა-ხლეობიდან ჩავებარეთ 100 ტონა ხორ-ცი, 600 ტონა ბოსტნეული, 500 ტონა ხილი, თექვსმეტნახევარი ტონა მატყლი, 84 000 ცალი კვერცხი, ოცდაერთნახევა-რი ტონა ყურძენი, 14 ტონა-ნახევარი ყველი, რაც 145 ტონა რძის ექვივალენ-ტურია. კვლავ უნდა გავიხსენოთ სოფ-ლის სიახლოვის ფაქტორი ქალაქის ბა-ზრებთან, მოხმარების ცენტრებთან, საბაზრო ფასებიც, რა თქმა უნდა, და

მშრომელების ლტოლვაც დამსახურებული სარფისაკენ — ბუნებრივია მას სურს მარაგნამეტი მოსავლისა მაღალ ფასებში გაყიდოს... ასეთ ვითარებაში, სასოფლო საბჭოს შესვეურთ, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელის შემოთხოვნაშილი ნათქვამისა არ იყოს, მაღალი ტაქტიანობა და ფრთხილი და ზომიერი პროპაგანდა გეშარებეს, რათა ჩვენს სიტყვას მეტი წონა მიეცეს ხალხის თვალში, რათა მავანი და მავანი საზოგადოებრივი საქმისაკენ შემოვარიალოთ, დავთრგუნოთ მასში მომხვეჭველური, პირადული ხასიათის გრძნობები... მართლაცდა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური ხელოვნებაა საჭირო, რომ ბაზრისაკენ აჩქარებული გლეხი დამამზადებელი პუნქტისაკენ შემოაბრუნო ...ერთიც უნდა ითქვას, ასეთი ზნეობრივი შემოტრიალება როგორც ჩვენგან, სოფსაბჭოს ხელმძღვანელებისაგან, ისე თვით მშრომელებისაგანაც მაღალშეგნებულობას, პოლიტიკურ და მორალურ მომწიფებულობას მოითხოვს და სიამაყით შეიძლება განვაცხადო, რომ ჩვენი მშრომელების უმრავლესობა ამ დონეზე აზროვნებს, ამ დონეზე ფიქრობს და ერკვევა საქმის ვითარებაში. ფაქტი სახეზეა, მე უკვე დაგისახელებთ კოოპერირების გზით მოსახლეობიდან მიღებული პროდუქციის მაჩვენებელი ციფრები...

სამწუხაროდ, წამახალისებელი საშუალებებით ერთობ შებოქილნი ვართ, თორემ ჩვენი მცდელობა კიდევ უფრო დიდ ნაყოფს გამოიღებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხაზით.

— ბატონო კაკო, კერძო სექტორში რა პირი უჩანს მესაქონლეობას? — ვკითხე საბჭოს თავმჯდომარეს.

— ახალმა დადგენილებამ — „არც ერთი ოჯახი უფუროდ!“ — დიდი გამოცოცხლება გამოიწვია სოფლად. — დინჯალ მპასუხობს მასპინძელი, — ამ ბოლო დროს სოფლად ერთი-ორად იმატა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ... ბუნებრივია, ყოველივე

ამან გაზარდა მოთხოვნილება გასადევარ ფართობებზე, მოგესწინებათ, ყველაფერი ეს ერთმანეთზეა გადამბეჭდი და უნდა ითქვას, რომ ძალიან მჭიდროდაც მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს სოფლის გარშემო ხუთი კილომეტრის რადიუსით არსებული სოფლის გასადევარი ადგილები ქალაქის მოსახლეობას საბაღე ნაკვეთებად დაურჩევს, ქალაქელთათვის ნაკვეთების გამოყოფის წინააღმდეგ პრინციპში ვინ ჰკუთამყოფელი იქნება, მაგრამ, ჩემის აზრით, აქ ერთ გაუგებრობასაც უნდა ჰქონდეს ადგილი, საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს ნაკვეთები სოფლის სიახლოვეს კი არ უნდა დაერიგებინათ, არამედ უფრო მოშორებით, არა სოფლიდან ხუთ კილომეტრზე, არამედ, დავუშვათ, ათ-თორმეტზე... ამჯერად კი პირიქით გააკეთეს, სოფლის შორიახლოს საძოვარი ადგილები ქალაქელებს გაუნაწილეს, იმ ნაკვეთებს გადაღმა, თორმეტ კილომეტრზე მდებარე საძოვრები კი ჩვენსოფლელებს მიაკუთვნეს... აბა, ერთი მითხარით, თორმეტ კილომეტრზე ყოველდღიურად ივლის ძროხა? ან რა ღალა და ბარაქა უნდა მოიციეს ამ სიარულში დალოცვილმა პირუტყვმა? ძოვისათვის ფაქტიურად დრო აღარც რჩება, გალაღვენ და უკვე უკან მობრუნების ჟამიც აღწევს. ამიტომ ვთქვი, თორმეტ კილომეტრზე იმათთვის უნდა მიეცათ, ხუთზე კი ამათთვის-მეთქი. უბრალო ვადანაცვლებაა საჭირო მეტი კი არაფერი... მაგრამ ეს კაბინეტის თეორეტიკოსები ყველა დროში არიან ეტყობა ადგნენ და ეგრე მარტივად დაიანგარიშეს მთელი საძოვარი ადგილები, სოფელში საქონლის რაოდენობა, შესაძლოა მომავალში პირუტყვის ზრდის პერსპექტივაც გაითვალისწინეს, შესაბამისად გამოყვეს საძოვრები, მაგრამ ის უმთავრესი მომენტი კი გამოჩნათ, რომ ჭერჭერობით მფრინავი ძროხების ჭიში ჩვენთან არ მინახავს, ისე, იცოცხლე, ჭიშების მრავალფეროვნება არ გვაკლია, მაგრამ ეს მფრინავი ფური ან ფურკამეჩი ჭერ არ

გამოუყვანიათ, ანდა შესაძლოა, გამოიყვანეს და გზაშია სადღაც. ჩვენ ფანტასტიკაში გადავევარდით, იმისი თქმა კი მინდოდა, რომ ამ კამპანიის დროს მეტი სიფრთხილე გვმართებს ხოლმე, რათა საერთო მოძრაობას ბრმად აყოლამ, ანდა მავანი ავტორიტეტული შემსრულებლის ანგარებიანმა კუკუმალობამ კვლავ ახალი საზრუნავები არ გაგვიჩინოს მომავალში. მე ვიტყვოდი, გამოუსწორებელი საზრუნავები. ერთერთ ასეთ აბრაქადაბრად ეს, სოფლის გარშემო ნაკვეთების დარიგების ამბავი მიმჩანია. ვითომ ნაკვეთებს იმიტომ ვაძლევთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები მეტი ვაწარმოოთ, მათზე მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ, და ამავე დროს, თორმეტიათასიან სოფელს სულთამხუთავ ალყად ვერთყმით გარშემო და ამ პროდუქტების ნამდვილ მწარმოებელს გასაქანს ვუსპობთ. ერთი სიტყვით, იმისი თქმა მწადაიან, რომ მარჯვენამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს მარცხენა. არა და ზომ იოლზე იოლი გადასაწყვეტია ეგ პრობლემა, ბოლოსდაბოლოს, ქალაქელებისათვის ხუთიოდე კილომეტრს სიშორე-სიახლოვის თვალსაზრისით ისეთი რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მაინცდამაინც... რომც ჰქონდეს, უნდა შეეგუოს როგორღაც, რას იზამ, როცა არჩევანის საშუალება ყოველთვის არა გაქვს ხოლმე...

ნაკვეთების სოფლების სიახლოვეს გამოყოფამ ზოგიერთი არასასურველი მოვლენაც გამოიწვია. ხშირად აქ სამუშაოდ კი არა, დროის სატარებლად, საქეიფოდ უფრო მოდიან ქალაქს გამორიდებული ვითომც მიწაზე შეყვარებული ახალგაზრდები, მოაქროლებენ მანქანებს, მოპყრიან ამხანაგებს და ერთ დღეში არიან... ცუდი ჩვევები შემოაქვთ. ამათ აღვირახსნილობას ხშირად წააწყდებიან ხოლმე ჩვენი ბავშვები, ახალგაზრდობა. მოგვხსენებათ, რა გადამდები სენია ეს ლოთობა და უსაქმურობა. გარდა ამისა რვა კილომეტრზე გაჭიმულ სოფელს შუაში ერთადერთი სამანქანო მაგისტრალი ჩამოუდის,

შაბათ-კვირაობით ვიწრო ქუჩა ამდენ მანქანებს ვეღარ იტევს, ხშირად ვეჭვოვართ, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტით ამ დღეებში ადგილობრივ მკვიდრთ უძნელდებათ მგზავრობა მათი გადატვირთულობის გამო... დიახ, რალაც წინააღმდეგობები წარმოიშვა, ვშიშობ, ეს წინააღმდეგობა კიდევ უფრო მეტად არ გაღრმავდეს მომავალში.

ამ „ნაკვეთიზაციასთან“ დაკავშირებით მინდა ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია თქვენს მიერ წამოჭრილი მიგრაციისა და დემოგრაფიის პრობლემებთან. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ ბოლო დროს, სოფელს განსაკუთრებით დაედო ფასი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტმა ქალაქად ჩვენი სოფლის ავტორიტეტი აამაღლა. დაკვირვებული თვალი უკვე შეამჩნევს ქალაქიდან სოფლად უკულტოლის ტენდენციას თავის პირველნასახოვან ფორმაში. ეს კარგიც არის და ცუდიც. კარგი იმიტომ, რომ მომავალში მაინც აღარ დაცარიელდება ჩვენი სოფლები, ცუდი კი იმაზედა, რომ ეს ძე-შეცთომილნი, ზემორობით ვამბობ, რა თქმა უნდა, სათავისო ადგილ-მამულს მოითხოვენ, ძველი საცხოვრისების დაბრუნება სწადიათ. ყველაფერი ეს კი მეტად რთული საქმეა. ეს ადგილები უკვე დიდი ხნის დაკავებულია მავანის მიერ. მაშინ ისინი მოითხოვენ ამ საბაღზე ადგილების გამოყოფას თავისი მშობლიური სოფლის სიახლოვეს. და ასაბუთებენ კიდევაც ამ მოთხოვნას იმით, რომ რიგითი ქალაქელისათვის თუ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს მათთვის, სულაც არ არის სულერთი სად მისცემენ ნაკვეთებს; მათ ურჩევნიათ მშობლიური სოფლის სიახლოვეს დაიდონ ბინა და ასე თუ ისე, კვლავ მის კალთას შეაფარონ თავი, ყოველშემთხვევაში, ძველი დროების იმიტაციას ესწრაფვიან. ჩვენ ამ საკითხზე მრავალი განცხადება მივიღეთ, სოფელში დაბრუნებისა და მის სიახლოვეს ნაკვეთების გამოყოფის ათასო-

ბით მსურველი გამოჩნდა, ჩვენ, სამ-
წუხაროდ, არა გვაქვს ამ საკითხების
თაობაზე რაიმე ჩამოყალიბებული მი-
თითება ანდა კანონი, რომ საფუძვლი-
ანი პასუხი გავცეთ ძე-შეცთომილებს,
არა და ისინი უკვე ზემდგომი ორგანო-
ებისაკენ მიიჩქარიან ამ საკითხების გა-
დასაწყვეტად, დახმარებას ითხოვენ...

ავტორი:

— ბატონო კაკო, თქვენ ზემოთ ახსე-
ნეთ უეჭუროცისი. ამ თავისთავად საი-
ნტერესო მოვლენას დაკვირვებული
თვლით რომ შევხედოთ, რა სიკეთის
მოტანა ძალუმს მას ქართული სოფლი-
სათვის? ხომ არ გვექნება აქ საქმე მე-
ტადრე მექანიკურ გადაადგილებასთან
და არა თვისობრივ და ფსიქოლოგიურ
მოვლენასთან, რამდენადაც სასოფლო
საქმიანობის დარგები, კერძოდ კი მესა-
ქონლეობა, მიწათმოქმედება და სხვა
თავისებურ მუშურ ფსიქოლოგიასა და
გამოცდილებას მოითხოვს აღმნიანები-
საგან, აღმოაჩნდებათ მესაქონლისა და
მიწათმოქმედის მამაპაპური ბუნება ამ
ყოფილ ქალაქელებს, ანუ, როგორც
თქვენ მათ ხუმრობით მოიხსენიებთ ამ
ჩვენს ძე-შეცთომილებს?

კაკო ერთელიშვილი:

— აქ ერთი რამ შეიძლება ითქვას,
დღეს იგივე მესაქონლეობაშია და მი-
წათმოქმედებაშიც ისე ღრმად შეიჭრა
ტექნიკური და გნებათ მეცნიერული
პროცესები, რომ მათ ძირფესვიანად შე-
ცვალეს ჩვენს წარმოდგენაში დღემდე
შემორჩენილი თვით არსი ძველებური
მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის
დარგისა. შეიცვალა მწყემსის ცხოვრე-
ბის ნირი, შეიცვალა მხვენელ-მთესვე-
ლის მდგომარეობაც — ამჟამად გუთ-
ნისდღეს უკვე მექანიზატორი ჰქვია და
იგი აჩაჩას კი არა უშველებელ ტრაქ-
ტორს მართავს და ერთბაშად რამდენიმე
პროფესიას ფლობს... იმ ლექსისა არ
იყოს, „დრო შეიცვალა, ჰე, მზეო, კვე-
რი აღარა გვჭირდება, ყანასა ვლუწავთ
მანქანით, სამუშაო დროც მცირდება...“
ეგ როდის არის დაწერილი, ჭერ კიდევ
ჩვენს ბავშვობაში, მას მერე ხომ მთე-

ლი რევოლუციები მოხდა სოფლის მე-
ურნეობის სფეროში, მთავარია გარდა-
ტეხა ამ დარგში, ჩემის აზრით, წინ
არის, და ეს ისევ და ისევ ტექნიკისა და
მეცნიერების მეშვეობით უნდა განხორ-
ციელდეს, ასე რომ ქალაქური ფსიქო-
ლოგია სოფლურისათვის უფრო და
უფრო მისაღები შეიქმნება, ამდენად
სოფლის გამდიდრებას, მოსახლეობის
ნამატით შევსებას სამომავლოდ დიდი
პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშე-
ნელობა ენიჭება... რალა შორს მივდი-
ვართ, განა ჩვენს მეურნეობაში ცოტაა
ქალაქიდან მობრუნებული, ანდა სუ-
ლაც სხვა რაიონიდან სამუშაოდ გად-
მოსული? ეს ურთიერთგამდიდრების
პროცესიც, საბოლოო ჯამში, ჩვენს წის-
ქვილზე ასხამს წყალს, სასურსათო
პროგრამის წისქვილზე...

უკუპროცესი ანუ დაბრუნება სოფლად

საბჭოს თავმჯდომარეს გამოზომილი
სიტყვა ჰქონდა. მისი მოსაზრება სოფ-
ლისა და ქალაქის ურთიერთგამდიდრე-
ბის თაობაზე ჭკუაში დამიჭდა. კაკო მა-
რთალი იყო; მართლაცდა ჩვენს ყო-
ველდღიურ სინამდვილეში ერთი მეტად
მნიშვნელოვანი მოვლენა მიმდინარე-
ობს, გინდა თუ არ გინდა, იგი თავისით
ივალავს გზას და იფართოებს კალა-
პოტს — ეს გახლავთ სამრეწველო და
სასოფლო დარგების ერთგვარი დახ-
ლოების, უნიფიკაციის ყოვლისმომცე-
ლი პროცესი. აჩაჩისა და ტრაქტორის,
გუთნისდღისა და მექანიზატორის მა-
გალითიც სწორედ ამაზე მეტყველებს.
ერთი სიტყვით, თანდათან მცირდება
განსხვავებულობა სასოფლო და საქა-
ლაქო სექტორების შინაარსსა და ხასი-
ათს შორის, დარგობრივი შრომისა და
მოსაქმეობის თავისებურებებს შორის.
ზშირად, როცა ვამბობთ ხოლმე — მე-
საქონლეობის ლიმიტირებამ საქონელ-
თან ერთად მესაქონლის, მწყემსის, ჩო-
ბანის, გუთნისდღის ფსიქოლოგიაც
იავარქმნაო და გვაშფოთებს კიდევაც

ეს ამბავი (ჩვენი ნარკვევის თავშიაც საკმარისად გვქონდა ამ მოვლენაზე საუბარი), მარტყოფის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ჩვენდა სახუგეშოდ მოხმობილ თვალსაზრისის თუ მოვიშველიებთ, ეს შინაგანი მდელვარება ნაწილობრივ მაინც დაცხრება. და, მართლაც, იგივე მეურნეობის დირექტორი, ბატონი ანგელატ რუსეიშვილი, იგივე მეთოთხმეტე ბრიგადის ხელმძღვანელი თენგიზ ახვლედიანი, ანდა ყიზლარის საძოვრების სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად მარტყოფის მკვიდრი, მესაქონლეობის დარგის ცნობილი სპეციალისტი გრიშა ონიანი ქალაქელები არ არიან—სხვა კუთხით მოსულნი მარტყოფში სამუშაოდ?

გივი კირეულიშვილი ავიღოთ, მეურნეობის ერთ-ერთი თავკაცი, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დაუღალავი, ენერგიული ახალგაზრდა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ბალჩეული კულტურების მოყვანის, შენახვის და გამოყენების ტექნოლოგიის დარგში სამი გამოგონების ავტორი; გამოგონებებისა, რომელთა აქტუალობამ, მახვილგონივრულობამ და ორიგინალურობამ, სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვან სფეროში დანერგვისა და გამოყენების ფართე შესაძლებლობებმა ფაქტიურად განსაზღვრეს ხელმძღვანელის გარეშე მომზადებული დისერტაციის ერთსულოვანი აღიარება და მოწონება მოსკოვში სამეცნიერო საბჭოს წევრების მხრიდან. არც ერთი შავი არ მიუღია უცხო ქალაქში ნაცნობისა და პატრონის გარეშე ჩასულ ჭერ კიდევ უწევრულევაშო ახალგაზრდა სპეციალისტს. თბილისში ჭერ საკონსერვო ქარხანაში მუშად მუშაობამ, მერმე ცვლის იჩენირად დაწინაურებამ, ხოლო დისერტაციის დაცვის მერე შებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში ხილის შენახვის განყოფილებაში მეცნიერ-მუშაკად გადაყვანამ საკმარისი გამოცდილება შესძინა თავისი საქმით დაინტერესებულ ახალგაზრდას, მაგრამ გული მაინც

ვერ გაუნელა შობლიურ სოფელზე, იქაურ სანახებსა და ადამიანებზე და აქ განა იგიც ქალაქით მობრუნებულს ახარის სოფელში?

— ვგრანობდი, ინსტიტუტის განყოფილებაში ჩემი მუშაობა, გალიაში იაღონის გალობას ჰგავდა — მეუბნებოდა ბრიგადებისაკენ გზად მიმავალს გივი კირეულიშვილი — ვხვდებოდი, რომ აქ არ იყო მხრების გასაშლელი ასპარეზი, დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფართე სარბიელს მოითხოვდა, სადაც საკუთარი შესაძლებლობის გამოყენებისა და ხალხის სასარგებლოდ მისი გამოყენების მეტი საშუალება მომეცემოდა. ყოველთვის მაწუხებდა ეს გრანობა უკმარისობისა, იმ მომღერალი ჩიტებით თავზე ჩამოცმული ხუფის შეგრძნებისა... ბოლოს მივხვდი, სოფელი მომნატრებოდა, იქ იყო ჩემი ადგილი, ჩემიანებში, ნაცნობებსა და მეგობრებში, კარგად თუ ავად იმ ხალხში. უნდა მეტრიალა, იმათ გვერდზე უნდა დავმდგარიყავი ერთ სვრელში, ვისთანაც გავიზარდე, რა წიაღშიაც დაეკაცდი, ვისი სიწმინდეც გაფრთხილებასავით მომაცილებდა ცხოვრების გზაზე და ვაეის სტრიქონებით მომიწოდებდა: დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე, აქა ვარ ჩემის თავითა, გულითა გაუტეხელი, მოუღალავი მკლავითა, რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შევეკერი ზავითა, რწმენას ვერ შემაცვლევიებ, მოზვავებულის ავითა... — ათას ახალგაზრდულ და არა მარტო ახალგაზრდულ ცთუნებას გამოვალწიე და მოვაშურე ფართე მინდორსა და ასპარეზს. მართალია, ეს ასპარეზი ჭერ ბოლომდე შეუვსებელია სასურველი შინაარსით, მაგრამ ალბათ თანდათან ყველაფერი მოგვარდება...

— რა გაქვთ მხედველობაში? — ამ „სასურველ შინაარსში“ რა იგულისხმება-მეთქი — დავეკითხე გივის.

— მეცნიერული საქმიანობა. — მიპასუხა მასპინძელმა — მართალია, პარტიული მუშაობა თავისთავად საინტერესო და სახალისოა, მაგრამ მე ხომ

პროფესიით კვების მოწვევლობის ტექნოლოგი ვარ, ტომატის წარმოებიდან დაწყებული ფუტკრის ძვირადღირებულ შხამის მიღების ტექნოლოგიამდე ყველაფერი მეზება და ვიცი კიდევაც, ბოლოსდაბოლოს, სამი გამოგონების ავტორი ვარ და ხარისხიც გამაჩნია, ასე რომ ყველაფერი ამის შედეგა დანაშაულად მეჩვენება, ჩემს უბანზე რომ მოვისწრაფოდი ცოდნის პრაქტიკულ განხორციელებაზედაც ვოცნებობდი... იმაზეც ვოცნებობდი, რომ იქნებ ორი-სამი ახალგაზრდა მაინც აღმეზარდა ჩემი დარგით, გადაშეცა ჩემი ცოდნა და გამოცდილება, მომეზადებინებინა მათთვის დისერტაციები... ერთი სიტყვით, ჩემი კეთილი ნატორალი დამერჩინა ცხოვრებაში.

— სოფლად წმინდა მეცნიერული მუშაობის იდეალური პირობები, ბუნებრივია, ნაკლებად იქნება, ამისათვის თავიდანვე უნდა ყოფილიყავი შემზადებული-მეთქი — შევესიტყვე გივის.

— არც ეგერა საქმე. აი, სამგორის საცდელი ნაკვეთის ბაზაზე, საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს ამჟამად. თავისი ჭირნახულითა და დოვლათით განთქმული ჩვენი რაიონისხელა სოფელი იმსახურებს საცდელი ქსელის გაფართოებას, სადაც უშუალოდ შეისწავლებოდა და მეცნიერულ დონეზე შემუშავდებოდა ახალი ჯიშების გავრცელების რეკომენდაციები, მათი კვებითი ღირებულებანი, შენახვის, ავადმყოფობისადმი მიდრეკილებისა და მედეგობის თავისებურებანი... ტექნოლოგიის დარგში თანამედროვე მეცნიერული მეთოდები თუ არ შევიმუშავებთ და დავნერგებთ, მარტოდუნ პროდუქციის წარმოების ზრდა სათანადო ეფექტს ვერ მოგვეცემს. სიბრმავე ყველგან ხელშემშლელია...

ზემოთ ფუტკრის ძვირადღირებულ შხამზე ჩამოვადგე საუბარი, ჩვენ ამჟამად იგი ვალუტაზე შემოგვაქვს საზღვარგარეთიდან. მთელს მსოფლიოში ამ დეფიციტურ სამკურნალო ნივთიერებაზე დიდი მოთხოვნილებაა, დღემდე მი-

სი მიღების ე. წ. უმტკივნეულო და უდანაჯარგო ტექნოლოგიას ვერ შევქმენავით, როგორც წესი, ფუტკრის შხამის გამოყოფისთანავე, ესე იგი, კბენისთანავე კვდება. ჩვენ კი მივაგენით ახალ მეთოდს, როცა შხამის მიღება არ იწვევს ფუტკრის სიკვდილიანობას. ამ რამდენიმე წლის წინ ამ იდეის განხორციელება ფართე მასშტაბითაც დავისახეთ და ზემდგომ ორგანოებში წარვადგინეთ მეფუტკრეობის განვითარების და კერძოდ კი ძვირადღირებული შხამის მიღების თაობაზე საკუთარი მოსაზრებანი. ენახოთ, რა ბედი ეწევა მას.

ბოლოს ჩემს დღევანდელ მასპინძელზე გივი კირეულიშვილზე ერთი რამის თქმაც შეიძლება, მას სხვა არანაკლებნიშვნელოვანი დისერტაციაც აქვს დატული — ოჯახის მამობის დისერტაცია...

— გივი სამი შვილის მამაა. ერთი ნიუანსიც — ყველაზე პატარას, შინაურულად „ნოლასმს“ ეძახის...

ანტონ ჩიბრიკაშვილის „ულეხარი“

ბოლოსდაბოლოს ეს ანტონიც ხომ ქალაქიდან მობრუნებული აღმოჩნდა. სად არ უბუშავნია მას — წყალთა შეურნეობის, გეოლოგიური სამმართველოს სისტემაში თუ სხვაგან. არც თუ ურიგოდ მისდიოდა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ქალაქად საქმეები, მაგრამ გივის თქმისა არ იყოს, გულს მაინც აქეთ გამოუწევია, სოფლისავე, ცოლ-შვილისა და ბავშვობის სანახებისავე.

— ახალგაზრდა, ხომ იცი, დაუურევბელი ცხენივითაა. თავგონარეულივით გაიწევეს და გამოიწევეს — იხსენებს თავის პირველ ნაბიჯებს ანტონი — სიშმაგით შეიძლება უფსკრულშიაც კი გადაიჩხოს, მე მინახავს ულაყები, გასახედნად რომ წავეტანებოდით, სიშმაგით უფსკრულში ზტებოდნენ ხოლმე, პატრონებს არ ემორჩილებოდნენ. ცხოვრება შესანიშნავი მხედნავია. ჩვენაც ვაგვხედნა, ზოგიერთები. და აი, წამოვე-

დით სოფელში და დღეს აქა ვართ... უღვევარზე... ნათქვამია, კაცი შეცდომებზე იზრდებაო. მინდა ჩემმა შვილებმა აქიდანვე ისწავლონ სოფლისა და მიწის ყადრი, ამიტომაც ორივე აქ დამიდის. ეს უფროსი ჩენი ბრიგადის სრულყოფილებიანი წევრია, უმცროსი ისე, თავისი სურვილით წამოგვეხმარება ხოლმე, ჩვენთან უხარია ყოფნა და იყოს, რა... ამაზე უკეთეს ადგილას სად წავა... მე შენ გეტყვი და, კაცმა რომ თქვას, პატიოსანი შრომისა და ოფლისღვრაზე, მიწასთან ლალ ჭიდილზე უკეთეს სანახავს რას ნახავს ადამიანი... მითუმეტეს, ახალგაზრდა კაცი. ეს ხომ გარდა მოვალეობისა, ყველაფერ ტრადიციულის, ქართულის და საბოლოო ჯამში, მამულის სიყვარულია. მე ასე მესმის, ასე ესმოდით ჩემს მშობლებს, ასე ესმით ჩემი ბრიგადის წევრებსაც, რომ მამულის სიყვარული პირველ რიგში პატიოსანი შრომაა, პატიოსანი ცხოვრებაა, რა თქმა უნდა, შრომის მერმე დასახურებული დასვენებაცა... კარგი ქეიფიც არის ხანდახან, მაშ რა... ჩემებმა აქიდანვე მინდა შეისისხლორკონ ეს ანდერძი... სწავლაც გააგრძელონ, აუცილებელია, მაგრამ ნაძალადევი არც ისა ვარგა. ამ ბოლო დროს ნამეტანს ვაძალებთ ამ უმაღლეს სასწავლებლებს შეილებს. მოდად იქცა ეგ დაძალება და ბოლოს იმაზე კი აღარ ვფიქრობთ, აი, სულ უბრალო მაგალითიც რომ ავიღოთ, ეგ ქარხნები და ფაბრიკები ბარებს, ნიჩბებს, თოხებსა და სხვა სამუშაო იარაღებს, გენბავთ წინდის ჩხირებს რომ უშვებს, ვინ უნდა დაიჭიროს ესენი ხელში?.. ტრაქტორები ხნავენ მინდორ-ველებს, მართალია, მაგრამ მართო ეგ ხომ არ უშველის საქმესა, იმ ტრაქტორს უკან ბართია და თოხით უნდა მიჰყვეს ადამიანი, რომ მოსავალი ორმაგი მოიწიოს. დღესაც ჭირს ეგ მიმყოლი და მერე და მერე კი სულ რაღა იქნება. ეს უსწავლელი, შემორჩენილი ძველები რომ წავლენ, იმათი შზე რო ჩაესვენება... ჭირს, მაშ არა ჭირს? აი, მარტო ჩენი სოფლის სავარგულე-

ბი რო აილო, 9 000 ჰექტარამდე აღწევს, მშრომელი მოსახლეობის მხოლოდ თითოთასი იქნება ან არც იქნება, ამ ხუთათასიდან ერთი ნახევარზე მეტი კიდევა ქალაქად დაედინება სამუშაოდ, ანდა კაბინეტებში სხედან სოფლადა, რაღა გამოდის, ჰექტარს რამდენი კაცი შემორჩა ბოლოსდაბოლოს? ნახევარკაცი, ანდა მესამედი, შეიძლება ისიც არა... წარმოგიდგენიათ, რა ოხრული ბულალტერია გამოვიდა! მერე კიდევ გვიკვირს, მოსავალი საკმარისი არ მოდისო. მესამედი კაცი გასწვდება ჰექტარსა? სხვაგან იქნება მეოთხედიცა სწვდება, მაგრამ ყველას თავისი პირობები აქვს, თავისი შესაძლებლობები გააჩნია, ჩვენთან კი ნამდვილად ვერ გასწვდება და ვერც სწვდება, იმიტომაც მოსავლის ზეაზე ვერ ელაპარაკობთ ქადილითა და გულდაჭერებით...

— ესე იგი, ჩვენმა ახალგაზრდობამ რა ქნას ბოლოსდაბოლოს, არ უნდა ისწავლოს? აი, მაგალითად, შენებს რას უპირებ... ასწავლი თუ არ ასწავლი? — შემაცბუნებელი შეკითხვით გავაწყვეტივით საუბარი ანტონს. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობდი ასე, შეცბუნდება-მეთქი, მაგრამ ძარღვიც არ გასტოკებია. პირიქით, მგონი სახე უფრო გაებადრა კიდევაც. ანტონმა გულლია მაპინძლის სიალალით მომიგო:

— ჩემებს მექანიზატორებად ვამზადებ, ანდა ზოოვეტერინარულზეც რო ჩააბარონ, კარგი იქნება. მესაქონლეობას მიხედავენ, მექანიზატორობასაც დაეუფლებიან... ასეთი პრაქტიკული უძალესები მომწონს. კაბინეტის მეცნიერები კი დიდად არ მეპოტნავენბიან. ვაი მეცნიერები, თორემ ნაღდები ღმერთმა გვიმრავლოს. მე იმის მეშინია, და არა მარტო მე, მრავალს უშინია უკვე, ის ნაღდები თანდათან მცირდებაიან მგონია და ეს ფუფე თავთაგები მრავლდებაიან და მრავლდებაიან, აკებენ უმაქნისოთა აღზევებულ არმიას. თანაც ვის ხარჯზე, თუ მიხვდებით... აი, ამ ბიჭების ხარჯზე... — თავისი ბრიგადის წევრებისკენ გაიშვირა ხელი ანტონმა.

— იცი, რა, მართლა, ჩემზე თუ დაწერ ამათზეც უნდა დაწერო. აქაც არ უნდა დაირღვეს ჩვენეული თანასწორუფლებიანობის პრინციპი, კარგი იქნება, ყველას სახელსა და გვარს თუ ჩაინიშნავ. უკლებლივ ყველასი... ეგ, უბრალოდ, ჩემი ერთადერთი სათხოვარი იქნება. ეს ჩემი ვაჟბატონი ზურაბი გახლავთ, ეგა ნუგზარ ჩიქიძეა, მერე შოთა კახურაშვილი დგას, ნიკო სტეფანაშვილი, ჭემალ გაიხარაშვილი, მალხაზ, თამაზ, აეთანდილ, ნიკოლოზ ბანეთიშვილებიც არ გამომიტოვო, სამი მათგანი ჭარიდან ახალდაბრუნებულია, უღვევარზე ქარბორბალას ატრიალებენ, მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვახტანგი მოდის, იმედაშვილი, ტარიელ შპეტისშვილი მანქანის ძარაზე რომ ამძვრალა, ისაა, ყველაზე ახალგაზრდა მექანიზატორი კი გულვერ მამუკელაშვილია, ჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ ერთი დაგანახე, რა ოსტატურად დააბულღრავენს ტრაქტორს, გამოცდილ მძღოლებს შერთ მაგისი, ოთარ მამუკაშვილიც ჭარიდან ახლად დაბრუნებულია, ასევე გოგოჩაშვილი მერაბიცა, გუგუნაშვილი ირაკლი და ალექსი რაზმაძე, ანუ შინაურულად ძია ალექსი, ჩვენი ბებერი ხარები, რქებითაც რო ეწვივან საქმესა. ასეა, გონიერება და ენთუზიაზმი შერწყმულია ერთმანეთთან. როცა რჩევა და აზრია საჭირო, ალექსისა და ირაკლის ვესესხებით. მოჭნილობა კი ამ ვაჟბატონებს მოჰკითხე... იმიტომაც ჩაგაწერიხე, რომ ღირსნი არიან პრესაში გამოქვეყნებისა. ზოგს ეგ ამბავი მოყირპებულიც კი აქვს, სულ გაზეთებშია როგორაც, ეგენი კი დანატრებულნი არიან და, რაც მთავარია, იმსახურებენ კიდევაც...

საუბარი სოფსაბაოს თავმჯდომარესთან

ავტორი:

— თქვენ საინტერესოდ ილაპარაკეთ სოფლისა და ქალაქის ურთიერთგამდინდრების პროცესზე, რას გვეტყობით

განთესვის მიზეზებზე? ობიექტურია ისინი თუ არა ობიექტურია შესაძლებელია მათი აღმოფხვრა? **გეგლიძე**
კაკო ერთელიშვილი:

— მიზეზები მრავალგვარია. მათ თავისებურებას ძირითადად ასაკი და მსოფლმხედველობა განსაზღვრავს, ასევე, რა თქმა უნდა, მუდმივი სამუშაოსადმი ლტოლვა, ახალგაზრდობა ფაქტიურად მოდურ გატაცებათა გამო მიეშურება ქალაქად. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ფუფუნებასა და იოლ ცხოვრებას ეძებენ. ოცდაათ წელს გადაცილებულნი შუახნის ასაკამდე ჩათვლით ქალაქში მუდმივ სამუშაოს ეხარბებიან, მოგვხსენებთ, სოფლის მეურნეობაში სამუშაო სეზონურ ხასიათს ატარებს, რთულიც არის, ქალაქად კი წლიური შემოსავალი გარანტირებული აქვთ... ამ მიზეზით ჩვენი სოფლიდან ქალაქად ათას ექვსასი კაცი დადის ყოველდღიურად. ეს არც თუ ისე ცოტაა ერთი სოფლისათვის... მიზეზთა შორის არც თუ უკანასკნელთაგანია აგრეთვე თვით დასახლების კეთილმოწყობლობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მეტად დაბალი დონე. სოფელს არ გააჩნია კომუნალური მომსახურება. არა და როგორც უკვე ითქვა ამის შესახებ, შენ სოფელი უძახე და მოსახლეობის რაოდენობით ლამის მთელი რაიონისხელაა. საბჭო, მოგვხსენებთ, საბიუჯეტო ორგანიზაციაა, აქ მკაცრად არის განსაზღვრული გამოყოფილი სახსრების დანიშნულება. მათ, ეგრეთწოდებულ, „ცხელ უბნებზე“ — შენი ნება-სურვილისამებრ ვერ გამოიყენებ... ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ აქ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ. ვცდილობთ შრომითი ჰეროიკა სხედასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებით გავამდიდროთ და შევავსოთ, სოფლის ცხოვრება ხალისიანი გავხადოთ. წლებსა, მაგალითად, გვინდოდა, სოფლის დაარსების 2000 წლის იუბილევ აღგვენიშნა. ისტორიული მასალების ორგანიზაციას მოვრჩით უკვე, მაგრამ მესამე ყორღან-სამარხმა

შევივალა ხელი. — კაცოს ღიმილმა გადაურბინა სახეზე და ყურადღებით შემომხედა, მცირეოდენი პაუზაც გააკეთა, თითქოს მცდიდა, რა ეფექტი მოახდინა ნათქვამმა...

ვისარგებლუ ჩამოვარდნილი პაუზით და ვკითხვ:

— რაო, შეჩერდითო?

— ჰო, რა... დაახლოებით ეგრე მოგვაძახა ტომის ბელადმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის ზღურბლიდან. მე შენ გეტყვი და არ დაუჭერებდი თუ? ჩვენ რა, მეცნიერებმა დაუჭერეს, ტომის ბელადს ვინ არ დაუჭერებდა...

— რაო, რა თქვა ტომის ბელადმა?

— რა ორი ათასი, რი ორი ათასი, როცა, აი, მე ოთხიათას ხუთასი წლისა ვარ და ეგ სოფელი კი ჩემს დაბადებამდე კიდევ ვიღამ უწყის, რამდენი ხანია, არსებობდაო, აქვე, ახლომახლოში ჩემზე ხნიერი ბელადებიც იქნებიან, შეიძლება იმათ უფრო კარგად ახსოვდეთ მაგისი ასაკოვნებაო, მაშა...

— მერე, აღმოჩნდნენ უფრო ხნიერი ბელადები?

— ჯერ არა, მაგრამ აღმოჩნდებიან. აქაურობა, ხედავ, ამ გათხრილი სამის მსგავსად სულ ხელოვნური გორაკებითაა მოფენილი, ეტყობა, მთელი ეს არეშარე ტომის ბელადებისა და გამოჩენილი ხალხის სამართავანს წარმოადგენს. ამიტომაც იყო, იუბილემ გადაიწია, ჯერ საბოლოო თარიღში უნდა შეთანხმდნენ მეცნიერები. სიტყვამ მოიტანა და აქვე იმასაც დავსძენ, რომ მარტყოფი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სოფელია თავისი სიძველის ძეგლებით, მარტო სოფლის ახლომახლო ხუთი ეკლესია არსებობს. ერთი მათგანი თვით სოფელშია, ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც მარტყოფის მკვიდრის, შავ ბაზარზე გაყიდულის და შემდგომ სახელგანთქმული მამულქვისა და ეგვიპტის მმართველის აბრამ შინჯიკაშვილის მიერ იქიდან გამოგზავნილი ორასი ოქროთია აშენებული. ისტორია ასეთია, აბრამი ოცდაცხრა წელი მარ-

თავდა ეგვიპტეს. მთელი ამ ხნის მანძილზე მას ჩინებული ურთიერთობა უქონდა ერეკლე მეფესთან, თავისი შმა და ბიძაშვილი მიიწვია კიდევაც სტუმრად ეგვიპტეში. იქ ყოფნისას აბრამს უკითხავს მათთვის — დედაჩემი სად ღვთისმშობლის ეკლესიაში ვეღარ შეიძლება სიარულსო. ეს ეკლესია, მოგეხსენებათ, ძველი აკრიანის ტერიტორიაზე მდებარეობს, მარტყოფიდან ხუთიოდე კილომეტრზე, ჰო და უთქვამს აბრამს — სადმე ახლოს ააშენეთ სამლოცველო. ამ დროისათვის აბრამი შჯულშეცვლილი იყო, მაგრამ ქრისტიანულ რწმენას პატივსაცემდა.

ასე აშენდა სოფლის ცენტრში ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის აღდგენასაც ჩვენ ვაპირებთ. ამ საქმისათვის სოფელმა საჭირო სახსრები შეაგროვა კიდევაც...

— ძეგლთა დაცვის სამმართველო თუ გეხმარებათ აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაში?

— გვეხმარება. უფრო სწორად მოგვეხმარებოდა, მაგრამ ამჟამად გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებითაა იგი დაკავებული. ეს ვასაგებიცაა, რა თქმა უნდა... მერეც დაგვეკირდება სამმართველოს მზრუნველობა. აღსადგენი და შესაკეთებელია მეხუთე საუკუნის აპარნის წმინდა გიორგის, ბორკილის ჯვრის წმინდა გიორგის, სამების წმინდა გიორგის, კოტორისა და ვეძების წმინდა გიორგის, აგრეთვე მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიები, ფორტიფიკაციული დანიშნულების სამი ციხე-კოშკი და სხვა...

ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა მარტყოფში დაარსებულიყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის რაღაც ფილიალის მსგავსი დაწესებულება. ამოდენა სიძველეთა ძეგლებს ხომ პროფესიული მიხედვა და ყურადღება სჭირიათ. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება მარტ-

ყოფში. ბოლოსდაბოლოს, მარტო ამ ყორღან-სამარხების გამო იმსახურებს იგი ამ პატივს. მხედველობაში მაქვს გამოვლენილი და ასევე გამოუვლენელი უძველესი სამაროვნები; სკოლის წითელ კუთხეში დროებით გამოფენილი მრავალი ნივთიერი ძეგლი, იშვიათი რელიქვიები, ისტორიული ნივთები ერთად მოიყრის თავს... სოფლის კეთილმოწყობასთან ერთად, მთელი რიგი ამ კულტურული ხასიათის ღონისძიებების განხორციელება დიხაც რომ ნაწილობრივ მაინც შეამცირებდა სოფლიდან ქალაქად ადგილობრივ მკვიდრთა არასასურველ დენადობას, გააწონასწორებდა დემოგრაფიულ პროცესებს, საბოლოო ჯამში კი გადაწყვეტდა მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის ნომერი პირველი პრობლემის — უხვი ჰერნახელის მოწყვეტის უშუალოდ საქმის წარმატებით მოგვარებას...

მსიკრადი შტრიხი შედარებისათვის

ერთ დღეს, შემთხვევით მეურნეობის ეზოში გაშენებული მშვენიერი ბაღის მომვლელსა და ყარაულს გამოვესაუბრე. ხნიერი, ჭაღაროსანი, ბრგე და პროლათეალება კაცი იყო. სახელი და გვარი რომ ვკითხე, ამაყად მიპასუხა — ეგვიპტის მბრძანებელის ბიძაძეთა შთამომავალი ვახლავართო. თვითონაც არ ყოფილა უბრალო ვინმე — დიდ სამამულო ომში სამშობლოს მამაცი მამულეტი, ჭერჩის ალყას გადარჩენილი, სტალინგრადის ჭარკეცხლგამოვლილი, ტავანროვთან სასიკვდილოდ დაჭრილი, მაგრამ რაღაც სასწაულად ბედზე გადაარჩენილი, ხუთი შვილის მშობელი, ჭერჯერობით ექვსი შვილიშვილის გულისგამხარებელი შალვა შინგიაშვილი აღმოჩნდა. სამშობლოს წინაშე ვალმობდილ ადამიანს, ომისა და შრომის ფრონტებგამოვლილსა და პენსიაში გასულ ომის ინვალიდს, მაგრამ ჭერაც მოუსვენარსა და ტუბილმოუბარ კეთილმოხუცს ერთი ბანალური შეკითხვა შევაპარე: — ძველი დროება ჯობდა თუ დღევანდელი-მეთქი:

შალვა შინგიაშვილმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, თვალდრეპნიანად, თითქოს გაოცებისაგანაც წააოხრებდა მოექოჩრა, დარბაისლურად მომიგო:

— შეილო, ხომ ამ ხნის კაცი ვარ, სხვებივით ძალ-ღონე უკვე აღარც მომდევს, ხელფასსა მაინც ვღებულობ, მაგრამ ეგ სახსარიც რო არა მქონდეს, პენსიით მაინც მშვენივრად გავიტანდი თავსა, ის კი არა, შვილიშვილებსაც არ მოვაკლებდი მცირეოდენ სიამოვნებას, ბევრით თუ ვერა, სათამაშოებით მაინც... ძველდა, შეილო, კაცი რო მოხუცდებოდა, ღუთისნიერი შვილები თუ არ ეხვია გარშემო, სუბატრონობითა და უსახსრობით მოკვდებოდა. მოგონილი ამბავი არ გეგონოს ეგა, მართალს გეუბნები...

ეგეც არ იყო, ძველდა ცოცხალ ადამიანს, ჯანღონით საესეს გაჭირვება ჰქამდა. აი, იქ, ქვევით თუ ყოფილხარ, დღედაღამ შრომაში გართულები მაინც კუჭკარიელანი და მშვირები დაებარგანობდით ხოლმე ქაცინისა და ელეგარის ველებზედა... მაშა, ეგრე იყო შეილო და მეტი რაღა ვითხრა...

ქონი ტრიალ მიწოდოში.

ძველად ალბათ მართლა ასე იყო, ძია შალვა რომ მომიყვია. რალხედ მოიტყუებდა ვითომ ჭაღაროსანი მოხუცი, რა ისეთი ინტერესი ექნებოდა ვითომ. რაც შეეხება ახლანდელ ვითარებას, ხომ საკუთარი თვალით ვხედავდი და ალვიქვამდი. ანტონ ჩიტრიკაშვილი ულევარის ბატონ-პატრონი, ახოვანი და წელში გამართული, თავის ბიჭებთან ხელჩაკიდებული სასწაულებს ახდენდა, ხვავის გორებს დგამდა, ალალ ლუქმას იმკიდა, შინაც ღორის კოლტს უვლიდა, ყოველწლიურად დამატებით ათობით ტონა ხორცს აბარებდა, „მტრისათვის და უგემოვნო კაცისათვის არგასამეტებელ (ეს ანტონის სიტყვებია) ტონამდენალდ ღვინოს“ წურავდა, მძლავრი მხრებით წუთისოფლის თავანს ედგა იმედინ ბურჯად. აცხოვრებდა ჯალაბს, ამაგებდა ქალაქსა და დაბას, არაფერი



ჰქონდა ვინმესთან სადაო და გასაყოფი, საძიებელიაო. თავისი საქმისა მშვენივრად უწყობდა, ასევე იყვნენ მისი ბრიგადის წევრებიც, ასე ცხოვრობდნენ სხვა ბრიგადების თავკაცები, თუ რიგითი წევრები, ასევე ლაღად უძღვებოდა თავის ჯალაბს სოფელში ცნობილი მეჭანიატორი ანტონ გულუაშვილი და საერთოდ სოფლად მშრომელთა უმეტესობა, მხოლოდ ეს იყო რომ უფრო ზარმაცნი და წელმოწყვეტილნი შეძლების მხრივ ჩამორჩებოდნენ ყოჩაღებსა და დაუზარელ თანასოფლელებს. მაგრამ ვაჭირვებით იმათაც არაფერი უჭირდათ, არ შიოდათ და არ წყუროდათ, და არც სილატაკე ახრჩობდათ, და არც ქაცნის ველზე ეყარნენ მისაყვებულნი...

დღეს კი ანტონი და მისი ბრიგადა ჩასაქოხებლად იყო გამოსული მინდორში. კომფორტი მოუნდათ ბიჭებს, ზაფხულობით გასაგრძელებელი, თავშესაფარი, ზამთრობით დასათბუნებელი ადგილი, პურის გასატეხი და ათასში ერთხელ ღვინის დასაჭაშნიკებელიც, რა თქმა უნდა. მითუმეტეს მაშინ, როცა საამისოდ მოიმართებოდნენ, უხვ მოსავალს მოიწვედნენ და დააბინავებდნენ, გვემას გადაჭარბებით შეასრულებდნენ. ასეთ შემთხვევას ქართული წესით აღნიშნავდნენ ბიჭები. და ალაღვი იქნებოდა მათზე თითო ჭიქა ნაღდი ღვინო...

დღეს კი აქოხებენ უღევარზე. ქოხით იწყება ცხოვრებაო, — ამბობს ძია ალექსი. ცხოვრება და დიდი საქმეებით, — უმატებს მის ნათქვამს ანტონი.

— შარშანდელზე დიდი საქმეები? — გამოკვდილად ვეკითხები ანტონს — ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანი რამეა ეს ქოხი ტრიალ მინდორში?

— რა თქმა უნდა, რომ მნიშვნელოვანია, — დინჯად მპასუხობს იგი ჩემს ხუმრობანარეულ შეკითხვაზე — შარშან უსახლკარონი ვიყავით, წელს უფრო მდიდრები, ჭერიანები ვიქნებით, აბა, მითხარი, რა შედარებაა ამ ორ მდგომარეობას შორის და აქიდან გამომდინარე ორ განწყობილებას შორის? ვინ იმუშა-

ვებს მეტის ენთუზიაზმით — ის ბიჭები — ლნი, უსახლკარონი თუ მდიდრები? თავნაბდისკუდიანები? ვეკითხები, რა თქმა უნდა — მეორენი, ქოხის შეპატრონეები, ლირსების გრძობით აღსაყენი, მაშა! გარდა ამისა, წლებულ შარშანდელი გამოცდილებაც მოგვეხმარება საქმის ორგანიზაციაში. თავის დროზე დაკვრავთ საადრეო და საგვიანო ბოსტნეულს, ბრიგადის ყველა წევრმა იცის, რომ კომპოსტოსა და პამიდვრის ფასი თვეების მიხედვით განისაზღვრება, მაისში კომპოსტო ძვირია, 30 კაპიკი ლირს კილოგრამი, ივნისში შედარებით იაფი — 15 კაპიკი, ივლის-აგვისტო-სექტემბერში კიდევ უფრო იაფი — 7 კაპიკი, იანვარ თებერვალში კვლავ გაძვირებას იწყებს და ასე შემდეგ.

პამიდვრის ფასიც თვეების შესაბამისად „მოძრაობს“. ივლისში თექვსმეტი კაპიკია, აგვისტო-სექტემბერში — 20, ნოემბერში — 25... ხოლო ჭიშებიდან ყველაზე გამოსავლიანი — „ღებიაეანსკი“ და „კოლჯიკი“...

— წელს პამიდორი რომ ჩავაბარეთ სატომატედ, ქარხანაში კიბოვე „ღებიაეანსკის“ თესლი შეენახათ, შარშან კოტა გვექონდა... — შეუბნება ანტონი — იმდენი წამოვიღე, მთელ მეურნეობას ეყოფა...

„ამ კაცმა იცის ჭიშების ფასი, თესლს ქარხანამდე მისდია. ახლა კი ქოხს აშენებს, რომ კიდევ უფრო ახლოს მივიდეს, უფრო მარდად შეუტეოს საქმეს“ — ვფიქრობდი ჩემთვის და მშრომელი კაცის გონიერებითა და საზრიანობით შინაგანად აღტკინებულს სხეულში ბალხამივით მელვრებოდა სასიამო შეგრძნება. „აქ მართლა გამოვა — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს...“ ფანები, ციკლები, სინუსოიდები, აგროტექნიკური ფაზები, ჭიშები და ათასი წვრილმანი პირზე ეკერა ყველას და ეს იყო შექანიკური, მოვალეობითი, წესის დასაყენებელი და ვალის მოსახდელი ქოთქოთი. უფროსებისადაღი მოსაჩვენებელი ფაქტფუკი. არამედ — მარჩენალო, ბებრუხუნა მიწისაღმი მამაპაპული.

ალალი, უტყუარი დამოკიდებულება, ამ დამოკიდებულებისადმი მიბრუნება, მისი ამ სიძველეთა ძეგლებივით აღდგენა და მოდერნიზაცია.

მაინც ვინ არიან ეს ადამიანები, გუთნისდებები, მეხრეები, ძველი მიწათმოქმედნი, სარკლები, მეჭოგეები? მართალია, მათ მეურნეობის მუშები, მექანიზატორები ერქვათ, და იყვნენ კიდეც, მაგრამ მე ვფიქრობდი, რომ ესენი იყვნენ ის ძველი მწყემსებიც, გუთნისდებებიც, მეხრეებიცა და თანამედროვე მექანიზატორებიც. ოლონდ ყველაფერი მამაპაპური შენივთული იყო მათს პიროვნებაში, მეოცე საუკუნის ადამიანის არსებაში... მარტყოფის ბრძოლა გრძელდებოდა კვლავაც, სახეშეცვლილი, სამშვიდობო სახით გრძელდებოდა...

და არა უბრალო. მექანიზატორები, თავისი საქმის მეცნიერები იყვნენ ესენი, იმიტომაც ერკვეოდნენ ასე მშვენივრად ამდენ მანევრებსა და მანიპულაციებში. ერთი შეხედვით ძნელად დასამახსოვრებელ აგროტექნიკურ პროცესებში. ანტონმა იცოდა ეს მეცნიერება, ძია ალექსიმ და ირაკლიმაც იცოდნენ და შეიძლება ანტონზე უკეთესადაც, ხოლო ახალგაზრდები თანდათან გაერკვეოდნენ საქმის ვითარებაში, და წავა ასე ეს-ტაფეტა... უღვევარზე დაილია მტრის ურდოები, მაგრამ ჭირნახული და ახალ-ახალი თაობები არასოდეს დაილევია...

ახლაც რომ წარმოვიდგენ იქაურობას, როცა უკვე მივლინების დღეები ჩამთავრდა და ნანახისა და განცდილის განზოგადების ეამმა მოაღწია, მეზმანება ხოლმე — სამომავლო ფაქტებისა და ვარაუდების პრიზმაში მოჩანს ტრიალი მინდორი და იქ მარად დაფაცურებული ჩიტრიკაშვილისფერა გოლიათების გუნდები, ირგვლივ ყოველგნით კი დადალოცვილი, ბარაქიანი ჭირნახულის გორები ზიზზიმებენ, მათათა ფერდობებს წაბლა ძროხების ჯოგები და ცხვრის ფარები შესევია, მარჩენალი საქონლის ჩქამი აცოცხლებს და ახალისებს სოფ-

ლურ იდილიას, ირგვლივ ყოველივესა და ყველაფერს...

სიცოცხლე დულს და გადმოდულს. დიახ, ყოველივე ეს ირეკლებოდა ფაქტების პრიზმაში და არ იყო ეს ფუჭი ზმანება. ყოველივე მალე ასახდენ სიზმარს უფრო ჰგავდა...

და კვლავ მახსენდება პირველი მდივნის ოთარ ბოკერიას ნათქვამი იმაზე, რომ „სასურსათო ბუმი“, მეცნიერებისა და ტექნიკის სასწაულებრივ რევოლუციასავით გარდაუვალია და იგი უახლოესი მომავლის საქმეა... ოლონდ ადამიანები უნდა მივიდნენ ამის აუცილებლობამდეო.

და მივიდნენ კიდეცაც, ძველ დოგმებს უყელთეს, ახალ გზებსა და სახიფათო წვადრებს დაადგნენ ამ სამომავლო ლაშქრობებში. ანგელატ რუსეიშვილის თქმისა არ იყოს, სასურველ შრეებამდე იჭნებ ჭერ კიდევ ვერ ჩააღწიეს, მაგრამ საიმედო იმპულსები მიიღეს სამომავლოდ. ეს კი მთავარია. როცა იცი, რა გზით იარო, როცა ჩვიდმეტი კაცი ჭირნახულის გორებს აყენებს და მეურნეობასა და საზოგადოებას არნახულ შემოსავალს აძლევს, ღირს ამ ბილიკების დევნა. ამ იმპულსების ერთგულება...

მიწა ცოცხალი არსებაა, სულიერია. ამიტომაც იძლევა იგი იმპულსებს. ნაირ-ნაირ იმპულსებს. სასიამოვნო, მანუგეშებელ და ასევე ყოველად უსახურ და უპირსპექტივო იმპულსებსაც. ეს ბოლო რამდენიმე ათწლეული ადამიანები მოლოდინში იყვნენ. და აი უღვევარზე ნავთობის საოცნებო ჰაბტურლივით ამოხეთქა სამომავლო იმპულსების ნაკადმა, ადამიანებმაც არ დაახანეს და ჩაქოხებას მიჰყვეს ხელი.

ლავა დაიძრა...

უღვევარზე ხალხი შეყრილა... ტრიალ მინდორში ქოხი უნდა ააშენონ. ქოხი ტრიალ მინდორში...

ჩიტრიკაშვილის სამომავლო სადგური...



გორის ანდრონიკაშვილი

ფარსულის ძებნები

მოსკოვში, რუსეთის ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვადასხვა ადგილას რუსეთ-საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის აღმნიშვნელი მრავალი ძეგლია განლაგებული.

სამწუხაროა, ამ ძეგლების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, ამა თუ იმ მიზეზების გამო მათ ვერ მიიქციეს ისტორიკოსების ყურადღება. ჩვენც, თანამედროვე ადამიანები, ხშირად ჩაუვლით გვერდს და აზრადაც არ მოგვდის, წარსულის რა საყურადღებო ფურცლებია მათთან დაკავშირებული.

26 ოქტომბრის ქუჩა, წარსულში ნიკოლსკისა, ერთ-ერთი ყველაზე გაცხოველებული და ხალხმრავალი ქუჩა იყო ძველ მოსკოვში. XVI საუკუნეში ივანე მრისხანემ აქ ააგო მთელს რუსეთში პირველი სტამბა, სადაც დაიბეჭდა პირველი რუსული წიგნი „სამოციქულო“. ამ ქუჩაზე იყო, აგრეთვე მოსკოვის პირველი უმაღლესი სასწავლებელი; სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია, სადაც სწავლობდნენ ლომონოსოვი, კანტიემირი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. გვერდით, ზაიკონოსპასკის მონასტერში, სიმეონ პოლოცკი ახალგაზრდა გადამწერლებს ლათინურ ენასა და წერა-კითხვას ასწავლიდა. ნიკოლსკის მონასტერს გარშემო ერტყა ზოიარების — შერეუტივიელების, სალტიკოვების, თავადების — ზოვანსკების, ფოროტინსკების, ჩერკასკების და სხვათა კარ-მიდამოები.

აქვე იყო „ზარაფხანა“, სადაც ფულს ქრიდნენ. ამ შენობების გვერდით, იმ ქუჩის ბოლოში, რომელიც ნითელ მოედანზე გადის, ახლანდელი „გუმის“ პირდაპირ, იდგა 1390 წლიდან ცნობილი ნიკოლსკის მარ-

თლმადიდებლური ბერძნული მონასტერი, ამის გამო დაერქვა ამ ქუჩას ნიკოლსკის სახელი. აქედანვე მიიღო სახელწოდება კრემლის ნიკოლსკის კოშკმა. ახლა კრემლის კედლის ახლოს შეიმჩნევა მხოლოდ მისი ნაშთი — საცხოვრებელი სახლები, ეზოს შემოგარენი. მონასტერი არსებობდა უახლოეს წლებამდე, ნიკოლსკის ქვემო საყდარი მხოლოდ 1946 წელს გადაკეთდა გარადად, ზემოთ — მიძინებისა კი მცხოვრებლებმა დაიკავეს.

ეს მონასტერი გახლავთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პირველი ძეგლი. XV საუკუნე... ტახტზე ავიდა მოსკოვის დიდი მთავარი ივანე III. მოსკოვს ჩაიედინენ ერთ-მორწმუნე საქართველოს პირველი ელჩები. ეს მოხდა 1491 წელს. მათ დიდ მთავარს მიაართვეს კახეთის მეფის ალექსანდრე I სიგელი.

ზიზანტიის დაცემის შემდეგ ქრისტიანული საქართველო მარტომარტო დარჩა მუსულმანური აღმოსავლეთის პირისპირ. ერთადერთი სულიერად მახლობელი ქვეყანა იყო მოსკოვი.

„უბრწყინვალესო ხელმწიფო, — წერდა სიგელში კახეთის მეფე, — შორეული ქვეყნიდან აზრით ახლობელი უმრწამსი ძმა შენი ალექსანდრე თავჯანსა გცემ“.

„ჩვენ აქ, ივერიის მიწაზე, ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ“.

ეს „ჯერ კიდევ“ პირდაპირ გულისხმობდა იმ საშინელ სინამდვილესა და განსაკუთრებით, მომავალ უბედურებას, რაც შიაცუნეს და კვლავ უქადდნენ საქართველოს მიწი დაუძინებელი მტრები — თურქები და სპარსელები.

ალექსანდრე I დხოვდა ივანე II, დაზ-
მარებას და ძმურ კავშირს.

კახეთის მეფე ალექსანდრე პირველის პი-
როვნება ჯეროვნად არაა დაფასებული. მო-
კლე ისტორიულ მონაცემში — პიზანტიის
იმპერიის დაცემიდან (1453) სულ რაღაც
ორმოცი წლის შემდეგ, მან შეძლო წინას-
წარ, რამდენიმე საუკუნით ადრე, სწორად
განესახლერა საქართველოს ისტორიული
ბედი. ის იყო შორსმჭვრეტელი და გამჭირ-
იხი სახელმწიფო მოღვაწე.

რუსი ხალხი მაშინ თავად ემზადდა თავის
მთავარ მტერს — ოქროს ურდოს. მაგრამ
მაინც, იმ დროს მოსკოვის ირგვლივ შემოიკ-
რიბნენ ის ხალხები, მასში თავის ერთად-
ეხი, ნამდვილ მოკავშირეს რომ ხედავდ-
ნენ.

1491 წელი უნდა ჩაითვალოს საქართვე-
ლოსა და რუსეთის პოლიტიკური და სახელ-
მწიფოებრივი კავშირის, უწყვეტი მეგობ-
რობის დასაწყისად.

რუსი და ქართველი მეფეები უგზავნიდნენ
ერთმანეთს ელჩებს. ისტორიამ შემოგვინახა
ქართველ ელჩთა სახელები და მათი მოლა-
პარაკების წერილმანები ივანე შრისხანეს-
თან, პირის გოდუნოვთან, თედორე ივანეს
ძესთან, მიხეილ თედორეს ძესთან; საქარ-
თველო დატინებით ეძიებდა კავშირს რუ-
სეთთან. მოსკოვიც, თავისი აღმავლობის ხა-
ნაში, უფრთხილდება და განამტკიცებს სა-
ქართველოსთან კავშირს, შეძლებისდაგვარად
ენმარება მას.

ამ ურთიერთობის განმტკიცების აღსანიშ-
ნავად ათონის ივერიის მონასტრიდან, რო-
მელიც საქართველოს კულტურის მნიშვნე-
ლოვან ცენტრს წარმოადგენდა და ცნობი-
ლი იყო მთელ მართლმადიდებელურ სამყა-
როში, ერთმორწმუნე რუსეთში ივერიის
ღვთისმშობლის ხატის ჩაიტანეს. ამ რელი-
გიურ წმინდათაწმინდას დიდი პატივისცემ-
ით ეპატივობდნენ რუსი მლოცველები.

სწორედ მაშინ, მეფე ალექსი მიხეილის
ძემ ნიკოლესის მონასტერი ქართველებს სა-
შვილიშვილოდ უბოძა.

მონასტერი იმთავითვე ქართული კოლო-
ნიის კულტურული და რელიგიური ცენტრი
გახდა.

მოსკოვის ნიკოლესის მონასტერი ქართ-
ველ საზოგადო მოღვაწეთა პირველი პანთე-
ონია. მის საძვალეში დაკრძალულია ქარ-
თული კოლონიის უფროსი თაობის წარ-
მომადგენლები მიტროპოლიტ ეპიფანესა და
მეფე ქაიხოსროს მეუღლე, დედოფალ ეკა-
ტერინედან მოყოლებული.

ან საძვალეიდან საფლავის ქვები შემდგომ
დონის მონასტრის პანთეონში გადაიტანეს.
ეს იყო ქართული კოლონიის უფროსი
თაობა... როდის შეიქმნა იგი და რატომ?

საქართველოდან რუსეთში მიმავალი რვე-
ლი გზა ხანგრძლივი და ძნელი გახლდათ.
ელჩები ამ მანძილის დაქვევას იერიშამე-
თვე უნდებოდნენ. გზა მიდიდა დონისაღის
ხეობით, ქალაქ თურგუზ, შემდგომ ასტარ-
ხანზე და ზემოთ, ვოლგით ყაზანსა და ნი-
ნი ნოვეგროდისკენ, იქიდან ელადიმირით და
სუხდალით — სატახტო ქალაქში... 1653
წელს ამ გზით დედასთან, დედოფალ ელენეს-
თან ერთად, წავიდა უფლისწული ერეკლე
— თეიმურაზ პირველის შვილიშვილი, შვი-
ლთაშვილი ქეთევან ნამებულისა. მთელ გზა-
ზე მას უჩვეულო პატივით ხედებოდნენ. ნი-
ნი ნოვეგროდში უფლისწულის შესახვედ-
რად გამოგზავნეს თავიდა პროზოროვსკი
ამალით. მოსკოვში, ტვირის კარბქუსთან
მათ შეეგებნენ მეფის სხვა ახლობლები, ქა-
ლაქის შესასვლელში — მრავალრიცხოვანი
ხალხი, მოხელეები და მოსკოველი აზნაუ-
რობა.

მეფე ალექსი მიხეილის ძემ ქართველი
უფლისწულის პატივსაცემად კრემლის წაზ-
ნაგებთან დარბაზში დიდი წვეულება გამა-
რთა. საზეიმო სადღეზე ერეკლე ალექსი
მეფის მზარმარცხნივ იჯდა, სრულიად რუ-
სეთის პატრიარქი ნიკონი — მარჯვენა მხა-
რეს. ყველაფერი ეს 1654 წლის 1 იანვარს
მოხდა.

დედოფალმა მარიაშმა უფლისწულის დე-
და კრემლის ოქროს დარბაზში მიიღო. დე-
დოფლის პატივსაცემად ძალზე მდიდრული
წვეულება გამართეს. დედაც და შვილიც
უმაღლესი მეფური პატივით მიიღეს.

შემდეგ უფლისწული ერეკლე თან ახლავს
მეფეს მოსკოვის ახლოს, ზეენიგოროდში,
საბა სასწაულმოქმედის მონასტერში (ან-
ლანდელი საბა სტოროვევის მონასტერი).
ეს იყო ალექსი მიხეილის ძის საყვარელი
სამლოცველო ადგილი. სწორედ იმ წელს
მონასტერი ხელახლა იქნა შეკეთებული. იგი
ახლაც ანეციოფრეს მნახველებს დიდებულე-
ბითა და დასრულებული არქიტექტურული
ფორმებით. მეფე ალექსიმ და ერეკლემ და-
ათვალიერეს ახალი ქვის კედლები და ტაძ-
რები, სათვალთვალო კოშკი, მოხატული
სატარაპეო და სასახლე, აგრეთვე სამრეკლო
და დედოფლის პალატები.

თანამედროვენი აღნიშნავენ, უფლისწული
მეფეს ყველგან თან ახლდაო. გეტმან ზოგ-
დან ხმელნიციკის ელჩების პატივსაცემად გა-
მართულ ადღეზე ერეკლე უფლისწული მე-
ფის გვერდით იჯდა, როგორც მისი ყველა-
ზე ახლობელი პირი.

უფლისწულს ხშირად ინვედნენ სადილ-
ზე პატრიარქ ნიკონთან მის რეზიდენციამი.
ნიკონი ფაქტიურად მართავდა ქვეყანას

აღუქსი მიხეილის ძის ლაშქრობაში ყოფნისას.

იმავ (1654) წელს აღუქსი მიხეილის ძე ილაშქრებს პოლონეთის მეფის იან კაზიმირის წინააღმდეგ, ერეკლე თან ახლავს მეფეს, ლაშქარს წინ უძღვის ღუთისმშობლის დიდი საპატიო ქართული ზატი. იგი შემდგომშიც გამოაქვთ ჯარების წინაშე ყოველი ბრძოლის წინ.

ღუთისმეტყველების დოქტორმა არქიმანდრიტმა სერგინ, მის მიერ გამოცემულ გამოცეცევაში, „ივერიის წმინდა და სასწაულმოქმედი ღუთისმშობლის ზატი თონისი და მისი სახება რუსეთში“ (მოსკოვი, 1879 წ.) მის მიერ შეკრებილ ისტორიულ მონაცემების საფუძველზე დაამტკიცა, რომ ნოვოდევიჩის მონასტრში დაცულია პირველსახე ათონის ივერიის ზატისა, გამოგზავნილი ივერიელი არქიმანდრიტის მიერ.

ეს ზატი მოსკოვში ცარგრადიდან ჩამოიტანეს 1654 წლის 15 მაისს, იგი თან დაქონდა პოფე აღუქსი მიხეილის ძეს ვიახრამში, პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მანამდე კი კრემლის მიძინების ტაძარში ესვენა. იგი ნოვოდევიჩის მონასტრიდან შეტრეს დამ სოფიომ მონოზენად აღკვეციას თან წაიღო. ზატი ახლაც ნოვოდევიჩის მონასტრის სოფოს დარბაზში ასვენია.

პირველი ბანაკი ამ ლაშქრობაში გაშალეს ყორობიევის მთაზე აქ, საღაშქრო კარავში მიიღო ხელმწიფემ იმერეთის მეფის ელჩი თავადი ქაიხოსრო, რომელიც მოსკოვს ერეკლე უფლისწულთან ერთად ჩავიდა და მუდამ მის ახალი იმყოფებოდა.

უფლისწული იმ დროს მხოლოდ თერთმეტი წლისა იყო. იგი ხშირად იყო ნიკოლსკის მონასტრში ქართველ ეპისკოპოსთან ეპიფანესთან, სადაც სწავლობდა ღუთისმეტყველებას და ლიტერატურას.

უფლისწულის რუსეთში ყოფნის მეოთხე წელს, მოსკოვში ჩავიდა მისი პაპა თეიმურაზ პირველი. ეს იყო მოსკოვში ჩასული პირველი ქართველი მეფე. დედაქალაქი ხაზეიში შეხვედრისათვის ემზადებოდა. რუსთ ხელმწიფემ ბრძანა — ქუჩები დაესუფთათვე ბინათ. ასევე წესრიგში მოყვანათ ურდულაყრილი დუქნები და ქუჩის ფიცარანაგი.

აღუქსი მიხეილის ძემ თეიმურაზიც წახანგებთან დარბაზში მიიღო. რუსეთის მეფეს თან ახლდნენ არქიმანდრიტები, ილუმენები, აგრეთვე დიდი ამლა. თეიმურაზი თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. მაგრამ იმ დროს რუსეთი ებრძოდა პოლონეთსა და შვედებს, მოცულებული იყო აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან საქმეთა გამო. ეს იყო უკრაინისა და ყირიმის ამბები, ფულადი უსახსრობა, ხალხის მღელვარება და ა. შ.

მომდევნო წელს ამბოხებულმა ქართველებმა თავად გარეკეს დამპყრობლები ქსენოფონი დაწ. კახელები ტახტის მფლობელები ერეკლეს ინვედირენ. უფლისწული წახანგებთან დარბაზიდან გააცივლეს.

გამგზავრების წინ ერეკლე ესტუმრა ხელმწიფეს სოფელ მოკროსკოვში, რომელიც მდებარეობდა ბაკუნინის ქუჩის რაიონში, ელხოვის მოედნის უკან. ერეკლეს კარეტას მიაცილებდა 350 ცხენოსანი მეთოფე, მოედანზე კიდევ 300 მეთოფე იდგა — დაფაფუბითა და გამლილი დროშებით.

მდინარე იაუზაზე გასამგზავრებლად განზადებული ნაგები ელოდა.

ამგებამ იაუზა გრანიტის სანაპიროთი დამშენებული და გვაგონებს ლენინგრადის არბებს. მაშინ კი ის სანაოსნო მდინარე იყო. მის შესართავთან, ანდრონიკეს მონასტრის პირდაპირ, სადაც ახლა დიდი რუსი ფურმენრის რუბლიოვის მუზეუმი მოთავსებული (მუზეუმი დაარსებულია ჩვენი თანამემამულის დავით არსენიშვილის შეცადინებით), იყო ნაემისადგომი. აქედან გამოემგზავრა უფლისწული სამშობლოში.

მაგრამ ამჯერად არ მოხერხდა ერეკლეს საქართველოს ტახტზე ასვლა, ამიტომ ძულეებული შეიქმნა მოსკოვს დაბრუნებულიყო. მასთან ერთად მრავალი ქართველი თავადი და აზნაური ჩავიდა იქ. ისინი შეუერთდნენ მოსკოვის ქართველთა კოლონიას, შექმნეს მისი პირველი („უფროსი“) თაობა. მალე აღუქსი მიხეილის ძემ მეორედ იქორწინა. ხელმწიფის ქორწილში უფროსი საქორწინო ჩინი ერეკლეს ეჭირა. იყო სიძის საპატიო მამა, განაგებდა საქორწინო ნეს-ჩვეულებებს.

წელიწადნახევრის შემდეგ დედოფალს ვაჟი შეეძინა — პეტრე, რუსეთის მომავალი იმპერატორი. შილოცების ცერემონიალზე უფლისწული მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა.

ირაკლიმ მოსკოვში 21 წელი გაატარა. მისი რუსეთში ყოფნა დაემთხვა რუსეთის ისტორიის ერთ უმსახიშნავეს მონაკვეთს, ეს არ იყო მშვიდი დროება, თუმცა აღუქსის „უწყინარს“ უნოდებდნენ. ბოიართა დუმა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. რუსეთში მკვიდრდებოდა სასტიკი თეთმყრობელობა. სახელმწიფოს საზღვრები ფართოვდებოდა. სამღვდელეობა გამტვიზარებული იბრძოდა. პატრიარქ ნიკონის გასამართლებაში მონაწილეობდა ქართველი არქიმანდრიტიც.

მალე ერეკლე კახეთის მეფე გახდა. პეტრი მისი თანმხლები პირი მოსკოვში დარჩა, მათ შორის დედაც, დედოფალი ელენე. ისინი ცხოვრობდნენ თავად ლეოვის (რომელსაც ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა) სახლში. ილინის კარიბჭესთან.

1684 წელს მოსკოვში ჩავიდნენ სხვა უფლისწულები — ალექსანდრე და მამუკა არჩილის ძენი და მათთან ერთად 70 ქართველი. მათ საზეიმო შეხვედრა მოუწვევს ბასმანოვის სლობოდასთან. საკმაოდ ბევრი ხალხი მდაბლად უკრავდა თავს და ხმაპალა ესაღმებოდა მათთვის უცნობ უფლისწულებს. მოსკოვში უფლისწულები ცხოვრობდნენ პოკროვკაზე, მათთვის მომზადებულ დავიდოვის კარ-მიდამოში.

უფლისწული ალექსანდრე მონაწილეობდა პეტრეს სამხედრო თამაშებში. პეტრემ იარჩია იგი თავის ამხანაგად, რასაკვირველია, არა მეფური შთამომავლობის გამო, (ცნობილია, რომ პეტრე შთამომავლობას ყურადღებას არ აქცევდა), არამედ სიმამიცისა და სამხედრო ოსტატობისათვის.

მოსკოვში გაგრძელდა ხმა პეტრეს ორ „გასართობ“ ლეგიონს შორის ნამდვილი ბრძოლების შესახებ, ეს ბრძოლები იმართებოდა ახლანდელ პრეობრაჟენსკის კარიჭის და იაუზის ნაპირის მომიჯნავე ტერიტორიაზე. პეტრეს კრებლში ყოფნას პრეობრაჟენსკოეში თავისუფალი ცხოვრება უფროდებდა. მან აქ მომცრო ფლოტიც კი ააშენა. მანერები მაქსიმალურად უახლოვდებოდა საბრძოლო მოქმედებას. იაუზაზე „გასართობ“ ბრძოლებში დაჭრილთათვის ჰოსპიტალიც კი ააგეს; უფლისწული ალექსანდრე, მომავალში რუსეთის არტილერიის პირველი სარდალი, ამ ბრძოლებში გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა. არ სცილდებოდა პეტრეს, მეფეს იგი ძალზე უყვარდა.

ალექსანდრეს მამა, მეფე არჩილი ასტრახანინიდან მოსკოვს ჩავიდა.

მოსკოვში მისი ყოველი დღე საქმიან და საზრუნავით იყო აღსავსე. იგი მივიდა ნიკოლსკის მონასტრის სტამბაში, რათა გაეგო ასოებისა და დაზგების ფასი (მას სურდა მოსკოვში ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვის ორგანიზება). იგი ხშირად სტუმრობდა კანცლერ გოლიცინის სახლში ოხოტნი რიადზე. გოლიცინის სახლში ეკიდა დიდი გეოგრაფიული რუკები, საათები ყოველგვარი საიდუმლოებები, სურათები. აქ თამაშობდა იყო მრავალი იშვიათობა, მზეცთა ფიტულები, სხვადასხვაგვარი შესანიშნავი სარგებები და ხელსაწყოები. არ არის გამორიცხული, რომ პეტრეს ამ სახლმა უკარნახა კუნსტაკმერის იდეა. გოლიცინის გადასახლების შემდეგ სახლი პეტრემ არჩილს აჩუქა. შემდგომში იგი ცნობილია, როგორც არჩილის სასახლე. დღეს აქ მოთავსებულია მუსიკალური კულტურის მუზეუმი. ესაა სამსართულიანი შენობა — ფართო, მრავალსართულიანი. ასეთ სახლებს პალატებს ეძახიან. მოსკოვში - რამდენიმეა შემორჩენილი. ამ სახლ-

ში მეფე არჩილს მრავალჯერ წვეთა პეტრე პირველი.

არანაკლებ მჭიდრო იყო კავშირი ქრისტიანულ და ქართულ ეკლესიებს შორის. პატრიარქი იოაკიმი და კათოლიკოსი ნიკოლოზი ხშირ-ხშირად უზგავნიდნენ ერთმანეთს ეპისტოლეებს. არქიმანდრიტი ლაგუნტი არჩილის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა პატრიარქთან.

1686 წელს იან სობესკიმ (პოლონელმა) ომი გამოუცხადა თურქებს. მას შეუერთდა მოსკოვი და ენეციის რესპუბლიკა. მეფე არჩილმა გადაწყვიტა, დაეპყრობელთაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების დრო დაეგაო. დაიწყო მზადება სალაშქროდ. იაუზის შესართავთან მეფისათვის ამზადებდნენ ხომალდებს, ნავისადაგომთან მოზიდეს საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა.

მოსკოვიდან გამომგზავრების წინ არჩილმა დააქონინა ალექსანდრე. ქორნილი სამეფო კარზე გადაიხადეს. ამ ქორნილში მმართველი სოფიო მონაწილეობდა, როგორც პატარაძის უახლოესი ნათესავი.

საზეიმო ფაცილბის შემდეგ არჩილმა წამოიყვანა თავისი ეფები და გამოემგზავრა საქართველოში. მაგრამ საქართველოს განთავისუფლება მან ვერ შეძლო.

უფლისწულები ალექსანდრე და მამუკა მალე დაბრუნდნენ მოსკოვში. ამ დროისათვის მოსკოვში უკვე არსებობდა საკმაოდ ტოტებგაშლილი კოლონია. ეს იყო ერეკლეს და მისი დედის, დედოფალ ელენეს მრავალრიცხოვანი ამაღისგან დარჩენილი ხალხი. ზოგი მათგანი დაუკავშირდა რუს ბოიართა ოჯახებს და სამუდამოდ დარჩა მოსკოვში.

პეტრემ ხელში აიღო ძალა-უფლება. მოსკოვის მთავრობა მთლიანად განახლებული იქნა. მმართველი სოფიო მონაზუნად აღიკვეცა, მისი ფაქორიტი კანცლერი გოლიცინი გადაასახლეს.

1693 წელს მოსკოვში გარდაიცვალა არჩილის ვაჟი მამუკა; ყველაზე უმცროსი. დავითი უფრო ადრე, 1688 წელს გარდაიცვალა. ორთავე ნოვადევიჩის მონასტერში დაასაფლავეს.

1695 წლის 2 თებერვარს მოსკოვში დიდმა ხანძარმა იფოტა. ცეცხლი გეორგიევსკის მონასტერს და გვერდით მდებარე უფლისწულ ალექსანდრეს სახლსაც მოედო.

ამ დროს თავად უფლისწული მოსკოვში აღარ გახლდათ. პეტრესთან ერთად ევროპაში იყო, დიდი საელჩოს შემადგენლობაში. გზიდან პეტრე წერდა რომოდანოვსკის: „ალექსანდრე არჩილის ძე პაავამი გაემგზავრა ბომბმსროლელის საქმის შესასწავლად“. პეტრე ძალზე კმაყოფილი იყო შეიდებრგში სწავლისას უფლისწულის წარმატებით; ევროპაში ყოფნისას უფლისწული ლიტ-

რატურულ საქმიანობასაც ეწეოდა, კერძოდ, ქართულ ენაზე თარგმნა სიმეონ პოლოცკის თხზულებანი. საერთოდ, ალექსანდრე ცნობილია, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებების რუსულიდან ქართულ ენაზე პირველთარგმნელი.

პოლანდიაში მან გაიცნო ეთნოგრაფი-მოგზაური ვიტცენი. ვიტცენი ადრე ორჯერ იყო რუსეთში. პირველი ჩამოსვლის დროს მან გაიცნო უფლისწული ერკლე, მეორეჯერ კი — არჩილ მეფე.

ალექსანდრე დაეხმარა ვიტცენს ქართულ-პოლანდიური ანბანის და ლექსიკონის შედგენაში. ვიტცენმა დაწერა დიდი შრომა „გეორგია, ანუ იბერია“, მას დიდად დაეხმარნენ ალექსანდრე და მეფე არჩილი, რომლებმაც ვიტცენს მიიმწერა პქონდა.

აი, როგორ აღწერენ პოლანდიელები (სხელტემა, ნოომენი და კალფი) პეტრეს და ალექსანდრეს ურთიერთობას: „მეფეს გამოყოფილ პქონდა შენობა გემთსამეწში. იგი დასახლდა მცირე ამალით, რომელთა შორის იყვნენ უფლისწული ალექსანდრე და გრაფი აპრაქსინი. პირველი მათგანი მეფის განსაკუთრებული ვურადღებით სარგებლობდა“.

უფლისწული სწავლობდა აგრეთვე უტრენტსა და ამსტერდამში, ეუფლებოდა „საარტილერიო მეცნიერებას“, რისთვისაც მისმა მასწავლებელმა პეტრესგან მიიღო 50 ოქრო და წყვილი სისამურის ტყავი.

ამსტერდამიდან პეტრე ლონდონში გაემგზავრა, თან წაიყვანა სამი უახლოესი თანამოაზრე — მენსიკოვი, იმერეთის უფლისწული ალექსანდრე და შაჰსკი.

ინგლისის მეფე ვილჰელმ ორანელი პეტრემ უფლისწულის თანდასწრებით მიიღო.

მეთოფეთა (სტრელუცთა) ამბოხებით შემფოთობული პეტრე უეცრად დაბრუნდა საზღვარგარეთიდან.

ჩამოსვლისთანავე მან დაწერა ბრძანებულება: „დაევალოს არტილერიის გენერალს ალექსანდრე არჩილის ძეს საზარბაზნო საქმეთა მართვა.“

პეტრემ ალექსანდრესათვის შემოიღო ახალი, რუსეთში მანამდე არარსებული წოდება „გენერალ-ფელდციხმეისტერი“. ალექსანდრემ დანიშნვისთანავე დაიწყო არტილერიის რეორგანიზაცია. იგი მონაწილეობდა ოლონციკისა და ურალის ქარხნების დაგეგმარებაში, მის დროს დაიწყო ახალი ტიპის იარაღის ჩამოსხმა.

მაგრამ პეტრემ და ალექსანდრე ბატონიშვილმა ველარ განაგრძეს არტილერიის რეორგანიზაცია, ვერ მოასწრეს მისი დაწყებაჲ კი. იფთქა საშინელმა ომმა შეეცაასთან. უფლისწულმა პირადად აღჭურვა მოსკოვის საარტილერიო პარკი, შემდგომ იგი მთავად არმიას შეუერთდა. მან მიიღო აგ-

რეთვე ასკოვსკისა და ნოვგოროდის არტილერია.

მაგრამ ძალთა უთანაბრობა გამოიწვიოდა საგრძნობი იყო. იმ დროს შედეგების არტილერია საუკეთესო გახლდათ მთელ ევროპაში. შედეგმა სასტიკად დაამარცხეს რუსთა ლაშქარი, ამასთანავე კარლოსმა რუსი გენერლები მოტყუებით ტყვედ ჩაიგდო. მან შესთავაზა მათ — შეუნარჩუნებდა პირად იარაღს, მხოლოდ უნდა გაეველოთ შევედთ არმიის განლაგებაში, მაგრამ მოცემული სიტყვა დაარღვია. დატყვევებულთა შორის იყო იმერეთის უფლისწული ალექსანდრე.

საქართველოს განთავისუფლების ხელახალი ცდა დაამარცხებით დამთავრდა და მეფე არჩილი მოსკოვს დაბრუნდა.

აქ არჩილმა საშინელი ამბავი შეიტყო: ერთადერთი შვილის, ტახტის მემკვიდრის ტყვედ ჩაგარდნა. მან ისიც არ იცოდა, თავად რომ აღარ ეწერა საქართველოს ნახევა, რომ სამუდამოდ დატოვა სამშობლო.

პეტრე ალერსითა და დიდი პატივით შეხვდა არჩილს მოსკოვში. მან ვსესვიატსკოე სოფელ პახრევასთან ერთად და მილოსლავსკების მოსკოვური კარ-მიდამო უბოძა ალექსანდრეს. ამასთან, გამოუყო არჩილს სასახლის მამულიდან სამი „ვოლოსტი“.

პეტრემ მანიწვე დაიწყო შედეგითან მოლაპარაკება ტყვეების გაცელის თაობაზე, არჩილს ალექსანდრეს გამოსყიდვა ორი-სამი თვის საქმე ეგონა. მაგრამ გავიდა ერთი წელი, მეორე, მესამე და ნათელი გახდა — ალექსანდრეს ტყვეობიდან გამოსხნა უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე სხვა რომელიმე რუსი გენერლისა. მას ტყვეობაში სხვაზე უფრო მკაცრად ექცეოდნენ; ეპყრობოდნენ როგორც პატიმარს, ამიშმილებდნენ.

რა იყო ამის მიზეზი? ალექსანდრეს მალალი სამხედრო წოდება თუ მისი შესაძლო გამოყვება საქართველოს ტახტზე?

პეტრე ყველა პირობაზე თანახმა იყო, ოღონდ გამოეხსნა უფლისწული, მაგრამ შედეგები სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს უყენებდნენ. ბოლოს მათ მოითხოვეს, მხოლოდ ალექსანდრეს გამოსასყიდად, ათი კასრი (ტონა) ოქრო. პეტრე საბოლოო პასუხს არ იძლეოდა. ასეთ გამოსასყიდს რუსეთის ხაზინის გაკოტრება შეეძლო. ალექსანდრემ თვითვე თქვა უარი. „არა მხოლოდ სიტყვით, ფიქრადაც კი არ მოგვეცლია — წერდა იგი პეტრეს, — სამშობლოსათვის რაიმე ზიანი მიგვეყენებია. ამისათვის ვართ მოწოდებული, ვითმინოთ და დაუიხოცოთ ხელმწიფისა და მამულის ინტერესებისათვის.“

ალექსანდრეს საქციელს ტყვეობაში დიდად აფასებდნენ მოსკოვში. პეტრე, როგორც შეეძლო ანუგეშებდა ხანშიშესულ არჩილს,

ხშირად დადიოდა მასთან სახლში, მეგობრობდა დედოფალ ქეთევანსა და მეფის ასულ დარეჯანთან.

მოუხედავად ყოველივესი, არჩილს აჩ შეუტყველია დღის რეჟიმი. დილაადრთან მიუჯდებოდა საშუაოს. პოეტური ნაწარმოებების გარდა, ორჯერ ხანძარში რომ დაენწვა, იგი, ბაგრატ სოლოღაშვილთან ერთად, ქართულ სასულიერო ნიგნებს ამზადებდა საბჭევად და ქართულ ენაზე თარგმნიდა ბერძნული „ქრონოგრაფიდან“ მოთხრობებს.

იგი ცდილობდა ქართული ნიგნების ბეჭდვა მოსკოვში როგორმე მოეგვარებინა, მაგრამ ხან შრიფტი არ უფინდათ, ხან ხელოვნები. 1703 წელს ეს კეთილშობილური საქმე პეტრეს წყალობით ადგილიდან დაიძრა.

კანცლერ გლოვინის თხოვნით არჩილმა დაწერა წერილი საქართველოზე, სადაც სხვათა შორის ამბობდა, რომ საქართველოს „როგორც ნაქცეულ ხეს, ყველა მიიტაცებო“, მან შეადგინა საქართველოს რუკა, რომელზედაც დიდხანს და გულდასმით შრომობდა. რუსულ ენაზე თარგმნა მეტად საინტერესო მასალები საქართველოს შესახებ.

მეფე არჩილმა ჩაუყარა საფუძველი ნიგნის ბეჭდვის საქმეს მოსკოვში. სტამბა დონის მონასტერში იყო მოთავსებული.

ქართული ნიგნების ბეჭდვა დაიწყო. გახარებული არჩილი სწერდა პეტრეს: „ჩემს მწუხარე გულს დიდად ესაბუზუნება ეს საქმე, ამ ამბავმა სვედის ალი დამიცხრო“!

არჩილმა თავის ორიგინალურ ნაწარმოებებს საბოლოო რედაქცია მოსკოვში გაუკეთა. მან თარგმნა: „ქრონოგრაფი“, მსოფლიო ისტორია სამყაროს შექმნიდან კონსტანტინოპოლის დაქვემდებარება; პროლოგი — „სეინაქსარი“, პაგოგრაფიული ნოველები და შუა საუკუნეების სათავგადასავლო რომანი „ალექსანდრინი“ — ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, უკრაინელი მოქადაგის პეტრე მოვილას ტრაქტატი, — „ელსარებანი მართლმადიდებლური რწმენისა“, არჩილის ლიტერატურულ-განმანათლებლური მოღვაწეობა რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი მოვლენა.

ბოლოს შედეგების მეფე დათანხმდა 60 შვედ ტყვე ოფიცერში გაეცვალა ალექსანდრე ოლონდ, როცა საქმე გაკვლეზე მიდგა, შედეგმა კვლავ არ ისურვეს უფლისწულის გათავისუფლება.

1591 წელს ყირიმის ხანი ყაზი-გირეი ურიცხვი ურდოთი მოულოდნელად დაესხა თავს მოსკოვს. მეფე თედორე ივანეს ძეს და ვოევოდა ბორის გოდუნოვის მცირერიცხოვანი ჯარით მოუხდათ მათთან შებრძოლება. ბრძოლის წინ გოდუნოვმა მე-

ბრძოლების წინაშე გამოიტანა დონის ლეთის-მშობლის ხატი, რომელიც უკვე დიმიტრი დონელს დაქონდა. დონელს ნადავლად ლაშქრობებში და როგორც დროშა, ისე მონაწილეობდა 1380 წელს კულეკოვის ბრძოლაში. ხატი იმდროიდან ითვლებოდა ქობაგადა და მფარველად.

მოსკოველებმა გაიმარჯვეს, ხანი გაიქცა. ბრძოლის ადგილზე მეფემ დონის ლეთის-მშობლის ხატის პატივსაცემად ააშენა ტაძარი და დააარსა მონასტერი.

მეორე მეფემ, თედორე ალექსის ძემ, XVII საუკუნეში გააფართოვა იგი.

დონის ლეთისმშობლის ხატი თან ახლდა მეფე ივანე მრისხანეს ყაზანის სამეფოს და მხოზისას, სხვათაშორის ყაზანის ალღის წინ წარმოთქმულ სიტყვაში ივანე მრისხანემ გაიხსენა დედოფალი დინარა: „ამბავი დედოფალ დინარასი“ (თამარისა) იმ დროს ძალზე პოპულარული იყო.

მონასტერი თანდათან იხვეჭს სახელს. XVII საუკუნეში უკვე მესამე მონასტრად ითვლება ჩუდოვისა და სიმონოვის მონასტრების შემდეგ.

რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო მაშინ საქართველოს მნიშვნელობა და გავლენა მოსკოვში და როგორი ძლიერი რუსულ-ქართული ურთიერთობა, რომ ასეთი დიდებული წარსულის მონასტერი მეფე არჩილს სამფლობელოდ გადასცემოდა მოსკოვის ქართული კოლონიის სასარგებლოდ და გასამტკიცებლად.

1705 წელს მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი ლაერენტი იმერეტინსკი. მანამდე ლაერენტი იყო მოსკოვის ზლატოუსტის მონასტრის ილუმენი.

მის დროს მოთავდა დიდი ტაძრის მშენებლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პეტრე დიდის დის — მეფის ასულ ეკატერინეს მიერ.

მოსკოვს არ ყოფნიდა მუსახელი. ოსტატებს ყოველი ქვეყნიდან ინვეფინენ, ქვის სამუშაოების მცოდნეები განსაკუთრებულ აღრიცხვავ აყავდათ. ქვის შენობების აგება ნებადართული იყო მხოლოდ მეფის პირადი განკარგულებით.

პეტრემ მისცა მონასტრის გარშემო კედლის აგების ნება, რადგან მონასტრს სამხედრო მნიშვნელობაც უკონდა. ლაერენტიმ ექვსი წლის განმავლობაში დაასრულა ძირითადი სამშენებლო სამუშაოები. აღიმართა უზარმაზარი აგურის სათოფურიანი კედლები, მონასტრის გაღაპანი შეიკრა კუთხეებში დატანებული მთლიანი მრგვალი კოშკებით. მონასტრმა მიიღო პირველი კლასის სამხედრო სიმაგრის მრისხანე სახე.

მშენებლობას დიდად უწყობდა ხელს მეფე არჩილი, ის და მისი ოჯახი, განსაკუთ-

რებით დარეჯანი, ყველა სამონასტრო საქმეების მონაწილენი იყვნენ.

ლაერენტიმ უმოკლეს დროში ააშენა ტიხონის საყდარში ქვის კიბეები, ცხაურიანი ფანჯრები; სენაკები, სარდაფი, სამაზარეულო, პურახის საბაფი, საყინულე (ხისაგან), ქვის დამხმარე სათავსოები, — პურის საცხობი და სამომ სამაზარეულო, ორი საცხოვრებელი პალატი, სამი ქვის სენაკი და სხვ.

საყდარი დედოფალ დარეჯანის მიერ შენარული 353 ცალი რკინის ფილით იყო მოგებული.

დონის მონასტერი გახდა რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი იმ ქართველთათვის, მოსკოვის თავისი მეორე სამშობლო რომ მიიჩნევიან. ქართული კოლონია, რომელიც ჩაისახა ერეკლე დავითის ძის დროს, საგრძობლად გაიზარდა. მოსკოვში დაშვედრდა ოცამდე თავადიშვილი, აგრეთვე 150-ამდე მსახური და დაბალი სასულიერო წოდების პირი. მათი სახელები და გვარები, ძალზე დამახინჯებულნი, ხშირად მოიხსენიება სხვადასხვა რუსულ სახელმწიფოებრივ, სასულიერო და სასამართლო საბუთებში.

ალექსანდრე ისევ ტყვეობაში იყო.

პოლტავასთან გამარჯვების შემდეგ კვლავ ჩაესახათ მისი მამარჯვებულთა იმედი. ლაერენტიმ მიეცა ტაძარში სახეიმო პარაკლისი გადაიხადა. მას ესწრებოდნენ მეფე არჩილი, დედოფალი ქეთევანი, დარეჯანი, თავადები და ქართველი მეფის ახლობლები.

პეტრეს შვილებზე გამარჯვების აღსანიშნავად არჩილმა ლექსი დაწერა. მაგრამ გავიდა კიდევ სამი მომქანცველი წელი. 1710 წლის პირველ ივლისს პეტრე პირველი ალექსანდრეს სწორდა:

„ღმერთია მონაშე, რომ თქვენ გამო ყოველგვარ ღონეს ვიხმარათ“. პეტრე ულოცავდა ალექსანდრეს ვიბორგისა და რიგის აღებას და არწმუნებდა: „როგორც აქამომდე, ისევე ახლაც თქვენი განთავისუფლები-სათვის ცდას არ დაეკლებთ“.

დაბოლოს, ტყვეობა აღარ დაუცადავს გაცვლას, ხელთ იგდებს შვილებს გემი, გამოიქნენ ბოტნიის კუნძულოვანი ნაპირებიდან და ჩამოვიდნენ რველში.

სამშობლოში დაბრუნებულ ორმოცდაოთხ რუს მეომარს შორის იყო იმერელი მღვდელი, უფლისწულ ალექსანდრეს მოძღვარი. მხოლოდ იგი ვადმოვიდა ნაპირზე თავდახარლი. ღონემიხილმა და ავადმყოფმა უფლისწულმა ალექსანდრემ კვლარ გაუძლო ხანგრძლივ ტყვეობას და პიტეოს კუნძულზე დაღია სული.

მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ დაბრუნდნენ რუსეთში პეტრეს თანამოაზრენი: თავადი ტრუბეცკოი და ავტონომ გოლოვინი,

პოლტავასთან დატყვევებულ უფლისწულ რენშელდზე გადაცვილილი.

„ვი ჩვენ უხედურ თავს, — უფროსი პეტრეს, — უფროსი სიკვდილმა მოგვტაცა ჩემი ვაჟი. იქნებ, მისი ძელები მაინც ვადმოგვეტანა მოსკოვში“.

პეტრემ ყველაფერი გააკეთა უფლისწულის ნუშტის მოსკოვში გადმოსასვენებლად,

დონის მონასტრის დიდი ტაძრის საკურთხეველის ქვეშ არჩილმა ააშენა მირქმის საყდარი, სადაც დაკრძალეს უფლისწული. იქვე ქმრის გვერდით დასაფლავებულა მისი პირველი მეუღლე ფეოდოსია, აგრეთვე ძმები დავითი და მამუკა, რომელთა ნუშტი გადმოსავენეს ნოვოდევიჩის მონასტრიდან. თავადი და მისმა ქალიშვილმა დარეჯანმა აქ პოლეს საუკუნო საფანე ამიერდონის მონასტრის ეს საყდარი გახდა XVIII საუკუნის ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების ყველაზე დიდი საძვალე. ეერსად საქართველოში და ვერც საღმრთე სხვაგან ვერ ნახავთ დაკრძალულს ამდენ სახელგანთქმულ ქართველს.

დონის მონასტერში დაკრძალულთა მხოლოდ უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია რუსთა და ქართველთა კავშირის მრავალმხრივობისა და მნიშვნელობის წარმოსადგენად და იმ როლზე, რომელსაც ქართველი მოღვაწეები რუსეთის ისტორიაში ასრულებდნენ:

ანა გიორგის ასული, მეუღლე უფლისწულ ბაქარ ვახტანგის ძისა... ანა მათეს ასული, იმერეთის დედოფალი... ათანასე ლევანის ძე, უფლისწული, გენერალ-პორუჩიკი... ბაგრატიონი, უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძის ქალიშვილი... ბაგრატიონები ალექსანდრა ივანეს ასული და დარია კირილეს ასული... ბაგრატიონი კირილე ალექსანდრეს ძე... ვასილი იავორის ძე, უფლისწულ გიორგი გრუზინსკის უმცროსი ვაჟი... უფლისწული გიორგი ვახტანგის ძე... გოლიცინა, უბრწყინვალესი უფლისწულის გიორგი გრუზინსკის ქალიშვილი... ბრწყინვალე თავადის მეუღლე ალექსანდრა იაკობის ასული, თავად სოზირსკის ასული, ციმბირის მეფეთა შთამომავალი, მეუღლე ქართველი უფლისწულის ლევან ბაქარის ძისა... კონსტანტინე დავითის ძე, იმერეთის უფლისწული, გენერალ-მაიორი... ლევან ბაქარის ძე, უფლისწული და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ქართველი თავადები, გენერლები და მღვდელმსახურები.

აქვეა დასაფლავებული უფლისწული ბაქარი, ვახტანგ VI ვაჟი, რომელიც არჩილის სიკვდილის შემდეგ აგრძელებდა მოსკოვში ქართული წიგნის ბეჭდვას და მისი დედა, დედოფალი რუსუდანი, პანთეონში არის კედელში ჩატანებული,

მხატვრულად ჩამოსხმული თუჯის ბადე, არსებობს აზრი, რომ იგი დატანებულია გეოგრაფისა და ისტორიკოსის უფლისწულ ვახუშტის საფლავის ადგილას. ბადეზე მიმგვრებულია ბაგრატიონების გერბი.

ეკლესიის შესამოსელში, რომელსაც არჩილისწული ჰქვია, დაკრძალულია უფლისწული დავითი, მეფე ქაიხოსრო ლევანის ძის ვაჟი.

ჯერ კიდევ არჩილის სიციცხლეში გახდა აწერს მონასტერი მოსკოვის მონასტრებს შორის იერარქიის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი.

დონის მონასტერი თანამედროვეთათვის საქართველოს ნაწილად იქცა. აქ ხანგრძლივად ცხოვრობენ საქართველოდან ჩამოსული სწავლული მღვდელმსახურები. აქ მოდიოდნენ ვახტანგ VI, ბაქარი, ვახუშტი და კათალიკოსი ანტონ პირველი, რათა არჩილის საფლავისათვის პატივი ეცათ. აქ დასტიროდა მწარად დედოფალი რუსუდანი არჩილს. მისი მოთქმა-გოდება ჩართო თავის პოემაში პოეტმა ფაველინიშვილმა.

დიდი პატივით დაკრძალეს აქ არჩილის მეუღლე, მას წესი აუგეს მოსკოვის ყველა მონასტრის არქივებშია. საზღვარგარეთელ სასულიერო პირებთან ერთად. პეტრეს პირადი მიითვლებოდა უჩვეულო ზარ-ზეიმით დაკრძალეს არჩილის ერთგული მეუღლე, გენერალ-ფელდცეხმისტერის, ალექსანდრე არჩილის ძის დედა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ, 836-ეა ქართულ საქმეებს მოსკოვში სათავეში დაერქვანი ჩაუდგა.

მაღე დედაქალაქი გადატანილ იქნა პეტროპოლის და მონასტერში, როგორც ქართული კოლონიის ცენტრში, მნიშვნელობა დაკარგა. აქ დაიწყო უმაღლესი არისტოკრატიის, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების დაკრძალვა. მონასტრის სასაფლაოზე, რომელსაც ვეება ხეები ამშვენებს, განისვენებენ ზოგიერთი დეკაბრისტის, ჩაადავის, პუშკინისა და ლერმონტოვის ახლობლები. აგრეთვე სმირნოვა-როსტკი, ნებრასკოვი, დმიტრიევი, კოზლოვი, სუმაროკოვი და ოდოევსკი, ვ. ლ. პუშკინი (პოეტის ბიძა), კოლუჩევსკი, ს. ი. ტანეევი, მხატვარი სეროვი, „რუსეთის ავიაციის მამა“ ფუკოვსკი, პიროდინოს ბრძოლის გამრები.

პეტრეს საქციელი ზიარად მოულოდნელი იყო, ხანდახან გაუგებარიც, ისტორიკოსები ზიარად გაოგნებულან კიდევ. მეცხრამეტე საუკუნის ერთი მკვლევარი ჩივის: „პეტრე პირველის მიესტორიებშია აქამდე ვერ განმარტეს მიზეზი, რატომ დაიწყო შვედებთან ზავის დღესასწაულის, სახელდობრ, სოფელ ვსესვიატსკოვში“. ეს სოფელი ისტორიაში მოიხსენიება 1599 წლიდან.

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე მ. ტატიშჩევი ბორის გოდუნოვს [შერძენებით, იმ წელს შეხვდა აქ შვედეთშია] [შვედებელ გოდუნოვის ქალიშვილის ქსენიას საქმროს, უფლისწულ გუსტავს.

ესესვიატსკოეს ვიწვევებოდა მდინარე ხოდინკას ის ადგილი (ახლანდელი აეროვაგზლის რაიონი ლენინგრადის გზატკეცილზე), სადაც ცრუდიმიტრი II მონინააღმდევთავად სკოპინ-შუსისკის მთავარი ბანაკი ქონდა.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან სოფელი მილოსლავსკების საკუთრება გახდა. ერთი მათგანი იყო მეფის ასულის სოფიოს მომხრე, ორგანიზატორი მეთოფეების აჯანყებისა. მისი ქალიშვილი ცოლად გააყვია უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძეს.

მილოსლავსკის და მისი ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ სოფელი ესესვიატსკოე პეტრეს ბრძანებით გადაეცა უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძეს (1695 წ.).

შვედების ტყვეობაში ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ესესვიატსკოეს მამული გადავიდა მისი ძის, დარია (დარეჯან) არჩილის ასულზე ხელში. დარეჯანი აგრეთვე იყო მისი ბიძაშვილის, ქართლის მეფის, ვახტანგ VI წარმომადგენელი რუსეთის მეფის კარზე, ვ. წ. სრულუფლებიანი მინისტრი, თუმცა ამ წოდებას ოფიციალურად არ ატარებდა. მას თავად ყვავდა მრავალრიცხოვან კარისკაცთა შტატი, მასთან მუდმივად ცხოვრობდნენ ნათესაუბრი, რომელთათვისაც ესესვიატსკოეში ცალკე სახლები აიგო.

შვედებზე გამარჯვების და ნიშნობადის ტრიუმფალური ზავის დადების შემდეგ, პეტრე პირველი გამომგზავრა მოსკოვს, გაჩირადნებული მოსკოვის მცხოვრებლები ქუჩებში ელოდებოდნენ მეფეს.

პეტროპოლის ახალ გზატკეცილზე იმპერატორის ხომალდი და სხვადასხვა ნაწილის მთელი ფლოტი მოემართებოდა. გემები მარხილებზე იდგა. პეტრეს ახლდა მეუღლე ეკატერინე, ორი ქალიშვილი, თავადი-კეისარი, რომოდანოვსკი, თავადი ალექსანდრე მენშიკოვი, აპრაქსინი, ბრიუსი, სამეფო ამბალა, უცხოელი მინისტრები, გვარდნიის ოფიცრები. ზეიმში მონაწილეობდა გიორგი დადინი, სამეგრელოს მთავრის ლევან VI ვაფი; მეფე არჩილის სუფრაჯი, თავადი პეტრე ამბრასაძე (რუსული თავადური გვარის ამბრასაძეების ფუძემდებელი); თავადი თურქესტანიშვილი — მეფე ვახტანგ VI ნდობით აღჭურვილი პირი. ეს იყო პეტრეს სპარსეთზე გალაქქების წელი და ამ პოლიტიკური აქტით — შვედებთან ზავის გამო დღესასწაულის ქართული მეფეების რეზიდენციამ დაიწყო პეტრეს სურდა ეწვენიბინა, რომ გადაჭრა ზე რუსეთის პირველი

ისტორიული ამოცანა (ბალტიის ზღვაზე გასვლა), იგი შეუდგებოდა მეორეს — სამხრეთის ზღვების დაპყრობას. კასპიის ნაპირების დაუფლება და აზოვის აღება რეალურად ნაშრომია საქართველოს განთავისუფლების საკითხსაც. რუსეთი და საქართველო აერთიანებდნენ თავიანთ ძალებს საქართველოს ძველი-ძველ მტრებზე თავდასასხმელად.

მოზეიმ პეტრემ დილით ფლოტილია პეტერბურგის ახალი გზატკეცილით მოსკოვისაკენ წაიყვანა.

მეტრო „სოკოლის“ ახლოს მდებარე ვენესიატსკის ეკლესია სწორედ ამ ამბებს გვაგონებს. ამ ადგილას, სოფლის ცენტრში იდგა მოძველებული ხის ეკლესია. მეფის ასულმა დარეჯანმა იმავე ადგილზე თავისი ხარჯით ააგო ახალი ეკლესია, რომელიც ქართველმა ოსტატებმა მოხატეს, ეს ნაბატიე შემონახულია საკურთხეველსა და სხვა ადგილებში. ეკლესიაშიც არსებობს წარწერები ქართულ ენაზე.

ტაძრის ამშენებელ დარეჯანს შეეძლო ტაძარი ვის სახელზეც სურდა, იმისთვის შეენიშნა. გადაწყვიტა დეტოუნინა ძველი სახელწოდება „ყველანმინდა“. ამით თითქოს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართველ წმინდანებსა და მისი მეორე სამშობლოს წმინდანებს აერთიანებდა.

ამ ეკლესიასთან შეიქმნა ქართველ მოღვაწეთა მესამე პანთეონი, აქ არის საფლავი გენერალ პ. ი. ბაგრატიონის მამის, უფლისწულ გრუზინსკისა (ბაგრატიონთა გვრბით); მეფის ასულისა და (ზოგი წყაროთი) საბასულხან ორბელიანის საფლავიც.

აქვე იყო ახლა უკვე დაკარგული სხვათა საფლავებიც.

დარეჯანს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. მის შემდეგ ვესვიატსკოე გადაეცა უახლოეს ნათესავებს, ვახტანგ მეფის შვილებს: ბაქარსა და გიორგის.

ბაქარის გარდაცვალების შემდეგ სოფლის ნახევარი ერგო მის ქვრივს, ანა გიორგის ასულს და შვილებს — ლევანსა და ალექსანდრეს. მეორე ნახევარი კი გიორგის დარჩა. მასვე გადაეცა ნიეგოროდის ლისკოვო, რომელიც პეტრემ არჩილს უბოძა.

ალექსანდრე ბაქარის ძის ვაჟმა განაახლა სასახლე, ააშენა ახალი — სახაფხულო, გააშენა დიდებული ბაღი, დარგო იშვიათ ხეები და ყვავილები: ბაღის უკან — ინგლისური პარკი, მის მიღმა — ქალა. უზარმაზარი სათბურები — ბაღის ყვავილებით შესავსებად და ოთახების მოსართავად. ახლანდელი „სერებრიანი ბორ“-ი უფლისწულის ყოფილი პარკია, აქ იგი ეკიპაჟებით სეირნობს — მართავდა.

არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქარა. „მნათობი“, № 3.

თული ნიგნის ბეჭდვის საქმე მოსკოვში ბაქარ ვახტანგის ძემ გააგრძელა. სტამბა სოფელ ვესვიატსკოეში იყო. ამ სტამბაში დიდხანს მუშაობდა ქრისტეფორე გურამიშვილი, დავითის ძმა.

1812 წელს ვესვიატსკოე ფრანგებმა დაარბიეს. ფრანგების განდევნის შემდეგ გიორგიმ კვლავ მდიდრულად აღადგინა მამული. ბაღში დაიდგა სხვადასხვა საჭურველით აღჭურვილი რუსი მებრძოლების ქანდაკებები. დღესასწაულებზე აქ ბოშები მღეროდნენ, სტუმრები გონდოლებით დაცურადნენ გუბურაზე.

გიორგი ალექსანდრეს ძის მთელი ადგილმამული მემკვიდრეობით ერგო მის ქალიშვილს, ანა გიორგის ასულს, სინოდის ობერ-პროკურორის, გრაფ ა. პ. ტოლსტოის მეუღლეს. ეს ის გრაფინია ტოლსტაია ვახლავთ, გოგოლს რომ დიდად წყალობა და მფარველობა. მას უქონდა სახლი სადოგოკუდრინსკის ქუჩაზე — ეკლესიით, ფიციელითა და ბაღით. სახლი მან ანდერძით მოწესრიგა თავშესაფარად დატოვა. იგი 100.000 მანეთი ღირდა, ანა გიორგის ასულმა ერთი ამდენი სახლის შესანახად, გათბობისა და მორთვა-მოწყობისათვის გამოაყო. წმინდა სამების სახელობის კარის ეკლესიასთან არსებულ თავშესაფარს ანა გიორგის ასულმა დაუტოვა თავისი ძვირფასი ხატი და სამკაულები, გარდა ქართველი წმინდანების ნაწილებიანი კიდობანისა, რომელიც კავკასიის ერთ-ერთი დედათა მონასტრისთვის უნდა გადაეცათ.

სტამბა ვესვიატსკოეში 1774 წლამდე არსებობდა. ახლა მისი კვალიც არაა დარჩენილი. დღეს ვესვიატსკოეს ადგილას გადაშლილია მოსკოვის თანამედროვე რაიონი — სოკოლი. მაგრამ ჯერ კიდევ 1870 წელს, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულმა აკადემიკოსმა მ. ბროსემ სთხოვა თავად დავით ბაგრატიონს, მოეძებნა, სად იყო ძველად სტამბა. მაგრამ იმ ადგილებში ძველი ქართული დასახელების ნაშთიც არ ჩანდა. დარჩა მხოლოდ დარეჯანის მიერ აღწერილი ყველანმინდას ტაძარი. იგი მეტრო „სოკოლის“ შესასვლელის პირდაპირ დგას.

აჯანყების მოედანზე, მაღლივი შენობის ყველაზე მაღალი ნერტილიდან იშლება ქუჩა კრასნაია პრესნიას პერსპექტივა, რომელიც მთავრდებოდა მიწაყრილით, მიწაყრილს „გრუზინსკი ვალ“-ს ეძახიან. ოდნავ მარჯვნივ დავინახავთ ზოოპარკის მწვანე ტერიტორიას, მას ბოლშეია გრუზინსკაიას ქუჩა შუაზე ყოფს; კიდევ უფრო მარჯვნივ, პლანეტარיוםის ტუშბათს და შემდეგ მოშორებით — სასტუმრო „პეტინს“. მთელ ამ დიდ რაიონს წინათ ერქვა გრუზინსკაია საშობოდა ან და

უბრალოდ „გრუზინი“. ძველი მოსკოველები ამ ადგილს ახლაც კი ასე ეძახიან.

მანამდე, სანამ გრუზინსკაია სლობოდა წარმოიქმნებოდა, ამ ადგილზე იყო სოფელი ვოსკრესენსკოე — მეფე თედორე ალექსის ძის საზაფხულო რეზიდენცია.

1729 წელს სოფელი ებოძა ქართველ მეფეს ვახტანგ VI, რომელიც მოსკოვის თავისი ვაჟებით — ბაქარითა და გიორგით ჩამოვიდა; თან დიდი ამაღა ახლდა. სახლების ასაშენებლად მათ სამშენებლო მასალა მისცეს, აგრეთვე იმდროისათვის საკმაოდ დიდი თანხა — 10000 მანეთი — და მალე მდინარე პრესნიას ორივე ნაპირზე დაშვიდრდა გრუზინსკაია სლობოდა.

ახლანდელი ზოოპარკის უკან, ყოფილ გეორგიევსკის მოედანზე, ქართველი მეფის სასახლე იდგა, იქვე ახლოს უფლისწულმა გიორგიმ ააშენა წმინდა გიორგის ეკლესია. თედორე ალექსის ძის ყოფილი სასახლის ახლოს აღმოცენებული სლობოდა „გრუზინი“ XVIII საუკუნის დამდეგს წარმოიშვა.

პირველად იგი 1714 წელს მოიხსენიება. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის შუა წლებში, როცა იგი ქალაქის ფარგლებში შევიდა, მას უკვე „პრესნიასა და გრუზინის რაიონი“ ერქვა.

ბოლშაია გრუზინსკაიაზე, უფლისწულ ბაქარის ერთ-ერთი მსახურის დღემდე შემონახულ სახლში, ახლა მოთავსებულია მეგორიანი — საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფილიალი, ამავე ქუჩის სვერდლი შოთა რუსთაველის ძეგლია აღმართული.

1812 წელს „გრუზინი“ გადარჩა. სლობოდამ დიდი როლი ითამაშა 1905 წლის მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში. ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩა, მისი მომიჯნავე შესახვევებით, ხელთ ეპყრათ აჯანყებულ მუშებს. № 20 სახლში მოთავსებული იყო მოსკოვის ბოლშევიკთა საოლქო ორგანიზაცია.

რუსეთსაქართველოს ურთიერთობის კიდევ ერთი გასაოცარი ძეგლი მდებარეობს იპატევის შესახვევში. ესაა სამეფის ეკლესია ანუ XVII საუკუნის ყოფილი ქართული ეკლესია.

მოსკოვში მიმინვარებდა შავი ჭირი, ქალაქს გარს საგუშაგოები შემოარტყეს, ქალაქიდან არაფერი არ უშვებდნენ. მეფე ალექსი მიხეილის ძემ ბრძანა — კრასნოგორის მონასტრიდან მოეტანათ ღვთისმშობლის ქართული სასწაულმოქმედი ხატი, იგი საქართველოდან სპარსელი დამპყრობლების მიერ იყო გატანილი, ამ ხატის პატივსაცემად კრასნოგორის მონასტრში ააგეს ეკლესია, რომელმაც სახელი სასწაულმოქმედებით გაითქვა. და აი, სასწაულმოქმედობა ალექსი მიხეილის ძემ ეპიდემიის შერყევა ხატის დახმარებით მოინდომა. იქნებ ამით მაინც დაეშოშმინებინა მოსკოველები. ხატი ჩამოასვენეს, მის მიმართ ლოცვა

აღავლინეს და ოი, სასწაულო! ჭირი მოულოდნელად შეწყდა. ხატი დაასვენეს წმინდა-სახეების ეკლესიაში, იმ დროიდან ქართული ღვთისმშობლის ეკლესიად რომ იწოდებოდა. ეპიდემიის შეწყვეტამ განსაკუთრებით გაუთქვა სახელი ხატს. 1658 წელს ალექსი მიხეილის ძის და პატრიარქ ნიკონის ბრძანებით, დადგენილი იქნა ღვთისმშობლის ხატის ყოველწლიური დღესასწაული „მისი სასწაულმოქმედების გამო“. ეს იყო — 22 აგვისტო. ამ დღესასწაულს 250 წლის განმავლობაში აღნიშნავდნენ. სამების ეკლესია სიმონ უშაკოვმა მოხატა. ახლა იქ მოთავსებულია სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფილიალი.

ქართული ღვთისმშობლის ის ხატი რომელსაც ლაშქრობებში ალექსი მიხეილის ძე ატარებდა, ესენა კრემლის მიძინების ტაძარში. ახლა ეს ხატი ნოვოდევიჩის მონასტრის მუზეუმში ინახება. მეორე ხატი დღემდე ასენია სოკოლნიკების ამაღლების ტაძარში.

კრემლის მთავარანგელოზის ტაძრის არქივები დედოფალ ელისაბედის მეფობამდე, მეტწილად ქართველები იყვნენ.

მოსკოვში ქართული ეკლესიები იყო აგრეთვე ბოლშაია გრუზინსკაიას რაიონში (წმ. გიორგისა და ციციშვილებისა), ვორონცოვის მიწოდორზე, გრუზინსკის შესახვევში... სულ ექვსი ეკლესია. ღვთისმსახურება სოფელ ვესევიატსკოეს ტაძარში, ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ქართულ ენაზე სრულდებოდა, მცირე თეატრის ახლოს (შემდგომში ხლუდოვის სახლი, ახლა ცენტრალური აბანოები) იდგა ქართველი მეფეების კარის ეკლესია.

ვახტანგ VI არჩილის მოღვაწეობა განგრძელდა. მოსკოვში იმ ადგილას ცხოვრობდა, სადაც ახლა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაა. ოხოტნი რიადის ახლოს იდგა ბაქარის ქუჩის საწლავი.

ანა იოანეს ასულმა დიდი პატივით მიიღო ვახტანგ VI. მის პატივსაცემად დიდებული ნაენიმი გამართა, თვით შეესა მეფის სადღეგრძელო. ანამ სენო პეტრე პირველის დანაპირები, რომელიც ვახტანგმა შეახსენა, გასცა ბრძანება, შეეკრიბათ ჯარები და კასპის ნაპირებისაკენ დაძრულიყვნენ.

აღფრთოვანებული ქართველები განმათავისუფლებული ბრძოლებისათვის მზადებას შეუდგნენ, მაგრამ რუსეთმა კასპისპირეთი სპარსელებს დაუთმო და საქართველო შტრეზის პირისპირ დატოვა. ფაქტიურად ანამ ნუბაყოფლობით თქვა უარი პეტრე მიერ აღტყმულ ყოველგვარ დახმარებაზე.

ეს ვარდმოცვა ვახტანგისათვის იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მან ხელი აიღო ტახტზე და თავი მიაწება ყოველგვარ საქმიანობას.

ვახტანგის ტახტიდან გადადგომამ და მისმა

სიკვდილმა კიდევ უფრო გავართულა ქართველი ემიგრანტების მდგომარეობა. აქამდე ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ახლა მათ სახლ-კარს ყარაული მოსხსნეს. მეფის ნებართვის გარეშე სახელმწიფო სამსახურში არ განაწესებდნენ, ბოლოს რუსეთის არმიის სამსახურს შესთავაზეს.

„მოელ სპარსეთში — ჯერ კიდევ ადრე სწერდა ა. ვოლინსკი პეტრეს — საუკეთესო ჯარები ქართველებისაა“.

სპარსელებიც აფასებდნენ თავიანთ მტრებს. ქართველებს ხშირად ნიშნავდნენ ირანის ჯარების მთავარსარდლად, შაჰის გვარდიის უფროსებად, ცალკეული პროვინციების მმართველებად, სპარსეთის დედაქალაქის მოურავებად. ემიგრანტებისაგან ახლად შექმნილმა ქართველ პუსართა ლეგიონმა მამინვე მიიღო მონაწილეობა ხოტინთან ბრძოლაში (1739 წ.). რუსეთის არმიის სარდლობა აღნიშნავდა:

„ქართველები თავის მოვალეობას მაშაცურად ასრულებენ... ქართველები ისე იქცევიან, როგორც შამაც და საიმედო ხალხს შეეფერება, ასე რომ, მეტის მოთხოვნა მათგან შეუძლებელია... ჩვენ ძალზე გუჭირდება რაც შეიძლება მეტი ასეთი გულადი მებრძოლები...“

დავით გურამიშვილი ამ პოლკის ოფიცერი იყო, მასთან ერთად მონაწილეობდა ხოტინთან, ფრიდრიხსგოფენთან (1742 წ.), ბერლინთან (1757 წ.), ბრძოლებში. პოლკს მეთაურობდა მამუკა დავითაშვილი, ცნობილი რუსული გვარის დავითოვების ფუძემდებელი. ამ გვარმა ბევრი საზოგადო მოღვაწე მისცა XIX საუკუნის რუსეთს.

გურამიშვილი მოსკოვში ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ ჩამოვიდა. ვახტანგმა იგი დანიშნა „ჯაბადარ-ბაშად“ — საქურველთუხუცესად. მისმა ძმამ ქრისტეფორემ, სტამბაში მუშაობის გარდა, ქართულად თარგმანა თეოფილე პროკოპოვიჩის წიგნი — „პირველი სწავლება ყრმათათვის“.

რუსეთის არმიის ქართველებს თავად ანა იოანეს ასული რიცხავდა.

ქართველ პუსართა ლეგიონი 1769 წლამდე არსებობდა.

სხვადასხვაგვარად წარმართა სამშობლოს მონყვეტილი პატრიოტების ბედ-იღბალი. ერთი ჯგუფი დასახლდა უკრაინაში, სხვები ორენბურგის, მოზდოკის, ვორთნეის ახლოს. ზოგი მსახურობდა. მესამენი სამეცნიერო მოღვაწეობას ეწოდნენ, როგორც

უფლისწული ვახუშტი; ზოგი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე გახდა. უფლისწული ათანასე (აფანასი) კლუჭინა VI ძმა, გენერალ-პორუჩიკი, მრავალი ბრძოლების მონაწილე, კრემლის ობერკომენდანტად დანიშნეს.

მაღე დედაქალაქი საბოლოოდ გადავიდა პეტერბურგში. მოსკოვი ბუზღუნა აზნაურთა ოპოზიციის ცენტრად გადაიქცა.

ქართული ემიგრაცია კარგად ასახავდა დროის თვისებას; პეტრე დიდის დროს იგი წარმოშობდა მშენებლებს, სწავლულებს და პოლიტიკოსებს; იმპერატრიცის დროს — ეპიკურელებს; ნაპოლეონის შემოსევისას მისი წინააღმდეგ გამომდინარე მთელი კოპორტა გამოვიდა. საკმარისია ითქვას, რომ ბოროდინის ბრძოლაში 12 ქართველი გენერალი მონაწილეობდა. მათ შორის — ძმები ბაგრატიონები, იაშვილი, ფანჩულიძე, ჯავახიშვილი და განგებლიძე, შალიაშვილი და ბიბილური. ყოველი მათგანი ღირსია ცალკე წერილისა, მე მხოლოდ ის მინდა აღვნიშნო, რომ პი. ბაგრატიონი მოსკოველების საყვარელი პიროვნება იყო. და ახლაც ისტორიულ მუზეუმში ინახება მისი პირადი წიგნები. მოსკოვში არის მეტროს სადგური — „ბაგრატიონი“.

სამწუხაროდ, მცირე მოცულობის წერილში შეუძლებელია ყველა ღირსშესანიშნავი ადგილის თაობაზე საუბარი. რევოლუციონერები, კულტურის მოღვაწეები და მათთან დაკავშირებული მატერიალური ძეგლები ცალკე შესწავლას საჭიროებს, მთავარი ის არის, რომ ქართველები მოსკოვში არ იყვნენ მხოლოდ ემიგრანტები, ეს ხალხი ცხოვრობდა თავისი ადამიანთ, მოვლენათა მათთვის ხელსაყრელი განვითარების მოლოდინით, მაგრამ იმავე დროს მზურვალე მონაწილეობას იღებდა თავისი მჭორე სამშობლოს საქმეებში. ამას გარდა, ქართველები განაგრძობდნენ თავისი ხალხის ინტერესებისათვის კულტურულ მოღვაწეობას. ისინი თარგმნიდნენ რუსულ სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურას. და ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს.

მოსკოვის ქართულმა კოლონიამ დიდი როლი ითამაშა რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა გაფართოებაში. უდაოდ დიდად შეუწყო ხელი ორ მოძმე ხალხს შორის მომავალში დამყარებულ მჭიდრო კავშირს.



სულხან შორღანიძე

«ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი»

პრიტიკაშური კონფეზიციის პრიტიკის ცდა

წაითხული გაქვთ წიგნი — „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი?“ ეს წიგნი 1927 წელს დაიბეჭდა თბილისში. მისი ავტორია სერჯი დანელია — ფილოსოფოსი, ფილოლოგი, კრიტიკოსი. სერჯი დანელიას ეს კონკრეტული თხზულება რამდენიმე ფაქტორის გამო არის ურადსაღებო. მაგრამ მოვარ, ფუძემდებლურ პრინციპად მანც ის მოსაზრება წარმოგვიდგება, რომლის მიხედვითაც ვაჟა-ფშაველას პოეზია, მისი აზროვნების მანერა „პრიმიტიულ კლდეშია“ ან „პრიმიტიული ანტიკობა“... პრიმიტიული კლდეშია დონეზე მეოფი ადამიანები წინას უკანისაგან ვერ აჩვენებ და ვერც ვაჟა-ფშაველას პოეზიისა და ვერც მისი მშობელი ქართველი ერის ასეთი დახასიათება ვერაფერი შეიძლება.¹

ადრეულ მითოლოგიურ, ტოტემურ პერიოდში ადამიანის აზროვნების სტრუქტურის თაობაზე ბევრი საინტერესო წიგნი დაწერილა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ახსენებდა „ავსტრალიის ანტიკური ფორმების ფილოსოფია“. ლევი-ბრაუნისა და კასარტის დამატებულად გვიჩვენებენ, რომ პირველყოფილი ადამიანის — ხ. დანელიას

ტერმინოლოგიით პრიმიტიულ კლდეშია პერიოდის ადამიანის — აზროვნება, ჩვენი თვალსაზრისით, თანამედროვე ადამიანის სტანდარტების თვალსაზრისით, ალოკურია. ტერმინმა „პრიმიტიული“ ბევრი მცენიერის უკმაყოფილება გამოიწვია და ლევი-ბრაუნისა და მისმა თანამოაზრებელმა შემდგომში ის სხვა სიტყვით — „ანტიკური“ შეცვალეს. ტერმინის შეცვლას შინაარსის არავითარი შესაბამისი ცვლილება არ მოჰყოლია. ავიღოთ თუნდაც ა. ფ. ლოსევის „ანტიკური მითოლოგია“. სწორედ ამ ვხვდებით ლევი-ბრაუნის კონცეფციისა და ტერმინოლოგიის ისეთ კრიტიკას, რომელიც ბუზერანგით უზრუნდება კრიტიკის ავტორის მიერ ადრეულ კონსტრუქციულ აზროვნებას. ა. ფ. ლოსევი მითოლოგიური აზროვნების ადრეულ პერიოდს ყოველმხრივად გარდასახვის პერიოდს (оборотничества) უწოდებს. აზროვნების აზგარი პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი საგანი შეიძლება იყოს რომელიმე სხვა საგანი და ერთი საგნის მეორესთან გაიყვანოს სულაც არ არის საკარო მათ შორის რამე საერთო ნიშან-თვისებას შემჩნევა; მოვარია, რომ ეს საგნები არსებობენ სივრცეში. ხვდებიან ადამიანის მხედველობის სფეროში, როგორც თანაარსებულ საგნებს. ასე რომ, ადამიანი ამ კანონის შესაბამისად შეიძლება იყოს ქვად და მცენარედ, ცხოველიც და მშათობიც. ადამიანს, აზროვნების განვითარების ამ ეტაპზე, ვერ კიდევ არა აქვს გამოყოფილი საკუთარი „მე“ ბუნებისაგან, ის ყველა საგანში არსებობს და ყველა საგანი მასში არსებობს. მოუხედავად ამისა, „ანტიკური მითოლოგიის“ ავტორი გვეუბნება, რომ ამ ადრეულ პერიოდშიც კი გაუმართლებელია ლაპარაკი თუნდაც რომელიმე ალოკური კატეგორიის არ-არსებ-

1 კრიტიკული აზრი ამ წიგნთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს გ. ჯიბლაძეს სტატიის „ვაჟას ანტიკური ფილოსოფია“. იხ. ლიტ. გაზეთი „სიტყვა და საქმე“, № 2 (11), 20 იანვარი 1935 წ. და წიგნი „კრიტიკული ეტაპები“, 11, სახელგამო, 1955, გვ. 296-315; იხ. ამასთან დაკავშირებით აგრეთვე მკვლევარ ბენო ღობორჯინიძის წიგნი „ბუნება და ადამიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, თბ., „მეცნიერება“, 1962.

ბოპე (ა. ფ. ლოსვეი გეოგრაფიკულ ლოკაციური კატეგორიების სუსტი დიფერენციის იდეის მითითებით აზროვნების ადრეულ პერიოდში). ჩვენი აზრით, ა. ფ. ლოსვეის ნაზრევში ბევრი რამ აიხსნება გასარკვევი. გასარკვევია ვერ ერთი ის, თუ რამდენად შეესაბამება ესტორიის პრინციპებს ადამიანის ცხოველად წარმოშობის ნახტომისებური, ზედმეტად ჰემატური იდეა. მოდელი ცხნველი-მადე-ფრეველი ჩვენ ერთობ განუმარტებელია გვესაზრება, აქ მდინარე უფლებდებულოდია ვარდამავალი პერიოდი ცხოველ — ადამიანისა, რომელიც თავისთავად წარმოშობს კითხვას: „რა იყო მტე პირველყოფილ ადამიანში, ჩვენი შორალური, ინტელექტუალური და ესპონტორი სტანდარტების თვალსაზრისითადან გასწავლინა? ადამიანური თუ ცხოველური?“ ის ემპირიული მასალა, რაც მითების, ლეგენების, ლეგენდებისა და ადათების სახით პირველყოფილ ადამიანზე მოვეუბრება, ერთობ საბევრს ზღის უფლება ძირითადი ლოკაციური კატეგორიის არსებობას მის აზროვნებაში. ადრეული ისეთი კატეგორიები, როგორცაა ცნება, მსჯელობა, მასპინძა. სამივე კატეგორია აბსოლუტური სიცხადით წარმოგვიდგება ნებისმიერ ნორმალურ თანამედროვე ადამიანში, მაგრამ მდელი შეიძლება ვეღვრის მოქმედებაში, როდესაც ის ადამიანის ჩრდილს დანას ურტყამს პირველის მოკვლის მიზნით — მისი რწმენით, მტრის ნერწყვს, გადასაფრთხის თუი ხელში ჩაიგდებს, კარტოფილში მოათავსებს და საკვამურში დაკიდებს, მასწავ, ნერწყვის გაშრობასთან ერთად, მტრისაც ვაშოვდება ძალია (?). შეიძლება ვთქვათ, რომ ვეღვრის ამგვარ აზროვნებაშიც არის მსჯელობა, წინამძღვარი: — თუი ჩინებობს ხმელში მტრის ნერწყვს, თუი მონათმსახრს მის პარტოფილში, თუი დამკიდებს პარტოფილს სპაპმურში, ხმარსობებს; მივიღებთ დანკნას. ფურტხის სასითი ხმარსით გამორსობა ძალას გამოსაცხის მტრის; და მივიღებთ ცნებასაც: ხმარსობის ცნება (მის გამარსობა), მტრის ცნება, პარტოფილში, სპაპმის, ნერწყვის და ნერწყვის გამორსობის, მტრის მასუსტამის ცნებები. ამგვარად, მასში რადიონებელი ლოკაციის უზოგადები კატეგორიები. ეს წმინდა ფორმალური თვალსაზრისით. მაგრამ შევხედოთ ახლა იმავე კატეგორიებს რადიონად, ხადი, პრაქტიკული თვალთ. ამკარა, რომ ვეღვრის ნაზრევში უკველი საგანი უფსკრულითაა გამოყოფილი იმ წარმოდგენისაგან (ცნებისაგან), რომელიც ჩვენ გავარჩინა იგივე საგანზე. შეიძლება ითქვას, რომ ვეღვრის ცნება და ჩვენი ცნება იმდენ შინაგან არსებით განსხვავებას ამდევებს. ერთსა და იგივე საგანზე, რომ მათი ერთი ტერმინით გამოითინება გაუმარტებელიც კია. და კიდევ:


მის მსჯელობაში არსად ჩანს დანკნას გეოგრაფიკების ექსპერამენტული დასაბუთების ნაბიჯები. მაღიკ კი, ამიტომ მის ნაზრევში ვეღვრის აბსურდამდე აღკვეთილია. ვეღვრის ტექტურად არა აქვს ჩამოყალიბებული ცნება არა მარტო უმარტვეს საგანზე (კარტოფალი, კვამლი, ფურთხი), არამედ მოზე-შედვის, მითებისა და ნაწილის კატეგორიებზე და ამიტომ მისი აზროვნება ფუნდამენტურ, ძირითად შეცდომას შეიცავს. ნაშნადობლივია, რომ ა. ფ. ლოსვეი ტრეტმისს, ფტმისს და მკაას წინარტრეტექტურულ ფუნდამენტად თვლის. აქ ტერმინი წინარტრეტექტურული რმფმმმმმმმმმმ არის ნაწარმოები. ფილოსოფიური ტერმინია და უნდა ამოდიადებს ფიქრის, თვითდაკარტების იდეადან, რაც სრულიებით არ შეესაბამება ლევი-ბრულის წინარტრეტექტური აზროვნების კონცეფციის ატორისებულ კონტაქსს, — რამეთუ პირველყოფილ ადამიანს უფავოდ უნდა მქონოდა თავისებურა აზროვნება და თვითდაკარტება. თუმცა ეს არ იყო ჩვენი სტანდარტების შეესაბამება ლოკაციური აზროვნება და ლოკაციური თვითდაკარტება. აქ, როგორც ვხედავთ, ა. ფ. ლოსვეი ტერმინოლოგიურ უზუსტობას უშვებს. მიახლოებით იგივე წინააღმდეგობაში ვარდება ლევი-ბრუსიც, როდესაც ცდილობს დავსაბუთოს, რომ პირველყოფილი ადამიანის აზროვნება არაფრით არ ჩამოუვარდება თანამედროვე ადამიანისას. მიუხედავად ამისა, რომ ჩვენ ლევი-ბრუსი დიდ მეცნიერად მივარჩინა, მინც უნდა შევჩერდეთ იმ შინაგან წინააღმდეგობაზე, რომელსაც შეიცავს მეცნიერის მსჯელობა მითითებული აზროვნების კარდამალურ საქითთან დაკავშირებით. „მითსა და წინააღმდეგობაში“, სულ სამიოდ ვერდზე, ლევი-ბრუსის უნდა მადინოვსკის ფუნქციონალური (ვეღვრის აზროვნება მდინარე და განისაზღვრება მსხვილური და ემოციური რეტრეტრეტაციით) გაკავებებება, რადგან პირველი მხედვით პირველყოფილი ადამიანის აზროვნება უარესია, ვიდრე ჩვენი, ხოლო მეორისა — ძირეულად განსხვავებული. ლევი-ბრუსის აკარწმუნებს, რომ არც ერთი მართალი და არც მეორე. თუმცა მითითებული აზროვნება თავისებურად განსხვავდება და თავისებურად უარესია ჩვენი მეცნიერული აზროვნებისაგან, რადგან მეცნიერული აზროვნება საშუალებას აძლევს ადამიანს დამორჩილოს ბუნება, მითოლოგიური კი — ვერა, ის ადამიანს ვარშოვდ მითოლოგიური ძალაუფლების მოკვებს მხოლოდ ილუზიას უქმნის, პირველყოფილი, მითოლოგიურად მოაზროვნე ადამიანი და თანამედრო-

ვე ადამიანი, რომელიც საღამოთი ტელევიზორს უყურებს. უსმენს რადიოს, დაჰყავს მანქანა, თანაბრნი არიან გონებრივი ენერჯით, ინტელექტუალური პოტენციით (mental capacities). ეს პოტენცია ერთია ყველა დროსა და ადგილის ადამიანებისთვის და ვეღარც ამ ნიჟის, ამ პოტენციალური გონებრივი ენერჯიის მხოლოდ იმ პატარა სექტორს, იმ პატარა ნაწილს ავარჯიშებს, ავითარებს და ხმარობს, რომელიც შეეფერება მისი ცხოვრების რაობას, არსს, მის დამოკიდებულებას გარემოსადმი. ენერჯიის ეს ნაწილი ვეღარცა და თანამედროვე ადამიანს იხვევ არა აქვს ერთნაირი, როგორც არ არის ერთნაირი სხვადასხვა ეპოქების კულტურა. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

უპირველეს უკვლია, ლევი-სტროსი მაღალია და ლევი-ბრიულს არ ეკამათება, რადგან მიიწერს მათ ისეთ მსოფლმხედველობას, ისეთ აზრს, რომელიც ამ მკვლევარებს არახოდას გამოუთქვამთ. ჰყენ მხედველობაში გვაქვს mental capacities-ის ცნება, რომლის ქართულ და სრულად ენებზე ადექვატური თარგმანა (ვადლისხმობს სიტყვის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებული ასოციაციებს გადმოცემას) გვიჭირს და ამიტომ რამდენიმე სიმონსენს ვთავაზობთ: გონებრივი უნარი, ანტიდექტუალური პოტენცია, გონებრივი ენერჯია. ეს ცნება, დროსა და სივრცის გარეშე, მოწყვეტილი ყოველგვარ რეალობას — სოციალურს, კულტურულს, წმინდა წულის პირობაშია, რომლის კუთხარტების ექსპერიმენტული შემოწმება, დადგენა გამოირაცხლება, ვინაიდან, იგი არხად არის ფორმირად გამოვლენილი, არა წარმოადგენს საუბრედ, არხებით ცნებას ლევი-ბრიულისა და მაღალინსკის ნააზრევს. არხად მათ ზიოვებში არ იგულისხმება, რომ ვეღარცა და თანამედროვე ადამიანი განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ „დმრითობიძებულად“, შეტაფიოკური სამყაროდან მოვლენილი ფენომენით. ანუ რომ, ლევი-სტროსიც ფაქტურად იმიერებს მაღალინსკისა და ლევი-ბრიულის აზრს მის თაობაზე, რომ პირველყოფილი ადამიანის მოქმედება და აზროვნება ჰყენი ეთიურ-სოციალური სტანდარტების მიხედვით აღიგებურაა.

პირველყოფილი ადამიანის აზროვნების, მითოლოგიური აზროვნების პრობლემით დაინტერესებულნი არიან ფილოსოფოსებმა, ფსიქოლოგებმა, ანთროპოლოგებმა, ფოლოლოგებმა... მითოლოგის მიდგომა პრობლემისაგან გამოირჩევა პროფესიით. გამართებულთ თავისებურებით. ქვიშს ქორც ფრეიფრის განმარტებით ანთროპოლოგს, უპირველეს უკვლია, ადამიანის აზრისა და ინტიტუტების ემბრიონალური, ნანასახოვანი მიდგომარეობა ანტიერესებს, ვეღარც მარქსისა და ზენ-ჩეულებლის დადგენა და შემდგომ ამ მარქსისა და ზენ-ჩეუ-

ლებების გადმონათის აღმჩინა. უფრო მაღალი კულტურის ხალხებში [ფსიქოლოგებს, ასეთს, მაგალითად, როგორც [სენსიტივულ ფროიდი, პირველყოფილი ადამიანისა და თანამედროვე ადამიანის (ძირითადად ნერვანთენიკის) ფსიქიკური რეალობის შემართობარტების ანალიზი. ამ უკანასკნელის ფსიქიკის შესწავლისა და შეურნალობის საბიოლოგი მონიტი; ფილოლოგებს (კერძოდ ლიტერატურისმცოდნეებს) მხატვრული აზროვნების ემბრიონალური მიდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესწავლა თანამედროვე ლიტერატურულ პრაქტიკაში გაჩვენებს, თანამედროვე პოეტური, მხატვრული აზროვნებას არსში უკეთ ნაბეჭდის იმდენი ფილოსოფოსებს — უკეთაფერტი ერთად. შეეცინება აზროვნების არხის დადგენისათვის აუცილებელი მონაცემების მოპოვების მიზნით სხვადასხვა წყაროს მიმართავენ: მითებს, ლეგენდებს, გადმოცემებს, რადგან აქ შემორჩენილია პირველყოფილი ადამიანის აზროვნების ნაშთები; თანამედროვე ცივილიზაციის ასოლოტურად მოწყვეტულ ტომებს (აფრიკაში, ავსტრალიაში), „თანამედროვე ვეღარებს“, რომელთა პოეტურ, ალბათ, ალბათ უკეთ თითქმის შეუძლებელია; სულით დაავადებულთა მოქმედებებსა და აზროვნებას. ცნობილია, რომ მითოლოგიური, წინარელოგიური აზროვნების კვალი არ არის მთლიანად წაშლილი თანამედროვე ადამიანს გონებაში. წინარელოგიური გარდაუვალი კედლით არაა გამოყოფილი ლოგიკურისაგან. ეს აზრი სრულ მარშონიზაშია ფროიდის „ტოტემისა და ტაბუს“ მთავარი იდეისთან, რომელიც წინას დასასრულს მოკვლავინება მბილიური გამოხატულების — „პირველადი იყო სიტუა“, ანტონიშური პერიფრაზით: „პირველითგან იყო საქმი“. ფრანკის მნიშვნელობა პირველყოფილი ადამიანის აზროვნების მიმართებით ფროიდის წინაში ასოლოტურად ნაშთილია. პირველყოფილი ადამიანი მოქმედებს თავისი იმპულსური სურვილის მიხედვით. ფაქრი, გააზრება და მოქმედება ერთდროულად, ხომულტანური იყო და, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედება ერთგვარი სუბსტიტუტი, მაგერი იყო აზრისთვის. რაღაც ამდაგვარი გვხვდება ნერვანთენის შემთხვევაშიც. მაგრამ პრაბიტიული ადამიანისაგან განსხვავებით, იგი თავის იმპულსურ მოთხოვნილებებს იწვიათად იქმყოფილებს, იწვიათად ასორცილებს, ანუ რომ, ნერვულად დაავადებულთ თანამედროვე ადამიანის შემთხვევაში აზრი (ოცნება) მოქმედებას ასოლოტურად ცვლის. თუკი აზროვნების დინამიური განვითარების საკითხს ლიტერატურისმცოდნეობის ასპექტიდან მივუდგებით, მაშინ გამოვლინაჩ იმ შეიერტაბიკოვან, მაგრამ ფაღრესად საინტერესო გამოკვლევებიდან, რომელთა ვაცნობის ბედნიერებაც ჰყენ გვხვდა წილად, ვიკვლო, რომ თანამედროვე



მხატვრულ აზროვნებაში მითითურ აზროვნებას მისი პირველყოფილი სახით ფაქტიურად ადგილი არა აქვს. ა. ფ. ლოსტვის, რ. ფრედენბერგისა და სხვათა შრომებში კარგად არის გაანალიზებული ეს ფენომენი. გაანალიზებულია ისიც, თუ როგორ ხდება მითის აღდგენად გააზრება, მხატვრულ ფენომენად აღქმა კონკრეტული აზროვნების განვითარების შედეგად. ე. ა. მითის კვლემა და მხატვრული აზროვნების წარმოშობა. „წინარელოგიკური მითური აზროვნება ვადადის ანტიკური ხანის მტკაფორულ აზროვნებაში და შემდგომ ეს უკანასკნელი ახალ მტკაფორულ აზროვნებაში... უველაზე უფრო მოულოდნელი და ურთიერთშეზღვევი მოვლენების გამაერთიანებელ, მრავალბანიან აზროვნებაში...“ წერს ამასთან დაკავშირებით რ. ფრედენბერგა. რა განუზომელ ხამოვნებას ანიჭებს გუნების აზროვნების ღონაწერობის განუწყვეტელი განვითარების შეგრძნება; რა წესრიგს, რა სიყბაღეს ანიჭებს ზენს წარმოდგენას ლიტერატურულ პროცესზე, თანამედროვე თუ წარსული სიტუაციაშიული წიქრების ღირებულებაზე; როგორ მკერს, ზუსტ მიმართებას წარმოშობას ამ სისტემაში, რომელიც ადამიანის მიერ მხატვრული ნების გარშემო შეგროვილი ცოდნითაა წარმოდგენილი; და რა ქაოსს, რა გაუგებრობებს იწვევს ამგვარი დინამიკობის უგულვებელყოფა იმის ნაზრეტში, ვინც დაზრტევილები ერთი აკვირებულნი იდები. რომელიმე შეცნობრული თეორიით, ცდილობს მიქანაქურად მიუსადაგოს წარსულის საშობები თანამედროვე რეალობას!

უკვე აღინშნა, რომ სერჯი დაწვლია ვეაფშაველას აზროვნების სტრუქტურას პირველყოფილ მათემატიკთან მახლობელ სტრუქტურად თვლის. მკითხველმა შეიძლება ვაიფიქროს, რომ ამ გამოანათქვამს სერჯი დაწვლიას წიგნიში შეიძლება არ მკონდეს ის აღმაროთებელი მნიშვნელობა, რასაც ამენს ზენს წარკვევნი მითოლოგიური აზროვნების ანალიზის ფრენზე, ვეაფშაველას, როგორც კოტეხისა და პარკუნების მიმართებით. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ სერჯი დაწვლია თავის წიგნიში ზუსტად იმას გულმსმობს, რასაც ამბობს. ამის ნათელიყოფა არც თუ ისე ძნელია. მისი აზრით, „აღუღლა ქოთელარში“ და „სტუმარ-მასპინძელში“ ასახულ თეში ადამიანს არ გაანია საკუთარი ზნეობრივი „მე“ — „ცხოვრობს ცხოველურად, საკუთარი თავისათვის ანგარიშ-მიუცემლად, აა ისე, როგორც ცხოვრობს უველა მისი ნათესავები და უცხოვრათ მის წინაპრებსაც უხსოვარ ფაზიდან; სადაც თემის თითოეული წევრი ეს არის, რაც ცხოველი ცხოველთა ჯოგში; სადაც ერთი ადამიანი მკავს მეორეს ისე, როგორც ხის ერთი ფურცელი მკავს მეორე ფურცელს“. ასეთი თემი არაერთი განსხვავდება ტილორის, ფრეიერის, ლევი-პრინციის, მალინკსკის, ლევი-სტროპის,

კასირრის, ლოსტვის, და მრავალ სხვა შეცნობრთა ნაშრომებში აღწერილ ამ ელემენტურ მებისაგან, პირველყოფილი აზროვნების წყის დონეზე რომ ვაიუნენენ, ვერ ცნობენ საკუთარ გამოხახულებას ფოტოსურათზე, გამსკვალული არიან ახლოდღურა რწმენათა, რომ რომელიმე ცხოველი, შინაური ან გარეული, ან რომელიმე შეცნობრთი მთარჯველი ხული და წინაპარია. ს. დაწვლიას ეს მოსაზრება იზდენად შედარია, რომ ერთი შეხედვით შეიძლება მხატვრულ ხერხად, უხასხულად გაწვადებულ მეთაფორადაც კი მოგვეჩვენოს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთა შეხედვით, რამეთუ „ვეაფშაველა და ქართველი ერის“ ავტორი ურველგვარი მეთაფორულობის გარეშე დაასკუნის: „ვეას გენოოსობის საფუძველი ის არის, რომ იგი დაჩნა ამ პირველყოფილი გულუბრეყოლი რეალიზმის ფარგლებში. რომელსაც არ განუცდა ჯერ ანალიტიკური ძალა აზროვნებისა, რომელმაც უკვე სახერძნობის პირველ ფილისოფოსთა თეორიებში სცადა დეშაღა რეალური სინამდვილე ცოცხალ და მკვდარ არსებებზე. ვეას მსოფლიო ჯერ კიდევ გარუდღერტესიებული მსოფლიო არის. მას კიდევ ანალიზი არ შეხება. იქ ცოცხალს ვერ არჩევენ მკვდაისაგან. „მე“-ს ვერ არჩევენ „არა — მე“-საგან. ცხადია, რომ ვეას პოეზია არამც თუ არ არის სიმბოლიზში (უკანასკნელი ნაყოფი კაცობრიობის კულტურისა), არამედ აშდენად არის მისგან დაშორებული, რამდენადაც ერთი პოლუსი დაშორებულია მეორისაგან. კაცობრიობის აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, ვეას, შემოქმედების შესწავლა მეტად და მეტად სანატერესოა, რადგან ის შლის ზენს წინაშე პირველყოფილი აზროვნების ისტოს სურათს, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში არსად არ არის ასე ნათლად წარმოდგენილი“.

სერჯი დაწვლია ამ წიგნის ფურცლებიდან უყიფიებს ქართველ ერს, რომ მისი სულის უდიადესი გამოხატული — ვეაფშაველა პირველყოფილი ადამიანის აზროვნების დონეზე დგას. ფეხის ერთი აქვევით სურს მას გადააღქკოს ქართული კრტიკული აზრის საუყოფო ხო წარმომადგენლებს (არა მარტო კიკა ახაშიძეს და კ. კაპანელს, რასაკერაველი) სერჯი დაწვლიას წიგნი არა ერთ ფუნდამენტურ საყაღებს, არა ერთ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. აი, ერთი მათგანიც, გოეთე ამბობს, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ კულტურულ დონეზე მყოფ ერს შეიძლება ჰყავდეს ბრწინვადე ნაცონალური მწერალი. სერჯი დაწვლია გვიქადაგებს, რომ ბენედიქტი ვეაფშაველას სოცოში მწერობა ბრომბა, ბოლო თეოთნ მგისინი მწერობის პარკმნიშობის კონტექსტში ნათელია, რომ ბენედიქტობა და მწერობა ურთიერთგამომრიცხველი ფაქტორებია. არისტოტელე ამბობს პლატონზე,

რომ უღირსს მისი ქების უფლებაც კი არ უნდა ჰქონდესო. რომ არ არსებობდეს სერგი დანელას წიგნი ვაჟა-ფშაველას, ჩვენ აღბათ გაგვაოცებდა ნებისმიერი პიროვნების ვადწყვეტილება — დავსაბუთებინა ვაჟა-ფშაველას აზროვნების ანალიტიკური კონსტრუქციული ხასიათი, მის ზონებაში ასახული სამყაროს მკაცრად სისტემატიზირებული, რაფინირებული არსი. გადახედეთ ვაჟას თეორიული ხასიათის ნაწარმოებებს, კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებს: „ენა“ „კოსმოპოლიტიკაში“ და „პატრიოტიკაში“, „სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“, „ნებური მწერალი“, „უნიკოსოსის ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე“, ფაქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „ქალთა შესახებ“, „ხად არის პოეზია?“ განსაზღვრებინა, რომელსაც საკუთარი „მე“ ვერ გამოუყვანა სამყაროსაგან, შეუძლია ასეთი პრობლემების დაუენებაც კი? დავუკვირდეთ მგონის მსჯელობის ნათელ კლოგასს, ღრმს, დამაქრებელ დასკვნებს, ამ ცნებების გარკვეულ, ზუსტ ხასიათს, რომლებითაც ცდილობს გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პრობლემისადმი:

„კაცობრიობა შეხდგება სხვადასხვა ერებისაგან, ერები ცალკე ოქანებისაგან, ზოლო სძირკველი პარველისა, შეორისა და მესამისა არის პაროვნება, ცალი ადამიანი; რამდენადუც მათი შემაღვენელი ადამიანები არიან სრულნი, ამაღლებულნი, განვითარებულნი და ბედნიერნი, იმდენადვე ამაღლებულია ოქანა, ოქანს გარეშე — ერთი, ერთს გარეშე — კაცობრიობა“.

„...საჭიროა უკეთილი დედა იუოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოქანში და გარეთ საზოგადოებაში სთხედეს თვალს კეთილისა. დიად, ესმოდეს დედაკაცს, შვალი როგორ აღზარდოს შინ, ოქანში, და გარეთ საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლიან დამამოს ერთი და კიდევ ალაღვიოს“. აქ თითოეულ მცნებას მკაცრად განსაზღვრული ადგილი უჭირავს. ვაჟას აზროვნება მიედინება შეტ-წყალებად აბსტრაქტულიდან სპეციფიკურისაკენ — კაცობრიობა — ერები — ოქან — პაროვნება — დედა. პოეტი შესაშური თანმიმდევრობითა და დამაქრებლობით მსჯელობს ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ქალის, დედის როლი მომავალი თაობის აღზრდაში და აქედან მისი როლი ერთხა და კაცობრიობის „აღზრდის“ საქმეშიც.

წერილში „ხად არის პოეზია?“ ვაჟა-ფშაველა ამბობს, რომ მგონისათვის სარცხვლითა არ ესმოდეს პოეზიის რაობა, თუმცა ეს შედარებით მდამაო ერში მოღვემებს შეიძლება წარმოედგინა არ მქონდეს „პოეზიის სწავლა-მოდერებაზე“ და ზოლოდ ადლოთი მოქმედებდეს. უკველგვარი ორპაროვნობის გარეშე ვა-

ვათეროტიკოსი გვეუბნება, რომ პოეზიის რაობა, მისი ამოსავალი წერტილი „სწავლა-მოდერება მსბამსმბის შემწვევის [სწავლა-მოდერებით უზრუნველდება მისი შემდეგი მისაზრება; „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავსახელოთ, რომ მისი მსბამსმბი თვით ზუნებაშიც არ მოიპოვებოდეს. ზუნებაში უზრუნველ ძლიერების წარმოშადგენელი: ლომს, ვეფხვს, არწივს, ჩვენს საზოგადოებაშიც არიან ისინი, ზოლოდ აღმოჩენა უნდა“. მის თეორიულ მსჯელობაში პოეზიაზე აყვარა, რომ პოეტური ზატის საფუძვლად პოეტი საგანთა შორის მსბამსმბებს თვლის და არა იმპიმიზმს. მიუხედავად იმისა, რომ ნაწი ია არც ხასმელია, არც სპმელი, „ჩვენ მაინც მოგვწონს იგი, თვალს უყვარს, ვულს ენაშოვნება მისი ნახვა, ცყრა, ზოლო განვითარებულს აზრიანს კაცს იგი სხვა ზეერს რასხე მოაგონებს იმისდა მიხედვით, რამდენადუც იდეალისტია კაცი, რამდენად სულიერად მდიდარია იგი“.

„წოთ ია — გვიკითხება ამის შემდეგ პოეტი — ბუნებითი და ეკლბითი დარდილოლი, არ მოგვაგონებს დამაგრულს სიმართლეს? მგრძობობარე უფრს არ შეიძლება გამოვაროს ამ მსჯელობაში კანტისეული ესთეტიკის პრაქტიკული დაინტერესებულობის მოტივი; ნათილა ისიც, რომ მგონის მავალითა — ბუნებითითა და ეკლბითით დანარდილოლი ია — დანარდილი სიმართლთა — გულსხმობს შედარებულ საგანთა — მცენარის, კონკრეტული ყვავილისა და აბსტრაქტული ცნების (სიმართლის) არსებით სხვაობას. ამ პოეტური ზატის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი აბსტრაქცია, როგორცაა სიმართლე (ობიექტური რეალობის სწორი ასახვა ადამიანის ინტელექტის მიერ) ეპოთეტის მოქმედების შედეგად კონკრეტულ, დამაგრულ ცოცხლ არსებად მოგვეცილება. და შემდგომ, ეს ვახლდგმულბული აბსტრაქცია შედარებულია ყვავილს. აქ იგივეობის ნატაშადი არ არის. ყველაფრის საფუძველი მსბამსმბა, შედარებობა, ამ კანონით, ამ მოდელით წარმოგვიდგება ვაჟა-ფშაველას მთელი მსატრული შემოქმედება, რომელიც კონსტრუქტიული ბუნის ემარება. მოვლენათა რაც მიეზებად და შედეგებად ანაწევრებს და ენის სუნსტანციაში წარმოადგენილ, სიტყვის მიერ უსასრულო სამყაროდან გამოყოფილ ხანებს, თვისებებს, მოვლენებს ზორცხესხულ, სისხლსავსე პოეტური სიმართლით წარმოვიდგინს, წარმოვიხსნავს.

გვეუბნებინა რომ ვაჟა-ფშაველას მხოლოდ-ჭერტა, გენიოსი პოეტის მსოფლგანცდა პრიმატიულ პილოძიოზმს უახლოვდებოა. ერთდნობა რა ამ მცდარ დებულებას, ს. დანელია ცდილობს ანალიტიკური თვლით შეხედოს ვაჟა-ფშაველას მსატრულ სამყაროს. უაღბ

ფილოსოფიურ წინამძღვარს ის კიდევ უფრო უღბსა და არაპროფესიულ ფილოლოგიურ დასკვნებაზე მიბუყეს. „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერის“ ავტორი გვარწყუნებს, რომ ვაჟს საერთოდ არა წყაბს აბსოლუტური სიკეთელი. რატომ? იმიტომ, რომ კონკრეტულ მიერ მოკლულმა დევებმა (ავმა ძალამ) მხოლოდ ხაზე იცვადეს, მანვე ჰიაღლებად გააჟიქუნეს:

ფურცლიდან განინდუნე უმსგავსნი
შაენი ბუქუნნი და ჰიანი;
წყრტალით ტყემა მიმართეს,
სადაც ხარობენ იანი.

აქედან დასკვნა: „...სიცოცხლე დაუბოლავებელია, როგორც აბსოლუტური არის. ის წარუვალი და დაუწერელი სუბსტანციაა ყოველი საგნისა, რომელიც ვარჩენია. მკვდარი ბუნებაში არაფერია“. უფრადღებს ისურობს სერჯი დანელიას მიერ ნაწარმოებს, მისა შთავარი იღებს ფილოლოგიური ანალიზის მეთოდ. როგორც წესი, მას არ აინტერესებს მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურა, მთლიანობა. ეს კმაყოფილება კონტექსტად იმ თვითნებურად ამოღებული ნაწევრებით, რომლებიც მიხედვებიან კრიტიკოსის მიერ წამოყენებულ თეზას. ასეთი მეთოდი არა მარტო ვაჟა-ფშაველა, არამედ კიდევ ბევრი პოეტი შეიძლება წარმოედგინათ დაუბოლავებელი სიცოცხლის ამოღატაკად. მაგრამ ეს არ არის აქ შთავარი. ფილოსოფოსს მოეხსენება, რომ ამ იდეას ასეთი ერების მოაზროვნენიც იზიარებენ, რომლებიც მხოლოდის კულტურის კერად ხელდებიან საქართველოს. აბსოლუტური სიცოცხლის იდეა სერჯი დანელიას უფრო იმიტომ სჭირდება, რომ განამტკიცოს, დაასახუტოს ანთროპომორფიზმის იდეა, რომლის მხედველიც ვაჟა-ფშაველასათვის: „არც ცხის მნათობა მკვდარი არსება. მზე, ვარსკვლავები და შთავარე ცოდვებმა არიან. შთავარეს, მკვდართად, დღისით ძინავს თავას „მკლავზედა“ და, როცა გამოიღებებებს, „შემოქდება გორის ფხაღედა“ და „დავაგანის სხივებს პირის სახანად წულღედა“.

თუკი პოეტს სინამდვილეში სერჯი, რომ სამყაროს ნებისშეირი ფუნქციონერი (ნიათი, კლდე, ხე, არწივი) ადამიანის ნაშთისებებზეთაა დაქალივებული, მაშინ, რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში არა აქვს ადგილი პოეტური შატს, სიმბოლოს, მეტაფორას, აღნიშვნას. ვეღაფერა ერთმნიშვნელოვანა და მარტივი, პრაგმატიული. ასე ფიქრობს სერჯი დანელია. ამგვარი დასკვნის გამოტანის შემდეგ მას აღარაფერია აკეთებს და ისე იქცევა მხატვრულ ტექსტს, როგორც მოხურავლი, იმ მნიშვნელობას მინერის ნაწარმოებს, რომელიც მას ხელს აძლევს. ამ ველურბუკვლო დასკვნადან გამომდინარე ავტორი გვიმტკიცებს, რომ

ვაჟა-ფშაველას ადამიანის პრობლემა კი არ აინტერესებს ძირითადად, არამედ **სერჯი დანელია**, რომელიც, როგორც ვეღაფერი კოდალია, შოშინია... ადამიანს **სერჯი დანელია** მხოლოდ იმიტომ, რომ ვაჟიკებს ფრინველის, შატლის, ფეხის პრობლემებში: „ვაჟა შაშის იმ მიწით კი არ აღაპარაკებს ადამიანსავეთ, რათა ამათ ადამიანი დახასიათოს, არამედ იმ მიწით, რათა თვით შაშის ცხოვრება გასაგებო გახადოს. შაშის განცდა აქ ადამიანის განცდის სიმშალო კი არ არის, არამედ, პირუტყ, თვით ადამიანის სპეციფური ცხოვრების აღსანიშნავი ტერმინები ვაჟის გამოყენებული აქვს შაშის ყოფიქცევის დახასიათებლად“. სერჯი დანელიას სისტემაში ვეღაფერა პარამიული ურთიერთობაშია: მან უკვე დაჯიშტაცია, რომ ვაჟა გონებრივი განვითარების მხრივ ვეღურის დონეზეა. გამოდის რა ამ „აქსიომიდან“, ის გვიჩვენებს, რომ ვაჟა-ფშაველა ადამიანის ხულის მკვლეფერი კი არ არის, არამედ შოშინისა და თავგების. და არა მარტო შათი, არამედ, თუკი ხოლომდე მივეყვით ასეთ ლოგოსს, მკვლელოად, ისეთი არაორგანული საგნისაც, როგორცაა „ხიდი“: „ხიდი, მოგვდევ, ჩამიტყდი...“

კიდევ ბევრ არჩევულებრივ რამეზე აგვიხილა სერჯი დანელიამ თვალთ ვაჟა-ფშაველას ფუნქციონირ დაჯიშტაცია. თუმცოთ ტერმინებით ისედაც გადატვირთული ტექსტში მას საყოფარო ფუნქციონირ შექმნილი ტერმინიც — „პანსიბმინიში“ შენაიქვს. ვაჟა-ფშაველას მხოლოდაცაა პანსიბმინი, ც. ა. მას წყაბს ბუნება მხოლოდ ხილამასათვის, რომ „ხუნების არსებობის ყოველ მომენტში მოცემულია დასრულებული ხილამაზე... ყოველ წუთში ბუნება ერთნაირად მშვენიერია, ერთნაირად დასრულებული სინამდვილე“ და ვანადან ეს აქსიომატურ ტერმინატებად შაშინს სერჯი დანელიას, ანატომ სპინოზისათვის გამოკევა აქსიომიდან თორღემა: „...აბსოლუტური მშვენიერება ხომ მარადღერი არის, და მას არ შეიძლება რამე მოკლდეს ან მიეშატოს. ვაჟა-ფშაველას არაფერა სერჯი, ვინაიდან ის, რაც მას სურს, ყოველთვის არის. ის არაფერს ეღტვის, რადგან სალტოლეველი მონანი ხელში აქვს. ეს არის უფაღურეს ხაზე არსებული კმაყოფილებისა“. ამას მოკევა ავტორისეული მოძღვრების ძირითადი თეზისი ვაჟა-ფშაველას ინტელექტის ვეღურა, პირველყოფილი რაობის შესახებ: „...ასეთი კმაყოფილება შეიძლება მჭორღებს მხოლოდ იმას, ვინც არ გამოკევა ფიფია ბუნებას, ვინც არ გრძნობს თავის „მე“-ს, როგორც განსხვავებულს რასზე ბუნებებაგან“. სერჯი დანელიამ უკვე დაჯიშტაცია, რომ ვაჟა-ფშაველა მგოსანი არაფერს ეღტვის, კმაყოფილების საღაობს ძიღღით სძინავს. ანატომ გასაკვირი ისიც არ იქნება, თუკი ვეღაფერი კმაყოფილ პოეტს ვეღაფერთან დამშობილება მოხურავება. ეს აზრი ასეთი ფორმით

გამოითქვა: „ვფახ ვხა წებარებისკენ არის მოელი ქვეყნის მოვლენებთან დაქმნობაში. ვფახ თავის ხულიკეთებით არ მოუღწევია კიდევ იმის შეგნებაში, რომ უფელა მოვლენებით ურთნაირად დამოხილებია ადამიანს არ შეუძლია, და ამიტომ არის ის სიხარულით ხა ვხე“.

არა არს წინასწარ-მეტ-
სხელი შიურაკს, ბარან სმ-
ფელას თვისსა და სხლას შინა
თვისსა.

არაფინ უარუფს, რომ ვფა-ფხველა ხილა-
მაზის აპოლოგეთი. ეს მან გენაღურად დუ-
ვანხა თავისი პოეტური შემოქმედებით. მაგ-
რამ ვანა ხილამაზის აპოლოგეთი არ იუნ-
დობტოვსკი: „შეწინებრება მსოფლიოს იხ-
ნისი“, ვანა თავიანს არ სცემდა ხილამაზეს კ-
რეგორე? — „ხილამაზე, რომელსაც მე ვან-
ვეტრეტ ჩემი გონების თვლით, სხარულითაა
აღსახე, ძღვეამოსილია და დიადი და ის
მოელ საშყაროს დამორჩილებს! ამ ხილამაზეს
ხედავ შე უფელგან, იქაც კი, სადაც შენი
თვლით ვერაფერს ამჩნევს“. და ვანა ვფა-
ფხველასაღმი სერგა დანელაბ მთერ მიუწენ-
ხული თეზა: საშყაროს მიღება გამართლებუ-
ლია მხოლოდ, როგორც ესთეტიკური ფენო-
მენისა, არ არის აღებული ნიუსებს ნაარტევი-
დაწ ვანა იგივე ნიუსე არ მიმართავდა პერ-
სონიფიკაციის მბატერულ ხერხს თავის შემო-
ქმედებაში? ურადხალებია ამ მხრივ აღიოს
რილის სიტყვები: „ბუნების გახულდებულდება,
ოღებდაც რომ მოელი მითოლოგიური აზ-
როვნების წყაროს წარმოადგენდა, დღე-
საც არის უღერიო სავანდური პოეტებისათ-
ვის. ნიუსე აბძლებს ნაძეს ჩაუწვას ფესვები
უფქარულში“, რომელშიაც თავნარადკომული
იციობრება კლდე — ნაძე მოკრძალებით ჩერ-
დებმა მორტოან, საათად მიიღტვის უფელაფე-
რი, რაც ცოცხლობს მის გარშემო“. ზარათუსტ-
რა მიტოვებს „ქვეების საზარელ გროვაზე, სადაც
მანამდე ხულსწრაფი ნაკადულის კალაოტი
იხვენება“: „კუსტი, ვანმარტოებული ბილი-
კი ქოტრად მიიკლავს გჯას წყაროს ქვეში;
ებლი ის უკვე აბლის ადარ ივარებს არც ერთ
ბუქს, არც ერთ ხალხს და სრატუნობს შტა-
ცე ნაბიფის ქვეშ“. ტოტრევი პირდაპირ: თი-
ქოსდა ურადგვარი ეფეტური პერსონიფიკა-
ციის, სიმბოლოს გარეშე, თიქოსდა რელ-
დექსიის შედგად მიღებულა დასკნით მოგვე-
რთავს:

«He то, что мните вы, природа,
He слепок, не бездушный лик:
В ней есть душа, а ней есть свобода,
В ней есть любовь, в ней есть язык».

დაახ!

არა ვინ წინასწარ-მეტსფ-
ლი შემწეარბობულ არს თვისსა
მამულსა...

სერგა დანელაბ წიგნს ლეტიმოტივით გამო-
ვება ვფა-ფხველას გაუნაღებლად იუნს „ფე-
წინის დასაბრულს ის მკონის ინტედექტს, ეს
მეოკე მოხევის ინტელექტს ადარებს, რომე-
ლიც „ხანელითაც კიყოფილია“, და „განაოღე-
მა ქერ თიქმის არ მიკარხნია“. გენოსი ქარ-
თელი პოეტისაღმი ასეთი დამოკიდებულება
განმარტებულა იმითაც, თუ როგორი შეხე-
დულებსაა სერგა დანელა თვით ქართულ
ერზე. დავუკვირდეთ მისი მჭველობის სტაღს.
აქ ვხვდებით ცნებების, ტერმინების გაუფლ-
მარტებას. აი ჩვენ ვკითხულობთ: „ვფა მკონის
ოპტიმისტია“... სადაც სიტყვა „ოპტიმისტია“
გამოყოფილია კურხივით. თიქოსდა არაფერია
აქ ვფას დამამორტებელი, მაგრამ წინადადება
არ დამთავრებულა, და ავტორი ვვანხის, თუ
რატომ არის ვფა ფხველა ოპტიმისტი:
„...რადგან ის კიყოფილია ცხოვრებით და
ახალს არაფერს მოითხოვს მხვან; მადლობულია
იმის, რაც აქვს, მადლობელია, რომ ის მშვე-
ნიერა ბუნების ნაწილია“. ეს აზრი უშუალოდ
დაკავშირებული წინა გვერდზე გამოიქმნა
ფრანსისთან: „როგორც ზარი არ ხედავს არა-
ფერს აწმეოს ვაღმა, ისე ვფასაც მომავალი
არ აღონებს“. პირველყოფილი ადამიანის აზ-
როვნების ხასიათს სერგა დანელა მარწერს
არა მარტო ვფას, არამედ ქართულ ენას, ხა-
რატომ: „ვფას მსოფლგანცდაშე მოკმეულია
უღრმესი ფენი ქართულია განცდიხა“. —
ვკითხულობთ იქვე, „სად საქართველო და ხად
მისტიციზმი? ვანა საქართველოს შვის სხივებს
მისტიციზმი ვაუძლებდა?“ მოგვემართვა უკლბა
მათისით ავტორი. ვანა სერგა დანელას არ
გაეგება, რომ მისტიციზმი ვაიღებთ უფრო
გვიანა მოვლენა ტოტემიზმთან, ანიმიზმსა და
ხხვა — იხვენთან შედარებით და მხოლოდ იმ
ხაღბებს სახასიათებს, რომლებმაც უკვე შესბ-
ლეს საკუთარი „შე“-ს გამოყოფა ბუნებისაგან,
რომ რელიგიური აზროვნება, რელიგია პროგ-
რტული მოვლენა მითოლოგიურ აზროვნებას-
თან შედარებით მისტიციზმს მშვენიერად იცის,
რომ ის არც ზარია და არც ხხვა რამე სავა-
ნი. მან იცის თავისი ადიღლი საშყარში და
მისტიკური ექსტაზის მომენტში ის თავს ირ-
წმუნებს ამაში, მას სერგა, რომ მისი ხული
ერწყმის ღვთაებას. საქართველოს შვის ქვეშ
შეიქმნა „წამება წმინდისა შეშინიისი...“

იშვითად თუ შეხვდებით კრიტიკული ხაზი-
ათის წიგნს, რომელიც იხე სავსე იუნს შინაგა-
ნი წინააღმდეგობებით, როგორც „ვფა-ფხ-
ველა და ქართველი ერია“. მისი ავტორი, მო-
ჩალიტი და დიდატიკოსი, ვაუწევებს: „ნუ
დაგვაფუძვება წერასოდებს ეს სახელმძღვანე-
ლო დებულება: მწერალი უნდა მისი შემოქ-
მედების ფაქტებისაგან ვავიგვით, და არა გა-
რტად მოტანილია უცხო იარღიეებისაგან, რომ-
მელმაც ეგებს სრულიად არ არცია შეხასწავ-
ლელ მწერალს“. ეს გამოხატულება მიმართულია



ისეთი ტერმინების წინააღმდეგ. როგორცაა „სიმბოლიზმი“, „რომანტიზმი“, „რეალიზმი“, რომლებიც თითქმისდა ერთა ანაშობის განმარტკიცების კართულ კრიტიკულ ლიტერატურაში. როგორ ხედავს ფილმა (ე. ა. ნერსი) თვალსა წინა მისი თვისებისა სერჯო დანელია და ღერება (ე. ი. შირს) თუაღბა შინა თქნა არა განიცდის? ძირითადად იმიტომ, რომ უფარტყვის, პრიმიტიულ იღვას შეცნირებული სანე შეძინის და შეიძველი შეიყვანოს შეცდომაში, თორემ რა საჭაროა ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება კართულ ტექსტში, როგორცაა: „...ხელფინების ცნებაში ნატურალიზმი ცალმხრივი აპერტუცია აიკვია“, „ლოკურად ვაჟა-ფშავეანი იყო ვაჟა — მკონის მასალა (სხე, როგორც პეპლოგიური პაროგენება არის მასალა ვნახოლოგიური შეცნენების დარჯში, ხილი მასალა. ინტელექციბილური ხასიათის ზნეობის დარჯში)...“, „ახე რომ უოფილიურ, მაშინ ვაჟის მხოფდგანცდას დუაღისტურა ხასიათი ექნებოდა, ვაჟა კი მონისტია“, „ახაოფუტი“, „პანსიქიტი“, „ანთროპომორფიზმი“, „მონისტურა ესთეტიზმი“, „პან-ეზთეტიზმი“ და სხვა მისთანანი? და ეს მაშინ, როდესაც ავტორის არა აქვს სათანადოდ ვაზრებული ლიტერატურული ანალიზის ვახე არსებობის, საყრდენი ცნებების არება, როგორცაა „მხატვრული ზერხი“, „პერსონაფიკაცია“, „სიმბოლო“. ერთი მხრივ, ის ამტკიცებს, რომ ვაჟა-ფშაველას აზროვნება (პოეზია) პრაპტიულ მილიოიზმს უახლოვედა და, შორეე მხრივ, წერს, რომ პერსონიფიკაცია ვაჟის ძირითადი მხატვრული ზერხია. ნებისმიერი მხატვრული ზერხი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ანალიტიკურ, კონცეპტუალურ აზროვნებას ეწყობება; პრიმიტიული აზროვნება, პილიოიზმის ტერმინთა აღვანაეთ მას, ტიტემო, მითით, თუ ანთროპომორფიზმ, ამგვარ აზროვნებას მოკლებულია, რადგან აქ შთელბა და ნაწილს შორის იკვივობას კანონი მოკმედებს. სერჯო დანელია ვერ ზედავს სხვაობას ვაჟა-ფშაველას მხატვრულ აზროვნებას, მის ტიტემოშია და მითოლოგიურ აზროვნებას, მით, ლეგენდას შორის“. „ვეფლის მუამღღზე“ ის აზობს, რომ მასში აშენია სიმბოლისტური, რამდენიც მრავალს სახალხო ლეგენდაში. არ არის ამიტომ გასაკვირი, რომ მას მხედველობის სერგოვან რჩება სხვადასხვა მითის გამოყენების შედეგად შობილი მხატვრული იდეის, მხატვრული შინაარსისა და საყურთავ მითოლოგიურ შინაარსს შორის. მითის პრიმიტიულ იდეას ის შე-მს საუბუნის გეოლოგო მკონის ნაწარმოებებთან აიკვივებს. ჩვენ უკვე მოვთუვანეთ სერჯო დანელიას სიტყვები ამის თაობაზე. რომ მწერალი მისი შემოკმედების ფაქტების თუნდა შეიკცნოთ. როგორ ებურბა ამ ფაქტებს თვითონ? აი ახე:

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიღებ.
 თვალთ წინ მეფინი კვეყანა
 მალღდან დაბლა ჩამოსვლა
 ვაქვე, რა მეტად მწელია!
 საღ მივალ, თავვეე რად მივალ,
 ჩემს თავს რად ვიხბო ტიალღ?

ამოწმებს ვაჟის კრიტიკობი იმისათვის, რათა დაახლოობს მკონის სიძულველი კულტურისაღმა, განაოღებისაღმა, დაახაბოობს ბარისა და მითის შერთაგებლობის იდეა ვაჟა-ფშაველას მხოფდმხედველობაში. სერჯო დანელია ან ვერ გრძნობს, რომ უადრესად მწიფენლოვანი მწერების ამოღების შედეგად, ის კლავს პოეზიასაც და ფილოსოფიასაც ცოტირებულ ნაწვეტში, ან გაიზნულად აკეთებს ამას, პოეზიის დისკრედიტაციის მიზნით. მაგრამ როდესაც მას სურს პოეტი ვედურად, უფვედობ წარმართად წარმოკვიდგინოს, მაშინ ციტატი უოველგვარი სახეცვიოღების გარეშე მოკვავს:

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიღებ.
 თვალწინ მეფინი კვეყანა,
 გულზე მესვენა მზე-თვარე,
 ვლპარაკობღი ღმერთთანა.

სერჯო დანელია ბერს საკობს ენება თავის წიგნში, ცდილობს დაგვარწმუნოს ისეთი მონაზრებების კეშორიტებაში, რომელთაც დაკვირვებული კაცი, თავშიც რომ მოსვლოდა, არ გამოთქვამდა საწაროდ. რად ღირს თუნდა მისი ზედაპირული, არაპროფესიული მსჯელობის იმის თაობაზე, რომ კართველას არ ეკვირნდა ისეთი სიტყვები, როგორცაა სინდონი, და „OTECCTBO“ და რომ ნახესებეი სინდონით (მისი აზრით, კართველებმა სიტყვა „სინდონი“ ხომ ბერძენისგან იხესხეს)? ისტორია არ შეიქმნება. ერთმეციერებაში კარგად არის ცნობილი, რომ ერთი და იგივე ზოგადი, საყრდენი ცნება შეიძლება სხვადასხვა სიტყვით გამოხატოს, ინკლისებლები, მაგალითად, სამშობლმის ცნებას ორი სიტყვით გამოხატავენ fatherland სიტყვასიტყვით „მამაქა“ და motherland — სიტყვისსიტყვით „დედამამა“. თუ რაოდენ უმნიშვნელია, სწორ შემთხვევაში არაარსებობი სიტყვით გამოხატული ცნებისათვის ის მასალა, რომელიც თავდაპირველად საფუძვლად დაედო ცნების წარმოშობას — დედა, მამა, პაქა, შობილი და ა. შ. სიმბოლისტის ცნებისათვის ამ შემთხვევაში — მეტყველებს ის ფაქტები, რომ ერთი და იგივე მასალით „დედა“ და „მამა“ კართულსა და ინკლისურში სხვადასხვა ცნებებში შექმნილი „სამშობლმ“ ინკლისურში და „დედამამა“ („პლანეტა“, „მხოფლიო“) კართულში; გარდა ამისა, და ეს მეტად მწიფენლოვანია, არც „დედა“ და არც „მამა“ და არც „მამა“ არ წარმოადგენენ ცნების განსაზ-

ღერების, მისი არსის, რაობის შემადგენელ ელემენტებს (სამშობლო განსაზღვრულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში როგორც ძველსადაც, მხარში (და არა მხოლოდ მიწა), სადაც დაიბადა ადამიანი და რომლის მოქალაქედაც ის ითვლება), ინგლისურსა — „შობლობური ქვეყანა“ და, ვარდა ამისა, ორ ერთსა და იგივე ცნების გამოხატვეულ სიტყვას fatherland, motherland და ა. შ. ფრთხილად და იგივე განსაზღვრება, დეფინიცია აქვთ დაართული ინგლისურ ენაში. მხატვრულ ლიტერატურაში, პოეზიაში შემოქმედმა შეიძლება გამოიყენოს ეს მასალა არაჩვეულებრივად ეფექტის შესაქმნელად. მაგრამ ლოგიკური მსჯელობის კონტექსტში, სადაც ლაპარაკი ცნებების დონეზე ხდება, ამ თავდაპირველი მასალის (სიტყვის შიდა ფორმის, მისი ეტიმოლოგიის) ექსპლაცატაია იმ მიზნით, რომ ამ თუ იმ ერის სიტყვის ეტიმოლოგიის (და არა ცნების) თავისებურების გამო არ ვაანია თვით ცნება, ამ შემთხვევაში სპარსულში, რამეთუ *otечество* რუსულ ენაში *родина*-ს (სამშობლოს) სინონიმია, უკვლად გაუმართლებელია. მაგრამ დაფუძვით, რომ თავდაპირველ მასალას, ეტიმოლოგიას სიტყვისას კრატეოსი რაღაც განსაკუთრებულ ძალას მიაწერს და გვიმტყუებს, რომ ქართველებს არა აქვთ მშობისა და მიწის, უფრო ზუსტად კი მშობის ცნებიდან განვყრტილი სპარსულში ცნება, ამ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით ვთქვათ, რომ ეს კიდევ უფრო ელემენტარულ უცოდინარობას აქვს ადგილს, რადგან სიტყვა მშობელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა და მისა ერთ-ერთი მნიშვნელობა არის — სამშობლო.

ენობრივად და, უფრო ფართოდ, ლიტერატურულად ფაქტისადაც თვითნებური, სუბიექტური მოპურობა არ შეიძლება იყოს მწერლის შემოქმედების ობიექტურია ანალიზის, ობიექტური ინტერპრეტაციის გარანტია. ჩვენ ვნახეთ, რომ სიტყვა სპარსულშია და მშობელი ანალიზისა ზერტი დანელია გაწვავებული როდესაც მისი თავდაპირველ მასალას, იმ ცნებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო სიტყვის მნიშვნელობას. არ არის ძნელი საპირისპირო ფაქტის აღნიშვნაც სერტი დანელია ნაზრევში. იქ, სადა აღნიშნულია მწერლობის ვიკოქმედების შემოქმედების სიმბოლური ხასიათის თაობაზე. ადგილი აქვს სიტყვის ეტიმოლოგიის უსაფრთხო უგულებელყოფას. ზერტი დანელია მისებრით, მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლისტიცა და ვიკოქმედების ნიშანთავენი (მინდა — ინფიდელიზმის სიმბოლო), ვიკოს სიმბოლისტიად აღიარება ისეთივე შეუძლოა, როგორც ბატის აღიარება ადამიანად, იქიდან გამომდინარე, რომ ორივეში ორ ფეხზე დიდიან. თუკი მართალია ეს, რომ არც ბატისა და არც ადამიანისათვის ორ ფეხზე სიარული არ არის არსებითი მოვნიტი (ქერ

კიდევ დოგმა დასცანა ადამიანის, როგორც ორფეხი ცხოველის, რუქმდენე, მუქმუქლი არა აქვს პლატონისეული განსაზღვრებას, გასტა რა მამალი მსმენელთა წინაშე და დანერგო: „ი პლატონის ადამიანი“, ვინადან ბატის ზოგადი ნიშანისებობა მინიშნული, სვეციფიკური კი მოზრდული, გომკენისპარტა, მისპპინანი; ადამიანის ზოგადი — ცოცხალი ბრსმბა; სვეციფიკური — ბრსის მონე; მძკველი; სიმბოლისტიკისათვის სიმბოლოს მხარება უაღრესად არსებითია. სიმბოლოს ცნება არ არის მხოლოდ თავდაპირველი სემანტიკური მასალა სიტყვისათვის — სიმბოლოში, სიმბოლოში, არამედ ის ამ სიტყვებით გამოხატული ცნებებს არსებითი შემადგენელი ნაწილიც არის, ვიკოქმედების შემოქმედებისათვის სიმბოლოს მხარება იქნება არსებითია, რომ ზერტი დანელია კი, რომელიც ვენოს პოეტს მითოლოგიურ, პირველყოფილ აზროვნებას მიაწერს, ეწინააღმდეგება რა თავის მოავარ დებულებას, იძულებულია აღიაროს მინდობის სიმბოლური ხასიათი.

სერტი დანელია წიგნი ვანეთარებული აზრი გამოირჩევა უკიდურესი ალოგიკურობით. ამ მისი ფორმულია: პრიმიტიული ხელთნება — პრიმიტიული აზროვნება — პრიმიტიული ერი, ამ აზრს, ამ მოთხოვნას საერთოდ არა აქვს მოქალაქეობრივი ფუნქცია, ადგილი ქართული ცის ქვეშ. მის შემქმნელს გამორჩა მხედველობიდან, რომ ვიკოს ხელთნება ხედა წილად მან შინ მოსულიყო ქართულ მწერლობაში, როცა ამ მწერლობას უკვე თითქმისსაუფროვანია ატორია ჰქონდა, რომ ვიკოს ტლანტის, მისი მხატვრული აზროვნების ნაყოფიანობა და სრულყოფა განამარტებს მისმა წინამორბედებმა — „წამება წმიდისა შუშანიკისი“, „ვეფხისტყაისანი“, „დავითანი“, პოეზია სარათაშვილისა, ილიასი და აკაკი ისეთ სათებლა და ვრცელ სამუაროს ქმნის, სადაც ახალხედა მწერალს უმაღლესედა შესარტებლობა მიადწიოს მხატვრული აზროვნების ასეთ დონეს, რომლის მიღწევა წარმოუდგენელია იმისათვის, ვინც სანკოვარ გვას პარველყოფილი, მითოლოგიური აზროვნების ბინდებულში აკლავს. ვიკოქმედება ქონდრის კაცი რომ უცოფილიყო, რუსთაველის მხარეზე შემდგარი მაინც შეტს დანება ვედა, ვიკოქმედ მითოლოგიური ეპოქის ვიკანტი. შეიძლება ბევრი რამე არ იცოდება პოეზიის მუღვევარმა (არცოდნა — არცოდნა, ამბობენ) და მას ეს შეიძლება აბატოს; მაგრამ საქმე ისაა, რომ ზერტი დანელია აქლად სილამისის აღწმის უნარი, პოეტის ვრძობა, მას რომ თვითდაკვირვების უნარი ჰქონოდა, მდებარე მოკამელები შეტრდებოდა იმ უკადვანო სერტის წინაშე, რომელსაც ვიკოქმედებას მხატვრული სამუარო შევია.

წერილები უორდროკებისადმი

ივანე მაჩაბლის წერილები

(1868 წლის ზაფხული, თბილისი).

ძვირფასო ბატონო ოლივერი!

თქვენი გულითადი წერილი სოფელში ყოფნისას მივიღე და ამიტომ მაშინვე ვერ შეგისრულეთ ყველაფერი, რასაც მთხოვდით. ძალიან ვწუხვარ, რა ამ პასუხი შემოგვიანდა, მაგრამ იმედია, რომ მაპატიებთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ჩამოსვლისას თბილისში, სადაც ამჟამად საშინელი სიციხე დგას, ვერ ვნახე ის პირები, ვისთვისაც უნდა მეთხოვა თქვენთვის გამოსაგზავნი სურათები. ამ წერილთან ერთად გიგზავნით მეფე ერეკლე II, ილია ჭავჭავაძის და ჩვენი საუკუნის რამდენიმე ქართველი პოეტის სურათებს. ესენია: გრიგოლ ორბელიანი (გარდ. 1883 წ.), — ზოგი რამ მისი პოეზიიდან გამოქვეყნებული იყო ბატონ ლაისტის ნიგნში — Georgische Dichter, (Leipzig, 1867), აკაკი წერეთელი, რომელიც ამჟამად უდიდესი, პოპულარობით სარგებლობს, ქართული თეატრის დამაარსებელი, ან განსვენებული გიორგი ერისთავი და კიდევ ოციოდე სხვა. ეს ფოტოები შეგიძლიათ გადაიღოთ და გამოაქვეყნოთ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით. გიგზავნით აგრეთვე ჩემ სურათს, როგორც შორეული მეგობრის უბრალო მოსაგონარს. ჩემი წვლილი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში არც ისე მნიშვნელოვანია, რომ გავზედო და ადგილი დაეკავო თქვენს ნიგნში, რომელსაც მოუთმენლად ველით.

თქვენ მეკითხებით, თუ რითი შეგიძლიათ შემსახუროთ. ნება მომეცით, ძვირფასო ბატონო ოლივერი, შეგიბრუნოთ კითხვა და ჩემი დახმარება შემოგთავაზოთ. თუ ამაზე დამთანხმდებით, გარწმუნებთ, რომ ბედნიერად ჩავთვლი თავეს გასიამოვნოთ და სამსახური გაგიწიოთ.

რაც შეეხება დასავლეთში ჩემს მოგზაურობას, სიამოვნებით ჩამოვიდოდი, ვისარგებლებდი ამ შემთხვევით და განაახლებდი ჩვენს ურთიერთობას. მაგრამ, საუბედუროდ, აქ ბევრი რამ შეაკავებს და კიდევ დიდხანს ალბათ ვერ ვიხელთებ დროს, რომ აქაურობა დავეტოვო.

ის დიდი მოვლენები, დღეს რომ ინგლისში ხდება, ძალიან გვაინტერესებს. ჩვენ, ქართველი ლიტერატორები დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალს თქვენი დიდი მოღვაწის ნარმატივებს და მისი წინსვლის გარემოებებს. ეს უკანასკნელი, ეტყობა, მეტად დახელოვნებულია როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

თავს ნებას ვაძლევ შემოგთავაზოთ შექსპირის პიესების „ამაღლეტისა“ და „ოტელოს“ უკანასკნელი თარგმანები ინგლისურიდან. ხომ ხედავთ ინგლისიდან ასე დაშორებულ კავკასიაშიც პატრის სცემენ თქვენს დიდ პოეტს.

თავადი ილია ჭავჭავაძე მთხოვს მისგან მოკითხვა გადმოგცეთ.

ინამეთ, ძვირფასო ბატონო ოლივერი, ჩემი თქვენდამი საუკეთესო სურვილები და მიიღეთ ჩემი გულწრფელი საღამო.

ივანე მაჩაბლი:

1 უნდა იგულისხმებოდეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უილიამ გლადსტონი (1809-1898).

2 თარგმანი მარიანე ჩერქეზიშვილისა. წერილის შავი დაყულია ლიტერატურულ მუზეუმში: 14226 — ხ. ფრანგულ ენაზე.

დასასრული. იხ. „მნათობი“, 1983, № 1-2.

თბილისი, 17/29 იანვარი, 1894.

ეროვნული
ნიუზიორთიქსი

უძვირფასესო მეგობარო (ოლივერ)!

მადლობას გიხდით იმ სიამოვნებისთვის, რომელიც თქვენმა მომხიბლავმა და გულითადმა წერილმა მომანიჭა. თქვენი მეგობრები დიდად დაგვაიმედა იმ ამბავმა, რომ მალე ჩვენ შორის გიხილავთ და კვლავ განვაახლებთ მეგობრულ ურთიერთობას. მოხიბლული ვართ თქვენი დის გულმოდგინებით ქართული ლიტერატურის შესასწავლად, რაც, უჭკველია, თქვენს წიგნთან გაცნობის შედეგია. წიგნთან, რომელიც ასე სასახელოა ჩვენი ქვეყნისათვის.

ამ დღეებში ერთ მცირერიცხოვან საზოგადოებაში მოვეყვი ამბები, რომელიც თქვენგან შევიტყვე. მეორე დღეს კი ეს ცნობები პატარა შენიშენის სახით აქაურ ცნობილ გაზეთ „კავკაზში“ ნაეკითხე. გიგზავნით ამ შენიშენას და გთხოვთ პატიებას, თუ ჩემმა უნებურად ამის გამო რაიმე უსიამოვნება შეგხვდებათ.¹

გთხოვთ ნუ მომერიდებით და შემატყობინეთ ყველა თქვენი სათხოვარი. ბედნიერი ვიქნები ეს უმნიშვნელო მეგობრული სამსახური გაგინიოთ. ველი აღნიაშვილის ზღაპრების ინგლისურად თარგმნის ცდებს და გიგზავნით (თქვენს მიერ) შეკვეთილ წიგნებს. ჩემთვის ეს ახლა სულ იოლია, რადგან თბილისში ჩამოყალიბდა წიგნების საგამომცემლო საზოგადოება, რომელიც ყველა დაკვეთას ასრულებს. მხოლოდ სამი წიგნი ვერ გიშოვთ, ეტყობა, გაყიდულია, და თუ ხელახლა გამოიცა, უჭკველად გამოგიგზავნით.

წიგნის ცენტრალურ მდარზიაში სულ 2 მანეთი გადავიხადე. „მომბე“ ყოველთვიური ფურნალია და მისი გამოცემა „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ საქმეა. ამ ამხანაგობის კომიტეტი მას უფასოდ გიგზავნით. თქვენ მხოლოდ გადმოგზავნის ხარჯები უნდა გასანიოთ. რაც შეეხება გაზეთ „ივერიას“, მის გამომცემელ თავად ჭავჭავაძესთან კარგ დამოკიდებულებაში არ ვარ. მაინც ვთხოვე ერთ საერთო ნაცნობს² და იმედი მაქვს, რომ გამოგზავნის.

თქვენს შესახებ საუბარი მქონდა ლევან ვარნაძესთან, რომელიც ამ დღეებში წერილს გამოგიგზავნით. ჩვენი საერთო ნაცნობები გულითად საღამს გითვლიან და (საქართველოში) კეთილად ჩამობრძანებას გისურვებენ.

სამი დღეა, რაც (ქალიშვილის) მამა გავხედი. ჩემს ოჯახში თქვენი სტუმრობა ყველასათვის სასიხარულო იქნება.

თქვენი წერილის მოლოდინში მყოფი

მუდამ თქვენი ივანე მარაბალი.³

თბილისი, 12/24 აპრილი, 1898.

ძვირფასო მეგობარო (ოლივერ)!

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი მაშინვე მეპასუხნა უკანასკნელად მიღებულ წერილზე. აი, უკვე ერთი წელია, რაც ავად ვარ. ორჯერ გამოიკეთეს ოპერაცია: ჯერ ნაწლავების ანთება მქონდა, შემდეგ კი პლევრიტი დამემართა. ახლა, თუმცა მთლად ვერ მოვმჯობინდი, თავს მაინც უკეთ ვგრძნობ და ნაოპერაცივე იარები წერას აღარ მიშლის. თქვენი დის ნარმატებები ქართულ ენაში იმედს გვაძლევს, რომ მალე ჩვენს განთქმულ „ვეფხისტყაოსანს“ ინგლისურად ნაეკითხავთ.

თარგმნას მეც განვაგრძობ, ჩვენს საზოგადოებას შექსპირს ვაცნობ. ავადმყოფობის ნინ ვთარგმნე „ანტიონოს და კლეოპატრა“ და „კორიოლიანოს“. პიესები ჯერ არ დაბეჭდილა, მაგრამ გამოქვეყნებისთვის სულ მზად მაქვს.

¹ იგულისხმება: Литературные новости: Перевод грузинских произведений на английский язык, «Кавказ», 14. 1. 1894, № 12, стр. 3, რომელშიც მოთხრობილი იყო მარჯორი უორდროპის ქართველოლოგიური მუშაობის ამბავი. ეს ცნობა მალე „ივერიაშიც“ გადბეჭდა: ახალი ამბავი, „ივერია“, 16. 1. 1894, № 11.

² აქ უნდა იგულისხმებოდეს ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც ცდილობდა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მარაბალის შერიგებას.

³ წერილის შავი დაყულის ლიტერატურულ მუზეუმში: 13797 — ხ. ფანგულ ენაზე. თარგმანი მარინე ჩერკეზოშვილისა.

მე და ჩემმა მეგობრებმა წამოვიწყეთ საჯარო საქმე, რათა გაგაადვილოთ კავშირი მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. აქამდე ქართველი მწარმოებელი ჩვეულებრივ იყენებდა შუამავალთა ხელში, რომელნიც მათ სამინლად ყველფდნენ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საზოგადოება მათ ამ მარწუხებიდან დაიხსნის. ამავე დროს ჩვენ ვხსნით მალახიებს, მწარმოებლებს მათთვის საჭირო სავანები რომ მივაწოდოთ.

ამ დღეებში გამოგვიჩვენებენ ჩვენი საზოგადოების წესდებას და გასული წლის ანგარიშს, ალბათ ხელსაყრელი იქნებოდა ინგლისელ კომერსანტებთან რომ დაგვეჭირა საქმე. თუ ეს შესაძლებელი იქნება, გამოგვიჩვენებენ ჩვენთვის საჭირო საქონლის სიას, თქვენ მას გადასცემთ თქვენს თანამემამულეებს და თუ მათი ნაწარმი უფრო იაფი და უკეთესი ხარისხისა იქნა, ვიდრე ის, რასაც ახლა ჩვენ ვშოულობთ, ინგლისელ ვაჭრებს ერთი სოლიდური მყიდველი შეემატება.

ჩემი გულწრფელი მოკითხვა თქვენს დას.

მუდამ თქვენი ივანე მაჩაბელი.¹

იაკობ გოგებაშვილის წერილები

1896 წელს ივნისის 14 დღესა

ქართველთა ერის და ენის გულწრფელ მეგობარო, დიდად და ღრმად პატივცემულო მოწყალე ხელმწიფე ქალბატონო მარჯორი!

ნება მიბოძეთ მოგართვათ ჩემ მიერ შედგენილი ქართული წიგნები,² როგორც პატარა ნიშანი უდიდესის პატივისცემისა თქვენდამი. მეტად ვწუხვარ, რომ უქეიფობამ ნება არ მომცა პირადად მომერთმია მე თვითონ წიგნები და გამომეცადა მეც ის არაჩვეულებრივი ტეშმარტი სიამოვნება თქვენი პირადი გაცნობითა, რომელზედაც ღაღადებს ყოველი ქართველი, ვისაც კი პქონდა ბედნიერება დამტკბარიყო თქვენი ნახვით, ქაუბრით და დაებრძოვი მიგებებით, მოპყრობით.

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი პატივისცემა თქვენს ძმასა, აგრეთვე დიდს მეგობარს ქართველებისას და ყველა თქვენს თავისიანს.

თქვენი მარად ჭაშს უღრმესი პატივისმცემელი

იაკობ გოგებაშვილი.⁴

1896 წელს ივნისის 17 დღესა.

უპატივცემულესო ქალბატონო (მარჯორი)!

ნება მიბოძეთ მოგართვათ ეგრეთვე ეს რუსული წიგნიც,⁵ რომელიც დღესვე დილით გამოვიდა სტამბიდან და რომელშიაც იპოვნით 54-55 გვერდებზე ერთს ხანას ხალხის განათლებისას თქვენს მშენიერს შოტლანდიასში.⁶

თქვენი უგულითადესი პატივისმცემელი

იაკობ გოგებაშვილი.⁷

1 იგულისხმება 1896 წელს ივანე მაჩაბლის თაოსნობით დაარსებული სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი (დოქორილებით იხ. ილია ჭყონია, მკირე შენიშვნა ივანე მაჩაბელზე, ლიტ. მუხ. — № 10125).

2 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი: d 20/96 (წერილის შავი დაუღლია ლიტ. მუხვებში: 13799 — ხ), ფრანგულ ენაზე, თარგმანი მარინე ჩერქეზიშვილისა.

3 იგულისხმება იაკობ გოგებაშვილის წიგნები: „აენანამ რა პქნა“, „რანი ვიყავით გეშინ“, „მოსავლის მყველი“, „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, რომლებიც დღეს ოქსფორდში, უორდრობთა ფონდშია დაცული იაკობ გოგებაშვილისეული მიძღვნილი წარწერებით: „ქართულთა ერის და ენის გულწრფელს მეგობარს და მოყვარეს ქალბატონს მარჯორი უორდრობასა, ნიშნად გულითადის პატივისცემისა. დამწერისგან, თბილესი, 1896 წელსა, მაკათვის 14 დღესა“.

4 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 20 (64), ფ. 136.

5 იგულისხმება იაკობ გოგებაშვილის «Разбор учебных руководств по русскому языку», Тифлис, 1896.

6 ი. გოგებაშვილის ამ წიგნის მიითებულ 54-55-ე გვერდებზე შოტლანდიის მაგალითით დასაბუთებულია სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა.

7 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 20 (65), ფ. 138.

24 იანვარს 1911 წელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდად პატივცემულ ანასტასია ალექსანდრეს ასულს!

დიდად ვწუხვარ, რომ უქეთობა, რომელმაც აგერ ორი თვეა ტუსაღსავით დამამწყვდია ჩემს სადგურში, ნებას არ მაძლევს დავესწრო დღევანდელს ნაღიშს, რომელსაც უმართავს ქართული საზოგადოება იმისთანა სამაგალითო მოყვარეს ქართველის ერისას, როგორცა ბრძანდება ბ-ნი უარდროპი. გთხოვთ ეს ჩემი სიმწუხარე განუტყაბდოთ პირადად თქვენს ძვირფას სტუმარს და ბოდიში მომხადოთ.

პირადად მე გავუგზავნე დეკემბერში ნიშნად პატივისცემისა ჩემი თხზულება შესაბამის ყდაში ჯეროვანის ზედწარწერით.*

მარად თქვენი პატივისმცემელი

იაკობ გოგებაშვილი.3

ალექსანდრე ცაბარლის წერილები

სანქტ-პეტერბურში, 2/15 ოქტომბერი, 1893 წ.

ძვირფასო ოლივერ უორდროპს!

მაპატიეთ, რომ აქამდე ვერ გიპასუხეთ თქვენს 1893 წლის 9 სექტემბრის თავაზიან წერილზე. მე თქვენ გწერთ რუსულად, რადგან კარგად იცით ეს ენა; როცა ქართულიც ასე კარგად გეცოდინებათ, მაშინ ქართულად მოგწერთ.

თქვენი სურვილისამებრ გიგზავნით „ნიგნი სიბრძნე-სიერუისას“, „მეგრულ ზღაპრებს“ და სტატიას საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ, რომელიც ამას წინათ დაგებდნენ აქაურ „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“. ძლიერ მოხარული ვარ, რომ გსურთ იგი გადათარგმნოთ (ინგლისურად) და გააცნოთ ქართული ლიტერატურა ინგლისელ და ევროპულ საზოგადოებას, და მეც სიამოვნებით გრთავთ ამის ნებას.4

გიგზავნით ჩემი „სვედენიების“ ორ ნაკვეთს ბ-ნ ფ. კ. კონიბირისთვის5 გადასაცემად, რომელმაც თქვენი საშუალებით ასე თავაზიანად გამომიგზავნა თავისი შრომა არისტოტელეს და პორფირის სომხურ თარგმანზე; ძლიერ კარგი იქნება, თუკი იგი ხელს მოჰკიდებს ქართულსაც, — ჩვენი სასულიერო მწერლობა ძლიერ მდიდარია.

თუ ნახავთ ბ-ნ მორფილს,6 გთხოვთ გადასცეთ ჩემი მოკითხვა.

1 იაკობ გოგებაშვილის ეს უცნობი წერილი მიწერილია ანასტასია (ტასო) ალექსანდრეს ასულ ბაგრატიონ-შაჩაბლისადმი, რომელიც იყო ერთ-ერთი მოთავე 1911 წლის 24 იანვარს „ტფილისკი კრუჟის“ (დღევანდელი ოფიცერთა სახლში) შენობაში ქართველი საზოგადოების მიერ თბილისში სტუმრად ჩამოსულ ოლივერ უორდროპის პატივსაცემად გამართული ნადიმისა.

2 იგულისხმება „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები იაკობ გოგებაშვილისა“, ტომი პირველი, თბილისი, 1901 წ., რომელიც საგანგებო ყდაში და ბუდეშია ჩასმული და დღეს ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში ინახება (Wardr. II. 106). მას იაკობ გოგებაშვილის ასეთი წარწერა აქვს: „დიდებულს ინგლისის ყოვლად ღირსეულ შეილსა და საქართველოს სამაგალითო მეგობარს პატრიუს ოლივერ უარდროპსა, ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. ავტორისაგან, ტფილისი, 7 დეკემბერი, 1910 წელსა“.

3 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 27 (75).

4 ოლივერ უორდროპს 1894 წელს ინგლისურად მართლაც უთარგმნია ბროკჟუზ-უფრონის ენციკლოპედიის მე-18 ტომში 1893 წელს გამოქვეყნებული ალ. ცაგარელის სტატია „საქართ. ევლი“, რომელიც ხელნაწერის სახით დღეს ოქსფორდში, უორდროპთა ფონდშია დაცული: C 26 (7).

5 ფ რ ე დ რ ა ი კ კ ო რ ნ უ ა ლ კ ო ნ ი ბ ი რ ი (1856-1924) — ცნობილი ინგლისელი არმენოლოგი, პროფესორი, რომელიც შემდგომი ალ. ცაგარელმა და ოლივერ უორდროპმა დაინტერესეს ქართველოლოგიური კვლევა-ძიებით.

6 უ ი ლ ი ა მ რ ი ა ჩ ა რ დ მ ო რ ფ ი ლ ი (1834-1909) — სლავისტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრიტანეთის აკადემიის წევრი, რომელიც მეგობრობდა ალ. ცაგარელთან, მასთან ერთად 1888 წელს იზოგზაურა საქართველოში, გაეცნო ილია ჭავჭავაძეს, გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ.

ახალი წლისთვის (1894 წ.) დავასრულებ ჩემი „სვედენიების“ III ნაკვეთის გამოცემას და გამოგიგზავნი.

გასულ წელს (1892 წ.) სინას მთაზე (სადაც მე ვიყავი 1883 წელს), იყენებდნენ ხელნაწერების ათასამდე ნეგატივი; შემდეგ იქ სუეციდან გაემგზავრნენ პროფ. პარისი, ბენსლი და ბერკიტი ცოლებითურა და სინაზე 40 დღე დაჰყვეს სირიული ხელნაწერების გასარჩევად; ქართულს, რა თქმა უნდა, ისინი ვერ გარჩევდნენ, და ამიტომ, არ შეგიძლიათ, გაიგოს, სად გააგზავნეს ქართულ ხელნაწერთა ანაბეჭდები?

თუ სურვილი აქვთ, გამომიგზავნონ ეს ანაბეჭდები, მე სიამოვნებით მოგივებ ხელს მათ ამოკითხვასა და გარჩევას, უკანვე დაუბრუნებ ანაბეჭდებსაც და მათ გარჩევასაც.

თუ შეგიძლიათ, თავი მოუყარეთ ამ ცნობებს, — ეს აღმოჩენა სახელს უქმნის ინგლისურ მეცნიერებას და ინგლისელ ქალებსაც. ამ აღმოჩენათა შესახებ იუნჯებიან: „La Terre Sainte“, 1893, N II; „Die Warte des Tempels“, 1893, N 22.

გიგზავნით ჩემს ფოტოსურათს, რომ არ დამივიწყოთ. ეს ზაფხული გავატარე პავლოვსკში, პეტერბურგთან ახლოს, და იქ გადავიღე ჩემს ერთგულ მეგობარ დოგთან „Ralf“-თან.

ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებს

ალექსანდე ცაგარელი.³

2/15 იანვარი, 1909 წ., სანქტ-პეტერბურგი

დიდათ პატივცემულო ქალბატონო მარჯორი!

დიდის სიამოვნებით მოვალ თქვენთან შაბათს, საღამოს 7 1/30 საათზე, სადილათ, როგორც თქვენი წერილით შეპატივებით.²

დავუთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ალ. ცაგარელი.

P. S. გთხოვთ ძმას გარდასცეთ ჩემი გულითადი საღამო.³

24 აპრილი, 1908 წ., ბაღი-ბაღენი.

დიდად პატივცემულო ბ-ნი უორდროპ!

მაპატიეთ, რომ ასე დავგვიანებით ვწერთ. სანქტ-პეტერბურგიდან ჩემს მიერ გამოგზავნილ ბ-ნ ლატიშევის წიგნში მე თქვენ გადმოგიგზავნეთ 5 მანეთი, ე. ი. 4 მანეთით მეტი, ვიდრე ის ღირდა ჩემთვის, როგორც არქეოლოგიური საზოგადოების წევრისთვის. მოხარული ვიქნები თუ დამავალებთ შევიძინო რაიმე თქვენთვის ამ 4 მანეთით, თორემ უკან-ვე უნდა დაგიბრუნოთ იგი.

გახლდით კისინგენში და ჩამოვედი აქ (ბადენ-ბადენში) Nachkur¹-ისთვის. აქ ახლა დოღია და ბევრი ჩამოსულია თავმოყრილი. სექტემბრის დასაწყისში ვიქნები სანქტ-პეტერბურგში. კოპენჰაგენში ახლახან გაიმართა ორიენტალისტთა კონგრესი, რომელსაც მე, სამწუხაროდ, ვერ დავესწარი, თუმცა კი ვიყავი მისი წევრი.

რას აკეთებთ ამჟამად და როგორ ბრძანდებით? რა ხდება სპარსეთსა და თურქეთში! სად იმყოფება ახლა ინგლისის ყოფილი დესპანი სპარსეთში, რომელსაც მე ჩვენთან გავეცანი? ამ გაზაფხულზე (აპრილ-მაისში) ვიყავი თბილისში, იქ სრული სინწინარეა. საწყალი

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 27 (48). დაწერილია რუსულად.

2 ამ დროს (1905 წ.) ოლივერ უორდროპი დიდი ბრიტანეთის კონსულად მსახურობდა პეტერბურგში და მარჯორი მასთან ერთად ცხოვრობდა რუსეთის სატახტო ქალაქში.

3 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (38).

4 Nachkur (გერმ.) — დასვენება მკურნალობის შემდეგ.

ეგზარქოსი მოპკლეს! არ იციან, ვინ მოპკლა და რისთვის, ის ქართული ეკლესიის) ავტოკეფალიის წინააღმდეგ არ ყოფილა, ამბობენ, რომ აქ რაღაც შინაურ...
გომამ და ხვალაო!

მსურდა თქვენი ნახვა და ბევრ რამზე მოსაუბრება, მაგრამ არ მოხერხდებოდა, არ ვიცი, ეს წერილი მოგისწრებთ კია ბუქარესტში?

თქვენი დაიკო როგორ ბრძანდება? გთხოვთ გადასცეთ მას ჩემი ღრმა პატივისცემა. გთხოვთ არ დაივიწყოთ „ლუიის, ქალები და სიმღერის“ ქვეყანა, რომელიც ახლა უბედურია.

ახლო აღმოსავლეთში უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდება, ვიდრე აქამდე იყო და თქვენი მეგობრობა ძალიან ძვირფასი იქნება საქართველოსთვის, რომელიც თქვენ გააცანით ინგლისს, თუმცა, ევროპამ ჯერ მაინც ცოტა რამ იცის საქართველოზე. გრადფი უორონცოვ-დაშკოვი გამომგზავრა პეტერბურგს, ალბათ, არც დაბრუნდება კავკასიაში! არ იციან, ვის დანიშნავენ, ან დარჩება თუ არა მეფისნაცვლობა...

იყავით ჯანმრთელად, ძვირფასო მეგობარო, და არ დაივიწყოთ სულეტირად თქვენი ერთგული

ალექსანდრე ცაბაძელი.

2/15 იანვარი, 1909 წ., სანქტ-პეტერბურგი

დიდად პატივცემულო ბ-ნო ოლივერ უორდროში

მივიღე თქვენი (საახალწლო) მოსალაცი ღია ბარათი ტურფა რუმინელის გამოსახულებით, უფრო ადრე კი — თქვენივე წერილი. მე არ მიაწინდება, რომ თქვენი 4 მანეთი ვალად მაქვს — ველი თქვენს შეკვეთებს.

მიხარია, რომ ჯანმრთელად ბრძანდებით, აქ ქოლერის წელიწადია, საძაგელი შე მოდგომა და ზამთარია.

თურქეთი და ავსტრია, როგორც ჩანს, დაზავდებიან, მაგრამ არ იციან, რა მოხდება სპარსეთში...

უკანასკნელ წლებში მე დაკავებული ვარ ეკლესიის ისტორიითა და ეკლესიის სამართლით, რათა გადაეწყვიტო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რომელსაც ბოლო არ უჩანს და საქართველოში საქმეები აწეწილია.

გიგზანით სტატია, რომელიც მე დავუბეჭდე „Синод“-ში, ზომიერ-ლიბერალურ ორიგანოში, რომელსაც სცემს მ. მ. ფედოროვი, ყოფილი ვაჭრობის მინისტრი. კარგი იქნებოდა, გადმოგვეცა მისი შინაარსი ინგლისურ გაზეთებში, რადგან ქართული ეკლესიის საკითხი საზღვარგარეთ ძლიერ ნაკლებ არის ცნობილი და არ იციან კავკასიაში მომხდარ უნესრიგობათა მიზეზი.

ავსტრიამ დიდი ხანია ავტოკეფალური პატრიარქი მისცა მართლმადიდებლურ სერბულ ეკლესიას (უნგრეთში), და ახლა ბოსნიისა და სერცოვინის მართლმადიდებლურ ეკლესიებსაც აძლევს ავტოკეფალიას, ქართულ ეკლესიას კი 100 წელია კათალიკოსი წართმეული ჰყავს...

გთხოვთ ჩემი უღრმესი პატივისცემა გადასცეთ თქვენს დაიკოს.

კავკასიაში დიდი დღესასწაულობით იხვიმეს აკაკი წერეთლის (მოღვაწეობის) 50 წლის იუბილე.

ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ. თქვენი ერთგული

ალ. ცაბაძელი.

ფურცტადსკის 27,
სპბ.⁴

1. იგულისხმება ნიკონ ეგზარქოსის მკვლელობა 1908 წელს.

2. იმდროინდელი მეფისნაცვალი კავკასიაში.

3. ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — C 27 (68). დაწერილია რუსულად.

4. ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — C 27 (69). დაწერილია რუსულად.

20 მარტს/2 აპრილს, 1909 წ., სანაქ-პეტარბურგი.

საქართველო
საზღვრო-სამხარეთო

დიდად პატივცემულო ქალბატონო!

თქვენი მშვენიერი ქართული წერილი 6/19 მარტს 1908 წელს გამოგზავნილი მივიღე და დიდად ვისიამოვნე. სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ქალი ვერ დასწერს ასე მშვენიერად ქართულ წიგნს, როგორც თქვენა სწერთ. კირონის ამბავი მე დანერჩილებით და სწორეთ არ ვიცი. თოფები რომ უპოვეს და მ წლით პატიმრად რომ გაგზავნეს თბილისიდან — ის სომხის არქიმანდრიტი კორინი იყო და არა ქართველი ეპისკოპოსი კირონი (საბაგლიშვილი). ეს კირონი გაგზავნეს ხარკოვიდგან ერთ მონასტერში ტამბოვის გუბერნიის საცხოვრებლად, ცოტა ავით არია, მაგრამ მოსკოვში საავთმყოფოში არ დაარჩინეს, ძალათ წაიყვანა პოლიციამ რკინის გზით მონასტერში. ეხლა იქა ცხოვრობს. ეპისკოპოსი ლეონიდი კი ფოთში ცხოვრობს. საზოგადოთ ბევრი უსიამოვნობა და დევნა მიიღო ქართულმა სამღვდელეობამ თავის ეკლესიის ავტოკეფალიის გამო და ბოლო არა აქვს. გიგზავნით ამის გამო რუსულად დაწერილ სტატიებს! თქვენთვისაც და თქვენი ძმისთვისაც. იქნება იმ სტატიებისაგან შეადგინოთ თქვენი სტატია ინგლისურ გაზეთებისათვის.

მე ჯერ არ ვიცი რუმინიაში წელს მომიხდება მოსვლა თუ არა. კონსტანტინოპოლშიც ვინადა და წასვლა, მაგრამ ჯერ არ ვიცი.

თქვენ როგორ ბრძანდებით, ან თქვენი ძმა, რომელიც, გთხოვთ დიდის პატივისცემით მომიკითხოთ. აქ ჯერ ისევ ცივა, მანდ მგონი თითქმის ზაფხულია.

თქვენი მარადის პატივისცემელი

ალ. ცაგარელი.

P. S. არ ვიცი გინახათ თუ არა ამ ცოტა ხანში ლონდონში დაბუქდილა წიგნი კავკასიაზე:

•The Russian conquest of the Caucasus by John F. Baddeley, London, 1908, in 8 XXXVIII, 518 p., cartes, plans, illustration 21 ch.». მაგრამ, როგორც სწერენ კრიტიკოსები, ამ წიგნის დამწერი ისე კარგათ და სიმართლეთ ვერა სწერს საქართველოს იატორიას, როგორც თქვენი პატივცემული ძმა თავის წიგნში „საქართველოს სამეფო“.²

23 აპრილს/6 მაისს, 1909 წ., კელსინგფორსი (ფინლანდია).

დიდად პატივცემულო ქალბატონო!

მომიტყვე, რომ აქამდინ პასუხი ვერ მოგწერეთ თქვენ წერილზედ. გსურდათ მივცეთ პროფ. მარრის წიგნი „იოანე ფილოსოფოსი პეტრიწონელი“, მაგრამ გასაყიდათ პეტერბურღში ვერ ვიშოვნე და თითომ მარრი პეტერბურღში არ იყო. როგორც ვიშოვნი, გამოგიგზავნით.

ამ ზაფხულს ცოტა ხნით ვცხოვრობ ფინლანდიაში. ჩქარა წავალ პეტერბურღში. საქართველოს ეკლესიის და სამღვდელეობის საქმე ისევ იმ მდგომარეობაში არის, როგორშიც იყო, ბევრი ვევადა, მაგრამ ჯერ ვერა ვუშველ რამე.

თქვენ როგორ ბრძანდებით, ან თქვენი ძმა ოლივერი? როგორ გაატარეთ ზაფხული? ამ წელს ვერ მომიხდა სამძღვარგარეთ წამოსვლა და რუმინიის წახვა. იასაში არა მგონია ქართული რამე იყოს დარჩენილი. არ ვიცი რა მდგომარეობაშია იუბილის გამართვა ტფილისში 200 წლის ქართული ტიპოგრაფიისა.

მომიკითხეთ პატივისცემით თქვენი ძმა ოლივერი.

ყავით მშვიდობით.

თქვენი კეთილის მოსურნე

ალ. ცაგარელი.³

¹ თაემოყრილია წიგნში: А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПб., 1912.

² ოქსფორდი, ურდარობა ფონდი — d 26/3 (1).

³ ოქსფორდი, ურდარობა ფონდი — d 26/3 (2).

2/15 ოქტომბერი 1910 წ., ს.-პეტერბურგი, ფურშტადსკის 27.

გზარამი
გზარამი

ძვირფასო მეგობარო უორდრო!

დიდი ხანი არ არის, რაც დავბრუნდი საზღვარგარეთიდან და შინ დამხვდა თქვენი 1910 წლის 1 აგვისტოს წერილი. ძლიერ სანყენია, რომ ვერ მოეწვეთ ოქსფორდის უნივერსიტეტში, მაგრამ ძლიერ კმაყოფილი ვარ, რომ ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას და დროს დაუთმობთ ჩემს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას.

ქართელები, ასევე ევროპელი მეცნიერები, თქვენი და თქვენი განსვენებული, სათნო და კეთილშობილი დის — მარჯორის მუდამ მაღლიერი და მაღლობელი იქნებიან იმისთვის, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტისთვის თქვენი შეწირულებითა და თქვენი შრომებით შტიციე საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოს გაცნობისა და მისი ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და სიძველეების დამუშავებისა და შესწავლის საქმეს, როგორც თქვენი თანამემამულე ინგლისელების, ასევე სხვა ევროპელთა მიერ.

თქვენი კოლექციისათვის გამოგზავნით ჩემს შრომებსაც. ნელს მხოლოდ გერმანიაში ვიყავი კურორტებზე, ვიმედოვნებ, როგორმე მომავალში ჩამოვიდე ლონდონსა და ოქსფორდში.

თქვენ მწერთ, რომ აპირებთ საქართველოში ჩასვლას, — კარგი საქმეა, ყველა ქართველი თქვენ დიდი კმაყოფილებით შეგხვდებათ.

გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას.

იყავით ჯანმრთელად და არ დაივიწყოთ თქვენი ერთგული

ალ. ცაგარელი!

17 იანვარი 1912 წ., ბერლინი.

ძვირფასო მეგობარო!

მაბატეთ, რომ ასე გვიან გაპსუხობთ თქვენს წერილზე. მივიღე თქვენი შრომები: ჩემი კატალოგის თარგმანი და ინგლისურ-სევანური ლექსიკონი. კარგია, რომ ევროპას აცნობთ საქართველოს.

მოუთმენლად ველი თქვენი დაუფინყარი დის მიერ შესრულებული რუსთაველის ინგლისური თარგმანის მიღებას. თუ შესაძლებელია, მსურდა მიმეღო ორი ეგზემპლარი ფასის მითითებით.

მსურს გამოგიგზავნოთ ორ-ორი ცალი ყველა ჩემი შრომისა ოქსფორდის უნივერსიტეტისათვის (ქართული ბიბლიოთეკისათვის) და ბრიტანეთის მუზეუმისათვის.

ჩამოვდეი აქ, ბერლინში, შობის დღესასწაულზე, რათა მოეინახულო ჩემი სანყალი განსვენებული მეგობრის დ. ზ. სარაჯოვის ავადმყოფი ქერივი. დაერჩები აქ კიდევ ორ კვირას, შემდეგ კი წავალ ს.-პეტერბურგში.

პეტერბურგში მალე მოვლიან ინგლისელ სტუმრებს, თქვენც ხომ არ წამოხვალთ?

ამ გაზაფხულს ვიყავ თბილისში, ძლიერ ცხელოდა. მე ჯანმრთელად ვარ, გისურვებთ თქვენც ჯანმრთელად ყოფნას.

თქვენი ერთგული მეგობარი

ალ. ცაგარელი.

ჩემი მისამართია: ბერლინი, კორნელიუსშტრასე 4 ა; ს.-პეტერბურგი, ფურშტადსკის 27.³

17/30 აპრილი 1912 წ. ს.-პეტერბურგი.

საყვარელო მეგობარო ოლივერი!

მივიღე თქვენი უკანასკნელი წერილი 1912 წლის 9 აპრილის თარიღით, და მაბატეთ, რომ აქამდე პასუხი ვერ მოგწერეთ.

1 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 38/6 (1). დაწერილია რუსულად.

2 ივლისისკმაბა ოლივერ უორდრობის მიერ ინგლისურად თარგმნილი და 1911 წელს ლონდონში გამოცემული ალ. ცაგარელის „Сведения“ (вып. I, СПб., 1886), რომელშიც შესულია ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

3 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 38/6 (2). დაწერილია რუსულად.

ჩვენთან მზადდება „საეკლესიო კრება“ და ბევრს ვკამათობთ, რათა ქართულმა ეკლესიამ დაიბრუნოს ავტოკეფალია. ამის შესახებ მე ებეჭდავ მთელ წიგნს, რომელსაც გეგმიურად მალე დასრულდება და გამოგიგზავნი.

მივიღე თქვენი დაუფინყარი დის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი კომენტარებითურთ. მხოლოდ ინგლისში თუ ძალუთ ასე მშვენიერად წიგნების გამოცემა ჯერ არ მომისწრია დანერვილებით მისი განხილვა, მაგრამ ვხედავ, რაოდენი შრომა და ცოდნაა შიგ ჩადებული. საერთოდ კი, მე რამდენადმე ემორდები ამ პოემის სხვა კომენტატორებსა და მთარგმნელებს მისი წარმომავლობისა და შინაარსის გაგებაში — „ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო რომანია მეგობრობასა და სიყვარულზე, არამედ უმთავრესად გასანავლის, თუ როგორ უნდა იცხოვროს ქვეყანამ, რომ იყოს ბედნიერი და დღეგრძელი. ოდესმე, ჩვენ ამის შესახებ უფრო დანერვილებით მოვისაუბრებთ!

თქვენ მე ამდენ ვალს მაკისრებთ! უკვე გამოვიწერე და მივიღე „ვეფხისტყაოსნის“ (ინგლისურ თარგმანის) რამდენიმე ეგზემპლარი ნაცნობებისათვის დასარჩევლად.

გამოგიგზავნით ჩემს ნაშრომებს და გთხოვთ თქვენს თავზე აიღოთ რუსული სათაურების ინგლისურად გადათარგმნა და თითო ცალი ჩააბაროთ ბრიტანეთის მუზეუმს (მე შევიპირდი) და ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართულ ბიბლიოთეკას.

ქ-ნი სარაჯოვა (ბერლინში) გამოკეთდა და მალე იქნება თბილისში. რა თქმა უნდა, თქვენც და დედათქვენსაც მოგიხდებოდათ ტენეროფზე ყოფნა.¹

მე მაისის დამლევამდე ვიქნები აქ, შემდეგ ნავალ, ალბათ, სახლვარგარეთ — კარლსბადში ან სადმე სხვაგან.

მე ჯანმრთელად ვარ, მაგრამ აქ ძლიერ ცუდი, ცივი გაზაფხულია. იყავით ჯანმრთელად და არ დაიფინყოთ თქვენი ერთგული

აღ. ცაგარელი.3

27 ოქტომბერი/9 წვიმვარი 1912 წ., ს.-პეტერბურგი.

ძვირფასო მეგობარო ოლივერი!

მივიღე თქვენი სურათი, საიდანაც შევიტყვე თქვენი დაქორწინება.3 სულით და გულთ გილოცავთ თქვენ და თქვენს მეუღლეს და გისურვებთ ყოველგვარ ბედნიერებას.

ამ ზაფხულს კარლსბადში გახლდით, საიდანაც მე თქვენ გამოგიგზავნეთ ჩემი ახალი ნაშრომი: «Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу», СПб., 1912.

რომიელი, ალბათ, უკვე მიიღეთ. თუ სასარგებლოდ დაინახათ, შეგიძლიათ ინგლისურ ფურცლებში გადამოსცეთ მისი შინაარსი.

კარლსბადიდან აგვისტოს დამლევს «Nachkur»-ისთვის გავემგზავრე ვენაში, ბუდაპეშტში, ბელგრადში, სოფიაში, კონსტანტინოპოლში, ოდესაში, კიევიში, მოსკოვში და დავებრუნდი პეტერბურგში. ასე რომ, ორი თვის წინათ მე ვიყავი იმ ადგილებში, სადაც ახლა ომია გამალებული. 1913 წლის მაისამდე ვიქნები პეტერბურგში, ხოლო ზაფხულში კვლავ ნავალ სადმე.

თქვენი ბედნიერებისა და ყოველგვარი სიკეთის მოსურნე

აღ. ცაგარელი.4

ალექსანდრო ხახანაშვილის წერილები

3/15 დეკემბერი 1894 წელი, მოსკოვი.

ბატონო ოლივერი!

ამ უკანასკნელ დღემდე არ ვიცოდი თქვენი მისამართი და არ მიმიღია თქვენი გულთადი წერილი, რის გამოც მოკლებული ვიყავი გამოგლამპარაკებოდი თქვენ და თქვენს

1 ტ ე ნ რ ა ო ფ ე — ენჭულია ატლანტის ოკეანეში (შედის კანარის კუნძულებში) და განთქმულია, როგორც ზამთრის კურორტი. 1912 წლის ზამთარი აქ გაატარეს ოლივერ უორდროპემ და დედამისმა.
2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — ძ 38/6 (3). დაწერილია რუსულად.
3 1912 წელს ოლივერ უორდროპმა დაქორწინდა ნოკრევიელ ქალზე — მ ა რ გ ა რ ე ტ კ ო ლ ე ბ ზ ე.
4 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — ძ 38/6 (4). დაწერილია რუსულად.

დას, რომელმაც იყისრა ჩვენთვის უსოდენ სასიამოვნო მისია — გააცნო ინგლისის საზოგადოებას თანამედროვე ქართული ლიტერატურა და მისი ხალხის მძიმე წარსული.

ჩემი გული სავსეა ღრმა მადლიერების გრძნობით. ნება მომეცი თქვენ და თქვენს ახალგაზრდა თანამოსაგრეს ჩემი და ჩემი მოსკოველი თანამემამულეების სახელით უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ საქართველოზე თქვენს მიერ განუხლები შრომისათვის.

რაც შეეხება ჩემს შრომებს, რომლის გამოგზავნასაც თქვენ მთხოვთ, სამწუხაროდ, შემძღვია მოგანდოთ მხოლოდ მათი ნაწილი: ზოგიერთი დაიბეჭდა მცირე რაოდენობით, ამიტომაც, რომ აღარ დამრჩა... გიგზავნით ჩემს ერთ-ერთ ბოლო ნაშრომს «Народный эпос и апокрифы» და რამდენიმე ნერილს გაზეთებიდან.

ჩემი ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომები (1. ბატონყმობა საქართველოში, [თბილისი, 1890], 2. გუჯრები, [ქუთაისი, 1891], აგრეთვე, «Источники по введению Христианства в Грузию» და «Грузинские дворянские акты» (Москва, 1893) უფრო ადვილად შეგიძლიათ იშოვოთ თბილისში.

ვიქვარ, თქვენთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ჩემი ახლახან დამთავრებული ნერილი «ვეფხისტყაოსნის დამატება», რომელშიც მოყვანილია (მოსკოვში), საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული რუსთველის პოემის ხელნაწერის მონაცემები. მე მას აუცილებლად გამოგიგზავნით გამოქვეყნებისთანავე.

დიდად მოხარული ვიქნები, თუკი რამეში გამოგადგებით.

უკვე გამოგიგზავნეთ ჩემი ნერილი «Памятники грузинской отечественной литературы». მიიღეთ. ბატონო ოლივერ, ჩემი გულწრფელი პატივისცემა

თქვენი ა. ხახანაშვილი.1

24 იანვარი, 1895 წელი, მოსკოვი.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აქამდე ვერ გიპასუხებთ თქვენს გულითად ნერილებზე.

თქვენი და თქვენი ოჯახის გულთბილი მიღება საქართველოში არის გამოძახილი იმ გულწრფელი მადლიერების გრძნობისა, რომელსაც განიცდიან თქვენს მიმართ ჩემი თანამემამულენი.

თქვენ გამოთქვამთ სურვილს, რომ ინგლისურად გადათარგმნოთ ჩემი «Очерки по истории грузинской словесности» (вып. 1, Москва, 1895). დიდად ნასიამოვნები ვარ ჩემი უმნიშვნელო შრომის უსოდენ დიდი დაფასებისათვის. მე, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ.

ამჟამად ვმუშაობ მეორე ტომზე, რომელსაც თქვენ ასე ელოდებით. ვიმედოვნებ, რომ იგი ამ წლის ბოლომდე გამოქვეყნდება.

„Русская мысль“-ის 1894 წლის დეკემბრის ნომერში დაგებუქვე ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნა „ქართულ ზღაპრებზე“, რომლებიც თქვენმა დამ ასე მშვენივრად თარგმნა. თქვენი დის ძვირფას სიტყვებს გადავცემ მოსკოვში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს.

მე მოუთმენლად მოველი თქვენს ჩამოსვლას მოსკოვში, რათა პირადად დაგიდასტუროთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა და ნება მიბოძოთ ჩაგთვალეთ ჩემს ძვირფას მემკობრად.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და გთხოვთ მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

ა. ხახანაშვილი.2

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — С 27 (64). დაწერილია ფრანგულად. თარგმანი მანანა იამანიძისა.

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — С 27 (65). დაწერილია ფრანგულად. თარგმანი მანანა იამანიძისა.

1896 წელს, თებერვლის 24 დღესა, მოსკოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატივეცემულ ქალბატონო მარკორი!

დიდ მადლობას გიძღვნი იმ ძვირფასი საჩუქრისათვის, რომელიც თქვენგან მივიღე. გამოუთქმელის სიამოვნებით ნაეკითხვ თქვენ მიერ ნათარგმნი ილია ქაჭავაძის პოემა და დღეს ვგზავნი ტფილისს პატარა წერილს დასაბეჭდად რუსულს გაზეთში ამ ახალი თქვენი შრომის შესახებ. დაულალავად მუშაობთ ქართული ლიტერატურის შესასწავლად და გილოცავთ, რომ თქვენი ღვაწლი ნაყოფიერი და თვალსაჩინო შეიქმნა. ვნუხვარ, რომ ვერ გავხდი ბედნიერი პირადად გამეცანით და ამიტომ გთხოვთ შორიდან მიიღოთ ჩემი გულითადი პატივისცემა. ვისურვებ, რომ შემდეგაც ასრუ საუცხოოდ იღვანოთ და დაჩაგრულს საქართველოს მოეხმაროთ.

მოგართმევთ ჩემს წერილს შოთა რუსთაველზედ ამ წიგნთან ერთად, იქნება თქვენთვის იგი გამოსადეგი იყოს.

თქვენ ძმას ბატონ ოლივერს დაბლა თავს დაუკრავ და პატივისცემით მოეკითხავ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ალექსანდრე ხახანაშვილი.

21 დეკემბერს 1899 წელსა, (მოსკოვი).

დიდად პატივეცემულ ქალბატონო!

თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ გარდა იმ წიგნებისა, რომელნიც თქვენ გაქვთ, მოიპოვიან რამდენიმე კიდევ სხვა ჩემი თხზულებანიც. ამათ რიცხვში ბედნიერად ესთელი ჩემს თავს, რომ შემოძლიან მოგართვათ რამდენიმე და დანარჩენთა მოპოება გამოიძინელდა, რადგანაც მთლად გასცილულია. ამასთანავე ვსარგებლობ შემთხვევით მოგიკითხოთ პატივისცემით და დაგუკითხოთ, რას ამზადებთ ამ ეამად? „წმ. ნინოს ცხოვრება“ გათავებული გექნებათ და იქნება დაბეჭდილიც. მახსოვს, როცა საქართველოში გნახეთ, ბრძანეთ, რომ ჩემი «Источники по введению Христианства в Грузию» ხელში გქონდათ და ისარგებლეთ კიდევ ინგლისურს თქვენს შრომში. მამ, რატომ გამოტოვებულა იგი თქვენს სიაში?

დიდად დამავალბებთ, თუ შემატყობინებთ, სად მოიპოება თქვენი ნათარგმნი „სიბრძნე-სიერის წიგნისა“?

პატივისცემით მოეკითხავ თქვენს ძმას და ვისურვებ თქვენს ბედნიერ ცხოვრებას თქვენი პატივისმცემელი

ა. ხახანაშვილი.

P. S. უკვე შეუდგ მესამე წიგნის ბეჭდვას: «Очерки по истории грузинской словесности»².

მოსკოვი მოსწავლე ქართველ სტუდენტთა წიერილი

დ. მოსკოვი, ი (10) ძრისტანოვოგისთვა ჩაბად [1894] წელსა.

ღრმად პატივეცემულ მარკორ!

როდესაც თავის ქვეყნის რომელიმე საზოგადო ასპარეზზედ იღწვის ადამიანი, ეს ჩვენ საყოველთაოდ ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია, ვფასებთ მას იმდენად, რამდენადაც ნაყოფიერია, სასარგებლო და წმინდა მისი მოღვაწეობა, რაშიც უნდა მდგომარეობდეს ეს უკანასკნელი — მწერლობასა, ხელოვნებასა თუ საზოგადო მოღვაწეობის რომელიმე სხვა დარგში. ხოლო არაჩვეულებრივია, იშვიათია ყოველთვის და, მაშასადამე,

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (62).

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (63).

ფრიად ქვირფასი და ერთობ პატივსაცემია საზოგადო ღვაწლი იმისთანა კაცისა, რომელსაც მიზნად დაუდგია თავის სამშობლოს ბედნიერებასთან ერთად კეთილდღეობა და ყრველი წარმატება უცხო ქვეყნისა. სწორეთ ამისთანა იშვიათ მაგალითს კი წარმოადგენთ თქვენ, დიდათ პატივცემული მარგორ, ჩვენის, თუმცა, პანია, მაგრამ ბევრნაირ მადლით უზეად დაჯილდოებულ ქვეყნისათვის.

წინადაც არაერთხელ და არა ერთი უცხოელი მწერალი შესაჯომია ჩვენის ქვეყნის შესწავლას, მის კვლევას და ყოველ-მხრივ გაცნობას, ხოლო ისეთი გულმოდგინება, გულმხურვალეობა ჩვენი მწერლობისადმი, ისეთი თანაგრძნობა და სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი, რომელსაც ეხლა ჩვენ ყველანი თქვენში ვხედავთ, ეს, მართალი მოგახსენოთ, არაოდეს შეგვხვედრია.

მართლაცა, რამდენი შრომა, მოთმინებაა საჭირო, რომ უცხოეთში მყოფმა უცხო ადამიანმა შეითვისოს ისეთი განსხვავებული ხასიათის და ისე ძნელად მისაწვდომი არა ბუნებურ მკვიდრისათვის ენა, როგორც არის ჩვენი სამშობლო ქართული ენა! რაოდენი გულწრფელი თანაგრძნობა და სურვილი სარგებლობის მოტანისა უნდა უღვიოდეს გულში იმ ადამიანს, რომელსაც არ დაუზოგვია თვით უკეთესი ხანა ახალგაზრდობისა, ჩაპკირკიტებია მისთვის ძნელად გასაგებ ქართულ დაბადებას და სახარებას, აუღია ხელში გრამატიკა ენის შესასწავლად მხოლოდ იმ მიზნით, რომ სწადას გააცნოს თავის სამშობლოს ძველი ივერიის ლიტერატურის უკეთესი ნაშრომ-ნაღესანი და ამ სახით ცოტად არის მაინც წასწიოს იგი ევროპის სახელმწიფოთა თვალში! რაოდენი სიყვარულით, კაცთმოყვარეობით უნდა იყოს გამსჭვალული ის ადამიანი, რომელიც თავის სამშობლოდამ მიდის შორს, ძლიერ შორს, რათა თავის თვალთ შინაბოს ის ქვეყანა, რომელიც მის სულს და გულს შეადგენს, სატრფიალო საგნად გაუხვდია.

ყოველი ესე კი გამოაჩინეთ თქვენ, ღრმად პატივცემული მარგორ! თქვენ, თუ არ ვსცდებით, პირველმა ინგლისელთაგან, იკისრეთ ჩვენის მწერლობის უკეთეს თხზულებათა გაცნობა. ის, თქვენ მიერ უკვე გამოცემული წიგნი, ვგონებთ, პირველი წიგნია ინგლისურ ენაზედ ქართულიდამ გადმოღებული.

ესეთია დასაწყისი, რომელიც თავის თავად პლადადებს მომავალზედაც!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ იმ დროს, როდესაც ევროპამ თითქმის სრულიად არაფერი იცის საქართველოს შესახებ, მის ზნე-ჩვეულებისა, ცხოვრების მიმდინარეობისა, საზოგადო მდგომარეობისა და თითქმის არსებობაზედაც-კი, მაშინ ყოველ ისეთ საქმეს, რომელიც ჯანყსა და ბურუსსა უფანტავს, მცირედ არს მაინც ჩვენსა და ევროპას შორის არღვევს ზღუდეს, აქამომდე მალადა ამართულს, ყოველ ესეთ საქმეს, ვამბობთ, დიად დიდი და დიადი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, თანასწორ სამსახურს უწევნ ხოლმე მხოლოდ რჩეული თავის სამშობლოს. მაშ, ნება მოგვეცით, დიდად პატივცემული მარგორ, თქვენც ან ჩვენ უკეთეს მამულიშვილად ჩაგრიცხოთ.

დარწმუნებული ბრძანებობდეთ, რომ ჩვენი ქვეყანა ჯეროვნად დააფასებს ყოველ თქვენ ღვაწლს ჩვენდამი მომართულს. საქართველო ნივთიერად ღარიბია, მაგრამ სულით კი მდიდარია. ამ ფაშად კი, კერძოდ, ქართული სტუდენტობა გულითადად უღრმეს მადლობას გიცხადებთ იმ ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენ სამშობლოსადმი და იმედო აქვს, რომ ან, მომავალშიაც არ მოაკლებთ მას თანაგრძნობასა და სიყვარულს.

მოსკოვის მოსწავლე ქართველი სტუდენტები.

ეპითიმი თაყაიშვილის წიტილები

11 აპრილი 1911 წ., თბილისი, მოსკოვის ძ. № 4.

ჩემო ძვირფასო მეგობარო (ოლივერ)!

თქვენი ერთი გზიდან და მეორე კიდევ ინგლისიდან გამოგზავნილი წერილები ამანათებთან ერთად მივიღე. ძლიერ მადლობელი ვარ თქვენი ოჯახის ფოტოსურათების გამოგზავნისთვის. ყველა სურათი უკვე გამოფინეთ ჩვენს, ჯერჯერობით, მცირე მუზეუმში სათა-

ვადაზნაურო გიმნაზიის შენობაში. პალიმფსესტიების ორი პერგამენტის ფურცლის ანაბექ-
დები, რომლებიც თქვენ ალექსანდრიაში შეგიძინიათ, აგრეთვე ფრიად საინტერესო
გოგზანით ჯერჯურობით ჩემს შრომას: «Источники грузинских летописей
Три хроники» (Тифлис, 1900), რომელიც თქვენს თბილისში ყოფნის დროს ვერ მო-
ვიძიე. მალე გამოვა „საქართველოს სიძველენის“ მესამე ტომი, რომელსაც მაშინვე გამო-
გიგზავნით. რაც შეეხება ჩემი სიმამრის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს,² იგი მხოლოდ
ერთადერთ ცალადაა და მისი გამოგზავნა არ შეიძლება, პოლტორაკების ოჯახი მას ვერ
შეეღება, მაგრამ თქვენ თუ თანახმა ბრძანდებით, შეიძლება ვინმესთვის გვეთხოვა მისი
ცალკე თავებად გადაწერა და თქვენთვის გამოგზავნა, მხოლოდ ერთი პირობით, რომ რო-
ცა ისარგებლებდით, შემდეგ გადაგვცათ თქვენი განსვენებული დის ბიბლიოთეკაში დასა-
ცავად.

მეგობრულად გართმევ ხელს

ვ. თაყაიშვილი.3

16 ნოემბერი (ძვ. სტილით) 1911 წ., თბილისი.

ჩემო საყვარელო მეგობარო (ოლივერ)!

თქვენი წერილი მივიღე. ძლიერ მაძლობელი ვარ (ინგლისის) მისიონერთა საზოგა-
დობისაგან შექმნილი ოქსფორდის უნივერსიტეტის (ქართული) პერგამენტული ხელნაწე-
რისა შესახებ ცნობების მონაწილისათვის. როცა საშუალება გექნებათ, უარს ნუ მეტყვით,
გამომიგზავნოთ დამახასიათებელ ადგილთა და მინაწერთა ფოტოანაბეჭდები. ვახტანგ
მეფის კანონები იბეჭდება⁵ თქვენი ხელნაწერი ძლიერ გამოგვაადგა. „საქართველოს სიძ-
ველენის“ მესამე ტომი უკვე კარგა ხანია გამოვიდა. მიიღეთ თუ არა იგი? მალე გამოვა
„ძველი საქართველოს“ II ტომი და, რასაკვირველია გამოგიგზავნით.

ჩვენმა საზოგადოებამ⁶ გადაწყვიტა, გამოგიგზავნოს თქვენ სხვა წიგნებიც (უმთავრე-
სად, ძველად ნაბეჭდი), რომლებიც ჩვენ ორ ცალზე მეტი აღმოგვაჩნდება. ამისთვის ჩვენ,
აუცილებელია, ვიცოდეთ, თქვენ რა გაქათ და რა — არა. ამიტომ გთხოვთ გამოგიგზავ-
ნოთ თქვენი ბიბლიოთეკის სიები და კატალოგები⁷ და (წიგნების) დაბეჭდვის ადგილიც
გვაცნობოთ.

1. იგულისხმება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შეხვედრა, რომელიც მაშინდელ სათავადაზნაურო გიმნაზიის, დღევანდელ თბილისის უნივერსიტეტის შენობაში იყო მოთავსებული.

2. იგულისხმება ივანე პოლტორაკის (1836-1892) მიერ რუსულ ენაზე გადათარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი.

3. ოქსფორდი, უორდროპის ფონდი — d 39/7 (1), დაწერილია რუსულად, წარმოადგენს პასუხს ო. უორდროპის მიერ 1911 წლის 3/16 თებერვალს ბათუმიდან, ხოლო 1911 წლის 24 მარტს ინგლისიდან — სევერთუქსიდან გამოგზავნილ წერილებზე. ოლივერ უორდროპის წერილები ეჭვითვე თაყაიშვილთან, ელ. კეღელიძის პუბლიკაცია, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, III, თბ., 1961, გვ. 207-208).

4. დღეს დაკუთვლია ოქსფორდში, უორდროპის ფონდში: Ms. Georg. b. 1; წარმოადგენს წმინდანთა ცხოვრების (მარტო-აგვისტო) კრებულს, გადაწერილს იერუსალიმის ქართველთა ყერის მონასტერში.

5. ვახტანგ VI-ის კანონები დასაბეჭდად მზადდებოდა 1908-13 წლებში, მაგრამ, არ გამოცემულა.

6. იგულისხმება ოლივერ უორდროპის მიერ 1911 წლის 5 იანვარს თბილისში ყოფნის შექმნილი დავით ბატონიშვილისეული ვახტანგ მეფის კანონთა ნუსხა, რომელიც 1911 წლის იანვარში, თბილისიდან გამგზავრების წინ, მან ე. თაყაიშვილს ათხოვა შესასწავლად და გამოცემის დროს გამოასყენებლად. ამჟამად ხელნაწერი დაკუთვლია ოქსფორდში, უორდროპის ფონდში: C 13.

7. იგულისხმება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო ე. თაყაიშვილი, ხოლო ოლივერ უორდროპის მის ნამდიელ წევრად არჩეულ იქნა 1910 წლის 1 დეკემბერს.

მაჯი-დე საღთანეს! ჩვენ გაზაფხულამდე გამოვართეთ, რაც კი (ქართული) ხელნაწერები შეკონდა, ახალი რაიმე საფურადღებო მას არ აქვს.

ჩვენი მუზეუმი ჯერჯერობით მოვანვეთ სათავადაზნაურო გიმნაზიში. დამატებით ბაზში და ძლიერ ბევრი ნივთი და ხელნაწერი შევიძინეთ წლეულს, ასე რომ, ჩვენი საქმე ცოტა-ცოტა იზრდება.

თქვენი ოჯახის წევრების და თქვენი ფოტოპორტრეტები გამოვფინეთ ჩვენს მუზეუმში. მომავლისთვის არ გსურდათ, რომ ისინი გვეკონდა უფრო დიდი ზომისანი, ხოლო ფოტოგრაფიულად მათი გადიდება თქვენთან უფრო უკეთ ხდება, ვიდრე ჩვენთან.

გთხოვთ არ გამოიბანადეთ, რომ დაგიგვიანეთ პასუხი თქვენს თავაზიან წერილზე.

ყველა ჩვენგანისგან მიიღეთ გულწრფელი საღამო.

მეგობრულად გართმევთ ხელს

ჯ. თაყაიშვილი.

9 დეკემბერი 1911 წ. თბილისი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ეს-ესაა მივიღე თქვენი წერილი, რისთვისაც მე ძლიერ მადლობელი ვარ, და ვისწარაფე დაუყოვნებლივ გიპასუხოთ.

„ვეფხისტყაოსნის“ ის ცნობილი ნუსხა სურათებითურთ, რომელიც ჩვენ გვეკონდა, მაგრამ შემდეგ წაიღო მფლობელმა ფრიდონ წერეთელმა, მე მოვახერხე უკანვე დამებრუნებინა საჩხერეში ჩემი მოგზაურობის შემდეგ, და ახლა სრულად ინახება წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში. მაგრამ მეორე წერეთელს შეკონდა სხვა ნუსხა, ისიც სურათებიანი, რომელიც ჩამოიტანა თბილისში და დაატარებდა მალაჩივსა და ლომბარდებში გასასყიდად. ჩვენ შეეთავაზეთ ორმოცდაათი მანეთი, მაგრამ არ მოგვიცა და, ალბათ, შეიძინა თქვენთვის ცნობილმა ვაჭრუკანამ მაჯი-დე საღთანემ და ახლა უნდა, რომ იმით ხელი მოითბოს.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელიც მე ვნახე, დაგლეჯილია; თუმცა, თავის ძირითად ნაწილში XVII საუკუნისაა, მაგრამ შემდეგში ფურცლები დამატებულია. სურათები ცუდია და ჩვენს ხელნაწერთან (\$ — 5006) შედარებით არაფერი არ ღირს, სურათების უმრავლესობაც დაგლეჯილია.¹ მე მომეჩვენა, რომ ეს სურათები ჩვენი ხელნაწერის მიხედვითაა შესრულებული უკვე XIX ს.-ში ძლიერ ცუდი მხატვრის მიერ, რომელმაც კარგი ნიმუშების ძიებისას, ვერ შეძლო მათი გამოყენება, ისინი თხელ ქაღალდზეა შესრულებული. სურათები იქ ექვსზე გაცილებით მეტია, მაგრამ თქვენ გამოგიგზავნათ, ალბათ, საუკეთესო ცალები. არ ღირს 150 ფრანკის მიცემაც კი. უკეთესია ამ ფულით ჩვენი ხელნაწერიდან ასლები გააკეთებინოთ.

ჩემო მეგობარო, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ შეთანხმებულად და მეგობრულად ქართული ხელნაწერების ყიდვისას და არ უნდა მივცეთ საშუალება ვაჭრუკანებს ხელი მოითბონ ჩვენს სიძველეთა ხარჯზე. აქ მაჯი-დე საღთანეს, რომელიც მათ ყიდულობს, შეუძლია წყალი მოგასაღოთ ათჯერ და ასჯერ უფრო ძვირად. უმჯობესია, რომ ჩვენ მათ ვყიდულობდეთ უფრო იაფად და გიფოფეთ თქვენ, გიგზავნიდეთ დუბლიკატებს, ვიდრე თქვენ ასე ძვირს იხდიდეთ მათში. სხვა მყიდველები მათ, როგორც ჩანს, არა უყავთ. ამიტომ, როდესაც თქვენ აქედან შემოგთავაზებენ რაიმეს, უკეთესია თქვენ უპასუხოთ, რომ

1 მაქდ ოს-საღთანე — ირანელი გენერალი და წარჩინებული პირი. 1903-04 წლებიდან ცხოვრობდა თბილისში (ვლ. ფუთურაძე, მაქდ ოს-საღთანე და მისი შრომები, 1959; ვლ. კელენჭერიძე, დას. ნაშ., გვ. 218).

2 ოქსფორდი, უორდროპია ფონდი: d 39/7 (2), დაწერილია რუსულად. წარმოადგენს პასუხს ო. უორდროპიის 1911 წლის 8 ოქტომბრის წერილზე: იხ. ვლ. კელენჭერიძე, დას. ნაშ., გვ. 208-210.

3 იტულისებება „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. წერეთლისეული ხელნაწერი, დღევანდელი S—5006, რომელიც დატულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

4 საბოლოოდ, „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ხელნაწერი ოლივეტ უორდროპიის ხელში მოხვდა და შესწირა მარტორი უორდროპისეულ ფონდს ოქსფორდში და იქ არის დატული.

ხელნაწერს იყიდით მხოლოდ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შეფასებით და გამოყვადებები ჩვენ გამოგვიგზავნეთ. ჩვენ ერთმანეთს კონკურენცია არ უნდა გავუწიოთ. გარნშუნებთ, („ვეფხისტყაოსნის“) ის ხელნაწერი რაიმეხარადა საინტერესო რომ ყოფილიყო ან ტექსტის ან სურათის მიხედვით, ჩვენ მას ხელიდან არ გავუშვებდით, ჩვენ მას 150 მანეთად გეთავაზობდნენ. ამ დღეებში ჩვენ შევიძინეთ ყველაზე ძველი თარიღიანი ნუსხა „ვეფხისტყაოსნისა“ და იცით რამდენად? — ოცდაათ მანეთად! ეს არის ე. წ. კორინთელის ნუსხა 1646 წლისა! XVII საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხები ჩვენ ბევრი გვაქვს, თქვენს შემდეგ ასეთი კიდევ ორი ნუსხა შევიძინეთ და ყველანი ერთნაირია ტექსტობრივად, ყველანი დამატებებიანია. დამატებანი არის კორინთელის ნუსხასია, მაგრამ გაცოლებით ნაკლები. როდესაც თქვენგან მივიღებ ანაბეჭდებს, მე უფრო ზუსტად განვსაზღვრავ, რომელი ხელნაწერიდან არის ისინი გაცემებული, თუმცა ახლაც მთლიანად ვარ დაინმუნებული, რომ საქმე ეხება იმ ხელნაწერს, რომელსაც ჩვენ გეთავაზობდნენ, და როდესაც იგი ლომბარდში იდო, მოგარდა მაჯი-დე სალთანე და განაცხადა, რომ ხელნაწერი მისთვის იყო დატოვებული.

ჩვენს მუზეუმს და ბიბლიოთეკას (საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა) ვერტიანეთ ნერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკასა და მუზეუმთან და საკუთარი შენობის ატეხამდე ვათავსებთ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც დავიჭერთ მთელ ზედა სართულს. თბილისში თქვენი ჩამოსვლისათვის, იმედი მაქვს მალე ჩამოხვალთ, ჩვენ გვექნება კარგი მუზეუმი და ბიბლიოთეკა. ახლა მე ვარჩევ წიგნებს, რომლებიც შემოგვწერია ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილმა).

ყველა ჩვენგანმა მოგკითხათ.

მეგობრულად გარამყვით ხელს

3. თაყაიშვილი.3

11 დეკემბერი 1911 წ., თბილისი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

დღეს მივიღე ანაბეჭდები და როგორც კი შევხედე გულისტივილით მივხედი, რომ ისინი გადაღებულია „ვეფხისტყაოსნის“ ფრიდონ წერეთლისეული ხელნაწერის სურათებიდან.3 ამ ხელნაწერის ისტორია თქვენთვის ცნობილია, თუ როგორ მოხვედა ჩვენთან, შეშვეტე კი გამოჩნდა მისი მფლობელი ფრიდონ წერეთელი, როგორ დავებრუნეთ იგი პატიოსანი სიტყვის მოცემით, რომ შემოსწირავდა მას (ნერა-კითხვის) საზოგადოებას. როდესაც გაზეთებში გაუცრელდა ხმები, რომ ვიღაც სომხები დიდძალ ფულს სთავაზობდნენ ამ ხელნაწერში, მე წავედი საჩხერეში და საჯაროდ (ფრიდონ წერეთელს) ჩამოვართე პატიოსანი სიტყვა, რომ ხელნაწერს უკან დაგვიბრუნებდა. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ მან ჩამოგვიტანა ხელნაწერი, მაგრამ ჩვენ სურათები არ გავგზავნივას, ისინი იქ 80-ზე მეტი იყო, და ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ იგი ასეთ ბარბაროსობას ჩაიდენდა. ახლა ნათელია, რომ მან (ფრიდონ წერეთელმა) ეს 10 სურათი ამოხია და გაყიდა. ამგვარად, ფულაც იშოვა და ჩვენც მოგვიმადლიერა (ჩვენ მას მიენერეთ მადლობა წერილითაც და გაზეთითაც). როცა ამ სტრიქონებს გნურთ, მე უფრო ხელნაწერი არ გამისწინჯავს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ სურათები იმ ხელნაწერიდან არის ამოღებული.

კალაპაიანის4 წერილი — თავიდან ბოლომდე სიცრუვა — ის ასე ბევრს რა გადაიხდიდა მათში. შემდეგ, პირველ წერილში იგი გნურდათ, რომ მაჯი-დე სალთანეს დავალებით იწერებოდა, ახლა კი წერს, რომ მინიატურები მან თვითონ იყიდა ფრიდონ წერეთლისაგან.5 აქ რაღაც ცუდი სუნი სცემს და იგი იბნევა. ყოველ შემთხვევაში. ჩემთვის

1 იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, გადაწერილი მამუკა თავაქალაშვილის მიერ 1646 წელს, დღევანდელი H — 599 (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში).

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 39/7 (3.), დაწერილი რუსულად.

3 იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ დღევანდელი — S — 5006 ხელნაწერი.

4 კ. კალაპაიანი — თბილისელი სომეხი ანტიკვარი.

5 კ. კალაპაიანის 1912 წლის 29 თებერვლის წერილი ფრანგულ ენაზე დღეს ოქსფორდში ინახება (d 38/11-3), ხოლო ორი დანარჩენი, რომელთა შესახებ აქ არის საუბარი იმ. ოლივერ უორდროპის 1911 წლის 13 დეკემბრის წერილში ვ. თაყაიშვილისადმი: შტრ. ულ. კელენცერი დი, დან. ნაშრ., გვ. 211.

ძლიერ სანუნია, რომ ეს სურათები ხელიდან წაგვივიდა. ძლიერ კარგი იქნებოდა, თუ თქვენ მათ შეიძენდით, ჩვენ კი შემდეგ ერთმანეთში გავცვლიდით ან ანგარიშში გავსწორდებოდით, კალპაკიანი მათ გაცილებით უფრო იაფად გაყიდის და თუ თქვენ გაცემთ შესაძლებლობა, არ გაუშვით ხელიდან, უკეთესია, რომ ისინი თქვენ გქონდეთ, ვიდრე ვინმე უცხო ხელში მოხვედეს. სხვები არ მისცემენ დიდ ფასს, რადგან არ იციან ამ სურათების წარმოშავლობა.

„ფსაკუნჯს“ მალე გამოგვიზავნით.

დიდად და დიდად მაძლობელი ვარ ანაბექძეების გამოგზავნისათვის, ახლა, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ გვეცოდინება, რომელი სურათებია ამოხეული ხელნაწერიდან და სურათების გამოცემისას (ოდესაში ხომ ისინი უნდა გამოიცეს) იმით ვისარგებლებთ. ნეგატივები თქვენ შეინახეთ.¹

მეგობრულად გართმევთ ხელს

ბ. თაყაიშვილი.²

10 აპრილი 1912 წ., თბილისი.

ძვირფასო მეგობარო!

ეს-ესაა მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც ძლიერ გამახარა. რუსთაველის თარგმანიც მივიღე. კარგი გამოცემაა; სამწუხაროდ, მე ინგლისური ენა არ ვიცი და განსჯაც არ შემიძლია, ვუჩვენე ერთ თქვენი ენის მცოდნეს და იგი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. უჭველია, ეს თარგმანი დიდ სამსახურს გაუნეწეს ევროპისათვის რუსთაველის პოემის გაცნობის საქმეს. ამასთან, მეტად მოსაწონია, რომ თქვენ ამირებთ შემდგომი გამოცემა შესწორებული სახით დაბეჭდოთ. ამ მხრივ, ყველაზე მეტი დახმარება ნ. მარს შეუძლია გაგინიოთ. იმ დროისათვის მე დაუბეჭდავ პოლტარაკის თარგმანსაც, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დის მიერ შესრულებული თარგმანი უკეთესია პოლტარაკის თარგმანზე.

კალპაკიანი ჩამოვიდა პარიზიდან თბილისში და ჩამოიტანა („ვეფხისტყაოსნის“ ფრიდონ წერეთლისეული ნუსხიდან ამოხეული) მინიატურები, ჩემთან მოვიდა შუამავალი და განმიცხადა, რომ ჩვენ შეგვეძინა სურათები, თან კალპაკიანის სიტყვების დამონშებით დამიწყო მტკიცება, რომ ამ 10 მინიატურაში თქვენ თითქოს სთავაზობდით ათას თუ ათას ხუთას მანეთს, კარგად არ მახსოვს. მე ვუპასუხე, რომ კალპაკიანი ცრუობს, ჩვენთვის ცნობილია, რომ ოლივერ უორდროპი სთავაზობდა მხოლოდ 150 ფრანკს და იმასაც იმისთვის, რომ ჩვენთვის გამოგზავნა-თქო. აი, ყველაფერი, რაც მე ვუთხარი თქვენს შესახებ. შემდეგ შუამავლის პირით დავემუქრე კალპაკიანს, რომ მას სამართალში მივეცემდი, (ფრიდონ) წერეთელს არ პქონდა უფლება მისთვის მიეყიდნა სურათები, ხელნაწერი წიგნი მას მხოლოდ ნათხოვარი პქონდა დედამისისთვის საჩვენებლად. ბევრი ლაპარაკი შემდეგ კალპაკიანისაგან ყველა ათივე მინიატურა 250 მანეთად შევიძინეთ. კალპაკიანი ირწმუნებოდა, რომ წერეთელს 500 მანეთი გადაუხადა. ჩვენ თქვენი დიდად და დიდად მაძლობელი ვართ, რომ დაგაკეკალიანეთ ამ მინიატურების მოსაძებნად. ახლა ჩვენ („ვეფხისტყაოსნის“) ეს ხელნაწერი წიგნი მთლიანად გვაქვს.

ვახტანგის კანონებს ჩვენ ვცემთ ყველა ხელნაწერი ნუსხის გათვალისწინებით და რედაქტორობა მინდობილი აქვს ს. გორგაძეს. თქვენი შრომისთვის უმჯობესი იქნება დიდი დოთ ქართული ტექსტის გამოცემას. მაშინ თქვენ ალარ დაგჭირდებათ ხელნაწერ ტექსტ-

1 ე. თაყაიშვილის ამ წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ S — 5006 ხელნაწერიდან ამოტარული 10 მინიატურის შესახებ, რომლებიც საბოლოოდ, ოლივერ უორდროპის ხელშეწყობით დაუბრუნდა საქართველოს და დღეს მის კუთვნილ ხელნაწერშია ჩაყრებული. დაწერილობით ამ ხელნაწერის ისტორიის შესახებ იხ. ე. თაყაიშვილი, მოგონებები, მის წიგნში: „რჩეული ნაშრომები“, I, თბ., 1968, გვ. 315-318; გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული (S — 5006) ხელნაწერის ზოგიერთი საკითხისათვის, მის წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 41-86.

2 ოქტობრი, უორდროპოთა ფონდი: d 39/7 (4), დაწერილია რუსულად.

ზე წვალება.¹ თქვენს ხელნაწერს აუცილებლად გამოგიგზავნით, როდესაც მისი საჭიროება აღარ იქნება; ისე კი მთლიანად და კარგად არის დაკული.

ამას წინათ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის სხდომაზე გადაწყვიტეთ „საქობის“ გამოსვლის „ქართული ტექსტის გამოცემა, რომელიც თქვენ ასე განიტერესებთ, და გამოცემა მივანდეთ კეკელიძეს; ასე რომ, ტექსტი გამოიცემა.² მისი „იერუსალიმის კანონარიც“ კარგია, მაგრამ იგივე ნაკლი აქვს, რაც მის პირველ შრომას — არ ახლავს ქართული ტექსტი. სვანურ ხელნაწერებზე ცნობა მას მე მივანოღებ, თუმცა ამის შესახებ არაფერს ამბობს. იგი ჩვენთან ყველაზე საუკეთესო ლიტურგისტი და იცის თავისი საქმე.

„ვისრამიანის“ თარგმანს (ინგლისურად), მე მთლიანად გინონებთ.³

ჩვენ გადავწყვიტეთ გამოცემთ „შა-ნამე“ ქართულ ენაზე — „ზაქიანი“. „საამიანი“, „როსტომიანი“ უკვე იხეჭვება, მასზე მუშაობს იუსტ. აბულაძე.

ძლიერ კარგი ვააყვით, რომ დაუბრუნეთ ხელნაწერი მ. ა. ს. უ რ ა ძ ე ს, ⁴ მან ის ჩვენ მოგიტანა და 15 მანეთად შევაფასეთ. ეს ვაქრუკანები ფიქრობენ, რომ თქვენ მილიონერი ხართ და ყოველგვარ უმნიშვნელო რამეში ასობით გადაუხდით. ხატი, რომელზედაც ის გწერთ, სულ არაა ძველი და დაბალი ლირსებისაა.

მალე მიიღებთ ჩემი „აღწერილობის“ II ტომის IV ნაკვეთს. მაცნობეთ, I და II ტომების რომელი ნაკვეთები გაკლიათ, მე მგონია, რომ ყველა ნაკვეთი თქვენთვის არ მომიცია. I და II ტომები ოთხ-ოთხი ნაკვეთია. განზრახული მაქვს, საძიებლები მაშინ შევადგინო, როცა აღწერილობას მოერჩები, ეს კი მალე არ იქნება. უკანასკნელ II ტომის IV ნაკვეთში მთლიანადაა დაბეჭდილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტი შატბერდული და ქელიშური ორი ვარიანტის მიხედვით, ისე როგორც ხელნაწერებშია. ცალკე სრულ ტომებს ჩემი „აღწერილობისაჲ“ მე თქვენ გამოგიგზავნით, როცა გამოვა II ტომის უკანასკნელი ნაკვეთი, ე. ი. მალე.

ზაფხულისთვის, ალბათ, გამოცემთ „ძველი საქართველოს“ II ტომს. ჩვენი ბიბლიოთეკისთვის გთხოვთ გამოგიგზავნათ „ვეფხისტყაოსნის“ თქვენი გამოცემის (მარჯორისეული ინგლისური თარგმანი, ლონდონი, 1912) ორი ეგზემპლარი.

ჩვენ ახლა ძირითადად დაკავებული ვართ (საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების) მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ორგანიზაციით და მუზეუმს შიაკვს მთელი ჩვენი ენერჯია და დრო.

არ აპირებთ ჩვენთან ჩამოსვლას და როდის?

მეგობრულად გართმევთ ხელს

ა. თაყაიშვილი

26 დეკემბერს 1910 წ. ძ. ტფილისი.

მონყალეო ხელმწიფევე (ბ-ნო ოლივერ უორდროპი)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1910 წლის 1 დეკემბრის კრებამ თქვენ აგორჩიათ საზოგადოების ნაშედილ წევრად.

1 ვახტანგის კრებულის მიხედვით ოლივერ უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი ვიორჯი ბრწყინვალის „ძველის დადება“ 1914 წელს გამოიცა ლონდონში.

2 „წმ. იაკობის ეპისტოლიის“ ტექსტი რუსულად კეკელიძეს 1908 წელს ჰქონდა გამოცემული, ხოლო ქართულად — 1912 წელს გამოსცა. ამ ძველის ფ. კონიბირისა და ო. უორდროპის ინგლისური თარგმანი კი 1915 წელს გამოქვეყნდა პარიზში.

3 „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა ლონდონში 1914 წელს.

4 იველისხმება „მანუჩარიანის“ ხელნაწერი, რომელიც თბილისელ ანტიკვარს გ. მ. ა. ს. უ რ ა ძ ე ს შეუთავაზებია ოლივერ უორდროპისათვის. (შდრ. ო. უორდროპის 1912 წლის 10 აპრილის წერილს ე. თაყაიშვილისადმი. იხ. ვლ. კ ე ლ ე წ ე რ ა ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 214).

5 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი: ძ 39/7 (5). დაწერილია რუსულად.

გაუნყებთ რა ამის, გაახლებთ საზოგადოების ნებსდებს და ვთხოვთ: ნერიო, მასალის მონოდებით, თუ ნივთიერის შემწეობით აღნიშნულ საზოგადოებას დახმარება! გულწრფელად.

საზოგადოების თავმჯდომარე: **მ. თაყაიშვილი.**
მდივანი **ს. ქაპაბაძე.**

ნიკო მარის წერილები

6. III. 1911. ს.-პეტერბურში.

ძვირფასო ბატონო უორდრობ!

ეს-ესაა მივიღე თქვენი მეორე წერილი (პირველი ტფილისიდან). ვჭეარბ გიპასუხობ. ჩემი წიგნები ბოდლის ბიბლიოთეკისათვის გაგვზავნე ოქსფორდში თქვენს სახელზე. მე შევკრიბე ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა არ აღმომაჩნდა, განსაკუთრებით, ცალკე ამონაბეჭდები.

პეტრა მეც მაინტერესებდა, მაგრამ ლაზისტანში ჩემი პირველი მოგზაურობისას იქ ვერ მოვხვდი, სადაც არის გარკვეული საფუძველი მისი ადგილსამყოფელი ვიფარადოთ. თუმცაღა, სხვათა შორის, ამ ძველი ქალაქის შესახებ ახლაც ისევე ცოტაა გამოკვეთილი, როგორც დიუბუსა დროს, რომელმაც ამის თაობაზე საკმაოდ ბევრი იფანტაზია.

ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენ ასე ენერგიულად მოჰკიდეთ ხელი ოქსფორდში ქართული კათედრის მოწყობას. მე ვფიქრობ, იმისათვის, რომ თქვენი თანამემამულენი (აგრეთვე ზოგიერთი სხვა ევროპელიც) დაეინტერესათ ქართული ენით, საჭიროა გულ-დასმით გაიკვეთოს ის უზარმაზარი სარგებლობა, რის მოტანაც შეუძლია ქართველთმცოდნეობას 1) ენათმეცნიერებისათვის, 2) ბიბლიური ტექსტებისათვის, 3) ქრისტიანული ლიტერატურისათვის. მე არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული, დააფასებს კი სათანადოდ ევროპელი ძველი ქართული საერო მწერლობის მთელ მომხიბვლელობას, თუნდაც შოთა რუსთაველისას?

ჩემი იაფტური თეორია — აი, საფუძველი, რომელზედაც შეიძლება და უნდა ამოიზარდოს ჯანსაღი, წმინდა მეცნიერული ინტერესი ქართველთმცოდნეობისადმი. მართალია, ეს პირველ რიგში ეხება ლინგვისტიკას, მაგრამ მას უკავშირდება ყველა კულტურულ-ისტორიული საკითხი, რომელსაც მოუყავს ყველას გონება, ან უფრო ზუსტად, ყველა წინა აზრის სპეციალისტთა გონება, იქნება ეს საკითხები რელიგიისა, ეთნოგრაფიისა თუ ლურსმული წარწერებისა.

ჩემმა თეორიამ მომცა შესაძლებლობა გამეცეთებინა რეალური გრამატიკული ანალიზი როგორც სომხური; ასევე ეგრეთწოდებული მიდიური ლურსმული წარწერებისა. მაგრამ ჯერჯერობით მე დაკავებული ვარ ცალკე ნაკვეთების გამოცემით ჩემი იაფტური სერიისა, და იაფტური ენების შედარებითი გრამატიკის დაბეჭდვის შემდეგ, გამოვაქვეყნებ იმ ნაშრომებსაც. თუმცა, შესაძლოა არც ეუფარაჯო და რალაც-რალაცები ადრეც დაგვბეჭდო. მე გამოცემული ვარ, როგორ უჩუმდებიან ჩემს თეორიას ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ისევე როგორც არანაკლებ უცნაურია მისი კრტიკა „ფუნანალ აზიატიკის“ ფურცლებზე, რომელიც დამყარებულია საშინელ უფიცობასა და ჩემს შეხედულებათა დამახინჯებაზე. რა გაეწყობა. უნდა მოვითმინო, მაგრამ როდემდის!

გულწრფელი პატივისცემით

6. მარი.

29. III. 1911, ს.-პეტერბურში.

ძვირფასო ბატონო უორდრობ!

როცა ამ წერილს მიიღებთ, მე უკვე პარიზში, ან პარიზში მიმავალ გზაზე ვიქნები. სასიამოვნო იქნება იქ მივიღო თქვენგან წერილი. მივიღე თქვენი წერილი გვამებითურთ

1. ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი: C — 27; აქვე დაცული ე. თაყაიშვილისა და ს. გორგაძის 1916 წლის 4 ოქტომბრის წერილიდან ირკვევა, რომ ოლივერ უორდრობს ამ საზოგადოებისათვის 1919 წელს 100 მანეთი შეუწირავს W — 13. 79.

2. ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 39/6 (1), რუსულ ენაზე.

და ყველას სიამოვნებით ვინონებ, მაგრამ ახლა თქვენი დეაღლებათა შესრულება არ ძალ-
მის, ბევრი დრო ნამართვა გამოგზავრებამ, ერთი წუთით მოცლა არ მქონდა. მსურდნა
პირადად მენახეთ, რათა გვემსჯელა ქართველთმცოდნეობის ბედზე. ეს ევროპაში ჩემი
ოთხკვირიანი მოგზაურობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს. თქვენთვის ძნელია, რა
თქმა უნდა, პარიზში ჩამოსვლა. მე ვოცნებობდი ოქსფორდში ყოფნაზე, მაგრამ საეჭვოა
რომ ეს ამიხდეს.

თქვენი ერთგული

5. მარი.1

26. IV. 1911, პარიზი, ბონაპარტის ქუჩა, სასტუმრო „ლონდონი“.

დიდად პატივცემულ ბატონო უორდროპ!

არ ვიცი, მოაღწია თუ არა თქვენამდე ჩემმა წერილმა პეტერბურგიდან. ახლა უკვე
ფიქრიც კი არ შეიძლება ოქსფორდში ჩემს ჩამოსვლაზე (დრო ცოტა მაქვს, ნახვა კი ბევ-
რისა მსურს მუზეუმებში, ვფიქრობ, ქართული დამუშავარება უტრუსკულშიც იაფეტური
ენების ჩემიველ განხილვისას). ვერც ლონდონში ჩავალ.

და აი, ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, არ შეიძლება, ვინმე თქვენი ნაცნობის საშუალებით
შეუკვეთოთ ჩემთვის ჩემს ანგარიშზე ფოტოგრაფიული სურათი ანისის შანდლის სომხურ-
ნარნერიანი ნაწილისა (ინახება ბრიტანეთის მუზეუმში, მასზე ლაპარაკობს Migeon, Manuel
de l'Art musicale, p. 206.

მე აქ დავერჩები 25 მაისამდე.

გულწრფელად თქვენი ერთგული

6. მარი.2

17. VII. 1911, ანისი.

დიდად პატივცემულ ბატონო უორდროპ!

ჩვენი მიმონერა რაღაც ვერ აეწყო, — ხან ფრანგული ფოსტის ბრალით (ამაში ეჭვიც
კი არ არის), და ხან კადვე — ჩემი ჩამონერის გამო.

მე თქვენი დაგვიანებული წერილები მივიღე აქ, ანისში (გადმომიგზავნეს პეტერბურ-
გიდან), ხოლო საშუალებმა აქ ისე გამიტაცეს, რომ წუთითაც კი მოცლა არა მაქვს, ვერ-
სად ვერ ჩამოისვენებ, წერითაც კი ძლივს ვწერ: გათხრებზე ჩამოვლისას გუნდიდან ჩამოვ-
ვარდი, მარჯვენა ხელი ცოტათი დავიზიანე და გწერო შეხვეული თითებით.

თუმცა ვერ ვისარგებლე, მაგრამ მაინც შინდა სულის სიღრმეიდან მადლობა გიძღვნათ
მონვევისათვის — მე სიამოვნებით ვისარგებლებდი თქვენი მიპატივებით. მსურდა დამევა-
ლებინა ჩემი შვილისთვის პირადად გადმოეცა თქვენთვის ჩემი თაყვანისცემა, მაგრამ მისი
გზა ოქსფორდზე არ გადიოდა. ის არდადეგებზე ბიძასთან, პროფ. ბარტოლდთან ერთად
გაემგზავრა ამერიკაში ირლანდიის გავლით, შემთხვევით მოხვდა ლონდონში და ძლიერ
კმაყოფილია ინგლისით, ე. ი. თქვენს დედაქალაქში გატარებული დღით.

მე ხალისით ვნახავდი თქვენს ქართულ ხელნაწერთა კოლექციას, საინტერესოა წარ-
წერა ბაჩკოვოდან — მსურდა მასზე შემეხებენდა, განსაკუთრებით, თუ მიიღებთ მის ფო-
ტოგრაფიას.

თუ გვიანი არ იქნება, მე ყოველწინაირად მზადა ვარ დაგეხმაროთ შოთას თარგმანის
თქვენი გამოცემის გადახედვაში, მაგრამ პეტერბურგში მე დაგბრუნდები მხოლოდ სექტემ-
ბრის დასაწყისში (ჩვენი სტილით). აქედან მე მივდივარ სვანეთში — შინდა პირადად შევა-
მონშო სვანური ენის გრამატიკა.

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 39/6 (2), რუსულ ენაზე.

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 39/ (3), რუსულ ენაზე.

3 ი თ რ ა მ ა რ ი — ცნობილი მეცნიერ-ირანისტი.

4 ვ. ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი — დიდი რუსი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი, რომელიც ნიკო

უფიქრობ, თქვენ უკვე მიიღებდით ჩემს შრომას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ (სტამბიდან გადმოვაგზავნივ). ნუ დაიხარებთ, მომწერეთ, როცა მიიღებთ, რაფა მუ ვიცოდეთ, მართლა გადმოგზავნეს თუ შეცდომაში შემიყვანეს.

თქვენი ერთგული

6. მარი.

P. S. აქ მე დაურჩებთ 12-15 აგვისტომდე ჩემი აქაური მისამართია ანისი, ერევნის გუბერნია.

სომხური შანდლის წარწერის ასლის გამოგზავნისათვის დიდად მადლობელი ვარ.¹

18. I. 1912, ს.-პეტერბურში,
ვასილის კუნძული, მ-4 ხაზი, სახლი № 7, ბინა 14.

ღრმად პატივცემულ ბატონო უორდროპ!

მე თქვენ წინაშე დიდად დამნაშავე ვარ. მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემი გადაუდებელი სამუშაოები მხდინ მოუნესრიგებელს კორესპონდენციებშიც და ურთიერთობებშიაც — არა მხოლოდ ყველასთან დამოკიდებულებაში, არამედ იმათთანაც კი, რომლებთანაც მე მსურდა განსაკუთრებული აკურატულობა გამომეჩინა.

გარემოებანიც ძლიერ არახელსაყრელად აენჭო: სექტემბრის ნაცვლად პეტერბურგს ოქტომბერში დაებრუნდები (დავჯავი რა სენათში თვეზე მეტი), შემდეგ ნაენჭო ლექციები, სასწრაფო კორექტურები, მოხსენებები მივლინებათა შესახებ, სიტყვა აკადემიაში საზოგადოებრივ სხდომისათვის, ამასთან კიდევ ჩემთვის არასამომავლო ადმინისტრაციული საქმეები — მე ამირჩიეს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანად (პეტერბურგის უნივერსიტეტში) და სულ ჩამოვრჩი კორესპონდენციებს, თვით ჩემთვის ისეთ მიმზიდველ სამუშაოშიც — „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის გადათვალისწინებაშიც კი ვერაფრის გაკეთება ვერ მოვახერხე, მხოლოდ შემოძლია დავადასტურო, რომ საერთოდ, სიზუსტის მხრივ, ეს ყველაზე საუკეთესო თარგმანია, ხოლო წვრილმანები შეიძლება დროთა განმავლობაშიც გაუმჯობესდეს.

მე ისიც არ ვიცი, ბოლოსდაბოლოს, მიიღეთ თუ არა „გრიგოლ ხანძთელი“. თუ არა, მაშინ მომწერეთ, და მე დაუყოვნებლივ გამოგზავნივ. მალე მოგაწვდით სხვა წერილ ნარკვევებსაც.

სხვათა შორის, აკადემიაში წარმოთქმული სიტყვა უნდა გამოვეცხადე რადგან ვეროპაში უგულბელმყოფენ მეც და ჩემს თეორიასაც (თუ გამოვრიცხავთ უვიც გამოხდომებს — სხვანაირად არ შეიძლება მისი კვლითვაცია, რაც არ უნდა უხეშად მოგტყვენოთ იგი — „ფურნალ აზიატიკის“ ფურცლებზე და სხვა პატივცემულ ფრანგულ გამოცემებში), ხოლო რუსეთში პოლიტიკის გარდა, სხვა არაფერი არ აინტერესებთ, განსაკუთრებით, პუშკინიტარულ დარგში; არც ჩვენს ახალ მეგობრებს — თქვენს თანამემამულეებს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც დიდად არ ანუხებთ ჩვენი სულიერი ინტერესები...

გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი

6. მარი.³

6. XI. 1922 ლანიფიში.

ძვირფასო ბატონო ოლივერ უორდროპ!

აქ სამ კვირას დავყოფ, შემდეგ კი, საფრანგეთსა და ესპანეთში გავემგზავრები, საცა, ბასკური ენის შესწავლას ვაპირებ. არ ვიცი, კვლავ სტრასბურგში იმყოფებით თუ არა.

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 39/6 (4), რუსულ ენაზე.

2 იგულისხმება 1911 წლის 29 დეკემბერს წარმოთქმული სიტყვა: «Кавказ и памятники его духовной культуры», რომელიც 6. მარში მალე მართლაც გამოაქვეყნა (ИАН, 1912, стр. 69—82).

3 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 39/6 (5), რუსულ ენაზე.

თქვენთვის, პროფესორ სეისსათვის (ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკა) და ბრიტანეთის მუზეუმისათვის ბრიტანეთის საელჩოს, ბერლინში, ორი გამოცემა გადაეცა: 1) „სარდორის დიდი ხალდური ნარნერა“ და 2) მცირე მოცულობის ნიგნი — „La Seine, la Saône, la Rhodan“ ტანეთის მუზეუმსა და პროფესორ სეისს, სარდორის ნარნერას რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოება უძღვნის.

ჩემი შვილი, იური, ნარმატებით სწავლობს პეტროგრადში სპარსულს და მისთვის „ჯაბ-ნამეა“ ინგლისური გამოცემა — პროფესორ ბრანუნსადმი მიძღვნილი სტატიების კრებული მჭირდება. ძალიან გთხოვთ, როგორმე დამეხმაროთ ამ ნიგნის შექმნაში და ეგებ, ბარემ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასაც გადაუგზავნოთ იური მარის სახელზე (იური სააზოო მუზეუმის თანამშრომელია). გთხოვთ, ხარჯების შესახებ შეცნობოთ.

ჩემი მეუღლე ჩემთან ერთად მოგზაურობს და მოკითხვას გითვლით.
მარად თქვენი
G. მარი.

22. XI. 1922 ლანიფიზი.

ძვირფასო ბატონო უორდროპ!

განცვიფრებული ვარ ვერ ვმალავ უხერხულობას და უჭქარობ გაცნობით, რომ ჩემმა განზრახვამ ახალი ნიგნების — „სარდორის დიდი ხალდური ნარნერა“ და „La Seine, la Saône et dutée et les premiers habitants“ — გამომგზავნის შესახებ, ბერლინში მყოფი ინგლისის ოფიციალური ნარმომადგენლობის მუშევრებით, მარცხი განიცადა. ვფიქრობდი კი, რომ ეს ყველაზე მეტად სანდო გზა იყო თანამდებობის პირთან, ცნობილ მეცნიერსა თუ დანესებულებასთან დასაკავშირებლად. ეს საქმე, ამგვამდ ბერლინში მყოფ ჩემს ქართველ მონაფეს, [ს.] ყაუხჩიშვილს მივანდე. დავავლე მას, ჩემი სახელით მისუ-ლიყო ინგლისის საელჩოში და ნიგნების გამომგზავნა ეთხოვა. ბატონმა ყაუხჩიშვილმა აუხსნა მათ, რომ ნიგნები საგანგებო დანიშნულებისაა და რომ ისინი ბრიტანეთის მუზე-უმსა და პროფესორ სეისს (ოქსფორდი) რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოებისაგან ეძ-ღვნებოთ; ხოლო თქვენ, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამსახურში მყოფ პირს ნიგნს თავად აუტორი გიგზავნიოთ. თავდაპირველად, საელჩოში კეთილმოსურნე თანამომბა განაცხადეს, თუმცა, ბატონ ყაუხჩიშვილს ნიგნები უკან გაატანეს: სათანადოდ შეკაროთ, გასაგზავნად გააშნადეთ და ისე მოიტანეთო. ჩემი მონაფე ასეც მოიქცა, მაგრამ როდესაც გამზადებული ამანათით ხელმეორედ მივიდა, ინგლისის საელჩოს ბატონმა მდივანმა მო-ახსენა, რომ მათ არა აქვთ კონტაქტი სტრასბურგთან; რომ კერძო პირებთან (როგორც გახლავთ პროფესორი სეისი!) ურთიერთობა საელჩოს არ ეხება და რომ ისეთ ოფიცია-ლურ დანესებულებასაც კი, როგორც არის ბრიტანეთის მუზეუმში, ვერაფერს გადაუგზა-ვნიან, თუ საელჩოს არ ექნება ნინასნარი ნერილობითი მითხოვნა ამ უკანასკნელისაგან. გამონაკლისს კი, თუნდაც ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ნიგნი იგზავნება სამეცნიერო საზოგადოების მიერ საჩუქრად, ვერ დაუშვებენ. უნაყოფო გამოდგა ჩემი ყოველი ცდა, ზღვითა თუ ხმელეთით, როგორმე გამომგზავნა ეს გამოცემები, რომლე-ბიც, როგორც ბატონი კოლი მწერდა დიდი ხნის წინ, ესოდენ საჭირო და სასურველია ინ-გლისელი სწავლულებისათვის. ძალიან გთხოვთ შემატყობინოთ, ხომ ვერ იღონებთ რაი-მეს თავად, ან რას მიჩრევთ, რა ხერხს მიემართო? ნიგნები ჟერჯერობით ბატონ ყაუხჩი-შვილთან ინახება (ნახუდშტრასსე 15). მე 28 ნოემბრამდე აქ ვიქნები, შემდეგ კი, პარიზში (სასტუმრო „ლონდონში“, ბონაპარტის ქუჩა).

დიდად მაფლობელი ვარ, რომ შეეცდებით ჩემი ვაჟისათვის ნიგნის შოვნას. თქვენ მუ-დამ ასეთი კეთილი და დაუზარელი ბრძანებებით სიამოვნებით ვისარგებლებდი თქვენი წი-ნადადებით და სტრასბურგში გენველით, მაგრამ სამწუხაროდ, დრო ჩემი სამეცნიერო მისიის შესასრულებლადაც კი არ მყოფნის... ცოტა ხნით მაინც, ან სიცოცხლაში ან ინგლის-

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C 27 (117), ინგლისურ ენაზე. თარგმანი ფიქრია ლეგანძისა.

ში მინდა გავმგზავრო. ორივეგან ნასვლას დროის უკმარისობის გამო ვერ შევძლებ. ინგლისს თუ ვენეცი, თქვენი შემწეობის იმედი მაქვს.

ჩემი მეუღლე გულითადად მოგაკითხავთ.

გულწრფელად თქვენი,
ნ. მარი.

17. XII. 1922. პარიზი VI, პონაპარტის ქუჩა 3, სასტუმრო „ლონდონი“

ძვირფასო ბატონო უორდრობო,

როგორც მიჩნით, ისე მოვიტყვი: მივწერე ბერლინში ყუხნიშვილს და დავავალე, რომ ან ისე გამომიგზავნოთ „სარდორის ნარნრა“ და „La Science...“ როგორც ბატონი ე. კ. ჩარლტონი უტყვის, ან პირდაპირ მე გადმომიგზავნოს აქ. ჯერჯერობით პასუხი არ მიმიღია. გუშინ პროფესორ ბრაუნს წერილი მივწერე, — დახმარებას ვთხოვ ამ საქმეში. პროფესორ სეისის მისამართი ხომ არ იცით? მაგლობელი ვიქნები, თუ შემატყობინებთ.

დიდად მაგლობელი ვარ, „აჯაბ-ნამე“ შეძენა შესაძლებელია, რომ მატყობინებთ. მზად ვარ მყისვე გამოვგზავნო ფული, მაგრამ არ ვიცი ეს 250 ფრანკი თქვენ მოგანდგინოთ, თუ ვინმე სხვას. ნიგნით მოვაჭრეს, თუ სურს, მე გადმომიგზავნოს „აჯაბ-ნამე“, აქ, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ პირდაპირ ბერლინში გაუგზავნის ა. ი. მაგეროვსკის (ლაიტცენბურგერშტრასე 11), მინანეთით: „აკადემიკოს“, ან „პროფესორ ნ. მარისათვის“. მაგეროვსკი გაფრთხილებულია და ნიგნს დაუყოვნებლივ გადაგზავნის ჩემს ვაჟს. ისე კი, თუ თქვენი ნიგნით მოვაჭრე თანახმა იქნება ბერლინში გადაგზავნაზე, სხვა ნიგნებსაც შევუკვეთდი (იქნებ სთხოვოთ, რომ შემდეგი კატალოგები გამომიგზავნოს: ალმოსაველუთი, წინა ისტორია, ეთნოლოგია, ენათმეცნიერება, კერძოდ — ეტრუსკული, ბასკური, კელტური, პიტური და სხვა). პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, „აჯაბ-ნამე“ გამოგზავნოს.

ესპანეთიდან დაბრუნებისას, მზად ვარ ერთ-ორი დღე სტრასბურგში დაეყო, თუმცაღა, ყოველგვარი იმედი მაქვს დაკარგულ; ჩემი იაფეტური გამოკვლევებით რომ ვინმე დაინტერესდება დასაელეთ ევროპაში. სრულიად მარტო ვარ და ძალიან გავწვადი. ჩემმა მეცნიერებამ ჯერას მაცეა. ასე მგონია, რომ მისი გამარჯვებისა და აღზევებისათვის ჩემი გაქრობა, ჩემი სიკვდილია საჭირო. ¹

ბატონ კოლის წერილი მივწერე, პასუხი დღემდე არ მიმიღია. მე 15 იანვრამდე აქ ვიქნები. თუ ესპანეთის ვიზას შეაგვიანდება, ალბათ, მეტ ხანსაც დავრჩები. ჩემი მეუღლე მაგლობას გიხდით ხსოვნისათვის და თავის მხრივ გულთბილ სალამს გითვლით.

მზად თქვენი,
ნ. მარი.

მოსა ჯანაშვილის წერილები

11 მაისი 1911 წ., ტფილისი, მინჰეიცივის ქ. № 33.

დიდად პატივცემულო ბატონო ოლივერი!

ულრმესად მაგლობელი ვარ თქვენი ყურადღებისა და თქვენს მიერ მოძღვნილი საქუქრისთვის ხეთებისა და მათი ენის შესახებ კონფერის შრომის გამოგზავნისთვის.

ამასთან გაახლებთ ჩვენს ახალ გამოცემას — „ქადაგებანი იოანე ბონენელ ეპისკოპოსისა“ (ტფ., 1911, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობით), აგრეთვე გაზეთ „ზაკავასკაია რეჩ“-ის ნომრებს. რომელშიაც დაბეჭდილია ჩემი შენიშვნები ისტორიულ-არქეოლოგიური ხანაიის სხვადასხვა საკითხებზე. შესაძლოა, ისინი თქვენ რაიმეში გამოგადგეთ.

1 ოქსფორდი, უორდრობოთა ფონდი — C 27 (118), ინგლისურ ენაზე, თარგმანი ფიქრი ალექსანდრისა.

2 ოქსფორდი, უორდრობოთა ფონდი — C 27 (120), ინგლისურ ენაზე, თარგმანი ფიქრი ალექსანდრისა.

ძლიერ დამავალბო, თუ გამომიგზავნით წიგნს ძველი სუზის მოსახლეობისა და ელა-
მიტების ენის შესახებ. ასეთი სახელმძღვანელო მე ძალიან მჭირდება.

ვისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

დავრჩები გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი

მოსა ჯანაშვილი.1

11 დეკემბერი 1911 წ., ტფილისი, მინჰვიცჰვის ქ. № 39.

დიდად პატივცემულო ბატონო ოლივერ!

ულრმეს მადლობას გიძღვნი თქვენს მიერ ჩემთვის გამოგზავნილი ორი წიგნისთვის. თქვენ რომ ხელნაწერს A—№ 86² გუბოვთ, ბუჭდურად არ არის გამოცემული. იგი ასომთავ-რულით არის ნაწერი და მისი ნაკითხვა ახლა არა თუ სემინარისტს არ შეუძლია, არამედ ინტელიგენტ ქართველსაც. თუ იგი არ არის სპეციალისტი-პალეოგრაფი, ასეთთა რიცხვი კი ჩვენთან ტფილისში 5-6-ზე მეტი არ არის. ასე რომ, სხვა გზა არაა, მე თვითონ უნდა მოვიკიდო ხელი ამ საქმეს და გადმოვწერო თქვენთვის საჭირო ტექსტი, რომელსაც დედან-ში 166 გვერდი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დაკავებული ვარ, შევეცდები მომავალი 1912 წლის 10-20 იანვრისათვის დავასრულო მთელი სამუშაო და გამოგიგზავნოთ.

ვსარგებლობ შემთხვევით დაგარწმუნოთ თქვენდამი ჩემს ულრმეს პატივისცემაში და ამასთან ერთად გადმოგცეთ თქვენი აქაური მეგობრების კეთილი სურვილები.

მოსა ჯანაშვილი.

P. S. მე დავასრულე: 1) ქართულ-რუსული ვრცელი ლექსიკონის შედგენა და 2) გამოკვლევა ქართული ბიბლიის ისტორიაზე. ამ უკანასკნელის ბუჭდვა დაიწყება გაზეთ „თემ-ში“.³

(1912 წ.) ტფილისი, მინჰვიცჰვის ქ. № 39.

დიდად პატივცემულო ბატონო ოლივერ!

თქვენ მიერ მოთხოვნილი იაკობის ეპის-წირვა უკვე იბუჭდება და თავის დროზე მოგართმევთ.

ამასთანავე გიგზავნით რუსულ წიგნს „კ მატერიალამ .პო ისტორიი ი დრ.“⁴

რადგან მაინტერესებს თქვენის ნეტარხსენებულ დის ქალბატონ მარჯორის შრომა — „ვეფხისტყაოსანი“, ინგლისურად თარგმნილი, თუ გეშოვებათ, ერთი ცალი გამოგიგზავნებო.

შზა თქვენის სამსახურისა

მოსა ჯანაშვილი.5

კორნელი კეკელიძის წერილები

15/28. III. 1912, ქ. ტფილისი.

მონყალეო ხელმწიფეე (ბატონო ოლივერ)!

გიგზავნით რა ორ ეგზემპლარს ჩემი წიგნისა — „იერუსალიმის კანონარი“ (ტფ. 1912), გთხოვთ ერთი მათგანი გადასცეთ დოქტორ კონიბირს და ჩემი უმორჩილესი

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი: d — 38/2 (1), რუსულ ენაზე.

2 იგულისხმება იაკობ მოციქულის ეპისწირვა (X, ს.).

3 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი: d 38/2 (2), რუსულ ენაზე.

4 იგულისხმება: М. Джанашилия. К материалам по истории и древностям Грузии и России: заметки, переводы и комментарии, Тифлис, 1912.

5 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 38/2 (3).

თხოვნა მოახსენოთ, რომ გამოვიგზავნოს თავისი წიგნი „Rituale Armenorum“, (Oxford, 1905), დამატებებითურთ; თანხა, რაც საჭიროა, მე მას გავუგზავნი წიგნის მიღებას შემდეგ პატივისცემით

ქორნელი კაკელიძე.

ჩემი მისამართი: ტფილისი, ანდრეევის ქ. № 42¹

1912 წლის 5/18 აპრილი, ძ. ტფილისი.

მონგალუო ხელმწიფე!

თქვენი წერილი მივიღე, საიდანაც გავიგე, რომ თქვენ და დოქტორი კონიბირი დაინტერესებული ხართ „წმ. იაკობის ჟამისწირვის“ ქართული ტექსტით. თავს მოვალედ ვრაცხ გაუწყლოთ, რომ ამჟამად მე უკვე ვცემ ამ ტექსტს საეკლესიო მუზეუმის დაეალებით, გამოცემა იქნება წმინდა კრიტიკული და სექტემბრის თვისთვის ბეჭდვა დასრულდება, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი გარემოება ხელს არ შემიშლის. ამის შესახებ შეგიძლიათ აცნობოთ ბატონ კონიბირსაც.

ულწინესი პატივისცემით

ქორნელი კაკელიძე.²

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 39/7 (6), რუსულ ენაზე; ოლივერ უორდროპის საპასუხო წერილი 1912 წლის 9 აპრილის თარიღით დაცულია ქორნელი კაკელიძის პირად არქივში (ხელნ. ინსტ., № 672).

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 39/1 (2), რუსულ ენაზე.



როსტომ ჩხეიძე

უმცროსი ძმის მოტივი იოსების ბიბლიურ მოთხრობაში

მსოფლიო ფოლკლორში გავრცელებული და უველგან უაღრესად პოპულარული უმცროსი ძმის, იგივე უმცროსი ვაჟის მოტივის არსებობა იოსებ მშვენიერის ბიბლიურ მოთხრობაში (დაბადება, თავი 37.50) უკვე შენიშნულია და ნაწილობრივ დასაბუთებულიც (ელიაზარ მე-ღეტისკი, „ვაქოანური ზღაპრის გმირი“, 2, 1956 წ.), მაგრამ ბევრი არა ჭერ კიდევ შესავსებელი და დასაწესებელია.

ზღაპრული ეპოსისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივი ეს მოტივი უამრავი ვარიაციით გვხვდება თვითიველი ერის ფოლკლორში, განსხვავებულია ეპიკოდთა რაოდენობა, განსხვავებულია ცალკეული ეპიკოდები, ოღონდ უველგან აუცილებლად ორი მოვარა მომენტია— კონფლიქტი უმცროსსა და უფროს ძმებს შორის და უფროსი ძმების ღალატი. ეს მომენტები ხან ერთ ეპიკოდად მოდიანდებიან, ხან ორად ნაწილდებიან, დანარჩენ ეპიკოდებსაც ისინი შემოიცარებენ.

უფროს ძმებთან კონფლიქტის მიზეზი უმცროსის გამოჩინებლობაა, ჩაღაც თანდაყოლილ მადლი, უნარი, რისი წყალობითაც, ძმების ღალატის მიუხედავად, უმცროსი მაინც ახერხებს ათავსვარის დაბრკოლების გადაღებვასა და და მამის ანდერძის, ვინა, დაჯაღებს შესრულებას.

უმეტესად ამგვარად გამოიყურება უმცროსი ძმის მოტივის უფრო ცნობილი და ძირეული ქარგა.

იოსების ბიბლიურ მოთხრობაში ვველა ამ ეპიკოდის გამოჩინება შეიძლება, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები სისრულეთა და შკაფობით. მოთხრობაში, მიუხედავად ბიბლიური გადაშუშვებისა და გააზრებისა, ამ მოტივის ძირითადი ქარგა მაინც ამოიცნობა.

თუმცა წინასწარვე უნდა შევნიშნო: თქმა იშბა თუ შკაციება იშბა, რომ იოსების ბიბლიურ მოთხრობაში შეინიშნება უმცროსი ძმის მოტივი, ამას გარდა, მსოფლიო ფოლკლორში ასევე გავრცელებული მოვალატი ცოლის მოტივი თუ სხვა მოტივები, სულაც არ ნიშნავს ამ მოთხრობის არსებობისა.

იოსებს მოთხრობა, სხვა ბიბლიურ მოთხრობათა მსგავსად, არის არა ებრაელ მოქმედთა თუ ლიტერატურულ ჩანაწერების ავტორთა ფანტაზიის ნაყოფი, არამედ თავიდან ბოლომდე რეალურად არსებული კაცის რეალურ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეა დაფუძნებული. ბევრი რამ მეროდება კაცობრიობისა თუ ცალკეული პიროვნების ცხოვრებაში, ცნობილმა მოტივებმა თუ შემთხვევებმა უველგან შეიძლება იჩინოს თავი.

აქაც ასევეა. ბუნებრივია, მთელი ამბავი იუდაისტურ ეპიკოდზეა შეფერილი.

ცოტატებისათვის ვსარგებლობ ძველი აღთქმის მცხეთურ ზღაპრებში და ცუდი ვერსიის („მცხეთური ზღაპრები“, მოხსნუ ზუთვაძეშვილი, ისო ნავე, შაჭულთა, რთი, ტქტი გა-მოსაცემად მოაშადა და გამოკლევა დაუროთ ელტე დოჩანაშვილმა, თბ., მეცნიერება, 1981 წ.).

სახელთა დაწერაილობისას ვერდნობი დაბადების ახალ თარგმანს, შესრულებულს უშუალოდ ებრაული ორიგინალიდან (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982 წ.).

იოსები უმცროსი ძმა და ძმებში გამოჩინებული.

ღირსება იოსებისა ზიზრის ახნის უნარია რაც ღვთიური მადლის გამოვლენაა. ამ ნიჭით ცხებულ პიროვნებათა მნიშვნელობასა და განსაკუთრებულ პოპულარობაზე, ძველ წყაროებში და ცუდი შრავალი შასლის მოშველიებითა და მათი საფუძვლიანი ანალიზით, ვრცელად მოგვახსობს ამერიკელი შკლეგარი ლეო ოპენჰაიმი წიგნი „სიზმართა ახნა ძველ ახლო აღმოსავლეთში“ (ფილადელფია, 1966 წ.). იოსების ცრთი ამ პიროვნებათაგანია და ეს ნიჭი იქცევა მისი ცხოვრების ბედისწერად.

შეიძლება ისიც დავეჭვებინა, რომ ურჩანში, აქ მოთხრობილი იოსების ამბავი (სურა XII, იოსები) უპირატესად ძველი აღთქმითაა დაფუძნებული, და, ამდენად, ძირითადი მიხედვება ბიბლიურ სიუჟეტურ ხაზს, მაგრამ ბევრი

რამაც შეცვლილია და თავისებურად ნაშობი, განსხვავებით ძველი აღთქმისაგან, სადაც იოსების აღწევების მომასწავებელი სიზმარი საიდუმლოს არ წარმოადგენს, რადგან იოსები დაღურკოდებლად უყვება მამასა და ძმებს, სიზმარი უკვე საკლერო მნიშვნელობას იძენს და მისი გაწველა უვლასათვის, ზვეს შემთხვევაში — ძმებისათვის, აღარ არის მიზანშეწონილი. ამიტომაც აფრთხილებს მამა იოსებს საგანგებოდ: „ო, შეილო ზემო, ძმებს ამ სიზმარს ნუ გაუშვლავნებ, რადგან აუცილებლად რამე მსაყრბობას განიზრახავენ“ (უფრანი, 12,5).

შურს, რითაც ძმები განიშვავლებიან იოსებისადმი, იწვევს მამის, იაკობის განსაკუთრებული სიუყვარულო და ზრუნვა იოსებზე: „...ხოლო დაბდევის ზრადი იოსებს ისრაელის მამართ. მამისა თვისის.“

ზოლო ისრაელს (ისრაელი იგივე იაკობია, ეს სახელი იაკობმა დღით ანგელოზთან შერკინებისას შეიძინა. იხ. დახედება, 32, 28): „და მან ჰრქუა: არაღრა ვერქუას შენ ამერიოთგან იაკობ, არამედ ისრაელ იოს სახელი შენი“), უყვარდა იოსებ უფროსს უკველთა ძეთა თვისთა, რამეთუ შეილი სიბერისთა იყო იგი, და უქმნა მას სამოსელი კრული მრავალფერა“ (37, 2-3).

ჭრელი სამოსით იოსები გარეგნულადაც გამოირჩევა ძმებისაგან.

გარეგნული სამოსი კიდევ უფრო გამოკვეთს და მკაფიოს ხდის იოსების გამორჩეულობას ძმებისაგან სიზმრების ახსნის უნარით.

კონფლიქტის მიზეზიც ეს ხდება: „და ვითარცა იხილებს ძმათა მისთა, რამეთუ მამისა უყვარს იგი უფროსს უკველთა ძეთა მისთა. მოიძულეს იგი ძმათა თვისთა და ვერ ეძლო მათ მშავადობისა სიტყუად მათ თანა რაითურთით“ (37, 4).

როცა იოსები სიზმარს ზოგუვება, კიდევ უფრო გაიზრდება ძმების სიძულელით: „...და შესქინეს მერმე სიძულელი მისი ზუნებნათა მათ მისთათვის და სიტყუათათვის მისთა“ (იქვე, 8).

იაკობი სამწვემსურში წასულ ვაიებთან იოსებს აგზავნის დავალებით, გააგოს, მართლა სვიქემში მწვემსავენ უფროსი ძმები ცხვარს როგორც მამისაგან უნდა ჰქონდეთ ნაზრძანები, თუ სხვაგან („...ნუ არა ძმანი შენი მწვესიან სვიქემს?“) და მამას შეატყობინოს („...წარედ და იხილენ ძმანი შენი, ვითარძო ცოცხლებით. არაინ, საცხოვარა, და მოხარ შე“). ასე რომ, უსაყვარლეს შვილს მამა უნებურად თვითონვე ავლებს განსაცდელში.

იოსებს ძმები მარტო რომ მოიხელთებენ, ჭარ მოკლავს დაუბიარებელ, მერც ორმოში ჩავადებენ, მერც თითქოს შეიბრალდებენ და გადაწვევებენ, ევაკატეში მამავალ ისმელიტედ ვაჭრებს მიჰყიდონ, მაგრამ სულერთია, მინდ

განწარული ჰყავთ — ორმოში ჩავდებნაც და ევაკატეში გადაყარვაც სიკვდილმწიქტრულმსურა. მამას კი თქნის სისხლში სიკვდილმსურა მცრ სების სამოსს უჩვენებენ, თითქოს ეკონიოთ და იაკობი იწმუნებს, იოსები მხედს დაუგლებიარო. „და იცნა იგი და თქუა: სამოსელი ძისა ჩემისა არს ესე. მხედმან ზორტმან შეკუამა იოსებ, მხედმან ზორტმან მიმტაცა იოსებ“ (37, 38).

აქამდე ისე ვითარდება სიუფეტო, როგორც ამ ტიპის ზღაპრებისა თუ თქმულებების ერთ-ერთი ვერსია, თხრობა ამ ტიპისათვის შესაფერის უაღბლოში მიედიდება, ოღონდ აქედან კი ჭიორება მკვეთრად იცვლება: ზღაპრული სტრუქტურის მიხედვით, რომელსაც, თავის მხრივ, მითოსური სტრუქტურა თუ მითოსური ფონი წარმართავს, იოსებმა მრავალი განსაცდელის მერე უნდა მოახერხოს უკან დაბრუნება. სიზმარლის აღდგენა და მოღალატე ძმების დასჯა. უკველგვარ ცვლილებას თავისი მიზეზი და ახსნა აქვს და, სანამ მიზეზებს გაეარკვევდეთ, უნდა მოვიგონოთ, რომ იაკობს ნა. ზოლარა შვალი ბენიამინა ძველი აღთქმით ცნობილ მესამე პატრიარქს იაკობს ოთხი ცოლისაგან, უფრო დანაწევლებით, ორი ცოლისა და ორი მათი მშველისაგან, ხომ ეს თორმეტი ვატი ჰყავდა:

ლევასაგან: რეუბენი, სიმეონი, ლევი, იუდა, ისახარი, ზებულონი (იხილ მოვასხენიოთ, რომ მისგანვე ჰყავდა ერთადერთი ასულიც — დანა). ბილასაგან (რახელის მშვეალი) — დანი და ნეფთალიმი;

ზოლასაგან (ლევას მშვეალი) — ვაღი და აშერი;

რახელისაგან (რახელი ლევას უმცროსი დაა) — იოსები და ბენიამინი.

უმცროსი ვაგი ბენიამინა, ბენიამინი და არა იოსები.

მე კი იოსებზე ვაშობდი. ექნებ თანდათან გავერკვია ყველაფერი.

სანამ იოსების მრავალტანჯულო თავგადასავალი დაიწყებოდა (თავი 37), ბენიამინს ორ-ჭერ იხსენებს ძველი აღთქმის ტექსტი (თავი 35): ერთხელ დახადებხას, როცა რახელი მის შობიარობას გადაჰყვა (35, 18), მეორედ, — როცა იაკობს ყველა შვილია ჩამოთვლილი (35, 24), მაგრამ შემდგომ მოხმადარ ამხეზში რადგან ძალზე პატარაა, აღარ ჩანს და აღარც იხსენიება.

თხრობისას აღარსად ჩნდება ბენიამინი. ძველი აღთქმის ტექსტი გარკვეულ დრომდე ფარავს და თითქმის ივიწყებს მის არსებობას.

ოღონდ გარკვეულ დრომდე ბენიამინის მერე კი ძმებში ყველაზე უმცროსი იოსებია და რადგან ბენიამინი აღარ ჩანს, იოსებმა უნდა იტყვიოს უმცროსი ძმა-

სათვის დასაზღვრული ყველა განსაცდელის გადატანა.

ერთხელ უკვე ნახებენ ფრანკს, იაკობს განსაკუთრებულ სიუვარულს რომ გამოხატავს იოსებისადმი, კიდევ გავიხსენებ: „ხოლო ის... რაღეს უყვარდა იოსებს უფროსს უკველთა ძეთა თვისთა, რამეთუ შვილი სიბერისა იყო იგი. და უქმნა მას სამოსელი კრელი მრავალფერი“.

შევადაროთ ამ ფრანკს იუდას ნათქვამი სიტყვები ბენიამინზე: „... გვივის ზედნე მამაი მოზუცებულე და ძე სიბერისა მისხა. ძმია მისი (იოსებნი) მოკლე და იგი მარტო დაშთა დედასა მისხა და მამან მისმან შეიყუარა იგი“ (44, 20).

იოსების დაღუპვის (ყოველ შემთხვევაში, როგორც იაკობს ჩაგონებენ) შემდეგ გამოჩნდება მოთხრობაში ბენიამინი, და თუმცა იგი ნაბილარა, მეთორმეტე ძმია, უმცროსი ძმა, ამ ცალკის ზღაპრებისა და თქმულება-გადმოცემების თვალსაზრისით, სწორედ იოსების დაღუპვის მერე ზდება, ამიტომაც ის გრძნობები, ის სიუვარული, რასაც იაკობი იოსებისა. აღი განაცდიდა, ახლა, მხოლოდ ახლა, უკვე ბენიამინზე გადააქვს.

ამის გამო შეინიშნება ის მსგავსებანი ორივე ციტირებულ ნაწევრებში:

- იოსებია — ...შვილი სიბერისაი იყო იგი;
- ბენიამინი — ...ძე სიბერისა მისხა;
- იოსები—... ხოლო ისრაელს უყვარდა იოსებს უფროსს ყველთა ძეთა თვისთა;
- ბენიამინი — მამან მისმან შეიყუარა იგი.

თავისთავად იგულისხმება, რომ იაკობს სხვა ვაჟებიც უყვარებოდა, მაგრამ ასე პირდაპირ, რომ სხვებიც უყვარდა, მოთხრობაში არხად წერია, ამდენად ბენიამინზე ნათქვამი „უყვარდა“ განსაკუთრებულ სიუვარულზე, გამოირჩეულაზე მიგვანიშნებს.

ეს სიტყვები, რომ იაკობს იოსები უყვარდა ყველა ძმებზე მეტად („უფროსს უკველთა ძეთა თვისთა“) ბენიამინზე აღარ მეორდება იმის გამო, რომ ამ ფრანკს იაკობის ერთ-ერთი ვაჟი, იუდა წარმოსტავაში, რომელიც, ზღაპრით, არ იტყუადა, ბენიამინი მამას ჩვენზე მეტად უყვარსო, თუმცა იაკობის განსაკუთრებული სიუვარული ბენიამინისადმი, სწორედ ის „უფროსს უკველთა ძეთა თვისთა“, და მისი გამოჩენილობის ძებნისათვის მყოფად ჩანს სიუვარული შედეგად განვიხილავთ: ძმების ძლიერებით დაითანხმებენ მამას, რომ მათ ბენიამინიც გააულონ ეგვიპტეში ხორხლის მოსატანად:

ბჭქუა მას იაკობ: არა შთავიდეს ძე ჩემი თქუნე თანა, რამეთუ ძმია მავისი მოკლე და ეგვიპტე მარტოი დაშთომილ არს და შეემოხვიოს რამე სწულეგაი გუხაა ზედა, რაშელსა მის

ხელს და შთავიდესოთ სიბერე ჩემი მქუხა. რებოთ ქოქობეთად“ (42, 25). **ერმეხუაში**

მათ უმეტეს, ვაგებმა იაკობს შევატყუებინეს სიშინი მძველადეა ეგვიპტეში დატოვებული და თუ ბენიამინი არ წაიყვანეთ იმის დატოვება, რომ ეგვიპტეში არა ვართ, სიშინის საფრთხე ემტრებაო. რეუბენი აღუქვამს კიდევ მამას, თუ ბენიამინი უკანვე არ მოგვარო, ჩემი ორივე ვაჟი მოკალიო („...ორნი ესე ძენი ჩემნი მოსწუვიდენ, უაუეთო არა მოვაყვარო ეგვიპტეში, მოკლე მე ეგვიპტეში ზელთა ჩემთა და მე აღმოგვარო ეგვიპტეში“ (42, 27).

იაკობი სიშინის დაღუპვასაც კი შეურიგდება („სიშინო არა არს...“ (42, 27), თუმცა მისი გადარჩენა, ჩამოყვანა ეგვიპტედან, ქერ კიდევ შესაძლებელია.

იაკობს მხოლოდ მაშინ დაეახლებება ბენიამინის გაგზავნის ეგვიპტეში, როცა სხვა გზა აღარ დარჩება — შიშნით სიკვდილი ემტრება მთელ ოჯახს, იაკობის სახლს, თუ ხორხალს ეგვიპტედან არ ჩამოიტანენ; ეგვიპტედან კი, თუ მძებნა ბენიამინი არ ჩაიყვანეს, ამას ფარაონის მოადგილე თხოვლობს, „...კეი უფადი ქუეყანისაი“, ხორხალს ისე არ გამოაჩენენ („...უაუეთო არა მოავლინებ მამას ჩუენსა ჩუენ თანა, არა შთავიდეთ, რამეთუ კაცი გვეტყოდა ჩუენ და გუტქუა: არა იხილოთ პირი ჩემი, უაუეთო არა ძმია თქუენი უმრწემისი იყოს თქუენ თანა“ (42, 6).

აქ ერთი დეტალიც გავიხსენოთ: როცა ბენიამინს ევრცხლის ბარძიშის მოპარვა დაბრუნდება და პირიბის თანახმად, როგორც უკრად, ეგვიპტეში უნდა დარჩეს და მათი მონა შექმნას, უფროსი ძმემა თავისი ნებით განაცხადებენ, ჩვენც ბენიამინთან ერთად ვიქნებით ეგვიპტეში მონებდო („...რამეთუ დმერთთან პოვნა მონანი თვისნი ცოლჯასა შინა. ამა, ენტა, ვართ ჩუენ მონა უფლისა ჩუენისა და რაშელსა თანა იპოვა ბარძიში იგი“ (44, 16), და როცა ფარაონის მოადგილე, მათ მიერ სასიკვდილოდ გამოტყუებული და ეგვიპტეში გაუფლული, მაგრამ ბედისწერის ძალით აღწევს იოსები, დაიფინებს, მხოლოდ ბენიამინი უნდა დაეტოვო მონადო, დაეარჩენ მძებნა კი პასუხისმგებლობისაგან გააპაიროსდებენ („...ხოლო თქუნე ადეთე ცოცხლებთა მამისა თქუნისა“ (44, 17), იუდა მისი დანაშაულს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ცილისწამებას, თავის თავზე აიღებს, რადგანაც იცის, რომ იაკობისათვის ყველაზე ძვირად გადამატანი ბენიამინის დაკარგვა იქნება. დანარჩენ ვაჟებზე მეტად მისი დაღუპვა დაალონებს („...უაუეთო შევიდ მონისა შენისა, მამისა ჩუენისა, და ყრმია ეგვიპტე არა იყოს ჩუენ თანა, რამეთუ სულნი მისნი გა. მობან სულთა მავისთა. და იყოს, რაგამა იხილეს, ვითარმედ ყრმაი ეგვიპტე არა არს ჩუენ თანა, აღებრულოს და შთავიდეს სიბერე მამისა ჩუენისა მქუხარებოთ ქოქობეთა“ (44, 20-21).

ოუდა შეხებოვს იოსებს, ბენიამინის ნაცვლად მე მისასურებ, ბენიამინი კი გაათავისუფლო („აჲ უკუე ვადგე მე მონად შენდა ურბოხა მავისა წელ, ხოლო ურბოი ეგე აღვიდეს ძმათა თანა მამისა თვისისა, ვითარმედ უკუე აღვიდდ მამისა, არა თუ იყოს ძმაი ჩუენი უმრწემესი ჩუენი თანა, რათა არა ვიპოვო ძვირი, რომელი პიოს მამამან ჩემმან“ (44, 23-24).

ამგვარად, მოტიანილი ნაწევრებიდან აშკარად ჩანს, რომ იაკობს იუდასი, სიმეონის (ეს, რაც უშუალოდ წერია) და, იგულისხმება, ნებოსმეორის სხვა ვაჟის დაღუპვა, ნაქვად დამწვობრებს. ვიდრე ბენიამინისა („რათამს იხილოს, ვითარმედ ურბოი ეგე არა არს ჩუენი თანა, აღესრულეს და შთავადეს სიბერე მამისა ჩუენისა მწუხარებით ჭოქობეთა“).

ამიტომ, რომ ურბოი „ხოლო ისრავლს უყუარად იოსებ უფროსს ყოველთა ძეთა თვისთა“ იოსებმა თავისუფლად შეგვიძლია შევცვალო ბენიამინით და ბენიამინზე ნახსენები ურბოი „მამამან მისმან შეიყუარა იგი“ სიუფეტის ანალიზის შემდეგ პირობითად იოსებზე ნათქვამი სიტყვებით შევავსოთ: „უფროსს უკვლთა ძეთა თვისთა“.

ეს დამოხვევები, ლექსიკური თუ სიუფეტური, იოსებსა და ბენიამინთან, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს.

აქ შეიძლება იყოს ვაგვხსენებოდა, ერთ-ერთი ადგილი იოსების შემოთნახსენებზე სერიდან, სადაც უფროსი ვაჟები ძლივს დათანხმდებენ იაკობს (ისევე როგორც ძველ აღთქმაში ეს ბენიამინთან ხდება), რათა ანდოს მათ იოსები და მათთან ერთად გაუშვას სასიეროდ.

ცხადია, ურბოი, ბიბლიასგან განსხვავებით, უკვლად იოსების თვისებურად და დაამუშავებულა და გადააზრებულა; იაკობის დაჟინებას სულ სხვა მოტივირება აქვს, მაგრამ ამ სახეში ბიბლიური მოთხრობის შემართი ვადმოცემებო იოსებ-ბენიამინის მსგავსების კიდევ ერთ დამადასტურებელი ადგილი უნდა იყოს შემონახული, განუდგომებულა და ძირითადად რამოდენადაც, მაგრამ მაისე შემონახული. უკველ შეშთხვევაში, ბიბლიურ მოთხრობასთან შეპირისპირებისას შესაძლებელი ხდება ამგვარი დასკვნის გამოტანა.

ნათელია, რომ იოსების ძმებთან ურთიერთობის ეპილოდი, რასაკვირველია, პირობითად, რა ნაწილად აყოფა:

- I — დაბადების 87 თავი;
 - II — დაბადების 42-48 თავები.
- ან სხვაგვარად:
- I უმცროსი ძმა — იოსები;
 - II — უმცროსი ძმა — ბენიამინი, რომელიც იოსებს ცვლის, ასე რომ, უმცროსი ძმა ცვლავ იოსები.

ამ პირობითად გამოყოფილ ნაწილებში უმცროსი ძმის მოტივის სახელით ცნობილი სიუჟეტია რაგვის დამუშავებული და სანამ იმის

გარკვევის შედეგებზე, თუ რისთვის დასჭირდება მოხვს, რომელსაც სუფიანტულის ატორობა მიეწერება, ამ სიუჟეტის რაგვის დამუშავება, მით უმეტეს მეორე ნაწილში, ეს მოტივი ორიგინალურად და გააზრებულად ასე უკვლად ერთს ეკლიბში მოქცეულ მოტივში უკვლადერთა პირობითაა, ძმებთან კონფლიქტის ნაცვლად ბენიამინი უფროსი ძმების სიყვარულითა ვარგობისა, უფროსი ძმები, დღესათვის ნაცვლად, მზად არიან თავი დასდონ ბენიამინისათვის, — ზედმეტი არ იქნებოდა, რომ იოსებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი შეგვევსო და დავვეულებინათ.

იოსები — „შედი სიბერისა იუი იგი“-ო. ეს სიტყვები მეორე ბენიამინზე განმეორდა: „...ძე სიბერისა მისისა“. ეს ორი მოწინავეთი ურბოისა შემოთ მხვავებს გამოსავლენად შევუდარე ერთმანეთს, ახლა უნდა დავა მთავრით განმეორებ „ძე სიბერისა“.

ეს ეპითეტი, იოსებს რომ უკავშირდება, არის არა მხოლოდ აღნიშვნა ფაქტისა, რომ იოსები იგავე ბენიამინი, სიბერის ფაშს ეყრდნობს, არამედ კიდევ ერთი აღნიშვნა, კიდევ ერთი მინიშნება იმისა, რომ, როგორც განსაკუთრებული პიროვნება, იოსები — მთოსურ და ღმადრულ გმირთა გზის განმდევ, განსაკუთრებულად სხვათაგან განსხვავებულად უნდა დაიბადოს.

რომ აღარ გავიხსენოთ მთოსურ გმირთა, გამოჩნდებოდა პიროვნებათა უკვლადანი, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებული, ნამდვილი თუ მოკვდავთაგან შენახული, დაბადებანი, ამგვარი დაბადებას, როგორც იოსები იბადება ხანგრძლივი ლოდინის შემდგომ, მანის მოხუცობის ფაშს, არამცირადია მ. თელიო ფილოლოგთა თუ ლიტერატორთა.

მრავალთაგან ერთი მინიშნება უნდა მოვიხსენიო. ჩვენი უძველესი მითოლოგიური თქმულებების — ამირანის ერთ-ერთი შემდგომდროინდელი ვარიანტი, კერძოდ, ფშუარი ვერსია, თულო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, სადაც ამირანი, ასევე უმცროსი ძმა და ასევე განსაკუთრებული სიყვარულით გარემოსილი, ასევე მსხვერპლი ძმების მოშურნეობისა და დაღუპვისა, რაც სხვადასხვა ვერსიების მიხედვით, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინცა შემონახული ამირანისა და კვედშაის ბრძოლის ეპილოდი, სულკლამისა და დარქანის სიბერეში ცოლებია:

„სულკლამის ცოლს, დარქანს, ამირანი სულ ბოლო დროს, სიბერეში ეყრდა. დარქანს ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟი ამირანი და ამიტომ ამირანს დარქანის ძეს ეძახდნენ“. ფშუარი ვერსიაში მამის ნაცვლად დიდებს წინ წამოწევა (დარქანისა) და არა სულკლამის სიბერის ძეა ამირანი, დარქანისა და არა სულკლამის უყვარს ძალიან თავისი უმცროსი ვაჟი იქნის ახსენება, რომ მთქმელი კდილონს რაინარი განმარტება მოუძებნოს ამირანის ზედწოდებას „დარქანისა“. რაც სანამდვილად

არა მითხვრი ეპოქიდან, არამედ ლიტერატურული წყაროებიდან მომდინარეობს (შოხე ზო. იელის „ამირანდარტგანაჩა“).

მართალია, იოსები აკობისათვის შეთერთმეტ ვაჟი; მაგრამ აკობისა და რახელიისათვის — პირველი, ათი უფროსი ვაჟი აკობს დანარჩენი ცოლებისაგან ჰყავს — ლევა, ზოდუასა და ბილასაგან, ბილას ვაჟები, დანი და ნუფთალიში, ებრაელთა ჩვეულების თანახმად, როგორც ვაჟები რახელის მხედლისა, რახელის ვაჟებად ითვლებიან („შოლო რაქელ ჰქუა აკობს: ამა ვერა, ხალა, მხედალი ჩემი. შევედ უკუე მისა და მიშუებს მე შუბლთა ჩემთა ზედა და შელიერ ვიქმენ შეცა მიხგან“ (30,3), ისევე როგორც ლეას მხედლის, ზოდუას ვაჟები — ვადი და აშერი — ლეასად („და ვითარცა იხილა ლეა, რამეთუ დადგა შობასგან, მოიკრამა ზედუა, მხედალი თვისი, და მისცა უკო იაკობს ცოლად, და შევიდა მისა მიმართ იაკობ“ (30,9).

რახელი ბილას ვაჟებს თავისად თვლის (ბილას რომ პირველი ვაჟი შეეძინება, „... თქუა რაქელ: შემეწია მე ღმერთი და მოვეწროე დასა ჩემსა და უწოდა სახელი მისი ლეფთაღმე“ (31,8) და იოსები რომ ეყოლება, მას თავის პარშვოდ არა თვლას („... შექმინა მე ღმერთმან შეილი სხუა“ (30,24), თუმცა აშკარაა, რომ ვერც დანი და ვერც ნუფთალიში თავს ვერ იდებდნენ განვლდნენ ის გზა, რაც მხოლოდ და მხოლოდ იოსების ზეადრია.

მოკვანებით, როცა აკობი ვერაფრით ვერ ეტყუება ამ აზრს, რომ ბენიამინი ეცვატეში გააყოლოს ძმებს, შიშობს, ვათუ ორ დაჯარულ ძმასავით (იოსები და სიმეონი) ისიც არ დაი. დაუბნოს, არ გამოპოუდეს, რომ იოსები და ბენიამინი, განსხვავებით სიმეონისაგან, დედითაც ძმები არიან და იოსებმა და სიმეონს ერთნაირად მოიხსენიებს: იოსებ არა არს, ბენიამინ არა არს; თუმცა შეაფიოდ ჩანს, რომ ფრანა იმგვარადა აგებულა, რომ იოსებისა და სიმეონის განცალკევება (ვითქვან, ახე — იოსებ, ძმა ბენიამინისა) არ ხერხდება, მანამ კი, 42 თავის დასაწყისის ერთ-ერთ პირველ სტრიქონში ბენიამინი ცალკეა გამოყოფილი, როგორც იოსების ძმა („ბენიამინ, ძმა იოსებისა“, 4), აქ სწორედ დედით ძმობაზეა უარაღდება გამაბეზლებულად, ხოლო იქვე უფროსი ძმების მოხსენიება, როგორც „ძმანი იოსებისნი ათნი“, ან აკობმა ბენიამინით — „არა წარავლინა ძმათა მისთა თანა“, აქ უკვე ყველას საერთო ძმობა, ერთი მამის შვილობა უნდა იგულისხმებოდეს.

იოსები და ბენიამინი დედით ერთნი რომ არიან, კიდევ ერთბელაა გამოკვეთილი იუდას სიტყვებით: „... ძმანი მისი მოკუდა (იოსები, ძმა ბენიამინისა) და იგი მარტო დაშთა დედასა მისსა...“ (44,20).

ახე რომ, აკობის შეთერთმეტ ვაჟი იოსები, ამავე დროს პირველი ვაჟიცაა რახელისაგან, რომელმაც ღმერთი მხურვალედ და ხანგრძლივი

ზეწინა-მუდარის შემდეგ მოუვლენს ცოდ-ქმარს („ხოლო მოეხსენა ღმერთთა რაქელს, ღმერთსა მისსა და განაღო საშოი მისი...“ (30,22,24) უწუა იაკობს ძე და თქუა რაქელს მომისხო მე ღმერთმან კუდარებთა ჩემი. და უწოდა სახელი მისი იოსებ...“ (30,22,24).

რა თქმა უნდა, ბიბლიურ წიგნებს თავისი გააზრება, თავისი მიზანდასახულება აქვთ, ამიტომ არაა აქ ყველაფერი შვეკრად გამეწეული და არც აუცილებლობაა ამის, ძველ აღთქმას თაყვის მოტივირება აქვს, თავისებურად ხსნას იოსების გვიან დაბადებას; ღმერთი მარტო იოსების დაბადებისას არა ჩნდება („ხოლო მოეხსენა ღმერთთა რაქელ და შეისმინა მისი...“ (30,22), ის იოსების უფროსი ძმების დაბადების დროსაცაა მოხსენიებული, მხოლოდ მისი მეოხებით ეხსენება საშოი აკობის დანარჩენ ცოლებსაც (შდრ. ვთქვათ, მანამდე: „და ისმინა ღმერთმან ლეოსი...“ (30,17).

მიზეზს იმისა, რომ ლეას რახელზე აღდრე ეყოლება შვილები, ძველი აღთქმა ამგვარად განმარტავს:

„აკობის რახელი ლეაზე მეტად უყვარდა: „და შევიდა აკობ რაქელისა და შეიუფარა იგი უფროსი ლეასთ...“ (30,17).

სწორედ რახელის გულსათვის ემსახურა ლეასმა შვიდი წელი და როცა შვიდი წლის შემდეგ ლეასმა პირთა დაარღვია და რახელის ნაცვლად ლეა შერთო აკობს, იმის მოსაზრებით, ადამით ქერ უფროსი ქალიშვილი უნდა გათხოვდეს, კიდევ შვიდი წელი. და რადგან აკობს რახელი ლეაზე მეტად უყვარა და ამის გამო ლეა დაჩაგრულად იგრძნობს თავს, უფალო ლეას შვილებს უწყალობებს:

„და იხილა ღმერთმან, რამეთუ სძულს ლეა განაღო საშოი მისი, ხოლო რაქელ იყო ბერწ“ (29,31).

ძველი აღთქმა ამგვარ ახსნას გვთავაზობს, თუმცა ფაქტი ერთია — სხვა მრავალ მითოსურ თუ ზღაპრულ ვართთა შესავლად, იოსების დაბადებამ უნდა დაიგვიანოს.

აკობის ცოლთაგან რახელი ყველაზე გვიან შობს შვილს.

ამასთან, რახელი ერთადერთია აკობის ცოლთაგან, რომელიც იღუპება — ბენიამინის გაჩენას გადაწყვეტა. ეს ფაქტი შემოხვევითი არ უნდა იყოს.

გვირის განსაკუთრებული, ნაადრევი თუ გვიანი დაბადებისა არ იყოს, დედის სიყვდილი გვირის დაბადებისას ასევე გავრცელებულია უძველესი ხანიდან თოქმის ყველა ხალხის ფოლკლორსა და ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, მითოსური ეპოქიდან ნაანდერტევი, — რეალური ამბავიც რომ იყოს, მითოსური სიმბოლია რამენაირად მაინც იჩენს თავს, — თუმცა, ბუნებრივად, სხვადასხვაგვარად გააზრებული და მოტივირებული. სანდუშოდ, შორს რომ აღა გავყუთ, ისევე ამირანის თქმუ-

ღებას მოვაშველებ, უფრო ზუსტად, თქმულ-
ების დღესდღეობით ცნობილი ვერსიების უმე-
ტესობას.

აქ ახლა ჩვენთვის ის კი არ არის მნიშვნელო-
ვანი, რომ ამბარანი ნაადრევად ამოპყავთ დედი!
მუდმილიდან, არამედ ის, რომ მის დაბადებას დე-
და ეწირება მსხვერპლად. მის დაბადებას რა-
ღორც დღეშორების, ქაობას წესრიგად გარდაქმ-
ნების დაბადებას.

ბენიამინიც, იოსებს რომ ენაცვლება მისი
სიკვდილის შემდგომ (როგორც აკობის სახლო-
ბას ჭყრა). შობისას დედას შეიწირავს მსხვე-
რპლად.

და იმის გარდა, რომ იოსებს ცვლის მოთბ-
რობის მეორე ნაწილში, ბენიამინს სხვა ფუნქ-
ცია არ გააჩნია. მოთბრობის მიწანდასახულებ-
ის მხედველი ბენიამინი იმდენად არსებობს,
რამდენადაც იოსების იპოტაზი.

ამდენად, უნდა ვთვლიდებოთ, რომ რაზელი
მსხვერპლად იოსებს ეწირება. გვიან დაბადებაცა
და დაბადებისას დედის სიკვდილიც რომ სხვა-
დასხვა მხარეა ერთი იდეისა — ვმირის გამორ-
ჩეული დაბადებისა და შთელი მისი თავგადა-
საღლის აუცილებელი ნაწილია. ასე რომ, შობა
იოსებისა უკვე მიგვიანწინებს მის შემდგომ თავ-
გადასავალსა და დეაწლზე:

იოსებმა უნდა ხსენას ეგვიპტე შინაშლისაგან,
მითოსის ენაზე კი ხსნა და შექმნა კორელატორ
ცნებები. აქედან გამომდინარე, იოსებში ეგვიპ-
ტის ხსენით, ამავე დროს, ჰქმნის ეგვიპტეცა და
დემიურებად გვეყვინება, როგორც ქაობისადა
ახალი წესრიგის შემქმნელი.

ამას გარდა, იოსებმა, როგორც უმცროსმა
ძმამ, ძმებში ერთადერთმა უნდა შეასრულოს მა-
მის დავალება, მან უნდა ჩამოიტანოს ზორბალი
ქანანში, ქანანი უნდა ხსენას შინაშლისაგან,
და, ფაქტურად, შექმნას ქანანი, ეგვიპტის
ხსნა, რაც საუფერატოდ წინ უსწრებს ქანანის
ხსნას, მხოლოდ მისი ვარიაციაა, რადგან იოი-
ბის დეაწლი, როგორც დეაწლი ებრაელი კაცისა,
იზომება არა უცხო ეგვიპტის ხსენით, არამედ
ხსენით მშობლიური ქანანისა.

და, რაც მთავარია, ხსნაც ეს არის და გზაც
ეს არის, იოსებია განსაზღვრელი ებრაული
მოდელის შემდგომი ბედი.

ის, რომ ვმირი რაზელმა უნდა შობის, რომ
სწორედ მისი წილიდან უნდა იშვას კაცი. ებ-
რაული ტომების ბედი რომ უნდა განსაზღვ-
როს, მანამდეც შეინიშნება ძველი აღთქმის
ტექსტში:

იოიებს რაზელი ამიტომ შობს, რომ რაზელი
გამორჩეულია იაკობის სხვა ცოლებისაგან —
მითოსური ფორმი ჩნდება იაკობისა და რაზელის
ურთიერთობაში, განსხვავებით ღებას, ბილბასა
და ზღელთაგან, სადაც მხოლოდ უფრო ფრ-
ჩანს.

რაზელი უმცროსი დაა ღებას და მასზე ბეგ-
რად ჰქონი, „და თვეებს თუაღნი ღებასნი უმ-
ლურ, ხოლო რაქელ იყო კეთილ-საღვთისა და
შეუენიერ პირითა“ (29,17).

იაკობს ღებას შერთვის განსაზღვა არ ჰქო-
ნია, რაზელის გულისათვის დაუღებება ღებას
მწყვეტად, მაგრამ ღებასი მოატყუებს იაკობს
ნა რაზელის ნაცვლად ღებას მისცემს: ამის გა-
შო ბეგება იაკობი იძულებულია რაზელისათვის
კიდევ შეიდ წელს ემსახუროს ღებას და მისი
ცხვარი მწყვეტოს.

მითებში, ზღაპრებში, თქმულებებში, გადმო-
ცემებში, ლეგენდებში, საგებში, ანდრეებში,
სადაც კი ვმირს დაბრკოლებებთან შეხმა უბ-
დება, დაბრკოლებების უმაღლესია საფხურთი
ურჩხულთან ბრძოლა და მისი დორგუნვა თუ
შოკლად, რის შემდეგაც ვმირმა საკოლე უნდა
მიმოივროს...

ეს ცნობილი და ერთი საერთო სტრუქტურაა.
ყველა მითისა თუ თქმულების ეს ცენტრა-
ლური ეპიზოდი იაკობ-რაზელის ბიბლიურ
მოთბრობაში შინაც გამოირჩევა, ისევე რო-
გორც ეს ოსებთან გვეხდება რამდენიმე
ვარიაციით, თუმცა იუდაისტური ყაიდაზე გა-
დაამუშავებული.

ბიბლიურ მოთბრობაში ვმირის ურჩხულთან
ბრძოლას იაკობის ღებასთან სამსახურში მწყე-
მსად დადგომა ენაცვლება. იაკობი საბოლოოდ
ახერხებს ღებასის სამსახურიდან, ანუ გველერ-
შაბის წილიდან თავის დაღწევას.

ამ თვლით თუ შევხედავთ, ნათელი გახე-
ბა, რომ ღება, უფროსი დაი რაზელისა, მხოლოდ
დაბრკოლებაა, და თან დამატარებელი დაბრ-
კოლება, რაზელისაიკენ, შეუთუნებავისაიკენ ში-
ნავად გზაზე.

შემდგომში ძველი აღთქმა თავისებურად
ხსნის ამ ურთიერთობას და, საერთოდ, იაკობის
ურთიერთობას დამარჩენ ცოლებთან, მაგრამ
შინაც საკარგობია იაკობს განსაკუთრებული
სიყვარული რაზელთან შეძენილ შეიღებზე გა-
დააქვს, იოსებმა და ბენიამინზე, რადგანაც
რაზელია იაკობის ჰუმანიტიტი ცოლი, მის მიერ
შოპოვებული მზეთუნახავი.

რაზელი რომ უნდა იყოს მითოსური აზრით
იაკობის ერთადერთი ცოლი, აქედანაც მანს:
როცა იაკობი ცოლ-შვილით (მხოლოდ ბენია-
მინი არ არის ჭერ დაბადებული) ღებასისაგან
უკან, მამის სამკვიდრებელში გამობრუნდება.
რაზელი მამისეულ კერებებს წამოიღებს ურუმ-
რად („... და შობაარა რაქელ კერანი მამისა
თვისისანი“ (31,10)).

კერებებს, მამისეული დემრთების მოპარვითა
და წამოღებით, რაზელს მაღლი მოაქვს საკუ-
თარი მიწა-წყლიდან, რთა ეს მაღლი იაკობსა
და მის მოდგმას, ახალ სამკვიდრებელს შეხი-
ნის, ამგვარი შემთხვევა, დღეატი მამისა კერის,
სატრუსი, უცხო ქვეყნიდან მოსული ამის სა-



სარგებლოდ. ბევრგან გვხვდება ძველ თქმუ-
ლება-გადმოცემებში.

განა არაადას ძაფის მეოხებით არ აღწევს
თეზუსი თავს ლაზარისი?

ან თუნდაც ერთ-ერთი კრავიული ეპიზოდი
გავისწინოთ ჰჯენი ერას ისტორიიდან, ანუ ვი-
ოქროს საწმინის მოტაცების; როგორც რაზე-
და ახარავს მამხელელ კერპებს იაკობისათვის.
ახვევ შესძინა მდებამ ოქროს საწმინის, იგივე
მადლი, იაზონს—უცხოველებს, უცხოთებს,
სხვა სამუაროდან მოსულ კაცს.

მაშის სამკვიდროდან მადლის წამოღების
ტრადიციას სტენა ამარანის მითოსის დღეისათ-
ვის ცნობილ ვერსიებში, როცა უამარი ვახცემს
საიდუმლოს, ამირანმა სიმამრის, დრუხელისა-
ტონის დამარცხება რომ შეძლოს, მოვარდნით
მიხი სიტყვები:

„მადლა ნუ უწევს სპილოსა,
დაბლა შემოკარ რბილოსა,
ბერჯინი რომ წაიჭყვევან,
ღარაზნაზნი დაიჭყვევან“.

ამ გზას, მითაქცეული ქალების, უამარის,
მედეას, არაადნება და სხვათა გზას გადის რაზე-
ლი, რაზელი და არა ღუა.

ახლა ერთიანობაში თუ გავითვალისწინებთ
ყველა ამ შემთხვევას, რაც რაზელიანაა დაკავ-
შირებული, ვნახათ, რომ მითებისა და თქმუ-
ლება-გადმოცემებისათვის ნიშანდობლივი ეპი-
ზოდები მხოლოდ რაზელიანა იყრიან თავს:

რაზელია ის მზეთუნახავი, რომლის მოპოვე-
ბასაც ცდალობს იაკობი,

რაზელს მოაქვს მამხელელი სამკვიდროდან
კრახები,

ყველაზე ძლიერ რაზელის მშობიარობა დაიგ-
ვიანებს.

მხოლოდ რაზელი ვერ გადაიტანს მშობიარო-
ბას.

ძველი დღემთა თავისებურად ანუწავებს ია-
კობის ანხავს, თავის უაღიბს უსადაგებს, ძველი
თქმულებებისათვის ნიშანდობლივ მომენტებსაც
ახალ გარსში აქცევს და ახალ ვაზრებას ხდენს.
სხვაგვარად როგორ ავხსნათ, რომ იაკობის
განსაკუთრებული ხაყვარულის გამო რაზელიანა-
დმი, ღმერთი მშობიარობის უნარს ღუას მოუგ-
ღენს, რაზელს კი — არა. ამის გამო იაკობსა
და რაზელს კონფლიქტაც კი მოუხდებათ: „და
ვითარცა იხილა რაქელ, რამეთუ არა უწყაა ძე
იაკობს, და ეშურებოდა რაქელ ღიას, დასა
თვისს, და ჰრქუა იაკობს: ვერც მე შეილი; უკუ-
თუ არა, მოუკმულ შე, განურისნა იაკობ რა-
ქელს და ჰრქუა ანუუჟამ ნაცუალი ღმერთისა ვა-
რი მე, რომელმან დაგაკლო შენ ნაუოფი მუც-
ლისა შენისა“, (30, 1-2).

ღუასთან რამდენჯერმე გვხვდება ფრაზა —
„და ახმინა ღმერთთან ღიასი“, მისი ვაყვების და-
ბადებას ღუასი ხელი ურუგია. ასე რომ, ფრა-
ზა, შემდგომ რაზელზე რომ წერია — „ხოლო

მოხსენა ღმერთსა რაქელ და შეისმინა განს

და ვანალო საშოი მისი“ (30,22), არ ვაჩვენებ

კვების რაზელს ღუასაგან და არც ურსებრე

ზადებს — უფროსი ძმების დაბადებისაგან,

მაგრამ თუმცა ღუას, ზილფასთან ერთად, გა-

ცილებით მტეცა ვაყვ მუას, ვიდრე რაზელს ბი-

ლასთან ერთად, შედარებაც კი არ შეიძლება

და თუმცა ღუა აქედანვეა, ბევრ ვაყო

იაკობის გულს მოვიგებო (თითქოს აღწევს კი-

დეც მიზანს, თითქოს წაქიდეებს იაკობს და

რაზელს), განსაუღებისას იაკობი კვლავ მიიწვ

რაზელს ამქონინებს.

განსაუღელი იაკობს შინსაკენ მომავალ გზა-

ზე დაუდგება, როცა უფროს ძმის გადაეურება,

ესავს („...ახა, ესავ, ძმია მისი მოავალი და

რბისი კაცი მამ თანა“ (32,3), რომელსაც ეწე-

მაკებით სარწმუნობა მოხატავს, და ახლა შემე-

ფოთებელი იხით, გავლანებულმა ესავმა შეუ-

ტი არ იძიოს და რამე ფაოტრას არ გადაეკი-

დოსო, თან გაქცევა და მიმდევაც ვერ უხერხ-

დება, იაკობი მიეხლება ძმას, რათა გული მო-

უღლოს, უკან კი ცოლ-შვილს ამგვარი თანამი-

მდევრობით დახტავებს: ჭერ დააყენებს მზე-

ლებს, ზაღასა და ზილფას და მათ ვაყვებს,

მერე ღუას თავისი ვაყვით და სულ ზილფას—

რაზელსა და ოსებს (ენეიამინი ჭერ არ დაბა-

დებულა): „და ვანუენა ყრმანი იგი ღიას და

რაქელს და ორთა მათ მხევალითა, და დაადგანა

ორნი იგი მხევალნი პირველი. და ღიას და

ყრმანი მისნი შემდგომად, და რაქელ და ოს-

იებ უკანისკელ“ (32,2).

თუ ესავს ბორბტი განზრახვა ექნებოდა, რა

თქმა უნდა, ვერც რაზელი და ვერც ოსები,

სხვების კვლად, ვერ გადაურჩებოდნენ, მაგ-

რამ აქ მთავარი და ხაინტკერსო იაკობის და-

მოკიდებულებაა, შეიძლება იოქვას, გულუბრ-

ყვილობაზედ მისული ცდაც კი, რომ როგორმე

იქნებ რაზელი და ოსები მიმალოს, მიაფაროს

ესავის თვალთაგან.

მოტანელ ფრაზაში ერთ დეტალსაც მოვაქ-

ციოთ ურადღება:

ერთხელ უკვე ვახსენე ის ადგილი 31-ე თა-

ვიდან, სადაც რაზელი თავისი მხეველის ზილ-

მას, შეიძლება ვაყვებს იაკობთან თავისად თელი

ეზრავლით ადართი თანხმად „და თქვა რაქელ:

მისაჲ მე ღმერთთან და ისმინა ვედრებისა ჩე-

მისა და მოწყა მე შეილი. ამისათვის უწოდა

სახელი მისი დანი“ (30,6).

ისვე როგორც მის მეორე ვაყვ — ნეფთა-

ლიმსაც.

ოსები მოთბობის ხაუფების განვითარების

მიხედვით რაზელის მესამე ვაყად ითვლება ო-

რაზელიც ამგვარად თვლის („...შეილი სხუა“),

მაგრამ ჰუმანობად ოსები რომაა რაზელის

ერთადერთი ვაყი, მოტანილ ფრაზაში მკაფიოდ

უნდა იგრძობოდეს — იაკობი ცალკე ვაყებს

რაზელს და ოსებს და არა რაზელს, დანს, ნე-

ფთალმსა და ოსებს.

ამიტომაც, მითოსური ფონი მხოლოდ რახე-
ლასა და იაკობის ურთიერთობაში რომ ჩანს,
მერცხე მხოლოდ იოსებთან ივრძნობა.

რახელსაგან აქვს მომადლებული იოსებს
დუთიური ნიჭი, სიწმინდის ახსნის უნარი, უფრო
წესტი იქნება იმის თქმა, რომ რახელისა და
იაკობის ურთიერთობამ უნდა შევას ამ ნიჭის
კაცა.

ეს ნიჭი კი ის იარაღი აღმოჩნდა, რამაც იო-
სები ქვეყნელიდან ამოიყვანა სხვა გზითა
მსგავსად, რომელიც შეგნიდან ჰქვეონ ურ-
ჩხულს (საპყრობილედ, ქვესწავლი, ურჩხულის
წალი, ორმო და ეგვიპტე მსგავსი ცნებებია)
და წუვდაიდიდან საწვოზე ამოდიან.

ახლა კვლავ უმცროსი ძმის მოტივის მივუბ-
რუნდეთ.

ხელახლა რომ აღარ გავიმეორო ჟერ მარტო
ჩემს მიერ მოტანილი ციტატები ჰეული აღქ-
მის ამ ნაწილიდან, ისედაც ნათელია, რომ ბე-
ნიამინი იოსებსაგან განსხვავებით, არა მარ-
ტო მამის განსაკუთრებული სიყვარულით სარ-
გებლობს, არამედ ძმებისაც, რასაც ძვე-
ლი აბერტოვის მიუთითებენ.

ნათქვამს საქმიოაც ადაბტურებენ.

ბენიამინს ვერცხლის ბარძაშის მოპარვა რომ
დაბრალდება და, პარობის თანახმად, ეგვიპტე-
ში რომ უნდა დარჩეს და მათი მონა შეიქმნას,
ძმები თვითონვე განაცხადებენ, მონებად ჩვენც
დავრჩები ეგვიპტეშიო, და უარს რომ მიიღე-
ბენ, იოდა ბენიამინის დანაშაულს, როგორც
წინა ამბებდანაც ჩანს, ბენიამინს დანაშაული
არ ჩაუღენია, ეს ბრალდება მხოლოდ და მხო-
ლოდ ძმების გამოსაცდელად გამოწვეული ხერ-
ხე იყო, ხომ თავის თავზე აიღებს.

შემოთ ეს პასუხი იშპოვის გავანაღივო, რომ
მკაფიოდ გამოჩენილიყო იაკობის განსაკუთრე-
ბული და გამოჩენილი სიყვარული ბენიამინ-
სადმი იოსების დარაგვის შერე.

ახლა კი იოსების მოსტრობის პირველი (იო-
სების) და მეორე (ბენიამინის) ნაწილი ერთ
მთლიანობაში გაეთავალისწინოთ (მიოუშეტეს,
მეორე ნაწილში უმცროსი ძმის მოტივი ორი-
გინადურადაა გააზრებული, ამ მოტივში უკვ-
ლადერი პარაქოთ წარმოგვიდგება):

ის ურწყვა, რაც პირველ ნაწილში იოსებს
აქისრია, ბენიამინს არ აქვს და არც შეიძლება
ჰკონდებს. ბენიამინი არ არის აქტიური მოქმედი
გმარა. როგორც იოაბი, ბენიამინს მხოლოდ
უტყუვი მოწმეა მთელი ამისა, უტ-
ყუა მოწმე, შეიძლება ითქვას, რომ ისე მთავრ-
დება მოთხრობა, კრინტს არა სძრავს, არც
არაფრისთვის ირჭება. ბენიამინის ცხოვრება
წარმოგვიდგება როგორც ვარაყია იოსების
ცხოვრებისა.

იოსები ძმებთან ერთად უნდა გახდეს ებრა-
ელთა თორმეტი ტომის წინაპარი, ამიტომ გვა,
იოსებმა რომ განვლო, ძმებმაც უნდა გაიარონ.

იოსების კვალად მათაც უნდა გამოცადონ და-
ცემა და ამაღლება, ქვესწავლის გავლით უნდა
ეზიარონ საწვოეს (იოსებების შემსპე უწყვეთ
საპყრობილედში ყოფნა, ისინიც უნდა მოხდენენ
ეგვიპტეში, ისინიც უნდა ჩაკვადენენ მონის
მდგომარებაში) კათარზისის გავლით უნდა
შეიძინონ თავიანთი ჰეშმარტი სხე.

მოსტრობის მეორე ნაწილი სწორედ მათი
კათარზისის ჩვენებაა.

უფროსი ძმები მსხვერპლას ფასად მზად
აჩიან გამოსყიდონ ჩადენილი დანაშაული,
იოსებთან ჩადენილი ცოდვა ბენიამინთან თავ-
დადებით უღონ, ანუ იოსებთან განვლილი ცო-
დვის გზა უკანვე გამოიარონ.

მეორე ნაწილი მოთხრობისა, უმცროსი ძმის
მოტივის შებრუნებული ვარიანტი, როგორც
ვთქვა, 48 თავით იწყება, თუმცა წინა თავში
უკვე არსებობს კათარზისის წინაპრობა,
როცა უფროსი ძმები პირველად იხსენებენ და
ინანიებენ იოსებთან ჩადენილ ცოდვას: „და
მჭქუა კაცად-კაცადმან ძმისა თვისისა: „ჰე, ცოდ-
ვასა შინა ვართ ძმისათვის ჩუენისა, რამეთუ
უკვლადებულ — უკვთო ჰიარი სულისა მისისა.
რამას — იგი გვევდრებოდა ჩუენ და არა
ვისმინეთ მისი, ამისთვის მოიწია ჩუენ წედა
ყოველი ესე ჰიარი“ (42,21). მაგრამ ეს რა თქმა
უნდა არ კმარა, მონათებას კათარზისით უნდა
ეზიარონ.

ამას უკვე ეთოსის სტეროში გადაყვარათ.


მითოსური ფონს ეთოსური ფონი ენაცვლება
უმცროსი ძმის მოტივის სახელით ცნობილი
სიუჟეტი, რომელიც ამავე მოთხრობაში თავი-
სი ნაწივლილი სახით, ჩამოყალიბებული ფორმით
დამუშავდა, ახალ უალბში მოქცა და ახლებ-
ური გააზრების შემდეგ შეერწყო სიუჟეტის
ძირეულ ქარგას.

ცნობილი მოტივის ორგზის დამუშავება ნა-
თელყოფს, თუ ვინ აჩიან ებრაელთა ტომების
წინაპრები, ბუნებრივია, თორმეტივე ძმა მი-
თოსური გმარის გზას მარტოდმარტო ვერ გა-
ვლდიო, ეს გზა ერთ კაცს უნდა გაეცლო, და-
ნარჩენები წეგობრივი კათარზისით უნდა ზია-
რებოდნენ ტომთა წინაპრობას.

და, რაც მთავარია, ამგვარი ლიტერატურული
დამუშავება, ორგზის დამუშავება უმცროსი
ძმის მოტივისა, სხვაც რომ არაფერია ვიცოდეთ,
ცხადად აჩენს იოსების თავგადასვლისა და
მთელი ამ ამბების ისტორიულობას.

მსხნელი ყოველთვის უმცროსი ვეფია. გენე-
ზათ უღარებში, გნებავთ გადმოცემებში, ამას
ყველაფერს ისტორიული საფუძველი აქვს. სა-
ნიმუშოდ ორი პასაჟი რომ მოვიტონოთ მსაქუ-
ლთა წიგნიდან. უმცროსი ჰე თუ გადარჩა, და
უფრო ხშირად გადარჩება ხოლმე, მან უნდა
იხსნას მამის სახლი იქნება თუ ერთი განსაც-
დელისაგან.

გედღონა გადურჩება მადაიმელებს, უკვლავ
უმცროსი: „და მჭქუა მას გედღონე ჩემდა მოი.



ქვს, უფალო, ჩათა ვისხნე მე ესრელი, ამა
ესერა, ათსეული ჩემი უმდაბლეს არს მანასუ-
სა შორის და მე უწყირეს ვარ სახლსა შინა მამისა
ჩემისასა" (8,15).

ოთმიც რომ უწყროსია: „და მოვიდეს სახ-
ლსა მამისა თვისისასა ფურაად და მოსრნა ძმის-
ნი თვისნი ძვენი ღერობილინნი, სამეოცდაათნი
კაცნი ერთთა ღოდითა და დაშთა იოთარ, ძე
იერობადისი, უმწიემის ივტროდა და დაე-
შალა" (9,5).

უმცროსის დაღუპვასთან ერთად უკველგვარი
იხედება წარსულებსა ხსენისა, ისტორიულ ნარკვევში „სოლომონ პირველი
დადი იმერეთის მეფე“, რომლის ავტორობაც
აკაკი მიწერება, უკველ შემთხვევაში, აკაკია
დავალეხით არის ჩაწერილი, მოთხრობილია
როსტომ რაჭის ერისთავის სახლის დაღუპვა.

მოტყუებით რომ შეიპყრობს როსტომ ერის-
თავს სოლომონი მისი ვაყვანიანად, თვალზე:
დაათრევიანება და მთელ სახლს დაუქცევს და-
ყოობებს, ერისთავის უმცროსი ვაჟი გადარ-
ჩება, ანტონი. თითქოს ანტონმა უნდა იტვირ-
თოს ზვედრი უმცროსი ვაჟისა, აღადგინოს ერის-
თავის სახლი, ძველი ამბებისათვის ნიშანდობი-
ლიც ერთი მომენტიც კი იჩენს თავს — ერის-
თავის ვაჟს სოლომონ პირველის ასული ელენე;
დაფარავს და შერეც წრუნავს მასზე — „...სა-
ხლთუბუცესმა პატარა ანტონის თვალების და-
თხრავს ბრძანა, მაგრამ პატარა მეფის ასულზე-
რეცემ ანტონს თვალნი მოჰკრა, მიიკრა გულში
და აღარავს ანებებდა; იმ დღიდან შეფის სა-
სახლეთი იზრდებოდა“.

მაგრამ საბარალო ანტონს ზედად არ ეწერა
გამოვლენა თავისი დაწინაურებისა, თავისი ვა-
ლის აღზრდებისა: „... პასუხაჲ (წერეთელმა) სა-
აღუშლოდ გააჩრახა მშაბურები, ერთხელ ბურ-
თი ჩაუგდეს ანტონს გაზურბულ თონვში და
რომ გადებოდა ხაუშვმა, იმდენ ხანს გაჩერეს
ძალათი და აურბოვის, სანამ თვალენი არ გა-
ოფუტოდა“.

ახეთი გახლდათ ანტონის ზვედრი, აღდგენა
არ ეწერა ერისთავის სახლს.

იოსებმა აღასრულა ზვედრი უმცროსი ძმისა.
აქ იჩენს სწორედ თავს მამის თავგადასავლის
რეალრობა.

უმცროსი ძმა ბენიამინია, ბენიამინს უნდა
ეტვირთა ეს დიდი მისია უმცროსი ძმისა, ბე-
ნიამინს უნდა გადაბედნოდა თავს ის ამბები,
იოსებს რომ გადახდა.

არადა იოსებს გადახდა.

ამიტომაც დამოუკიდებლად ამგვარად მოიღიო მო-
თხრობა, რადგან სინამდვილეთი იოსებს მოუბ-
და უმცროსი ძმის გზის გავლა, დეტერატურუ-
ლი ჩანაწერის ავტორმა ისტორიული ამბისა,
საჭიროდ ცნო არ გაქცეოდა ცნობილ ყალიბს.
ამიტომ არ ჩანს თავდაპირველ ამბებისას ბე-
ნიამინი.

ამიტომ დაეკარვა შერეც ფუნქცია და მოთხ-

რობის მიზანდასახულების მიხედვით ამიტომ
გაიზარება იოსების იოსტასად.

ამდენად, პრინციპი იოსების თავგადასავლისა
— რეალურია, შემდგომი გადამშუავება, ჯერ
შარტო რამდენიმე ფონის არსებობა, შეუფერ-
ლობა, ვაჯარება, ძველი ყალიბის გაფართო-
ვება, მოტივირება — ბიბლიოტი.

ერთიც უნდა დავაშაბო, ერთ-ერთი აუცილებელი ეპიზოდი უმცროსი
ძმის მოტივისა ხომ მამის ანდერძის, დავაღუ-
ბის შესრულება.

მოთხრობის მეორე ნაწილში, ერთი მხრივ,
თუ ვთხოვთ ფონი გვეხედება, მეორე მხრივ,
ეს ნაწილი დავაღებებს შესრულების ეპიზოდს
ეხმურება.

მამის დავალებას, ხორბლის ჩამოტანა ეგვიპ-
ტიდან, ჩათა შიშშილით არ დაწუდენ, იოსებისა
და ბენიამინის უფროსი ძმები, რაც მისა-
ლოდნელი იყო ეგვიპტე ზღაპრისა და თქმულების
უფროს მშათა ანალოგიით, ვერ ასრულებენ, ბე-
ნიამინი მხოლოდ არსებობს, სხვა დანიშნულებას
მას არ გააჩნია, იგი იმდენად მოქმედებს, რამ-
დენადაც იოსების აპოსტასია, მაგრამ მაინც ბე-
ნიამინს წაყოლილებით ახერხებენ უფროსი
ძმები ხორბლის მოპოვებას.

ეს ეპიზოდი, ფაქტობრივად, აგრძელებს და
შევსებული სახით გამოხატავს იმ ეპიზოდს, მო-
თხრობის დასაწყისში იაკობი იოსებს ძმებთან
რომ აჯავანის.

ნამდვილი დავალება იოსებისა ხორბლის მო-
სატანად წასვლა.

ზორხალს ძმები იოსებისაგან დებულობენ,
იოსებია მომპოვებელი ხორბლისა. ახვ რომ,
მამის დავალებას მაინც იოსები ასრულებს.

იოსების ფიციური დაბრუნება ქანაანში თუ-
მცა ძველი აღთქმის ამ ნაწილში აღარ ჩანს და
იგი ისე ვარაუდობდება, რომ ქანაანში ვეღარ
ჩამოდის, მაგრამ იოსების ქანაანში დაბრუნე-
ბას მოხვს შიერ მისი ძველების ჩამოტანა უნ-
და გამოხატავდეს: „და მიიბუნა მოხე ძოჲლინი
იოსებისნი მის თანა, რამეთუ ფიციო აფუცა
იოსებ ძმისა ისრაელისათა, მეტყუელმან: მო-
ხილევასა მესა, რომლითა მოხებდოს თქუენ უფა-
ლმან, თანა აღიბუნეთ ძოჲლინთა ჩემნი ამიერ
თქუენ თანა“ (წიგნი გამოხლავთა, 18,19).

ამდენად, მამის დავალების, ანდერძის შეს-
რულების ეპიზოდი შერათლად და თავისებუ-
რად, მაგრამ მაინც შემონახულია.

აღბათ შენაძლია უკვე ითქვას, რომ იოსების
ბიბლიოტ მოთხრობის უმცროსი ძმის მოტივი-
სათვის ნიშანდობლივი ეგვიპტე უმოთვრესი მო-
მენტო თუ ეპიზოდი ახახათებს:

უმცროსი ძმის გამოჩენულობა,
მამის ვანაკუორებული ხიყვარული მისდამი,
ძმების მოშურნეობა და დაღატო,
ქვესკნელში მოხვედრა,
მამის დავალების შესრულება.

უილიამ ფოლკენერი წელიწადზე მეტხანს ვ. მოლიოდა ლექციაზეთა და საუბრებით ვიარაგნიის უნივერსიტეტის სტუდენტებისა თუ პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე. წინაშე „ფოლკენერი უნივერსიტეტში, საუბრება ვიარაგნიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან 1957-1959 წლებში“ (ნათ იორკი, 1958 წ.) თავმოყრილია უკვე ეს საუბარი.

ერთ დღესაც, 1957 წლის 20 თებერვალს, ვიდაცა უკითხავს ფოლკენერსათვის:

რატომ ამზობს მისს კომპონი ბენჯამენ, ევანჯელის გაუფლელი? განა ბებლიაში იოსები არ არის? ეს თქვენი შეცდომაა თუ მისის კომპონისა?

პასუხის წაცვლად ფოლკენერმა ჩერ იკითხა: ბიბლიის მყოფენ ზომ არ არის თქვენი შორის ვინე?

ერთ-ერთი წამოღდა: მე ვნახე და ბენჯამენი იოსებს ცვლის, ღიბს, და მეც სწორედ მაგისთვის შევცვალე. — განმარტა ფოლკენერმა.

თითქმის მთელი წინა საუბრების სტენოგრაფულ ჩანაწერს წარმოადგენს და ამდენად სრულ სურათის გვაძლევს მთელი საუბრისა. არადა, მაინცდამაინც ამ დღის საუბარა მოგვიანებთ აღდგენილი, რასაც მინაწერი გვაუწყებს: „ჩანაწერი არ შეზონახულა. აღდგენილია მასოვრობით“.

ძალზე ხაწწხარაა. საფიქრებელია, რომ ფოლკენერი გაყოლებით, ვრცლად და საფუძვლიანად განმარტავდა მიზეზს, უკვლადფრის დეტალურად ახსნიდა. თვითონ საუკეთესო მყოფენ იყო ბიბლიისა, ზეშეზობადანვე ბიბლიაზე იყო გავრდილი და მერცე მოუყოლებლად სულ თან დაქარდა. საუბრისას არაერთხელ აღუნაწავს, ბიბლიას უოველწლიურად ვკითხულობო. ეს ჩანაწერი რომც არ არსებობდეს, ასედაც ვამორადებელი იქნებოდა, რომ ფოლკენერს შეცდომა მოუვლია. თურმე არც მისის კომპონის მოსვლია შეედლომა.

სტუდენტო აქ გულისხმობს ფოლკენერის რო. მან „ბნაური და მფინარება“ (1929).

გმირს ბენჯი ჰქვია, ბენჯამენი ანუ ბენიამინი, ასოციაციის საფუძვლია ეს არის.

ჩემი მზრაც, ფოლკენერის კიდევ ერთ რომანს ვავიხანებელი, მოგვანებით დაწერალ რომანს „ჩამოვედ „ოსი“ (1942) შენახულია იქაც ახტენებს ეს რომანი. მოკლე ჩანაწერი არაფერს გვეუნებდა, სადაც რამდენჯერმე მეორდება ეს პასაჟი, მიითრეტებს გმირს არც ბენიამინი ჰქვია და არც იოსები, რომ მაინცდამაინც სახელით გაბსენებოდათ ბიბლიური სიუეტტი.

მოხუცი ზანგი ქალი, მოლი ვორშამ ბიურემა, ასე მოსთქვამს თავისი შვილიშვილის, სემუელ ვორშამ ბიურემის დაღუპვას: „— რით

ედმონდსმა გაყიდა ჩემი ბენჯამენი, ევანჯელის გაყიდა. ფარაონმა წააყვანა“.

ეს სიტყვები რომანის რამდენიმე მერადგება:

„— თვითონ ედმონდსმა გაყიდა, ევანჯელის გაყიდა, მერე არ ვიცი საით არი. მარა ის ფარაონმა წააყვანა...“

„—ის კვლარი, — თქვა მობუტმა, — ფარონს ეტყო“.

„—გაყიდა ჩემი ბენჯამენი, გაყიდა ევანჯელის“.

„—გაყიდა ევანჯელის, — აგრძელებდა ჰემინგი“.

„—როთ ედმონდსმა გაყიდა ჩემი ბენჯამენ“.

„—ფარაონს მიყიდა“.

„—მიყიდა ფარაონს და ახლა ის კვლარი“.

(ზანგი ქალი დამახინჯებული ინგლისურით ლაპარაკობს). კიდევ რამდენიმე ასეთი ადგილი, ოღონდ სულ ერთი და იგივე მეორდება და მეტის მოტანა აღარ უნდა აუკნ საჭირო.

უკვე ეს გამოთქმა — „გაყიდა“, „ევანჯელის გაყიდა“, „ფარაონმა წააყვანა“, „ახლა ის მიყიდა“ (იოსების დაღუპული რომ ჰგონიან)— გამოშპატველია იოსების თავდადასჯლის ცალკეული მომენტებისა, ოღონდ იოსებას წაცვლად ბენიამინი ხსენებდა.

ფოლკენერი რომ აიგავებს იოსებსა და ბენიამინს, ცხადია, მოთბრობის არსი აქვს ამოცნობილი. პერსონაჟს რომ მინაწერს, არც აქ არის რაიმე დაზღუდვა. ის ვადმოცემება, რომელსაც ზანგი ქალი უნდა იცნობდეს, საფიქრებელია, რომ ასევე აიგავებდეს იოსება და ბენიამინს.

ეს შთაბეჭდილება, რაც ამ რამდენიმე პასაჟიდან დაჩქარა.

რამდენადაც ვიცნობ გამოკვლევებს ფოლკენერის შემოქმედებაზე, ამ მომენტზე სიტუაციას ვერასლად წავაწყდი, რამდენადაც რომ ხსნიდენ ამ ადგილს, კომენტარს მაინც ურთავდენენ.

კარგი იქნებოდა შემოგვჩეროდა ფოლკენერი როგორც ახსნითებდა, ამ ადგილებს როგორც განმარტავდა.

თქმა არ უნდა გაყოლებით უკეთხად. ვადრე მე ვცოდებ-

ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი უმცროსი მისი მოტივისა მიუთუნახავის, საცოლის მოპოვება. ეს ეპიზოდი ხან მამის დავალებს ეპიზოდს ცვლის, მაგრამ იოსებს მოხობრობაში ორივე გვხვდება. ელანარ მელეტონსკო ამის ანარქულს ხედავს იოსებისა და ფოტიფარის ცოლის ურთიერთობის ეპიზოდში, მაგრამ რადგანაც ამ ეპიზოდის მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება, მისი დეტალურად განხილვის შესაძლებლობას შემდგომისათვის ვიტოვებთ.



ალბართი იწყება გზაჯვარედინთან

„ხილად სათქმელი დანაეღა, კალს ბერ-ფუო წორებო... გზაჯვარედინთან ვდგავარ და ძველ მოტყეს ვიმეორებო. საით?—ეინ იღის ხალიდან ვაფრენილ წლებს თანდებად, რა ერუანტელი ამიტანს, რა გზებით შევიღამდება?!“ პოეტური გზა ხშირად იძლევა დაფიქრებისა და დაეჭვების საფუძველს: სწორია კი არჩევანი, რამაც მეზის ქვეშეგრძობი გაგზავდა?! ხოლო მით უფრო დამაფიქრებელია, როცა ეს არჩევანი შენივე ნებით, შენივე სურვილით, გულის იღუშალი კარნახითაა ნათელსმევი (რა თქმა უნდა, აქ პოეტური მაღლის ლეთური ნიჟი იგულისხმება). დიახ, ბუნებრივად დაგაფიქრებს ხვალნდელი დღის შეუცნობელი პოეტური გზა, რომელიც არც კი იცი საით წაგიყვანს...

საკეთი პოეტურ შესაძლებლობებზე დაეჭვება და დაფიქრება გამობატული ზალ ებანოძის ზემოთ ციტირებულ სტრიქონებში; ამ კრებულში შეტანილია პოეტის როგორც ადრინდელი, ისე ბოლო პერიოდის ლექსები. ეს წიგნი ზალ ებანოძის სულის ნახმევაა, მისი პოეტური პორტრეტი, სადაანაც თანამედროვეობაზე ღრმა განცდილ დაფიქრებელი ახალგაზრდა კაცი გამოიუფრება. ცხადია, ყოველი წიგნი თითქმის პოეტის სულიერი მღელვარებისა და გონიერი განსჯის ანარეკლია და აქ ჩვენს მიერ ახალი და მოულოდნელი ასაფერია აღმოჩენილი.

კრებულში თავმოყრილი ლექსები მკითხველის ფიქრისა და განცდის თანახიარი ხდება. ზალ ებანოძე თავის შემოქმედებაში ცდილობს თანაფრანოს მკითხველს, მისი ტივილი გამოხატოს, სიხარული გაიზიაროს, მასთან ერთად ახალი თვლით შეხედოს სამყაროს, ჩასწვდეს მის ამოუცნობ საიდუმლოებებს. რა თქმა უნდა, შესაძლოა ყველაფერი ეს ყველა ღმერთში ასე კონდენსირებულად, სრულყოფილად და ყოვლისმომცველად არ იყოს გამოხატული, უფრო მეტიც, იქნებ ზოგჯერ აშკარად შეიშინოდეს სათქმელის გამობატვის ძველი და გაცვეთილი, ან გაითლებული ხერხის გამოყენება, სიტყვასთან ნაჭკავენი დამოკიდებულება და სხვა რიგი ლაფსუსები, მაგრამ ეს ალბათ მხატვრული ოსტატობის უქმარისობის ბრალიც შეიძლება იყოს, ანდა შემოქმედებითი ძიების ამ რთული პროცესის დამახასიათებელი ნიშანი, როცა მეტრისმეტად მიოწადინე-

ბული ხარ ჩანაფიქრი უმკველად ახლებურად და ორიგინალურად გაამქლანო. ამ დროს ზოგიერთი მხატვრული ხარევა გარდუვალია, მაგრამ მას სრულიადაც არ გააჩნია ვადამწვევტრ მნიშვნელობა. ეს ხარევები მკითხველის მიერ აღიქმება როგორც უნებურად დაშვებული ლაფსუსები...

ზალ ებანოძის ეს ახალი კრებელი, ზოგიერთი სადავო და საეჭუო ფორმებისა და სახეების მიუხედავად, მთლიანობაში სისიაზოვნო განცდას ტრავებს; ისიც უნდა ითქვას, რომ ზ. ებანოძე რამდენიმე წიგნის¹ ავტორია და მას უკვე თავისი მხატვრული სამყარო, პოეტური ხედვა და ხელწერა ასე თუ ისე გამოკვეთილი აქვს.

„სხვა არაფერი არ მინდა სულაც, ჩიტის გალობას ვუსმინო მხოლოდ, ნიბლია ხატავს სვედიან სურათს და ამ სურათში ვიღაცა ცხოვრობს. სხვა არაფერი არ მინდა სულაც, — დამითმეთ, რაღაც ამ დღლით მსურს მე, ვერხვის ტრეტებზე ასული სურო ჩიტის გალობას ჩემსათუ უსმენს. სხვა არაფერი არ მინდა სულაც, — რაღაც ვარ ასე, არავინ მკითხოთ, ნიბლიას სულში ნაღველი ცურავს, რომელიც კარის გაღებას ითხოვს“. ამგვარ პოეტურ ინტონაციას, სადაც გამკვეთრებულადაა გამოხატული ღირიკული გმირის ნახ სულიერი თროლუვა. მისი ეპოციური დამოკიდებულება გარემოსინამდვილესთან, ოსტატურად შეგნაცვლება სულ სხვა ასპექტით, თემითა და განწყობილებით გამოხატული ასევე ნახ სულიერი თროლუვა გმირისა, რომლის ეპოციური დამოკიდებულება სულიერი მოვლენისადმი განსაზღვრულია სუვერენლის მარადეული მღელვარებით: „ქალუ, ასე მწყაზარი რა დეღამ გზობა-მითხარ? (უმისამართოდ ვაგზავნი მე გულუბრყვილო კითხვას). ყვიჩაილ არსად შემყრია, ან მეტრის მახვილი ვიცო, გულს ღადარი შენ გკვია, — განახ და მერე ვიწვი. ყველამ დილ-კილო შეგხსნა, თვალს შეგასწრებდნენ ვიდრე, ნისლს შეხვალ შეუხებელსა, ჩამოფარე რიდე“. ჩვენი აზრით, ავტორმა თავის სათქმელს ოსტატურად მიუსადაგა ხალხური ლექსის კილო, შეუნარჩუნა სისადავე და მომხიბლობა. აქ გვხვდება ხალხური ლექსებიდან მოტანილი ნაცნობი სტრიქონებიც — („რა დეღამ გზობა“, „ყვიჩაილ არსად შემყრია“, „გნახე და მერე ვიწვი“, „ჩამოფარე რიდე“), მაგრამ მათი თავისებური, ავტორისეული გააზრება და გამოყენება ორიგინალურ ელფერის ძეგლია.

ზალ ებანოძის ხალხურ მოტივებზე აგებული ლექსები, ჩვენი აზრით, უაღრესი მხატვრული

¹ ზ. ებანოძე, „იწყება ალბართი“, 1981 წ. გამოც. „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალ.

ლი ზომიერებით არის შექმნილი, სადაც თანაბარი ძალით არის შენარჩუნებული ხალხური კოლოს სისადავე და ტემპერატი პოეტური თხრობის დაბეჭდილი ფორმა: „მოყოლილი ქარის ფრთაში ჩიტო წვიმით სველდებაო, იცრიალება გარეკრავი — ნეტა ვისთვის თენდებაო. ემა, ბებერი ცოდვის კალო მისწორდა და მოძველდაო, მარტვი, რა ცას შეეფარა, შენ, სასოო ყოველთაო“. ან კიდევ: „ვინ არის, ვინ შეგვიცოდოს, ვინ გაამეტოს ლალიო? და წუთით შემოგვანათოს კეთილშობილი თვალიო? ჩაზეკრავს ვიწრო ხეებსა მიმანოს ცაი მზერაო, აღმართში წამოგვეწევა ტრალი ბედისწერაო“. ერთ მის ლექსს „ხალხური კოლოზე“ ჰქვია: „გავდა ზიარების ვეფხვისა შინარის მღვრიე რულიო, გაღმა მზარე ესხვისა, აქეთ დაუდგა გულიო...“ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან თანაზარობა ზ. ებანოძის შემოქმედებითა თვისებურების ერთი მეტად საინტერესო მხარეა...

ზაღ ებანოძის სუკეთესო ლექსები, სადაც დაბეჭდილი პოეტური ფორმებითაა გაცხადებული თანამედროვე კაცის სულიერი მოძრაობა, მისი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი დამოკიდებულება სინამდვილესთან, ორგანულად ითავებს 70-იანი წლების პოეტური თაობის მხატვრული სტილის თვისებურებებს. წამყვანი და არსებითი ზაღ ებანოძის ლექსებში სწორედ ესაა, რის გამოც პრიმატი სწორედ ამ უკანასკნელს ენიჭება. გამოსახვის ახალ საშუალებათა ზღვაში რომელიც ქართულ პოეზიაში 70-იანი წლების პოეტურმა თაობამ დაამკვიდრა. ზ. ებანოძის მხატვრულ ნაზრევსაც უდევს თავისი გარკვეული წილი, პოეტი თავისი თაობის კვლადკვალ მოახიფებს და მათთან ერთად აღიჭვავს იმ რეალურ სინამდვილეს, თანამედროვეობამ რომ დაამკვიდრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„ბავშვობა დარჩა გადაფრენილ ჩიტის დარაჯად და მეოცნებე თვალი აქვს სველი. მიედინება, რაც შენ გეყოფნის, შენი სიზმრების ელვარე ფსკერზე, რაც ანათებდა და გიხაროდა. გიბიტყებ ხელით, რომ გამოერკვე და უეცარი დარეკო ხარი“. ამგვარი ორიგინალური ვაზ-

რებანი, სათქმელის მისეული გამოხატვის ფორმები და ხერხები უხვადაა გაბნეული ზ. ებანოძის ლექსებში. ჩანაფიქრისა და მისი გამოხატვის ხერხების ბუნებრივი თანხედენა ლექსის შინარისა და ფორმის სტრუქტურულ ერთიანობას იძლევა. პოეტი ამგვარ კომპაქტურ კავშირს თითქმის ყოველ ლექსში ქმნის, რის გამოც ადვილ-მხატვრული ვაზრება კონცენტრირებულადაა წარმოდგენილი: „დამფარე, კრემლით დაბინდულ მზერას გადაარჩინე ჩემი ფერდობი, მე იღუმალი ძახლის მეგრა და შენს ფიქრთან ვხას მივენდობი. ყვეფლებივით ვარსკვლავებს ბარდნი და შეჭი ცოცხლობს ყველა მათგანის, და მქვია მინც ფერმკრთობს ღანდი გულგრილი მზერის ჩრდილში დამდგარო...“

საზოგადოებრივ კრებული პოეტის საუკეთესო ლექსებითაა წარმოდგენილი. ავტორს გულდაგულ შეერჩევა აღრინდელი ნაწარმოებებიც და ახალ ლექსებთან ერთად წარმოუდგენია. მაგრამ როგორც ზემოთაც ითქვა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მის პოეტურ აზროვნებაში მთლიანად დაძლეულია ბუნდოვანება. ზოგაერთ სახეს შეტი სინათლე და გამოკვეთა სკირდება, ზოგჯერ ლექსის იდეური შინაარსის ბოლომდე ვაზრებაც ჰქონს („ქარი გალობს ახლა ოსანას“). შესაძლოა, თვით კრებულის სტრუქტურული ადნაობაც საჩოთირო იყოს, მაგრამ როცა ზაღ ებანოძის პოეტური სამყაროს ადექსს შევხდებით, მისი ლექსები ცხადად გაგრძნობინებს იმ პოეტურ ხაზსა და სიახლეს, რითაც ყოველი ახალი პოეტური კრებული უნდა ხასათებოდეს. ზაღ ებანოძის შემოქმედება ამგვარ სიხალეებთან შეხვედრას გვირდება, რაც ავტორის პოეტური აზროვნების თავისთავადობის საინტერესო და ორიგინალური თვალთახედვის. უტყუარ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

წინამდებარე საზოგადოებრივ კრებულით პოეტი ზაღ ებანოძე იმ გზაჯარედინთან დგას, საიდანაც ახალი აღმართი იწყება.

რძივა ჩხარტოვილი

გადაეცა ანაწყობად 25. 1. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 2. 83 წ., ანაწყობის ზომი 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირბითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღ-საგამომცემლო თაბაში 16,58.

უე 08037. ტირაჟი 32.000, შეეც. 244. საქ. კბ-კის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუხთაველას პროსპექტი, № 18.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 98-55-16; 98-55-17, 98-55-20.

6 /46.



ქართული
ენციკლოპედია

შპს 80 333.

060060

76128

3

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ